



საქართველო



საქართველო


საქართველო



საქართველო



მორე გამოცემა
პროფ. მიხეილ ჩიქოვანის რედაქციით



Handwritten signature

წინასიტყვაობა

XIX საუკუნის იმ თვალსაჩინო მიღწევათა შორის, რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს ერის ესთეტიკური აზროვნების განვითარებაზე — ხალხური სიტყვიერების აღმოჩენაც უნდა დაეასახელოთ. ეს ისტორიული მიგნება ყველაზე ცხადი 60-იან წლებში გახდა და ამიტომ ეროვნული კულტურის მოწინავე წარმომადგენლები განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდნენ ამ საქმეს. ხალხური შემოქმედების ფასი კარგად განსკვრიტა არა მარტო მხატვრულმა და მეცნიერულმა ინტელიგენციამ, არამედ რიგითმა მუშაკებმაც, რომლებიც მიმოფანტული იყვნენ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში და ფუტკრისებარ სასარგებლო საქმიანობას ეწეოდნენ ამა თუ იმ უბანზე. როგორც კი ხმა დაირხა და ფართო საზოგადოებრიობას ემცრო წინა თაობათა ზეპირსიტყვიერი მემკვიდრეობის ღირსებანი, დაუხანებლად დაიწყო პასობრივი მოძრაობა მის შესაკრებლად და გამოსაცემად. ახლა, როცა გულდასმით ვათვლიერებთ და ვსწავლობთ სიძველეთსაცავებში თავმოყრილ აურაცხელ მასალას, თვითველ ფურცელზე, სულ მცირე ტექსტის ბოლოს, ეკითხულობთ იმ უანგარო მოღვაწეთა გვარებს, რომლებიც უხმაუროდ, ჩუმად, დღემუდამ საწერკალმით შეიარაღებულნი, მთასა და ბარში აგროვებდნენ მარგალიტებს, მძივად ასხამდნენ და მათთვის ჭერეთ უცნობი მომავალი თაობებისათვის ათაეხელებდნენ. ყოველ მუზეუმსა და არქივში რამდენ ახალ გვარს, რამდენ უცნობ სახელს ვპოულობთ, რომლებსაც მონაწილეობა მიუღიათ იმ სახალხო საუნჯის შექმნაში, რაც დღეს ასე აღიარებული და საქეყნოდ დაფასებულია!

ქართული ფოლკლორის მდიდარი ფონდების შექმნაში მონაწილეობა მიუღიათ არა მარტო იმათ, რომლებიც შრომასა და ბრძოლაში ჰქმნიდნენ სიტყვიერი, მუსიკალური, ქორეოგრაფიული თუ გამომსახველობითი ხელოვნების სხვა ღარგათა შტოეერებს, არამედ იმათაც, ვინც ამ მაღალესთეტიკურ ნაწარმოებებს კერებდნენ. ცალკე, მთავარია მხატვრული ფენომენის შექმნა ხელოვნების კანონების მიხედვით, მისი სრულყოფა, მასების საკუთრებად ქცევა და ტრადიცილაში გადასვლა. მ.გ.რამ რას ვიტყოდით, როგორ აღვადგენდით ხალხური შემოქმედების ისტორიას, თუ საჭირო ძეგლები არ იქნებოდა დაცული და ფიქსირებული? ამის გამო ხალხური სიბრძნის შემქმნელიცა და შემნახველიც დასაფასებელი და დიხახაც საცოდნელია. მათი სახელი — ლეგონია. ვით ამირანის თქმულებას არ ჰყავს დღეს ერთპიროვნული ავტორი და მთელ ერს ეკუთვნის, მისი შემოქმედი მთელი ქართული ხალხია, ასევე ჩვენს სიძველეთსაცავებში თავმოყრილ კოლექციებსაც და მათ მიხედვით გამოცემულ კრებულებსაც მეტწილად არა ჰყავთ ერთპიროვნული ავტორები. თუ რომელიმე კრებულს მაინც ეუკავშირებთ გარკვეულ სახელს, იმისათვის, რომ ეს

უქანასენელი შემკრებლობითი მოძრაობის შუაგულში იდგა და თანდათან მის ხელში გროვდებოდა საუქუნოებრივი საუნჯე, ბუნებრივი ნიჭით დაჭილდობულ ათეულ და ასეულ უხილავ თანააქტორთა მხატვრული შემოქმედება.

ისტორიული მნიშვნელობის საქმე ერთ დღეს არ სრულდება. ყოველ მოვლენას თავისი წარსული აქვს. ასეთი ვითარებაა ფოლკლორის სფეროშიც. ამის კვლობაზე, როცა ქართული ხალხური სიტყვიერების შეკრებასა და შესწავლაზე ვლაპარაკობთ, ცხადია, მის წარსულსაც ვითვალისწინებთ. ამ დროს შეუძლებელია დაევიწყოთ ის უანგარო ღვაწლი, რაც წინაპრებს მიუძღვით ეროვნული კულტურის მტკად თავისებური დარგის წინაშე.

ხალხური სიტყვიერების ეს ოთხტომეული, რომელიც ახლა წინ გვიძევს და ვკოხულობთ, დიდი თავგადასავალი მქონეა. მის შექმნას, ამჟამინდელ ფორმაში მოყვანას, სამი თაობა დასჯირდა. ცხადია, ნათქვამი არ ეხება თვითონ ხალხურ ნაწარმოებებს, ისინი ათეული და ასეული თაობების კოლექტიური შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენს და ფესვები საუქუნების სიღრმეში აქვს გადგმული. პეტრე უმიკაშვილი XIX საუკუნის იმ მცირერიცხოვან მოღვაწეთა ჯგუფს ეკუთვნის, რომელმაც თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე და დაუშრეტელი ენერჯია ქართული ზეპირსიტყვიერების შეკრების კეთილშობილ საქმეს მიუძღვნა. ნახევარი საუკუნის განმავლობაში პეტრე უმიკაშვილი შეუწელებლად ზრუნავდა ხალხური სიტყვიერების შეკრება-გამოცემაზე. ჭარ კიდე 1871 წელს აუწყებდა საზოგადოებას: რამდენჯერმე დავაპირე დაბეჭდვა ჩემი შეკრებილი ნიმუშებისა, მაგრამ, რადგან ჩვენში წიგნის ბეჭდვა ძალიან ძნელდება, ამის გამო გამოცემაზე თავი შევიკავე და კრებულის შეესება ვაპოზიონეო („დროება“, № 22, 1871 წ.).

ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ისეთ თვალსაჩინო მოღვაწეებს, როგორიც იყვნენ აკაკი წერეთელი და რაფიელ ერისთავი, ბევრჯერ მოუთხოვიათ პეტრე უმიკაშვილის კოლექციის გამოცემის დაჩქარება, მაგრამ საქმის წინ წაწევას მაინც არაფერი ეშველა. თვითმპყრობელობის პირობებში შეუძლებელი აღმოჩნდა საქართველოში არა თუ ისეთი დიდი კრებულის განხორციელება, რასაც მისი შემდგენელი ვარაუდობდა, არამედ უფრო ნაკლები მოცულობის წიგნების დასტამბავც. რაკი მოზრდილი ანთოლოგიების გამოშვებულება არ მოხერხდა, პ. უმიკაშვილი 70-იან წლებში მცირე ზომის იაფფასიანი სახალხო წიგნაკების გამოცემას შეუდგა და ამ გზით იწყო ფოლკლორული შემოქმედების შესანიშნავი ნიმუშების მასებში გატანა („არსენას ლექსი“, „ეთერიანი“, ანდაზები და სხვ.).

პ. უმიკაშვილი ხალხურ სიტყვიერებას ჰკრავდა საქართველოს ყველა კუთხეში. თვითონ უშუალოდ მთქმელებისგან რამდენიმე ასეული ნაწარმოები ჩაუწერია ქართლსა და კახეთში, ხევსა და მთიულეთში, იმერეთსა და აჭარაში. სადაც თვითონ ვერ სწვდებოდა, იქ მუდმივ თანამშრომლებს იჩენდა ადგილობრივ მუშაკთაგან და მათი დახმარებით ამდიდრებდა თავის კოლექციას. ამ საქმეში პეტრეს დიდ დახმარებას უწევდნენ აგრეთვე მსმენელები, გიმნაზიის მოსწავლეები. როცა შემკრებთა შემადგენლობის თვალსაზრისით ვეცნობით უმიკაშვილის კოლექციას, ათეულობით ვპოულობთ შემკრებ-ენტუზიასტთა ნაკლებად ცნობილ სახელებს. ყველანი შორეული სოფლებიდან თბილისისაკენ გზავნიდნენ ჩანაწერებს; მასალის ნაწილი პრესის ფურცლებზე კპოულობდა ადგილს, ნაწილი კვლავ დაუბეჭდავი რჩებოდა და მზის სინათლეს ელოდებოდა.

თავისი შეგნებული ცხოვრების ერთ-ერთ ძირითად მიზნად პ. უმიკაშვილს ზეპირსიტყვიერების გამოცემა ჰქონდა დასახული, მაგრამ, სამწუხაროდ, მიზანი გაუხორციელებელი დარჩა. 1904 წელს უმიკაშვილის სიყვდილით დასრულდა ეროვნული სიტყვიერების შეკრების XIX-საუკუნისეული პერიოდი. მართალია, მან დიდძალი მასალა დააგროვა, მაგრამ მისი გამოცემა XX საუკუნის დასაწყისშიც ისევე უიშვლო იყო, როგორც 70-იან წლებში. ანდერძის თანახმად უმიკაშვილის კოლექცია მომდევნო თაობის წარმომადგენელს, მომავალ სახელოვან მეცნიერს ფილიპე გოგიჩაიშვილს გადაეცა. პროფ. ფ. გოგიჩაიშვილმა შეისწავლა ნედლი მასალა, დააჯგუფა, დაურთო პ. უმიკაშვილის ბიოგრაფია, წინასიტყვაობა, შენიშვნები და შემკრების გარდაცვალების 33 წლისთავე, 1937 წელს, გამოაქვეყნა „ხალხური სიტყვიერება“ პირველი ნაწილის სახით. ამ გამოცემის 10 წლისთავე (1947) თვითონ ფ. გოგიჩაიშვილიც გარდაიცვალა და დაწყებული საქმე მასაც დაუმთავრებელი დარჩა. ამგვარად, პ. უმიკაშვილის „ხალხური სიტყვიერება“ მთლიანი სახით მხოლოდ ახლა ქვეყნდება — ეს მისი პირველი სრული გამოცემაა.

წინამდებარე ოთხტომეულს საფუძვლად დაედო უშუალოდ პეტრე უმიკაშვილის არქივი, რომელიც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილებაშია დაცული 1958 წლიდან. არქივის მოწესრიგებისთანავე პირველყოელისა და შემდეგ უიშვლო იქნა მისი გამოუქვეყნებელი პროზაული ნაწილი, შემდეგ პოეზია თავისი ვარიანტებითა და შენიშვნებით. თვითელი დაბეჭდილი ტექსტი შეუდარდა ხელნაწერს, გასწორდა შემჩნეული მცდარი წაკითხვები, გამოვლინდა უცნობი ვარიანტები, შეივსო ცნობები ჩამწერთა და შემკრებთა შესახებ, დაზუსტდა გეოგრაფიული სახელწოდებანი და ეთნოგრაფიული მხარე, გაიმართა კლასიფიკაცია, დაემატა გამოკვლევა თვითონ ხალხურ ნაწარმოებთა შესახებ, აკ წინა გამოცემას აკლდა და ა. შ. „ხალხური სიტყვიერების“ მიხედვით მკითხველს შეუძლია სრული წარმოდგენა იქონიოს, თუ რას წარმოადგენს XIX საუკუნის ერთ-ერთი შესანიშნავი შემკრების კოლექცია, რაოდენ მრავალფეროვანია მასში წარმოდგენილი ეპიკური მასალა და ამ უკანასკნელთან დაკავშირებული სამეცნიერო პრობლემათკაცა. როგორც წესი, „ხალხურ სიტყვიერებაში“ არაა გამოქვეყნებული ვარიანტები. ამ მხრივ მხოლოდ ზოგიერთი აუცილებელი გამონაკლისია დამუშავებული. ცხადია, „ვარიანტს“ აქ პირობითი გაგებით ეხმარობთ, თორემ თვითელი ნაწარმოების ჩანაწერი თავის კუთხეში და თავის დროზე დამოუკიდებელი ღირებულების მქონე იყო და სინონიმური მნიშვნელობისა ტექსტის ისტორიაში. შეგვიძლია ვილაპარაკოთ უოველი ცალკე ჩანაწერის აეკარგიანობაზე, შინაარსობრივ და მხატვრულ სრულყოფილობაზე. დასაბეჭდი მასალის შერჩევისას სწორედ ეს გარემოება იყო მიღებული მხედველობაში და არა სხვა რაიმე პრინციპი, ვთქვათ, ქრონოლოგიური ან ეთნიკური. პ. უმიკაშვილის არქივის შესწავლა კელაე უნდა გაგრძელდეს ტექსტოლოგიური თვალსაზრისით და დამატების სახით დასაბეჭდად მომზადდეს ის ჩანაწერები, რომელთა გამოქვეყნება ამ წიგნის სტრუქტურით გათვალისწინებული არ იყო.

პირველი გამოცემის წინასიტყვაობა

პეტრე უმიკაშვილი ხალხური სიტყვიერების შეკრების პიონერი იყო ჩვენში. მას ეს საქმე დაუწყია ახალგაზრდობაშივე (20—21 წლისას) და არ დაუგდია სიკედილამდე (მისი უკანასკნელი ჩანაწერი დათარიღებულია 1903 წლით). მაშასადამე, იგი ამ მასალას აგროვებდა 40—45 წლის განმავლობაში. ბევრი თვითონ მის მიერ არის ჩაწერილი, ბევრი კიდევ თავისი მოწაფეებისა და ნამოწაფთარების და ნაცნობ-მეგობრების საშუალებით შეუკრებია. არის აგრეთვე ნაწილი, რომელიც მას „დრო-მება“- „ივერიის“ რედაქციებიდან მიუღია, როდესაც გაზეთებს მათ მიერ მიღებული მასალა, უადგილობის გამო თუ სხვა მიზეზით, ვერ დაუბეჭდიათ (მაგალ., პატარა რვეული, რომელსაც აწერია პსევდონიმი „შემკრებელი მეც ვიყო“, ასევე ნ. ბაკურაძის [„ქართული ოსებში“] ჩანაწ., ილ. ალხაზიშვილის ჩანაწ., თ. ხუსკივაძის ჩანაწ. და სხვ.). ზოგიც ჩამწერელთ მისგან დამოუკიდებლად ჩაუწერიათ და შემდეგ, მისი თხოვნით, მისთვის გადაუყიათ (მაგალ., ილ. ქავჭავაძეს, ი. ვვარამაძეს [„ენმე მესხს“], რომლის შენაყრები მას იონა მეუნარგაის ხელიდან მიუღია¹ და სხვ.).

ასე წარმოსდგა პ. უმიკაშვილის ხელში მოგროვილი ფონდი ხალხური სიტყვიერებისა*. ზოგი რამ აქედან მის სიცოცხლეშივე იბეჭდებოდა დროგამოშვებით სხვადასხვა გამოცემებში, — უფრო ხშირად მისი სახელის აღუნიშვნელად. მაგალითად: 1882 წ. „დროებაში“ (№ 70, 73) დაბეჭდილია იას. ნათაძის მიერ ჩაწერილი აქარული ლექსები, რომლების პირი, პ. უმიკაშვილის ხელით დაწერილი, ამ უკანასკნელის ქალაქებშია დარჩენილი (მე ეს ლექსები აღარ შემიტანია). ცხადია, რედაქციისთვის გადაცემაზე პ. უმიკაშვილს დედანი გადაუწერია და შეუნახავს, თორემ მისგან დამოუკიდებლად რომ დაბეჭდილიყო, მაშინ ხომ აღარც გადასწერდა და თუ შენახვა უნდოდა, დაბეჭდილს ამოსჭირდა პირდაპირ გაზეთიდან. ანდა, იაკ. გოგებაშვილს არა ერთი და ორი ლექსი, ანდაზა და გამოცანა ჰქონდა პ. უმიკაშვილის ფონდიდან თავის სახელმძღვანელოებში შეტანილი, ხშირად (პედაგოგიური მოსაზრებით) რაოდენადმე შეეცლილი, რაც თვითონ პ. უმიკაშვილსაც აქვს თავის ავტობიოგრაფიაში ერთ ადგილას აღნიშნული. მაგალითად: „მოდი ვნახოთ ვენახი“, „ორმოში ფეტვი ჩაყვარე“, „წყალსა მოჰქონდა ნაფოტი“, „დილას ოქრო ხარ, სტუმარო“, „ანდუყაფარ“, „მე ჭავახეთს რა მინდოდა“, „ლექებმა რომ დამიპირეს“, „თებერკალი დაღგაო“, „მანინც არ მოვკლავ ტოროლას“, „ლიახვამა სთქვა“, „ორ-

¹ ამ ლექსების ნაწილი დაიბეჭდა 1913 წ. „ძველ საქართველო“-ში.*

შაბათობით აშენდა“, „საბრალო დედაბრისასა“, „აღზევანს წავალ მარილისათვის“, „საწყალი მელა ჩიოდა“, „დათემა თქვა, სიზმარი ენახე“, „ქალო; ვისი ხარ ლამაზი“, „ორშაბათ დილა თენდება, ავი დარები დგებოა“, „ყიციყო მამალო“ და სხვა. ასევე—მგონია—პ. უმიკაშვილის ფონდიდან უნდა იყოს აღებული ის ექვსი ლექსი, რომელიც ი. ქანინოვმა გამოსცა 1878 წელს „ამირანის“ სათაურით (წიგნაკში მოთავსებულია: 1) ამირანი, 2) ავთანდილი, 3) სოლოღა, 4) ტფილისის ქება, 5) საბრალო დედაბერი და 6) ცა და დედაძინა).

პ. უმიკაშვილი უღევწლო და უმონაწილო არ არის იმაშიც, რომ სამოცდაათიან და ოთხმოციან წლებში ხალხური სიტყვიერების ნიმუშები ხშირად იბეჭდებოდა ქართულ პერიოდულ გამოცემებში, ვინაიდან იგი ამ საქმის საპრობების ერთ-ერთი ფანატური მქადაგებელი იყო. არც იმაში, რომ თავის დროს „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ იწყო ასეთი მასალის შეგროვება. 1882 წელს „საზოგადოებამ“ დაბეჭდა და დაარჩვა „პროგრამმა ხალხის სიტყვიერების ნაწარმოების შეკრებისათვის“, რომელიც, ვფიქრობ, პ. უმიკაშვილის „შედეგნილი“ უნდა იყოს. გადმოწერ ამ დოკუმენტის უმთავრეს ნაწილს, რადგან იგი დღეს ბეზლოგრაფულ იშვიათობას წარმოადგენს:

„პ რ ო გ რ ა მ მ ა ხ ა ლ ხ ის ს ი ტ ყ ვ ი ე რ ე ბ ი ს ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ს შ ე კ რ ე ბ ი ს ა თ ე ს .

ხალხის სიტყვიერებითი ნაწარმოები არის დიდი საუნეწე საზოგადოდ მწერლობისა და საკუთრად პედაგოგისათვის. ყოველი განათლებული საზოგადოება ცდილობს შექტიბოს ყოველგვარი სიტყვიერი ნაწარმოები ხალხისა და საყოველთაო კუთვნილებად აქციოს.

ჩვენში დღევანდლამდე ძალიან მცირედ შეკრებილა და დაბეჭდილა ჩვენის ხალხის სიტყვიერებითი ნაწარმოები. მისი შეკრება და გამოქვეყნება მით უფრო საჭირო და სასარგებლოა, რომ ამგვარი ნაწარმოებით ჩვენი ხალხი მდიდარია...

და წ ე რ ი ს ი : ს ი ტ ყ ვ ი ე რ ნ ა წ ა რ მ ო ე ბ თ ა დაწერა ქვემოხსენებულის წესით უნდა მოხდეს:

ა. ყველაფერი უნდა დაიწეროს სწორედ ისე, როგორც ხალხი ამბობს. დამწერმა თავის თავს ნება არ უნდა მისცეს მცირეოდენის ცვლილების მოხდენისა. ადგილობრივი გამოთქმა, სიტყვები, სიტყვების დალაგება ფრაზებში, ფრაზების ერთმანეთთან დამოკიდებულება, — ყველაფერი სასტიკად უნდა დაიყვას დამწერმა; ის ადგილები კი არ უნდა შესცვალოს, რომელიც უაზროდ ეჩვენება. ყუ-

1 მის ქალღმერთში ეპოულობ ცნობას იმის შესახებ, რომ მას იმ ხანებში უმუშავნია ამ საგანზე და უსარგებლნია თბილისში პედაგოგ გორაიევისგან ნახონენი შემდეგი წიგნებით: 1) Судовшиков Е.: Пособие при преподавании истории русск. словесности. Киев 1863; 2) Галахов А.: История русск. словесности, СПб 1880; 3) Миллер Ор.: Опыт историч. обозрениа русск. словесности. СПб 1865; 4) Веселовский А.: Славянские сказания... и западные легенды..., СПб 1872; 5) Записка о южной Руси, СПб 1856; 6) Миллер Ор.: Илья Муромец и пр., СПб 1869; 7) Драгоманов Мих.: Малорусские народн. предания и рассказы, Киев 1876. გადმოუწერია ამ უკანასკნელიდან ცნობად აგრეთვე „Программа издания народных песен“.

რადღებდა უნდა მიექცეს მეტადრე პროზად საწერსა, რომ ხალხის ენის კილო და ფრაზების შეკავშირება ნამდვილი დარჩეს. სიტყვების წერის დროს გამოთქმას ყურადღება უნდა მიექცეს და ისე დაიწეროს. მაგ., საქართველოს ზოგ ნაწილში ამბობენ: წამოილო, ზოგან წამეილო, დაანთო და დაანთა; მთაში ამბობენ ტევი (ყხევი), ბარში — ხევი; გურიაში — აერთი (თითქმის იხართი), გეაჩა (გეჩრა), სხვაგან — ერთი, გაიარა; რაქვაში — ვორი ანუ, უკეთესად გამოსათქმელად, უორი; მთაში — სოფელჩი, სხვაგან — სოფელში.

აქვე უნდა მოვიხსენოთ, რომ მთა ადგილებში (არაგვეზე, ქსანზე ნაწილად, თერგზე, ხევსურეთში და რაქვაში) ხმის კვეთება (ударение) განსხვავებული აქვს სიტყვის გამოთქმასა. მაგ. ბარში ვიტყვით, რაქვას მივდივარ, ისინი იტყვიან, რაქვას მივდივარ; საქიროა, საცა ასეთი განსხვავება შეხვდეს დამწერსა, ეს ხმის კვეთება ნიმუშად რავდენსამე ლექსში დაინიშნოს.

ბ. ზოგიერთი ლექსი ან ზღაპარი ანუ სხვა ნათქვამი ხალხში სხვადასხვა ცვლილებით არის ან სულ მთლად, ან ზოგი ადგილები და სტრიქონები, ან რავდენიმე სიტყვა. ძალიან საქიროა, რომ დამწერი მარტო ერთს რედაქციას არ დასაყრდეს, არამედ ყოველი განსხვავებაც აღნიშნოს სხოლოთებში, რომ ზოგში ესა და ეს ცვლილებაა. და თუ სრულად ბევრი განსხვავებაა, მთლად დაიწეროს. ეს ცვლილების დაწერა იმიტომ არის საჭირო, რომ ხშირად მრთელს დიდს ლექსში ანუ ზღაპარში ორიოდ საში სიტყვა, სხვა ცვლილებით ხმარებული, მრთელის თხზულების ფერსა სცელის და ზოგჯერ ძვირფასს განძს შეადგენს.

გ. ზოგს ლექსს ან სხვა ნათქვამს მთქმელნი ახსნას უკეთებენ. ეს ახსნაც უნდა აღნიშნოს სხოლოთში მოხსენებით, რომ მთქმელის ახსნაა. რა ადგილიც ანუ რომელიმე აზრი ან სიტყვა დამწერს არ ესმის, ჰკითხოს გლეხს და, თუ მან ახსნა მისცა, საქიროა ამის დაწერაც.

დ. ნაწერის ბოლოში მოხსენებული უნდა იყოს, რომელ სოფელში გაიგონა დამწერმა მისგან დაწერილი ნაწარმოები ხალხის გონებისა, გვარი გლეხისა, რომლის სიტყვითაც დასწერა და რა დროს, ესე იგი, თარიღი დღისა, თვისა და წლისა. აქ საქიროა შევნიშნოთ, რომ თუ მთქმელი მესტორე ან მეფანტურეა, ესეც მისახსენებელია შენიშვნაში. ეს იმიტომ, რომ ხშირად მეფანტურე ან მესტორე თითონ სთხზავს ლექსებსა, ჭერ სახალხო ლექსად არ გადაიტყულა და მხოლოდ შემდეგ ხანებში ზოგი მათი ლექსი სახალხო ლექსად გადაიტყევა ხოლმე.

ე. უკეთესი იქნება დამწერმა სახალხო ლექსების, ზღაპრების და სხვა თქმულების მკოდნე მოსძებნოს სოფლის ენა-მეტყველ კაცებში, მწყემსებში, მესტორეებში და მეფანტურეებში. ამათში უფრო მდიდარი მასალა მოიპოვება. აგრეთვე ძალიან საქიროა ვიკოდეთ, რომ ბევრი სიტყვიერი ნაწარმოები, მეტადრე ზღაპრები, შელოცვა, ძველებური ლექსები, ლეკვანდები დედა-კაცებმა უფრო უკეთესად იციან მამაკაცებზედ და უფრო მათ უნდა ეკითხოთ.

ვ. დამწერმა თავისი საწერი რეულები უნდა გაეცოს რამდენსამე ნაწილად და ერთგვარი ნაწერები ცალკე ნაწილში მოაქციოს. მაგალითად, ზღაპრები უნდა ცალკე დასწეროს, ანდაზები — ცალკე, ლექსები — ცალკე და სხვა.

ზ. რეულები დამწერმა უნდა მოაწეროს თავისი სახელი და გვარი სრულად.

ა ი რ ა გ ვ ა რ ნ ი ი ქ ნ ე ბ ი ა ნ ხ ა ლ ხ ი ს ს ი ტ ვ ე ი ე რ ე ბ ი ს ნ ა წ • რ მ თ ე ბ ნ ი : I. ლექსები:

ა. სასულაერო, ისტორიული, გმირული, საომარი, სამიჯნურო, სამეშაო, სა-
ოხუნჯო, სასიმღერო².

ბ. აფორიზმები ლექსად, მაგ. „ჭირში გატეხა არ ეარგა, თუ კაცი გონიერია,
წვა და ყველგან დარჩება, ქვეყანა ღონიერია“, ანუ „ქარგისა კარგიც მოკედება და
კარგიც დაიბადება“.

II. ანდაზები.

III. გამოცანები.

IV. ენის გასატეხი.

V. ზღაპრები და არაკები ყოველგვარი, ისეთი კი, რომლებიც დევებზეა ან
პირუტყვებზე ანუ სხვა ზესთაბუნებითს და უსულო საგანზედ. რომელს ზღაპარსა
თუ არაკშიაც ლექსი იქნება ჩართული, ზედმიყოლებით იმავე ალაგას უნდა დარჩეს
და ცალკედ არ უნდა დაიწეროს.

VI. ლეგენდები ანუ იმგვარი ამბები, რომელნიც იპყრობენ სასწაულთ მოქმე-
დებათა და ამოდ მორწმუნებათა, ყოველივე ამბაი, ხალხისაგან თქმული, შესახე-
ბი სხვადასხვა ადგილებისა, ციხეებისა, ეკლესიებისა და მონასტრებისა, ანუ რომე-
ლიმე გამოჩენილის კაცისა, შავალითებრ, ლეგენდა სურამის ციხის აშენებაზედ.

VII. ანეკდოტები ისტორიულნი და ყოფა-ცხოვრებითნი.

VIII. შელოცვანი სხვადასხვა სნეულებისა, პირუტყვისა, სიყვარულისა, სიძულ-
ვილისა, არშეობისა და სხე.

IX. ამოდ მორწმუნებანი რომელსამე ბუნების მოვლინებაზედ, ადამიანის მოქმე-
დებაზედ, პირუტყვზედ, ანუ უსულო საგანზედ, მაგ. იტყვიან: ვინც მაწვნის ქილას
გამოლოკავს, ქორწილში წვიმა მოუვაო; კურდღელმა რომ წინ გადაგირბინოს, გზა
დაგვეცარებაო და სხე.

X. დაძლევა კაცისაგან რომელიმე პირუტყვისა, ანუ პირუტყვისაგან კაცისა.
მაგ., ოფოფს რომ დაუვარცხნელი შეხვდეს, იტყვიან, დაძლეული ხარ ოფოფისა-
განო.

XI. თქმულებანი შესახებ ალებისა, ქაჯებისა და სხვაგვარ კეთილ და მანე სუ-
ლებისა.

XII. ცერემონიები ანუ ჩვეულებანი სხვადასხვა შემთხვევაში. და რა წესს ასრუ-
ლებენ სხვადასხვა უქმეების ნიშნად, მაგ., ახალწელიწადის წინა ღამეს აბრამია-
ნით, სახლში უფროსი რომ დააღვიძებს სახლობას და „შემოვდგი ფეხი, გწყალობ-
დეს ღმერთი“ იტყვის, ან კიდევ შობის წინა დღეს ალილობედ სიარული, ანუ ყვე-
ლიერის ნიშნად ბერიკაობა და სხვა ამგვარნი; ქონაზე სიარული კევრების მო-
საგროვებლად დიდმარხვის უკანასკნელს კვირეში, აგრეთვე ცერემონიები შელო-
ცვის დროს, როგორც, მაგ., „ლაზარეს“ ლექსის გალობის დროს წყლით დასვე-
ლება და კარდაკარ ჩამოტარება, ან თვალის შელოცვის დროს ნახშირისა და შავ-ტარა
დანის ხმარება; რა და რა ცერემონიას, რა რიგსა და წესს ასრულებენ ქორწილის
დროს, ნიშნობაში, რთელში, მკაში, სხვადასხვა ავაღმყოფობის დროს, სხვადასხვა

1 ხენის დროს რასა მღერაინ, თესვის დროს, მკის დროს, ლეწვის დროს, ბარ-
ვის დროს, თონისის დროს, რწყვის დროს, თიბვის დროს, ყურძნის წურვის დროს
და სხე.

2 ქორწილის დროს, ნიშნობის დროს და სხვა ამგვარი.

მუშაობის, კირისა თუ ლხინის დროს, სიკედილის დროს, დასაფლავების დროს და სხვა ამგვარი; მკედრის მოხსენება, ტაბლობა.

ყველა ესენი უნდა ვრცლად და დიდის სიმართლით აიწეროს.

სხოლოო: ამას გარდა, ვისაც სურვილი ექმნება და დრო და მოცალეობა ნებას მისცემს, კარგი იქმნება საყდრების და მონასტრების ნანგრევებზე დაშთენილი ზედ წარწერანი გაღმობიონ და გამოგზავნონ*.

ხალხური სიტყვიერების მთელი ის მასალა, რაც პ. უმიკაშვილის არქივში იყო და რომლის გამოცემა დავალებული მქონდა მისგან, მე დაეაწყეთ მ ჩვეუდა: I. ლექსები, II. ანდაზები, III. ენის გასატეხი, IV. გამოცანები, V. იგავ-არაკები, VI. ზღაპრები და ლეგენდები, VII. შელოცვები და სხვადასხვა ამომორწმუნეობა. პირველი ოთხი ჩვეუფი წინამდებარე წიგნშია შესული, ხოლო დანარჩენი სამი ჩვეუფი—მეორე ნაწილში, რომელიც ამ პირველის შემდეგ დაიბეჭდება*.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, რომ მე მიზნად არ დამისახავს თითოეული აქ მოქცეული ხალხური ნაწარმოების საბოლოო ტექსტის დადგენა, ე. ი. თითოეულის შედარება ყველა სხვა — დაბეჭდილ თუ დაუბეჭდავ — ვარიანტთან და ამ შედარების საფუძველზე საბოლოო ტექსტის ჩამოყალიბება. ეს საქმე ვერც შესრულდება რიგიანად, ვიდრე ყველა შეკრებილი ვარიანტი არ დაიბეჭდება. დღესაც კიდევ ბევრია მასალა, რომელიც დაბეჭდვას ელოდება. საქართველოს „ეთნოგრაფიულ“ და „წერა-კითხვის“ საზოგადოებებს ბლომად ჰქონდათ მოგროვილი ხალხური სიტყვიერების ნაწარმოები, უკეთეს იგი მთლად დაცული არის. ამ საქმის ხელში აღება და მისი შესრულება პირველ რიგში ფოლკლორის სპეციალისტებს შეეყურება.

ჩემი მიზანი იყო მხოლოდ და მხოლოდ პ. უმიკაშვილისგან დარჩენილი მასალის წესრიგში მოყვანა და გამოცემა. და ამასთან — არა მხოლოდ საუკეთესო ან „რჩეული“ ნიმუშების მოცემა, არამედ არარჩეულისაც, არა მარტო „უცნობი“ მასალებისა, არამედ ისეთებისაც, რომლების ვარიანტები უკვე ცნობილია, მაგრამ რომლებიც თავისი განსხვავებულობით და ჩანაწერების სიძველით მეცნიერულ ინტერესს წარმოადგენს. მაგალითად: „მოდი ენახოთ ვენახი“ ან „აეთანდილის ლექსი“. ვინ არ იცის ეს? ყველა, ვისაც კი უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში სკოლა გაუვლია. მაგრამ მკითხველი ნახავს, რომ აქ ამ ლექსების უძველესი ჩანაწერებია მოცემული და ისე „გაშალაშინებული“ არაა, როგორც დაბეჭდილში.

ასე შეზღუდული ამოცანაც ადვილი შესასრულებელი არ იყო*. დიდი ხნის ნაგროვები მასალა არ იყო ყველა ერთგვარად გარჩეული და გარკვევით ნაწერი, ჩაწერილი იყო მრავალ სხვადასხვა პირთა მიერ, ზოგი — ფანქრით, ზოგი — გადასული მელნით, ზოგი — რეველებში, ზოგი — ქაღალდის ნაყუწებზე. საჭირო იყო გაუარჩევა, დალაგება, სისტემაში მოყვანა. გარდა ამისა, ბევრი ლექსის, გამოცანის თუ იგავ-არაკისა ათი და თხუთმეტი ვარიანტი მოიპოვებოდა მასალაში. საჭირო იყო მათი შედარება, ტექსტში შესატანი ჩანაწერის არჩევა, ვარიანტების განსხვავებულობის აღნიშვნა, რამდენადაც ეს განსხვავებულობა ასე თუ ისე საყურადღებო იყო (ვარიანტების მთლად დაბეჭდვას აუარებელი ადგილი დასკირდებოდა).

ამ გამოცემაში მე არ შემიტანია ის ხალხური ნაწარმოებნი (გარდა „არსენას ლექსისა“ და „გამოცანების“ ნაწილისა), რომელიც პ. უმიკაშვილმა თავის სიკოცხლუშევე დაბეჭდა ცალკე გამოცემებად: „სახალხო ლექსების პირველი კრება“ (1874 წ. ეს წიგნაკი ვერსად აღმოვაჩინე, ვერც ბიბლიოთეკებში, ვერც ნაცნობებში); აგრევე „ქალუჯიანი“, „ბუეჯიანი“, „ალექსიანი“ (ამთი დედნები არც აღმოჩნდა მის მასალებში). მე შევიტანე მხოლოდ ის, რისი ხელნაწერი დედნები მოპოვებოდა.

ცელილობდი ჩანაწერებში ცელილება არა მომეხდინა რა, გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც ცხადი შეცდომა ან უსწორობა იყო. როდესაც ტექსტში შესატანად აღებულ ვარიანტს რაიმე (სტრიქონი ან სიტყვა) აკლდა, მაშინ ის იქ სხვა ვარიანტიდან შევიტანე და კუთხოვან ფრჩხილებში მოვაქციე. არის რამდენიმე შემთხვევა, რომ ლექსი სულ მთლად გამართული არაა, მაგრამ მე ის გამართვის მიზნით არ შემიცვლია და ისე დავტოვე, როგორც იყო.

როდესაც ამა თუ იმ ნაწარმოების რამდენიმე ვარიანტი მოიპოვებოდა, ცალკე მთავრებით თითოეული და აღენიშნე განსხვავებულობაც, თუ ეს რაოდენადმე ყურადღების ღირსი იყო.

საცა კი მოხსენებული იყო სხვა ჩამწერიელი (არა პ. უმიკაშვილი), დრო და ადგილი, მე ეს ყველგან აღენიშნე, ხოლო როდესაც ეს ცნობები არ იყო, ანდა თვითონ პ. უმიკაშვილს დრო და ადგილი არ ჰქონდა ჩაწერილი, მე ასეთი შემთხვევები აღენიშნე (სიმოკლისათვის) ერთი სიტყვით: „უთარილო“. ეს ცნობები შენიშვნებშია მოქცეული.

ადგილის დაზოგვის გულისთვის ლექსები უმრავლეს შემთხვევაში თქვენს მარცხენა მხარეს მოცემული და შენიშვნები შექმნილობდნენ და პეტრიტით დაბეჭდილი.

ლექსები, თავის მხრივ, 7 ქეეჯგუფადაა დაყოფილი: 1. საგმირო, 2. სასიტორიო, 3. რელიგიური, 4. ყოფაცხოვრებითი, 5. სატრფიალო, 6. სასიმღერო და 7. აფორიზმები. ეს დანაწილება უფრო პირობითი ხასიათისაა, ვინაიდან ძნელია ლექსებში ნამდვილი მიჯნის გავლება. ბევრი ლექსი სასიმღეროა, თუმცა სასიმღეროში არაა შეტანილი, ბევრი მუშაობის დროსაც იმღერება, თუმცა აქ სამუშაო ლექსებში არაა ჩარიცხული და სხვ. მაგრამ დაყოფა-დანაწილება მაინც საჭირო იყო კითხვის და პოვნის გასაადვილებლად. გარდა ამისა, ზოგი ლექსები აქ ნაწყვეტ-ნაწყვეტებად როდია მოცემული, არამედ — ერთმანეთთან დაკავშირებით, რათა უფრო სასიამოვნო წასაკითხი ყოფილიყო. ასეთია სახელდობრ ქალ-უჯის სამიჯნურო ლექსები.

მასალებიდან მე თითქმის არა დამიტოვებია რა, რომ ტექსტში ან შენიშვნებში არ შემეტანოს ან არ აღმენიშნოს. ვამბობ „თითქმის“-მეთქი, ვინაიდან დავტოვე ძალიან მცირე ნაწილი. ეს იყო ისეთი მასალა, რომელიც ან ვერ გავარჩიე, ან ძალიან არეული იყო და უეარგისი, ანდა უშეერს ლექსს წარმოადგენდა და მის დაბეჭდვის ლიტერატურული ზრდილობა გვიკრძალავს. ამ უკანასკნელის მხრივ მე მაინც ისე შორს არ წავსულივარ, როგორც რაფ. ერისთავი, რომელიც თავისი ანდაზების (1879 წ.) წინასიტყვაობაში სწერს: „მე გამოერიცხე ჩემის შეკრებულის გამოცანებიდან ისეთნი, რომელიც ანუ იგავით, ანუ ალლეგორიით და ან გამოხატულებით წარმოგვიდგენდნენ უმართებულ და უშეერს ლექსსა, ანუ მნიშვნელობა-



სა, წინააღმდეგთა ზნეობისათა და ამით არ იყენენ ღირსნი სტამბისაჲცა, მაგალითებრ, როგორათაჲც გამოცანებია: პაკიკებზედ, ზღმარტლზედ, წამწამებზედ და სხე-
ნი“. მე ასეთები არ გამომიჩიხავს, მაგრამ ნაწილი მაინც გამოსარიცხი აღმოჩნ-
და.


წიგნში შეტანილი სევანური ლექსები მოცემულია სევანურად¹ და ქართულად.*
მათი განხილვის და შესწორების მხრივ დიდი დახმარება გამიწია პროფ. ვარლ-
თოფურიამ, რომელმაც დედანი გასინჯა და გაასწორა, რისთვისაც მას დიდ მადლო-
ბას მოვახსენებ.

დასასრულ, უღრმეს მადლობას ეუცხადებ გამომცემლობა „ფედერაცია“-ს,
რომელმაც ამ მასალის გამოცემა შემაძლებინა და ჩემი ახალგაზრდობის ვალი
სიბერეში შემასრულებინა.

ფ. გოგიჩაიშვილი

¹ სამწუხაროდ, სევანური ტექსტის დაბეჭდვა ვეღარ მოხერხდა.





ამირანი

ბადრი, უსუფ და ამირან* ობლები დავიზარდენით.
 ვინც კარგი გვიყო, გვახსოვდა, მუშაჩი დავებმარენით,
 ვინც ავი გვიყო, გვახსოვდა, შინდაშინ შავეტანენით.
 ავდექით, ბალხეთს წავედით, ვაქრულათ შავიპარენით,
 მოჯამაგირეთ დავდეგით, ბეზირგან დავეტანენით.

გვითხრა:

„არა გავთ მოჯამაგირეს, ადექით, გამეცალენით“.1

•

სამნი ჩვენ და ცხრანი დევნი ბალხეთი* შავიყარენით,
 სათავეს მოვხვდით ბალხეთსა, ბოლოსა გავიყარენით,
 ვერც არა იმათ დავგვაკლეს, სწორ და სწორ გავიყარენით. 2

•

დევთას სასტუმროთ წავედით, ამირანს პური შიოდა.
 „მოდი, ამირან, ნუ ჩავალთ“, — ბადრი ძმა ეუბნებოდა;
 უსიბიცი ამას უბნობდა: „გუშინ ის მთაი ხუოდა“.
 არ დაიშალა, ჩავიდა, თურმე მას პური შიოდა.

ამირანისა იქ შესვლა დევთ გულში არ ჩასდიოდა,
 მაგრამ იმისი შიშითა პირს ღიმი ამოსდიოდა.
 ამირანს ლუდი მიართვეს, შიგ გველ-ბაყაყი დიოდა;
 ეგრე გაძლა უსმელათა, ყელჩიგა ამოსდიოდა.
 დევთა დედასა ქადანი კერაჩი უჯდა, შხიოდა,
 ამოიღეს და გატეხეს, კაცისთავ-ჭელი დიოდა.
 ამირანს იმის ცოდვითა თოლს ცრემლი გადმოსდიოდა,
 იმისი ძმანი ფიქრობდეს, — ამირან შიშით ტირიოდა,
 ეგ ბადრი კარზედ მოუდგა, უსუფ სარკმელში ჭყიოდა.
 იქ დევთა შვილი ატირდა:
 „არწკი მიქადე, მამაო, ამირანს მოგაკვლევინებ,
 უსიბის ქამარ-ხანჯალსა წელზედ შენ შეგაბმევინებ,
 ბადრისა გრძელთა გალოთა სადილათ გაგახრევინებ?“
 შვილი მამასა პირსა ჰკრა სულისა საგუბარათა,
 წარბის თავს კმალი დაარტყა სისხლისა სადინარათა.
 „დედა-ცოლ ბოზო ამირან,
 ეგრე რაისთვი გასჯავრდი ბაღლისა საუბარზედა?“ 3

სამი გველეშაპი შეხვდათ.

„ბადრო, ეს თეთრი შენაო; უსიბ, ეს წითელი შენაო.
 ეს შავი უფრო მხეცია, მეო“.

(გველეშაპმა ამირანი ჩაჰყლაპა. ბადრმა მას კული მოჰკვეთა და
 ამირანს ჩასძახა:)

წესია დარეჯანელთა ჯიბეს ჩადება დანისა,
 ამოღება და გაკვეთა შავისა გველეშაპისა.

(ამირანმა გასკრა გველეშაპის მუცელიდა გამოვიდა.
 მუცელში თმა და წვერი გასცივნოდა. ძმებმა უთხრეს:)

ამირანი დაიბადა, გოქსა ჰგვანდა ხუხალასა,
 თმა და წვერი გასცივნოდა, ჩეყყარა ტომარასა! 4

აღგა ამირან წავიდა*, ამირან და ძმანი მისნი,
 ცხრა მთა გადაიარეს და მეთუე აღგეთისნი,

¹ ნახეს, მელიამ წყალში იბანა და გაახლებული ბეწვით გამოვიდა. ამირანმა ცხრა მთა და თმა და წვერი ამოუვიდა.

იქ ნახეს ერთი ირემი, ოქრო იყო რქანი მისნი*.
ამირანმა ბოძალი ჰკრა, ძვალში გაძვრა, ვითა რბილში,
დაჭრილსა კვალი უჩხრიკეს და ვერ პოვეს კვალი მისი,
გზა პარულადა იარეს, სულ დაკარგეს კვალი მისი.
ერთს უპატრონო მინდორსა [გავიდა .ის, ძმანი მისნი].
იქ ერთი შენობა მოჩნდა, ციხე იყო სალი ქვისა.
ამირან ახლო მიუდგა და აგრეთვე ძმანი მისნი,
სასმენელი შემოესმათ საზარელი ტირილსა.
ციხეს გარს შემოუარეს და ვერ პოვეს კარი მისი,
[საცა მზე მიადგებოდა, იქ ყოფილა კარი მისი].
აღდა ამირან, წიხლი ჰკრა, იქ შეეღო კარი მისი,
შოგ ერთი კვდარი ესვენა, საწყალი და საბრალისი,
მარჯვნივ [უჭდა] ცოლი მისი, ფეხთით ება რაში მისი,
[გვერდით ედო ერთი ხმალი, ჩამან და ბასრი მისი.]
თავში შუბი უყუდია, გალესილი აღმასისა.

თითებ შუა წიგნი უძევს, ანდერძია სიკვდილისა.
ამირანმა წაიკითხა, ცრემლი მოსდის საზარლისა:
„მინამ ვიყავ, მტერი ვმუსრე, არ შეგქამე ჯავრი მისი,
დამრჩა ერთი ბაყბაყ-დევი, ვაძმე, ჩამყვა ჯავრი მისი,
ვინც რომ ბაყბაყ-დევისა მოკლამს, ჩემი ხმალი ალალ მისი,
ვინც რომ დედაჩემს დამარხავს, შუბი მისთვის ალალ მისი,
ვინც რომ ჩემ დიაცს იტვირთებს, ჩემი რაში ალალ მისი,
და არცა ვარ დაკარგული, დისწული ვარ უსუფისი“.

(აღდა ამირან, წავიდა, წინ ბაყბაყ შემოეყარა. ამირანმა შეუძახა:)

[„შენ კაცო, კაცო, ვინ ხარო, სახელი შენი მითხარო*“.
— „უსუფის ძმისწული მოკვდა, მის შესაკმელად მივალო“.
— „აღამიანს ვინ შეგაკმევს, შენთან საომრათ მოვლო“.]
ამირან, ბაყბაყ შეიბნენ, მინდორ გაჰქონდა გრიალი,
ამირანმა დევი დასცა, ალაგი შეხვდა ქვიანი.
დასცა და ბეჭი მოსტეხა, დააწყებია ღრიალი:
„ნუ მამკლამ, გმირო ამირან, შეგფიცო მკლავი ხმლიანი,
წყალ გაღმა ქალსა გასწავლი, სახელათ ჰქვიან კამარი,
თუ ძალი გინდა, იქ წადი, მას მოსდევს დიდი რიალი“.
აღდა ამირან, წავიდა, სად ქალი კამარი არი.
ციხისა ძირას ჩამოხდა ამირან ორი ძმისი,

ციხეს შუქი შეაყენა, ვითარ ცხოველი მზე არი.
კამარ ფანჯარა გააღო, მსგავსად ეგონა მზე არი.
კამარ ეხვევის ამირანს თავგადაშლილი თმიანი.
სიმაპრი ამირანისა, მდიდარი, ერთობ ყმიანი“,
შვიდ წელიწადს ქაჯს ებრძოდა, ჰყვანდა ჯარები ძრიელი,
ქაჯეთ მეფე შეაწუხა, შეიპყრო საყმოიანი.
ამჟამათ ქალი მოსტაცეს, კამარი პირნათლიანი.
თეფშებს მიჰქონდა პასუხი, ლანბაქს მიჰქონდა ტრიალი.
მივიღნენ, უთხრეს პასუხი: „დაგვეცა მტერი ზიანი,
ამირან ქალი მოგვეცა, დაგვეცა ორი ძმიანი“.
მეფემ ჯარი შეიყარა თავის ქაჯეთ ლაშკრიანი,
ქაჯეთ მისცა მტეიციე ფიცი: „არ წაგახდენთ, ძმანო ჩემნო“.
-დგნენ ქაჯეთ ულაშკარეს, გააქვეთ ქაჯებსა გრიალი,
ამირანს კვალზედ მოსდევენ ქაჯებ ორ ხემწიფიანი.
კამარმა უკუიხედა, გზა ჰქონდა მინდოვრანი,
ქალმა ჯარი დაინახა, გულმა დაუწყყო ზრიალი:
„ამირან, ჰგოლე, ჰგოლეო, მუხლათ გაქებენ მალეო,
მამიჩემისა ლაშკარი აწ მოგეწევა მალეო,
გასწივე, თორემ მოგვდევენ, ომი იციან მწარეო“.

ამირან ეტყვის რისხვითა:
„არა ვარ მინდვრის ხოხობი, რომ მინადირონ ქორითა,
არა ვარ ჰალის კურდღელი, წინ გზა შემეცრან მწევრითა,
[არცა ვარ წყლისა ნადირი, რომ მინადირონ ბადითა.]
თუ მოვა და აქ დავხედები ამ ჩემი ორი ძმებითა,
მწარესა ომსაც ავკიდებ, გულებს დაუხეთქ გმენითა“.
[ამირან ციხეს შავიდა, ამირან და ძმანი მცნის.]
გარსა ჯარი შემოერთყათ, დიდი იყო და ძლიერი,
გარე მონაპირე ჯარი ჰინჰელის ოდენი ძლივ არი.
ამირანს ქალი გვერდს უზის, კამარი თავრდიანი,
ყოველიფრით ტურფათ მორთულ მგზავსად ბრწყინვალე მზე
არი.

ამირანმა უთხრა უსუფს: „ნუ სწუხარ, არა ზნე არი.
ჩადი და ჯარი დაჩხრიკე, რამდენი საბრძოლი არი“.
აღდა უსუფ და ჩაეიდა, ნახა, ჯარი დიდი არი,
შუბი დასცა ნაპირის თავს, როგორც გმირთა რიგი არი,
ვერ აიღო ანგარიში, -- ეგ რა ჩვენი რიგი არი.

ავიდა და უთხრა ძმასა: „საომარი დიდი არი“.

ამირანმა უთხრა რისხვით:

„ანგარიში ვერ აიღე, ეგ რა ჩვენი რიგი არი?“

ადგა ამირან, ჩავიდა თავისი მშვილდ-ისრიანი, ქაჯთა ნაპირ შუბი დასცა, მისი საქმე მკვიდრი არი.

ჯარს ნაპირ შემოუარა, როგორც გმირთა რიგი არი;

ქაჯნი შუბს ექიდებიან, მოსაგლეჯათ ძნელი არი.

ისარი ჰკრა, იქვე მოკლა ექესი ქაჯი მშვილდიანი,

აგლიჯა შუბი, წავიდა, გზა შეუვლო კიბიანი,

გაფრანგდა, კარი შეაღო, როგორც შმაგთა რიგი არი.

უთხრა ძმათა საყვედური:

„მყევხართ ჩემად საიმედოდ ქვეყანაზედ საქებარი, სამნივ ერთად დავიხოცნეთ, არვინა თქოს საყვედური, ჯარი თავს შემოგვხვევია, როგორც სნეულს თავსა ჰკირი, საომარი განვიწილოთ და ყველამა ვყაროთ წილი“.

პირველ ერგო ომი უსუფს, მისთვის იყო ერთობ ლბილი.

ადგა უსუფ და ჩავიდა, მტერსა შეაყარა ჩრდილი,

დახოცა თავის წილობა, სულ დაადნო ვითარ რთვილი.

მეორე წილში გადვიდა, მოეხვია ჯარი ხშირი,

პირისახეში შუბი სცეს, შუბლში მოხვდა ისრის პირი,

უსუფ მთასა გადავარდა, სანახავად იქნა ძვირი.

ციხეს ბადრს, ღვინონასომსა, მოსდებოდა ტკბილი ძილი.

ამირან ეუბნებოდა:

„ადე, ბადრო, ნურას დგები, ღვინო გისომ, განა ბანგი!

ან ჩადი და ან ჩამიშვი, ან შეკაზმე ჩემი რაში;

მოგვიკლეს ჩვენი უსუფი, ჩემთვინ მწუხარე დღე არი,

არც მოდის რაშის ჰიხენი, არც ჩემი ლახტის ყრიალი“.

ადგა ბადრი და ჩავიდა, უთხრა ძმასა საყვედური:

„ოროლი ძმანი ვიხოცი თენისა ცოლის თავზედა,

ჩვენც გვიყვარს ქალი ლამაზი, გადავიგორებთ მკლავზედა“.

ადგა ბადრი და ჩავიდა, იომა წილდაუყრელი.

დაიჭრა ბადრი ამ დროსა, მკვდრებში თავი მაირჩინა.

ომისა ხმა რომ გადასწყდა, ამირანმა ჩაიციხა.

ადგა ამირან, ჩავიდა, ხელში ხმალი დაიჭირა,

საითაც კი ეცემოდა, ერთობ [მკვდარი] გაახშირა,

ყოველი ჯარი დახოცა და სიმამრი შეარჩინა,

სიმამრი, მისი მბრძოლელი, ტანითა სალი ქვიანი.
ამირანი ხმალსა სცემდა, ცეცხლსა გაჰქონდა ჟრიალი,
სცემდა სიმამრი მათრახსა, აჰქონდა მწვედი მცვრიანი*.
ციხილამ ქალმა დაუძახა:

„ამირან, გულად გმირი ხარ, კილო არ იცი ომისა,
მალლა რათა სცემ სპილოსა, დაბლა შემოჰქარ რბილოსა,
ჩარდახს შეაჰერ ბოძები, მასწამზე მიაწვინოსა“.
სიმამრს კანჭებში ხმალი სცა, მაშინვე მიაწვინოსა.
მამამ ქალსა დაუძახა:

„უყურე ქალსა კამარსა, კახასა, კახახანასა,
უნამულოსა და ურცხვსა, კურო ირჩია მამასა.
[დაიწოს შენი აკვანი, რისთვის გავზარდა დედამა!]
რათ დამთმევი აგრე მალე, აღარ გეტყოდი ნანასა?!“
ქალმა მიუთხრა მამასა:

„არცა გავზარდა დედამა, არცა მეტყოდა ნანასა,
გარეთ გადგამდით აკვანსა, შიგნით მეტყოდით ნანასა,
როცა შინა შემიყვანდი, ყელზე მადებდი დანასა,
ხელში მეჭირა მათარა, ღამე სუ წყალზე მატარა,
ქალი გავზარდილვარ პატარძლათ, დროება მოდის ხანზედა“.]
ადგა ამირან, წავიდა საძებნელათ თავის ძმათა,
ბადრი მკვდრებ შიგან იპოვა, მკვდრებში ფარული ცოცხალი,
ცხენ და ცხენ უცნობ შუბი ჰკრა, ბადრმა შემოქნა ფორთხალი.
მოიყვანა*, დაასვენა დასალუბის ციხის ძირსა.
ამირან ეძებს უსუფსა, საყვარელსა ერთობ გმირსა,
წავიდა, მთა-მთა ეძება, ტყეს ხმა მისცა ტირილისა.

(შემოეყარა მონადირე)

ჰკითხა: „თუ ნახე, მითხარი, მკვდარსა გულსა მოეღბინე!“
— „ამირან, იქით ნუ წახვალ, გუშინ რომ მთანი ხუოდა:
ან იყო დევთა ნაბრძოლი, ანდა კლდეთა ქვანი ჰკროდა,
კაცი მთით გადმოხვეწილი გეზელ-ქორულეზ ჰკიოდა,
თავს ჰქონდა ხმალი ნაკრავი, გულს სისხლი ჩამოსდიოდა,
ასი მოეკლა ხმალდახმალ, უომრობასა ჩიოდა*,
და ვაძმე სულო ცოდვილო, თუ რომ დაჰკრილი ჩტკიოდა!“
ამირან მთის ძირს მივიდა, სად უსუფ დამალულია:
„სიკვდილმა ერთობ შემწურა, შემწუხებია სულია!“

¹ ამის შემდეგ ორი სტრიქონი ხელნაწერში გაუგებარია და ჩვენ გამოეტოვეთ.

ამირან მინდორს გავიდა, ერთობ ქარმა მაიტაცა.
 შეხედა, ცით მოდის კაცი, ხმალსა ხელი შეიტაცა,
 ფეხდაბჯენილი დაუდგა, ამირანი იყო მზათა:
 „აქ მოდი და აქ დაგხედები, კაცი ხარ თუ ანუ ვაცი“.
 ამ დროს კაცი წამოვიდა ყოვლისფრით გამალებულად.
 „ამირან დავხვდი, ხმალი ვკარ გვერდსა, გავხეთქე ქებურად,
 ამირანს ომი გადამხდა და ესეც კი ჩემებურად,
 ვიცი*, ხომ ველარ მიუვა დედასა თავისებურად,
 მაგრამ ვერც მე გადევხვევი კამარ ქალსა ჩემებურად“.
 ამირან ციხეს მივიდა, იქავ მოკვდა გმირი ისი.
 კაცთაგან ნაომართაგან წასდიოდა ცხვირით სისხლი.
 მოვიდა თავის წრუწუნა, სისხლსა დაუწყო ლოკვაო,
 იგი რომ ნახა კამარმა, სისხლით შემოსა ლოყაო,
 დაჰკრა თავგესა ხელცახოცი, იმავ წუთსავე მოკვდაო.
 თავის დედა გამოვარდა, სწყევლიდა ქალსა, შფოთდაო:
 „ესე შეილი რათ მამიკალ“, — მწუხარეობით ტოკდაო!
 თავმა მოწყვიტა ბალახი, მისთვის წამალათ მოხდაო,
 წრუწუნას ცხვირზე მოუსვა, დედისგან უფრო სწოვდაო.
 კამარი საქმეს გაკვირდა: „ეს საქმე რითგან მოხდაო?“
 ქალი ამირანს ბალახს სცემს, და გმირი შემოტოკდაო.
 კამარს ამირან მოურჩა, საყვარელი თვისი ძმანი.
 ამირანს მოჰყავს კამარი, სანახავად ტურფა არი,
 ამირანმა ქორწილი ჰქნა, ქალზე დაიწერა ჯვარი.
 თავით ბოლომდინ სრული ჰყავთ, ესე საქმე ჩვენი არი*. 5



ამირან და ჩრდილოველი, ორივე ისხდნენ წყლისა პირსა,
 ამირანი ხმალსა ლესავს, ჩრდილოველი უწყობს პირსა.
 ბერი კაცი, ჩაჩნაგელი, ტურფად მოაგოგებს ვირსა,
 წინ ამირანი გადუდგა, თავი მოუკვეცა ვირსა.
 დაჯდა ბერიკაცი, ტირის: „ჩემი ვირი ქვეყნად ღირსა“.
 — „ბერი კაცი, რა გატირებს?
 შენი ვირი ლომი იყო, წაგიყვანდა წყლისა პირსა,
 შენც წყალში გადაგაგდებდა, დაგიჰამდა ცოლსა, შეილსა“. 6

ამირან ცოტა კაცია, ცოტა საგძალი უნდა:
სადილად ბულა კამბეჩი, სამხრათ ფურ ბერწი უნდა,
ვახშმათ იმათი თავ-ფეხი, ზედ შვიდი ცხვარიც უნდა. 7

■

ბაღრი დაუდეს მარხილსა*, ხშირად აუბეს ხარები.
ბაღრის ფეხი გადმოვარდა, მიწას შააბა კარები.
„ასწიე, შვილო ამირან, აგრემც დედა გენაცვლებს!“
— „სამჯერ ავწიე, ვერ დავძარ, ვაი, დედავ, ზურგის ძვლები!“
— „ბაღრისა მზემან, ამირან, შენ ბაღრს ვერ შეედარები,
ვერც სმაში და ვერც ჭამაში, ვერც ომში დეედარები“*. 8

როსტომი და ზურაბი

ედემშია აყვავდება თავნობობი, ყურეთ იღებს.
ბრძენი იტყვის: „ვესერი ბადეს, გამოვიყვან შევ როსტომსა“.
ცუდია ბადე ანაროლი, თუ კაცსა ემარცხებოხა.
ზურაბ მჯდომი კოშკსა გვანდა, გარს რო ევლო გალაგანი;
მარჯვნივ უჯდა ანგაროზი, მარცხნივ თომა ფალაგანი.
ბნელსა უკუნსა ღამესა როსტომ საჭვრეტლად არისა;
ამაშია ანგაროზი ადგა, გარეთ გამოვიდა.
ნახა როსტომ დამალული, გაუკვირდა: „ვინ მოსულა?“
ცალ კალთასა ხელი სტაცა, სამთლისაკენ წამოსწია:
„პირი მიჩვენე, გაგშინჯო, ვინა ხარ, სადაურთაგან?
ხარ ყველაზე უმაღლესი ამა ჯართაგან სხომთაგან“.
კისერში ხელი წამოჰკრა, ფიცხლავ დაცალა სულთაგან.
გამოვიდნენ, მკვდარი ჰპოვეს, გლოვნა შეექნება ზარანად:
„ვინ მოგვიკლა ანგაროზი, ვინ მოგვიღო ცეცხლის ალად?
ავდგეთ, ავიღოთ შუბები, ყველგნივ მოვიკვლიოთ გზები
ვეჭობ ჯავრი ჩვენც ვიყაროთ, მისი სისხლი შევესვათ წყალად“.
გათენდა და გაანათა ღლე საწუთრო, მთა და ბარი.
ადგა ზურაბ, შეიკაზმა, ტანთ ჩაიცვა საომარი.
ერანელთა თავ წაადგა, ჰქონდა ქედი საომარი:
„წამოდექით, ერანელნო, გინდა ერთი, გინდა ორი,

თუ არ იცით, მე ვასწავლით, როგორც უნდა გმირთა ომი!“
ინადირეს ერანელთა ჩიტისაგან უფრო ბევრი.

ცალ მხარესა შეუტია, ვით რომ ცამა დაიბრგვინვა;
ცალი მხარე სულ გასწყვიტა, სამოცდაათ სპილო ტანი.
ზურაბ გმირი თავ დაბრუნდა, ვით რომ მზესა დალახანდი.

ამბობს: „ქაქაოზ რა იქნა, მოვკლა ჩემისა ხელითა,
ავილო შუბის წვერითა, ავაგდო მადლა ცაშია,
მოწიფულობლივ აქებდნენ, ავილო შუბის წვერითა!“

ცხენები ცხენთა დააბეს, ორნივ იყვნენ ერთად რკმულნი;
მათი ჩექმების ქუსლები სამარეს კარს გააღებდნენ,
მეტისმეტის მომშრალობით სისხლსა და ოფლსა ხმარობდნენ.

ზურაბმა ჰკადრა მოკითხვა მოცინარისა პირითა:

„შენ ხარ როსტომ დასტამიძე, შვილი შვილისა ამისი?“

— „არა თუ როსტომ არა ვარ, არცა იმათი გვარისა;
ერთი თურქი ვარ მოლაშქრე, მამკვლელი მუზამბარისა,
მტერთა დამღვრელი სისხლისა, ტანთა მომკვეთი თავისა“.

— „ეგ რა მითხარ, ბერო კაცო, დამიკოდე წყლული გული,
გიჯობს, რომ შინ წასულიყავ, მართლა დაგელია სული“.

— „ყმაწვილო, სეილანი ხარ, წითელი ჭარმაგოსანი,
წინა გიდგია დროშანი, ლახტი გაქვს პატიოსანი.

ყმაწვილო, ტყვილად აობლებ, აობლებ ცუდად ენასა.
გუშინ ერთმანეთს დავპირდით ჩვენ ერთმანეთის ლქენასა*,
გვიჯობს, რომ გადავიხადოთ ჩვენ ერთმანეთის ცქერასა“.

ცალი ხელი კისერს მოზდო, ცალი ბარკალს შემოხვია,
ასწია და ძელმან დასცა, დააძახა რაბონია.

რაბონ დასცა ადგილზედა, ტვინი ადგილ გაურყია,

დაიძახეს: „ფალავანი შვილი მამას მოერია!“

თავს უმაღის მოკვეთასა, სხვა აღარა დაუღია.

„ბერი კაცი ვარ, ნუ მომკლამ, ყველა დაგიწყებს გმობასა,
საცა რომ შემოგეყრები, გეტყვი შვილსა და ძმობასა“*.

— „ამიშვიხარ, ბერო კაცო, ლაყაფს აღარ უნდა კერვა,
ღღეის შემდგომ გამიფრთხილდი, სალი გედმით (!)

ჩემგნით შენა“.

როსტომ ჯარში ამოვიდა, მომშრალი და დამქრეული,
წინ თავადნი მოეგებნენ, ისინიც მასთან რეულნი.

ინადირეს ერანელთა ჩიტისაგან უფრო ბევრი,

ბევრი სული ამოწყდება, წაირღვნება სისხლის ღვარი.
უიმედო დასდებიან ციხისა და ტახტისაგან.

ორი ლუკმა ძლივს შექამა, ისიც რა გულის ხევეთა.
იმ ღამეს ღმერთსა ეხვეწა სიტყვითა საკვირველითა:

„ნუ ამოაგდებ ქაქაოზს, ნურცა ერანს საძირკვლთა,
ნურცა შეარცხვენ ჩემ თავსა იმ ფალავნის სახელითა.
სიმძიმე, მიწა ვერ ვზიდე, მასკვლავთა განაცხადია,
ომში ვეცადე, ხმალშია, თოფშიაც გამოვცადია, —
ვერა ვუყავი მე იმას, ყველა იმასთან ჩანდია.

ბარგი აქავე დავსდე, რაცა აქამდინ მდებია,
მე იმ ფალავნის სიკვდილი მე ახლოს მისაზრებია:
თუ მამერევა მე ისა, ვარ ღირსი გადამხდელია“.

— „აქა ერთი ფალავანი სპილო ტანსა ელქინება,
წინა პირველ არას იტყვის, თავპატიოთ მიიღებსა,
თუ მეორეთ მეერევა, გააშორებს თავს ტანიდგან,
საქვეყნურად გაიტანსა“.

— „მე მამეულთა ნიშანი, ნიშანი სულ მენიშნება,
ბეწაყრა და კბილ კაროზა მამეულით მემგზავსება,
სასიკვდილოთ ვერა გმეტავ, გული რასმე მემოწმება“.
ცალი ხელი კისერ მოზდო, ცალი ბარკალს შემოხვია,
ასწია და ძელმა დასცა, დააძახა რაბონია.

რაბონ დასცა ადგილზედა, ტვინი ადგილ გაურყია,
თავს უმალი მოკვეთსა, სხვა აღარა დაუღია.
დაიძახეს: „ფალავანი შვილი მამას მოერია!“

— „შენ, ბერი კაცო, რათ მამკალ, ხმალი რათ შემე ვადამდინ
შენ მამაჩემსა როსტომსა სად ემალები სადამდინ?
ზღვას გახვალ, ზღვას გამოგყვება, ხმელეთს ვერ დამეალები,
გიჯობს, რომ ზღვაში შეხვიდე, თევზისა ჭკუა აიღო,
ან იგი ცაში ახვიდე, ვარსკლავთ არენი აიღო!“

— „შე ბოზო დიაცი შვილო, სადა გაქვს როსტომ ნიშანი?“

— „ამწიე მარჯვენა მხარსა, ელვა გამოვა მზისანი!“
დადგა უშტოვოს ხელითა, აშტოვდა ფურცელივითა:
„აწუ რო შენ სიტყვა მიამბე, ვადმე დავიკარგე იქა!
შენ ქაქაოზო მეფეო, შენთვის შეეგები მდევესაო.
წამალი გამომიგზავნე, ზურაბ მეცლება ხელსაო“.
წაპკრა ფეხი, წააქცია. სიცოცხლეს აღარ ელსა.

ზურაბ წყლის პირს დაასვენა. ადგა როსტომ, წამოვიდა, წამოვიდა ქაოზოსკენ, წამოვიდა ვით რომ ქარა, ქაოზს შვილნი დაუხოცა, გეგონება ღვინით მთვრალი. როსტომ კაცი მოეგება:

ჰკადრა: „რათ გინდა წამალი, ზურაბ ხელიდგან გვეცლება“ მან ისეთი დაისტვინა, იმისი ხმა ზეტას სწვდება. 9

ბეჟანი

ატირდა და მოახსენა: „ბედნიერო ხემწიფეო, შენ რომ იგი ჰალა მოგვეც, სანადირო ღიღი ტყეო, იგი ღორით სულ ამსილა, არ ელევა სიმრავლეო, კლდეს აქევეენ, ხევს აქევეენ, კბილები აქეთ ხლმის¹ სიგრძეო; იმათ ვერა გაუძლებს რა, ანერგილო, დანერგილო, მას სიბი ქვა ვერ გაუძლებს, წახდა ქვეყნის ჰირნახული“.

ადგა ხემწიფე, გადმოდგა თავისა მოაჯირზედა:

„გლახნო, თავადნო, მთავარნო, ვისა ძალგიძთ სამსახური?“

ერთი სინი, თავმობმული, სულ ბაჯალლო ოქროები, ზედ დასვა ოქროს ბატკანი: „ეს იმის საჩუქარია, ვინც იმ ტახებსა დახოცამს, ვინც იქ წავა საომრათა“.

ადგა ბეჟანი, წამოდგა ერანელი საყვარელი:

„შავვიძლიან სამსახური და მსახურობა მთლიანი“.

ბიძა გურგენი წამოდგა:

„რა იცის ბეჟან ტახისა, უსუსური ყმაწვილია!“

ბეჟან ძრიელ გაგულისდა: „მე არა ვარ უსუსური, თუ რომ კარგათ მოგვექცევი, ამხანაგათ გაგახდია. მამავ, თქვენი ხმალი მომე, თქვენი ლახტი დაგვადგია, თქვენი ხმალი ხელში მოგვე, ათას თურქსა შეგვაბია, თუ ჩვენ ერთი გადაგვირჩეს, ურანელში შევრცხვენია“.

— „შვილო, ჩემი შენ რათ გინდა, ყველა შენი ტანთ გაცვია, პაპის ჭაჭვი, პაპის ხმალი ომში უფრო ნაცადია“.

ბეჟან დედა ამოტირდა, წინ გურგენი გაუძმღვარა, გზა იცოდა განგებული.

ორშაბათ დილა გათენდა, რაში რაშსა შეუფარდეს,

¹ ხმლის.

მკლავი მკლავსა გადასდესა,
წავიდნენ და იქ ჩამოხტნენ, ტახებოს საომარზედა.
გურგენი ხეზე ავიდა, ბეჟანი ტყეში შევიდა.
„ტახო, არეში, მარეში, გამო და გამოთარეში!“
ბეჟან ტახმა გააქცია, ჯაჭვი კალთას შაუხია.
მოუბრუნდა, ლახტი დაჰკრა, ადგილ ტვინი დაუმთხია.
ტახს ეშვები შემოლენა ბატონისა საჩვენებლათ,
ისო მთა და ისი ბარი სულ ერთიან დაიმშვიდა.
გურგენ, ელი ხარ, მელი ხარ, ხეზე გამსვლელი გველი ხარ!
ავიარე ანანური;

ძმამ რომ ძმასა უღალატოს, ეს რა ვნახე სანანური!
„ეგ საქმე საქმე არ არი, საქმე ჩონგუროს კერა არი:
აფროსიანთა ვხლებივარ, ლხინი გვინახავ მრავალი,
იმათ ერთი მანიჟა ჰყავთ, მზე არი ამომავალი,
რაც კაცი იმას არ ნახავს, მისი საწუთრო რა არი?
პატარა ჩრდილო გაუძევს, ერთი აღაჯი გზა არი,
მაგ შენ რაშის სიარულით სადილობამდის სავალი,
საქეიფო, სასეირნო ერთისათვისა გზა არი“.

— „მამ მე თუ ის არა ვნახე, ჩემი კაცობა რა არი?“
ადგა ბეჟან, შაიკმაზა, დემგზავსა დილის მზესა,
ტანთა ჩაიცვა სამკლავე, სამკლავე და საბახური,¹
წავიდა და იქ ჩამოხტა მანიჟას სიახლოვესა.

მანიჟამ გადმოიხედა თავისა მოაჯირზედა:

„ვინ მოსულხარ შორი გზითა, რათა მწვამდი შენი მზითა?
წელზე რომ ლახტი გარტყია, რათა ჯარი არ გახლია?
ათარეშებ მაგ შენ რაშსა, ჰბრუნავ ოქროს ბურთივითა.

აგეთია შენი წელი ალვი ხისგან დანერგილი,
აგეთია შენი პირი მთვარესავით გავესებული!“

შუალამე რომ შეიქნა, ადგა ბეჟან, შაიპარა,
რწყილმა არსად გაიგოსა.

სამი დღე და სამი ღამე იმღეროდნენ წვრილი ხმითა.

და ჩონგურისა ტვირითა, დაირითა და სტვირითა.

ის მეკარემ გაიგონა, აფროსიანს მოხსენდესა.

ის რომ აფროსიმ შაიტყო, თვალზე ცრემლი ჩამოსდისა,

¹ ხელთათმანი.

ვეზირებ შემოიყარა, — გამოუგზავნა ბეჟანსა.
ბეჟან მაადგნენ კარზედა ფეციოთა და სასაჭელითა:
„ბეჟანო, კარი გაგვიღე, ღმერთმან იცის, არას გერჩით“.
ადგა ბეჟანი, წამოდგა:

„ქიშმედიანთი გვარი მაქვს, ჩეკმას მიძვე ხანჯალია,
რომელიც წინდაწინ მოვა, სიცოცხლით გამაძლარია!“

ბეჟანსა შეეტყუვნენ, რის ფერობით, როგორც იყო,
კამპანია გაუმართეს, ბეჟან ღვინით დაათვრესა,
შიგა ბანგი შააპარეს, სამი დღისა ძელი მისცეს,
მას ჩანგები დაუჭირეს, ზედ ზეწარი გადახურეს,
ცხედრულეებმა შააპარეს, აფროსიანთ მიართვესა.
ბეჟან რომ გემეღვიძა, ბეჟანი არის საკანსა,¹
ერანელი საყვარელი.

მაახსენა ხემწიფესა: „შენი ჭირიმე, ხემწიფე:

ცალი ხელი შამიხსენი, მძიმე ლახტი ხელში მამე,
ათას თურქსა შამაბისა.

თუ რომ ერთი გადაშირჩეს, ერანელში შამრცხეებისა“.

რა ქნას ლომმა, თუ ჩანგები არა სჭრისა!

— „ხელთა მყავ და ომ მიპირობს ეს ეშმაკი და ქლიბია!
ამართეთ ძელი მაღალი, ზე ბეჟან ჩამოჰკიდი!“

ფრიღონ ცხენი გააჰენა, კვიცი ახალგამართული:

„ვისა ჰკლავენ, ვის არჩენენ, ვინ არი ტყვე დაკარგული?“

-- „ბეჟანი არი საკანსა, ერანელი საყვარელი!“

ფირან წასდგა ტახტის წინა, მრავლის მადლის გადამხდელი:

„შენ ბეჟანს როგორ მოჰკლამ, გიგობელს, როსტომს და
გივიშვილსა?

თუ ბეჟან მოჰკლამ, იცოდე, ბევრჯელ დაგამწარებს ძილსა,
სულ დაგიწვენ ამ ქვეყნებსა, არ გაუშვებენ ქვის ძირსა“.

— „მაშ რა უყოთ შენს ბეჟანსა?“

— „ბეჟან ჩავადლოთ ხაროში, ისი სიკვდილთან წესია,
თავ² გელაზი² დავაფაროთ, ათთავ დევით მოტანილი,
გვერთ მანიჟა მოუყენეთ, ეშმაკობით გატენილი,
უთხოვოს და ის აჭამოს, ერთი პური ნახევარი“. 10

¹ გასაქირში.

² ლოდი.

ტ ა რ ი ე ლ ი

(ნაწყვეტები)

ერთი რამე მოყმე ვნახე ნამტირალი ზღვისა პირსა,
ვეუბენ და არ მეუბნა, ხელი შაიფარა პირსა.
დაჰკარგოდა საყვარელი, დამჯდარა და მათა ტირსა.
დევრთვილა დიდი ველი იმის ცრემლის დანატირსა,
ისე შაჰკროდა კბილები, დანაც არ უხსნიდა კბილსა:
„რა მიყო ჩემმა მიჯნურმა, შემყარა გულის სევდასა;
მე გულსა ლხინი მეწადა, იმან შემყარა სევდასა,
გუშინ ის მეჯლისში ვნახე, ია და ვარდი ეშალა,
იმისმა ღიმშვენიერემ ჩვენ ხო ჰქუაზე შეგეშალა!“ 11

•

ერთი ვინმე მოყმე ვნახე, წყლის პირს იყო მომტირალი,
ხელთ ეჭირა ერთი რაში, ჰგვანდა მეტად ლომსა გმირსა,
ხშირათ ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჟანდ-უნნაგირსა*.
გამარჯვება დავუძახე, — ხელი აიფარა პირსა.
დაჰკარგოდა საყვარელი, ველარ უხსნის დანა პირსა.
მე რომ ის კაცი მინახამს, ნეტა რამ გააძლიარა?
თითით ირემი აიღო, ბურთივით დაატრიალა,
არაბეთ ქვეით ქვეყნები სულ ოხრათ დაატრიალა! 12

•

ტარიელისა ყმობასა ენა იტყვის ადვილია,
წინ მეცხვარეს გადაუდგა: „შენ ვინა ხარ, სად გივლია?“
მეცხვარეს თავი წაგლიჯა, სუ ჰქუიდან გადირია.
ახა ეს ოხერ-ტიალი ასრე რამ გააძრეილა?
ნეკზე აიკვა ირემი, ბურთივით დაატრიალა. 13

•

ტარიელმა მამიდასა: „ეგ სტუმარნი ვინ არიან?
ცხენთა შუქედენ ნალურსმარსა, კაცნი მესხვაფერებიან,
ქალსა სთხოვენ ბიძას ჩემსა, ქორწილობას ლამევდიან.“

როგორა ქნას ტარიელმა, ჩემთვის რასლა ლამევდიან?“
ეგ ქალი ქმარსა არ მისცა, თავსა არ უყო ზიანი.

ჩავიარე ნეფის კარი, ფეხი ჩავამუდარაყე,
სასიძოსა, მეფის შვილსა, თავი ქვათა უდალაყე,
ერთმა კაცმა ის ვერ მითხრა: „რა ხქენ, რაზე უდალაყე?“¹

ეგ შენა გკითხე, ტარიელ, ეგ შენავ გაგაბჭობიე.
სისხლი ქიქაველთ მეფისა თავზე რათ დამადებიე?
კელთი გაშობილი ლახტი ისრე რათ დამადებიე?

ბერი მამყვანდა, ბებერი, მამინაროდა ქალათა,
დავჯედი, კბილი უშინჯე, ერთი არ ედგა წამლათა,
დავჯე, ვიტირე მაგდენი, ცრემლი ჩამომდის ღვარათა.

ჩაყარნეს მეკიდობნენი, ასხი მესხი და თათარნი,
შიგ ქალი ჩასვეს მზევინარ, ძალითა, არა ნებიითა,
შიგ სამნი გველნი ჩაუსხნის, შავი, თეთრი და წითელი.
შავემა გველმ უთხრა: „შაეჭამოთ“, წითელ უშქინა! ავითა;
თეთრმა გველმ უთხრა: „ნუ შაეჭამოთ, მზე სანმელეთოს გავიდეს“.

ტარიელ, მზის მამებარი, წყლის ნაპირთ იარებოდა.
მთვარე რა ჩახდეს, დაწვება, ამოხდეს, იარებოდა,
მასკვლავნი უდგან ლოგინათ, მთვარე გულს იამებოდა.

„ბატონ ჩვენო, ხემწიფეო, საყვარელსა რასმე პირსა,
მინდორ კაცი დაბადულა, არა იყო ამ მიწისისა;
კელთა ჰყვანდა შავი რაში, დეებლუჯაქ ეგრო გმირსა,

¹ უქშინა.

წვრილად ესხა მარგალიტი ცხენის ლაგამ-უნაგირსა*.

— „ადექით, აიშაღენით, ადემ ჩემო და ომარი, ის კაცი აქ მოიყვანეთ, ვინ არის ველზე მდგომარი!“

— „ბრძანება იყოს, ბატონო, ბაგეთა შენთა ბროლთაგან, ადვილი სამსახურ იყოს ერთს მოყვანა სამთაგან!“

— „ტანტურფო, თვალთი ლამაზი ვინა ხარ ველზე მდგომარი? აქ მოდი, ბატონ გიბრძანებს, ჯარი სარდალი თვით არი“.

— „მინდორჩი თეთრი კოშკი დგა, გარეშემოზე თასები, ახლოს მოდექით, მიჯრულნო, შორით არ დავიფასები“.

კოჭლი მანამ იჩავილოდა, თავჩი მიიციემდა ქვითა, ცხენი ცხენს ხკრა, კაცი კაცსა, გორე ეგა ცხენ კაცისა, ადემ გვიცა მათრახითა, ომანს მოგვიმწეადა! მხარი, ერთი მინდორ გაგვილალა, მინდორს ბრუნავს ჯარასვითა, ერთი ცაში შაისრია, ჯერეც არ მოსულა ცითა.

ა მაგ ხალხის ცოდო-ბრალ[მ]ა ჯარი მძიმე შაუყარა.

ა მაგ ჯარის სიალყემა ორბი მალლა შააფრინა, ისარი ხკრა ტარიელმა, მხრებზე სისხლი შაადინა, ჩამოხტა და მხრები აშკრა: „ბოდვლის² გასაკრავათ მინდა!“ ცხენის ავეანდს ფეხი შადგა, ამო შაჯდა, არ შაშინდა.



რას ამბობ, ბოზო დიაცო, არჯალო აუგიანო, უწყლო-უღარო წისქვილი მთაში ვის აუგიანო, მაყვარეების გულისად ქმარნი ვის გაღუგდიანო? „ღმერთი გაუწყრეს თინათინს, ხატი ყოველი რჯულისა, შენ მეტი ქმარი უნდოდეს, ათას რო ჰყვანდეს გულისა! მაძებნო, მაინც კარგია მოყმისა დაკარგულისა“.



ციხით იძახა თინათინ: ავთანდილ გაიბარაო, სამოცი ჯუფთის ისარი ქარქაშში ჩაითვალაო, შავი აქ დაკლა ფურ-ბერწი, თეთრი თან წაიტანაო.

* მოკლიჯა.

² ბოდლის

•

ავთანდილ ჩაგა დილაზე, ჩაამტვრევს ქვასა, რკინასა;
რა მარკე გაუჯავრებო მა ნეფის ქალსა თინასა!

■

ავთანდილ გადინადირა* ქედი მაღალი მთიანი,
ვერც კარი მოკლა, ვერც ფური, ვერც ბოხოლაი რქიანი.
მშველსა ჰკრა გამოფრენილსა ისარი ორბის თმიანი,
დახკიდა ცხენის ტახტარსა ტყავგაუხდელი, რქიანი.
ჩაილა ბურვილ ძირჩია, ცეცხლი დაანთა პრიალი,
მონა დაუხვდა სადგომა, წყლიანი, ჭაობიანი,
მაჰხადა, ქვედით დაიდგა თიქალთო უნაგრიანი,
ეკლის ამოსჭრნა შამფურნი, ცეცხლ დაუბრუნა ცვრიანი,
სანამ მწვად შაიწვებოდეს, ცხენსა მისცა სამოვარი.
ლურჯამ კაცი დაინახა, შორი გზიდამ მამავალი:
„ცხენო, ახლოს და ახლოსა, აბჯარნო მამეძალენით,
მიშლით და მოშლით არ შავრჩათ ა იმ ბურვილთა ძირჩია“.

•

„შე დევო, მამის ძმობილო, კაცმა ვინ ჩამოგიარა?“
— „ერთმა მოყმემა, პირქუშმა, ცრემ-ხეთქით ჩამომიარა,
ხელი გამიკრა ჯამბარას¹, წყალგალმით გამიტრიალა*,
წალმბრუნველიანი წისქვილი უკულმე მათრიალა,
მე თავის ბოსელ დავასქდი, კუნელმა ამაიარა.
ღმინი ქნა, კბილი გამოჩნდა, შუქმა მთა გადაიარა.
შენ იმას ვერ მიეწევი, იმან შორი გზა იარა,
გაწირა ჩვენი სამძღვარი. სათათრე გადაიარა“.

•

ა იმ დიდსა მინდორჩია სისხლის ბრუნვედიან ტბანი,
შენ დახოცენ, ავთანდილო, ჩემნი მამა, ბიძა, ძმანი.
ეგ ქარავან ღამანებე, მემრე მე-შენ ვიყვნეთ ძმანი.
ეგ ქარავანი სხვისია, საჭმელად არ მოგერგება,

¹ კამეჩს—გუთნეულს.

გაუშვი, ტარიელის მზემ, თორე ამანი გეცემა
შენის თავ-ტვინის ნათოზი¹ სხვას პერად² გადაეცემა.

ფარტმანის მონადირეთა დილ-დილა თვალი ხკიდესა,
სამოცი ჯუფთის ისარი დახკრეს კიღობნის დირესა,
შავიდეს, გამაიტანეს, დასწონეს, არ დადრიდესა.

ქუმსივ³, ნუ მიხვალ, სიტყვებსა გათქმევინებენ მცდარებსა,
მიხოლ, მოგეგებებიან დარბაისლები მთვრალები,
შამოგაძლევენ კათხებსა, სიტყვებს გათქმენენ მცდარებსა.
„მცდარ სიტყვას მაშინც არ ვიტყვი, თავი რო დამკრან

სოლები!

— „საითა მოგაქვს, ქუმსივო, მარგალიტი და თვალევი?“

— „ეგეცა გვყავ და მზეცა გვყავ, ბატონის შასადარები,
მაგის მეტს მაშინც არ მათქმევ, თავი რო დამკრა სოლები“.

ან გამაპარე, ხუცესო, ან დავეგები დანასა,
ქალსა თავისა სახსარი ტანზე მარტყავი სარტყლადა.

ა იმა მთაზე გაღმითა ვეფხვ-ლომნი გაკიდებულან,
ვეფხვი სცემს, ლომი უფარებს, ჩადიან დამწარებული,
იმათ შუაჩი ტარიელ, საგონლის გაღრინებული.
ვეფხვი გულს გამაიხვია, მზის თვალთ აკვლევდა დობასა.
გულზე დაუწყო კაწვრაი, სისხლი აღინა ღვარათა;
აქნივა და ქვასა დახკრა, ამათრივა ლალასა,
ლომსავ დაუწყო გმობაი: „რაზე ხკლამდი საყვარელსა?“

შავი ხარ და შავსა ზიხარ, შავად რასმე შაბურვილხარ,
აქ ნუ მოხვალ, მა დაბრუნდი, თოვ სამარისკ დაბრუნვილხარ.

¹ ნამტკრევი.

² ქაფად.

³ სახელი.

სახლი მიდგას საგონებებს, კარი ჯავროსა შიბია,
შავსა ცხენს ვზივარ რემასა¹, შავი თოქალთო მიდგია,
შავი ზე მხურავ ნაბადი, შავი ღინკილო მიყრია,
წინ ტაბლა მიდგა სევდისა, ზედ ნარეკალი² მიყრია,
მოველი ღვთის ბძანებასა, ჯერ ჭამა არ გამიგია-
პურსა ჭამს ტარიელაი, პატივ მაქ გაგძელებული,
ფეხზე დგას ავთანდილაი, გულნება, აჩქარებული.

•

ტარიელს წვერებს რად უჭვრეტთ, განა დროთაგან ბერია?
ბეჭებში გარდაუხენი, ნაჭრევებისგან ჭრელია,
ქაჯავეთს საქურბაქოსა სიმალხევეითა³ სწერია.

•

ქაჯავეთ უიჯე ციხეთში, თვალნი არ ამამწვდებიან,
ვერ მოხვალ, ავთანდილაო, თუ მხარნი არ შეგებნან.

•

ჩემა დედამა, მამამა საბელნი გამიკიდიან,
მე ეს მეგონა ქვე თუ მკვლენ, თვალთმაქცობას თუ მჩვევდიან.

•

შინ შეუშველე, ტარიელ, [დამჭირდა შენი გმირობა],
ათანდილ დაუსუსტებო, ქაჯებს [აქვთ] ზედ-მოვლილობა.

•

ქაჯებ სთქვეს ტარიელისა: ეგ საქმე სადევურიო,
კარ-კლიტე, ქოლბალანქები მინდორთ ყრია დასრეულო.

•

მზე იყო, მზეი მზეობდა, თინათინ თინათინობდა. 14

¹ ველური ცხენი.

² ცხენის ხორცო.

³ ხიფათით.

შირ-სიტყვითა მესტვირემ ღმერთი მაღალი ახსენა:
ღმერთმა მოგცეს განათლება, ოძელაშვილო არსენა*!
ქეიფი იმას უყვარდა, გზებზე სუფრის გადაფენა.
შვილს წელიწადს ტყეთ იარა, მთა და ბარი შეაჯერა.

რო შეიქნა თექვსმეტის წლის, უღვაშები დაიმშვენა,
შეჯდა თავის ლურჯა ცხენზე, გააჰენ-გამოაჰენა.
ზაალი ბარათაშვილი* ძალიან გაგვინაწყენა.

ბატონს რომ ერთი გოგო ჰყავს, არსენას მოეწონება:
„გოგო მე მამე*, ბატონო, შენ კი არა წაგიხდება!“
რა რომ შინადგან გავიდა, ბარათაშვილს გადემტერა.

„ეს არსენა რა გაგვიზდა, რა არის მაგისთანაო?“

ბიჭო არსენაც, რა მიყავ, ყმა იყავ მაგისთანაო!“

— „მოგიტან თორმეტ თუმანსა, მოგითელი ჩქარა-ჩქარაო“.

ეს რომ ზაალმა გაიგო, წარბი არ შეინახარო:

„თორმეტი აღარ მიგდია ბიჭები შენისთანაო?“

— „აბა თუ თორმეტიცა გყავს, ადევ და მამყევ თანაო!“

ი რომ ზაალმა გაიგო, ქოში უკუღმა ჰყარაო;

კარიდგან ველარ შეასწრო, ფანჯრიდგან გადიპარაო.

მოსტაცა ბატონს მოახლე, ახალციხეს გადუყენა,

ჩითის კაბები გახადა, სხვა ფარჩები შეუყერა;

იმის ქვემოთ შეიღიში კოჭებამდინ დაუმშვენა.

მობრუნდა ჩვენი არსენა, ცოლშვილით გაანამტვერა.

ეს რომ გაიგო ზაალმა, ორთავ თვალთ შექნა ცრემლა.

დაჯდა ჩვენი ის ზაალი და სტოლზე წიგნი დასწერა,

ქალაქში გამოაცხადა, ლუბერნატორს მოახსენა:

„გამივარდა ერთი ბიჭი, დამაქცია, დამანელა!

ერთი კარგი გოგო მყავდა, წამართო და გადმიყენა;

წამახდინა არსენამა. — თუ რაჲმე მიშველით თქვენა!

თუ თქვენ იმას ვერ დაიქერთ, ძნელია ჩემი დარჩენა!“

ათი-თორმეტი ყაზახი გასწევს თრიალეთისკენა.

კოდაზე რომ შემოვიდნენ, წინ იქ დაუხვდათ არსენა:

„ღრასტი ზნაჲომ, გაგიმარჯოს, კულა იღოშ, საითენა?“
— „ჩვენ შენი ჯავრი არა გვაქ, მივდივართ მარაბდისკენა,
ერთი ბიჭი გამოგვექცა, სახელად ჰქვიან არსენა,
თუ ვისმე კი გაგეგონოს, — გვინდა იმისი დაჭერა“.
ეს რომ არსენამ გაიგო, ჩაიცინა ნელა-ნელა,
ნაბადი გვერდზედ იქცია, თოფი ფეხზე შეაყენა;
ჯერ რომ თოფი დაახალა, მერე ხმალი შეაშველა,
ათი-თორმეტი ყაზახი სულ ცხვარივით გდმოდენა,
თელეთის ბოლომდინ მოჰყვა, სომხითში არ გააჩერა,
იმ საწყალსა ყაზახებსა ზურგზე ბოლი ააყენა,
„ნას კაკოიცი“ მიაძახა, — „თავათ განლაეარ არსენა!“
სულ უკან იხედებოდნენ, — „აღარ მოგვედვდეს არსენა“.
ქალაქში რომ ჩამოვიდნენ, თავის უფროსს მოახსენა:
„უზარბაზნოთ არ იქნება თქვენი არსენას დაჭერა.
ან არის მღვეი, ლომ-გმირი, ან არის რკინის მკენეტელა.
თუ ჩვენგან არ დაიჭერებ, ნეტავი მარტო გაჩვენა!
რომელსაც ხელი მოგვეცადა, ფეხზედ აღარ დაგვაყენა,
ექვსსა თოფები წაგვართო, სულ მიწებით დაგვიტენა“.
ეს რომ ზაალმა გაიგო, ორთავ თვალით შექნა ცრემლა:
„ნეტავი კაცი მაჩვენა იმ არსენას დამჭერელა,
ოქრო და ვერცხლი ვაჩუქო, რა ფულები ამოტელა!“

აღმასის წყალზე* ურიებს აწყვევინა ბედის წერა.
გამოართვა ხანამს ადლი, ოთხს კისერში ჩაადებსა:
„თუ კარგ ადათს არ დაიჭერთ, გაგწყდომიათ ხენა და თესვა,
ძალათ გაჰმევე ღორის ხორცსა, კეთაზე დაგასხამ წვენსა,
თუ იმას არ დამჭერდები, ქართულათ დაგპარსავ წვერსა.
ჩამოხვიდოდით ქალაქში, ყიდულობდით ფარჩას ჭრელსა,
ჩამოხვიდოდით სოფლებში, ლამაზათა ჰკაზმავთ ცხენსა;
ქვრისა და საწყალს გვიტყუებთ, ნამეტნავათ პატარძლებსა“.
მათი ადლი რომა ნახა, არსენას არ დაუჯდესა,
გატენა და გადაადლო: „ფუ, გამქედი გაუწყდესა!“
შინდის ჯოხი გამოუჭრა, რომელიც რომ გრძელი თქვესა,
შვიდი მტკავლით გაუზომა, მისხალი არ დააკლდესა:
„თუ ამითი არ გაჰყიდით, ვაი დედის თქვენის ღმერთსა!
საცა რომ შემოგვეყრები, სუყველას გამოგჭრი ყელსა!“

იმ საწყალმა ურიებმა სულ კანკალი დაიწყესა:

„ჩვენ რომ ამითი გავყიდოთ, რაღა დახლი დაგვიჯდესა? ისევე ჩვენი ფართალი იმ ჩვენ დუქნებში დალპესა.

არსენა რომ დაიბადა, ჩვენი საქმეები წახდესა!“

— „საახალუხე მამყიდეთ, იმ თქვენი დედ-მამის მზესა!“

არა ღირდა ორ მანეთათ, ერთ თუმნათ დაუფასესა.

შაშინ ჩვენი არსენაი თითო მუშტებს წაადებსა.

დახედე, საახალუხეს სულ ტყვილათაც წაართმევსა.

კიდევ იმას ეუბნება: „თქვენ ჯიბეში ფული ძევსა;

ურიავ, ფულები მამე, ვიცი საგძლათ მამინდესა“ .

ი საწყალი ურიები დაეკითხნენ ერთმანეთსა:

„ვჯუო, ე ფულიც ვაჩუქოთ, ეგებ ცოცხალს გაგვიშვებსა“

ამოიღეს და გადუღეს თუთხმეტი თუმნის ოდენა.

ხუთი თუმანი აიღო, ათი უკან გაადევნა.

„ოღონდ დაგვეხსენ არსენა, გამოვაცხოვოთ სეფისკეერსა,

ქართულათ დავინათლებით, კარგა დავიპარსავთ წვეერსა,

ძალათი ვქამთ ღორის ხორცსა, ზე თავზე დავცხხამთ წვენსა!“

გზას სომეხი მოდიოდა, არხეინათ, ნელი-ნელა;

არსენა რომ დაინახა, თავქვე ცხენი დააჭენა.

წინიდგან წამოუარა: „საით მიბრძანდებით თქვენა?

ეგ ქულაჯა განხადეთ, ეს თექა ჩაიცვით თქვენა“.

ის ქულაჯა წამოიხსა და ბეჭები დაიმშვენა.

ცხენი გრილოში დააბა, თავათ იქაც მოისვენა.

ზძანება შემოეთვალათ [თბილისიდან უფროსებსა!]:

„ერთი კაცი აგრე ჩადის, ათასი რას შეიძლებსა?!

ასი ოქრო გაუჩინეთ, ვინც არსენას დაიჭერსა“.

კარახტინები შეუკრეს, ლეკში არსად გადვიდესა:

„თუ რომ ეს ლეკში გადვიდეს, ყაჩაღობას დაიჭერსა.

ყაჩაღობას ვინ დაეძებს, თბილის-ქალაქს წაგვიხდენსა!“

გაუწყრა მაღალი ღმერთი ფარსადან ბოდბის-ხეველსა:

ნათლიმამათ მოიკიდა, მაგრამ ის უღალატებსა.

როცა შირაქში დაცხება, თრიალეთს აასხამს ცხვრებსა.

¹ ეს სიტყვები პირველ გამოცემაში ცენზურას წაუშლია; მათ ადგილას წერტილებია დასმული.

თაფარავანის ტბაზედა წინ არსენას დაუხვდესა:

„არსენავ, ვეთაყვანები, რატომ არ მოდიხარ ჩვენსა?“

— „მიღალატებ, ნათლიმამავ, მიტომ არ მოვდივარ თქვენსა“.

— „არსენს როგორ გიღალატებ, სამი შვილის მომნათველესა, ჩემის მირონის მოძღვრება?!“

ძირს დედამიწას აძლევდა და მალლა ზეცაში ღმერთსა.

მაშინა თქვა არსენამა: „მირონს როგორ დამიქცევსა!“

მოიტყუილეს არსენა, ტკბილის ღვინით დაათვრესა;

კაი ლამაზი ღვინითა ის არსენა დაგვითვრესა;

შემწვარი და მოხარშული წინ ტაბაკით მიართვესა.

დამთვრალსა და გალოშვილსა ტკბილი ძილი მოუნდესა.

იარაღი აიყარა, ნათლიდელას აბარებსა:

„ხვალ თუ მშვიდობით გათენდა, აღრიანათ დამჭირდესა“.

იალუჩი და ბალიში ჰაჩქაროზე მიართვესა,

წედ ტყავები წააფარეს, — არსენს არ შეგვიცივდესა.

ამ მამაძალს ფარსადანსა გუნებაში რა უძევსა?

შუალამე რომ შეიქნა, თავის ამქარში გასწევსა.

ათი-თორმეტი მეცხვარე თავმძინარეს დააწევსა“.

არსენამ წამოიწია, შეევედრა შეუფესა:

„ე მამაძალის ტიელი რა ბუზები მასხედს ესა?“

ათსა ეგრე წამოუდგა, სულ მუშტით დაამტკრევს ყბებსა,

მეთერთმეტე, მეთორმეტე არსენს გაუკრავდნენ ხელსა,

ისე მაგრა გაუჭირეს, ფჩხილებში სისხლი გასწევთსა.

„ნათლიმამავ, ნუ მღალატობ, ნუ ჩამაგდებ მტრების ხელსა:

ათასწილათ სიკვდილი სჯობს იმათ ხელში განსაცდელსა!

მე მღალატობ, ნათლიმამავ, იქ რას ეტყვი მაღალ ღმერთსა?

ჩემს მაგიერ სამართალსა ღვთისმშობელი გავიჩენსა!

ნუ მღალატობ, ფარსადანო, ნუ ჩამაგდებ მტრების ხელსა,

ორას თუმანს აქ გაჩუქებ, სამას თუმანს გომარეთსა“.

ფარსადანს ასე ეგონა, ჩინს მომცემენ, ტემლაკებსა.

ეს არსენა ცხენზე შესვეს, ძირს ფეხები გაუკრესა:

ბიჭი მარდია არსენა, გზაზედ არსად გადმოხტესა.

წამოიყვანეს ქალაქში, თვალიდგანა ღვრიდა ცრემლსა.

მთელი ქალაქის ბიჭები მტრედის გუნდით დასდევსა:

იმერლები იძახიან: „კი, კი, კი, კი, სადა თქვენსა!“

სომხები გაიძახიან: „ლავე ბიჭი არი ესა!“
ოსები კი იძახოდნენ: „ხორზუ, ხორზუ არის ესა!“
რუსები: „ოჩენ ხაროში, ეი ბოლუ მალადეცა!“
ბებრები გაიძახიან: „ახ ნეტავი დედა შენსა!“
პატარაძლები იძახიან: „ნეტავი შენს მეუღლესა!
ნეტავი იმის სოფელსა, ვისაც გადაუხვევ ხელსა!“
მაგარი ბორკილი მიაქვს, თვარა წვრილებს დაამტვრევსა.
ჯილის ტოლა თვალები აქვს, მტერი რალას დააკლებსა.
მოუბრუნდება არსენა, კამბეჩივით შეუბღვერსა:
„რას მიპირობ, ნათლიმამავ, თუ წაუველ ამათ ხელსა?
თრიალეთში ცხვარ გაგირწყობ, მინდორში დაგიწვამ ძნებსა,
მირონსაც აღარ დავეძებ, ლორივით გამოგჭრი ყელსა“.

იმ უფროსის კარებზედა არსენა მიიყვანესა.
უფროსი გამობძანდება, ბალკონიდან გადმოსცქერსა.
ფარსადანს გაუჯავრდება, თავსა და პირს დაამტვრევსა:
„შე წუწკო და მამაძაღლო, რათ იჭერდი ე მაგ ტყვესა?
ერთი გავარდნილი კაცი ტყეში ეფარება ხესა!“
არაფერი არ აჩუქეს ფარსადანს იმის დამპყრსა.
ფარსადანს ასე ეგონა, — „ჯამაგირსაც გამიჩენსა“.
იმტელი მამა უცხონდა, რამტელიც იმას მისცესა,
ერთი ოთხიოდ პანლური ამოჰკრეს და გააგდესა.
უფროსმა ნახა არსენა, ძალიან შეიბრალო:
რა კარგი ვაჟკაცი იყო, ზეზეურ ჩამომხმარაო.
„რაც შენი ამბავი მომდის, რათა ჰქენ, ჩემო არსენა?“
— „მე არც ერთი არ მიქნია, სულ ტყუილი მოგეხსენა:
მართალია, გავარდნილი დავდიოდი მშიერ ველა,
მაგრამ მდიდარს თუ ვართმევდი, მიყვარდა ღარიბის ჭმევა,
დანაშაული ესა მაქვს, ნება თქვენი ასრულდესა“.
არსენს ხელები შეუსხნეს, ფეხში ბორკილი მისცესა,
იმ ნარიყალა ციხეში ის არსენა შეაგდესა,
შვიდი კვირა და შვიდი ღლე იმ ციხეში ამყოფესა,
საციმბიროთ გაამწესეს, ცალი წვერი მოჰპარსესა.

მაშინა თქვა არსენამა: „ვაი დედი ჩემის ღმერთსა!
მე რომ ამ ციხეში მოვკვდე, ბიჭობას ვინ დამიგდებსა?“

იმ აფიცრებს შეეხვეწა: „იმ თქვენი დედ-მამის მზესა, აბანოში ნაჩვევი ვარ, ტანზე ჰუჭყი მაწუხებსა, წამიყვანეთ აბანოში, მისი დარდი არ გამყვესა“.

წაიყვანეს აბანოში, ყარაულები მისდევსა.

ერთი საწყალი მანათი არსენს ჯიბეში უდევსა, ამოიღებს, გადაუგდებს მიკიტანს და სირაჯებსა:

„ამის ოტკა ჩამოასხით, მისვით მშვიერ სალდათებსა“.

დახედე, ის მიკიტნები მეგობრათაც გაუჩნდესა;

სირაჯმა და მიკიტანმა თვალი უყვეს ერთმანეთსა:

სალდათებს ოტკა ჰგონიათ, ჩუმათ რომი ჩაუსხესა.

ისე დათვრენ სალდათები, ვერა სცნობენ ერთმანეთსა.

აბანოს კარზე მივიდა, შევიდა და შეაღებსა,

უკან მიკიტანი მისდევს, ჯიბეში ქლიბს ჩაუდებსა.

მაშინა თქვა არსენამა: „ჰა დიდება მოწყალესა!

ჩემი საქმე არის ესა!“

აუზებთან რომ მივიდა, აიწევს და გადახტესა.

მიდგა ეს ჩვენი არსენა, ბორკილს ხეხვას დაუწყებსა,

ყარაულებსა ჰგონიათ: „აგურით იხეხს ფეხებსა“.

აქეთ-იქით შემოხეხა, გადასწევს და დაამტვრევსა,

ფეშტამლები დაახვია, რაჟღერ-რუჟღერს არ დაიწყებსა.

გატეხა და გადმოაგდო: „ფუ, გამჭედი გაგიქრესა!“

ამ ხანათ მოდის უფროსი, აბანოში შევიდესა,

აიყარა ის შინელი, მალლა ბალკონზედ დადებსა.

გამოვა ჩვენი არსენა, შინელს გაუგდებდა მხრებსა:

„ვნახო როგორ მარგებს ესა?“

რუსულ ჩექმებს ჩაიცვამს და რუსულ შლაპას დაიდებსა.

კარებში რომ გამოვიდა, წინ დოინჯსაც გაიგდებსა;

შემოხედა ყარაულებს: „ხაბარდა და სტარანეცა!“

სუყველა ყარაულებმა, სუყველამ გზა დაუგდესა.

იმათ ბატონი ეგონათ, ეს არსენა გამოძვრესა.

პატარა გამოიარა, თან სიცილი აუტყდესა.

მეიდანზე გამოვიდა, მოაძახა მედროშკესა:

„ფიცხლავე დროშკა მომგვარე, თორემ ცხენებს დავჭრი

ყელსა“.

რომელიც კარგი დროშკაა, არსენასა მოართვესა;

დაუჯდა ბიჭი არსენა, გაუდგა დამოყნის გზებსა.

კუკოს მთაზე გადადგა, ბიჭი მოუძღვის სიღებრსა.
არსენამ რომ დაინახა, თქვა: „დიდება მოწყალესა,
ჩემი საქმე არის ესა!“. თავდაბლა მოახსენებდა:

„თუ უკაცრავათ არ ვიყო, დედი, ჩამობძანდი ცხენსა!
მე ტყვე ვარ გამოპარული, არც მე მატყენს ეს ფეხებსა“.

დახედე, იმისი სიძე ხანჯალზე დაიდებს ხელსა:

„გასწით იქით, გამეცალე, როგორ მოგცემ ამ ჩემ ცხენსა?
ხემწიფის გზაზე მიხვდები, — ეს კაცი არ გაგიფლესა!“

მაშინ ჩვენი არსენაი კამბეჩივით შეუბღვერსა:

„მოგიბრუნდები, შემოგკრამ, სუ მუშტით დაგამტვრევ ყბებსა“.

რალა ბევრი მოგახსენო, ხელითა სცეს ერთმანეთსა.

არსენა ღონიერი, იმ ბიჭს ქვეშ წამოიგდებდა;

ორი მუშტი რომ შემოჰკრა, ყალფუზივით დააბნევსა.

დედაკაცი ეხვეწება: „ნუ მამიკლავ ჩემ სიძესა,

მაგ ჩემ გამამცხვარ ნაზუქებს ღმერთი ტყბილათ შეგარგებსა“

ცხენიც იმას დაულოცა, ზე ხურჯინსაც გაატნებსა.

[„დედავ, დედა-შვილობასა, შენ ნუ დამიწყევლი გზებსა“.

ის დედაკაცი ლოცავდა: „ღმერთმა მშვიდობა მოგცესა,]

სადაც წაბძანდ-წამობძანდე, არსენა, გაგიმარჯვდესა,

მადლარს ართმევ, მშიერს აძლევ, ღმერთი როგორ წაგახდენსა“

პატარაზე გაიარა, ხურჯინს ჩხრეკას დაუწყება:

ცალ ხურჯინში ტიკტორაა, ცხრა ნაზუქი თავსა ძევსა;

ცალგნით ორი ქათამია, ინდოური თავს აძევსა.

დაჯდა ეს ჩვენი არსენა, ლამაზად ქეიფსა სწევსა.

ერთი სომხითელი ბიჭი ქალაქისკენ გამოსწევსა,

ორი მანეთი აჩუქა, ორ სიტყვას დააბარებსა:

„ასე უთხარი ქალაქში მიკიტნებს და სირაჯებსა, —

არსენა რომ დაიჭირეს, ქვეით მიდიოდა დღესა.

მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, ღმერთი როგორ

წაახდენსა?

სადაც თათარს დაინახავს, „ბურ და ვალს“ აძახებს;

სადაც ტიტველასა ნახავს, თავის პერანგს ჩააცმევსა“.

ორ კვირაზე იმ ბებერსა ისევ გაუგზავნის ცხენსა.

ერთი თუმანი აჩუქა, — რაც რომ წალი გაუცვდესა.

ბებერიც ამას უთვლიდა: „ღმერთმა მშვიდობა მოგცესა!“

სამადლოს დუქანზე მივა, ფილიპეს ცხენს წაართმევსა:

„თუ უკაცრავათ არ ვიყო, მაგ ცხენზე აიღებ ხელსა, მე ტყვე ვარ გამოპარული და ქვები ფეხებს მატკენსა!“ მეჭინიბეს ეუბნება: „უნაგირი სადა ძევსა?“

— „უნაგირი და ლაგამი ორთავე თავით უძევსა.

ცხრა მოსართავს თუ მოუჭერ, თორემ ოთხ-ხუთს გაგიგლეჯსა, ლიტრა აღვირს თუ ამოსდებ, თორემ თავსაც წაგართმევსა“.

— „ბიჭი არსენა მოგიკედეს, თუ ცხენი გადმომადგებსა!“

[გადაჭდა და გამოსწია, გადმოუღებდა მინდვრებსა.

ყაზალში რომ გადავიდა, ემსახურა თათრის ბეგსა.

„ამათ რჯულზე ვერ დავდგები, მე ხომ ვერ მოუშვებ წვერსა“.

იქიღვანაც წამოვიდა და სომხითში გამოსწევსა.

ორი თვის გამოსავალი გამოიბრინა ორ ღღესა.

იქ ჩავიდა ქიზიყშია, ნათლიმამას მიაგნებსა.

ბოდბის-ხევში რომ შევიდა, სულ კარები ჩაკეტესა.

ის ფარსადანმა შეიტყო, იმისთანა თქვენსა მტერსა.

მეტის-მეტი ჯავრისაგან აღვილზე ველარ დადგესა.

ძმებსა კაცი გაუგზავნა: „არსენა არ მამარჩენსა“.

მაშინ ფარსადანის ძმები არსენს გადასდებენ ხელსა:

„გვაპატივე ფარსადანი, რაც რომ უნდა გაგვიხდესა“.

— „ვიდრე ფარსადანს არ მოვკლავ, გული როდი გამიძლებსა“.

მაშინ ფარსადანის ძმებმა ოსტატობა იხმარესა:

ერთ უადგილო ალაგას დიდი ორმო ამოსჭერსა,

ის საწყალი ფარსადანი შიგ ორმოში ჩაადგესა,

ზედ ფიცრები წააფარეს და მიწა დააყარესა:

„ვიცი, არსენამ მოგასწრო, ცოცხალს როდი გაგიშვებსა!“

ორი დღე უყარაულა, თვალს კი ვერსად მოასწრებსა.

მესამე დილა გათენდა, მაშინ პირჯვარს დაიწერსა:

„თუთხმეტ წელს ყაჩაღათა ვარ, კაცის ცოდვა არ მაძევსა,

ეხლა მოვკლა ნათლიმამა, ბოლოს სული წამიწყდესა

გამობრძანდი, ნათლიდედავ!“ ხელში მოჰკიდებდა ხელსა:

„გამოუშვი ფარსადანი, არას ვერჩი არაფერსა;

ვაპატივებ ნათლიმამას, ჯერ მირონს და მერე ღმერთსა,

ფარსადანს მაინც არ მოვკლავ, თუ გინდ რომ წინ დამიხვდესა!“

ღვთაებობის მაღლი გწყალობთ, მარტყოფის თავში სვენია.)
იქ იყო მისი ღღეობა, თითონაც გიახელია.
სუმბათოვიც იქ მობძანდა, ის ჩვენი ქალაქელია.
სუმბათოვსა და მაკაროვს თან შეეკაზმათ ცხენია;
კნენიებიც იქა ჰყვანდათ, ზედ გადევხვიათ ხელია;
როცა წირვა გამოვცდა, — იმისი მაღლი შენია —
რო დაინახა არსენამ, პირჯვარი დაუწერია.
იმ სუმბათოვს ეუბნება: „ა, გამარჯვება შენია,
ქალაქში რო შარს მიგდებდი, ახლა ხომ მოგასწერია!
მაგ შენს [აპელატებზედა] შენით აიღე ხელია!“
კნენია ეუბნებოდა: „შენი ჭირიმე, შენია!
აიღე და გადაუგდე ეგ ოხრათ დასარჩენია,
თვარემ ეგ არსენა არის, ვიცი, გამოგჭრა ყელია;
სუყველა ოხრათ დაგრჩება — დროშკა და შენი ცხენია.
მე ხომ არსენა წამიყვანს, შენ დარჩი ცარიელია“.
შინლიანებ გარდმოუგდო [აპელატები¹] სქელია.
წამოიფინა არსენამ, გამორბის, როგორც მშველია.
მაკაროვს თავის ხმალზედა ააღებინა ხელია.

ორი კვირა თონეთს იყო, ქეიფებასაც ბევრსა სწევსა,
გამვლელსა და გამომვლელსა სუყველას ღვინოს ასმევსა.
მეორე კვირა გათავდა, ქალაქისკენ გამოსწევსა.
მთელი ქალაქის ბიჭები მტრედის გუნდივითა სდევსა.
ღმერთს უშველია არსენა ამიერიტ განსაცდელსა.
საცა მივა მიკიტნებთან, ყველა დაუქნევენ ხელსა.
ამოიღებს იმ ფულებსა, ტოლ-ამხანაგებს აძლევსა:
„შესანდობელი დალიეთ, როდეს არსენა მოკვდესა“.
რაც იმას საქმე ეამბა, ამისთანა თქვენსაც მტერსა:
„ვნახე წუხელი სიზმარი, სისხლში ვიღებამდი წვერსა,
წრეულ მე ხომ არ მოვრჩები, რაც რომ უნდა გადაწყდესა.
ან თათარი მიღალატებს, ქართველი არ მომარჩენსა.
ვერ დავესწრები აღდგომას, ვერ დავიჭერ წითელ კვერცხსა.
თუ ძალათ არავინ მომკლა, ნებით გამოვცქრი ყელსა“.
— „რას ამბობს ბიჭი არსენა! როდი ემეტება ღმერთსა!

¹ სიტყვა „აპელატები“ პირველ გამოცემაში ცენზურას წაუშლია.

თუთხმეტ წელს ყაჩაღთ დადის, კაცის ცოდვა არ აძევსა, სადაც ტიტველსა ნახავს, ჩოხას იხდის და აცმევსა“.

მაშინ ი ჩვენი არსენა ზემო ქართლისკენ გასწევსა. დიღმის სწორათ რომ მოვიდა, მიკიტნებმა დაათვრესა, კი ბევრი დაალევინეს, ტიკშიც ბევრი ჩაუსხესა. მცხეთის პირდაპირ მოვიდა, მუხათ-ფერდში ქეიფს სწევსა. ის რომ პურის ქამათ დაჭდა, ცხენს ბალახზე გაუშვებსა. იმ გიორგი კუჭატელსა გამჩენელი გაუწყრესა, წამოსულა კახეთიდან, იმერეთში გამოსწევსა.

ამოუარა არსენას, გამარჯვებას ეტყვის ერთსა: „გამარჯობა“, „გაგიმარჯოს“, სალამათ ხომ ეს იყვესა. „გიორგი, ღვინო მიირთვი, იმ შენი დედ-მამის მზესა“.

გიორგი შემოაგინებს დედისა და მამის ყელსა: „ვა, შე საწყალო, არსენა, რათა ხარ ჭკუა თხელია? შე დღეს ღვინოს როგორ დავლევ, წითელი პარასკევია. თუ ეგრე ღვინო მინდოდეს, ჯიბეში ფული ბევრია“.

ეს რომ არსენამ შეიტყო, მუხლზე დაიკრა ხელია: „კაცად როდილა ჩამაგდო, რაღა ბიჭობა ჩემია, ბიჭი არსენა მოგიკვდეს, ვერ შეგცვალო ფერია!“ გაჯავრებული არსენა პირიდანა ჰყრიდა. ცეცხლსა. წამოვიდა ის არსენა, იმ გიორგის დაუხვდესა:

„გიორგი, საით მიდიხარ, არსენა ვერ გაიგებსა? ან უნდა მამცე ფულეები, ან შენი ცხენი დამჩქისა“.

გიორგიც ეუბნებოდა: „ნუ გგონივარ ზოგ-ზოგები, შენ რო მოკიდეზღი ხელსა;

[ლუკის პირდაპირ ვიყავი, ოცი ტყვია მომარტყესა,] ორმოცი ტყვია მომარტყეს, ვერაფერი დამაკლესა!“ მაშინ გაჯავრდა არსენა, ხმალზე მოისვენდა ხელსა. პირით რომ ვერ გაიმეტა, ყუით გადაუკრა ცხენსა, ხმალი ვადაში გადუტყდა, ის ცარიელი დარჩესა. მაშინა თქვა არსენამა: „დღეს მზე დაბნელდა ჩემია! ვახ, რა დროს მიღალატე, გაგიწყრეს გამქედელია“.

შემოუქნია გიორგიმ, მოსჭრა მარჯვენა ხელია! დაღონებული არსენა ცხენიდან გადმოვარდესა. ცაცია ხელით ხანჯალსა არსენა მოისვამს ხელსა;

ცოტას, კიდეც მიაწვდენდა ბარძაყზედაც ხანჯლის წვერსა,
ცალი ყური ჩამოთალა, ლოყაზედაც მიჰყოფს ხელსა:
„ეგეც გეყოფა, გიორგი, აქიმიც ვერ მოგარჩენსა;
ვერ გაგიმეტე, გიორგი, ვაი დედიჩემის ღმერთსა!“
ერთი ლეკის ბიჭი ჰყვანდა იმ გიორგი კუჭატნელსა,
ბეჭებში დამბაჩა დასცა, პირში ბოლო გავარდესა.
დაღონებული არსენა აიწევს და ვერ აღგესა.
„რახან მომკალი, გიორგი, სიტყვა მაინც დამცალდესა:
ჩემი შვიდასი თუმანი კასპში ერთ დიდ კლდეში დევსა,
ღარბისა, არას მქონებსა, მიეცეს და მოხმარდესა“.
ამ სიტყვას რომ გაათავებს, არსენა ძირს დაეცესა*.

მცხეთელებმა რომ გაიგეს, თვალიდგან ცრემლი ჰყარესა,
ზოგა წყალში გამოვიდა, ზოგი ხიდზე მოირბენსა.
ოძელაშვილი არსენა ზედ ბორანზე დაუდევსა,
გაიყვანეს მცხეთაშია და ანდერძი აუგესა,
მარმარილოს ქვა დასწერეს, დასწერეს და დაადვესა:
„აქაც კაი კაცი იყო, იქ ნათელი დაადვესა!“* 15

კირჩლა და ალუდა

შავიყარენით სწორები, ჰერხოს¹ დავსხედით სმაზედა,
ხელჩი მივეციით საღვინე, კირჩლაი გვადგა თავზედა.
აურიგ-ჩამოურიგა ყანწი და ჭიკვნი ჯარზედა,
მე კი არ ვსომდი ალუდა, კირჩლა დამადგა ძალზედა,
გადამეკიდა: დალიე, თორო² დაგასხამ თავზედა!
„გირჩევ, დაჰყუჩდე, კირჩლაო, — ლოგინს დაგაწვენ შავზედა!“
თეძოში წიხლი ამომკრა ჩემთვის ნაჯდომსა შკამზედა,
მაგარ ქალბანი სტანოდა, თეძო მატკენა ძალზედა.
წამოვდეგ გაჯავრებული, ხელი გავიკარ კმალზედა,
გარდაუქნიე კირჩლასა, პირდაპირ მოხვდა თავზედა,
ფარი შუაზედ გაწყვიტა, ცოტა უწია თავზედა,

¹ სახლის ზედა სართული.

² თორემ.

ხუთ ფურიათი დააჩნდა¹, კიდეც გაღვიდა თხაზედა.
 ზის კირჩლა დაღონებულა, სისხლი ჩამოსდის ყბაზედა:
 „დამაცა, ბიჭო ალუდავ, შავიყრებით საღმ მთაზედა!“
 ერთის წლის გამომავლობით შავიყარენით გზაზედა,
 მიწროს გზას შავიყარენით ჰაძელეს ღელის ფხაზედა.
 მე გაუძრახე კირჩლასა: „მანდ მოიცადე ველზედა,
 მაიმუნეით გატლინკებ, ბაწარს შეგაბამ ყელზედა!“
 კირჩლაი გაჯავრებული კმალს სცდიდა თავის ცხენზედა:
 „შენს კმალს ულაყზედ კი ნუ სცდი, მოდი მე დამკარ ...ზედა“.
 გავედით, წავიკიდენით ორნივ მიმდგარნი დღეზედა,
 შიში კი ორთავ გულში გვაქვს, ერთიც ვერა ვართ ფერზედა.
 გავედი გაჯავრებული, ხელი გავისვი კმალზედა,
 წამოუქნიე კირჩლასა, არ დავარიდე ყელზედა,
 თავრიალ² გავასრევინე, იქავ დავკიდე ხეზედა.
 მე წავედ, კევსა მივდივარ, სატანი³ მიმაქვს ვალზედა,
 თქვენმა მტერმაცა იაროს ე მაგისთანა გზაზედა.
 სნოისა ზოფელჩი მოველ, დიაცი დამხვდა წყალზედა,
 ვიკითხე კორაის ჰახლი, — ზედ მიმიყვანეს კარზედა.
 შინ და შინ შამიპატიყეს, დამსვეს სამარტო შკანზედა,
 დავკექ და იმათ უნაბე, რაიც გადამხდა გზაზედა:
 „მე შამომაკვდა კირჩლაი, ხელი ავიღე თავზედა,
 თქოში წიხლი ამოკრა ჩემთვის ნაჯღომსა შკამზედა,
 გამამასხარა სწორებში, ვერ გავდიოდი კარზედა,
 სწორებში სირცხელიანი არვინაა ჩვენს მთაზედა,
 მე იმას ვერ მოვითმენდი, რაც მომაყენა თავზედა,
 მაშინვე უნდა მომეკლა, მაგრამ მომიხვდა ფარზედა,
 გულით რად უნდა წამელო ჯავრი-სამარტს კარზედა,
 სჯობს სიცოცხლესა მასხარას სიკვდილი კარგსა კმაზედა,
 ე მაგ დარდითა ვირთვოდი, ვდნებოდი ჩემსა ტანზედა.
 გარდაუხდა წლის თავზედ და ეხლა შემოვხვდით გზაზედა,
 თქვენი ავი დღე წაიღოს, — იქვე ჰკიდია ხეზედა,

¹ კრილობა, ქერის მარცვლებით გაზომვის თანახმად ძროხებით გადასახ-
 დელი.

² თავი.

³ ერბო და ყველი.

წავრი კი ამოვიყარე, — თუნდაც არ ვიყო კმელზედა,
თუნდა გამგზავნონ ციმბირსა, თუნდ მეც დამკიდონ ხეზედა.
კორავ, შენ კმა მიაწვდინე, კირჩლას სიკვდილი გზაზედა“.
კორაი მაშინვე უბარებს იმავ სადილის ეამზედა:
„აბიკანთ კირჩლა მოუკლავსთ, მოუპატრონდით წამზედა,
აღუდა კი გაქცეულა გუდანის ჯვარის მთაზედა“.
ღმერთმა ყველას გაგიმარჯოსთ ამ ლექსის წაკითხვაზედა. 16

ბერდიანი და კირჩლაი

ბერდიანი და კირჩლაი სანეს შაყრილან სმაზედა,
იქ ლაპარაკი მასვლიათ აღრინდელს მტერობაზედა.
ბერდიამ უთხრა კირჩლასა...
„ვერ გუქნას შენი ბერდია, ვერ შეგეყარე გზაზედა.
ეს ჩემი მოკლე ფრანგული ვერ ვათამაშე შენზედა!“
— „მაგას ნუ უბნობ, ბერდია, სანეს ლუდნი ვსვათ ჯარზედა¹,
ჯერ არღი: გაუხარნია ვაჟის კირჩლას ტანზედა,
ეგ ლაპარაკი მაშინ ჰკამს, როცა შავხვდებით გზაზედა,
არ გეყვანდეს მაშველებელი, თითო დაუკრათ ფარზედა“*. 17

• •

ოჟო. დადგი ვაჟის ძე, ბევრგან ბევრი ხქენ ზიანი,
გადმოხვე ხევსურეთისკე, ხმალი წინ დაგხვდა ფხიანი,
კირჩლაი შემოგეყარა, კირჩლა ღვთის ნასიბიანი,
მარცხნითვე ჩამოგიარა, მარცხნითვე გიყო ზიანი. 18

ვაგაის ძოძი

ვაგაის ძოძივ², გირჩიყო დილლო გეჭამა ჭკვითაო,
ყან გეხნა, კარი გელალა, ჯონი მოგეჭრა ტყითაო,

¹ ხმალი.

² რიგზე, ჩამწყრივებით.

³ ქისტის სახელი.

ხევსურეთ რად მიხვიდოდი მართული შენით ყმითაო?
საძელეს¹ დაგხედეს ხევსურნი დალესულებით ხმლითაო,
თვალ ეჭდა თურმანაულსა ჭურჭასა შავარდნისაო,
ხმანი ხევსურეთ ჩაყარნა უხნოდა, არა ხნითაო.

გუდან შეიტყო, იწამა ღეთითა და ღეთისშობლითაო,
ადგა, ააბა დროშია ლაღის გუდანის ჯვრისაო.

მაგას ღერენამ მისდია არწივმა კივილითაო.

მამა გიტირის, ღერენავ წინხადუელო, ხმითაო:

„შვილო, არ მოხვალ ცოცხალი, არც დაღბრუნდები გზითაო,
სახელის მაცყარული ხარ, შიგ გაერევი ხმლითაო“.

ხინჩლამ შეხკმაზა საფერხე, ზედ ორბი შაჯდა მზრითაო,
ბლო-ღელე გარდაავლია, საძელე კინკილითაო.

ქოთანას ჩამოეწია, ბორტვი აავსა კვდრითაო.

მალლა ჭეხს კახოს გიუნა, ხევსურნო ვერ ორთ ცდიითაო.

ბეეიტასა ხმლის შუქნი მახევეთ ნახნეს მზირითაო,

ხმლით სცემდა თითო-თითოსა, გზისძირ წაიღებს გზითაო.

მშვილდი აყეფა ომამა ბასილდს შვილმა რქისაო,

ჩამობრუნა ძოძიი თეთრი მანძილა ტყისაო,

ჯაჭვი დაწყვიტა ბექთარი², როგორც გუდაი შელისაო.

„საკარყმო, ხინჩლა, ვის მივსცათ, ხევსური ვინ ჯობდ

უღითაო?“

— „თვალაჯაისძეს მიეცით, ჩამომიარა მზრითაო,

მანამდინ მე მივიდოდი, მესამეს სცემდა ხმლითაო“.

როშას ჯარის მოსვლა

ერთს[ა] მეც ვიტყვი სიტყვას[ა], ძმათაც რომ მამჭრან თავიო,

საძელეს გარდმოდოდა თავუჩინარი ჯარიო,

ჩამოდის როშკის ხორხშია ქუჩუმიანი ფარიო,

ღეეცნეს ქმოსატს როშკას[ა] უდროოს დროში ცანიო.

ციხეთ როშკის გორ ნადგომთა ჩაიცვეს გორის ტყავიო.

შიგ ჯოყოლიკა შეუდა, შეიღო საოჰარიო.

წინ-წინ მოსულს[ა] ლურჯასა არ მისცა რბოლის ხანიო.

¹ მთა.

² მაგარი ჯაჭვი.

ზედა ნაჯდომსა მხედარსა წითლად უღება ტანო.
 როშკის გორ შუშპრობს ღიღველი: ხევსურებს შევსდევ ზარიო,
 კვამლად მოვსთხოვე ბეგარი თითო შიშაგი ცხვარიო.
 ამბობენ ხევსურთ შვილები: რად უნდა საუბარიო,
 წინ-წინ მოვიდეს ღულითა კრელაისშვილნი ძმანიო,
 ბრალა, კრელაისშვილო, არ გექნას ომის ხანიო,
 ფარს ქვევით შემოგაპარეს ტყვია მაყრისა ჩქარიო.
 გუნდი ლიქოკით გარმოხდა ქორის, შავარდნის ჯარიო,
 ნოუძღვა ღონაურაი ყვირილობისა ხარიო,
 მეშველათ ხათუთისძემა თოფს ახალ მისცა ტალიო,
 თინიბექს გაულესავეს ღერენას შვილსა ხმალიო.
 წამოხკრა საკაისშვილსა, გალოს მოვიდეს ჭკვანიო,
 ჯარამ ჯინჯარაულმა ხელით მოილა ხმალიო.
 გიკვეხნავ, საკაისშვილო, ხევსურნი მინდან რვანიო,
 ესლად კი ვერ ღნახენია ფარს ქვეშ ნაწურთნი ყმანიო?! 20

ა ფ შ ი ნ ა

ამბობენ, შეწუხებულავ ჭულეთში წიქაისასა,
 უხათრავად დის ქისტები ჩვენის ძირ კალაისასა:
 ძმასა აფშინას მითქვიდით, ჯავრსა ნუ მაჭმევს მტრისასა,
 ადგას, ჩაიდვას საგძალი, ტანს გახყვეს სიათისასა:
 უმცროსი თამარისძეი იმედსა დადგას ხმლისასა.
 ჭულწუხად ჭყვიცლს ამბობენ მითხოველთ მთიბლებისასა:
 „რა იქნა, რა მოგვეწია, ვინ მოგვიარა მთისასა!
 ვაყებ, აფშინა იქნება, ჭირს მოსდევს წიქაისასა,
 თოფს დახკრავს, გამააგორებს ნარჩევსა მითხოვლისასა.
 ხმლითა სცემს თამარისძეი, ჩამოაწითებს ქვიშასა:
 იქმნები წიქაისადა, ზიდვნას დაუწყებ წყლისასა“. 21

საგურ[ავ]ოდ წამოვედით აფშინაის სატირლადა.
 აფშინას კი რა მოხკლევდა, — მოგვეგება საკვირვლადა,
 ერთი ძროხა ვახშმად დაცლა, ორი ხარი სადილადა,
 თითონ ციხეში შავიდა, არ გამოდის ადვილადა,

ბუჩასეულ შაიტანა ზარბაზნების მაგივრად;
თუ ბუჩასეულ გაეარდა, პრისტავ განდა სატირლადა.
აფშინა დაუბარებდა გაჯავრებული პრისტავსა:
დილაზე გაყურებინებ ქუხილსა ბუჩაისსა,
ეტანებოდე კლდეებსა, ტყვია გაყრიდეს ქვიშასა. 22

ივანე ჯოჯოლიკათი

ივანე ჯოჯოლიკათო, კაცი გამოხვედ რაფერი,
დაბადების დღეს გამოგყვა მარჯვენას მხარზედ სანთელი,
ალარას შენ გაუალი საურჯულოსა თმა წვერი,
ალარს შენი დაუჯდომი, სადაც ტყის ღბავა ბანცვერი,
შენი კაც-მოუკლავი არ იყო ქრისტის სოფელი.
ივანე, შენ გამჯავავი კაციმც ნულარ არს დღეგრძელი,
ა ისითამალ გაგჯავოს, რომელიც იყოს შენფერი. 23



ივანე ჯოჯოლიკათო, შენფერ ვერვინა ხმლიანი,
მანამღონ ხახსენებელ ხარ, მანამღინ ცა და მზე არი,
ივანე, შენს სიმთელესა მითხო არ იყო ცხვრიანი;
ძაღლებსა მითხოველებსა ვეფხვი ეგონე მწკლიანი,
სადაც შენ აღმხარდიდი, შინისკე ედგა გრიალი,
თოთხმეტი ქისტი მოგიკლავ, დიალა გიქნავ ზიანი.
დღისით კი ვერ შემოგწონეს, ღამით ტყვიამ გყო ზიანი;
შენი მამკლავი, ივანე, მითხოში დავა ხმლიანი.
შინ არვინ დაგრჩა მძებნელი, შეილ ვერ გყავს ჯერ წამავალი.
ბებერ ბაჩუა ამბობდა: მითხოს სოფელში მივალდი!
— „ახლებ, ბაჩუავ, გაუშვი, ბევრი გყავს ზედ მიმავალი!“ 24.

ბევრა სახელობს ხევსური

ბევრა სახელობს ხევსური, ბევრამ გაბანდა ჯღანიო;
წლით ხოცენ ხახმატელები, მტერს იმით შესდევს ზარიო:

არდოტელები აძრახდეს: „მტერმა შემოგვართო თვალიო“. ბევრგან გაწირა გიორგიმ უთურგას შვილმა მკვდარიო, აწითნეს ბაცალიგველთა ბუყარეჩოში გზანიო, დაუყრნეს წყალსიქითელთა ბალხის ბათარის გზანიო, ჩვენდ იყავ მონის მოქმედო, წაგვისხა ხაროვანიო. შიბუხ ბათარა მოხკლიან, ყორნებ აილით მკვდარიო, დალუპეს ლიქოკელებმა ბუნოთ მომდინარ მგზავრიო, საშოვარ დააყრევენეს, იმით შურობენ სხვანიო. 25

ბოშტუა გადიდებულა

ბოშტუა გადიდებულა არხოტიენების ჯავრზედა, მტერ არ უნოცავ ბოშტუას, მლოცავც არ უდგას კარზედა. გაიგეს არხოტიენებმა, — ურჯულო დადგა ძალზედა. წავიდეს მონადირენი, იქ შახდეს ტერლის მთაზედა, ტერლის წვერ გადამდინრებსა ყორნები დახყფს თავზედა. გზას ესხდა ქისტის შვილები, ნახალიზრები სხვებზედა, იციახ არხოტიენებმა თოფთა ხმარება ხელზედა. არ დასდეგ, თოლგაის შვილო, ტყვია აგასხეს ტანზედა, ეხლა წაილი ამბავი, დიდგულად გადი ბანზედა. შემოგზვდეს არხოტიენები ტერლის სასწორო გზაზედა, ძმისწულ იქ და[გ]აგდებიეს, გაზდილი მუქარაზედა, ჯერ იქ მოცტურნეს სისხლითა, აწ ჩავლენ ტერლის წყალზედა. ბოსელთ აბრუნდეს არწიენი, ეთელებიან მკვდარზედა. 26

ნაკუდა გამაროშვილი

ნაკუდავ გამაროშვილო, კახეთ რა გქონდა სავალი, ვერცხლი შინ გედვა, ოქროვი, მთას ცხვარი გედვა მრავალი, ცოლად [გ]ყავს გოისძის ქალი, მზეი გორის პირ მავალი. გზაი შეგეკრეს ლეკებმა ტყის პირზე შენი სავალი, ვერ შემოგწონეს სახმალედ, თოფებს უმეტეს წამალი. ნაკუდავ, შენსა მომკლავსა ლეკმა ლეკს მისცა სალამი. 27

მ ა რ ტ ი ა

ვაჟ ნადირობდა, დაბერდა, მთაწვერთა იარებოდა[ვ],
მიუსხდეს მენადირენი, ვაჟს სიკვდილ ეღირებოდა[ვ],
ესრევენ გოშტიკაურნი, მარტიას არ მოხვდებოდა[ვ],
მარტიანის ნასრევი გალოზედ აქკვავდებოდა[ვ],
ნარჩევი გოშტიკაურნი ყორანთ საჰმელად ხდებოდავ,
მაჟარი მარტიანისი თოფთ ნამეტნავად ღგებოდავ,
ვერ გამაირჩევთ ჩემთანავ, ხოხობებს ეჭიბრებოდავ.
მარტია თოფს ემღუროდავ: „თოფ სახელს მეკიდებოდავ“.
მარტიავ, თოფს ნუ ემღური, სახელ ხომ შენდავ რჩებოდავ.
წამოვა საშინაოდავ, წინ სახელ დაუდგებოდავ,
სწორები სახელს ულოცვენ: „ვერა ვქენ“, ეუბნებოდავ. 28

* *

ღაიჯაჰვიან ხევსურნი, ჯაჰვით ცხენებზე შესხდიან,
შეიყარნიან სანესა, მაგარი პირობ შეკრიან,
რად გააჯავრა ზურაბი, მარტიას ჟურუმს¹ სთხოვდიან. 29

* *

მარტიავ, მამსურის შვილო, კმალს როდის მოგიშივდება,
ომჩი შახოლ და გამოხოლ, გული არ შავიშინდება,
სისხლისა ნაგუბარზედა ფეხი არ მოგიცურდება. 30

მითხოვლევ გადაღებულა

მითხოვლებ² გადაღებულა, აღარა კაცის წარზედა,
იღომლი³ ყრიან[ნ] ლაშქარსა, კმას დაიგდებდნენ სხვაზედავ,
აყელ გამოსულს მუშასა ჩამო[ე]ხვიენენ სამზედა,
ახალნი შემეეგებნენ, სტუმართ რო თავის კარზედა,
ერთუერთის მემჯობინართა კვამლი დაბადეს კვამლზედა.
გორგოლაათ[ა] კვირიკა მარტო შაუდგა წელზედა.

¹ ჯარიმას.

² ქისტების სოფელი.

³ იღუმალ.

ბრალთა შენდა, კვირიკა, არწივ დაიკანკ მკარზედა;
შოკოროშვილი. დაუკარ, სადილ თქვენც გინდათ გზაზედა.
მთაჩი ეძახა ყორანთა, — სისხლის მიზლიე კვალებდა,
ამბავ, ლომაზო, მოილე, კვდარ ვიზე მივა კარზედა,
ე ისი ქვე იკითხიდი, რომელზე გვიყვეს ჯავრზედა,
დანდობამც გამობრუნდება სიმაგრე ნაქნარ ჯვარზედა;
უფროსებ ნუ დაიცილებთ კვირიკას ჯვარის კარზედა,
ა იქ ნამყოფებ ვაჟია სათავის დასხი ჯარზედა. 31

ლიქოკის ღელეს გარდაღის

ლიქოკის ღელეს გარდაღის ხეცსურთ შვილები დილასო,
ხკითხვიდეს გელდიაურსა ძველსა და წინაწინასო,
გამურჩევს გელდიაური ჯერ კჳუას, მემრა რკინასო.
გუდანს აგებენ ბელელსა, ლიბულ¹ უგებენ სინასო²,
სწამებენ ჩაჩბარაულსა ქრთამს, ქალაბანსა³, ინასო,
არცა რა კარგი თავს უყვა, არც რა შესძინა შინასო. 32

მამუბა ქალუნდაური

გიორგ წმინდაში დახვიეს თუშებმა ელამ⁴ ფარია,
საკვირაოთით აღეს თეთრი მძოვარი ცხორია.
ქალუნდაურმა მოხკიდა სანადიროთით თოლია,
აიხსა იარაღები, მალლა შაიბა ხმალია,
ჩამოვა თათრის გორასა, მუხლებს შაუჯდა ქარია.
გავარდა ალერდაჩია, როგრო ნაჯოგარ ხარია,
ხევის გზათ ამოუბრუნდა პირს მზეი, ბეჭებს ფარია,
შამოხნდა საფეხნოშია, ქალ-ზძალს დასწერა ჯვარია, —
„აქით გამიშვით, ქალებო, შორით დამიგით თოლია“.
ბელელჩი შემოეწია: „თუშებ, დაყარეთ ცხორია!“
— „ქალუნდაურო, ნუ მოგვდევე, არ მიდის შენი ცხორია“.

¹ საძირკველი.

² ზარი.

³ ქრთამს.

⁴ ვარიანტშია: დელამ.

მამუკამ არ დაიჭერა, — „სანეს ნაცად მაქვ ხმალია“.
 დაბრუნდეს მექობაურნი შალვა, ივანე ძმანია,
 თოფსა ივანე ეტყოდა: „ჭერავ, დაყარენ ხმანია,
 გულს დახკრავ ქალუნდაურსა, ირემ წამასხნავ რქანია“.
 — „ხელსავ, ივანე, ნუ მამჭრი, მარჯვენე ირჩივ, შენია,
 ხმალსა წელს ზეით ნუ შამხსნი, ხევსურთად კაის მქნელია,
 თოფსა მხარ ზეით ნუ ამხდი, ჭაუხჩი ჭიხვთა მტერია,
 ტან ზეით ჯაქვთა ნუ წამყრი, ქერიგოს ქვიშათ ფერია“.
 ამბობდა ქალუნდაური: „ნეტავი გამამთელაო,
 გზა მასწავლა სათუშეთოთ, ბორბლის წვერ გამავლიაო,
 სად სახლობს მექობაური, შინამც ვინ შამაჩინაო,
 მეშველიმც გაგვიგვიანა, ერთურთიმც დავგაცდიოაო,
 ივანეს ცოლს და დედასა თვალთამც აცქერიაო,
 ერთიმც ვინ მამაქნეგია, მემრ მამკლა, დამაწვინაო“.
 33

რად გაგიხარდათ, დილღველნო

რად გაგიხარდათ, დილღველნო, არხოტანთა ზიანი?
 უშიშა ოჩიაურნო, როს დაგიბარა გზიანი,
 აღუდაი შვილს მიუა შინ სხეევართ სირცხვილიანი.
 აღდგეს, ჩაიდგეს საგძალი, წვერ გაიარეს კლდიანი,
 გავიდეს ქორიოლაზე¹, დილაა თირთვილიანი.
 მოუკლავთ ცხვირეგუელი თეთრა მანძილა რქიანი,
 ერთმანეთს ეუბნებიან: „ორჰა გულს უყვეს ზიანი,
 კურდღელაიდამც იქნები, შამოწე გულს ნატყვიარი“.
 ჩოჩრებსა² ყეფდა ყორნები: „ვინ იყავ, ვინ ხქე რიალი?“
 „ეაჩიაურხე, ყორანნო, სრუ დიან სახელიანნი“.
 ამგ ლექსისა მათქვამი ახიელ ბანზე ვზივარო. 34

ვიმლის კლდეს ხეფდა ყორანი

ვიმლის კლდეს ხეფდა ყორანი, ერთი გასძახის სხვასაო:
 ველთ მიდის ოჩიაური, ჩვენც გავხყვეთ იმის კოლსაო,

¹ შთა.

² კლდე.

თათარა დაგვიმზადებდა ყორისწყალზედა მკვდარსაო.
ლუდის კლდეს არწინ აბრუნდეს, ვალი შეგვირჩა ძმისაო.
ბიძაქისი მომკლავი მოიგდეს კალოს პირსაო.
ქისტო, დიდგული ხყოფილხარ, ყამ არ გქონია მტრისაო.
წყალთ რად არ ხკითხვი ამბავი ოჩიაურთა ხლმისაო. 35

ამოვა ჩეკილისშვილი

ამოვა ჩეკილისშვილი, ირემს ამოქვეა რქანიო,
ილტოზედ¹ ამოსეესა² ლეკმა მოჰკიდა თვალიო.
ლეკებსა უთხრა ბელადმა: „საჩვენო არას არიო“.
არ დაიჯერეს ძალლებმა, არა აქეს სამართალიო,
დაუსხდენ გზის თავ, გზის ძირსა, არ დაანებნენ გზანიო.
დექცენენ ამხინიგები, — ღმერთო, რა დიდი ბრალიო!
დაბრუნდა იარალშია, დააბობინა³ თვალნიო:
„დამექცა ამხინიგები, თოფო, მიჰირე მქარო“.
დაუჯდა თოფის ლიშანსა, — „ლეკო, დაგეძრას ტანიო!“
გამააგორა ბელადი, სისხლისა მიდის წყალიო.
იმასაც დაჰკრეს მაყარი, მემრე იხმარეს კმალიო:
„შე რო მოგვიკალ ბელადი, ეხლა უზიდენ წყალიო!“
ატირდეს წვრილნი მასკვლავნი, ცამა დაყარა ნამიო,
თვარემა ხუთმეტისამა შემაიმტვრივნა რქანიო.
ემაგ ლექსაის მათქომი აღვანში თუშის ქალიო,
სალექსო გამამიგზავნეთ თითო შიშავი ცხვარიო,
ან თითო საყურ-ბეჭედი, აყრიალებდეს ქარიო. 36

კ ა კ ა ც ი

ყარავლობაა ჩვენზედა დამდეგ აპრილის თვეზედა,
პაკაციმ ხმალი გალესა, ცერი აუსვა ფხაზედა,
ცხენს შეჯდა ბედაურზედა, ნიავ-ქარივით ქრისაო,
ამხანაგსა გაურბინა ომან ბადალაშვილსაო.

¹ შთა ფშავში.

² ამოსულს.

³ დააბრიალა.

ომანმ შინ შეიპატეა, — ტურფად გამართვენ ლხინსაო;
 აღგნენ, ქვევითათ წავიდნენ, — დააცემინა ცხვირსაო:
 „ეს ცხვირი რას გვეუბნება, — ლეკები დაგვხვდებიანო“.
 ჭიან ტყესთან რომ ჩავიდნენ, ლეკებმა შექნეს ჯიღჯიცი,
 ერთმანეთს უთხრეს: „ვალაო,
 იქ რო ორი კაცი მოდის, ისინი ჩვენი დავლაო“.
 პაკაციამ გაიგონა: „ჩვენ დაგვცინიან განაო?“
 ზევიდან ჩამოუქროლა, ცხვარივით გაილაღაო.
 ერთი წუწკი გულხადარა უბელო ცხენსა მჯდარაო,
 პაკაცის თოფი მოარტყა მარჯვენა მუხლის ძირსაო,
 პაკაცი ძირს ჩამოვარდა, შუქი ბნელდება მზისაო.
 პაკაცის თოფი გავარდა, ხმა ქონდა ზარბაზნისაო,
 ერთი პაკაციმ მოუკლა, თვალია ბელაქნისაო.
 პაკაცი! ეუბნება ცოლსაო:
 „ნუ გეშინიან, მარიამ, ნუ გაიტეხამ გულსაო,
 იქნება კიდევ მოგირჩე, არ გაგრიო ქვრივისაო“. 37

მელეშიშვილსა აქებენ

მელეშიშვილსა¹ აქებენ ყაზახსა მეტი მეტსაო,
 კახეთში დაიარება, ვერა შოულობს ტყვესაო.
 ე ჩვენი წმინდა გიორგი არც უმართამდა ხელსაო,
 ყვარელებსა ემუქრება წმინდა გიორგი[ს] ყმებთაო.
 წავიდა და გამოუძღვა შარიგებულსა ლეკსაო,
 ჩამოერცვა ყვარელში ფერიცვალობის დღესაო,
 სახლები დაწვეს, დაბუგეს, კვდრებ ვერ აუქცევ ფეხსაო,
 ქალ-რძალი ბევრი წაასხეს, გადაუყენეს მთებსაო,
 ერთსა ციხეში შერეკეს შვიდ ღამესა და დღესაო.
 მელეშიშვილი ბძანებდა, სიტყვას ამბობდა ბრძენსაო:
 „საბელადოსა ავიღებ, ბელადიც ვიყო დღესაო,
 საბელადოში ავიყვან, ქალსა ავიყვან ერთსაო“.
 შავიდა, გამაარჩივა, — ღამე ანათებს ბნელსაო,

¹ აქ სიტყვები აკლია.

² მეორე ვარიანტში: ბელეშიშვილსა. ლეკების ბელადი ყოფილა, ყვარელი აუკლია.

კისერი ბუღას მიუგავ, თვალეზი მინდვრის მწყერსაო.
ქალები მელეშიშვილსა ჩამოუმწყრავდნენ გვერთაო.

„ქალო, ნუ მოგაგონდება შენი ვაჟკაცი ქმარიო“.

— „ჯულძაღლო მელეშიშვილო,

ქმარი და მაზლი მამიკალ, ბიძას მიცემე ხმალიო,

მე შენ როგორ დამინდობდი, ვიყავ ყვარელის თვალისო,

საქრისტიანო დააგდე, ბოზბაშ ირჩიე ფლავიო“. 38

წარუველთ გოგი

ცხვარი დიქ¹ ჩემეფინა, პატარ ნაქერლის ძირსაო,

გართაის ჯარი დეეცა პატარა ხმელეთისაო,

წარუველთ გოგი წამოსწვდა პატარა ხუფრის ძირსაო,

ესე ვაჟაფა ლეკები, როგორც ტოტები ხისაო,

ესე დადგება ღვარები, როგორც ელღვარი მცისაო.

წარუველთ გოგი შინ მოდის, თოფები მათვეს მტრისაო,

ას თოფი, ას იარაღი, ას ხელი გულხადრისაო,

ესე მორეკა ის ფარა, ბეწვი არ დააკლდისაო,

ესე გაივლის ლეკებში, როგორც პაქარნი ღვთისაო.

ესე დაჰხოცავს ლეკებსა, როგორც ბიგაი² მღვთისაო.

გამოვიდოდა ჯარჯუი, როგორც ბელადი ღვთისაო.

ჯარჯუი ამოივლიდა აქალას დილაობითა,

აქ ტვერ³ ნარჩევი ბიჭები წინ შაუკრავენ სანგალსა,

ვარდება თოთას ხირიმი, იაკობ ჯარჯუი იქ დარბის,

ცხრანი მოგვიკლა ხელდახელ, მეთეს თავი მოგვიქრა,

ათ ხელი, ათ იარაღი, შინ მოსვლა მშვიდობითაო. 39

ხ ა ლ ი ა ი ს ე მ ე

მიხა თქვეს, როშათის შვილი, შაყარა ფშავლის ჯარიო,

გადვიდა ბორკილაშია, უკვენ გადაჰყვა ცხვარიო.

სამშაბათ დილას ძძახის: „ქისტებ დალაღეს ცხვარიო“.

ხალიაისძეც იქ არის, არწივ თქვეს მეომარიო:

¹ ძირს.

² განთქმული ლეკი ყოფილა.

³ ლეკების სოფელი.

„კიდევ მოსულხართ, ქისტებო, კიდევა მქონდა ჯავრიო,
ბევრი მაქვს ტყვია-წამალი, ცხრა-ათ ოსმალოს ტალიო“.
„ახლიანძის ხირიმმა¹, ქისტო, დაგიძრა ტანიო,
მესამე დაჰკრა ეხლო შაშჩეს სათოფე თვლიო.
შენც დაგკრეს, ხალიანძე, მასტყდა ფშავის ხელს მხარიო,
მათურელ გოგოლაურთა გამეეთხარა თვლიო,
მათურაშია ქალ-რძალსა არ ჩაიცვასა შავიო,
შენ ცოლმა გადმოყოლილმა არ შაირთოსო ქმარიო;
რაი ქნას, ვინლა შაირთოს, შენფერ კაც აღარ არიო.
სასუფეველსამ დაგადგამს ლალი ლაშარი ჯვარიო,
რო წახვე სამოთხისაკე, წინ წაიმძღვარენ საწინიო,
ზოგთ კი წყალს აზიდვინებდი, ზოგთ აბანდვინე ჯღანნიო.
ე მაგ ქართულის მათქომი ცალხელით ხაიბარიო²,
თოფი მეცა მკრეს თათრებმა, მტრისა მეცა მაქ ჯავრიო,
სალექსოთ დამიმზადოდით რომელიც კაი ქალიო. 40



ბეჩავო, ხალიანძე, ღმერთმა გაცხონა მკვდარიო,
ანდაგში დააყრევენე ფშავლების შვილის ცხორიო;
ქავთარა წიქაისშვილო, დიდხან ცოცხალიმც ხარიო,
შორათ არ დათრევენე ხალიანძე მკვდარიო.
ხალიანძის მაჟარმა, ლეკო, დაგიძრა ტანიო,
გიტირა შავმა დედამა ხალიანძე მკვდარიო:
„ბევრჯელ დაგმაღე საგზარნი, ბევრჯელ მოგპარე ხმალნიო,
არა ხქენ, არ დაიშალე, — ვაჟ დედიშენის ბრალიო!“ 41

შაყრილან ფშავლის შვილები

შაყრილან ფშავლის შვილები, ლაშარსა გროვდებინო,
გადავლენ ალაზნის თავსა თუშეთს მუქარაზედაო.
საგათენობოთ დაეცნენ თუშეთს მხაროვანზედაო.
შაიტყეს წოვათ ბიჭებმა, აბჯართ გაიღეს ელრიალი:

¹ თოფი.

² ხელნაკლული.

უთხრიდით ჩაღმა გომეწართ, დაძრან ბაირახტარებო:
 მოვიდნენ პირიქითელნი, საომრათ ბარაქიანი,
 მოგვდევენ თუშის შვილები, შვილდნი მოჰყეფენ რქიანნი.
 მოეწეოდნენ ნაროვანს, ჩაღად დაჰყარნეს მკვდარნიო.
 გვოქებენ გელოძესა, ქორ ცხენზე შეგვიჯდესაო,
 მანჭერაულეს ლურჯაი ირემივითა რბისაო.
 გავვიძებ, ცისკარ ფოცხვერო, დილის დაღვებრტყე ნამიო!
 აქ რა გინდოდათ, ჯღანდიდნო, სიტყვა რათა სთქვით მცდარიო.
 ყადოვანს დაგადგებინეთ დროშა ლაშარის ჯვრისაო,
 თუშეთს როგორ გასტეხამდით, განა კოკაა წყლისაო?
 ამ შეიარის მოშაირე ვერხოვანს ბანზე ზისაო,
 თუ სახელათ ვერ მიცანით, უქრმო ქალი ვარ ღვთისაო. 42

გუროჩი ბაჩაშაური

გუროჩი ბაჩაყაურო, შინ იჯე, შიშო მტრისაო.
 ბაქართას არ დაგიდგების მამკლავ ძმის ჩოთაიასი.
 წელთ ხმალი გება ფოლადი, მხარს თოფ გეკიდა სხვისაო.
 თლოშიაური ახლები ვერ გამოდიან ჩდილსაო,
 საც ბექის ძირი ან ტყისა, ბაჩაყაურ ხგონავ ზისაო.
 თლოშია ეუბნებოდა: საყელ შაუკრათ გზისაო.
 „საყელჩი არ დაგვენდობის, შავარდენია მთისაო“.
 დათვიას, გუდამაყრელსა, ნიავ ეშლების მთისაო.
 გულზე ნაკანქარ აწუხებს, ახურათ ყმაწვილისაო:
 სკოდნია გუდამაყრელსა ხელუკულმ ქნევა ხმლისაო.
 მოსყედავ, ბაჩაყაურო, დათვია დაგხვდებისაო,
 ლამაზად შინახიდი ნახეთქი თავრავლისაო,
 იქნები სახსენებელი ჩემი და შენის მკვდრისაო. 43

დადიღდა მითხოვლეგი

დადიღდა მითხოვლები¹, არ იყვნეს კაცის წარზედა,
 უღებლა ყრიან ლაშქარსა, დანდობა ქნიან ჯვარზედა.

¹ შეად. „მითხოვლებ გადიღებულა“, გვ. 53.

აქვს ნამყოფსა მუშასა ჩამოეხვიენეს სამზედა,
ლაშქართ კვირიკა დაუდგა გორგალაშვილი ძალზედა:
„ნუ გავიქცევით, — ეტყოდა, — ადგილ ჩვენ გვიდგას
ხმალზედა“.

ბრალ იყო კვირიკასა, არწივ დაკოდეს მხარზედა.
თოთიამ თოფი მაასწრო, მაყარ დაიბრუნ მკლავზედა.
შოკოროშვილს ქვე დაგიკრათ, სადილ თქვენც გინდათ გზაზედა,
გადაუყენა ყორნები, მისდიეს სისხლს კოლზედა:
„მოგვიტანილით ამბავი, მკვდარ ვისას მივა კარზედა,
ეგეც გაიგითია, რა რალ ვინ გვიყო ჯავრზედა“.
დედან იქაშლოს ატირდეს, ქალნ ამოვიდეს კარზედა. 44

არშას შაიქნა თქონთქორი

არშას შაიქნა თქონთქორი, სიმაგრე გათხტა კლდისაო,
ბაზალთ გივარგის დაკარგვა გასახაროა მტრისაო,
ან მტერთ რად გაუხარდება, ბძანება მოხდა ღეთისაო.
ერთმანეთს ეუბნებიან: „ფხა ამოვლესათ ხლმისაო,
ავისხათ იარაღები, ყელი შაუკრათ ხდისაო“.
წავიდეს ახალგაზრდები ცხრა შავარდენი მთისაო;
ლილღვის მთას გამომეზადა თორმეტი კაცი მთისაო:
„წავიდეთ ოხერ ხევისკე, კარები ვალთ ხისაო,
ცხენი და ძროხა გავრეკათ, ფარა სულ თეთრის ცხერისაო“.
აქებენ აფციურსა, ყმაწვილსა ცოტა ხნისაო.
ქოითით შამომდინართა თოლი ჰკრა შავარდნისაო:
„განსაყენით, ბიჭებო, ვისიც რომ ხმალი სჭრისაო“.
მაგ გოგბათ ნანას აქებენ, ყმაწვილსა ცოტა ხნისაო,
არა აქე ომის ხალისი, ქისტებზე ხმალსა სცდისაო.
ხულელთ ბეჟანას, ნაცადსა, მთელი ქვეყანა ხკვირსაო.
დისწულის გივარგისათვინ დედის ძმას ყელსა სჭრისაო.
გაბრიელს გაუგონია სახელი ჩვენის მთისაო,
მობძანდა, თქო: „გამარჯვება, მოსახელენო მთისაო,
ბაზალნო, მართლა გცოდნიათ ქისტებზედ დაცლა ხლმისაო“. 45

ვინა თქვა, — ენა გაუხმა, — თუშებში ბევრი ცხორი, ანდაგჩი შემოსულიყო თორმეტი ფარა ცხორი. საწყალ და თუშის ვაყებსა საწყინო ეტყვის მხარი: არ ვიცი ჩვენც წერაი, არ ვიცი ცხერისა ზარალი. უჩავრდებიან ძალღებსა: „ოხრათ წაჰკარით ჩქამი, ცოდვა, ჩვენ დაგვაძინებდი, ან თქვენით გიძევს თავი“. შუა ღამის დროს დეეცა დიდის ურჯულოს ჯარი. ბათურმა უთხრა გიგაურს: „ძმავ, წაასხეს ცხორი, არ მიგვიშვებენ ჯალაზნი, არ გვეტირებენ ქალნი, ჩვენ საქონელჩი გავწყდებით, ვაჟ მწყემანო, თქვენი ბრალი“. თქვენის დედ-მამის ცოდვითა ყელთამღო მოვიყარით! თითო შავსწირეთ მწყემსებსა, [ვაბრუნებინეთ] ცხორი, ორი ბათურსა შავსწირენ, — მოუტანოდენ წყალნი, ორი გიგაურს შავსწირენ, — მოიყვან იმის ყმანი! ლუთხუმის კევსა შამოჩნდა ლურჯაი პიროფლანი, ლუთხუმით გარდმაციქირენ: ვინ მოდის დოვლათიანი? ცოლმა შააგდა ანდერზა: ჩვენი მეცხორის ლურჯას გავს, ვაი თუ დავრჩი ტიალი! წამაეგება დედაი, თმათეთრი, ჭადარიანი, მადლობა ღმერთსა შასთხოვა, — შვილი მამილა ცოცხალი! „დედავ, საილა მაგივენ, მაგივენ სარცხვილიანი! ბორკილაჩიგა წაგვისხეს ფოცხორისშვილის ცხორი, თელეთით დახვდა დავითი, ჩალა[დ] დაყარა მკვდარი, კმლითი მარეკა გაბედა, ვაჟმა დაზოგა თავი!“ 46

ხ ა ხ ა რ ე

მინდორჩი ერთმა მოყმემა სიზმარი ნახა მხრიანი: „მანდ ცხორი ღამეხოცება, მანდ ჩემი მწერელი არი!“ ხახარემ* ცხორი აპყარა, მიჯრელი საში დღე არი, ადგა და გამაიმართა ბედრიან-დოვლათიანი. ლუთხუმის ჭალას შამოჩნდა ლურჯაი პიროფლიანი: „ლურჯავ, გაიწი შინათკე, ჩქარა, დარჩები ტიალი!“

გადმოსცქერს მთელი სოფელი, — ვინ მოდის დოვლათიანი?
 ადგა და ცოლმა გახედა, სიტყვა რაიმე თქვა ჭკვიანი:
 „ჩვენი მეცხორე ცხენს შაჰგავს, ვაჟი დავრჩე ტიალი!“
 წინ რძალი ჩემევეგება, მადლიანი და ღვთიანი:
 „მაზლო, დაჯე და მიაშბე, ცხორჩი რა ამბავი არი?“
 — „მე ცხვრისა არა ვიცი რა, ჩემი ღღე მიჯრილი არი“.
 — „ხანარეს გაუცხელეთ რა, ხანარე ნამგზავრი არი“.
 — „ხანარეს არა უნდა რა, ლოგინი უნდა მცვრიანი“.
 როცა ხანარე კვდებოდა, ცა ქუხდა, მიწა ტყვრებოდა,
 მასკვლავებ ჩამადიოდა, თორე უკულმა ცხრებოდა,
 ხანარეს ცოლი და შვილი სულ ცრემლჩი ცხვრიშებოდა,
 ლუთხუმის ქალი და რძალი შავს ტალავარჩი სხდებოდა. 47

ცოლი მთხოვა, არ მივეცი

შავნაბადელსა* მიქებდნენ ცუდსა და ავი ზნისასა,
 ორნი იქ შევიყარენით სამზღვარსა მუხრანისასა.
 პურსა მთხოვდა და ვაჰმევედი, — ვურჩევდი ქაბაზისასა,
 ხორცსა მთხოვდა და ვაჰმევედი, — ვურჩევდი კაკაბისასა,
 ღვინოსა მთხოვდა, ვასმევედი, — ვურჩევდი ბადაგისასა;
 ცოლი მთხოვა, არ მივეცი, — ჩემი ვარჩე სხვისასა.
 [გადაეხვია, აკოცა ნაწნავსა გიშრის თმისასა;
 დაიწყო ქალმა ტირილი: „ვაჟი მე უღონო ქმრისასა!“]
 ლეკურსა ხელი მოვიხვი, ნაბოძებ ცოლის ძმისასა,
 ცხენი და კაცი გავწყვეცი, წვერმა უწია ქვეშასა;
 ერთი იმანაც გადმომკრა, რისხვასა ჰგავდა ღვთისასა;
 იმდენი კიდევ დამცალდა, ცოლი გავგზავნე ძმისასა.
 ორნივე იქ დავიხოცენით, სამზღვარსა მუხრანისასა. 48



ავსა გზას შევიყარენით სამზღვარსა მუხრანისასა*,
 მკითხამ და მეც მოგახსენებ ჩემსა და ქინცრადისასა.
 ღვინოსა მთხოვდა, ვასმევედი, ვურჩევდი შაფანცკისასა,
 ხორცსა მთხოვდა და ვაჰმევედი, ვურჩევდი ხოხობისასა,
 პურსა მთხოვდა და ვაჰმევედი კარგსა და თათუნისასა,

ცოლი მთხოვა და ვერ მივე, ჩემი ვირჩივე სხვისასა.
 არ დაიშალა, აკოცა ნაწნავსა გიშრის თმისასა.
 ამიტირდა და ქალმა თქო: „ვამ ქალ დანდობსა ქმრისასა!
 ვაჟკაც რო ცოლი წაართონ, მიჰყვანდეს სიღვდრისასა!
 მოდი და ქალი ქმარს ენდოს, დახე იმედსა ქმრისასა!
 ამისთანა ვაჟი კაცი ქვეშა მოექცეს მიწასა!“
 ვაჟკაცმა ყური დაფუგდე მე ჩემი ცოლის სიტყვასა,
 ისეთი გული გამიხდა, მორევსა ჰგვანდა ზღვისასა.
 ხელი გავიკარ ფრანგულ ხმალს, ნაჩუქებ ცოლის ძმისასა,
 დავჰკარ, შუაზე გავწყვიტე, ხმალმა გაუსო ქვიშასა;
 ერთი იმანაც გადმამკრა, ლახვარსა ჰგვანდა ღვთისასა,
 ორნივ იქ დავიხოცენით, ქალი წავიდა ძმისასა.
 რო ვჰკვდებოდი, ვინანოდი: რასთვის დავდექი შარზედა,
 ორივ ქალმა გვინაცვალა, ხელი გადადო სხვაზედა.
 ის კაცი ცუდი იქნება, ვინც დადგეს ქალის ჰკვანება. 49

სულ მუღამ, ღუღუშაურო

სულ მუღამ, ღუღუშაურო, შკამს იჭე ერისთვისასა,
 არ გაგიშვია ფრეხელი¹ კევეს მიმავალი დისასა.
 ცხენი სთხოვე და გიბოძა, შვილდს რასღა სთხოვდი რქისასა?
 შვილდი არ დაეთმება, ნაპირს სდგა ადგილისასა.
 გადმაუბრუნა, გულსა ჰკრა მაგ ბატონს აჩხოტისასა:
 „აქამდის სჰამე აჩხოტი, ახლა მე გავმევე ქვიშასა!“
 კურელის ყანა[ს] გამორბის, გაელეზას გავს ცისასა.
 მოზდევენ ღუღუშაურნი, რისხეასა გვანან ღვთისასა,
 კარნი არ დახედეს ღიანი, ვამ გულსა ფრეხელისასა!
 ახლა იმ სახლსა მიღმართა ქერ-ბელელა[ის] ბიბასა*:
 „ნეტარ არ შაიხვეწება ძმისა მამკლავი დისასა?“
 — „შამოდი, შაიხვეწება...
 ნუ მოზდევე, ჩემნო მამულნო, ნაწნავს ნუ მამჭრით თმისასა!“
 არ დაუშალეს, მოუკლეს, საკომით² უკრვენ ისარსა.

¹ ორ სხვა ვარიანტშია: მფრეხელი; ორში კიდევ: მთრეხელი.

² საკმელი.

ამბობენ წამოქცევასა ახალციხურის კლდისასა,
შიგ დატანასაც ამბობენ ქერ-ბელელაის ძისასა*. 50



შიულამ ღუღუშაურმა წამამატანა ძალიო,
ახლოს ჰქვენიყო წისქვილი, შორით მათგდო წყალიო. 51

პარკუჩას ბალათერაი

კარკუჩას ბალათერაი ღამე წამოვა დილითა,
ქოთათნი ბეგნი აივსნეს ქომაციხლების მზირითა,
გადმსხდარან გზის თავ, გზის ძირსა გადალესილნი რკინითა.
გადაუფრინდა ბალათერ,
ზოგნი ჰრნა, ზოგნი დახოცნა, ზოგთ დაეხწია ჰირითა,
გადაუვიდა დედასა გაცინებულის პირითა,
გადაუშალნა ქოჩორნი გადაპოხილი ტვინითა.
ბალათერაის ღედამა თმანი დაიჰრნა ძირითა:
„რაზედ გაგზარდე, ბალათერ, რათ გავიტიე შინითა?
პური რომ მოგშედებოდა, ბოლტსა ყლაპავდი პირითა,
წყალი რომ მოგწყურდებოდა, სისხლს სომდი ჩაჩქნის ჯამითა.
ბიძამა ხმალი არ მოგცა, ვერ გაძღა შენის ჰირითა!“ 52

შარუხ მამა და სნოს ციხე

შარუხ მამა და სნოს ციხე სულ დგანან მუქარაზედა.
შარუხმა შამოუთვალა: „წინ მემეგებე გზაზედა,
ჩამშას! ჩააბი ცხენები, ნუ ეეგები ხმალზედა“.
გაწყრა, გაჯავრდა სნოს ციხე, წისქვილს იბრუნებს თავზედა:
„ვინ იყო, ვინ შამამწონა?, ეგ დღე ვინ მისცა ჩემზედა?
ცამდი ვარ ამალღებული, მეთოფე მისხედს ჯარზედა.
სიმგვირგვლივ გურჯი მავლია, შალესილი ვარ ტანზედა!
შენც მამაცალენ ცხორანი, მეც გაგაწითე ტანზედა,
სირცხვილით გარდაგავლიე მაგ თრიალეთის მთაზედა!“ 53

¹ ყანები სნოსთან.

² გამიბედა, სიტყვა გამისწორა.

უორანო ჯავარიანო

უორანო ჯავარიანო, მთასა ჩააელე თოლიო,
დავითი თუ არცა ღნახე, ნამგალა იყო ჩემიო.
წყლის პირზე მაკლეს თათრებმა, გზის პირს დააგდეს მკვდარიო,
სამი ღლე უორანი ხავის, პატრონი არცად არიო.
მეოთხეს ღლეზე მოუდგეს დავითსა თავის ძმანიო,
მისელაზე თათარი მაკლეს, დავით შასწირეს მკვდარიო.
ლამას გასაჯე ჟულძადლი, აზიდვინონო წყალიო,
მწყემსებს ნუ შააწუხებ, აბრუნებინე ცხორიო.
ქალმა გაიგა, შასტირა, ლურჯას დააკრა ნალიო,
წელ შანაირტყა კმალიო,
შაჯდა და ეგრე წავიდა, როგორც დაღბეროს ქარიო.
შე[მე]ეყარნეს თათრები, ისენი სამნი ძმანიო,
ისენი სამნი გაწყვიტა. იქ ეერივნეს გზანიო.
დაჯდა, დაიწყო ტირილი: ვაჟ დედიჩემის ბრალიო!
თავით დაუცეს ალაში, უბრიალებდეს ქარიო,
ფეხით დაუბეს ლურჯაი, — დასტირის, როგორც ქალიო. 54

ივანე ერისთვისის შვილი

ივანე ერისთვისის შვილი წავიდა მამის მწყრალათა,
ავჰალა ჩინადირა, ქალაქს ჩავიდა ჯანათა.
ხემწიფე კარზედ დაუხვდა, შორით აძღვედა სალამსა:
„ემწვილო, რამ მოგაცვანა, ვისზედ წამახვე მწყრალათა,
ირემო, მთასა გაზდილო, რამ ჩამოგაგდა ბარათა?“
— „მთას გახლდი, მთას გავიზარდე, ეხლა გიახელ ბარათა“ .
ფიცხლავ შინ დაიპატიჯა, დაისო ხალიჩაზედა,
ქამარ-ხანჯალი აჩუქა, ტარი დაუწყო ლლისა.
ერთმა ვინმე ურჯულომა საწამლავი შეაპარა,
ასეთმა სიხსლმა დახეტქა, ჩოხა შეღება შავათა:
„ამყარეთ თოფ-ჩარალი, მღვდელს მიეც საწირავათა,
თინათინ ასეთს კაცს მიეც, მე მჯობდეს ყველაფერშია,
ის ჩემი ციხე-ქალაქი თან გაატანეთ მზითვათა“ . 55

გუგუა ყამარაული

ნეტარ ვინ მოკლეს ქიშტებ[მა], ნეტარ მა კევის წყლისაო,
გუგუა ყამარაული ოცდათორმეტის წლისაო.

სალამოს პირზე დეცა ურჯულო ქიშტის ჯარით:

„გუგუა, უკან გაბრუნდი,

შენ ეოთი ბიჭი ღმძანდები, ჩვენ ბევრი ქიშტის ჯარით“.

არ დაიშალა გუგუამ, თოფს დაუპირა ტალიო.

ხუთი ესროლეს გუგუას, ხუთი სჭირს ნატყვიარიო,

ორი წინათ მახვედრია, სამი ბეჭებჩიცი არიო.

ახლა გაჯავრდეს ქიშტები, თავს დაიხურნეს ცანიო,

ორი გუგუამ მოუკლა, შინთეკენ მიაქვ მკვდარიო,

ერთურთი ჩხუბად გაუხდა: წამასვლა შენი ბრალიო,

ან მოვლენ ამხანაგები, ან მოგვეწევა ჯარით.

შიტყვეს ამხანაგებმა მინდორჩი თოფის კომლიო,

ყველამ თოფს ხელი დაავლო, ვინც თოფის მხმარი არიო.

ცხვარს კი არა აკლია რა,

თოფისგნით დაშინებული მინდორ შაკრული არიო.

ახლა გუგუა მონახეს, მინდორზე იწვა მკვდარიო,

აიღეს და წამაიღეს, ბინაჩი მააქვთ მკვდარიო.

სამი დღე ბინაჩი იყო,

მეოთხეს დღეს წამაიღეს, ძაუგჩი მააქვთ მკვდარიო.

ეგ ჩქარეული თომაი ეგეც ძაუგჩი არიო:

„საით მახველით, მწყემსებო, რას ჯავრიანათ ხარიო?“

— „ჩვენი გუგუა მაგვეკლეს, შინთეკე მიგვაქ მკვდარიო“.

თომა გაიქცა დუქნისკე, ჯიბას გაიკრა ხელიო,

სასმელი გამაიტანა გუგუას შასანდობარც:

„ყველამ შანდობა უთხარით, — სახელიანი მკვდარიო“.

ლარსი იქ გადმიაარეს, წვრილად რომ მასტქვეს ღხინიო. 56

ი მ ა ს ე ბ ა ი

ქვეს ვინლაც ივასებაი, მიდორს ბუბუნებს ჯარიო,

არ იარება დაბალზე, მთის წვერზე დაქნა გზანიო,

ქალაქს დაწყვიტნა სომხები, გუდამაყარს ქნა ძალიო,

ქმოსტ-როჩხას! ჩამაჩვეულა, როგორც მუჯაზე² კარიო;
 წისქვილჩი მჯდომსა ქალასა თავს დასცემია ქვანიო.
 ქალმა დაიწყა ტირილი, არხოტს შაყარა ყმანიო.
 კერხოჩი³ მსხდართა ვაჟათა მუქლჩი ჩაუჯდა ქარიო,
 დასქარბდა ერთი კევესური, ყოფილა ქალის ქმარაო.
 ხკითხავდა ივასებაი: ყმაწვილო, ვისი ხარაო?
 „რას მკითხავ, ივასებაო,
 შე რო ქალს ეხუმრებოდი, მე ვარ იმისი ქმარიო“.
 შამახკრა ივასებასა, გზის თავს შამაწვა მკვდარიო,
 არც ვალი მაგას გაუყვა, მასჭრა მარჯვენა მქარიო. 57

თვალი დაგიდგა, ივანე

თვალი დაგიდგა, ივანე, სოფლებში ვეღარ იარე,
 ხევესურმა ხანჯალი შეგცა, ყირაზედ გადაიარე.
 მოსულიყო დედა შენი: „ეგ რა მოგსვლია, ივანე?“
 — „ნუ სტირი, დედა, ივანეს, ეგ შვილი დაგიჭკვიანე.
 სხვისა ცოლი მონინდომა, თავისი გაუუტიალე“.
 ანანური თავს დაიეც, უპრავა შააგრიალე,
 შაშვივით პირი დააღე, ვირივით დაიღრიალე! 58



გუდამაყრელო ლეგაო, მოდინხარ ნება-ნებაო,
 ანანური^{*} რომ ჩამოხველ, ივანე დაგიხვდებო.
 გაძლია ორი აბაზი, „ოჟო⁴, დამეხსენ, ივანე!“
 არ დაიშალა ივანემ, ხანჯალი გაუწკრიალა.
 თუშეთით მოდის ბებერი: „ვამე, ჩემო ივანე!“
 — „რას ტირი, ძაღლო ბებერო, ივანე დაგიჭკვიანე;
 ჩემ დიაცს მეცილებოდა, თავისიც გაუუტიალე!“ 59

¹ სახელი თემისა სნოს სათავისკენ.

² მარილზე ან საბალახზე ერთ ადგილს მიჩვევა ხარისა.

³ სოფელი ქმოსტროჩხას თემში.

⁴ ვაჟო.

ივანელა ნაიზაისძე

ივანელა დიბაისძე მაღალიც დაბრუნდებაო,
„მხარმა დამწვა და დამდაგა“, ამხანავს ეუბნებო,
„თქვენ თქვენი იცით, ბიჭებო, მე ჩემი გარდამხდებო“.
ომია ყირვინის¹ ბოლოზე გაუთენებლით დილითა,
შიგ ბრუნავს ნადიბაისძე, კმაღსა იქნედა პირითა,
ზოგნი კი გაუწყვეტიან, ზოგნი წასვლიან ჰირითა,
რაც რომ წასვლიან ჰირითა, სისხლს ამოღვრიან პირითა. 60

დ უ ლ ა რ ი

პირველ იყივლა მამალმა სამჯერ სახელი ღვთისაო,
ჯერ გათენება არ არის, ხმა მოდის ზარებინაო.
ღმერთმა აცხოვნოს დუღარი, ის ანგელოზი ღვთისაო,
არჩილის ციხე აიღეს ლამაზი ღუსღებითაო,
ოთხ კუთხივ ჯარით გადუსო ჰეჰა და ზარბაზნითაო.
დავაზიანეს, დუღარო, ერთგულს ხემწიფისაო,
მეწყინა შენი ზიანი, ცრემლი ჩამომდის პირსაო.
დუღარსა დედას უქებენ, მლოცავი იყო ღვთისაო,
წელზე რო ხმალი არტყია, ყუა სჭრის პირისაგანო.
კემერგო შემოირიგე, ყაბართო მოგცემს პირსაო,
ჩაჩანსა გადაემტერე, ნუ დააძინებ ძილსაო.
დღისით მოსტაცე ნახირი, ღამით ქალ-პატარძალიო*. 61

მეცხვარეობა მინდოდა

მეცხვარეობა მინდოდა, ცხვარიც ხომ მო[ვ]ამრავლეო,
ქარდანახული ივანე ჯერისთვინ გამოვგზავნეო.
მარტოკა დავრჩი ბინაზედ, ღმერთ ხელი გავეშალეო.
ოსებმა ჩამოიარეს: „გამარჯვება, მეცხვარეო!“
არც გამარჯობა ვუთხარი, არც შუბლი გავეშალეო,
ფიცხლავ რომ თოფსა დავავლე, ფალია დავადევნეო,

* მყინვარის შთა.

სამი მოვეკალ, ორც დავეკერ, თავიც ხომ ვინაცვალეო.
შენი ჭირიმე, გიორგი, დათიკო გენაცვალეო,
აქ ნუ დამმარხამთ ლეკებში, შუა მთას გადმიტანეო,
საცა ბეწვის ხიდი არის, იქ ფრთხილათ გამიტანეო,
ჩემი ცოლი ორსულია, იმასთან მიმიტანეო,
იმას ბიჭი გაუჩნდება, დაუძახეთ მეცხვარეო. 62

ჯანიყო ნაზლაიქა

ჯანიყო ნაზლაიქედ, ყველა შამხვედრო ჭკუისაო,
ყველა გწყალობდა ბატონი არაგვისა და ქსნისაო.
შე რო შვილები გაზარდე, თავადებია მთისაო,
გისხედან დაკმაზულები ერისთვის მუხლის ძირსაო*.
შიო უკრავდა ჩონგურსა, თან ბერი! დაეტყვისაო,
პატარა ბიჭის ჭირიმე, მონაწილეა ღვთისაო. 63

თაბაის ქალი

ქომამ წინ დასძრაო², წავიდეთ საშოვარზეო,
გერგეტს მივიდეთ სოფლადა, გავეღათ ბოსლეს კარიო,
შიგათით გამოვიცვენოთ ფირან თაბაის ქალიო.
ქალმა გაიგა, ატერდა, შინ არა ჩემი ქმარიო,
უკიბოთ ჩაქდა ბოსელსა, მოასწრა ბოსლის კარიო:
„აცადე, ოსო, ვერ გახვალ, ლუღუშაური ვარიო!
მოდეგით, გერგეტელებო, ქალ მე გაუკრენ ხელნიო,
წელთ იარაღი აეყარე, ტანთ დავაწყვიტე კმალიო“.
გაუმაგრებან გერგეტი, ხატი და ხატის კარიო,
ამაუშვიან ციხელნი, ზედ შემოუვლან ყავლნიო.
ქევურმა მოკლეებმა საღმერთო დაკლან კარიო.
კომლზე მოკრიფან ბეგარა თითო შიშაგი ცხორიო.
დავლათი ლუღუშაურთა ღვთისგნით აქვს ნაბოძვარიო,
მოკვდეს, წავიდეს იალი³, ერგნეს სამოთხის გზანიო,

1 სახელი.

2 აქ სიტყვა აკლო.

3 ბედისწერა.

სამოთხის კარსა მინათლა, ჩაუძღვეს ხუცის ჯარიო,
დავლათი ღუღუშაურთა ღეთისგნით აქეს ნაბოძვარიო.
დაგბერებიათ მარტია, ახ ო რა დიდი ბრალიო,
ბრალია მარტიანისი, სიბერემ უყვის ძალიო,
არ იჯდეს თავის თავლაზედ, მაღლა ნიქონდეს თავიო,
არ იღგეს ბატონის კარზედ თავადთან შესადარიო.
თათარას ყაზიესასა არწივს მიუგავს მხარნიო.
მაგა ლექსისა მათქომი მამის დედული ვარიო,
დარეჯან, ერთი შარვალი, თუ გიყორს შენი ქმარიო.
ან დედიშენის სამშობლო, ან ღუღუშაურთ გვარიო,
ან პაპაშენი ფერანა, ლეკების მემოარიო. 64

გუდან ხკაზმევენ დროშათა

გუდან¹ ხკაზმევენ დროშათა, სალაშქროთ ლამევიანიო,
შასხემდენ ჩუჩაყურსა² შალვასა, შაჰხდებიანიო.
ახლები წყალს-იქითლები როშკის გორს გროვდებიანიო,
ელიან ხახმატელებსა, ცხენ არცად მოიდიანიო,
დილაა თირთვილიანი, საძელეს³ გარდივლიანიო,
ჯუთას ჩადიან ჯვართანა, სიმღერეს ჩაიტყვიანიო.
წაღმ ჩაპყევ ჯუთის გიორგი, საკარყმოს⁴ შენდ იტყვიანიო.
მაქევებ კვირობდიანიო, კევსურებ სად მიდიანიო.
არშას⁵ მიდიან კევსურნი, სადილათ სნოს მოდიანიო,
სნო-ახალციხე გატეხეს, კარკუჩს⁶ ცხენთ გაგალიანიო,
არშითა ყრილან ყორანნი, საძელეს ბუდობდიანიო,
ქელი და კმალი დალოცეს, — „მშიერნი დაგვაძდიანიო“.
ბარაქელ კევსურთ შვილებო, წინეთაც აგრე ქნიანიო! 65

¹ სოფელი.

² კაცის სახელი.

³ მთა.

⁴ საკარყმოს.

⁵ სოფელი.

⁶ სოფელი.

თავს კადა, ბოლოს ცხავატი

თავს კადა, ბოლოს ცხავატი — შეყრილა დიდი ერია,
ძმამ ძმასა მისცა პირობა:

„ავდგეთ და იქით წავიდეთ, საცა მოგვივა ქერია,
მუნესოს¹ ვჰსჭამოთ სადილი, წორბლის მინდორი გრძელა“.
იქ დახვდენ ფშაველ-ხევსურნი, ეგ უსამართლოს მქნელნია:
„ცოლ-შვილი აქავ გაუშვით, თქვენ შინავ წადით მთელნია“.
— „არ მოგცემთ ცოლსა და შვილსა, არცა ჩვენ წავალთ
მთელნია!“ 66

ორხევეში მეცხვარეები

ორხევეში მეცხვარეები სანგალსა ხვევენ ცხვრისასა,
ერთ მეცხვარისას ამბობენ, — ხავილს გაჰყვება შვლისასა.
გადმოეშალნეს ლეკები, გულს ვერა ხედვენ ყმისასა,
თორმეტ შუაში დაბრუნდა, პირს დაიბრუნებს მგლისასა:
„ნუ მომკლამ, ალი მაჰმადო², ვერ იქამ სიმართლისასა,
დაგიხოცთ ბიძა-ძმისწულთა, არ გაგიფერებ სხვისასა“.
ქარში გაჰკვირდეს ლეკები ცდას ხუტით³ ქავთარისასა,
თოფის სიმართლეს უქებდენ, ნაჭერსა ფრანგულისასა,
თიანეთს თიანელები — ცოდვა-ბრალს მაგის დისასა:
ჩამოსდგომიყო ქალასა, გულზე იყრიდა ქვიშასა. 67

დავსწუხდი ჩემის ქმრისაკენ

დავსწუხდი ჩემის ქმრისაკენ, როგორც მუშაი წყლისაკენ.
დილაზედ გამოვალიკე⁴, ვიცქირებიკე მზისაკენ.
მგზავრიც არცად დავინახე, თოლნი ამომშრა მისაკენ,

¹ სოფელი.

² ლეკების ბელადი.

³ გვარია.

⁴ კე — ხოლმე.

არ ვიცი, მოკლეს ლეკებმა, არ ვიცი მიდის მთისაკენ.
მურღლად ლეკნი ვერ მოჰკლავდეს, კელს წაიღებდა
კმლისაკენ.

სულ დაჰკაფავდა ლეკებსა, არ მიუშვებდა ცხვრისაკენ.
უფროსი მაზლი გავგზავნე ბაზარზედ ფაიტენისაკენ*,
შეამბევინე ცხენები, კმანი დავყარე ღვთისაკენ,
დავჯექი, დავსწერე წერილი, გავგზავნე საყორლისაკენ:
„რით არ მოგინდა სახლობა, ან არ დასწუხდი ვისაკენ,
ან შენი ძმანი არ გინდა, ან შენის მეუღლისაკენ,
ან შენი მაზლი-წულები, ან შენის კაის რძლისაკენ?
ეხლა ბეჯითად გეგონოს, მოვდივარ შენის ცხვრისაკენ,
მთაჩი ნუ მომილოდინებ, ჰალაზედ მოვალ წყლისაკენ,
დავიდგამ წითელს კარავსა, კმას დავპყრი მეცხორისაკენ,
მზემდენ კი მოგილოდინებ, მემრე კი წავალ წყლისაკენ,
გარდავარდები წყალჩიგა, წამიღებ ღიღის ზღვისაკენ,
ან სად გამიტანს რიყეზედ, პირი დამრჩება მზისაკენ,
მაშინ კი არას ვინაღვლი, თუ მოგველი ჩირდილისაკენ;
ან გველი შამჰამს, ან ფსვენნი, ან თევზი დამთროს წყლისაკენ.
ან მომთხრის ყორანი თოლსა, ან დიდ არწივი ხისაკენ.
რად გინდა ჩემი ზიანი, ქალი ვარ გიშრის თმინი,
რომ იცნობ ჩემსა ლაწვებსა, მთორეზედ მთავარი არი.
მეც მენანები მაგითა, ღონე გაქვს დიდი ძლიარი,
ვაეკაცი გამოსავალი, სუყველგან იმედიანი.
ტანი გაქვს ალვის ხესავით, გულისპირ ჯვარ-მედლიანი,
შენ რომ შახოლკე ომჩიგა, ლომივით იცი ტრიალი,
ხმაღს რომ შემოჰკრავ ლეკებსა, შინ მოდის მაგის წკრიალი.
ლეკი რომ იდგეს ფეხზედა, თავი მიგორავს თმინი.
ეგ შენი უმრავი ფარა ცხოსთან² გაქდება ზიარი.
ბევრი გაძლება ნადირი, პირ-მურა, მუტეღ-მშვიარი,
ბევრი ყორანი გაძლება, სულ შავი ნისკარტიანი,
ეგ კმალი გატიალდება, ფრანგული ცხრა-ლარიანი,
ეგ თოფიც გატიალდება, სიათი პირ-კომლიანი,
ეგ ცხენიც გატიალდება, ლურჯაი ნალ-ქაფიანი.

¹ მთვარე.

² სხვასთან.

დავიხოცებთ ორნივე, პირი წაგვყვება წყლიანი,
არც ვინ ობოლი დაგვრჩება, არც ვინ გვყოვს დედმამიანი. 68

ალოშკა გოდათა

შორად წავიდა ამბოვი, ქება მაგ კაი ყმისაო,
ოსმალში თუშის მწყემსებსა სანათქმელოდ აქვს ისაო,
ე მაგისთანა სახელი არ გადმოსულა მთისაო.

იტყვიან სტეფანწმინდასა, სოფელი არის გზისაო,
ორპირად არის ერობა, მადლი ტრიალებს ღვთისაო.

მაგათი ბერი კაცები სუღნია ქემწიფისაო,
მაგათ რიგსა და საქმესა ყველაი კაცი ჰკვირსაო.

გამოვლენ ახალგაზდანი, ანგელოზნია ცისაო,
მაგათ უჭირავს სიმაგრე ყუროცსა და კლცაო¹,
ჩუმაღ იციან მღვვარი, წინაის მოვლა მტრისაო.

ჰკვიანის კაცის ნათქვამი სიტყვა ძვირფასად ღირსაო.

ოჯახს უტდების ქონება, ვაჟკაცს სახელი ცდისაო,

შეიკმაზება ცუდაი, მოილამაზებს პირსაო,

მარჯვეჩი კარგი ბიჭია, მარჯეჩი არად ღირსაო.

დედამ გაზარდას ეგეთი, ერთი ათასად ღირსაო,

მოკითხულობა მიაართვით თათარეთ ქალის შვილსაო,

ალოშკას გოდათასა², ნუ გეგონებთ ცხვისაო,

სულ თემის საპატოა, გორჩი³ შუქია მზისაო,

სახელის გულისათვინა ჰყრიდა ცოლსა და შვილსაო.

ქოითით⁴ მოსდის ამბოვი თავის დაჭრილის მტრისაო:

ჩამოდი, თოლი დაავლე, ნუ ჰფიქრობ, არა სკვირსაო.

ეგ რომ ალოშკამ გაიგა, სიცილი მოსდის პირსაო,

დედაი უჯავრდებოდა: „ახლაც არ მოგვხვდა ჰკვისაო?“

— „ნუ სჯავრობ, ბეჩავ დედაო, — დედა სულ ჰბრალობს

შვილსაო, —

ჩემი ნაქნარი საქმეა, ველარ მოვატდენ ტყვილსაო,

¹ ყურო და კლე მთებია.

² ალოშკა გოდათაი — გორგი და დიმიტრი ყაზბეგების მოურავი, თავისი პატრონებით განთქმული მთელს ხეში. გარდ. 1888 წლის მკათათვეში.

³ გვარში.

⁴ ქისტებიდან.

ჯერთა თქმა, მერმე გადათქმა, ვაჟკაცს არ შეენის ისაო.
იმიტომ წავედ მდევარჩი, აგემ მოვასწრო ვისაო,
სოფელს ვაჭმია სახელი, გული გავხეთქა მტრისაო“.
ემაგან დააყრევინა ცხენები მემცხორისაო,
ამხანაგებიც კარგი ჰყავს, არ გაუტეხენ პირსაო.
ამა ლექსისა მოთქომი თუში ვარ, წყემსი ცხერისაო,
ზაფხულის თრიალეთზედ ვარ, ზამთრის — ალაზნის პირსაო,
მიყორს ვაჟკაცის შექება, ეგ ხასიათი მჭირსაო.
მთქმელსა და გამგონებელსა წყალობა გქონდესთ ღვთისაო. 69

მთის ინარალი მამკვდარა

ამოთქმა მერცხლის ენაზე, ბედი ვახსენეთ ღვთისაო,
მთის ინარალი მამკვდარა, სადარი ხემწიფისაო,
დები უტირის ძალზედა მაგ ყაზიბეგის შვილსაო.
მოხსენებია ხემწიფეს გადაცვლა ინარლისაო,
გარეთ აღარ გამობძანდა, მოწყენით რასმე ზნსაო.
ტახტი თავადის ვაჟები ცრემლით იბანენ პირსაო,
ტირიან არაგვიანნი, კარი შეგვეხსნა გზისაო.
ჩაჩანჩი ჰკითხეთ შამილსა პრიალი მაგის ხმლისაო,
დაბრუნდის ოქრო-რქიანი გმირი წინ არს უამისაო,
საცა შაგვეძლოს ომჩიგა ყველა სახელი ქნისაო,
მორეკის გამარჯვებული მილიციიი მთისაო.
ბრალია მაგათ ფაცოსა! მიწა უშლიდეს პირსაო,
ხემწიფის ტახტზედ გაზდილი, პადპალკონიკი მთისაო.
ბევრი ეგეთი უხდია დავით სვიმონის შვილსაო,
ნიკოლოზიც კარგი ჰყავ, ამხირებელი მტრისაო;
კარს გალაგნები მაივლა, ქარშა სრა მაგის პირსაო,
გარშამო ფანჯარაები, სანათობელი მზისაო.
დასავიწყარი არა ჰყავს შვილსა და შვილის შვილსაო.
ბევრის ცხოვრების პატრონი ეგ მძიმე საძირკვლისაო,
ნეტარ ვინ შამიტყობნებს სანდროს*, ინარლის შვილსაო.
მაგა ლექსისა მათქომი ძველს კაძარმაში ზისაო,

* „ამილახვრიანთ ქალი ჰყვანდა“:

იმიტო დაედე იტაბჩი, ვალი მემართა ცხვისაო,
ერთი საწყალი კაცი ვარ, კიდევ შიში მაქვს მტრისაო..
ვერ მოგახსენეთ ქებაი, რაიც თქვენ გეკუთვნისაო. 70

დ ე მ უ რ ი

ადგა დემურ, შეიკმაზა, ტანთ ჩაიცვა საომარი:
„თუშნო, კარგათ მოიხმარეთ სამკლავი და საბუხარი!“
თუშნი უკან გამობრუნდნენ, ვაჟ ქიზიყო, შენი ბრალი!
აქ ქიზიყურმა ბიჭებმა დააყენეს სისხლის ღვარი,
ამ დემურმა ასი მოკლა, მემრე დემურს მოსჭრეს თავი.
დედას კაცი გაუგზავნეს: „შენი დემურ მოგდის მკვდარი!“
— „ჩემ დემურსა ვინ მოკლავდა, ხმელეთში განთქმული არი!“
შაჰკივლა და გამოვარდა, გადაყარა გიშრის თმანი:
„ვაიმე შვილო დემურო, რა დროს შენი ომი არი!
შაბათს ქორწილს გიპირობდი, უნდა მომეყვანა რძალი
მოდრუბლული ტახტი მიდგა, ოქრო-მკედით მოქარგული,
შიგ მიზის ბატონის შვილი, შავთვალწარბა თეთრი ქალი,
იმას რო გაეცინება, მწვანეზე მოეფინება,
სიტურფით და სილაამაზით მტვერი არ მიედინება!
შიგნიდან მოვის პერანგო, გარეთ შაკრულო დილითა!“ 71

გიორგი ავთიაშვილი

გიორგი ავთიაშვილო, შავარდენი ხარ მთისაო,
კარგო მხვნელო და მთესველო, მსახურო ერისთვისაო,
სახლკარი მომართული გაქვს, კოშკი გიდგია ხისაო,
ახვალ და შიგ დაიძინებ, [არ გეშინია] მტრისაო.
ხურვალეთ ჯარი მოსულა, ლეკია დაღისტნისაო,
შენ ჯარი შემოიხვიე პატარა ლიახვისაო.
გამოგვინიშნეს, მოგვიკლეს გიორგი ალვის ხისაო,
იმედა ბურღიაშვილო, შენა ხარ ჩვენი ხნისაო,
ეს იარაღი აპყარე, ნუ დაუყარგამ შვილსაო.
ტახტი დავდგი და დავადგი გუმბათი ვამარიანი,
ზედა დაუწყე ლოდები, ვერცხლია ანუ ხიანი,
გვერთა უსხედან მთვარენი, ქაღნი პირმარეხიანნი. 72

ხელთუბანზე ჯარი მოდის

დამდეგ მარიობისთვისა გვიბნელებენ ჩვენსა მზესა.

ხელთუბანზე ჯარი მოდის თარაქამა ოსმალისა,
ჯარი არის დაღისტნისა.

თავადები მოუძღვიან, მსახურებიც ერისთვისა,
მიხეილი ბელადია ქანჯრობისა, ავი გზისა.

ხეობაში ჩამოვიდა, წიგნი მოეგება ძმისა;

წაიკითხა, შიგ ეწერა შეწუხება როსტომისა:

„ვაიმე ძმაო, დაკარგე, ველარ ვიხილავ შენს პირსა,
მე ძილსაც ვერ დავიძინებ, ქართლზე ვიღებ შენსა სისხლსა!“
ლაფში ცხენები ჩაყარა, ვერა გაიგო რა გზისა.

ალიქსანდრამ შეუტია:

„შე გურჯო გაულიშვილო, რაზე იღებ ჩვენსა სისხლსა?
ეგები მუხანათი ხარ ჯარისა და ბელაქნისა!“

მიხეილი ეუბნება: „ფიქრი ნუ გაქ ნურაფრისა!

საერისთოს ბატონი ვარ, წიგნები მაქვს ყველა მხრისა,

ტერ-მოსესა ცოცხალი მყავს, ის ამბავს არ დამაკლებსა.

დავლას ბევრსა გაშოვნინებ ქალ-პატარძალ ათი წლისა,

დავაშორებთ დედა-შვილსა, ცრემლით ვაბანინებთ პირსა,

ოქროებსა ვათვლევინებ გორელ ამირადაშვილსა,

საბელადოში ავიყვანთ იმ ტერტერას ცოლსა, შვილსა“. 73

ერისთავს ცხენსა ბიჭებენ

ერისთავს ცხენსა გიქებენ, კვიცია სამი წლისაო,

ზედ შეჯდება ერისთავი, ლერწამი ზღვის პირისაო,

წელსაც აკრია ქარქაში წითელი კერმუხტისაო,

შიგაც ისრები უწყვია, ნარჩევი გველის ფხისაო.

ხევ ჩამოვიდა ლაშქარი, ოსი და ჩერქეზისაო,

ბიჭმა დაჭეჭა იასამ¹, როსტომი დასცა ძირსაო.

როსტომის ქალო ბარბარევ, ტოროლავ ჭიკჭიკისაო,

მოგიკლეს შენი როსტომი, რათ არ ჩამოხვალ ძირსაო.

¹ მეორე ვარიანტშია: სიათა.

მუთრუბში ჰპოვა სიმრავლე, გაუშვა ვარჩი ძირსაო.

ეუბნევა მამა მისსა: „გამიშვი შენსა მზესაო“.

— „მე შენ ვერსად ვერ გაგიშვებ, ვერ გავაციანამ მტერსაო, ერთმანერთს გადავებვიოთ, სული შევწიროთ ღმერთსაო“. 74

გალეგა ბელადი

გალეგავ, ლეკის ბელადო, სულთანო დაღისტინისაო,
შენ ამოაგდე კახეთი, ქართლი შენ დაე ძირსაო.

ჩამოხოლ საყორნეზედა, შაჰკრავ კახეთის გზასაო,
რა მობალახე შამექენ მაგ ბუჩაშვილის ცხვრისაო!
თუშეთით მოდის მღვევარი, ვაჟკაცი ვაჟკაცთ ცდისაო.
ჭადიჯორს საყდარს აქებენ, პატარა გალავანსაო,
შემეხეხვიენეს გალეგას, — „ეს არი ჩემ ცოდისაო“.

— „გალეგავ, გარეთ გამოდი, ბიჭები კარზე ხტისაო!“

— „გამოვალ, თქვენი ჭირიმე, მე მანხვდა ჩემი ჭკვისაო“. 75

* *

გალეკას შემოუთვლია, თავლაფიანის შვილსაო:

ლეკები გამომეპარნენ ახალციხისა ძირსაო,
გენახოთ, გამომიგზავნეთ, თორემ დაგიფრთხობ ძილსაო,
დღისით დაგპარამ ცხვარ-ძროხას, ღამე ცოლსა და შვილსაო;
იმათ რომ თოფი გამოჰყვათ, ვერცხლი ავლია პირსაო,
თორმეტი ოქროს სალტა აქეს, ტყვიას არ უშვებს ძირსაო. 76

* *

გულაკოიმ გადასძახა შიგნით კახეთის ჯარსაო,
წავიდა და იქ ჩამოხდა ჭალასა ალაზანსაო.

გალმიდამ თოფი გვესროლეს, კაცს მოგვიხვედრეს თავსაო;
თქვე დაწყევლილო ლეკებო, არ შევქამ თქვენსა ჯავრსაო—
ალაზანზე ხიდსა გავდებ, ზედ გავატარებ ჯარსაო,
ორიჯეს ერთ დღეს ავიღებ, ჭარსა და ბელაქანსაო;

¹ დედანშია: იშოვნა.

ლევებსა დავწვავ, დავდაგავ, ოსმალს არ მივცემ წყალსაო,
ზეცას გავაჩენ ცეცხლებსა, ქვეშენელს ხომ მივცემ ძალსაო. 77

მ უ ც ე ლ ა

მუცელამ ჯარი შაჰყარა პირიქით დაღისტნისაო,
საქობოს წამოერია, მზე არის ამოსვლისაო,
წმინდა ნინო მოციქულმა დასცა თავისი რისხვავო.
ეს რომ პაატამ გაიგო, პირიდგან ცეცხლსა ჰყრისაო:
„წავიდეთ, ძმანო, გზა შევეკრათ კახურ ალაზნის პირსაო,
ტყვეები დავაყრევინოთ, მადლი გვეყოფა ღვთისაო“.
რათ არ მეწყინოს, უფალო, სიკვდილი ორი ძმისაო! 78

* *

მუცელამ ჯარი შაჰყარა პირიქით დაღისტნისაო,
ბატონსა კაცსა უგზავნის: „ხარჯს გაწევიანებ დიდსაო“.
ბატონიც ხარჯსა უგზავნის, გამამცხვარსა და ფქვილსაო,
საქონლისა და ხარისა, ფარა ჩაუდის ცხვრისაო.
გათენება რო შეიქმნა, მიუხდა ბალაშვილსაო,
ახალ აგებულს ციხესა თავს წამოაშლის კირსაო.
ზურაბმა გამოიხედა, ჰარაო ეცა პირსაო,
იარაღისთვინ მიბრუნდა, მაყარსა ჰკოცნის პირსაო:
„იარე, ბიჭო, წავიდეთ, ჩაუსხდეთ შუა გზასაო“...
ერთი წუწკი გულხადარა ერთ ჯაგსა ემეფარა,
იქიდამ თოფი გავარდა, ზაზას მოჰხვდა გულის პირსა.
ეხვევიან, სჰამენ ჳირსა: „ძმაო, რაზე იკლავ თავსა!
არ გაუშვი მთას ნადირი, ძეც გააქრე ლევებისა“. 79

ა ბ დ უ ლ ა და მ ა ზ მ ა დ ა ლ ა

ბელექნიდან წამოვიდნენ აბდულა და მაზმადალაო,
ერთმანეთს ეუბნებოდნენ:
დიდ მარტყოფი და ნიორიო ორივე ხელთა გვეყავს ვალსაო,
ქალაქში უნდა შევიდეთ, ბაზარში ხმალ და ხმალაო.
გელა კომსელი განაბა, ეგონა[თ] გაიპარაო:
„დაიცა, ახლოს მოვიდნენ, რომ ცეცხლმა უყოს ძალაო“.
ზარბაზნებმა დაიქუხა ხუთმეტმა ერთიანაო,

ზღვის ოდენი დაღისტანი გაფრიწა, როგორც ყანაო.
ყაფლანიშვილს ღიმიტრისა წელს არტყია ხმალი მჭრელი,
ვისაც დაჰკრამს, არ გაუშვის კაცი შუა გაუჭრელი,
აბღულას წაეწივა, ცხენ უწივა სადავის წვერი,
აბღულა ძირს გადმოვარდა, — აგრე გახდეს თქვენი მტერი!
მსახურს უთხრა: „თავი მოსქერ, ეგ დათვალე რამთვეენი“.
— „შენი ჰირიმე, ბატონო, ცხრა ბელადი გავაშიშველე
ხელ-მწვანე და ინის ფერი, აბრეშუმის შალვრიანი,
რაც ჯარის კაცმა წაიღო, ის ვინ იყო გამგებარი!“
ვინც რომ კაცია — ჩოხა ჯაჭვია, ქუდი ნაბღისა —

ჩაბალახია. 8

ომანა ხაჩაშვილი

ეს ომანა ხაჩაშვილი* ტანწვრილი და სუფთა არი,
ნადირობას გეეჩვია, ყვირილობას ხოცა ხარი.
თანდათან ქვეით წავიდა, შაისწავლა ბელექანი,
ბელექანს შემოუარა, ბახჩა ნახა დასამალი.
შვიდი კამეჩი დათვალა, შვიდივ ზაქიანი არი:
„ზაქები რო წავიყვანო, კამეჩები ცოდო არი,
კამეჩები წავიყვანო, — ზაქები ხო ცოდო არი.
შენი ომანი მოგიკედეს, ვერ გიჩვენო გურჯაანი!“
წამოუარა, გარეკა, — ომან მოყაზახე არი!
შვიდი ლეკნი დეედევნენ, შვიდივ იარალიანი,
შვიდსა წაართვა ცხენები, შვიდივ ულაყები არი.
ერთი ბატონსაც მიართო, რომელიც რომ კარგი არი,
ბატონმა მამული მისცა, სავენახოთ კარგი არი.
შაფათ წასული ომანი კვირას დილით შინავ არი,
გურჯანელნი კითხულობენ: „კამეჩები ვისი არი?“
— „შენ რა გინდა, გურჯანელო, ომან მოყაზახის არი!“ 81

ომანს კაცი მოუვიდა

ომანს კაცი მოუვიდა: ლიახვზე¹ დგა ლეკის ჯარი.
„აბა, ბიჭებო, დაკმაზეთ, რომელიც რომ კარგი არი!“

¹ ხელნაწერში ეს სიტყვა გაურკვეველია, წერია: ლიაკზე ან: ლაკზე.

ომანსა ასრე გონია, — „ყველა ჩემისთანა არი“,
ის კი არ იცის ომანამ, ყველა ქალაჩუნა არი.
ომანი ჯარში შევიდა,¹
ომანს ის არ დააცალეს, ძირში გადმოჭრეს თავი.
ლექში გადვიდა ამბავი: ომანი ხომ მკვდარი არი!
„იმის მომკვლელი გვაჩვენეთ, ჩვენი მურთუზ ალი არი!“
კარზე მწარი პანტა უდგა, ხანჯლით გამოსახეს ჯვარი. 82

რ ა ჯ ა ბ ა

თავლაფიანი რაჯაბა შაიყრის ლეკის ჯარსაო,
ქუდზედ იძახის თათარსა, დიდსა და პატარასაო.
ზოგსა კი მიუხარიან იმერეთისკენ წასვლაო,
ზოგსა კი ასე გაუდის:
„თუ იმერეთსა გადავალთ, ნულა მოველით თავსაო“.
რაჯაბიმას „ყიწილები“ წუწუკ იმერელსა დარჩაო. 83

ხევისურთ საუბარი

დასხდენ, დარიგდენ ხევსურნი, არიგულ-ჩამორიგულნი,
თითო თასი რო იხმიეს, ყველას მოუვიდა გული.
ლეკებზედ იმუქრებოდნენ: „მათგნითა ვართ დაჩაგრული“, —
ერთმანეთს ეუბნებოდნენ და ზოგს მოსდიოდა გული, —
„ავდგეთ, ავისხათ ფარ-ხმალი, რად ვართ ერთურთის ორგული?“
ლეკებს კრიჭაში ჩაუსხდეთ და მით გაუხეთქათ გული.
ფარსა ვჰკრათ, თოფი ვაჰქექათ, ბელადს გაუხვრიტოთ გული.
ლეკების მდინარ სისხლითა ყორნებს მოუკლათ წყურვილი,
მათი ნახოცი მძორებით რო მთაში დაძლენ ნადირნი“*. 84

ოსების თავდასხმა ღებელეგზე

დიგორსა დასხდენ ვეზირნი, რჩეულნი ბადელოვანი,
მათ გამორჩევა შეიქნა: ლები² გეყავს საქონლოვანი.

¹ აქ სიტყვები აკლია.

² სოფელი რაჭაში.

მთანი და მთანი ასწონეს, სავალად კირტიშუანი.
 კირტიშოს რომ გადმოვიდენ, გზანი დაუხვდათ წყლიანი,
 წინ კაცი შემოეყარათ, რომელს გაგნია ჰქვიანი.
 ფიცხლავ შინისკენ გაფრინდა, ვით შევარდენი ფთიანი,
 ციხის ადგილას გავიდა, მალლა დაიწყო ხმიანი:
 „ვაჟებო, ფთხილად იყავით, საქმეა ლალატიანი,
 მაცხოვარს სიტყვა მივართოთ ჰქუიანი და სვიანი,
 მე მგონი თქვენცა გეწყინოსთ თქვენი ლებისა ზიანი,
 ლები დასწვან და დასდაგონ, არსად გაუშვან ხიანი“.
 დილა გათენდა მზიანი, ლაშკარსა გახდა ხრიალი,
 ქვემოთით ვაჟნი მოვიდენ დაკაზმულ-ჯათაროვანი,
 თან ახლდათ გამყრელოვანი.
 გამყრელიძესა აქებენ, რომელს იესე ჰქვიანო,
 რუსული ხრმალი გასტეხა, სისხლი ყუასა სცხიანო.
 ოსები გაუბედურდენ, უკულმა ჩამოდიანო.
 ასე გასწყვიტეს ოსები, ჯირკვებივითა ჰყრიანო,
 სამარე ველარ იშოვნეს, ღორის ნათხარში ყრიანო.
 გიჯობდა, ჯამხოთიშვილო, არ ჩახტომოდე ლებსაო,
 გეჭამოს ქერის ქარჯინა, ქვე მოსდგომოდე ცხვრებსაო,
 სწუნობდი ლებურ თოფებსა, ახლა დახედე მკვდრებსაო* . 85

ოსების თავდასხმა სოფელ შამიარაჟ

აწვი წამოვლენ ოსები მაცხუარელი ელია¹,
 კვაყალეთს² ჩამოიარეს, ერთმანეთს მისცეს ხელია:
 „საგძალი ბევრი წავილოთ, პურის ქარჯინა ბევრია“.
 ქარებში რომ ჩამოვიდნენ, ცეცხლი დაანთეს ძნელია,
 გარს სარგალი შემოირტყეს ნაძვის სისინა ბევრია.
 ბუჭულკიას დაუშვილსა ძალი გადაყვა ჭრელია, —
 ამ ოსმა წამოიძახა: „ან არჩვია, ან შველია!“
 — „არც არჩვია, არც შველია, დაგვეღვა მთელი შქმერია!“³ 86

¹ სადაც მაცხოვრის საყდარია, იქიდან.

² სოფელი.

³ სოფელი რაქაში.

დიდი აიძრა სულტანი

დიდი აიძრა სულტანი სულ ამ სვანეთის ჯარია,
ეცერსა კაცი გაგზავნეს: „გეახმარეთ თქვენი ძალია“.
ეს ეცერი და უშკული შეიქნა დიდი ჯარია,
ბრილისა ჭალას ჩამოდგენ, მიწას დაართეს ძალია,
მათ რომ ანჯარი ჩაიცვეს, არ მაშორდება თვალია.
თვითო ფარფარა დალიეს, მათ იზიარეს თავია:
თევრეშო კარგი სოფელი, მას გადუაროთ თავია,
მაცხოვარსა კი მივართვათ რქა-თეთრი ქერა ხარია,
დედა ღვთისასა მივართვათ რქა-დაკაული ცხვარია.
ჭიორა კარგი სოფელი დაბლა ქალაქის კარია,
ზემოთა კარსა გამოდგენ შავი სვანისა ჯარია,
ქვემოთა კარზედ გამოდგა შავი სისხლისა ღვარია:
ფეხო, ნუ მამიციურდები, გულო, ნუ შემიშინდები!
გაშქერი, ხელო და რხმალო, გულო, ნუ შემიშინდები!
შედინა ქალაქის კარსა, ქვას ეჭიდება კბილითა:
„ვიცი, თქვენ მამკლავთ, სვანებო, მეც გაჭერებუე ქირითა!“ 87

სეფის ომი

პირველ ამბავი მოვიდა: ოსმალი მოდის მტერათა.
მართველმა ჯარი შაყარა, ჯარი შაყარა ძველათა,
ლეჩხუმი ამოირჩიეს სეფის ადგილის ცველათა.
წავიდა გრემი-ლეჩხუმი, ჩავიდა სეფის მინდორსა;
გურულმა მტერი იხვედრა, ისროდნენ ზარბაზნის ტოლსა.
ლეჩხუმების განძრახვითა გურული არ დაგვინდობსა,
თქვეს და კიდევ აასრულეს, ვაჟ იმათი დამნდოსა,
თავები შაუხვევით, როგორცა რომ სნეულეებსა;
ომის დროს მხარი ეცვალათ, შაიქნენ გაუჩინებულნი,
არ ვიცი, საით წავიდნენ, სულ შიშითა დაბნეულნი.
გათენებამ მათანა და ცისკარი ამოვიდა,
ათი ათასი ოსმალი ას კაცზედა წამოვიდა.
გმირი* გოგოა სარდალი არიგებდა თავისთვისა,
სტყორცნა და წყალში ჩაყარა, — „ჩვენ მოვსულვართ
ამისთვისა“.

სარდალისა თანაშემწე ასათიანისა დათა,

ომის მოსვლა რო შაიტყო, თვალი მაშინ გაიმართა,
მტერსა წინა მიეგება. ორსა პირდაპირ თოფი ჰკრა,
მემრე მასაც მოხვდა ტყვია...

ქმამა ხელი შაატანა, — „დაჭრილობა დაგატყვია“.

— „ქმამო, იქით გაგვეცალე, თორემ მტერი კარ გვადგია“.
გამოვარდა ზარბაზანი, შენს მტერს, რომ ის დაამტვრია.
მაშინ კი თქვა ფარნაოზმა: „ახლა მამწყდა სალი მხარე,
საომრათა წამოსულნი მე და დათა, ორი ქმანი,
ომერთო, რატომ არ გვაცალე, დაგვედინა სისხლის ღვარი!“
სიძე-ცოლისძმა, ყმაწვილი, იოსები და ჰერაჯი,
საქმით იყვნენ განუყრელნი, ვაჟკაცათ ძალგულოვანი.
იოსები ფარს უჯდია, თოფს ისროდა მაღიმალა,
ჰერაჯი საფარს აკეთებს, ამბობს: „მე აქ მოვკვდებიო“,
ოსმალი მალღით დაგვეყვითნის: „მე მანდა გადმოვებებიო“.
ჰერაჯი ამასა ამბობს: „მოხვალ, მე აქ დაგვხვდებიო“.
გამოვარდა ერთი თოფი, ჰერაჯი წამოგვიქციეს,
ჰერაჯის მკვლელი ოსმალი ფარნაოზმა წააქცივა,
შახტა მალღა, შათამაშდა:

„მე მქვიან ასათიანი, სისხლის სისხლზე გადამსხმელი!“
ფაშა მოვიდა ათასით ას კაცზე დასაჭერათა,
ვერ ვაქებ მის ვაჟკაცობას, ვერ მოკლა თავათ ხშირათა.
ასათი კაცი მოუკლეს, წასვლა აქვს გასაჭირათა. 88

წერეთელმა დაიბარა

წერეთელმა დაიბარა ოსმანა და თათრის ჯარი.
წამოვიდა, წამოვიდა ჯარ ყრილუან სერესქელი,
ალვის! სახტარს შემოვიდა, იქ შემოიხვია ჯარი,
იქ იყარა ცეცხლის ალი. დაკრა ხელი, წამოვიდა,
კორტოხი გადმოიარა; ღელ-ღელე და ავი გზანი.
ცხენი ტალახში ეფლოდა, ფიცხლათ ახუტვია თვალი,
ვინც ბიჭი იყო, ცხენს შეჯდა, გაარბენია ყაფარი.

ძირულაზე ჩამოვიდა, — ორბის ალაგიც არ არი,
 დაკრა ხელი, წამოვიდა, დამწალა გადმოიარა,
 კოღბეურს ჩამოიარა, დადგა და დასცა კარავი.
 ორშაბათ დილა გათენდა, თოვლმა მოგვიჭირა კარი,
 წინამძღვარსა თოფი გვიკრეს; სარტყლით აუხვიეს თვალი.
 ყვირილაზე ჩამოვიდა, მიიხედა-მოიხედა,
 ორბის ალაგიც არ არი, თავზედ დაადგა კარავი.
 იმ ღამეს სიზმარი ნახა: „მოგვატყუა წერეთელმა,
 სხოვა კარგი სოფელია, მთა არი გადასაუალი“.
 სხოვა სულ დაითარეშა, სულ გოგო და პატარძალი.
 მივიხედე-მოვიხედე, ორ-სამ პირათ მოდის ჯარი,
 უშიშრათ შემოგვიცვინდნენ, მიწას გაქონდა ძანძალი.
 ნეფემ, ლაყარაჯის მამამ, ჯარი ჯარსა დაახალა.
 მუსეილამ შეიძახა: „ვინ ხარ ბიჭი მეომარი,
 ჯერ მე ჩავალ და ვიომებ, მერე შენ მოიკალ თავი“.
 ალალომა შეიძახა: „ყბაჩუა ლეკი სად არი?“
 იმისთანა მეომარი დაღისტანშიდაც არ არი.
 ფინთი ყარაჯის მამათ საბძელში დაიმალათ,
 საგძალი შემოელა, ქერის მარცვალი [ტ]კვარათ. 89

ყ ა ი ს ი

ყაისი¹ რაჭას წავიდა, ის ბასიანი თავია,
 სკოდორა² ლელეს გავიდა, ხიზანს დაივლო თვალია.
 მეყავრე მუშა მოდიან, ფაციაშვილიც³ არია;
 დასჭრეს გიორგელა⁴ სვანი, უკან [გაიურტეს]⁵ რხმალია.
 წესსა კაცი გამოგზავნეს, — „გვანხმარე შენი ძალია!“
 ეს წესი და [ეს]-სორელი⁶ შეიქმნა დიდი ჯარია.
 ყაისი უკან ჩამოდგა, არ დაუბნიეს კვალია.
 „შემოიცადე, ყაისო, დრო აღარ არი შენია;

- ¹ გმირ-ფალავანი ყოფილა.
- ² კლდე.
- ³ ყაისის მტერი.
- ⁴ ყაისის ამხანაგი ყოფილა.
- ⁵ აქ დედანში სიტყვა გაურკვეველია.
- ⁶ წესი და სორი — სოფლები.

სულა გლები ნუ გგონია, ჯაფარიძენიც არია!“
 ყაისი შეხტა ქვა ქვეშა, ფინთიხი მოხვდა ყბა ქვეშა,
 „წინ წამოდექი, პაპუნა¹, თუ რომ გიჭირიდეს რხმალია“.
 „მე რხმალის არა ვიცი რა“, — ჩაივლო ჩახმახს ხელია.
 ჩამოკრა ჩიჩაბიძესა², ჩაართვა ცალი მხარია.
 მაყლანს³ ჩავიდა ამბავი, ტიროდა ქალის ჯარია,
 ჩამოჯდომილა ჯამბოლა⁴, ჩამოუგდია თავია:
 „ვინ იყო რაქას მაგგვარი, ყაისს მომიჭრა თავია“.
 — „ასე მოგიჭრა თავია, როგორც კვიჭიქა ფხალია“.
 ყაისის ცოლი ტიროდა:
 „ჭიორის ქალას გავიდა ჭია და შავი გველია;
 თუ რომ გაზაფხული მოვა, სორს მოუჯიდებ ცეცხლსაო“.
 ჩვენც ამითი გავათავებთ ამ ყაისისა ლექსსაო. 90

† ნათელაშვილი გიორგი

ნათელაშვილი გიორგი, სარდალი მწყემსებისაო,
 ისე არიგებს ბიჭებსა, როგორც რო მამა შვილსაო:
 „გუშინ რო ღორში ვიყავი, ნავალი ვნახე მტრისაო,
 ის ჩვენი ფეხი არ იყო, ბანდულიანი რამ იყო!“
 გიორგის არვინ უჯერებს: - რაც ღმერთს სურს, იმას იქსაო.
 შუალამე რო შეიქნა, ელვა რამ იყო ცისაო:
 თავსა ლეკები დასხმოდენ იმ ექვსშაურაშვილსაო.
 ყვიროდა გამგელეებული, როგორც ნადირი ტყისაო:
 „მიშველე, ჩემო გიორგი, ლეკმა მამიღვა ძირსაო“.
 — „ბიჭო, როგორ არ გიშველი, ჩვენი ხარ, განა სხვისაო!“
 გადაფრინდება გიორგი, როგორც რო ვეფხვი ტყისაო.
 ისე აკაფა ლეკები, როგორც ტოტები ხისაო.
 „გადავეშველოთ დიღმელებს, არიან ჩვენი მხრისაო!“
 გადაეშველნენ დიღმელებს, დაჰკივლეს დიდი ხმითაო:
 „ნუ გეშინიათ, ბიჭებო, მოვდივართ თქვენი მხრისაო!“

¹ ყაისის ამხანაგი.

² ყაისის წინააღმდეგ მებრძოლი.

³ დიდი ბუჩქებიანი მინდორი, რომ იც აისს ეკუთვნოდა.

⁴ ყაისის ძმა.

ორი ურჯულო, ლეკები, ცეცხლივით წამოხტისაო,
თოფი ესროლეს გიორგის, ტყვია მოარტყეს გულსაო.
„მეც უნდ მქონოდა საფარი, ვაი თქვენს გიორგისაო!
მეც ბევრის დედა ვატირე თქვენებრ ძალღ ლეკებისაო“.
გიორგი უკვე დამარხეს, ნათელი დაადგესაო* . 91



ჩემო ჩონგურო დაუკარ, მალა მოჭრილო ხისაო,
მამიჩემისა ნაქონო, პაპიჩემისა ხნისაო!
ლეკები შამომეყარნენ, ლეკები დაღისტნისაო:
მოდო, გიორგი, მიშეელე, ჩვენი ხარ, განა სხვისაო!
გიორგი ასე გადმოხტა, როგორც ბორბალი წყლისაო,
კაფა და კაფა ლეკები, როგორც ტოტები ხისაო. 92

სოლომან გუბულაშვილი

ჰარს აყრილა აშკეიტი, ქვეით უნდა წავიდესო,
წავიდეს თუ არ წავიდეს, პატარძელს გავიდესო,
ვინც რო კარგი ბიჭი იყოს, მას დღეს უკან მოვიდესო.
ეგი გაიგო სოლომან, მუხლზედ დაიკრავდა ხელსა,
წადგება და წამოდგება, კუთლადებს კი გადიყრისა.
დაინახა მართებელმა, [შორით] დაუქნევდა ხელსა:
„აქ წამოდი, სოლომანო, მუხლთ მომიჭე მე აქ ქვეშა,
ჯერ ჯამაგირ გავიმწესებ, მემრე ჯვარსა-თემლაკებსა“.
სოლომან ბუტულაშვილი კარგა ჰყურებს თავის ცხენსა,
თბილი წყლით ძუას დაჰბანდა, ერბოთ გადაჰყოფდა წელსა:
„შენი ჰირიმე, ლურჯაო, გამამადგები ერთ დღესა!“
სოლომან ქვეით გამწესდა, დედა-მამა ჯვარსა სწერსა:
„შვილო, რო მიხვალ, სოლომან, სთველს რას უზამ

ასაკრეფსა?“

— „ჩემო დედავ, შამახვეწე ჯერ უფალსა, მემრე ღმერთსა,
აგებ იქა მოუსწრობდე ჯერ კალოსა, მემრე სთველსა“
ჩადიან ჩამდინარაზე, სოლომან ჯობ თავადებსა,
გაფრენილი ქორსა ჰგავის, გამოფრენილ შავარდენსა.
ეეგრ აიღო ოსმალი, ეგ რო მიმინო მწყერსაო,

საჩქაროზე მოუტანა ხუთი თავი მართებელსა:

„დაჯე. იკმარე, სოლომან. კმარს. მამიშენა ღმერთათაო!“
არ დაიჯერა სოლომან: „კიდევ მოვიმატებ ბევრსა!“
ერთი კიდევ გაუტივა, თათრებ გარდუბდინა წინა.
ერთი ტყვია ლურჯას უკრეს, ორი სოლომანს დაჰკრესა.
„ვამ დედაშენსა, სოლომან, რა ჰრელათა ვხედამ მზესა!“
ბიძა ცაცოვა გვერდს ედგა, ცხენის გავას გარდისვემსა:
„ნუ გეშინიან, სოლომან, მალ გაჩვენებ დედაშენსა,
ყმაწვილურად რად ამბობდი, — სადა ვნახამ დედაჩემსა!“
— „გული გულათ აღარა მაქვ, გულის ალაგ დამარტყესა!“
ეგ სიტყვებ კი დაათავა, სოლომანს კი სული ხდესა.
გაიტანეს სოლომანი, შუა გზაჩი დამარხესა.
ცოდვან სოლომანისა საურჯულოთ დარჩესა, —
ამაგდეს სოლომანი, შუაზე გაკვეთესა,
ზე მარილი წააყარეს, არამც სული შეიცესა,
დროშეებჩი[ა] ჩააწვინეს, შიგ ორქაფებ შაბესა.
მტკვრის პირზე შამოუყენეს, ნელა-ნელა მოდიანო,
ქალაქს რო დაუახლოვეს, დუქნის კარებ დახკეტესა.
ეფემიამ რომ გაიგას, ხო თავის თავს წაიხდენსა!
სამჯერ კარზე გამოვიდა, ხელი ჰკრეს და შაგდესა.
სიონჩი მიიტანინან, სიონის ზარი რეკესა,
ამდენი დღეგრძელობა მაქვ, რამდენი ცრემლი ვარდესა,
მაგის ჯვარი-თემლაკები კემწიფიდან აართვესა.
მეორე დილა გათენდა, ეფემია ვაესა შობსა:
მართებელმა მოუნათლა, სოლომანი დაარქვესა,
წლითა და თვითა იზღება, უკეთ ვაჟაკი დადგესა.
ამაგ ლექსების მათქვამსა ერთი ჩოკა ჩამაცვესა,
საახალუხე შამპირდა, ეგიც ისრევ დამაკლესა. 93

სოლოლა

ქუხდა, წვიმდა და ელაჳდა, სეტყოს ისროდა ქვისასა.
აღგა, წავიდა სოლოლა ყეენტან საჩივლეულადა;
შვიდი დღე-ღამე იარა, მივიდა ხონთქრის კარზედა.
„რას გაურჯინხარ, სოლოლა, ამ ჩვენის ხონთქრის კარზედა?“
ფიცხლად შინ შეიპატიყეს, დასვეს სამართო სკამზედა.

„ხონთქარს ჰყავს ერთი არაბი, განთქმული ქვეყანაზედა, თუ იმას გეეჩიქნები, ხალათს ჩაგაცმევთ ტანზედა“.

— „ვიცი, კი არ მომეშვებით, ცხენი მომგორეთ წამზედა, თქვენ მე ის ცხენი მომგორეთ, რძეს რომ ასმევენ ჭამზედა“.

ცხრას მეჩინიბეს მოჰყვანდა, ვერ აყენებდენ გზაზედა.

ფამფარზედ ხელი გაავლა, ზედ მოაფრინდა წამზედა.

ორშაბათ დილა გათენდა, გავიდეს საომარზედა.

ზაითით მოდის არაბი, ვით შავარდენი მთაზედა,

მაიტრიალებს ჯირითსა იმ გაშავებულ მკლავზედა.

ამოწინდეს მოლები: „სოლოდანს მოჰკლავს წამზედა!“

ბეჩაო ბერო სოლოდან, ვერ გიცნეს ბიჭობაზედა!

„აბა გაიქეც, არაბო, დაგყვე ღვთის სამართალზედა“.

— „შენა გაიქეც, სოლოდან, ჯირითის მოედანზედა“.

გაიქეცა სოლოდნის ცხენი, არაბი დაჰყვა კვალზედა.

სამი ესროლა არაბმა, ერთი არ იხლა ტანზედა,

შასტა და შამოტრიცა დადგა ცალს ავეანდაზედა.

„აბა გამექეც, არაბო, დაგყვე ღვთის სამართალზედა!“

გაიქეცა არაბის ცხენი, სოლოდან დაჰყვა კვალზედა,

ერთი ესროლა სოლოდამ, დაჰყუდა თავ-კისერზედა.

„წაიღეთ, იქვე დამარხეთ დიდის მეჩითის კარზედა,

მეჩითემ ჩითა გაშალოს, დასვით მარტო იმაზედა“.

სამშაბათ დილა გათენდა; გავიდეს სატირალზედა,

სოლოლას უყვეს წყალობა, ქისეებს აბერტყენ თავზედა* . 94

როსაფ ამირაჯიბი

ეს როსაფ ამირაჯიბი გამოწკლებილა ტანშია,

ისეთი ვაჟი-კაცია, ცალიც არა ჰყავს გვარშია.

ოსეთის მოურავია და საყმო ჰყვანდა მთაშია,

მაგრამ ერთ საქმეს ცუდს შეხვდა, ქალებს მისდევდა სახლშია.

ეს რომ ოსებმა შეუტყვეს, ჩავარდნენ ცოტა დარღშია:

„ჩვენ ამას ვერა. მოვითმენთ, რომ მოგვეკრან ეხლავ თავია,

ჩვენ რომ კაცი გაგვაჯავრებს, იმას გამოვსხლეთ გვარშია.

გარეთ გვაცხია მირონი, ის არ შესულა გვამშია,

მთლათ შევქამთ ქართველისა ხორცს და წვენს დავასხამთ

ჯამშია“.

აერჩნენ ბიჭი ოსები, როსაფს ჩაუსხდნენ გზაშია,
შეხედეს, მოდის როსაფი, ვით ნიავე-ქარი ცაშია.
ის კი არ იციის საწყალმა, რომ მტრები ზიან გზაშია;
იქ ერთი თოფი გავარდა, როგორც რომ მეხი ცაშია,
მაჯვენა ღლიაში მოხვდა, მარცხნივ გავარდა ტყავშია,
მსროლელი მსწრაფად გაიქცა და გადავარდა მთაშია.
უკან როსაფი მისდევდა, მაგრამ ვერას დაეწია:
„ნეტავი თვალით მენახა, როგორი იყო ტანშია,
თუ კარგი ვაყვაცი იყო, მიამებოდა თვალშია“.
როსაფს ხალხი მიეხვია, ხელი მოკიდეს მკლავშია:
„ნუ გეშინიან, ყმაწვილო, ტყვია აქ არის ტყავშია“.
როსაფმა ღლიას დახედა, სისხლი გამოდის კარშია:
„თავს რაღა იმედი მივსცე, რომ არ ჩავავდო დარდშია;
ისე აღუღდი, გულ-ღვიძლო, როგორც ჭინჭარი ქვაბშია,
რაც ნაშენობა ყოფილა, ყველა გამოდის კარშია.
მოდით, ბიჭებო, ცხენს შემსვით, ეგებ მივიდე სახლშია,
ეგები ვნახო ცოლ-შვილი, რომ არ ჩავავდო ჯავრშია“.
ისე შენი მტერი მივა, როგორც ის მივა სახლშია:
შუა გზაზედ რომ მივიდა, სული გაგზავნა ცაშია.
როსაფის ცოლმა სოფიომ სიზმარი ნახა ცუდია,
დილაზედ ადრე წამოდგა, თვალზედ ჩამოდის ცრემლია.
მოახლემ მისცა იმედი: „სიზმარი არაფერია!“
პატარა ხანი გავიდა, პირი იბანა, ხელია,
მახარობელი მოვიდა, სახელად ერქვა ბერია.
„შენ, ბიჭო, რაზე გარჯილხარ, ამბავი იცი ძნელია?“
— „მე რომ ამბავს მოგახსენებ, მისთანა შენი მტერია:
მოგვიკლეს ჩვენი როსაფი, ტყვია მოარტყეს ცხელია“.
ცილმა მაშინვე იკივლა, გარბოდა თავშიშველია,
აღარც ურემი ეძება, აღარც ეძება ცხენია,
აღარც ქოშები ჩაიცვა, აღარც წინდები ჭრელია,
ის იმოდენი მინდორი ფეხშიშველ გაურბენია,
ფეხში ერჭობა ეკლები, — ვითომ ბუმბული ჰფენია.
შეხედა, მოაქვთ როსაფი, წინ მოუძლოდა მღვდელია,
სოფიო დანას იძებნის: „უნდა გავიჭრა ყელია!“
მაგრამ ხალხი მიეხვია, მას დაუჭირეს ხელია.
სოფიო ქმარსა მოეხვა, გულს დააყარა ცრემლია,

ულვაში გადაუგრიხა, წარბებს გადუსვა ხელია:
„როსათო, თუ კი მომკვდარხარ, ლაზათი არა გქონია“.
ადგა და წინ წამოუძღვა, მწუხარე საკვირველი. 95

ხოროშან ლაშქრად ვიყვენით

ხოროშან ლაშქრად ვიყვენით ჩვენ ლომნი ლომისისანო,
იქ გავიგონეთ ჟღერანი ჟამურ ბერციხის კლდისანი.
მუქლი გვქონდა და ვიხმარეთ ამ ჩემს ჭარმაგისანი,
სადილით სამხრობამდისა ჟამურს დავლახეთ ქვიშანი,
შვიდნი ჩვენ შვიდას ქსნელები სისხლის ტბად შევიყარენთ,
გაშკრა ი შაბათის ძალმა, ბარდაბარ გავიყარენით*. 96

ფირანა ოტიაშვილი

ფირანა ოტიაშვილი ხაჯარივითა ხტისაო,
თოფი ჰკიღია სიათა, მუქით წამალსა ჰყრისაო.
თეთრებო, ჩამომეცალე[თ] ამ ალიან ჩალიანსო,
აზუნამდინ ასე მოგდევ, როგორ ქორი ვარიასა,
ცხენ-ჯორ დაგატოვებებ, ძუა-ფაფარ ლალისა.
გელათ კაცი გავაგზავნე გელათური ქუდითაო,
ნეფის ქალმა დედოფალმა თეთრი მიწყო ქუდითაო,
ნეტავ ცხვირი მოეთალოს მოკრებული ცულითაო. 97

კანი და ბისტი*

ახალ საქმეს მოგიყვები, განა [კი] ძველისძველსაო:
ამ დალოცვილმა რუსებმა ეს საქმე როგორ ქნესაო,
ბისტი-კანი დაიჭირეს, ისევე გაუშვესაო.
აგრე იციან ოსებმა, — ხო სისხლიც აიღესაო,
ლიახვში ზურგით გაასხეს, ისევე იქ გაუშვესაო.
წავიდნენ, ფხვენისს მიუხტნენ იმ ნიკოლოზ ღვდელსაო,
ბანის კარები გააღეს, ხო ქვევრიც ახადესაო,
ღვინო ძალიან დაღიეს, ძალიან დაითვრესაო,
თავიდან ქუდი მოხადეს: „აგრე უნდა ღვდელსაო“.
ღიაკვნებიც დაულახეს, ისევე გაუშვესაო. 98

ს ს მ ა ღ ა ს ს მ ა

ჩოფიკაისძე გუგუა

ჩოფიკაისძე გუგუავ, ხევსურებს ნუ ხოც, გითხარო,
არამც ვინ გულში ჩაიდვას, არც დანდობილი თვით ხარო,
ტყვიას ვინ გამოგილაღავს, ტყვიას შენ ხვითხე, ვინ ხარო. 99

ჩონჩქარა

ჩონჩქარაიო დალათა, რა რიგა შამოვედიო,
ეწადა ქისტნელეებსა, ჩონჩქარა გამოვექციო.
ვერ გამომაქცევ, ქისტნელო, ომს ბატარია ვეჩვიე!
ეწადა ქისტნელეებსა, ჩონჩქარა გამოვექციე;
ქალებს დაეწყო სიცილი, დედროვენებსა [ვხეწყიე. 100

ალავერდს ჯაჭვი ჰკიდია

ალავერდს ჯაჭვი ჰკიდია წმინდის გიორგის კარზედა,
ქალმა იცნა— და ატირდა — ძმისა ნაცომი ტანზედა:
„ვაჟ ჩანგი მოგკიდებია, შე ოკრის პატრონისაო,
დღიი ხუთჯერ ომჩი ნამყოფო პირშიშველასი ყმისაო!“ 101

გიყვარდა იარაღები

გიყვარდა იარაღები, წელზე შემორტყმა კმლისაო,
უბის მასრები გიყვარდა თორმეტისა და ცხრისაო,
საპირისწამლეც გიყვარდა ლამაზ გათლილი რქისაო,
მარტუამ ჩამაიფარი ის გძელი ჰალა კდისაო. 102

დაიძრა ერთი თათარი

დაიძრა ერთი თათარი, სულ შაძრა მთა და ბარიო,
მილეწ-მოლეწა ხოყანა, კარი და ბელაქანიო,
ვისაც სიმაგრეს მიუდგა, სულ ყველას უყო ძალიო. 103

გაწყვეტა ჩქარიულების

გაწყვეტა ჩქარიულების გასახაროა მტრისაო,
მტერო, ნუ გაგიხარდება, გამჯავრო რჩება ჳირსაო. 104

არაგვის თავთა

არაგვის თავთა კლდეთშიგა სისხლის წვიმები დიანო,
არც ბევრსა მოიმატებენ, არც სრულად დაშრებიანო. 105

აღმოსავლეთი დაბნელდა

აღმოსავლეთი დაბნელდა, დასავლეთი პირი მზისა,
ჩარხი უკულმა დაბრუნდა, ხალხი შესწყდა ყოვლის მხრისა. 106

ახალციხე და რაჭაბა

ახალციხე და რაჭაბა გაიფიცნეს, როგორც ძმანი,
ჯარი ჯარსა შამოჰყარეს, წელთა შამაარტყეს ხმალნი,
ეგრე დააწყეს თითები¹, როგორც მინდორჩი სოსანი,
იმერელთ მეფეც იქ იყო, თავ-ოქრო გვირგვინოსანი. 107

მოდით თუშნო და ფშაველნო

მოდით თუშნო და ფშაველნო, ლაშქარი შავაზიაროთ,
ჩვენ ერთმანეთს ნურას ვერჩით, ცხო მტერი დავაზიანოთ. 108

უყურე ხურთიელებსა

უყურე ხურთიელებსა, ციხით ისერიან თოფითა,
გაუშვეს სისხლის ღორები², ქოაკეს მიდის მილითა. 109

თუშო, ნუ ჩახვალ ხოშარას

თუშო, ნუ ჩახვალ ხოშარას, ხოშარა ეკლიანია,
შიგ სამნი მგელნი ბუდობენ, სამივე ლეკვიანია,
თუ ჩახვალ, ვეღარ ამოხვალ, გიორგი ეტლიანია. 110

ტირიან თუშის ქალები

ტირიან თუშის ქალები: „არ მოგვივიდნენ ქმარები,
ვაი, თუ დახვდნენ ლეკები, დააყრევინეს თავები!“ 111

¹ რაზმები.

² ღვარები.

ადე ბიჭებო, წავიდეთ

ადე ბიჭებო, წავიდეთ, გზა შავკრათ ჩვენი მტრისაო,
ეგება მოვიგერიოთ მღეჭელი ჩვენი ყბისაო. 112

გაგვიძელ, ბერო შინდიავ

გაგვიძელ, ბერო შინდიავ, მუხლი მაიბი მგლისაო,
გაიყოლიე უმცროსნი, ვისაც თავი აქვს ცდისაო. 113

კაბლიდგან მოდის კანონი

კაბლიდგან მოდის კანონი, წინ მოუძღვის კასიანი,
ფიჩხის ბოგირზედ მოვიდა, იქ მაილო პატა ქარი.
საგარეჯულმა ნინომა თოფსა გაუტეხა თვალი,
ლეკებს ბელადი მოუკლა, მაშინ წახდა იმათ ჯარი,
ბიჭებო, გაიხარენით: გამარჯვება ჩვენი არი! 114

ბელაქნიდამ წამოვიდა

ბელაქნიდამ წამოვიდა სამი დიდი ჯარია,
საქობოს ბოლოს მოვიდა, იქ რო დიდი წყალია;
ბელადები დაიჭიდნენ, დადგა დიდი ღვარია. 115

ჭარში ბიჭი დაიკარგა

ჭარში ბიჭი დაიკარგა, ყაყაჩოა — მთვარეა.
„ლეკო, ბიჭი დამანებე!“ — „დაგანებებ, წამია!“
ესროლა და გადმოაგდო ის ბელაქნის თვალია. 116

ჭარში ბიჭმა დაიკვება

ჭარში ბიჭმა დაიკვება: „წავალ, კახეთს შავისწავლი“.
კახის ბიჭმა შაუთვალა: „შენ კახეთს ვერ შაისწავლი,
ან წავიდებს ალაზანი, ან იორიქს] შავი წყალი,
თუ იმასაც გადურჩები, ჩემს ხმალს ველარ მოურჩები!“ 117

ეს საბრალო გურჯანელი

ეს საბრალო გურჯანელი სანადიროდ წასულიყო,
ალაზანზედ ჩასულიყო, ვეჭობ ტივით გასულიყო.
მოეკლა ერთი ბურვაკი, მოეზიდნა შეშა ბევრი.
გარს ჯარი შემოხვევინია ფოთოლზედაც უმრავლესი.
დათიკელა იმერელსა სტამბოლი ეჭირა გრძელი:
თითო სროლით ექვსსაჰკლავდა, ყრია ყელეზ დასაჭრელი. 118

ხიტალიონო ღერენავ


ხიტალიონო ღერენავ, დედა გიტირის კმითაო,
შინ ვეღარ მიხოლ მშვიდობით, ვერ დაღბრუნდები გზითაო,
სახელის მოყვარული ხარ, ომჩი ჩაეჭვრი კმლითაო. 119

არმაზის ციხე-ქალაქო

არმაზის ციხე-ქალაქო, ძველთაგან გაოხრებულო!
შენ ვილამ გნახოს ნაშენი, მტერთა მახვილით მოსრულო! 120

არაგვის თავსა

არაგვის თავსა კლდეთ შიგა სისხლის წყარონი დიანო,
თუშნი და ლეკნი-დიდონი ერთურთზე გარდადიანო. 121



თამარ მეფეზე

თამარ დედოფალი ვიყავ, დიდი სახელი გავიგდე,
 შემოვუარე ხმელეთსა, წილი არავის დავუდე,
 ჩავპყარე ზღვაში სამნები¹, ხმელეთი ჩემკენ დავიგდე.
 ვაი, შენ წუთისოფელო, რა ტყუილათ გიამაგე,
 სიბერე და სიყმაწვილე ორივე შენზე გადავაგე.
 სიკვდილი უამი მოსულა, სამოთხევე, კარი გამილე,
 ორი აღლი ტილო გამყვა, სხვა რაც მქონდა, აქ დავაგდე. 122

* *

ქალმა თქვა თამარ ნეფემა: „ხალხისა ვერა გავიგი,
 შუა ზღვას ჩავდგი სამანი, ქართვლობა ჩემკენ მოვიგდი,
 ხახმატს ავაგი საყდარი, ვერცხლის თასები შავილი,
 შიგ დავაყენე ბერ-ღვდელი, ცხენი ანატორს² დავიბი,

¹ მიჯნები.

² სოფ. შატილში სალოცავეი საყდარია.

ღელეს¹ დაენიშნე საფლავი ხორციელის, სულსა არ ვიყრი,
თავითი მიკრავ სანთელი, ცხრა ადლი ტილო ჩაეცივი“. 123

• •

სივანს² ციხე ამიგია, ახალციხეს³ ყველაწმინდა,
ას-ორასი მარილის ქვა პურ-უხედურზე⁴ გადმიგია, —
სული ვერად მამიგია. 124

• •

თამარ მეფე და ხონთქარი მალალმა ღმერთმა წაჰკიდა,
ზღვაში ჩაუშო ხომალდი, ზედ აღმასები დაჰკიდა,
ზედ დასხა ქართველთ ლაშქარი, მრავალ წყალობას
დაჰპირდა. 125

• •

ათასი კაბა ყმა მყავდა, ყველანი ოქროს ღილითა,
ვაჰმევედი დედალ ხოხობსა, ვასმოვდი ბროლის ქიქითა,
ვინც რომ შემება, შევები ალალითა და ჭიქითა,
აწი თქვენ იცით, მეფენო, ვინც ღარჩით ამას იქითა! 126

• •

პონტოს ზღვით გურგენის ზღვამდე, ამერნი ხაზარეთამდე.
თვით გელაქუნი ჩრდილოთ კერძ. მჰყრობელი სულ
ყიფჩაყამდე. 127

¹ სალოცავი ფშავში, ლაშარის ქვართან სოფელ კოშარას. სადაც, თუმ-ფშავ-
ხეესურების აზრით, მარხია თამარი.

² სივანი — სიონი, სოფელია თერგის ხევში და ციხე-ეკლესია.

³ სოფ. სნოს ხეობაში; იქ ეკლესიაა ღვთისმშობლისა.

⁴ ერბო და ყველი.

ზურაბ ერისთავი

ზურაბისთანა ბატონი ვინღა გამოვა ხმლიანი,
განჯა-მირანა ამტვრივა, დღესაც კი სახელი არი,
იმის ნანგრევი სოფლები ოხრათვე ყრია ტიალი.
ზურაბ ნობძანდა ქალაქში, სუერთიან მიეგებენ,
თავადი და აზნაურნი, შეყრილი არაგვიანი.
უბძანა, — ხმას ნულარ გამცენთ, გული მაქ ბოროტიანი,
ერთი ურჯულო ბელადი დამიხვლა ყაწიმიანი:
„სალამ რათ მივცემ ზურაბსა, რა ჩემი ბატონი არი?“
იმის ციხე დაამგრიეს, ხევი აამსეს ქვიანი.
იკვებდა: „ციხე კარგი მაქ, კარი აბია კლდიანი“.
მაგრამ ცოლიც კა წაართვეს, ზურაბ ბატონის ტყვე არი. 128

* *

შენ გენაცვალოს დედაო, ზურაბ თავშაუდებარო,
დაჭრილო და დაკუწულო, ზედ წამალდაუდებარო,
სიყმაწვილით სიბერეჰდინ შენ დღეში დაუდებარო. 129

* *

კევსურეთია, ბატონო, ვერ იქამ ერისთობასა,
დაგიწვრილდების კისერი, ვერ შესძლებ ქვეითობასა. 130

დუშეთით ქორი აფრინდა

დუშეთით ქორი აფრინდა, არაგვი შაინადირა,
კევსურეთ ქათამს დაეცა, იქ ნაბუარი აღინა.
დასხდეს, დარიგდეს კევსურნი, თავ ზურაბი დაადგება,
დაუსხამს წითელ ღვინოსა ვერცხლისა თასებზედა,
სამოცი თავი ჰგორავდა სამოცი[სა] კევსურაია*. 131

შენმც დაგლევს სისხლის წყალიო

შენმც დაგლევს, ერისთვიშვილო ზურაბო, სისხლის წყალიო,
თრუსოს ჩაჰყარნენ კევსურნი, ხელით არჩიენ ყმანიო,

გაატეხიე დვალეთი, თეთრი მალღალე ცხვარიო¹,
თრუსოს მაასხენ მაშვრალნი, დანდობით დასკერ თავიო².
რად არ სწორდი-სწორ გაუშვენ კევსურნ და შენნი ყმანიო,
დაუჯედ მეთვალედა, რომელთ უფრო სკრის ხმალიო.
ომს კევსურნ განახვიებდეს, ფარს ქვეშ ნაწურნი ყმანიო.
მე დაგწყევ, ერისთვიშვილო, რომ დაგწყევ, ისრემ მოგივაო,
თვალი დაჰსთხარი ძმას გიორგისა, გივიმც ყეენში გაგივაო,
ყრუნიმც ბარძიმს მოგიკვლენ, მეხმემც დათუნის მოგივაო,
ზაალს წაღლაღავს რუსეთსა, შინ მთელიც ნულა მოგივაო,
შენემც საფურცლეს დარჩები*, კევსურთ გულსიმც მოგივაო. 132

ზურაბმ აიკლა ჰვეყანა

ზურაბმ აიკლა ჰვეყანა, ბევრს ვაჟს უტირა დედო,
ისპაანამდი გაითქვა, ყეენტან გაიზარდაო.
უბარა ლუღუშაურსა, კაცს მისწევს ზედიზედაო:
„გამომიგზავნენ კევსურნი, ვინც ომში გამოდგებო,
კინჭარაული შალვაი ნიადაგ ნუ დადგებო,
სამნაიც გამოაყვანე, ომში გვერდთ დაუდგებო“.
— „კევსურნო, სამნაჲ ნუ წავა, მქედელი დაგვაკლდებო“.
დასხდეს, დარიგდეს კევსურნი, თავს ზურაბ დაადგებო.
კედეშაურთ გახუაი კევსურთ კას ეუბნებო:
„კევსურნო, ხმალს ნუ დაიხსნით, ზურაბ არ დაინდობო,
თუ აბჯარი აიყარეთ, კარგათ ვერ მოგიხდებო“.
კედეშაურთ გახუაი, ზურაბ, რა ავად მოგექცაო,
მოგიკლა პირის მეღვინე, თითონ უჭირველ გაგექცაო,
დაშნა ჩამოგიქნია და შენი მსახური შეაქრაო.
ღმერთსამც ნუ ექნა, ზურაბო, დაშნას რომ პირი მოეკრაო.
ირემავ, რად გიხაროდა კევსურთა თრუსოს ზიანიო,
კიდევ დაცვიდა კევსურეთს სამოცდასამი ხლმიანიო,
ღმერთმა დრო მისცეს კევსურეთს ნევისკე მიქონდეს დგრიალიო,
სნო-ახალციხე გატეხას, ზენა ხევს მისცეს ზიანიო. †
ირემას კარზედ მიუდგეს, შვილდნი შეჰყეფენ რქიანიო,

¹ თეთრი ცხვარი ჩამოასხიო.

² ხევსურნი დაგენდენ და დახოცეო.

ირემას ცოლი წიპკივის ქალ ლურჯის პერანგიანიო,
უკა ირემა მისდევდა: „ქალი რად მიგყავთ თმიანიო?“
— „ღაბრუნდ, ირემავე, ნუ მოგვლევ, ქვესურებთან გყავ ზიარიო.
თორომ დაბრუნდა იმედა, უჭკვოს არ დაგხვდა ქკვიანიო“.
უწინ ირემამ ესროლა, ვადამ გაილა ჟღრიალიო,
შერმე იმედამ ესროლა, ქუდმა გადილა ბრიალიო:
„ღაცდი, ნუ დამხალისდები, წამალ დასქარბდა ტიალიო“. 133

ზურაბ ჩამოჯდა როშკის გორს

ზურაბ ჩამოჯდა როშკის გორს, თან ხყონან თავის ყმანიო,
ახილციხესა მოხქადნის, კუთხს არ შეღლიჯნეს ქვანიო.
ამ ქავთარულთ ვაეებსა ერთყა ნაცადნი ხმალნიო,
ალიეთ ბაბლეს უთხარიო, ბერო, გვიქირე მხარიო,
არდანათ ხომიზურასა — არ დაგვიტვრავენე რქანიო.
შერუმამ მათურლისშვილმა ვეფხვემა გაშალნა მწკალნიო.
ემაგის ლექსის მათქვამი ხიზნის პატრონი ვარიო,
მიქერავ ბლახურის ძესა შიშნისა თოფის ტანიო. 134

* *

როშკას ჩამოჯდა ზურაბი, შუქნი ჩამუშნა მზისანი,
დაჟე, დაგვეხინ ზურაბო, ნარჩევნო ჩვენის ხმლისანი,
თორ ვიწრო აოხრდებიან, ხოჯეგნი გვიდგან ღვთისანი,
მაგველენ! პირაქითელნი ნაპირის ადგილისანი,
თან მოჰყვეს ქალუნდაურსა მამუკას შუქნი მზისანი.
ბეგენგორს ჩამეხვივენეს, ჩამააწითლნეს ქვიშანი.
ბეგენგორს ქალუნდაური ყორნის გრილოსა ყვებოდა:
„ხმლითა ვჰსცათ, ჩემო კვესურნო, ადგილი თქვენ დარჩებოდა“.
შენდობა ქალუნდაურსა, ცუდები შეიცდებოდა.
ამანდით ამობრუნვილმა სამანნი ჩადგა ქვისანი,
ვინც ამას გადავიცილდეს, ცოდვა მოხკიდა ხმლისანი,
ვაჟმა კი ყველამ ესე ჰქნას, ვინც აქ აწითლას ქვიშანი. 135

ღუჟეთს ეყრების ლაშქარი

ღუჟეთს ეყრების ლაშქარი, არ სწვდების წვიმის ცვარიო,
არ ეყვენენ ასახვეტლათა ბაზალეთური ტბანიო,

შიგ დადგეს, ვერ დაეტევის თრიალეთს ღიდი მთანიო,
არაგვზედ შამადიოდა, თავშალმ დაბრუნდეს წყალიო.

ლულის თავს დადგა ქვევითი, ნაკარვებს ცხენოსანიო.
ჩვენ ღელეს მოვიმალენით სამოცამდ ფაროსანიო,
სამოცსა ფარიანჩია სამსაც ძლივ გვერტყა ხმალიო.

ბაცას მიუდგეს სუმბატას: „სუმბატავ, შინა ხარო?“

— „შინა ვართ ბიძა-ძმისწულნი, ორნი გვეტანნეს სხვანიო,
ბევრად დახვეწით ისარი, თითო გვაქვს ჯორის ცალიო,
პურიც არ გვაკლავს საქმელად, კოდებჩი გვიდგას წყალიო,
ქალნი ჩავყარენნ დაჩანჯჩი! შუქო, თამარო დანიო,
ზურაბ, მაგვთენ არ შაიძლო, არ მოუხელო კვალიო“.

— „სუმბატავ, კარჩი გამოედ, ზურაბ მათხნა ყმანიო,
ჯერ ჯორი გამოიმძღვარე, მემრ შიშველაი ხმალიო“.

სახელს იღებდა ბრძობითა ფიცხელაური გვარიო,

ეგი ბრმა არ ყოფილიყო, არჩივა კაბანიო,

მდაქვილოს რო ციხე დგას, არ გაუნაყა კარიო.

გამოტულოს გორს ჩამადგეს ბიძაის ძენი რვანიო,

კვათეს ჩაყარეს ისარი, როგორც დილის ცამ ნამიო,

კიბეს ჩაწურეს ლაშქარი, რომ² საკალმახეს წყალიო.

ვინ იჯედ ღორღოანასა, მამა წაგიწყმდეს მკედარიო,

ჩაგუბებულსა ლაშქარსა ვინ ჩაგვისწავლენ გზანიო,

თორ³ კიდევ ჩაწითლდებოდეს, კიბეს რომ ქცეულანიო. 136

ლულოს თავს ხელად იპერან

ლულოს თავს ხელად იპერან, ვისაც ფუნჩია ხქვიანიო,
წავალ, თქვა, არ დავიჯერებ აკუშოს ომსა ღბიანიო,
ჩავხოცი აზნაურებსა, ფრანგულსა სისხლი შიანიო.

კაცი მასტყუედი, აბაო ჭინჭარაულო, ქკვიანიო,
რად დაბრუნე ქვესურნი, მართულნი ცხენ-აბჯრიანიო,
არვის უნდოდა სახელი, ცხენჯორი, საკიდვრიანიო,
ან ხმალი არვის უნდოდა, ვადამდის სისხლის ცვრიანიო?

¹ სამალავში.

² ეთ.

³ თორემ.

ჩვენ ვანხევამდინ მისდივეთ, მშვილდ ვაყუფენით რქიანო,
ჩარგლის გორ ზალი¹ ვატირეთ, ვითმ გოგო იყვა თმიანო.
მოახსენებენ მსახურნი: „ზალო, მასტყუედი, ჭკვიანო,
აკუშოს რად მიხვიდოდი, ჯვარი ხყავს დოვლათიანო,
ქუდნისა ალა ხქონია, საძახებელი ტიალო;
ჩალბურნი ნებიერულნი, ბასრის ხმალნია ფხიანო,
მშვილდს ზიდვენ იანვარშია, ისარი ხქონდა თბიანო;
აკუშოს ქალას ჩაგვეყარნეს, კლდიანი კიბორჭიანო,
წამოგვაყარეს ისარი ფოცხვიან-მაკრატლიანო,
გვიხოცეს აზნაურები, ყორნებ ჩამოდის თბიანო“. 137

კაცი ბეგენგორ წამოღვა

კაცი ბეგენგორ წამოღვა, — ზურაბ სანეში ჯდებო.
როშკას ატირდეს დედანი, ხმა ხევსურეთში ტყდებო.
უთურგი მეწყინაის ძე ხევსურთ გულისად კვდებო,
ამღას ესხდიან ცოლ-შვილნი, მაგას რა წაუხდებო,
ღივასა გელდიაურსა ტანს სისვი² სკლატი³ ხდებო,
ხმლითა სცემს ჩდილელის შვილი, — „აქ მოდევ“, ეუბნებო,
კაბას ხდის პაპიაური, — „ახიელს მომინდებო“.
ყაწიმიანნი⁴ ხევსურნი გძელ კლდესა იძალებო.
ერჩიყო⁵ ამანდ მალვასა ხაროს ეჭირა მხარიო,
უთურგი არ მოეკვლია მეწყინაის ძე ხარიო.
ღულის თავს მოგწვდა, ზურაბო, ლომნიურის ძის ხმალიო.
მოკლედ მოხყევი ყმაწვილი, ხადუველთ⁶ მეომარიო,
ლარაქიშთ აპარეკაო, ღმერთმა გაცხოვნოს მკვდარიო,
ღულის თავს კარგათ უჭირე ლომნიურის ძეს მხარიო.
ხარხოს უნდ შევხოციყვენით, გვაშაირებენ ქალნიო. .
ამაგ სიმღერის მათქვამი ბახალოს შვილი ვარიო,

¹ ზურაბ ერისთავის ძმა.

² მწვანე.

³ მადლი.

⁴ „ყაწიმი — ხელის, თოფის მასრებს ჩამოსაგდები ჯვარედინად, რომელსაც წვრილი ასხმული მეტალისა აქვს“.

⁵ უჯობდა.

⁶ სოფელი.

ბანზე არ გამომეყარნან ერისთვის შვილის ყმანო,
სახლნ მიდგან ხუროთ ნაგებნი, კუთხზე მიკრიან რქანო. 138

ზურაბის მოკვლა

ზურაბ, თან გახლდეს მსახურნი, ერთ ხანად დაიბადეო,
ჩსპაანამდი გაითქვი, ყაენთან გაიზარდეო.

აშენებული ოსეთი, ხარ-ცხენი ჩამოლალეო,
სოსლომიშვილსაც აქებდეს, აღზდეგ და ეგეც ნახეო,
სოსლომიშვილის ლურჯაი სიმამრის გაულალეო.

შამაგითვალა სიმამრმა: სიძევე, საფურცლეს მნახეო.
საფურცლეს ზურაბ ჩავიდა, ლალატით მხოცელ მტრისაო.

კახელთ მაართევს ყურძენი: სიძევე, შეექეც ხილსაო.

დაუსხეს მუჩაანგები, — დაწევე, დაენდევე ძილსაო,
დაითვრა ღვინით ზურაბი, მემრ პირი წაჰყვა ღვინსაო.

თემურაზი ჩეუბნების იმერეთ მეფის შვილსაო:

„ზურაბს თუ მოჰკლამ, ქალს მოგცემ, მონას არ დაგცემს ცხვირსაო.“²

ხლმით სცემდა ბარამ ბატონი, — „დაჰკარით კახპის შვილსაო!“

თუშთ მოურავ ჰკრა ხანჯლები, ზურაბ გიწვდინა ცრუსაო.

ბარამს უბოძა ბატონმა ზურაბის ცხენი საღარიო³;

ტყავ კაბა საგინაშვილსა, ზედ ოთაღანი⁴ მაღალიო,

შახდების თუშთ მოურავსა ზურაბის ქამარ-ხანჯალიო.

არაგვზედ დალალეს ფშავ-ჭევესურეთში ჩაფარიო:

უთხრადით მავათ ქალ-რძალსაო, ძილ დაიძინან მავარიო,

ზურაბ საფურცლეს მოვკალით, არ შამოვალს ლაშქარიო. 139

• •

საფურცლეს ზურაბ მოვიდა, ლელწამი ზღვის პირისაო.

გაუშალეს ხალიჩები, ზედ ზურაბ დაბძანდისაო,

აუყვავებენ სუფრასა, — ზურაბ, შეექეც ხილსაო.

გიღალატებენ, ზურაბო, ელიან შენსა ძილსაო!

ხმლითა სცემს ბარამ ბატონი: „დაჰკარით კახპის შვილსაო!“

¹ ზურაბის სიმამრი, „ერეკლეს პაპაო“.

² ცუდად არ დაგდის ცხვირის დაცემინებაო.

³ ნიშა.

⁴ ქუდი.

საფურცლით მოდის ტირილა სულძაღლი ერისთვისაო:
„ვინ მოგკლა, შვილო ზურაბო, ვინ შეგხსნა ხელნი გმირსაო,
ვინ ჩამოგყარა თაობა ქართლისა არაგვისაო,
აღარვინ მეგულეობდა მომრევი ზურაბისაო“.
ზურაბის ცოლი ტიროდა: „ვაი უდროვოდ ქვრივისაო!“
თამარ! სწყევლიდა დედასა: „ჩემიმც დღე დაგადგებო, ან ჩემი დალატისათვის თემურაზ მოგიკვდებო!“ 140



ვლუმო თულუმშიშვილო, ვეფხვი ხარ, ველის კანჯარი,
მარჯვენა ხელიმც შეგრჩება, ზურაბს შენ დაეც ხანჯარი.
გაგზავნეთ მახარობელი ფშავ-ხევსურეთში ჩათარი,
ზურაბის მოკვლა ახარეთ: „აღარ მოვალის ლაშქარი,
ფშავ-ხევსურეთის ქალ-რძალმა ძილ დაიძინოს მაგარი,
მიგრი² მოხვიეთ ბატონსა ზურაბის წამოსასხამი,
შეარტყით ჩოლოყაშვილსა ზურაბის ქამარ-ხანჯარი!“ 141

იასა მეფე

იასა მეფე მობრძანდა, დაჯდა ქალაქის პირსაო,
გარს ვალავანი მოივლო გათლილი თუთის ხისაო,
შიგ ბალი-ბაღჩა ჩაყარა, სულ არჩეული ხისაო*.³ 142

ცხრანი ძმანი

ჩვენ ვიყავით ცხრანი ძმანი ჩარმონიძე ჭახილონი:
ი¹ზ ბალათარ, დავით სოსლან, ოთხ სამეფოდ მებრძოლანი,
ფილარიოზ, ჯადარიოზ, სოყე, გიორგ, მტერთა რისხვით შემხედვარნი,
ჩვენი ძმანი სამნი ბერნი: ისაკ, რომანოზ და ვასილ
იყვნეს ქრისტეს კარგი ყმანი,
საიქიოს მოიმედე, სააქაოს კარგად მდგარნი.
ჩვენ გვიჭირავს ოთხ კუთხეთა მიმავალთა ვიწრო გზანი.
კასარაზე⁴ სიმაგრე გვაქვს, აქ გვიჭირავს ხიდის კარი⁴

¹ ზურაბის ცოლი.

² ტანსაცმელი.

³ მთა დიგორისაკენ.

⁴ რაქისაკენ.

ქართველს ბატონს გამოვტაცეთ, არ დავაგდეთ ჩვენი გვარი.
მოგვწვდა, ფიცით გვილაღატა, მან დაიდვა ჩვენი ბრალი,
ბალთარ წყალსა მიეცა, აღიხოცა ოსთა ჭარი.
ვინც ეს ლექსი წაიკითხოს, მცირედ ბძანოს შენდობანი. 143

ჯიმშერი

ჯიმშერ ხადას¹ მიბრძანდება, ქალბატონი უშლის ხელსა:
„ბატონო, ნუ მიბრძანდები, წუხელ ვიყავ ავ სიზმართა,
შენს ნაგებ ციხე-ქვითკირთა სამი ჰკრეს ზარბაზანია,
ცალი კუთხე ჩამოშალეს, მიწა დაიძრა მყარია“.
— „ქალბატონო, რატომ ბრძანებ, რათა ბრძანებ მაგ სიტყვებსა,
მე რომ მთიულეთს წაებრძანდე, ჩემი შიში ქვასა ხეთქსა,
მოვკრეფ ყალან-ბეგარასა თრუსოსა და ხადახეუსა,
ასეთს ხალათს გამოგიცვლი, რო შაშურდეს თავადებსა“.
პატარა ხანი ვაცალე, ორი ბიჭი თოფსა სტენსა,
ერთმანეთს ეუბნებოდენ: „თოფი კი არ დაგვიცდესა!“
ქალბატონი ცხენით ელის, ჯიმშერ კუბოთ მიართევსა,
ომანმა და ქაიხოსრომ ქოჩორ ხელი გაივლესა:
„ჩვენც იქ უნდა დავიხოცნეთ, საცა ჯიმშერ მოგვიკლესა“.
ხუცაი ჰფიცავს ხეთისასა იმ თავის ლომისისასა:
„ორისვე დედას ვატირებ, ჩემსა და ჯიმშერისასა“. 144

ალმასხან ბატონიშვილი

ალმასხან ბატონიშვილო, პირში არ დაგეფერები,
წამართვი ჩემი ბუდრისი², შიგ ჩააყენე ცხენები,
უკულმამც დაიკმაზება იმ მგლის გამოსახერელები,
გაიქეც გუდამაყარსა, გაგრიხეს თხილის წნელები,
გამოგაცალეს არაგვი, მამქამე ჩემი . . ბი. 145

შანშევ, გეხალისებოდა

შანშევ, გეხალისებოდა, მამული გედო პტყელიო,
ქართლი ხელთ გქონდა, ქალაქი, მუხრანში გება ცხენიო.

¹ სოფელი მთიულეთში.

² მინდორი ღუშეთთან ახლო.

ექადღი ერისთვიანთა, ემტერე, წაჰყავ ხელიო.
 მაქარი ვახტანგიშვილო, ღმერთმა მაგტეხოს წელიო,
 ქალაქით გამოემართე, ღამით შაჰკაზმე ცხენიო,
 ახალგორს ამოიარე, ხანჯალზედ გიდევს ხელიო.
 წამოგიქროლა შანშემა, წამაგკრა შუბის წვერიო,
 დაგაქირა და დაგგრიხა, როგორც კი რცხილის წნელიო,
 ჩაგაგდა საბნელოჩია, მაგიღერება ყელიო,
 დაგშიშველებიან ცოლ-შვილი, თვალთ მოგადგების ცრემლიო,
 აღარ არ დიამბექობა, საგლესო მოგცეს ხელიო,
 პტყელი წაგართვა მამული, თავოდ ჩაუშო სთველიო.
 თოფი გავარდა ახალგორს, მთა გაიარა გძელიო,
 შანშეს ძმამ ყურალაღამა თოფს წამოავლო ხელიო.
 არ მოუტდენდა ჩახმახი, არც გაუცვლებს ცერიო.
 აცაღეთ, ნათათრალეზო, ჩვენნი მზე მოვალს ცხელიო,
 დაიქცნად¹ არ გეკადრებისთ, რად დაჰკაზმენით ცხენიო. 146



ავარდა ბატონიშვილი

ავარდა ბატონიშვილი, ურჯულო ნათათრალიო,
 კაცი დალაღა ხევსურეთს, სად მყვანდნენ უნჯნი² ყმანიო.
 ეგრე წამოვლენ ხევსურნი, ისრო³ მარილზედ ცხვარიო.
 ერეკლეს დუქეთს მიუვლენ, სრუ წყრობით არ იქნებისო.
 გარდაავლივა სურამი, ჯარ აწყვერს მიუდგებისო,
 აწყვერულს სიმაგრეჩიო შიგ ლეკებ დაუხვდებისო.
 დაბრუნდა იარალაი⁴: „მაგას რა მეეგვრებისო“*.
 შაჰსწუხდა ბატონიშვილი: „ჯარი სრუ გამიწყვდებისო“.
 მაახსენებენ ხევსურნი: „დღე ჩვენი გარდახდებისო“.
 ჯარჩიგით გამოერჩივნეს, ერეკლეს თან ჩაჰყვებისო,
 სუმბათა ლოხაურისძე⁵ ლაშქართა გაღმეტდებისო,
 დედით ძმათ გაჯავრებული ძმას აღარ[ა] სძრახდებისო,

¹ გაქცევა.

² ერთგულნი.

³ როგორც.

⁴ სარდალი ლეკის ჯარისა.

⁵ ლიქოკელი ხევსური, მომკვდარა ამ ომში; ამისი შთამომავალი ეხლა არიან თიანეთში, ფიცხელაურს უძახიან.

აბაი ბიტურათაი! დედასამც დაურჩებისო,
ხელში აქვს ლეკის მაჯარი, ესრევ არ დაუცდებისო,
საც აბა დაეტანების, ცალე² კი არ დარჩებისო.
ერეკლეს ბატონიშვილსა ომი ცხენ და ცხენ ხდებისო,
დაკათა კობტა ბელადი, გლეხს³ როდი ეკადრებისო. 147

* *

იარალაის კუდაი ხევის მთას გარდმობდებო,
ერეკლე ბატონის შვილი ტახტზეით ჩამოხდებო:
„გამომივიდან ხევსურნი, ვინც ომში გამოდგებო.
ფშაველე კინკარაული ნიადეგ ნუ დიდგებო,
გამოიყოლოს სამანა, მკედელიც დაგვკირდებო“.
დუშეთ ერეკლეს მიუვლენ, სულ წყრომით არ იქნებო,
გარდაავლია მუხრანი, ჯარ აწყვერს მიუდგებო,
აწყვერულს სიმაგრეშია შიგ ლეკებ დაუხვდებო.
დაბრუნდა იარალაი: „მაგას რა მოეგვრებო“.
შესწუხდა ბატონიშვილი: „ჯარი სრუ გამიწყდებო“.
მოახსენებენ ხევსურნი: „დღეს ჩვენზე გარდახდებო“.
ჯარშითსა ჩამოერჩინეს, ერეკლეც ჩამოხყვებო.
სუმბატა ლოხაურისძე ხევსურებს გადმეტდებო,
დედი ძნათ გაჯავრებული ძმასაც არა ძრახდებო,
ჯანშათა ივანეურსა მეშველი მოუნდებო.
ნუ ხკვდები, ივანეურო, მარტო ხარ, არ გიხდებო,
შენი წილი და ნაწილი გუდან გასაყოფ რჩებო.
გუგუვას შვილი ღერენა სახლშიაც შეუდგებო,
ბევრი აქვს ტყვია-წამალი, ძალზედაც დაუდგებო.
აბაი ბიტურას შვილი დედასამც დაურჩებო,
ხელში აქვს ლეკის მაჯარი, ნასრევ არ დაუცდებო,
საც ომში დეტანება, ცალია არ დარჩებო.
ერეკლეს ბატონის შვილსა ომი ცხენ და ცხენ ხდებო,
აკათა ლეკის ბელადი, გლეხი არ ეკადრებო. 148

¹ ბლოელი ხევსური.

² კაცმოუკლელად, უსახელოდ.

³ გლეხს დასახოცად არ კადრულობსო. (ი. ჰაეჰაჰაძის განმარტებები.)

ღ

• •

ზვარდა ბატონიშვილი ერეკლე ნათათრალიო,
შთიულეთშ ამაიარა, ფხიტუს დალახნა მთანიო,
მამავალ მაკითხულობდა: „ხევსურებს ვინ ჰყავთ თავიო“.
სანეს დაიცა კარავი, შამაიხვიენა ყმანიო.

იმედას ეხვეწებინ: „გაგილე ბელლის¹ კარიო,
გამოგვიბძანე დროშია, სამსა აგვიბი ზარიო“.

ხევსურებ ლაშქრა გაბედეს, არ ერგებინ გზანიო,
ჩავიდეს ნაქალაქართა, არ სწვდების წვიმის ცვარიო,
გადაიხურეს ჩაჩქნები, მთა დააშვენეს, ბარიო.

მაშინ ერეკლემ უბრძანა: „ჩემნი ხართ უნჯნი ყმანიო,
ურუმებს დაუჭერია საქალაქონი გზანიო“.

ხევსურებს ურუმებისგან დიდ მოუვიდათ ძალიო.

სანგალ მოივლით, ხევსურნო, ისრემც გწყალობდისთ ჯვარია.
მეკრეთ² ფუნჩიათ დაუდგა გიორგაის ძე ხარია,

ღვედრება ამადიოდა ლულელ მანგია ვარია.

სახელსა კი ნუ დაღმალავთ, ვინაც ქართველობა ხარია,

იარ ნაკუდავთ, წავიდეთ, დავხიათ³ ქართლის წყალია,

რახა ქალაქში ჩავიდათ, მანდ მოვა ხევსურთ მგზავრია

ამბა უამბა სწორადა ჩვენზე ნადგომი ძალია,

აღარ ხვიოდა დროშია, ლალი გუდანის ჯვარია.

ბატონს ერთ ფუნჩაი ახლდა, გიორგაისძე ხარია,

ამანდ ნაყოფთა ხევსურთა იმედას დასდევს ბრალია, —

იმედავ, რათ ჩამოყარენ, თუ არ ლამოდენ ჯვარია. 149

• •

ქ

ავარდა ბატონიშვილი ერეკლე ნათათრალიო,

შეჰკაზმა თავის თაფლაი, ზედ შექდა თავო ქორიოჲ.

მაგას მოხსენდა ბატონსა, ჯარი მოვიდა ბევრიო,¹

ამაგ ჯარს გამოერი, წელზე შეიბა ხმალიო..

ამბობენ ერეკლისასა, ჯარებ შუაზე გახიაო,²

¹ ადგილი დეკანოზებისა, ოთახი სალოცავთან..

² მეკარედ.

³ გავხიოთ. გავიდეთ.

ასი ცხენს გაახეთქინა, ორას კარავში გახვიაო,
რმსა არ უნდა გძელება, შუბი ბუდეში წახვიაო*.

ფ

ჯარს ეძახს ბატონის შვილი

ფ

ჯარს ეძახს ბატონის შვილი ერეკლე თავის ყმათაო:
„პირი ქნან ფშაველ-ხევსურთა, თუშები მიდგას მზასაო“.
გავიღეს ნაყვეჩაოსა, მალალს თუშეთის მთასაო,
გახედვენ გარმოსახედსა, ლეკ რომელს მოვას გზასაო.
ხუთშაბათ თენებაზედა ურჯულო გარმოხდ მთასაო.
„ფარსმანს დამიდგით ციხენი, ქავს! გამიტეხენ კარსაო“.
იმედს აძლევენ ფშაველები, თოფის დახვევდით კვამლსაო,
ხელი გაისვია აბამა, ხევსურის შვილმა, ხმალსაო.
განათდა ბაწარაული, ცადა უცემდა თვალსაო,
გვერდს ედგეს განაყოფები, მშაველა უჭერს მხარსაო;
ბოველი მალოდინაი, მგელი მალლალავს ცხვარსაო,
ომობენ ლელელთ შვილები, ერთი ეძახდა სხვასაო:
„თითოს შეეწირათ ოროლი ლეკთა ნახოცსა მკედარსაო“.

ქალაქი ფშაველის შვილები

ქალაქი ფშაველის შვილები ჰკითხვენ ლაშარის ჯვარსაო,
გიორგი იმას ბძანებდა, ურჯულო მიკრავს გზასაო.
ბაზარზე ად-ჩადიოდეს, თოფის ვაჭრობენ ტალსაო,
უთხარით ლეკთა შვილებსა, ფშაველებს ნუ უკვრენ გზასაო,
მთის კაცებია ფშაველები, იარაღს ზიდვენ მზასაო.
აბაზზედ გაუმართლებათ გულოშვილს მანგიასაო,
ჩუგაურთ გონჯილუასა ჩარმა² შამააქ მზასაო.
ლეკ ნუ დაგიკრათ ბელათსა, ქართველსა მგელიასაო,
თოფსა აგისხნით მხარითა, ხირიმსა ძალიანსაო,
ხმალსაც შავიხსნით წელთითა, ფრანგულსა ღარიანსაო.
ერეკლეს გახარდომია, — ხალათს დააცოშს ტანსაო.

* ბურჯს.

² დიდი თოფი.



გოჭტაშვილი დათუნი

არა ქნა ჩვენმა ბატონმა, შაყარა დიდი ჯარია,
 ორპირ აამსო ქიზიყი, ხელთ მისცა წინამხარია,
 ალაზან გადო ჯიშირი, ზედ გადის ჩვენი ჯარია.
 პატარა ნაბახჩევშია შიგ დამალულა ჯარია.
 მიველით, გამოგვაქციეს, როგორც ნადირმა ცხვარია,
 ბატონსა ცხენი მოუკლეს, თავს უკრეს ზარბაზანია.
 ეს გოჭტაშვილი დათუნი ღეთის ჩამოსული ჯვარია,
 ბატონსა ცხენი მიაართო, ხელში ექირა ხმალია:
 „ბატონო, ცხენზედ შაბძანდი, თუ გიყვარს ჩემი თავია“.
 ბატონი ცხენზე შაბძანდა, ქვეშ უქრის ნიავ-ქარია.
 დათუნი ქალაქ ჩავიდა, ეხვევა დედოფალია:
 „შენი ჭირიმე, დათუნი, შენ მამირჩინე ქმარია“.
 საჩუქარი ბევრი მისცა, წელს შამაარტყა ხმალია. 153

* *

დათუნავ, ქალაქ ჩამოდი, გიბარებს დედოფალია:
 შენი თვალების ჭირიმე, შენ მამირჩინე ქმარია,
 სულაც შენ გენაცვალემა ქართლის, კახეთის ჯარია,
 მამულებიც კი მონახე, სიგრძე-სიგანე ბრტყელია,
 დათუნავ, საქართველოსა შენგნით არტყია ხმალია. 154

ქალი მოვიდა ურუმით

ქალი მოვიდა ურუმით, თვალები უგამს მწყერსაო,
 კახურს კითხულობს ანბავსა, ეტყვლეს ჰფიცავს მზესაო:
 ერეკლეს დაუბარებავ, დავ, ნუ შეირთავ მტერსაო,
 ცოტა ხან შამოშიცადე, ქალაქს აგიდენ მტვერსაო,
 შენსა მოგიკლავ საქმარეს, ზედ გადავაფრენ ცხენსაო,
 მოგიტან საპერანგესა დარაიასა ჭრელსაო,
 ქმარსა მიგცემდი აგეთსა, მზეს რო ჰფიცავდის ჩემსაო. 155

* *

ქირმიზით ქალი მოსულა, თვალები უგამ მწყერსაო,
 ჰკითხულობს ქართლის მშვიდობას, ჰფიცავს ერეკლეს მზესაო.

ერეკლემ შემოუთვალა: დაე, ნუ შაირთავ ქმარსაო, თორომ მოვალ და მოგილავ, ხელს გადავიფრენ ცხენსაო, მუხრანს დავსწოვ და დავდაგავ, ქალაქს ავადენ მტვერსაო. 156.

ბაჰარიანთა დაღევა

ბაჰარიანთა დაღევა ქართველზე წილნაყარია, სიკვდილი პაატაისა ღმერთმა იცოდეს, ბრალია, შეინახადით, ხევსურნო, გყვანდათ წილს ნამარგალია, ეკიდას ბაგრატიონთა ამაგათ ცოდვა-ბრალია, დალივენეს ბაჰარიანნი, სულ საქართველოს კარნია. 157



მეფე ერეკლეს მოლალატანი

მეფე ერეკლე, ქვეყნის ბატონო, კელეპტარი ხარ ქვეყნისა მნათი, რუსეთ ხემწიფე შენგნით გაჰკვირდა, შენგნით შეშინდა ყანდარ-
ერანი, ღმერთის მგმობელმა, რჯულის დამგდებმა, ვინ მოიგონა მეფის
ლალატი.
ერთს ფეიქარსა წიგნი ხელთ მისცეს, — ეს ჩაგვიტანე ქარუმ
ხანამდინ:
„ქარუმ ხან, შენ წინ წამოდექ, სულ ამოვწყვიტოთ შვილით
თავამდინ“.

იმ ფეიქარმა სამ დღეს იარა, [სამ დღეს იარა] სამ დღის სავალი.
ანგელოზები წინ გადაუდგნენ: „როგორ იქნება მეფის ლალატი?“
ის ფეიქარი უკან დაბრუნდა, ღამით მოვიდა მეფის კარამდინ:
„ჩემო ხემწიფევე, თავს გაუფრთხილდი, უკან დავიდგნენ ყოვლნი
თავადნი“.

მეფე ერეკლე გაჯავრდა: „ვის შეუძლია ლალატი?“
— „ჩემო ხემწიფევე, თუ არა გჯერა, უბეში მიძევს მათი ბარათი“. უბეს უნახეს, ამოაცალეს იმ თავადების ავით ნახლათი.

¹ დედანშია: მეფე ერეკლე გაუჯავრდა: „ბიჭო, რას ამბობ, ვის შეუძლია ჩემი ლალატი?“

მეფე ერეკლემ რომ წაიკითხა, ხმა არ გაიღო დიდი ხანამდინ.
კახეთს შესთვალა: „მოდით, მიტირეთ, სიკვდილი მოხდა ჩემი
ამლათი“.

კახეთის ჯარი მალე მოვიდა, რო მოიხედამთ, ისე მალათა:
„უნ მოგვიკალით ჩვენი ერეკლე, სისხლი დავლიოთ, როგორც
შარბათი!“

ის თავადები სულ მოაგროვეს, როგორც კალოზედ პურსა არნადით,
თავს დააყენეს თვალის მთხრელები, მას მიადევნეს უკან ჯალათი.
თაქთაქიშვილსა ნავთი დაასხეს, სულ შიგ ამოწვეს თავით ტანამდინ,
ამილახვარსა თვალნი დასთხარეს, ხელები დასჭრეს, —

ის ველარ მივა თავის კარამდინ.

ამილახვრის შვილს თვალი მოსთხარეს და ხელი მოსჭრეს:

— წადი, იარე, შენ გაგლახავდი!

ფეიქრის ცოლი დედოფალმა იქ დაიბარა თავის არამში,
ფეიქრის ცოლი რომ შეიყვანეს, ქვეშ გაუშალეს მას თაქ-ნაბადი:

„შენ, ფეიქარო, ამდენსაც მოგცემ, სანამდინ გეყოს შვილით
თავამდინ“.

ღმ ფეიქარსა მსახურნი მისცეს, თან მიადევნეს კარგი დალაქა,
კახეთში მისცეს კოშკი ქალაქი.

ფანიაშვილო, ეს შენ გამოთქვი, ბარემ სულითაც მანდავ განათლდი,
ეს რომ მეფეს მოახსენო, ფიცხლავ მზა არის შენი ხალათი! 158

აბდულა

აბდულა შეკაზმულიყო ჯაჭვითა და ჭინჭილითა:

„მინდა ქალაქს შემოვადგე, ამოვწყვიტო შიმშილითა“.

მეფე ირაკლიმ გაიგონა, გადაბრუნდა სიცილითა:

„შენ ეს ბიჭი მოგიკვდება, ვერ გაგხეტქო სირბილითა,

კაჯორი მოგარბევინო, მონასტრები ტირილითა!“

შეჭამანდებ ანელებენ კოფბითა და პილპილითა:

„დაჯე, აბდულ, პური ქამე, რაზე კვდები შიმშილითა?“.

— რა პურისა მეცხელება, კუჭი მტკივა სირბილითა!“ 159

მეფე ერაკლეს მეუღლე

ყაბართოს იყო ერთი მზე ბრწყინვალე მანათობელათ,
იმავე ხანის ასული იყო ჩერქეზთა მფლობელათ,

მშეენიერებით მდიდარი, უმანკო დაუტკნობელათ.
რძლათ მოიწოდა მეფემან პალატის შესამკობელათ. 160

მეფე ერეკლე

ქართველებ ვერ გაიგითა

ქართველებთ ვერ გაიგითა, რკინით შეგესხნათ კარიო,
მეფე ერეკლე აღარ გყავთ, ბაგრატიონთა გვარიო.
აღარ ყავ ბაირახები, აღარ კჳეხს ზარბაზანიო?
ღმერთს კი შესწირნეს თავადთა, რად შეგვიკერენ ბრალნიო¹,
მეფის ერეკლის სიკვდილი ვინა თქვა, რა სათქმელიო,
მეფე ერეკლე ზეცას არს, ღმერთთან არს წილნაყარიო,
მცხეთაში ოქროს კუბო სდგას, შიგ ნათობს კელაპტარიო,
მეფე ერეკლე შიგა წევს, ბაგრატიონთა გვარიო:
„მანამდის ვიყავ, ცხენსა ვჯექ, მივძრენ და მოვძრენ ზღვანიო,
ეხლა კი თქვენ გაგიწირეთ ფხასისხლიანი ხმალიო,
შეინახილეთ, შეილებო, ქალაქის მოედანიო,
ერთმანეთს ნუ უღალატებთ, მტერმ შამოგართოს² თვალიო“.
ამა ქართულის მათქვამი მე კი ხევსური ვარიო,
ვაიმ გაგვიწყრეს ბატონი, გაჯავრდეს დედოფალიო!
ქართული მე მოვიგონე მეფე ერეკლეს ცდისაო,
თუ გინ გამიწყრეს ბატონი, იქნების ჩემი ჳკვისაო,
ბატონს რაით ეკადრების ნათქვამი თავის ყმისაო. 161

* *

ვერ გაიგითა, ქართველნო, შაგეხსნათ რკინის კარია,
ღაჩუმდა ბაირახები³, აღარ ჳეხს ზარბაზანია.
აღარ გყავთ მეფე ერეკლე, არც მაგის საომარია?
ღმერთს შასტირიან თავადნი, რა შაგვიკერე ბრალია,
დედღუფალ იმას სტიროდა, იმერეთ ნეფის ქალია.

¹ შაგები.

² ერთ ვარიანტშია: მტერმა არ გთხაროთ თვალიო; მეორეში: მტერმა არ შეგართოთ თვალიო.

³ ბაირახები.

„შვილებს დაუდგი ბექთარი¹, სისხლში ნამწვლარი ხმალია, მანამდინ ვიყავ, ცხენს ვიჭეთ, მივძრენ და მოვძრენ ზღვანია, ეხლად იმას გცხვენოდესო, ვის გერტყათ ჩემი ხმალია, აწ შაინახით, შვილებო, ქალაქის მეედანია“.

ცხეთას კუბო დგას ოქროსი, ნათობდა კელეპტარიო, შიგ იწვა ნეფე ერეკლე, ბაგრატიონთა გვარია. 162



არ გეჯერებათ, ქართველნო, შეგვეხსნა რკინის კარები, ალარ გვყოვ მეფე ერეკლე, არც მაგის საომარები, დადაბლებულან კარვები, ალარ სქექს ზარბაზანები, დამღვარან ბაიხალელნი, დაჩუქებულან ყმანიო, ქრისტესთან კაცი გაგვზავნეთ, ქრისტესთან წინა ყარიო, სუყველამ შავი ჩაიცივა, დავეარგეთ საჩივარიო. მცხეთას რომ ოქროს კუბო დგას, ზედ ნათობს კელაპტარიო, შიგა წევს მეფე ერეკლე, ბაგრატიონთა გორიო, თავს ადგას ცოლი თავისი, იმერელთ მეფის ქალიო. შვილებს დაუგდა ბეგთარი, პირსისხლიანს ცმალიო: „შვილებო, თქვენ შაინახით ქალაქის მოედანიო, მინამ მე მთელი ვიყავი, მივძრენ და მოვძრენ ზღვანიო“. ნუ გაგვიწყრები, მეფეო, მთის კაცის სიტყო მცდარიო, თქვენს კალთას გამოგვიხვიე, მტერთ დაგვაყენეს ძალიო*. 163

შენ ერეკლე ოქმიანო

შენ ერეკლე ოქმიანო, ცხენ-ლამაზ-უნაგრიანო, შენი ნახოცი ლეკები ასპინძის ბოლოს ყრიანო, ყვაავი, ყორანი ლეშსა სქამს, კაჭკაჭნი თვალებს სთხრიანო. 164

გამობძანდა კახი მეფე

გამობძანდა კახი მეფე, თან გამოჰყვა დიდი ჯარი, სულ ოსი და სულ ჩარგასი, დარაზმული რაზმის ჯარი, ჯერ კი იხმარეს თოფები, მამრე ამოიღეს ხმალი. 165

¹ ჯაქვი.

ერეკლემ შემოუტია

ერეკლემ შემოუტია ამ თავის გორდა ხმალსაო:
„რას შერები, ჩემო ფრანგულო, რატომ არ გამცემ ხმასაო?“
— „გულუშიშრადა შემამქარ, ძალი ატანე კლავსაო
და მაშინ სეირს მიყურე, სად გავაგორებ თავსაო!“ 166

✍

ერეკლემ ცხენს შეუტია

ერეკლემ ცხენს შეუტია, ხევზე გახადა თქათანი,
ხევ-ღელე ლეშით აამსო, ცხენს შეუღება ფაფარი. 167

ძმათა ერთია ყრილობა

✍ ძმათა ერთია ყრილობა, გინდა შენ მოჰკლა, გინდა მე.
ჩვენი ერეკლე ხემწიფე ერთი პატარა კახია,
ჩაიცო ჯაჭვის პერანგი, გაიკრა ხელი, გახია. 168

✓

მეფის ერეკლეს დროჩივა

მეფის ერეკლის დროჩივა შორს მოვაძოვნი ძროხანი,
დავწვი და ისე მეძინის, ზედ წაეიხურნი ჩოხანი,
[ახლა ასეთ დროს ჩავარდი, მენატრებიან დოსანი]. 169

✍

• •

✍

ფეტვიით აქულაკამ თქვა: ტაშტი თავქვე დაიხარო,
რომ მივედ, სეტყვა მოვიდა, გარდაერჩი, გარდიყარო,
ვითომ კი მამიდა ვიყავ, ქალმა გულს შამაიყარო;
არა გიშავ რა, მე ვუთხარ, დროება გამოიცვალაო,
რუსი ხემწიფედ დაგვიჯდა, ერეკლე გარდაიცვალაო. 170

✍

ერეკლეს გლოვა

მთაში ამიღვრდა არაგვი, ბარათ აყროლდა მტკვარია,
ყველა შიგ შეშეერია, გველი, მყვარი და მკალია,

მტკვარსაც ნუ დაღვეთ, იცოდეთ, მტკვარიც კი მძორიანია.
 ჩრდილოეთს მივდით, გვიხარის, როგორც მარილზე ცხვარია,
 ძეგლი დაეკარგეთ მაშისა, აღარც გვეავ დედა მარიამ,
 ავდგეთ და გადავიხვეწნათ, მანამდინ კიდევ დარია.
 სამხრეთისაეცნ გავწიოთ, საიდან მოგვდის მტკვარია,
 იქნება მაშინ ვიპოვნათ ჩვენი ბაგრატის გვარია.
 აეწ ტკბილი გვაქ, ვიცოდეთ, კვლავ კი გვექნება მწარეა,
 ნეტავი იყოს ლაშქროვან, ნეტავ გავიდეს ჯარია,
 ნეტავი წელზე შეერთყას ერეკლეს ჩვენსა ხმალია,
 გატეხოს ციხის კარები, გაჰქროლოს როგორც ქარია,
 გვერდითა ჩამოგვიყენა ჩვენის არაგვის ყმანია,
 თქვენ თვალით გაყურებიან, ჩვენ გვაქნევინა ხმალია,
 წინამც საომრათ შეგვეყარა ყეენის შვილის ჯარია.
 სუყველამ იცით, ტუსაღთა მუხლებს აღარ აქვს ჯანია,
 გაგვეყვითლებია თვალები, რომ გვისომ თერგის წყალია,
 ვინც თერგის წყალი დავლიეთ, გუნება გვექნა ჩქარია. 171

აღა მალამებ ხანი

ეს რა საქმე დაგვემართა აღა მალამებ ხანისაგან,
 მაცხოვარო, დაგვიფარე ზოგნი დატყვეებისაგან.
 არჩივა ყორღანაშვილმა, გაუგზავნა ბამბა, ტარი:
 „დაჯექ, ყეენო, დაართი, შაიქნები ჩვენი რძალი!“
 ეს რომ ყეენმა შეიტყო, ჯარებს დაატანა ძალი,
 ადგა, ქვემოთ წამოვიდა, თან მოჰქონდა მთა და ბარი.
 იაღლუჯას რომ მოვიდა ის ურჯულო არაბელი,
 სოლოლაკზედ რომ გაღმოდგა, ქალაქს აეშალა კვალი.
 ბევრი მოკვდა არაბისა, ვერ იტყოდა ღელვით მტკვარი.
 ჩაკი აღარ იქნებოდა, — მორიდება კარგი არი:
 ბატონი ცხენზე შებძანდა, აირბინა ანანური.
 „სად მიხვალ, ჩვენო ბატონო, ქალაქი გაქვს სანანური!“
 თათრები ქალაქს ჩავიდნენ, შიგ დაუკრეს სალაჰური,
 ტურფები ბევრი წაასხეს, ბებრებია დადაღული. 172

ნეტავ ქება როგორ ითქმის ამ თბილის ქალაქისაო,
 ზამთარი არის ბროლია, ზაფხული ზურმუხტისაო,
 გარს ახვევია ბალები, ჩარხი უბრუნამს წყლისაო,
 შიგ წისქვილები უბრუნამს გარშემო უვლის წყალიო.
 ქალაქში აბანოები, ბადალი ხმელეთისაო,
 ძირილამ აშენებული აუზებია ქვისაო,
 მალლიდგანა მოჭედილი წითელ იაგუნდისაო,
 გვერდილამ ფანჯარეები სანათურია მზისაო,
 ვინც შავა, აგრე გახდების, როგორც თოვლია მთისაო.
 ქალი და რძალი გამოდის, ვით რო ყვავილი ხისაო.
 დუქნები ბევრი დამართეს, სასხლომი ბაყლებისაო,
 ქვეშ ქუჩები დაატანეს, სარბენი არი გზისაო,
 წინ ნათხარი ორმოები, ნაგები სარდაფისაო,
 ხო ის ლაინი ბევრია და ფარჩა ბეზირგნისაო.
 საყდარიც ბევრი ააგეს ამ თეთრი ქვიტკირისაო,
 ხატი და ჯვარი შიგ არის, სალოცავია ხვთისაო,
 ბერი და ღვდელი ამთენი, როგორც რო წვიმა წყლისაო.
 ხაზინაები აწყვია, მოჭრილი თამაზ ხნისაო.
 ერეკლე ბატონი იჯდა, ბადალი ხმელეთისაო.
 ანტირდა მცა და ქვეყანა, მისთვის არ მოდის დარია,
 ხოჯა ხანი წამოვიდა, თეირნით მომავალია,
 ამდენი ჯარი მოუდის, არ გადასწვდება თვალია,
 შიგ და შიგ სარდლები მიჰცა, მან კი აართო მხარია.
 შუშის ხან წიგნი დასწერა, ერეკლეს გაუგზავნია.
 თაყალები დაერჩივნენ, ერთათ მოაბან მხარია,
 საყდრილამ გამოიყვანეს ის დიდი ძველი ჯვარია.
 ზოგი მოუკლამს ტყვიასა, ზოგ მიწას შეუქამია.
 „ურჯულოს ხელში ნუ ჩაგვეყრი, ისევ შენ მოგვიხმარია“, —
 წინ ერეკლეს გამოუძღვენ, ვითომ ირემი ხარია,
 ანუ მოჰქონდა ლაპლაპი, ვით საომარი ხმალაია.
 დუშეთში რომ შემოვიდა, ცხენს მოაგოგებს ნელაო,
 დაჯდა და წიგნი დასწერა:
 ეს რუს ხემწითეს მიმირთვით, მან გადიკითხოს ნელაო:
 „ხოჯა ხანი წამოვიდა, ქალაქი შეამტვერაო,

მე აქედამ მომიქცია, ისევ მიშველე შენაო“.
გადიკითხა რუს ხემწიფემ, მუხლზე დაიკრა ხელია:
„ვამი შენ ტიფლის ქალაქო, რა ძნელი საქმე ჰქენია,
ხაზინაები დავკარგე და ოქროები ბევრია.
ზოგი ბოლოზე წავიდეთ, დავიმონათო მტერია,
ზოგი დარბანზე გავიდეთ, ორათ გავაწყოთ გემია,
ხოჯა ხანი დავიჭიროთ, ძალღივით მოვკრათ ყელია,
ქალაქი დავიმორჩილოთ, სულ საქართველო ჩვენია“.
ეს ამისი გამომთქმელი სიტყვების ჩამომთვლელია,
ყველანი ერთათ დაგლოცოთ, რაც ქვეყანაზე მღვდელია,
მისი მადლი შეგეწიოთ, ცხეთას რო ხატი სვენია. 173

ქ

შენი რომ წინ წამოდგა

დიდება და მადლი ღმერთსა, რომ ბძანება იქნა მღვთისა,
მოეკიდა ხმალი ხმალსა, ომი იქნა პირველ უამსა.
ყენი რომ წინ წამოდგა, ნეტა რისგან ჰქონდა ძალი,
ხანები რომ დაიბარა, იმას დაჰყვა დიდი ჯარი.
შუშის ხანს შემოუთვალა: შენზედ არის ეს აფარი,
ყოვლის მხრიდამ მოამზადე, რაც რომ გქონდეს საომარი.
„ოთხი კარები მიბია, ერთგნითა მაქ გასაუვალი,
იმასაც მაგრა დაგიკეტ, რას დამაკლებს შენი ჯარი,
შორიდამ გალაპარაკებ, როგორც მეძებარი ძალღი;
თუ რო ქალაქისკენ წახვალ, იქაც ერეკლე მზა არი,
ერეკლე შენ დაგაპარცხებს, შინ წახვალ გაუხარელი“.
ერეკლეი გამოვიდა, მიიხედა, მოიხედა, — აღარ არის
თავადებო,

გადაჰკრა, გადააქენა: „აღარ არის ჩემი ბრალი!“
საწყალი გურამიშვილი, რა ერთგული თოფჩი იყო,
სულ ზარბაზნებ ქვეშ აკუწეს, ტყვია-წამალი რა იყო! 174

დათუნა ბატონიშვილი

იმერეთის მთას გადადის აქლემთა ნატოტარიო,
წვიმა დაწვიმეს ღრუბელთა, დამდგარა ნაგუბარიო,
ვარდის ჩაყრილა ფურცელი, დაღბერნეს, დასძრავს ქარიო,

მაგის საკრებლად წასულა ბაგრატიონთა ქალიო,
 საწყაროთ გადმოსჩვევია ერთი ურჯულო მყრალიო.
 ქვენიტ მოვიდა აშბავი, დაიძრა ჯაბალ ხანიო,
 ალგეთი გადმოიარა, გაშლიტ დალახნა მთანიო,
 კახეთით ბოლოთ ჩავიდა, ადგილთ დაუხვდა ბარიო.
 დასჯდა, დასწერა წიგნები კახტ ბატონთანა ძალიო:
 „სასმელათ არ მეყოფისო ალაზანი და მტკვარიო,
 მოსაძობრათ ბალახნი თრიალეთისა მთანიო,
 ქალი მე მამეც რუსუდან, ლამაზი ლერწმის ტანიო“.
 ქალმა გაიგა რუსუდან, გაჯავრდა დედოფალიო,
 ჩანაყა საყურ-ბეჭედი, სალტისა იქნეს განიო,
 მამის შექმაზა ყურთეთრი, ზედ თავად შეჯდა ქალიო:
 „ან მიპატრონეთ, მამანო, ან ქალ შემაბით ხმალიო,
 არვინ გაზდილა სათათრე ბაგრატიონთა გვარიო“.
 დათუნა ბატონიშვილმა გადიცვა სამანქანიო,
 მსახურებს ეუბნებოდა: „ჩემი მამგვარეთ ჩქარიო“.
 ე მაგი ცხენის ნახტომი დიდი გვეგონა ხრამიო.
 კახეთის ბოლოს ჩავიდა, ცას არ გაულამს კარიო,
 გამეერია ლაშქარსა, გაანახევრა ჯარიო,
 მეჩვიდმეტეზედ მივიდა, დადგა, ჩაავო ხმალიო:
 „შაშინდავ ღეთის ბძანებო, ოცსა დაპიკლდა სამიო“.
 ცოლი ძმამ ჩამოურბინა, გვერდს ჩამეეგდო ხმალიო,
 ათსა რომ იმანაც მოსჭრა იმ თარაქამას თავიო.
 ერთმა ურჯულო თათარმა თოფსა დახვია ალიო.
 ცხენ ზეით გადმოიტანეს დათუნა ალვის ტანიო,
 გაისახელა თათარმა, წაჰყარა სამარქანიო.
 ამას ჰკვირობდეს თათრები, ეს ტყვია რამ იჭირაო,
 ჯაჭვში მორტყმული ტყვიანი ორ ლიტრა გამოვიდანო.
 თმა-გლეჯით ჩამაატარეს სიასამურის ქალიო:
 „ჩემი მიჩვენეთ დათუნა, ცოცხალია თუ მკვდარიო“.
 — „დათუნას ვინლა გიჩვენებს, წითლის ღვინით არს
 მთვრალიო!“

ამა ქართულის მათქომი წო[ვ]ათ მეყვია ვარიო,
 ერისთვიანი მამქადან, მალრან ჩავრეყე ცხვარიო,
 ნურც მიტირებენ დედანი, წოვათ ნარჩენი ქალნიო,
 უერთოთ თუ დავანებო, წელთა ნულარ მბამს ხმალიო. 175

დაიძრა დიდი სულთანნი, სულ დაძრა მთა და ბარია,
 ჩაპოხდა რეშის წყაროზედ, ადგილი ხპოვნა ბარია.
 წყალნი არ იყვეს სასამელათ, ბალახნი საძოვუნელათა,
 თევზნი გაწყვიტნა წყურვილით, წამამყვა მათი ბრალია.
 სულთანმა წიგნი დასწერა შვიდმკეცი, შვიდი მხარია,
 არჩია, გამაარჩია, ჩიკრიკი გამაარჩია, —
 „შენ ჩემო, ძმაო ჩიკრიკო, ერთგული ყმა ხარ ჩემია“.
 წამააყენეს ჩიკრიკი, წელს შამაარტყეს ხმალია, —
 „ეს ქუჩთა* მეფეს მიართვი, ეს სამი სიტყვა ჩემია:
 ან ჩვენ დაგვიგდე საწიფო, გადაიარე მთანია,
 ან მოგვიკრიფე ხარაჯნი, ცხენ-ცხორი, ძროხა-ჯორია,
 ან მოგვეც ქალი რუსუდან, ტანჩი ალვისა ფერია“.
 ეგ რო რუსუდანს მოხსენდა, გაწყრა ის დედუფალია,
 უკუიხვიენა ძუძუნი, მაგრა შაიკრა თჳანია,
 უკიბო ჩაქდა ჩარდახსა, შაძრა ჩარდახის კარია:
 „ცხო ვილა გათათრებულა ბაგრატიონთა ქალია!“
 ჩალეწა საყურ-ბეჭედი, მით ჩაინათლა გზანია. 176

ქ ხმალი სპრის ბაგრატიონისა

ხმალი სპრის ბაგრატიონისა მეფისა ერეკლისაო,
სალეკო შამომტერია, ვით ზვაემა წვერი ტყისაო.
მთხსენდა რუს ხემწიფესა, ამაგას ჰკვირობდისაო:
 „ნეტავის გამაცნობინა, ლევანს უქებენ შეილსაო“.
 ეგი შაიტყის ლევანმა, წელ ხმალი შეირტყისაო,
 წავიდა სარუსეთოში, მასაც ნახვა სურისაო,
 თან გამაიყოლა გუნდი ქორისა, შავარდნისაო.
 მივიდა რუს ხემწიფესთან, სალამიც მიართვისაო.
 „მობძანდი, ლევან ბატონო, ყმაწვილო ათის წლისაო!“
 დაჯდა და ჰკითხა ანბავი თბილეთის ქალაქისაო:
 „რამ გაადიდა ქარელნი, ნარჩომი ჩვენის ხლმისაო,
 წახვიდე, არ მეჩქარები, არ წასვლა არ ჰხდებინაო“.
 გამააყოლა ჯარები ხერხება ათას ფრისაო.
 ქალაქში შევა ლევანი, ქება შეილა ცისაო,

შაშინდა ლექთ ბელადები: „ჩვენკენ კი იქავს პირსაო!“
ამაგას ვინ დაუდგების, შიში აქვს ზარბაზნისაო. 177

ნუცალის ჯარი

ქაჩურსა მთასა¹ გადმოდის დიდი ნუცალის ჯარია,
ჩამოდგა გირევის ვაკეს, როგორც ნაგუბარს წყალთა.
წოვათის თევდარის ანთაჲ ნუცალს მიუვა კარზედა.
წინ დაუდგ ოქროს ლაშბაქი², ზედ კვიციის ხორცი აწყვია,
ზედა დევს დანა ჯავარი, ტარი უბია გიშლისა,
შიან და ვერა ბედავდეს, რჯულის გულისთვის კვდებოდეს.
გაიგო ათაბანულამ³, ლურჯას დააკრა ნალები.
საგათენებლოთ ჩავალის გრემში⁴ ბატონის კარზედა:
„ლევანო, ჩვენო ხემწიფევ, ჩვენა გვიბოძე ქარია,
თუ ჩვენა არას გვიბოძებ, ვიქნებით ლექთა ყმანია“.
ლევანმა ჯარი შეკრიფა ათასი მეომარია,
აანთო მაშხალებია, ღამით გაიხსნა გზანია.
გადადის ნაყავეჩისა⁵, ღმერთო, დასწერე ჯვარია,
ათაბანულას⁶ ლურჯაი ნაყავეჩს გღია კვდარია,
გვერთ უზის თავის პატრონი, დასტიროდ, როგორც ქალია:
„ვინ გახვალთ გირეის წყალსა, ვინ გაიშეტებთ თავსაო?“
წინ გავიდ ნაყავეჩის⁷ წყალს ვაჟა ლურჯ-პერანგიანი,
იქნებოდ საღირიშვილი⁸, ანღერაზმ ვისაც ჰქვიანო,
ჩავეიდა, ჩაპოერია მათხუცის⁹ მარქაფითაო,
ნუცალს ჩაუქრა კარავე ნაკვეთაურთის¹⁰ ხმლითაო.
ცოლი ნუცალის იძახის: „ნეტავ ნუცალი რა იქნა?“

¹ ვარიანტში: თავსა.

² „ ტაბაკი.

³ „ ითინაბაურმა.

⁴ „ გრემას.

⁵ „ ნაყავეჩისა [მთა პირიქით თუშეთში].

⁶ „ ითინაბაურის.

⁷ „ გირეის წყალსა [პირიქით ალაზნის სათავეში].

⁸ „ საგინაშვილი.

⁹ „ სალთხუცის.

¹⁰ „ ნაყუდაურის.

— „ნუცალი ანდერაზმ მოკლა, ყორნებს ჩაქონდათ წყლითაო“¹.
ლეკთა სტირიან ქალები: ველარ მოგვივლენ ქმარები,
ცხენებს რა ვუყოთ ტიალთა, დაწყვიტეს ლაგამთ ტარები?²
ზოგმა სთქვა: მთაზედ გავუშვათ, ზედ წაყაყაროთ ლაგმები,
ზოგმა სთქვა: უკულმ შევკაზოთ, ზედ თავათ დავსხდეთ ქალები,
გადვიდეთ თუშისაყენა, იქავ შევირთოთ ქმარები. 178

ლევან ბატონიშვილი

პირველათ ღმერთი ვახსენოთ, მერე ბატონი ჩვენია,
ატირდა რუსთა ხემწიფე, მუხლზე დაიკრა ხელია:
„რას უყურებთ, კნიაზებო, ცოდო დაბრუნდა ძნელია,
ან შემიკარით ტივები, ან მომიშაღდეთ გემია“.
ქალაქ მელიქი ჩიოდა: „სიზმარი ვნახე ძნელია,
ლევანს აღყროდა აბჯარი, გარს შამოსცლოდა თემია“.
ლევანმა წიგნი დასწერა, შიგ ჩაატანა ღვდელია,
ეს დედა ჩემსა მიმირთვით, ნახვა მამინდა თქვენია.
ჩაფარ ცხენი შაუკმაზა, აბჯანდა უყო გძელია:
„თუ იდგეთ, ნულარ დასხდებით, ხომ მზათ გიბიათ ცხენია,
თუ ჩემი სული გიყვარდეთ, თეთრი გამიეც ბევრია,
ყოველ შაფათ შემომოსე სამოცდასამი ღვდელია,
ეგ ქკრივი გებრალეზოდეს, ხო ნარძლევია თქვენია,
წლამდინ მიტიროს, მიგლოვოს, სამართალია ჩემია,
წელიწადი გამობრუნდეს, — გაშალოს ყველის ფერია,
შაყარე ჩემი ტოლები, აღინე ცხარი ცრემლია.
მილიონ ბატონიშვილო, ახლა თაობა შენია.
გებრალეზოდეს არაგვი, შეუძლებარი თემია“.
ჭარში ლეკმა გაიგონა, ცხენ გადაუხსო ხელია,
ოთხავ ფეხს ნალი მიაკრა, ლურსმანს უხარა წვერია:
„წავიდეთ არაგვიანში, რალა ლევანი მშლელია,
დუშეთ თარეში გაუშოთ, ტყვე წამოვასხათ ბევრია,
ნაოზა გავარბენოთ, დიდმის მინდორი გძელია“.

¹ ვარიანტში მწყლითაო.

² „ რკინის ლაგმები. ამის შემდეგ: ზოგათა თქვეს, ბაშტის შაყრეკოთ, მაგრა დავგულოთ კარები.

აცადე, შვილო ლეკებო, ნუ წამაგვყავით ხელია,
ისევ კაცია ლევანი, ისევ ჯარი ჰყავს ბევრია,
კიდევაც წამოგეწევა იმის ფეხმარდი ცხენია,
უყურე იმის საქციელს, ციხე ააგო თქვენია, —
თქვენი გულა და ნაბადი ჯერაც იქავე ჰყენია. 179

ბატონიშვილი ამბობდა

ბატონიშვილი ამბობდა, წითლად ჩაგვიხდა მზეიო,
გამომაქციეს რუსებმა. მინდორი მრბოლეს გძელიო,
მიშველეთ, ჩემნო ხევსურნო, თქვენ ხომ ყმანი ხართ ჩემნო,
ქალაქ თუ მე დავიჭირე, მემრე მე ვიცი თქვენიო,
ქალაქ თუ მე არ დამნებდა, თქვენც თავი დასთმით ჩემიო.
ფუნჩური ტურაის შვილო, დიდხანაემც ხარ მთელიო,
მაჩხოვი თანდილაშვილო, ენაიმც მოგჭრა გძელიო,
რა მალედ დაგვიწყებია ხალათდაცმული ჩემიო.
აკუშოს მგელაის შვილნო, დედა ვაცხონე თქვენიო,
არვინ ყოფილა თქვენ ფერი საქართველოზე ჩემიო,
მე ესრე მოვახსენებენ, ბევრი უხოცავ მტერიო.
ოროლთა ხელმოკლიათა დაიდვეს სინის ფერიო,
მაჰუკამა და ჯოყოლამ დაივლეს ხმლებსა ხელიო.
ამბობენ, გუროველებმავ ციხეს შააბეს წვერიო,
დიდი ხქონია ბუჩაი¹, ტყვია გამოსდის ცხელიო,
მაგათ ნახოცსა სალდათსა ჭალაში ითრევს მელიო,
ბელლის კარ ნაჯდომმა წაუთელე, ეგ მოძმე იყო ჩემიო,
ჩამომავოლე სახშთოო შენ ნისლის ფერი ცხენიო,
რუსებ თუ ვერ მომერივნეს, შაძლება იყო შენიო,
მოგიტან ვერცხლის სურასა, მალალი ედგას ყელიო. 180

ე რა ქნა ჩვენმა ბატონმა

ე რა ქნა ჩვენმა ბატონმა, ლეკშია გადირბინაო,
ალი ოსმალო შაჰყარა, რუსი ვერ წაახდინაო,

ქართველებ თავი დაანება, განჯას მონახა ბინაო,
ის ჯალია, ის სოსია ლეკშია გადირბინაო,
ლეკები შამაიყარა, ქიზიყ მართვა წინაო,
ხოცეს და ხოცეს რუსები, ვერაფერს გააწყვიანო,
ჩალაუბნის პირს მოვიდნენ: „აქ არის ჩვენი ბინაო“.
ქართველები ეხვეწებიან: „რაზე დაგვიწვი ბინაო?“
— „ვინც ჩვენ კაცათა გაგვიცნობს,
ასეთ სახლათ ავაშენებთ, არ ეტეოდეს შინაო“. 181

საბაბაშიო შეშინდა

საბაბაშიო შეშინდა, დაემართა ღვთისგან შიში,
ათას კაცი თეჯებამდინ დაებარგა ნებოდირში.
მეფე სოლომონ შეიტყო, დაებარგა ჭადრის ძირში.
არჩილსა შემოუთვალა:

„ძმაი ხარ და საყვარელი, მომეხმარე გასაჭირში“.

არჩილმა წამოიძახა: „შემიკაზმეთ ბერი კვიცი!

ფარეშები გამატანეთ, რომელიცა მარჯვე ბიჭი.

ერთი მათრახი ამოვკრა, იქ გავუსწრო ნებოდირში!“

ლეკებმა შექნეს ჩუქჩუქი: „დაგვეწია არჩილ გიფი,

რიგს მოგვკლავს და რიგს დაგვარჩენს, რიგს ღორის ხორცს

ჩაგვცხებს პირში!“

ხოსგა მაქვარიანი ერთობ ვარგა გასაჭირში,

ბატონიშვილს დაუგორდა [1] მუხლის ძირში:

„არ გებრალეები, ბატონო, რო მოგვიკლეს ბერი კვიცი!“

ბერმა კვიცმა შემოსძახა:

„ამას რა მომაგონებდა, თუ საფრად გამაკეთებდი!

თორმეტი თოფი გვერდში მკრეს, აქიმს რალას მაყენებლით?

აქიმის რალა ბრალია, წებოთ ხო ვერ შემაწყობლით!

მეჭინიბის ჩამყვა ჯავრი, — ნეტავ ერთხელ მას ვრგებოდი,

დილით წყალზე წამიყვანდა, შემიბტუნებდა გემოთი;

სალამოს შინ მომიყვანდა, თოფრით მომართუმდა ქერსა,

ერბოთ მოვიზულდა წელსა.

სად იყო დიდი მინდორი, იქ იყო ჩემი გვანგვალი,

[1] სიტყვა აკლია.

აღმა მელ[რ]ანი ვიყავი, დაღმა დაგიგოგდებოდი,
სიონ კლდეზე მიგიყვანე, შებურებ დავმაგრდებოდი,
ოთხმოცი ზარბაზნის ხმაში გულში არ დაგიფთხებოდი,
წვრილი თოფის ხმას ვყურობდი, მე თქვენი ჯავრით ვკვდებოდი.
ვაი შე ყვაეო-ყორანო, — ბერ კვიციანს ხორციით ძღებოდე! 182

გავარდა ალექსანდრეი

გავარდა ალექსანდრეი, ჯარი ჰყავს დაღისტნისაო,
მეფე გიორგი ბატონი აწ შაიბძოლა ღვთითაო,
ჯარი ჰყავთ რუსთ ხემწიფეთა, მართულ ჰყავთ ზარბაზნითაო.
კაცი ხევსურეთს მოგზავნა, — თავი დაიჭირდა ყმისაო.
ხევსურებ ჩამომივიდეს, თორ ქალაქ წამერთმისაო.
აჩქარდა ხევსურთ შვილები, ერთი სხვას არ უცდისაო,
ქეზით მიართვეს საღამი გიორგის, მეფის შვილსაო,
ერთურთს პირდაპირ დაუდგეს ჯარი ორისავე ძმისაო,
შუაზედ უღის ჩაფრები, რუსი არ აძლევს პირსაო,
ლექთაი ქართველთ რიგობა ანდრეზათ არ მოდისაო.
შუადღის დროსავე შეიბნეს, ჰეხა დგას ზარბაზნისაო,
მოციქულობენ ტყვიანი, შიგი-შიგ მიდ-მოდისაო,
ვერ გაგვარიგეს ტყვიათა, ხევსურთ გული აქვთ ხმლისაო.
დიდი ურჯულო გაიქცა, ბძანება იქნა ღვთისაო,
სანამ მიზდიეს ხევსურთა, სანამ ნიშანში ჩინსაო,
დაბრუნდეს ბნელების ხანზედ, ცნობა არ არის მკვდრისაო,
თოთიას ამწუნარებენ, სულხანაურის შვილსაო;
თავზედ ეხურა ჩაჩქანი, ჯამს ნატყვივარი ჰჭირსაო,
მაგას ვეშაგურს ვინ ეტყვის, ვინ გადაავლებს პირსაო.
ყველაის საწყინარია დარჩომა ბორაყისაო¹,
ქარში გავიდა, ამბობენ, დროშა კარატის ჯვრისაო.
აუგის ჯანიკაურის შიშნისას კუბო რვლისაო²,
ცხრა დააყენეს ხუცესი, ცოდო მოხადან ხმლისაო,
ემად ნამყოფთა ხევსურთა შიშნია გეჯობდა ცდითაო.
ერთურთს უარმედ სახელი, ცოდო გეკიდოთ მკვდრისაო,

¹ დროშისაო.

² სპილენძისაო.

უკარგეთ, ვერ დაუკარგეთ ლომნის მინდიაშვილსაო,
მოწმად წამოუდგებოდა, შვილია ხეშწიფისაო. 183

ნიახურას ომი

დიდება და მადლი ღმერთსა

დიდება და მადლი ღმერთსა, რომ ბრძანება იქნა ღმერთისა,
ახლა დადგა საქართველო, ომი იქნა პირველ უმისა;
მოიხსენეთ, წამკითხველნო, რა გიამბოთ ომარ ხნისა.
ჯარი დიდი შეუყრია გულხადარა დაღისტნისა,
ალექსანდრეს შეუთვალა, კახ ბატონის მეფე შვილსა:
„თუ ჭამაგირსა შეიძლებ, კიდენ მოგიმატებ ჯარსა,
თუ ჭამაგირს ვერ შეიძლებ, პირა მომეც მოტევისა,
ასე აგიყვან თელავსა, არ მოგადენ ნიავ ცივსა“.
ნიახურაზედ გავიდნენ, შემოჰყარეს პირი პირსა,
რუსმა დააწყო თიფები*, ომარ ხანი იცინისა:
„მოიცადე, ომარ ხანო, მალე გაცვლევინებთ პირსა“.
ზარბაზნები დაუშინეს, ლურჯათ თოფის ტყვია წვიმსა;
[ჩვენ] გრიგოლ ჯანდიერი მონატეხი არის კლდისა,
ისე შედის ცხარე ომში, როგორც რძალი მეზობლისა,
ჯოგანთასა! თავი მოსჭრა, ვითა კიტრი მებაღისა,
მისგან ნახოცნი ლეკინცა პანტასავით ჩამოღისა. 184

ამისთანა დიდი ჯარი

ამისთანა დიდი ჯარი არ გვინახამ თამას ხნისა,
წინ მიუძღვის ალექსანდრე, სარდალია ხანებისა:
„გიორგი ნეფე გადვადეთ, ჯავრი ჩამყვა ჩემი ძმისა,
რუსი ბევრი მოიყვანა, ჯარი დიდი ხეშწიფისა“.
ნიახურაზე შეიბნენ, საათია კიდევ ღღისა,
თივით ტენეს ზარბაზნები, მოტყუება უნდათ მტრისა.
გაჯავრდა რუსის უფროსი, პირიღამა ცეცხლსა ჰყრისა.

1. ომარ ხანის სარდალს.

რა გააქცევს რუსის ჯარსა, ციხე არის ადამ ძისა,
რუსმა უნდა გაიმარჯვოს, ბძანება მადლი ღვთისა.
პატარა რომ დავაცადე, ბური დადგა ზარბაზნისა,
ერთმანეთი გაიტანეს, ასრესინეს ცხენის ჩლინქსა.
ზალს აქებენ მოურავსა, ბატონია კახეთისა,
ღლის სავალზე მოდიოდა ყეფა მისი ფრანგულისა,
მოსჭრის თავსა და მიუტანს, წინ დაუდებს მუხლის ძირსა:
„აფერო, ჩემო კნიაზო, მარჯვენაში მოგჭამ კირსა!“ 185

დიდება და მადლი ღმერთსა

დიდება და მადლი ღმერთსა, რომ ბრძანება იქნა ღვთისა,
სამჭერ გასქდა ღედამიწა, სამჭერ მისცა პირი პირსა,
აბა ყური დამიგდევით, რა ვთქო ძალი ომარ ხნისა:
ომარ ხან ჯარი შაყარა, გულხადრები დაღისტნისა,
ჭარყლები შაირიგა, ახლა ხანებს აძლევს პირსა.
ალექსანდრეს ატყუებდა, ვაჟბატონი ნეფის შვილსა:
„ჯარებ ბევრსა მოგიმატებ, თუ შეიძლებ ჯამაგირსა,
თუ ჯამაგირს ვერ შეიძლებ, ტყვე ჩვენ მოგვე კახეთისა“.
შაიტყო რუსის უფროსმა, იცემს, იკრავუნებს პირსა:
„აბა, შვილო ომარხანო, თუ ვერ გაწვენიებ ცხრილსა“. 186

ახლანდელი ომარ ხანი

ახლანდელი ომარ ხანი ალექსანდრეა განაო,
თანდითან ქვევით ჩავიდა, ჯარი გამოჰყვა თანაო,
სულ ერთიან თან მოჰქონდათ თოფი და ჯაბახანაო.
ნიახურს ჯარი მოსულა, თავს წვრილი და ბოლოს სქელა.
ჯერ თოფი არ გავარდნილა, არუთინამ მოკლა ცხენი,
გიგოშვილმა მალხაზაჲ ალამს მოგვიწყვიტა წელი,
ეს სამებლიანთ დავითა ბურჯია მოუღრეკელი.
ღიაკვანი გადმომდგარა: ლეკო...
ჩვენ ხო ბევრი ამოგხოცეთ, ჩვენ არ გავგდის ცვარი სისხლი,

მინდვრისა წმინდა გიორგიმ გადმოგვიგდო სათარველი,
სუყველაჲ იქ შავასწარით ხიზანი და საქონელი.
ერთი კურატი მოგეტაცეთ, ეგ ხო იყო დავლა თქვენი.
გალმა ჩალებში გავიდნენ, ჩვენება იყო განაო,
გალმა ჩალებში გავიდნენ, ცეცხლი დაანთეს განაო,
წმინდა გიორგიმ დასწყევლოთ, ვერ მოიხმარეს დანაო,
შუა ღამე რო შაიქმნა, ადგა და გაიპარაო,
სუ ყველაყა იქ დაპრჩებათ ყალიონი და დანაო. 187

ჩავიდეთ ნიახურაზედ

ჩავიდეთ ნიახურაზედ, შამოყყაროთ პირი პირსა,
რუსმა დააწყო თიბები, ომარ ხანი იცინისა,
ზარბაზნები დაუშინეს, თოფი ტყვია უფრო წვიმსა.
„რაზე ავეყ თავებერასა, არ კი მამხვდა ჩემი ჭკვისა,
არ ვიჭექი კახეთშია, არ ვიბანდი ღვინით პირსა,
რატომ დილით თავს არ უკრამ ნეფე მამი ჩემი შვილსა,
რატომ ხელზედ არ ვაკოცებ ქათალიკოზ უამნი პირსა!“¹ 188

ამოტირდა ალექსანდრე

ამოტირდა ალექსანდრე: „მარტო დავრჩი ზღვისა პირსა,
ეგ როდის მეკადრებოდა ალექსანდრე მეფის შვილსა.
რაზე ავჰყევ თავებერასა, მამხვდა ახლა ჩემის ჭკვისა,
რატო არ ვიჭე თელავში, ღვინით არ ვიბანდი პირსა!“ 189

ალექსანდრე მოვიდა

ალექსანდრე მოვიდა [და] მოიყვანა ხუდათ ხანი.
პლანები კარგათ დააწყო, აბელი ჰყავდა სარდალი.
ორშაბათ დილა გათენდა, გარს მოესხა ლეკის ჭარი,
ვახსენეთ წმინდა გიორგი, პირზე გადღვიწერეთ ჭვარი,

¹ ალექსანდრე ბატონიშვილი ამბობდაო.

ერთობლივა შეუტით, ლეკზედ მივიღეთ საფარი,
გავაქციეთ და დავხოცეთ, სარდალს გამოვჭერით ყელი.
ომშია ნაქები არის ვაჟკაცათა სიღნაღელი,
თოფ-ხმალი ხელთა უჭირავს. სულ ფრანგული ძველისძველი. 190

ყვინი რო მოგვესია

ყვინი რო მოგვესია, ისიც ღმერთმა მოგვანახა,
წამოვიდა თერანიდან, ზღვა გემებით გადმოლახა,
თბილ ქალაქში ჩამოვიდა, ნაომარი ვერა ნახა.
იგეთი ღროება მოხდა, დედამ შვილი ვერა ნახა,
შეწუხებულს ავანტყოფსა უწყლოდ უშრებოდა ხახა.
ყმაწვილების კალო ლეწა, ჰოროველა შემოსძახა,
ორმოცდაათი თათარი ერთ ადგილას დაიშარხა.
რკინის ურპები შააბა, ავლაბრისკენ გაუძახა,
ავლაბრის ხიდზედ რო შედგა, მაშინ მტკვარში ჩაუძახა.
აღექსანდრეს ეუბნება იმ კახეთის მეფის შვილსა:
„ჯარსა ბევრსა მოგიმატებ, თუ შეიძლებ ჯამავირსა“.
ჯარი ბევრი შეუყრია გულხადარა დაღისტინისა,
ნიახურაზედ გავიდნენ, შემოჰყარეს პირი პირსა.
ამიტირდა აღექსანდრე, მუშტიტოლა ცრემლსა ჰყრისა:
„ვინა როგორ უღალატო ნეფე მამიჩემის შვილსა!“
ივანე ბატონიშვილი შავარდენი არი ცისა,
იმი ნაკაფი ლეკები პანტასავით გადმოღისა.
წუწკი გულხადარას სისხლი მარჯვენაზედ ჩამოჰღისა. 191

მამაძაღლო ომარ ხანო

მამაძაღლო ომარ ხანო, რატომ გუთანს არა ჰხნამო,
არ დასთესამ ქერის პურსა, არ დაჯდები. არა სქამო.
მამაძაღლმა ომარ ხანმა დამე ჯარი გააპარა,
ბელაქანს ცეცხლი მოუღო, თივა ბევრი გადმოყარა,
ბელაქნური ეუბნება: „როდის მიაჭმევ ამასა?“
— „ეხლა მოვრეკამ კამეჩებს. ეხლავ მოვაჭმევ ამასა“. 192

მამაძალი ომარ ხანი რაზედ აგვიშლის დავასა,
ბეჟანიან წაგვიხდინა, ცეცხლი მოგვიდო გავაზსა.
ნინიამ უთხრა ბეროსა: „ბიჭო, რა ვუყოთ ჩალასა?“
— „წავალ, კამბეჩებს ჩამოვრეკ, იმათ მოვაჭმევ ჩალასა“. 193

ჩემყენ მოდექ

ჩემყენ მოდექ, ომარ ხანო, უნდა სიტყვა მოგახსენო,
წორ აზხანაგში გასულო, ლამაზო თავისიანო. 194

ღავითითანა ბატონი

ღავითითანა ბატონი არ გამოსულა გვარშია,
აღგა და ქვეით წავიდა დიდი ყეინი ჯარშია;
აღგა და წინ გამოუძღვა, ვით ორაგული ზღვაშია,
ყენმა მისცა წყალობა, კაბა გააკრა ტანშია. 195

ხეკაშვილი გიორგი

ი ხეკაშვილი გიორგი, ის მორწმუნე იყო ღვთისა,
როცა ღმერთმა გააჩინა, იარალი მისცა ხელსა;
ხელში უჭირამ მაჟარი, ტყვია უნდა ზარბაზნისა,
სადაც ნადირს შემოსტყორცნის, მოჰხედება და დასცემს ძირსა;
იმი მოკლულ მშველ-ირემსა ვინ აიღებს ანგარიშსა,
წყალში თევზი სულ გაწყვიტა, ქარაგანი დიდი მტკვრისა.
ზურაბისთანა ბატონსა დედა ველარ გაზღის შვილსა,
ხელში უჭირამს საზომი, მოსამძღვრეა დაღისტნისა.
იესო ქრისტემაც ჰკითხოს იმ გიორგის, მეფის შვილსა:
საქართველო რუსებს მისცა, ძმებს კი აღარ უღებს წილსა.
ლევანმა და ალექსანდრემ შემოჰყარეს პირი პირსა,
იახლეს თან მსახურები, ყენს კარზე უახლდესა:
„ყენო, ჯარს არ გვიბოძებ? თავი მოგვჭერ შენი ხლმითა.“

ჩვენმა ბიძამ საქართველო აიღო და რუსებს მისცა,
ძნელი საქმე მოგვიხდინა, ჩვენ კი აღარ გვიდებს წილსა“
მაშინ უბძანა ყენმა:

„თავი როგორ მოეჭრება საქართველოს მეფის შვილსა!
ათი ათას კაცს მოგართმევ, შიგ დაგირჩევ თავის ხლმითა,
გავიმართამ ზარბაზნებსა, სულ ზევეთკე უზამ პირსა“.
ლევანი მოკლეს რუსებმა, მაშინ გაწყრა პირი ღეთისა.
ალექსანდრე კი ტიროდა: „ძმაო, ნუ გამიტებს პირსა!
რა უშველო საქართველოს მარტოკამ ამ ერთის ხლმითა!“
გაფრენილსა მერცხალ გავდა იმ თავისის სიმარღითა,
გულადობით ტარიელსა, შიში არა ჰქონდა მტრისა.
იმერელთ მეფეც ჩიოდა: „მეც რუსების ჯავრი მჭირსა,
წამართვეს გვირგვინის ცოლი, მაიორს ტახტზე უზისა“.
თითონ რა ვერ შეგვინახა, აგვიღო და რუსებს მიგვცა:
ცხარე მათრახი იციან, როზგები აქვთ ტირიფისა,
ისეთ-ისეთ დაგვარტყამენ, როგორც ხარი იყოს სხვისა. 196

ც ი ც ი ა ნ ო ვ ი

ციციანმა დაიკვება, მინდა ერთი განჯა ვნახო,
განჯის ციხე არ მინახავს, მინდა თვალით დავინახო,
საღდათებსაც ხომ წავასხამ, ზარბაზნები ბევრი გვაქო,
თოფი გვიჭირავს სიათა, ხმალი ფრანგული რკინაო.
ციციანი გამობძანდა, ჯარსა გაუძღვა წინაო,
რომელიც უკან დადგება, ლომივით შეუზღვირაო.
წავიდა და იქ ჩამოხტა, სადაც ბალი ბაღჩა აქო,
განჯის ხანს კაცსა უგზავნის: „გარეთა ხარ თუ შინაო?“
განჯის ხანმა შეუთვალა: „ჩემთან ხელი არა გაქო,
ისევ ქალაქი იბრიყვე, არ გახლავარ კოჭლი საქო,
შენ კარი ღია გგონია, მაგრამ დაკეტილი მაქო,
ეს სულ ყენიმა მიბოძა, ეს სოფლები ქვეით მაქო“.
— „შენიმც ციცი მოგიკვდება, კარი ვერ გაგაღებინო,
ტახტიდამ ვერ გადმოგაგდო, თავი ვერ გაგაგდებინო;
ეგ შენი მათრახები სომხებს ვერ წავაღებინო,

რაც შენ სოფლები მოთვალე, ხელი ვერ აგაღებინო,
ჩემი სალდათის შუბები სისხლში ვერ შეგაღებინო!“
განჯელებ კარი მოხურეს, თოფები დაუშინესო,
სწყალობდა წმინდა გიორგი, სუყველა აიციდინესო.
ციცო გადვიდა გალავანს: „აქ მოვინახოთ ბინაო“,
ათასი იქავ ჩაკათა განჯის გალავნის წინაო,
ასე შევიდა საწოლში, თითქო ყოფილა შინაო,
ლამაზი გამოიყვანა, ხელზედ სდებია ინაო,
ის სერუანტებს მიაბარა: „ეს წაიყვანეთ შინაო“.
ციცომ რომ შემოუძახა, თათრულათ შეაგინაო:
„კიი გაზდილი მეგონე, ცუდათა ხარ განდილია,
შენ რუს როგორ ეომები, — განა ეგრე ადვილია! —
რუსეთილამ სტამბოლამდის თორმეტი თვის სავალია,
თოთხმეტი სავსე ხომალდი ცხრა დღე-ღამეს გამივლია.
ადე, აბძანდი, ხონთქარო, შენზედ არს დაეთარია,
სულ ამ ერთ წამზედ მომგვარე ცხრა ათასი თათარია,
სურსათი გამოგვიტანე, ათი კოდი შაქარია“. 197

ციციანისთანა შვილსა

ციციანისთანა შვილსა ძვირათ გაზდის დედა შვილსა,
რომ შეიქნა ექესი წლისა, ოსტატია ზარბაზნისა,
რა მეშვიდეში გადადგა, ხემწიფესთან იღებს წილსა.
ხემწიფემა დაჰპატიეა, ტახტზე დასვა. განა ძირაა,
ერთი ხმალი შემოარტყა, პირი ჰქონდა აღმასისა,
სულ რომ მცირეთ დავაფასოთ, ორმოც თუშნად მაინც ღირსა.
ტარში ეჭდა გველის თვალი და ქარქაში კერმუხტისა,
ერთი თოლფა ჯარი მისცა და მეორე ხაზინისა,
წინ ბელადი გაუძლოლა, გზა ასწავლა შავი ზღვისა.
შავ ზღვის პირზედ რო მივიდნენ, ჯარი დახვდათ არაბისა,
არაბს კაცი მიუგზავნა: „აქ ეიომოთ, ამ ზღვის პირსა!“
ტყვია წვიმს [და] თოფი ხუის და ზარბაზან გრიალებსა. 198

რუსის უემოსვლა

დალოცვილმა ქრისტე ღმერთმა ე რა საქმე მოგვივლინა,
რუსები გადმოგვირეკა, ხო სალდათი გაგვიჩინა,
მათრახი წამოგვიშინეს როგორც რომ მაისის წვიმა,
„ჩქარა, ჩქარა!“ იძახიან, — ხარიც ხომ არ არის შინა! 199

* *

რუსები რომ შემოვიდნენ, პურს დაუძახეს ხლებათ,
მათრახი მოგვიტურტურეს, — „მაიცა“ არ იქნებაო. 200

* *

რუსები რომ გადმოვიდნენ, სულ აგვირიეს ქვეყანა,
სულ ერთიან ამოხვეტეს, ვისაც რამ პური გვეყარა;
ტერტერას ფიჩხი დაუწვეს, ღერი არ ღარჩა კენწერა,
ტერტერას ბევრი ცემითა ზურგზე დააჯდა ბებერა. 201

* *

რა დრო მოვიდა, უფალო, რა ცოდო ბრალი ხდებაო,
მშველელიც აღარვინ არის, გული ჯავრითა სკდებაო. 202

* *

ქალი მივა ქალაქშია, კვერცხი მიაქვს კალათშია,
წინ რუსი შამოეყარა: „პაჩომ კვერცხი ფარაშია?
თლათ სკოლკო კალათშია?“ 203

ხახულმა ჯარი აწვია

ხახულმა ჯარი აწვია ნეფე სოლომნის გულისთვის:
„ვინც რომ მოკვებები, ცხონდები, ჩვენ გიზამთ ალაპს
სულისთვის“.
ხახულმა წერა წიგნები, მალ-მალ უგზავნა ნეფესა.

ნეფე იმერეთს მევიდა, ხახულმა ქნა სიხარული,
ნეფემ თვალეზში აკოცა: „შენ ხარ ჩემი სიქადული!“
ხახულმა ხმალი აიღო [და] შევარდა რუსის ჯარში,
სალდათებს თავი დასხეპა, კაძახებს აციებს ტანში,
მემრე ხახულს შუბები ჰკრეს, აღარ ეტევეოდა ტანში.
„ვიაიჲ, ძმაო ხახულო...
მე წავხთი, მტერი წავიხთა ამ ჩემ დროშია და უამში,
მე ბარში ველარ დავდგები, უნდა დევიმალო ფთაში“. 204

ხემწიფის ნიკოლაოზის მოსვლა საქართველოში

თვარმართებელი წიგნს სწერს ნიკოლაოზ მართებელსა,
ხემწიფე რომ წამოვიდა, ზღვაზე მოვიდესო.
ხომაღდები კარგათ მორთეს, კარგათ მოკაზმესო,
ჯერ ვერცხლი გადააკრეს, მემრე დააოქროესო,
შიგ რომ ხემწიფე შებრძანდა, ნიაგი თან ჰყვესო,
ცხრა მღვდელი, ცხრა დიაკვანი ხემწიფეს ახლდესო.
შუა ზღვაზე რომ მივიდა, გემი დაუდგესო.
ძრიელ გაჯავრდა ხემწიფე, — თავს გაიბრუნებსო,
მეგემეებსა გაუწყრა: „ეს საქმე როგორ ხდესო?“
მეგემეებმა მოახსენეს:
„ხემწიფევ, როგორ გწადიან საქართველოსთინ დღესო?“
ხემწიფემ ბძანა: -
„მე მოძღვარს აღსარება უთხრა, — ყველამ ირწმუნოსო, —
რომ სალდათს აღარ აეკრეფ, მაშინ გემი დაიძრესო“.
გემი მაშინვე დაიძრა, ხმელზე გავიდესო.
ქალაქში მოქალაქენი წინ მოეგებნესო,
ზუბალოვის სასახლე, ის არჩივესო,
ხემწიფე უნდა მობძანდეს, ნების აქ გასწევსო.
ქალებიც კარგათ დაჰკმაზეს, კარგათ ჩააცვესო,
აგეთი ფარჩა ჩააცვეს, რომ ხორცი გარეთ ჩნდესო.
როგორც მოვიდა ხემწიფე, ქალები კარზედ ხედესო,
ძრიელ გაჯავრდა ხემწიფე, — თავს გაიბრუნებსო:
„ამ ძაღლმა მოქალაქებმა საქმე როგორ ხდესო,
შამაგდეს კახბახანაში და კარი დასჯარესო“.

თავარმართებელს გაუწყრა; — „ეს საქმე როგორ ხდესო“,
და აპელატებს ჰგლეჯსო... 205

მალაქია ბატონიშვილი

საცოდევო მილინციავ, გადაგელო თავზე მამა,
აწი ტყულა თავს რას იკლავ, სამსახური რაღათ გავა
თოფი, ფიშტო, სატევარი ჯობს გაყვილოთ, თუ სამი გავა,
ვისაც ქონდა, მას მოსძულდა, დამერწმუნე, — აღარ გავა.
ბატონიშვილი მხედრობდა, ვიყავით თავაწეული,
სახელს ვშობოდით², გვაქებდენ, შორით ხმაგაწეული,
გასაპირზედ მოირბენდა ხმალით ამოწეული,
ახლა უცებ გადაგველო, დავრჩით ყურღაწეული.
ბატონიშვილის მხედრობას ვერ შევამკობთ ჩვენ საწყალნი,
ფოთში ხეწიფე მობძანდა, ის მიიღო, დარჩა სხვანი.
ხემწიფემ უთხრა მალაქოს: „ღმერთმა მოგცეს დიდი ხანი,
მისთვის, რომა შენა გაქებს თათარი და ქრისტიანი.
შესმის მე შენი მხედრობა, სხვასთან არ ჩაიგლო თავი,
ბედნიერებას გიბოძებ, ტოლიც რომ არ გყავდეს სხვაი,
დღეს შენთვის მიჩუქებია არღონი და შავი ზღვაი,
მტრებიც ვერას გაბედავენ, სადაც ისმის შენი ხმაი“.
ქობულეთლები ამბობენ: „მისი სახელი რომ მოგვესმება.
ყაზახობა წაგვიხდება, მუხლებში დაგვისავდება,
კანკალიც აგვივარდება, მუხლში წყალი ჩაგვიდგება,
რაც ძალი და ღონე კი გვაქვს, ისიც შიშით გვეკარგება.
აი დიდი მალაქია მეტად მხედარი კაცია,
როცა გურიას გავედით, მაშინვე უკან გაგვაქცია,
მოგვეწია, ბევრი გვცემა, მუცელში სისხლი ჩაგვიქცია,
თოფი, ფიშტო, სატევარი აგვალლიტა და შინ გასწია.
ვაი რა ვქნათ ჩვენ საწყლებმა, სანამდი ვიქნებით მის შიშში?
ღმერთო, რაცხა შეგვეწიე, ნუ ამოგვწყვეტ მათ ხელში,
მის სიკვდილს რომ მოგვასწრობდე, მაშინ შევალთ სიხარულში,
მგონი დასტურაც მომკვდარა ჩვენი მალაქო ტფილისში“.

¹ საღმე.

² ვიხვეჭლოთ.

თავს იყრიან ქობულეთში, თუ სამ ფირალები კია,
 მოლაპარაკება აქვან: „დასტურ მოკვდა მალაქია,
 აწი გურიას გავიდეთ, ტყვე გავყიდოთ, თუ სამ კია“.
 ხასან ეუბნება ხუსენს: „ჩვენი გასვლა ცუდათ კია,
 არ მომკვდარა მალაქია, მისი შუქი კიდევ ქია.
 მალაქიამ თქვენი მახე მოწყობილი კი დატია,
 უნდა გქონდეთ გულში მჯავრად, შვილიც ასეთი დატია“.
 ფირალებო, ნულარ ცელქობთ, თქვენ-თქვენ სახლში დადექია
 ქვეყანაში სამი საქმე უსაშველოდ ნაქმარია,
 ზღვისა ხიდე, ცისა კიბე, ჯორის კვიცი სად არია,
 გურის საზოგადოება მჯავრმა რადმე გადარია,
 თურმე ცას ქვეშ არ ყოფილა მალაქიას ბადალია.
 შენ საწყალო მალაქიავ, შენ იყავ გურის მთავარი,
 შენს მერმე დაღონებული საწყალი შენი თამარი
 და ის შენი მშვენიერი წითლად გაჩესტული ჯარი,
 ყველა ასე გაიფანტენ, როგორც უმწყემსური ცხვარი.
 არ გრცხვენია, მშვენიერო, ჩინთის! სუფრას გაგვიწყობდი,
 შენს პურ-ღვინოზედ ვლზინობდით, ამდენ ხანს გვანუგეშებდ^ნ
 და შენს გაცნობილ ამბავსა შენი პირით მოგვეთხრობდი.
 წინააღმდეგ ქობულეთლებს შენი ძალით დაიპყრობდი!
 დასაქცეველმა სიკვდილმა აგრე როგორ მოგისავა,
 ყარაიაში რათ წადი, თუ არ გქონდა ტანის ავა,
 შენს ხელში შესვენებულსა აწი მოგვადგა სულ ტანჯვა.
 ვაი, რა ვქნა მე საწყალმა, ვფიქრობ, მარა რა უნდა ვთქვა-
 საცოდაო კოპლატაძევ, ლექსი რაღას წაგადგება,
 გვეოლოდა ბატონიშვილი, გვექნებოდა წარმართება,
 რა დღეს იგი გადაგველო, ვაი ჩვენი დაბადება!
 აწ ჩვენი ქება-სახელი სულ მიწაში იმარხება.
 კურთხეულო მალაქიავ, მოწონებულო ყველაზედ;
 ქართლისა და იმერეთის თავადა და აზნაურზედ,
 როცა სემწიფე გნახავდა, მიგიღებდა წინ ყველაზედ.
 მისთვის შენა მტერობითა გადაგაკლეს საწამლავზედ-
 მაგრამ შენი სახელი მიზღდემში არ დავარდება,
 საწყალი შენი დესპინე შენ მიწაში რათ არ გყვება!

1 ჩითის.

აწი ჩვენა შენი მჯავრით სიცოცხლე გაგვიმწარდება,
გამწარებას ვინლა ამბობს, სუნთლაც აგერ მოგვესპობა. 206

ბუნთი გურიასი

გურული ხალხი აყრაღა, ყველა, ბრუნდი და მართალი.
აუღლიათ იარაღი, შიშვლათ აქვან ხელში ხრმალი,
ვისაც არ აქვს იარაღი, აუღლიათ თოხის ტარი,
ერთმანეთს ეუბნებიან: „ამევილოთ გულში ჯავრი!
ჩვენს მოდაურსა ვეჩხუბოთ, აუღუღოთ სისხლის ღვარი.
ოთხი კაცი პუნტოჩიკი, ათასია მოფიცარი,
ალექსანდრე ქარცივაძე, სიმონ ჭყონიაც აქ არი,
ამბაკო შალიკაშვილი, თავი და ბაილახტარი.
ღმერთმა ის დრო[ი] მოგვასწროს, ამოგვეღოს მისი ჯავრი,
ნურცა გვინდა მისი ჩინი, ნურცა მისი ყელის ჯვარი.
თხოვნას ღმერთი აგვისრულებს, გაიმარჯვებს ჩვენი ჯარი;
ნურც ქნას ღმერთმა მორიგება, ნურც გვიჩვენოს მისი თვალი“ -
ასკანას პლანი დააწყევს, ოზურგეთს შეკრეს კარები.
სტოლნაჩანიკმა შეიტყო, ქალაღდს გაუსვა კალმები,
მართებულს ფოჩტი უფრინა: „საით გავწიოთ ჯარები,
ისტე მოვთელოთ გურია, როგორც რომ ჩოხის შალეები!“
გასაჭირზედ თუ მოგადგე, არ დამიკეტო კარები.
ბათწნობით თუ ვყიდე სიმინდი, ქეც გადვიხადე ვალეები!
ამ შემთხვევას ნუ მიძრახავთ, თქვენს სახელს ვენაცვალეები.
ხელმწიფეს რომ ჩხუბი დაუწყეთ, მაშინ დაგვიდგა თვალეები.
ას მანეთად ცხენი ღირდა, ორმოც ყურუშად აფშარა,
ზაფრის ქარები ამიტყდა, გული-გონება დაშალა;
ჩხუბობით ვეღარ მოიგეს, სარგებლობა საღათ ჩანა!
მისი ოჯახი დაიქცა, ვინც რომ გურია აშალა.
ოშპიტალი დაგვიყრუეს, თავში დაგვიშრეს წყალია,
ხასან-ბეგურას მაგივრად ვიმღერეთ ზარის ბანია,
ტყულა ყოფნას ვამჯობინეთ, ვაკეთეთ ჩიტის გალია:
რაც რომ გურიას ჩხუბია, — სიმონ ჭყონიას ბრალია.
მამაძაღლმა ჭანჭათლებმა არ გაღიხადა აბაზი,
იზაზატელი მოუხთა, ქალი მოსტაცა ლამაზი;

გამოვეკიდეთ, გავლახეთ მოსამსახურე, ხაბაზი, მისი ქმარი მუდამ სტირის: „ქალი წამართვეს ლამაზი“. ქვეყანა მოვიმღურით, მარტო გურია დაგვირჩა. ქვიტირზედ რომ ჩავაწიეთ, ნაკაშიძე წინ დაგვირჩა, გვესროლა, მოგვიკვდა კაცი, კაძახობა სულ წაგვიხთა, მაგიერი ვერ ვესროლეთ, ტამბაჩას ტყვია გაგვირჩა. ჩვენსკენ მოვლიან თათრები, ოსმან-ალა და ხასანა, კარგა თოფები მოაქვან, მაჭახელა და ლამფარა; ქობულეთლებმა თათრებმა წამლის მაზანდა გაშალა, ტყვია-წამალი მრავალი საჭირო არის მათთანა. ბურხულომ წიგნი მისწერა ლევანის შვილს დადიანსა: „გურულებმა გვიღალატა, მე აქ ველი შენსა ჯარსა, ეხლა შემწე კაცს თუ მომცემ, ყელს გავკიდებ სისხლის ჯვარსა, ჯავრით გული ისთე წახთა, გარეთ ვეღარ ვიცვლით ფენსა“. დადიანმა საჩქაროთა გაუფრინა თავის ჯარი. წინ გადუდგა, გურულებმა ყველას გაუტეხა ჯანი, წასავალი გზა არ აქვენ, ჩაეარდნიათ გულში ჯავრი, ლევანის შვილს დადიანსა დაეღუბა სისხლის ჯვარი. დადიანი მისი ჯარით ყუყვით მივა უკან ბარღში; თოფის სროლა რომ შეიქნა, ბალოტაში რატომ დარჩი? აწი შიმშილი მოგიწევს, დაეწინდრეთ ლუკმა ჭადღში! ამის მეტი თვარ შეგეძლოთ, თქვენს დედ-მამას რატომ დარჩით.

ის გიორგი დადიანი ბიჭათაც არის ნაქები, ჩოლოყისკენ რომ გაქანდა, თათრებს მოქონდა ფართლები, ხუთი ბიჭი რომ ხლებოდა, ვერას აწყენდა თათრები. სანამდიც გავძლებ, ქე ვიცდი, მერე წყალს გაღმა გავხტები*.

207

ცაზე გათავდა ღრუბელი

ცაზე გათავდა ღრუბელი, დედამიწაზე წყალიო, მოსავალ აღარ მოვიდა, დაიწვა მთა და ბარიო; თითოს ეგეთი ენა აქვს, თავს მოსჭრის, როგორც ხმალიო. ამბობენ, ადგა ხონთქარი, შემოაბრუნა ზღვანიო, აქით ამ რუსთ ხენწიფესა მიდის-მიუდის ჯარიო,

ჩადის და ჩადის სალდათი, რო ნაგუბარზედ წყალიო, შაიყარიან გუმბრზედა, სისხლსა წვიმს ცა და დარიო, ცაშიიდ ჩამოდოდა კაცის თავ-ფეხი, ძვალიო. ხევსურებ შამააწერეს მამასახლისზედ სამიო; ყრილობა იქნეს ხევსურებ, დიდი დგას საუბარიო, — წილი თოთიას არგინეს, ეგ არას წამავალიო. „იქ კი არ წავალ, ხევსურნო, აქვე მომქერით თავიო, დედაკაცი მყავს სნეული, ვინ მოუტანოს წყალიო“. ამოდენ საუბარშია წავიდა დიდი ხანიო, ცოტაი ხნიდგენ შემოჩნდა ფშავლის შვილების ჯარიო, შუაში უდგა ნაჩალიკ, შორიდ მოენბის თვალიო, თითოს ეგეთი ცხენი ჰყავს, მოჰქრის რო ნიაე-ქარიო. გვიბრძანა რობაქიშვილმა: ვახშმად დაკალით სამიო. ერთ ჩემით გამოიყვანეს, ორნ მოუდიან სხვანიო, ქვაბ შინით გადმომიხადეს, გადმომიჯარეს კარიო. თითო გულ იმას მეტყოდა: „ადე, შაირტყი ხმალიო, ჩადი და გამოერიე, მთელი ხარ, განა მკვდარიო“. ჩავედ და გამოვერიე, არეინ მიქირა მხარიო, ერთ მამაძაღლმა ფშაველმა აისხა საომარიო. კაც რომ თავისას დამალავს, იმან შემომდო ზარიო; ძაღლებო, ფშავლის შვილებო, დღეს თქვენი არის დარიო, საკვლად მეც დავისწავლი, შური მაქვს საძვეარიო. ამაგ შაირის მათქვამი ყველამ იკითხეთ, ვინც იყო, ბიჭი, აზაზად გაზდილი, ღმერთ გეფიცებით, ძვირ იყო, აპირობს რუსეთობასა, არ უწონებენ შინითო, ცულ სიტყვა ნურა გამოვა, თემნო, მა თქვენის პირითო. 208

რუს-თურქთა ომი

იცი და მოგეხსენება

იცი და მოგეხსენება, რა მოდის ხემწიფესაო, ის შამირი და თათარი [სულ] ყველა აუტყდესაო, ქრისტეს ნაკურთხი გვირგვინი ნიკოლოზს დაადგესაო, კარგი ხემწიფე დაგვიჭდა, ვერავინ წაგვანდენსაო.

ეს ყურუსალი თათრები საომრათა წამოდგესო:-
 „იქრეთი ჩვენი არის, ქუთაისსა ჩავდგამთ ფეხსო;
 სულ მამაჩემს გაუგზავნი, რაც რომ იქ ქონება დევსო“.
 ეს რომ ღენერალს მოხსენდა, მასუკან მართებელსაო,
 დაუდეს და წიგნი დაწერეს, მიართვეს ხემწიფესაო:
 „ეს ყურუსალი თათრები ჩვენ როგორ გაგვიძლებსაო“.
 გვარდიის ჯარს დაუძახეს, კაბები ჩააცვესაო.
 დრაგუნის ჯარს დაუძახეს და პლანი დააწყვესაო.
 ოცდაათი წელიწადი ქედლები დეისვესაო,
 ახალ თოფებს აკეთებენ, შუბები დეიგესაო:
 „ჩ... მოჭრილი თათარი ჩვენ როგორ გაგვიძლებსაო“:
 პირველ ხომ ჩხუბი მოვიდა ნიგოითს განსაცდელსაო,
 ოცდაათი ზარბაზანი ერთბაშათ გვარდესაო,
 „ურა-ურას“ იძახოდენ, ზედ აყენებენ ცხენსაო.
 ქუთაისს ლხინი მოვიდა, იამა მართებელსაო,
 სამი ოქრო გოუგზავნეს, აფიცარს მიართვესაო,
 ასეთი ოქროებია, აღლი არ გადაწვდესაო.
 დოუჭირავს-ყე თათრები, ქუთაისს გაგზავნესაო,
 ზოგერთს მოპარცეს ულაში, ზოგს კუპრი წოუსვესაო.
 ასე გეიქვა თათრები, თავსხლათი დაასხესაო,
 მაგრამ იმას მოუხთება სამოცი ცოლის... 209

ერთი რამე გავიგონე

ერთი რამე გავიგონე: ერუსალემს უთხრეს ფასი,
 ქრისტეს საფლავის გაყიდვას ვინ გაბედავს ამ დრო-ჟამში.
 ვინც ამ სიტყვას არ იყურებს, მატლი დაესევა თმაში,
 ყველა იყურებს ამ სიტყვას, ვინც რომ ქრისტეს ერგო ფარდში-
 თათრის ხვანთქარსა ბატონსა ჭკუა დაბნევია თავში,
 მას რომ დოუჩემებია ჩასათურთხებელი თვალში:
 „რუსი უცებ გარდავდენო, მაგიერთ დავსხდე ტახტში“.
 ეს ხემწიფემ გაიგონა, ცოტათ გაიციინა წარბში:
 „აყროლებულსა თათარსა რა უქენი ამის ფასი?
 გამევიდეს და მეჩხუბოს, ფხარი მომცეს საჩხუბარში“. 210

ათი ათასი ხმაღს იცემს, უფალმა გამოუხსია,
რუს ხემწიფე და ხვანთქარი მალალმა ღმერთმა წაჰკიდა,
უძირო ზღვა გააჩინა, შიგ ხომალდები ჩაჰკიდა,
არმის ნასროლ ზარბაზანსა ხონთქარი ტახტზედ გაჰკვირდა,
ბეგლარები იძახოდნენ: „ახლა კი საქმე გაჰკვირდა!“ 211



რუსთ ხემწიფე და ხონთქარი მალალმა ღმერთმა წაჰკიდა,
რაც რუსთ ხემწიფემ საქმე ჰქნა, თითონ ხონთქარი გაჰკვირდა:
ზღვაჩი ჩაუშო გემები, ზედ ხომალდები მოჰკიდა. 212

ხოჯიოღლის რომ უქია

ხოჯიოღლის რომ უქია სულთან მეჯიდის ჯენგია,
ყოლი კაცი ფეხზე დადგა: თუნუს, ინგლისი, ფრენგია,
ყველა ცეხლათ გადაიქცა: ფაშა, ბიზაშუი, ბეგია,
ნიზამი, იუზბაშეები, ბაში-ბუზული, ბერია,
მე რომ საბრალო მეგონა, თურმე მაშალი მგელია!
სალასტოფი დააქციეს, დაღუპეს სუნთლათ გემია.
მოსკოვს ასე არ ეგონა, — თათარი ასე ძნელია.
ახლა კვალში ჩამოუდგენ, თიფლის მიზღვევენ მგონია.
თიფლისი კი რამდა იყოს, პეტერბურღს მივა მგონია.
რიონის პირს შეაყოღეს ნავი, ჩიქთური, გემია,
მუხიმეთი — ღელიბეთი, ტყვია-წამალი ბეერია.
კონტრაით უნდა დაჯღაგონ ხემწიფის ტახტი, მგონია,
მის კარზე უნდა დაუკრან ღუღუკ-ტრაპანტა, ბორია,
თალუშსაც იქ ითამაშვენ ნიზამ-ასკერი, მგონია! ?13

აღი-ფაშამ გვიღალატა

ხვანთქარი და რუსი ჩხუბობს, იგი არის ვორვე ეში!
აღი-ფაშამ გვიღალატა, გაგვიყვანა კვირიკეთში;

¹ ტოღი.

მან რომ ფულები აიღო, ჩვენ დაგვტია რუსის ხელში,
კაი ხომ არ დამართია, ბაწრით ჩათრეის გემში,
მისი ყვირილი ისმოდა სუფსას გაღმა ბაილეთში. 214

ჰაი გიდი ჩახალ-ოლლი

ჰაი გიდი ჩახალ-ოლლი, ერთხანაც გიქრიდა ქარი,
შემოიღევი ოლქაობა¹, ხომ არ ქენი კაი ქარი,
ფაშას ყულე² დეუმგვრიე, სასახლეს გეულე ხარი³.
ეს რომ სელიმ ფაშამ შეიტყვა, რომ შეიქნა ჰერსით⁴ მთვრალი:
ჩახალ ოლლი, შემირიგდი, გავაკეთოთ ბარიშალი⁵,
ასრე ვნახოთ ერთმანერთი, ვითარცა რომ და და ძმანი,
თუ მე არა მომენდობი, ბოლათ⁶ შეიყარე ჯარი,
შუა ტეზე რომ გადმეიარე, იქ გადმეიტანე თარი,
ადიგვე⁷ რომ ჩამეიარე, მეიდანს ჰამე სამხარი,
ქალაქში⁸ რომ შემოხვედი, ვით ფადიშაჰ სერესკერი.
ფაშამ საჩუქარი გიყო, მას გავარდა ორივ თვალი!
ფაშა ვალეს წემოვიდა, ხომ არ გამოვიდა ხანი,
ჩივთეები⁹ დეუწყვილეს, ზეცას აღის მათი ალი,
სამი ფეხის გადადგმაში ჩამოართვეს ორივ მხარი,
სამივ ერთად დაარწყვილეს, ორი ძმა და ბაირადდარი¹⁰,
სამივს ერთად დასჭრეს თავი, ვითარცა ყასაბმა ცხვარი,
ყველა იმას ეხვეოდა, ვითარცა სკაში ფუთკარი,
აქარა დასწვა, დადავა, ზეცას აღის მათი ალი. 215

1 ქარიანობა.

2 ციხის ბურჯი.

3 მხარე.

4 ჯაერი.

5 კარგი შერიგება.

6 ბლომად.

7 სოფელი.

8 აქარაში და ძველ საათაბაგოსკენ ახალციხეს ქალაქს უძახიან,—როგორც საქართველოში ტფილისს.

9 დაბანჩები [დამბაჩები?].


10 მებაირადე.— ჩახალ ოლლი ქვედა აქარელი იყო, სოფელ ბზუბზუდამ (ახს-
ნა მთქმელის მიერაა მოცემული).

არაბი ფაშა

როს არაბი ფაშის საქმეს მიჰყო სასამართლომ ხელი, მაშინ გატყდა თვით არაბი, გაიტეხა მან სახელი, ყველაფერი აღვიარა, რისიც ყოფილიყო მქნელი, იმას ექმნა ისე საქმე, რაც რომ არ იყო საქნელი. სასამართლოში არაბიმ ეს წარმოსთქვა საუბარი: „თვით ეგვიპტე მე დავლუბე და მე შევახოცე ჯარი, ომში ცუდად ვმოქმედებდი, ბევრია ჩემგან წამხდარი, ქედვისაც მე ვუღალატე¹, ვიყავ დიდად გადამდგარი“. სასამართლომ არაბისგან რა ესენი მიისმინა, სასიკვდილოდ გაამზადა, რადგან საქმე წაეხდინა. მაგრამ ქედვიმან დაიხსნა, ღმერთს შემადლა, მათმინა. მეორეთ საქმე გადუღვა, სიკვდილს კი მან გადარჩინა. ქედვიის გადადებული საქმე იწყეს ხელმეორედ, გადუწყვიტა სამართალმა საქმე ძიებით და სწორედ. წაუკითხესა არაბისა გადაწყვეტილება მდორედ, დამტკიცდა ეხლა ნამდვილად, რომელიც იყო საჭორედ. საწყალი არაბი ფაშა მორჩა ქვეყნის ენა-ყბასა, — ამბობდნენ სიკვდილით დასჯას იმისა სხვასა და სხვასა, მაგრამა ყველა გაბტყუენდა, ის დაადგა სულ სხვა გზასა: გადასახლების ადგილი ცეილონში მისცეს მასა. ისე საქმე რისთვისა ქმნა, მას გამაელიოს გონი, მან დაანელა ეგვიპტე, მისი საქმე იყო მგონი, ქედვისაც აჰად გადუღვა: „არ მინდაო ის ბატონი“. ეგვიპტეს ყოფნა მოსძულდა, ეხლა ნახოს ცეილონი! არაბი და მის მომხრენი სასამართლომ გაამზადა: მათ ეგვიპტეში ყოფნისა მიეცათ ათი დღე ვადა; ნაცვლად მისი ქონებისა, რაც იმას კი რამ ებადა, უნდა მცირე ფულად მისცენ, — ეს ბრძანება განეცხადა. ათ დღეს იქით ეგვიპტიდან არაბი და მის მომხრენი ეგვიპტეს ესალმებიან საშუდამოდ თავის დღენი, ეგვიპტის ნაცვლად ექმნებათ ცეილონის კუნძულთ ბჰენი.

¹ „ქედვიის სიკვდილიც განეზრახებინაო, მაგრამა იმ დროს კი არა უთქვამს რა მგონია; იქნება ან წინათ სადმე თქვა და ან ეკვი აიღეს არაბ-ფაშაზე“ (დამწერის შენიშვნა).

ვაი კარგი დღის მნახველთა, იქნება რა მოსათმენი!
მოაგონდებათ კარგი დღე, თავს დაეცემათ ზარები,
რომ აღარ ახლავთ მცველები, აღარც სამხედრო ჯარები;
წინაწინ იყენენ მოთავედ, ჯარების წინამძღვარები,
ეხლა რა დღეში ჩაცევედნენ, გახდნენ ყველაზე მდარები.
რასაც რომ სხვისთვის იფიქრებ, ღვთისა თუ არ გერცხვინება,
ისევ შენ მოგიბრუნდება და შენვე მოგვევლინება.
სჯობია, სხვისა სიკარგე, სიდიდე ნუ გეწყინება,
თორემ სხვის გული ბოლოს დროს, იცოდე, დაგეცინება. 216



ადამ და ევა

უწინ იყო ზღვა ქვეყანა, გადაშრა და დარჩა ხმელი,
 მაშინ კაცი არსად იყო ქვეყნიერად განაჩენი.
 ჰკვირობდა იესო ქრისტე, თვითონ ი ჩვენი გამჩენი;
 ძირიღვან მიწა ეილო, მიწა იყო ყვითლის ფერი,
 ამას სული ჩეუბერა, — ადამ დაგღვა კაცის ფერი.
 ადამ ნათლათ შემოსილსა არ უნდოდა ტანსაცმელი,
 არც მუშაობა უნდოდა, სარჩო ჰქონდა ძველისძველი;
 დღე მუდამ ჩამოდიოდა ზეცილამ გაფქვნილი მწყერი.
 მასუკან კიდეე უხერხეს, მას ამოსკრეს გვერდის წკნელი.
 ადამს უწოდეს ცოლათა, არვინ იყო მისი მძრელი;
 სიტურფით და სილამაზით ღამე გაანათლოს ბნელი.
 ის ადამი და ევაი ერთათ იყვნენ დასასხდენი,
 ორთავე ბაღში დაბძანდენ, ნეკრეთ მისცა ერთი გველი.
 უფალი სხვაგან წაბძანდა, ხმელადე აქვს დასაჯლელი.
 ნეკრეთ მისცა ერთი გველი, ევას ეგრე დააბარა:
 „ყოველი ხილი მიირთვი, ყოვლიერათ მოსახდენი.
 ლეღვა არავინ შეგტყუოს, საძაგელათ შესაქმელი:
 თუ ვინმემ ლეღვა შეგტყუა, ჩვენგან აგელემა ხელი!“

ღმერთმა დასწყევლოს ეშმაკი, თურმე გახდა ჩვენი მტერი, მოვიდა, დახე, კარებზე!

„გველო, კარები გააღე, მე ვარ შენი მეუფენი!“

გამობრუნდა ის ეშმაკი, გამოსცვალა ტანსაცმელი.

მეორეთ რომ შეუტია, გველსა შიშით მოსწყდა წელი.

გველმა კარები გააღო. შევიდა, დახე, ეშმაკი!

ეიარ-ჩამეიარა ედემისა ბალი გძელი:

„ევა, ე ლეღვი მიირთვი, გემრიელი შესაკმელი!“

როცა შესცდენ და შეჭამეს, ძირს ჩამოცვინდათ ნათელი.

დაღონებულან საწყლები, ტანზე დეიფარეს ხელი,

ჯაგებში იმალებოდენ, თვალზე მოსდიოდათ ცრემლი.

ისევე უფალი მობძანდა, თვითონ ი ჩვენი გამჩენი:

„ევა, სიტყვა დაგაბარე, რალათ ქენი მაგოდენი?“

— „ეგ ჩვენი ბრალი არ არი, რაც გერჩიოს, ის გვიქენი!

ეს იმისი ბრალი არი, შე რომ ნეკრეთ მოგვე გველი,

ის ხო იყო ჩვენი მტერი“. მაშინ დასწყია ის გველი,

ალარც შეარჩინა ფეხი, ალარც შეარჩინა ხელი;

მიწა მისცა საკმელათა, კიდე ჰქონდეს საზოგველი.

გველი და ადამიანი გავხდით ერთმანეთის მტერი.

ქალიც ხომ ისე დასწყია:

„სულ წიოდე და კიოდე, ძეობა რომ მოვა შენი,

[ძეობაზე რომ მიდგები, მორჩენაა შენი ძნელი,

მალღა გეკიდოს ბაწარი, იმაზე გეკიდოს ხელი!]

ქალმა შვილები ინატრა სასიკვდილოთ გასაზრდელი, —

ქალის ჰკუა თხამ შეჭამა, ჰკუას ვერ მოჰკიდა ხელი.

თურმე წყალზე მობძანდება მარიამი ღვთისმშობელი,

წყარო გრილთან რო მივიდა, დაამთქნარა მარიამმა:

იესო ქრისტე ჩაუძვრა, თვითან ი ჩვენი გამჩენი.

მარიამ მუცელს შეფსხვილდა, რომ გვეიდა ორი თვენი.

ოცდახუთ ქრისტიშობისთვეს იესო გამოჩნდა ჩვენი.

ნათლილებას შეინათლა იესო ნაზაროველი,

იორდანეც იქ მობძანდა, მერე ი ზურაბი ჩვენი.

დალოცვილმა ქრისტე ღმერთმა ზღვაში ჩაკრა თვითან ხელი,

ჩაკრა და ამოიღო მარმარილოს ქვა ნაჭერი,

ადამ და ევას მინაცემი.

წეიკითხა, დაამტვრია აგრე, როგორცა რომ ტვერი,

ეშმაკებს შემოუტია, შიშით წაუხდინა ფერი.
 პირველ მკედელი აკურთხა, შეწურა და შესდგა დგვლემი,
 რკინის კეტები აკეთა, ჯოჯოხეთის სარღვეველი,
 [ათი კუთხე დააქცია, მეთერთმეტეს მიჰყო ხელი.
 მივიდა პილწმა ეშმაკმა და იცვალა ტანსაცმელი:
 „ქრისტევ, კუთხეს ნუ დააქცევ, — აგეყრება ჩვენი ხელი,
 არც ერთი აღარ გაგიტანს, აღარც ბერი, აღარც ღვდღლი!“
 დაფიქრდა ქრისტე მეუფე:
 „ამ დაწყველილმა ეშმაკმა ეს ქნა ჩემი მოსახთენი!“
 იქ დატოვა ცალი კუთხე, შიგ შუუშვა კუპრი ცხელი.
 დედ-მამის უპატიურსა გაუხვრიტეს ენის წვერი,
 ძმა ძმისა მოღალატესა ფიცხლად მისცეს სატანჯველი,
 კისერზე შემოახვიეს ოცდახუთი ჭრელი გველი!
 შიგ არის წისკვილის ქურდი, პირში ჩრია სარეკელი.
 ვინც ჩემი არ გაიგონო, იმან გაიკითხე ღვდელი:
 წირვას უნდა ყურის სმენა, ლაპარაკი არის ძნელი,
 ხომ იცით, რომ ეშმაკს მოკლავს ცისკრის ლოცვის მომსმენელი! 217

ა ბ რ ა მ ი

აბრამ იყო ღვთის მლოცავი, მაგრამ ძენი ენატრების;
 საქონელი ბევრი ჰქონდა, არვინ იცის ვის დარჩების.
 „ღმერთო, ერთი შვილი მაშეც, ისიც შენთვის გამეზღების;
 შვილის წლისა საღმთოთ მითქვამს, ეს პასუხი არ გატყდების“.
 ორმოც დღესა არა ჰკამა, შინა სტუმარსა მოელის.
 რა დასრულდა ორმოცი დღე, ეწვია მასა ღვთაება,
 პურის ჰკამა გაათავეს, მაშინ მისცა აღსარება.
 „შენ მემკვადრე გაგიჩნდება, საშაჰულეთ გაგეზღება!“
 ეს ანბავი გაიგონა, — თვით სარას გაეცინება:
 „დრო გარდამსვლია შვილისა, მე როგორღა გამიჩნდება!
 და თუ ნება უფლისა არს, ძე აღვილათ მეყოლება,
 ვიგონებ მალ-მალ ღვთის სახელს, ნება მისი ათავდება!“
 სარას შვილი ჩაესახა, მეცხრე თვესა ეყოლება.
 ისაკ იშვა, ძე უმანკო, იგი საღვთოთ აღსრულდება.
 იმ მეორე წელიწადსა მშვენიერად აღიზრდება,

იმ მესამე წელიწადსა ისაჲ მეტად გამწვენდება,
 იმ მეოთხე წელიწადსა მამასთან დაეძინება,
 იმ მეხუთე წელიწადსა ღვთის მონება შეეძლება,
 იმ მეექვსე წელიწადსა ისაჲ ტანად აღიზრდება,
 იმ მეშვიდე წელიწადსა აბრამ ცოლსაც გაუტყდება:
 „ქალბატონო, შენ რა იცი, ეს ყმაწვილი რათ კეთდება?
 შვილის წლის საქმეთით აღმითქვამს, ეს პასუხი არ გატყდება!“
 — „წაიყვანე, რალას ღონობ, ღვთის პასუხი არ გატყდება,
 ღვთისა წინა სამსახური არაოდეს არ წახდება!“
 აბრამ ისაჲ წაიყვანა, ზვარაკად ის ენებება.
 აბრამს ცეცხლი ხელთ ეჭირა, ისაჲ შეშას ეზიდება,
 რა მივიდნენ მალალ ნერგთან, შეშას მისცეს ცეცხლკიდება,
 ცეცხლი ასეთი ანთია, ალი ზეცას ავარდება.
 შვილმა უთხრა: „მამაჩემო, ქვაბი დულს და წყალი შრება,
 სხვა საკლავი არსად ჩანს რა, გული რაღათ გიღონდება?“
 აღგა, მამას გვერდ მოუჯდა, დედამიწას დაემხვება:
 „მაგრა შემკარ, ისე დამკალ, — მამას ასე ეუბნება, —
 სისხლი არსად შემოგესხას, სამსახური წაგიხდება“.
 აბრამმა დანა გალესა, დასაკლავად ემზადება,
 თვალთაგან ცრემლი ზდიოდა, კალთას ზედა ტბა დგებოდა.
 მიჰყო ხელი უმანკოსა, თან შემოქმედს ევედრება.
 ანგელოზი მოეველინა, აბრამს მისცა გახარება, —
 ზეცით ვერძი დაანახვა, მის მაგიერ ეს ინება:
 „ეს დაკალი და შესწირე, ღმერთსა დიდათ მიაჩნდება.
 შემოქმედმან გამოგცადა, მტკიცეთ გაქვს სარწმუნოება,
 და შენს შვილს ისაჲს ეშველა, სარას მისცა გახარება.
 ამას იქით ნუ ინაღვლით, თქვენი გვარი გადილდება,
 ვითა ქვიშიანი ზღვისა უმეტესად გამრავლდება.
 ხართ კურთხეული უფლისგან, მაენე არსით გეცილება,
 ყოველნი მართალნი სულნი შენს წიაღს შეიკრიბება“.
 რა ესმა ღვთისა მონება, გულსმოდგინედ ისაჲ ახსნა,
 ორნივე შევიდნენ ღვთის წინა, შექნეს დიდი ღალადება,
 თაყვანი სცეს შემოქმედსა და უმეტესი დიდება.
 ვერძი დაკლო და შესწირა, რადგან იყო ღვთისა ნება. 218

დიდება და მაღლი ღმერთსა, რომ ბრძანება იქნა ღვთისა^ა,
 ხელი რომ ხმალ მოეჭიდა, ომი მოხდა პირველ ქმისა;
 აღმოსავლეთი დაბნელდა, დასავლეთი იგრგვინისა,
 ათახთახდა დედამიწა, მთა და ბარი შეიძვრისა.
 მაშინ გასქდა დედამიწა, ისევ მისცა პირი პირსა.
 უწინ იყო დიდი ქაში, ძე გასწყვიტა ვაჟკაცისა,
 დიდი გვალვა დაგვაყენა, შუქი დაგვაპირა მზისა,
 ხევაები სულ დააშრო, წყაროც აღარ მოდის მთისა,
 ხეს ფურცელი შემოუხმა, ფესვი შემოალპა ძირსა,
 მინდვრებ ცეცხლი წაეკიდა, ძირი დასწვა ბალახისა,
 პირუტყვი გასწყდა შიმშილით, ეკიდება ნარის ძირსა.
 კაცის თვალი ხარბი არის, რა გააძღობს მიწის შვილსა?
 რაგინდ რომ ცხოვრება ჰქონდეს, კიდევ ეხარბება სხვისა,
 გადაბრუნდება, მოკვდება, მიწა ამოუმსებს პირსა;
 რასაც იშოვნის, ინახავს, — შეიქნება ეშმაკისა.
 ამ დროს იმიტომ ჩავსცვივდით, თითონ ყიდდა მამა შვილსა,
 ნაშენობაც დაანგრის პირველ თამარ დედოფლისა.
 ვილას ახსომს პურადობა აღამს აქეთ იობისა. —
 უსტუმროთ პურს არა სქამდა, სიყვარული ჰქონდა ღვთისა.
 ენაძლევება ეშმაკი, — ვათქმევინებ შენსა ძვირსა!
 „ოი წყეულო ეშმაკო, როგორ შემომკადრე პირსა!
 იმის სულთან რა ხელი გაქ, ანგელოზი არის ღვთისა,
 წადი, რაც გინდა უყავი, რადგან იტყვის ჩემსა ძვირსა!“
 დაუწერა წერილები, დაუბეჭდა, ეშმაკ მისცა.
 ჩარხი უკულმა დაბრუნდა, მგზავრი მოწყდა ყოვლი გზისა,
 წინ ეშმაკი გადელობა, ის წყეული შავი მთისა,
 ტანისამოსი გადიცვა შავისა და ბნელეთისა:
 „სადლა მიდიხართ, სტუმრებო, მამა მოკვდა იობისა!“
 ეს საქმე ყველას უმძიმდა, სამძიმარი ეშმაკისა.
 იობ იყო მღვთის მლოცველი, ცოლი უფრო მართლი გზისა.
 იობს ჰყვანდა შვიდი ვაჟი, სამიცი ქალი სახე მზისა;
 ათივ ერთ დღეს დაეხოცა, ერთიცი აღარ დარჩა ძირსა.
 იობ ლხინი არ მოშალა, სუფრა ჰქონდა ნადიმისა.
 ცოლ სულდარა გაუგზავნა, მონახევი სამოსლისა:

„ნუ იტირებ გულმწუხრათა, ცრემლს რათ აყრი მიწის შვილსა,
 ღვთიღვან იყო ნაშობარი, ისევ იმან მიირთვისა,
 ვმადლობ ჩვენ წილ მოწყალესა, ჩვენი ბედი ამას ღირსა!“
 იობს მატლი დაეხვია ათას ფერი ნარგიზისა,
 ზოგი ძვალ ეჭიდებიან, ზოგი ეხვევიან რბილსა,
 რამტონიც გადმოვარდება, აიყვანა, მკლავ დაისვა: .
 „ძვალი ხარ და რბილი სკამე, შენი სარჩო ეგ არისა!
 შენ მაგას ნუ მოშორდები, ფიქრი ნუ გაქვს შიმშილისა,
 მაგას იქით საღლა წახვალ, ბძანებაა ეგრე ღვთისა,
 ვმადლობ ჩვენ წილ მოწყალესა, ჩვენი ბედი მაგას ღირსა!“
 ერთ რიგს მატლი დაეხვია, ძვალს აპტერვედა, სვამდა სისხლსა,
 მეორე რიგ დაეხვია, ჰია იყო კახეთისა,
 მესამეც ასეთი იყო, ძე გასწყვიტა ვენახისა,
 მეოთხე ჰიაფერია, მშვენებაა ადამ ცისა,
 მეხუთეც ფუტკარი იყო, სამსახური არის ღვთისა,
 სუყველას გამოსადეგი, ჯერ ცოცხლისა, მერე მკვდრისა.
 იობ მეტად შეაწუხებ, სანახველა ზედა ძისა.
 იმის ცოლმა ერთ პურშია ბეწვი მისცა ოქროს თმისა,
 იობთან რომ წამოიღო, წინ ეშმაკი მოუძღვისა.
 ის წყუელ-შეჩვენებული იმ პურ ხელში შეუცვლისა.
 იობთან რომ მიიტანა, აიღო და ხელში მისცა:
 „აბა, იობ, პური სკამე, ზედამ ამ შაქარზე ტკბილსა!“
 რამწამ დახედა იობმა, მაშინათვე სული იცნა,
 გატეხა და გადააგდო, აიღო და ძაღლებ მისცა:
 „ვერა ზედამ, დედაკაცო, სუნი უღის იუღისა!“
 რამწამ ძაღლმა ის შესკამა, იქვე ძაღლი გახეთქისა.
 ატირდა იობის ცოლი, სულ ხუშურა ცრემლსა ღვრისა:
 „ასრე წვალემა რა გახდა მე და შენი, იობისა!“
 იობი ცოლს გაუჯავრდა, თავის უფალს მადლი მისცა:
 „შენ რა იცი, დედაკაცო, თუ რა საქმე არის რისა!
 იმას ხომ შევიწირავდით, რო ვისხედით სუფრა-ლხინსა!
 ესეც უნდა შევიწიროთ, ბძანებაა ეგრე ღვთისა“.
 იობის ცოლი შინ წავა, მას ეშმაკი ეცხადვისა:
 „იობ, ღმერთ რათ არ აძაგებ, ზარალი გაქვს ხმელეთისა,
 ცხენ-ჯორები დაგეხოცა, ვირ-ჯორები აღმასისა,
 აღარა ძევს ქვა ქვაზედა შენი ციხე-ქალაქისა,

ნახე შენ ცოდვის კითხვისა, გუნდი იწვის შენი ცხერისა!“
 იობმა თქვა: „ვმადლობ ღმერთსა, სამღვთო გადახდილა ღვთისა“.
 — „იობ, შენი ნახირები ქვა და რიყეთ გადაიქცა!“
 იობმა თქვა: „ვმადლობ ღმერთსა, ჩემ სასახლეს არა სჭირსა!“
 მერმე წყეული ეშმაკი სარაიას შეებრძვისა,
 ოქროს სვეტი გააცალა, სარაია დასცა ძირსა.
 „იობ, ღმერთ რათ არ აძაგებ, სარაია სულ დაიქცა!“
 იობმა თქვა: „ვმადლობ ღმერთსა, მე ხომ არაფერი მჭირსა“.
 „ღვთისაგან არის ბრძანება, სულსაც ეხლა ამოგხდისა!“
 ეს იობმა გაიგონა. ტანისამოსს გაიხდისა,
 დაწვა დედამიწაზედა, თავზედ მიწას წაიყრისა:
 „შიშველი დავბადებულვარ მე დედიჩემის მუცლისა,
 ისრევ შიშველი მივდივარ, ბძანებაა ეგრე ღვთისა.
 ნალათ, შენ პილწო ეშმაკო, ეს საქმე სულ შენგან მჭირსა!“
 მაშინ გასივდა ეშმაკი, დასკდა იქავ, ნაცრად იქცა.
 გამოეცხადა უფალი, — სასამართლოთ იყო ძირსა:
 „იობ, შვილებ დაგიცოცხლო, თუ სულ მოგცე ადამ ძისა?“
 წამოხტა და თაყვანი სცა, თავი დაახალა ძირსა:
 „არ მოხერხდება, უფალო, გაცოცხლება ჩემი მკვდრისა,
 თუ შენგან არის წყალობა, ისევ იობ იქნებისა“.
 წაიყვანა სამოთხეში, მალლა დასვა, განა ძირსა,
 შვიდი ვაჟი, სამი ქალი უკვდავ-უბერებლივ მისცა,
 ცხონება და წაწყმენდაი ღღესაც იმას ეკითხვისა.
 ეს წიგნი დაბეჭდილია ამ გიორგი ქებაძისა*,
 ამა ლექსის გამგონესა მადლი შეეწიოს ღვთისა! 219

ნ ო ე

წმინდა ნოემ რა იცოდა, დაჯდა, თალა კიდობანი,
 შიგნით, გარეთ გამოთალა, საგანგებოდ ააყვავა,
 შიგ ჩასხა დედალ-მამალი, კარი მაგრა გაუყარა.
 კაშბეჩი მოდის, მოყვირის: „მეცა შიგა შემიყვანე!“
 ზღვიდან ხო წყალი გადმოსქდა, თან წაიოო არემარე.
 ადგა და ყვავი გაგზავნეს: ქვეყნიერად არი რამე?
 მივიდა და ძრომლს დააჯდა, გაათენა ღღე და ღამე.
 ადგა და ტრედი გაგზავნეს, უგუნური და საწყალი,

სისხლში დარია ფეხები, შიმშილითაც მოკვდა დამე.
ზეთის ხილს ტოტი მოსტეხა, ტურფად იყო მსხმოიარე,
თითო ყველას დაურიგა, თითონ დარჩა მგლოვიარე. 220

სოლომან ბრძენი

დავითი და სოლომან ბრძენ ხემწიფეა ხმელეთისა,
ნაზირი და დედოფალი ჩამამხდარან ზღვისა პირსა.
მებადურმა ბადე უგდო, სამი თევზი გამოჰყვესა,
დაკუწეს და ტაფას ჩადეს, ტაფა ცეცხლზე შემოდგესა,
მოხარშვა რომ დაუთავეს, ტაფა დაბლა გადმოდგესა.
სოლომანი ლექსსა მოჰყვა, ლექსსა მოჰყვა მეტათ ძნელსა:
„სანთლის გუთანს ავაშენებ, შიგ შავაბამ უღელ დევსა,
ზღვაში ვხნამ და ზღვაში ვთესამ, მშრალზე ვინადირებ ოვეზსა,
ყინულზედ კალოს გავლენჯამ და მორევში ჩავყრი ბზესა,
მიმინოს ბარგსა აეკიდებ, აქლემს დაუტევებ მწყერსა.
წუხელის ჩემსა საწოლსა კაცი იყო, ვნახე მეცა,
ხელთ ეჭირა ოქროს ბურთი, აგორებდა საწოლს ჩემსა.
თუ ეს სიტყვა მართალია, ჩემი თევზი გაცოცხლდესა!“
გაცოცხლდა და ზღვას შევიდა, ორი ისევ ტაფას ძევსა.
„რიგით მიეყვეთ სამართალსა, ახლა ნაზირ-ვეზირს ჰხვდესა!“
ვეზირმა წამოუჩოქა ამ ჰკვიან სოლომან ბრძენსა:
„გამზარდე, გამავაყეკაცე, ნუ მაჩვენებ შავსა დღესა!
დღეში სამჯერ ამას ვიტყვი: მოვკლამ სოლომანსა ბრძენსა;
სამჯერ ეშმაკს შევაფურთხებ, გავისტუმრებ ცარიელსა.
თუ ეს სიტყვა მართალია, ჩემი თევზი გაცოცხლდესა!“
გაცოცხლდა და ზღვას შევიდა, ერთი ისევ ტაფას ძევსა.
„რიგით მიეყვეთ სამართალსა, ერთი დედოფალსა ჰხვდესა!“
შიშითა და სირცხვილითა გულს ეყრება დედოფალსა,
ვარდის წყალსა გულზე ასხმენ, აფიცებენ მამის მზესა:
„ამოგვითქვი, პირა მზეო, ხელი მოგვიკიდე მტერსა!“
— „თქვენ იმას ხელს ვინ გაკიდებს, იმ ქაჯეთის ხემწიფესა!
თორპეტი წელიწადია, ცყვარობ კუნწულ ხემწიფესა,
მთვარე რომ ბანზე ჩამოვა, კუნწულელი ჩამოჰყვესა.
დაჰპატიეთე კუნწულელი სამს დღესა და სამს დამესა,
ისეთი ღზინი უჩვენე, არ ენახოს თავის დღესა“.

— „დამიძახეთ კუნწულელსა, ეშმაკების თავის მყრელსა!“
 კუნწულელსა დაუძახეს, სუფრას გაუშლიან გძელსა.
 „კუნწულელო, სიტყვას გეტყვი, სიტყვას სააჟურსა შენსა:
 ერთი თულუხი კოკა მაქვს, მიბარია მემამშლესა,
 თუ მას საყმოთი ავიმსებ, საყვარელი შენ დაგრჩესა!“
 კუნწულელი სიჩქარითა ველარ იცომა მამიებსა:
 „ჩემსა ყმასა დამიძახეთ, ნაზირსა და ვეზირებსა,
 სულ ერთიან გამორეკეთ, არ დაჰყრიდეთ ყმაწვილებსა!“
 შვიდი დღე-ღამე იდინეს, კოკას ყელში დააკლდესა.
 „შენ შიგ ჩაჯექ, კუნწულელო, საყვარელი თან ჩაგყვესა!“
 ჩაიტყუეს კუნწულელი, თავ ზარფუში გადარქვესა,
 ოთხჯე კუთხით გადაჰქედეს, წაიღეს და ზღვას მისცესა.
 ათას ხუთას წელიწადსა ავი მავნე არ იქნესა,
 ყმაწვილ კარგა დაეძინოს, გულში ფიქრი არ ჩაჰყვესა.
 მებადურმა ბადე უგდო, კოკას ყელში გამოსდესა,
 სწიეს, სწიეს, გამოსწიეს, ზედ ნაშეზე გადმოღესა:
 „ამაში რომ სულ არ იყოს, შვიდი სოფლის ფასი ძევისა!“
 ერთმანეთი დაარისხეს, ვინც ეს უთხრას ბატონს ჩვენსა.
 დაუშინეს ნაჯახები, კოკას ყელი მოსტეხესა:
 გამოკვივდნენ ეშმაკები, ზოგი კლდესა, ზოგი ღრესა,
 ზოგი წისქვილებსა ეცა, ზოგი ქალათ გადიქცესა.
 კუნწულელი შიგ დაკუწეს, ქოფაკებს გადუყარესა.
 ღმერთმა ორივე დაშამათოს — მეთევზე და მემამშლეცა! 221

ნათლისმცემელი და გლახა

[ერთ ვერანა ქვეყანასა ერთი გლახა ესახლება,
 გლახა ასე გლახა არი, უგლახესი რა იქნება:
 საჰმელათ პური არა აქ, ქვა საჰმელათ ენატრება,
 გამოვა სანეხველაზე, ბანძა-ბუნძით იპოსება,
 მას ერთი ძაფი ავაძროთ, ოცი კინძი ავარდება.
 ივანე ნათლისმცემელი ქრისტე ღმერთსა ევედრება:
 „შენ რომ გლახა გააჩინე, რატომ შვილი არ ეძლევა?“
 — „წადი და შენ გაუჩინე, თუ არ გაგიკოხტავდება!“
 გლახას მისცეს ერთი შვილი, — უნათლავათ უბერდება,

შლიდარმა არ მოუნათლა: „გლახა არი, ვერ დაგვხვდება“.

— „წადი და შენ მოუნათლე, თუ არ გაგიკოხტავდება!“

[იოანე ნათლისმცემელი გლახას კარზე მიადგება,]

თავს დაღუპავს, სახლში შევა და უბარი ჩამოჯდება.

სიშიშველითა ნათლიდელა კარსა უკან ეფარება,

სიგლახავით ნათლიმამა ზეზე ველარ წამოდგება.

[„ნათლიდელა, ნათლიმამა, სვინას პური ეშვიენება!“

— „ღმერთმან იცის, ჩემო სვინა, შენთვის სული ამომხდება,]

არ მყავს ხარი, რომ შეუბა, არცა ფური მეწველება!“

მწყალოპელი იოანე გლახას აგრე ეუბნება:

„ადე, კიდობანს დახედე, საქონელი დაგიხვდება,

მურასა ტანისამოსი დაკეცილი გაგიჩნდება,

ადე, ბელელსა დახედე, პურით სუნთლა აგემსება,

მიღი და მარანს დახედე, ღვინო ჭურში დაგიხვდება,

მარმარილოს კოშკსა ზედა თვალიც ველარ აგიწვდება,

ბაღვის წყალი და წისქვილი გლახის კარსა გაკეთდება,

[ათას ხუთასი თხა-ცხვარი ყველა კარზე მოგადგება,]

ათზე ერთი ღმერთს შესწირე, ისიც მასა იამება,

თუ ათზე ვერ გაიმეტებ, ოცზეც ყაბული იქნება“.

ნათლიდელა წამოდგება, მზისა შუქი თანა ჰყვება,

ცხრა ტყვეოსანი მოახლე კაბის კალთას ეკიდება.

ცოტა დროებისა შემდეგ იოანე შინ ბძანდება.

დალოცილი ქრისტე ღმერთი ნათლისმცემელს ეუბნება:

„წადი, შენ ნათლულს ეწვიე, თუ როგორად დაგიხვდება“.

როცა ეზოს მიახლოვდა, გლახა ქალსა ეუბნება:

„ადე, ქალო, გარ გახედე, — ჩვენსა სვინას რა ეხლება,

რა მალ-მალე დაეთრევა, თვალიც მასა დაუდგება!“

სვინა სადგომს მიიწვიეს, სწრაფად საჯდომს ჩამოჯდება,

როცა რომ ლაპარაკს იწყებს, მსვენელს ყური უნათლდება.

სალამო ხანი შეიქნა, სვინას ვახშაში კეთდება:

ამას რომ ერთი ცხვარი ჰყავს, რომ გიაბო, შეგზიზღდება,

ოთხივე ფეხით კოჭლია, ორვე თვალით ბრმა იქნება,

იმდენი სატკივარი აქვს, რომ მის ხორცი არ იჭმება.

[წევინა და მეიყვანა, — „ეს ნათლიას ეკადრება“.

— „ნათლიდელა, ნათლიმამა, სვინას ეგ არ ეკადრება,

ფეხმართალი ღმერთს შესწირე, ბრმა და კოჭლი გასწორდება!“

— „სტუმარი რომ ბჰედ დადგება, სახლი მაშინ გასწორდება! ეგი სვი და ეგი ჭამე, სამასპინძლოთ გეკადრება!“
შესწყლა ნათლისმცემელი და ფიცხლად კარში გამოხტება. გაკობტავეებული გლახა მას დაცინებით ეუბნება:
„თუ შემწყული, ვაი რა ვქნა, საქონელი გამიწყდება, თქვენს მოტანილს ტანისამოსს ირიბები დამიტყდება!“
ამბობს ნათლისმცემელი: „ეგ რომ წახდეს, რა იქნება! წაეხანდინო, როგორ რა ვქნა, მე მირონი მეწამება.“
[მიწას დაკრა მისი ჯოხი, მიწას კარი გველება, ნათლიდელა, ნათლიჰამა ორივე შიგ ჩეიყრება. თან ნათლული წეიყვანა, — ანგელოზთან იწერება. ნათლიდელის ძვალის სისხლი ენდრონებათ ითხრევენება, ნათლიდელის თმანი მისი მიწა-მოლათ გადიქცევა, იზდება და არ ილევა, ისთევე ბევრი იზდება. ამისა მოსმინარესა ყოვლა წმიდა შეგეწევა!] 222

ქ რ ი ს ტ ე

დალოცვილი ქრისტე ღმერთი სოფლიერათ გამოჩიდაო, ის მამაძალი ურია დასაჰირავათ დასდევსო, ერთსა გორას დაიჰირეს, მორე გორას დამარხესო. იქ ლურსმნები აიტანეს, თურჰე ყურით დააკრესო, ჰინძი, ძმარი მიუტანეს, — ქრისტეს წამლათ წაადგესო, კვირე დილას რომ მივიდენ, — ცარიელი ტილო ძევსო. „არ გებრალეზი, პილატე, ჩვენი ქრისტე მოგვპარესო!“
— „არ გითხარით, თქვენ, მყრალეზო, თქვენ ვერ მოკლავთ გამჩენელსო.“

მაშინ ურია დასწყევლა, დაუჰარგა ზენა და თესვა:
„დახვიდოდე სოფელ-სოფელ, ატყუებდე პატარძლებსა, ერთ მანეთად რომ არ ღირდეს, აფასებდე სამ მანეთსა!“ 223

მამაო ჩვენო

ვითარცა ზეცით, ეგრეცა ქვეყნით პურსა არსებით მომცემო ჩვენო, მოვედ სუფევით ყოვნება შენი, რომ სატანასა არ მოგვაჩვენო,

გვიხსენ ცოდვილნი და დაგვიფარე, ყოვლის ცოდვისგან, მამაო-
ჩვენო,
და ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელსა, ბოროტსა დაგვხსენ, უფალო
ჩვენო. 224

სიზმრითა ვნახე ელემი

სიზმრითა ვნახე ელემი აღმოსავლეთის მთაშია,
არის მზე და არის მთვარე, არის მასკელავი მცაშია,
ათასნაირი ხილონი სულ დანერგილი პლანშია,
რიგი მწიფს, რიგი მკვახეა, რიგსა ყვავილი ასხია,
გარს ახვევია ფრინველი, ვინ დასთვლის რამდენ ასია.
ამრეულ ენას¹ ამბობენ, მე დავიშალე ტანშია,
მიტხრეს თუ, ნუ გეშინია, ჩვენში აღათი ასეა.
ოქროს არაყ დის საყდარსა, ვერავინ დასლო ფასია.
იქ ერთი ტურფა რამა ზის, ლაღღაღი გააქვს კარშია.
ორი წყეული აბია აქედამ მისავალშია,
საშინლად ჰკრეპენ კბილებსა, იკლაკნებიან ტანშია.
თორმეტი ოთახი არის, სულ ნაკეთები ლარშია,
არც ხეა, არცა ფიცარი, არც საძირკველი ქვაშია.
სულ თითო წყარო გამოდის თითო ოთახის თავშია.
ერთი რამ დიდი ზღვა არის კარებთან შესავალშია,
გადადეს ბეწვის ხიდები, — ვინ გადაზომამს თვალშია!
ცოდვილმა თქვა: „ვერ გავივლი, ვაპ თუ ჩავარდე ზღვაშია!“
მადლიანმა თქვა: „გავივლი, როგორც რომ შარა გზაშია“. 225.

მადლიანი და ცოდვიანი

ცოდვილო, ცოდვისაგან აიღე ხელი,
თორემ საიქიოს მე ვერ გიშველი,
ღმერთი გვეყოლება სამართლის მქნელი
და ისე იქნება ჩვენი მრისხველი.

¹ ვარიანტში: ებრაულ ენას.

ცოდვილო, ცოდვისაგან როდემდის დახვალ,
სიკვდილის უკან სატანჯველს ნახამ.
ერთი მოიგონე ქრისტეს ვნებანი,
მისი მწარე სატანჯველი, შოლტის ცემანი!
მის სატანჯველისაგან ქრისტემ გიხსნათ ყოველი,
მე საწყალიც ცოდვილი ვარ, ქრისტესგნით ხსნას მოველი. 226

ვაი შენ, წუთისოფელო

ვაი შენ, წუთისოფელო, რა სიზმარის კვალათა ხარ:
რაკი მოხვალ ამ სოფელსა, გაიპარვი როგორც ქურდი.
სულმა თქვა: „ხორცო, გენდური მე შენ გვამშია დგომასა,
გამგზავნე ცოდვით საესენი, ვაი შენს მასპინძლობასა!“
— „სულო ტკბილო, საყვარელო, კიდევ დადექ, ნუ აშურდი!“
— „მაინც ვერა დამაყენებს, — ფეხში შემიყარო ხუნდი!
დამდგომია ღვთის ბძანება, აქ სადგომათ აღარ უნდი.“
სულისმკრეფლები მოსულან, მიქელი და გაბრიელი,
არ გამიშვეს, წამიყვანეს, გამატარეს დიდი გზანი,
ბეწვის ხიდს რომ მიმიყვანეს, ძვალზედ მადნებოდა რბილი.
მადლიანი ასე გარბის, როგორც ჩიტი-ფრინველია.
ცოდვიანი ზის და ტირის: „ბეწვის ხიდ გასვლა ძნელია!“
დაუძახეს მადლიანსა, მხრებში ამოასხეს ფრთანი,
აუწონეს მადლის წიგნი, — ცოდვა აღარც მტვერი არი,
წაიყვანეს და იქ დასვეს, სად სამოთხის ბალი არი,
თავით აუნთეს სანთელი, ფეხთით გამოუბეს ცხვარი:
„ეგე სვი და ეგა ჭამე, სხვაც მოგივა, კიდევ არი“.
დაუძახეს ცოდვიანსა, — ძვალზედ აღნებოდა რბილი,
აუწონეს ცოდვის წიგნი, — მადლი აღარც მტვერი არი,
წაიყვანეს, იქ ჩააგდეს, სადაც ცხელი კუპრი არი;
თავს დაუღგნენ ეშმაკები, — „მაგის სული ჩვენი არი!“
ვინც გაივლის, იბრალეზდა: „ვაი დედიშენის ბრალი!
შე საწყალო, რათ არ გაეც, თუ კი დაჰყავ წუთი ხანი“.
— „ვაი, მე ამასა ვსტირი, გლახაკს არ გავიკითხამდი,
სტუმარი მეჯავრებოდა, სახლის კარს არ გაუღებდი;
ექვსი ქისა თეთრი მქონდა, სიკვდილისთვის ვინახავდი.

სიკვდილს ქრთამი არ სცოდნია, არც ქრთამის მოყვარე არი.
ნეტავი ჩემი სასახლე სულ ეკლესიათ ამეგო,
ნეტავი ჩემი ცხოვრება სულ გლახაზედ გადამეგო,
და ნეტავ სული მამეგო, ჯოჯხეთში არ ჩამეგლო!“ 227

წუთისოფელო

ვაი შენ, წუთისოფელო, სანახავათა ხარ ცუდი,
გვეჩვენები სიზმრის კვალად, გაგვეპარე ვითამ ქურდი!
გეიბკო სული და ხორცი, რომ მიდგენ გასაყრელათა:
„შენ ჩემთვის ცოდვას შობოდი ცოდვაში ჩასაგდებათა,
გამისტუმრებ ცოდვიანსა, — ვაი შენს მასპინძლობასა!“
უსაყელოსა პერანგსა გვიკერვენ ჩასაცმელათა,
ამონათხარს[ა] ორმოებს გვითხრიენ ჩასაგდებათა,
ამონათხარსა დიდ ქვებსა გულზე გვაწყობენ ქერათა,
მოდენ ქირისუფლები, ცრემლს დაგვაყრიენ ცხელათა.
მადლი მისი შეგეწიოს, ვინც რომ იხსენოს მღვდელათა,
თავის ფეხით ანგელოზი, ქრისტე დაგადგა მცველათა!
ვერ ვისწავლე დიაკვნობა, ვერც დავეკურთხე ბერათა,
ხორცი ვასუქე, ვალადე, სულს შოუდექი მტერათა.
ეს რა გვიქნა ქრისტე ღმერთმა, კუპრი აღულა ცხელია,
ბეწვის ხიდები დაგვიგო, იმაზედ გასვლა ძნელია,
ასე მიდის მადლიანი, როგორც სააქაოს [ქ]არი.
ამოტირდა ცოდვიანი: „ვაჰმე ცოდვა რათა ვქენი!“
დოუძახა მოწყალესა: „ღმერთო, მომიმართე ხელი!“
ეს უბრძანა ქრისტე ღმერთმა: „შენ ის ცოდვა რათა ქენი?
ცივანი კარზე მოგადგა, არ გაათბობინე ხელი!
მას შიოდა და წყუროდა, რატომ არ მოკიდე ხელი?“
დოუძახა ეშმაკებსა: „მაგის სული არის თქვენი!“
გადმოფრინდენ ეშმაკები, ფიცხლათ გადახვიეს ხელი,
ეიყვანეს და ჩააგდეს, საცა ი კუპრია ცხელი.
მაშინა თქვა ცოდვიანმა:
„სააქაოს რა გამივა სიტყვა ბძენი, ენა პტყელი!“
რა ნახა კაცმა ცოდვილმა, შეეზიზღა საძაგელი,
დაწყველილმა ეშმაკებმა უკითხავათ მიყვეს ხელი,

მიეხვიენ, მოეხვიენ, — იკლავნება, ვითა გველი.
ნეტა იმის წუთისოფელს, ვინაც იყო კაის მქნელი! 228

საიქიოს ამბავები

საიქიოს ამბავები ხორციელს არ მოხსენდება,
იქ რომ შაწუხება არი, ჩვენ იქ ვან მოგვეშველება.
ვაი, აყრიან ისარსა, ვინცა ჭამს ძალვით სხვისასა,
უკან გაუკვრენ ხელებსა, თოკს აბმენ კანაფისასა.
დაუჩოქნია ქრისტესთან, ფიცაჲს, „არ მომიპარია“,
მაგრამ იქ ცოდო არ არის, აგდებენ ჯოჯოხეთსაცა.
აგრეთია ბეწვის ხიდი: ცოდიან არ გაეკლება;
ოღეს მოვა მადლის მქნელი, ბოგირ-ზიდათ გაჩვენდება,
არც კოჭლია და არცა ბრმა, სული სწორედ გაჩვენდება,
კარზე მოგვივა შწერალი: „დაიცადე“, არ იქნება;
აღარც გაგვივა ქრთამები, არც მეგობარი გახდება.
ეს ხომ იცა, — გაზაფხულზე ტყის ფურცელი გაიშლება,
[მას რომ ვადები!] მოუვა, ისევ ძირსა გასცივდება;
ისე ჩვენცა გადავდივართ, დღე ღამე არ გაჩვენდება,
უფლისა ნაწირები ვართ, რეგვენ კაც კი გაკვირდება. 229

ნურც იპარებ, ნურც იბოზებ

ნურც იპარებ, ნურც იბოზებ, — გეტყვის მოსე ღვთისმეტყველი.
ქალი იყო ვინმე ბოზი, პირს ჩაუძერა შვიდი გველი,
მას მუცელი გაუსივდა, საქმე რომ ქნა საძაგელი;
გარდაბრუნდა, ავთ გახდა ეშმაკების მასინძელი.
ეშმაკებმა რომ გაიგო, მიეხვიენ ვით რო მკალნი,
რამე ფერათ შემეეკრენ, ქალს ჩაედვა ფერი ძნელი,
შექნა ხჭიალი, კანკალი, სული ეცა საძაგელი.
ანგელოზები მობძანდა, ქალზედა გამწარებული,
სული ჩანგლით ამოხეთქეს, მძორი გდის წყალწაღებული,

¹ დედანში აქ სიტყვები გაურჩეველია.

ყრალი¹ ბოზი გარდაადღეს, ეშმაკით აყროლებული,
მატლნი, უძილნი მკებენარნი ბოზს მოეხვია მრავალი,
აღის ქვესკენელში ჩაადღეს, გზა არსად აქვს წასავალი.
ანგელოზმა ეს უბძანა:

„შენ რომ შენ ქმარს უღალატე, მაშინ დასწვი შენი სული,
სხვა კაცებს რომ ეწყობოდი, ეშმაკებსა თავს აძლევდი,
ცოდვა მწარეში გორებდი. ზედ წითელ ღვინოს დაღვედი;
იქ იცინოდი, ხარობდი, აქ სატანჯველს თავს აძლევდი,
სიკვტილი ვერ მოიგონე, თვალეზზე ხელს იფარებდი“. 230

ჯოჯოხეთის აზენება

ამ დასწყევლილმა ეშმაკმა რა სიტყვა თქვა საზარელი:
„ავაშენოთ ჯოჯოხეთი, ღრმათ ჩაყაროთ საძირკველი,
პირი ქვევრივით ვიწრო აქვს, დასაქცევი არის ძნელი,
სულ ერთიან შიგ მოვრეკოთ, საცა იყოს ადამ ძენი“.
მაშინ დაფიქრდა უფალი: „მეც იქა ვარ მისასვლელი,
მივიდე და დავაქციო, აღარ იყოს საძირკველი“.
ათი კუთხე დაანგრია, მეთერთმეტეს მიჰყო ხელი.
წადგა ის პილწი ეშმაკი, სიტყვა მოახსენა ბევრი:
„თქვენ აღარათ ჩაგადგებენ თქვენი გაჩენილი ძენი!
ცოდო ძრიელ გამრავლებმა, შეიქნება ძმა ძმის მკვლელი“.
ქრისტემ დასწყევლოს ეშმაკი, — რა სიტყვა თქვა დასაჯერი! 231

ჯოჯოხეთში ვინ არის

სულ-ხორცის გაყრას მოგიყვე

სულ-ხორცის გაყრას მოგიყვე, სათქმელათ საზარელია,
დაგვეცვივა ხელის ფრჩხილები, ბაგეს გვეცვლება ფერია,
სადა გვეყამს მაშინ მოწყალე, გულზედ მოგვისეას ხელია!
ანგელოზები მოვიდნენ, მიქელი და გაბრიელი:
„ჩემო გლახავ და დათუნი, რათ გინდათ თქვენ ეს სოფელი?“

¹ დედანშია: ავით ყრალი.

სამოთხეს ახლოს გამყოფებთ, გეყოლებათ მეზობელი".
 დაიბარეს მეწისქვილე, — ხელთ ეჭირა სარეკელი:
 „დაიჩოქე, მეწისქვილევე, აღვიარე ცოდო შენი!“
 ამოსტირდა მეწისქვილე: „საქმე ვეჭენი საზარელი!
 ვაი დედიჩემის მზესა, ხრილს რო შემოუსვი სელი!
 თითო ჯამს მინდს ვიპარავდი, გამომყამდა სარჩო ჩემი“.
 დაიბარეს ი მჭედელი, ხელთ ეჭირა დიდი კვერი:
 „კაცმა რკინა მოგიტანა, წვერი რაზე წაუჭერი?“
 — „თითო ლურსმანს ვიპარამდი, გამომყავდა საკვეთელი“.
 დაიბარეს ფეიქარი, ხელთ ეჭირა სავარცხელი:
 „დაიჩოქე, ფეიქარო, აღვიარე ცოდო შენი!“
 დაიჩოქა ფეიქარმა, ჩამოჰყარა ცხარე ცრემლი:
 „ვაი დედიჩემის მზესა, შულოს წავაპარე ხელი!“
 გამოცვივდნენ ეშმაკები, სატანა და სამოელი,
 ერთს ეჭირა უინედილი და მეორეს რკინის კვერი,
 აქეთ-იქით მოუარეს, ორივემა სტაცეს ხელი,
 წაიყვანეს და ჩაადგეს, საცა დუღდა კუპრი ცხელი.
 დიდის ცოდოს ამღებელი: ჯერ მჭედელი, მემრე მღვდელი,
 მელვინე თავსა სწერია, დიდის ცოდოს მომქმედელი:
 ზოგი დაარჩო ღვინითა, ზოგს არ ჩაუსველა ყელი.
 ქეშმარიტათ ეშმაკს მოჰკლამს ცისკრის ლოცვის მომსმენელი,
 მაშ შუადღის ლოცვაზედა ლაპარაკი არის ძნელი,
 ვინც ამ ლოცვას ყურს არ უგდებს, ცეცხლზე უღევს ენის წვერი,
 ამხანაგის მოღალატეს პირში სჩრია გველი ჭრელი,
 ვინც რომ შორით ყურს დაუგდებს, რასა შერება მეზობელი,
 წავა და სოფელში იტყვის, — შეიქნება კაცის მკვლელი. 232



გრეთი-გრეთი, როგორ გრეთი, საგოგავი საფრანგეთი,
 ქონი ქონზე აღუღდება, მზე რო წალმა დაბრუნდება.
 დალოცვილი ქრისტე ღმერთი ოქროს ტახტზე დაბძანდება,
 ზედ უდგა ოქროს სასწორი, ცოდო-მადლი იწონება.
 მე და ივანე კავთელი სულის საკრეფლათ წავედით,
 არ მივდევედი, წამიყვანა. ბეწვის ხიდთან რომ მივედით,
 ეშმაკი ამომჭდარიყო. შავხედე და შამქრთა ფერი,

ჩემსა გულსა დავეკითხე, მუხლებს მივე დიდი ძალი.
შვიდსა ნახნავე-ნუხნავეშია ეკალ-უკალი ჰფენია;
კოდვიანი ამას ამბობს: „ვაპ რა ძნელ გასაველია!“
მადლიანი ამას ამბობს: „ვითომ ბუმბული ჰფენია!“
გადვიხედე სამოთხეში, — რა ტურტა ქალის ჯარია!
სამი ქალი გამოიქცნენ, თურმე იყვნენ ჩემი დანი,
თასით ღვინო მომაწოდეს, ანთებული კელაპტარი:
„ძმაო, აქ რამ მოგიყვანა, რისგან გედვა დიდი ძალი?“
— „დაო, იმან მომიყვანა, ღვთისგან მედვა დიდი ძალი!“
კუპრი დულს, ალი ამოდის, შიგ ეკიდება გენია,
დედ-მამის მეუღლიარეს შიგ უდევს ენის წვერია.
ცასა სარეკლები დაჰკრეს, საწყვეტი აიყარია,
სამას და სამი ბებერი სულ ერთათ შეიყარია,
მაშინ არის განჩინება, ვინც კვერცხი მოიპარია! 233



შვიდის დღის ნაყანობზედა ეკალ-უკალი ჰფენია,
კოდოს მქნელი ამას ამბობს: „ამაზე გავლა ძნელია!“
მადლის მქნელი ამას ამბობს: „ჩემთვის ბუმბული ჰფენია!“
კუპრი დულს, კუპრი გადმოდის, გარს ეკიდება გენია,
გუთნის დედა და ხაბაზი ორივე შუაში სტენია. 234

ღორღომელა მელია

ღორღომელა მელია, ჯოჯოხეთი რა ძნელია
სამი დღისა სავალზედა ზედ კალოს კარი ჰფენია,
შუაგულ კუპრი ამოდის, ზედ ახვევია გენია.
დედ-მამის უპატიურსა გაუხმეს ენის წვერია,
ნათლიის უპატიურსა ცეცხლში უდგია ფეხია,
აფხანაკის მოღალატეს დაკიდეს ჰრელი გველია! 235


უეჭველათ მოკლამს ეშმაკს

უეჭველათ მოკლამს ეშმაკს ცისკრის ლოცვის მასმენელი,
ლოცვას უნდა ყური გდება, ლაპარაკი არი ძნელი,
სახარების კითხვაზედა უნდა ვყაროთ ცხარე ცრემლი.

დედ-მამის მეუღლიარეთ ყელზედ ჩამოკიდეს გველი,
ბატონთან მობეზლარეთა გაუხვრიტეს ენის წვერი,
წაიღეს და გადააგდეს, საცა დუღდა კუპრი ცხელი.
რას უშველის დედა-მამა, თუ კი არი ცოდვის მქნელი! 236

კუპრი დულს

კუპრი დულს, ალი ამოდის, ქვეშ უკიდია გენია,
ამხანაგის მოღალატეს ყელზე ჰკიდია გველია;
ბატონთან მბეზლარესა პირში ამოქდის გენია,
ცოლქმრობის მოღალატესა კუპრში აქვ ენის წვერია.
გამოჰკითხეს ცოდინსა: „რა გაქ ხელით მონაცემი?“
წამოდგა და ვერა თქვა რა, წამოყარა მწარე ცრემლი,
იქ [მას] არას გამოადგა ის ოხერი ენა გრძელი. 237



ე თ ე რ ი

„აბესალომ და ეთერი ღმერთმა შეგვეყარა ერთფერი!“

— „შენ დიდი ხარ, დიდებული, დიდი დედ-მამით ქებული; ვარ ობოლი, ობლიშვილი, ობლობისგან დაჩაგრული, ვაჟ თუ ბოლოს შიდალატო, გამიშო წყალწალბებული!“

— „ეთერო, შენს ამ დალატსა ღვთის მეტი ვინ შეუდგება? ომში ხმალდახმალ შესულსა ვადაშიც გადაუტყდება და ცხენსა გამალბებულსა უზანგიც ჩამოუწყდება, წყალი უწყლოსა ალაგსა, წყარონიც ამოუშრება, შვიდი წლის სავალსა გზაზე საგძალი წამოუწყდება!“
აბესალომ ქორწილი ქნა, დაბძანდა ოქროს ტახტზედა, საყმო სულ დაიპატიეა, არ მოვა სათვალავზედა.

— „სად არის ჩემი მურმანი, რომ აქ არ გვიზის ტახტზედა?“
გადიპატიეეს, დაისვენს ოქროს ხალიჩის პირზედა.

მურმანმა ქალსა შეხედა, ჟრჟოლა მოუვა ტანზედა:

„ვინ არის კაცი ასეთი, ეს შეაძულოს წამზედა!“

წამოდგა პილწი ეშმაკი იმავე ქართულის თქმაზედა:

„მურმანო, სული მე მამე, მე შევაძულებ წამზედა.“

აილო სული მას მისცა იმავე ქართულის თქმაზედა.

ეთერს ფეტვი შეაყარა, ბირნა შეზღინდა ტანზედა,
ხამსა და ხამსა უცვლიან, ბირნა ავიდა თავზედა.

ორშაბათ დილა გათენდა, აბესალომ დგას კარზედა,
გამოიყვანა ეთერი, დაისო მუხლის თავზედა:

„შაფათ შეყრაღნი მიჯნურნი ორშაბათ გაეყარენით,
ვისაც რომ შეყრა გეწყინათ, გაეყრილვართ, — გაიხარენით.
ვის გინდათ ქალი ეთერი თეთრ ქორივით მწყაზარია?“

მურმანმა ჩოქით სალამი: „ბატონო, ქალი მე მამე,
ჩემზე ერთგული ყმა შენა ხომ არა გყავს მთელ თემშია“.
აილო ქალი მას მისცა იმავ ქართულის თქმაზეა.

წაიყვანა და იქ დასვა, სად ბროლის ციხე ცამდია.

ორი კვირა გამოვიდა, აბესალომ გაბძანდებდა:

— „რას ამივლი, რას ჩამივლი მაგ თუხარეკის ცხენითა!
შენ თუ ჩემ ფიცს გადაურჩი, ქორწილი ქენი რთველითა.
შე აბესალომ ბატონო, რა წუნი ნახე ჩემშია,
რად გამიწბილე მაყრები უცხოს თემ-ქვეყანაშია,
ზეცით მოსული გვირგვინი გარიე ჩალა-მტვერშია!“

— „მურმან, მურმან, შენსა მზესა, შენი ცოლი რა რიგია!“

— „რას კითხულობ, ცათა სწორო, ცოლის ქება აუგია!
შენც გინახამ ბროლის ციხე, როგორც ცამდინ მაღალია,
შიგა ზის ქალი ეთერი, ყელი მოუღერებია,
ყელი გრძელი, წელი წვრილი, თქმოს თავი დაბალია,
შუბლი პტყელი, პირი ბადრი, საფერთქელი მწყაზარია.
ყაქსა ართამს, აბრაშუმსა, იგი ხელით აუგია.

ცხრანი მულნი წინ უსხედან, მისი პირის ფარეშია.
დედამთილი უკან უზის, ოქროს დალალის მწნელია.
ცხრანი მაზლნი კარს ადგანან, დალესილი აღმასია,
მამამთილი ერდოს ადგა, გველეშაპის მყლაპავია,
მაზლის წული ნადირობს და ნადირების მამტანია“.

— „მურმან, წადი სანადიროთ, შეელი მოკალ, ჯეირანი!“
მურმანი გულში შეფიქრდა: „ჩემთან ფარსაგნი არ არის
ამალამდელი ღამეო, ნუ გათენდები მაღეო!

მახვიე ბროლისა მკერდსა, ველარ ვიშენი ხვალეო!
დილაზე ქვევით მგზავნიან, ჭალასა ილინგთისასა,
ორ კიბესა ჩავლა უნდა საშიშარსა ლეკისასა,
კოჯორის მთას მოვლა უნდა მოსარბენსა ორბისასა,

იქ რომ ქვას გამოისვრიან მონაგერსა ლომისასა,
 მომარტყმენ, თავს გამოიტეხენ, თავს ამ სპილოსა ძელისასა.
 ნურც შეიხვევ ავსა კაცსა, ნურცა ავი გვარისასა,
 ნურცარა შეხვალ დისასა, ნურცარა მეზობლისასა!“
 — „არც შევიხვევ ავსა კაცსა, არცა ავის გვარისასა,
 არცარა შევალ დისასა, არცარა მეზობლისასა,
 თუ შევალ მეზობლისასა, — როგორც და იყვეს ძმისასა;
 ღვაგდებ ჩარდახობასა, ჩამოვალ ღარბაზობასა,
 გავიხდი ატლასობასა და ჩავიცომ ბამბობასა,
 ხელსა მაშრაფას დავიჭერ, ზურგთ ავიკიდებ კოკასა“.
 — „შენ თუ მაგ საქმეს დაიჭერ, ავიღებ ბარსა, ნიჩაბსა,
 გადგიხვეტ ქვასა, ქვიშასა,
 ზედ მარმარილოს მოგიყრი, ფეხი არა ჰკრა ქვიშასა,
 კარზე დაგიდგამ ალვის ხეს, საჩრდილობელსა მზისასა,
 ზედ ოქროს შუშას დავკიდამ სასმელად ვარდის წყლისასა!“
 — „ადექი, შუქურ მასკვლაო, ეთერსა კარსა უარე,
 თუ გკითხოს ჩემი ამბავი, უარ და უარ, უამბე:
 რათ არ ნახამ შენ დარბაზსა, თერმუხანის აგებულსა,
 ქაშხა-ატლასს რათ არ ნახამ, ინდუეთით მოტანულსა?
 აბესალომ რათ არ ნახამ, შენგნით დამწვარ-დადაგულსა?“
 — „არა ვნახამ ჩემსა დარბაზს, თერმუხანის აგებულსა,
 არცა ქაშხა-ატლასს ვნახამ, ინდუეთით მოტანულსა,
 არცა აბესალომ ვნახამ, ეშმაკების წაღებულსა!
 მარებ ქალო, გავეცალე, ნუ შემფიხველი ენითაო,
 თავს აიხადა გვირგვინი, ყმას დახურა ხელითაო“.
 — „დაო, ხუნძალო, ხუნძალო, ეთერსა კარი უარე!“
 — „ფეხშველა გამომივლია მარტი, აპრილი, მაისი,
 ეთერო, შენის ნახვითა რომ გამოიცოცხლდეს ძმა ისი!“
 ეთერი ერდოს შემოდგა, ფიცარი შესძრა, ყავარი:
 — „ეთერი ტყვილათ გარჯილა, — ვარ საიჩიოს მავალი,
 უფალსა უბძანებია გზა წვრილი, მარტო სავალი,
 გარშემო ბევრი მისხედან ეპისკოპოზი მრავალი.
 ეთერსა ცხენი უბოძეთ, გავა სქელი და მალალი,
 მას უკან კვიცი მისდევდეს, ტანად დაბალი, სალარი“.
 — „ეთერსა ცხენი რათ უნდა, არსად არ არის მავალი,
 აბესალომ და ეთერი ღმერთმა შეგვყარა ერთფერი;

ერთგანა დავიხოცებით, ერთგანა დაგვმარხიანო,
გზის თავში დაგვადირებენ, გზის ძირში დაგვმარხიანო,
მიწასაც მოგვადირებენ, ფოთოლთამც მოგვაყრიანო,
ფეხზედაც ია ამოვა, დილის ნიავენი შლიანო,
ფეხთითა წყარო გამოვა, შიგ ოქროს თასი დვიანო,
ყველა მუშა და მამვრალი სულ ჩვენა დაგვნატრიანო,
გამვლელი და გამომვლელი შენდობას გვეტყოდინანო.
შენ ჩემო მოყვრის დანაო, უბეს მიდევხარ განაო,
ამოგიღებ და დავიციემ მარჯვენა ძუძუსთანაო*!“ 238



ჩვენს უკან დიდი ველია, ია დგას, ვარდი ხფენია,
კოშკი დგას მარმარილოსი, წვერი ცას მიუბჯენია,
შიგა ზის ქალი ლამაზი, თავის თმისაგან ბნელია,
მას სავარცხელი რათ უნდა, დარალა ოქროს ფერია. 239

მ დ ი დ ა რ ი

იყო მონასტერთ ხემწიფე, მეტად დიდი კმელეთზედა,
სასახლე და სადარბაზე ედგა ოქროს ბოძებზედა;
ასი ზარი, ზარ-კემუხტი იდგა ტანტად, იჯდა ზედა.
ხაბაზი კარებს ჰკეტავდა შიშით პურის ცხობაზედა,
მზარეული კორცს ვერ ნახამს, კორცსა მარილ ხარშეაზედა.
მელვინე ღვინოს ასომდეს, უზიარებო კვდებოდა.
ქრისტემ კაცი გაუგზავნა: „დღეს მობძანდი ლოცვაზედა“.
— „ლოცვისთვის სადა მცალიან, ვდგევარ ბეჭით საქმეზედა,
ასი-ორასი მუშა მყავს, იმათ ვადგავარ თავზედა!“
გლახას მისცა ცალი ფული, ის გაგზავნა ლოცვაზედა.
გლახაც ამას ეხვეწება:
„მდიდარი კი აღღევრძელე, მე დამიხსენ ცოდვისგანა“.
მდიდარმა სული დალია იმ კვირას შუა ხანზედა.
ჩოქსა ზის ბერი ნეზირი, ჩოქსა ზის ნარიყალზედა,
ცხრაგან უთხრიან საფლავსა, წერაქვს ამტვრევენ ქვაზედა.

მდიდარს ყელზედ ჯაჭვი მოსდეს, გადმოუშვებს ციხეზედა,
გაწყდა ცოდვით რკინის ჯაჭვი, დაეცემა შარაზედა.
აყროლდა ქორცი მდებარე, შედიოდა მატლი ზედა,
ვერც ყვავი და ვერც ყორანი, ვერც ჭინჭველა გადის ზედა.
ხაბაზებსა ვინა ნახამს შეშით პურის ცხობაზედა!
მზარეულსაც ვინა ნახავს მარილ-ქორცის ხარშვაზედა! 240

ქ ვ რ ი ვ ი

შენ მაღალო ხემწიფეო, გულქველო და პილატეო,
ქვრივისა და ობლებისა მოწყალეო, გამამსხნელო!
მეც ქვრივი ვარ, შემიბრალე, არსითა მაქ მოგვარება,
ღლესასწაული მოგვიდის და მეც მინდა გახარება.
ს. აღდგომით ტყე იმოსვის, მე კი ვერ ვიცვამ კაბასა,
ვიყიდო, — ფასი არა მაქ, სიდან ვიშონი ფარასა! 241

ღ ა რ ი ბ ი

ღვთისგან ნაკურთხი გვირგვინი სიყრმით გადგია თავზედა,
მოწყალებით შემომხედე, ჯვარი დაგწერე თვალზედა!
ქადაგება კი ნაცოდნა გადამეტებულ გვარზედა.
წენ რომ კაბაი მიქადე, ღლე გამოვიდა ოცია,
შენი მტერი და ორგული ღმერთს ყველა დაუხოცია.
ვარ დაღონების მწუხარე, ძვალზე მადნება ხორცია. 242

ო ბ ო ლ ი

პატარა ვიყავ, ობოლი, მიბრიყვეს და მცემდნენ თავში,
გუნებასა დავეკითხე: ადე, ბიჭო, წადი მთაში
პირველად მოველ ოსებში, იმათ მომიწონეს თვალში:
„ეს კაი ბიჭი ყოფილა, მოდი ეს გავგზავნოთ ცხვარში,
წინაც ქიზგა გაუდევნოთ, ისიც მიუდგება მხარში..“
ორღობეში გამოველი, იქა დგას პანტის ძირია,

მივწექ და მიმძინებო, ტკბილათ მამსვლოდა ძილია;
ორთავ თავ წამამდგომიყუნენ ქეჩო და გივიშვილია,
ამყარეს გულა-ნაბადი, წამართვეს ჩემი სტეირია*. 243

სიკვდილი და ობოლი*

სიკვდილმა ჩამაიარა, ობოლი დახვდა წინაო:
„მე წამიყვანე, სიკვდილო, არავინა მყავს შინაო!“
— „მე შენ როგორ წაგიყვანო, ქემხიანთაას მივალო,
ცხრა ძმანი გამდიდრებულან, იმათი გაყრა მინდაო,
მინდა ისინი გაყვარო, თავთავათ მივცე ბინაო!“ 244

ბ ე რ ი

ქირწინის ერთი ბერი იყო, სათემოში ჩამოვიდა,
გორყლებო, — გაუფრთხილდით, ახლა თქვენცენ წამოვიდა!
245

• •

თრიალეთო, თრიალეთო, მანდ რომ ბერი ტრიალებსო,
თუ; ის ბერი არ დაჰკოდეთ, ქალებს გაგიტიალებთო! 246

მ ღ ვ დ ე ლ ზ ე

მღვდელი

ერთი მღვდელი და მისი დიაკვანი ოსებში ხშირად ბატყნებს იპარავდნენ. ერთხელ მღვდელმა შესვა დიაკვანი თავის ცხენზე და გაგზავნა ბატყნის მოსაპარავად. თსებმა დიაკვანი დაიჭირეს, ცხენი წაართვეს და გამოადგეს. დიაკვანი რომ დაბრუნდა, მღვდელი წირვად იღგა. მღვდელმა დიაკვანი დაინახა, ველარ მოთმინა დაგლობით გადასძახა:

დიაკვანო, დიაკვანო

ბაკაკაი რა უყავი?

დიაკვანმა გლობითვე უპასუხა:

მღვდელო, მღვდელო,

შენსა მალსა,
ჰეიჰი ჰიჰიცი იქ დამრჩაო! 247

მღვდელი, დარეკე ზარები

მღვდელი, დარეკე ზარები, შაგირდათ მოგებარები,
ანაბანაიცი მასწავლე, ლოცვაზე მოგეხმარები! 248

მარხვის ჭამას გვიჯავრდება

მარხვის ჭამას გვიჯავრდება ბესარიონ ჩვენი მღვდელი,
კიდევ სადმე დაითვრება, კიდევ გადმოაჯდება ცხენი;
კიდევ შაჰხვდება ჭალასა სამი შამშეული მგელი,
გასწევენ და გამოსწევენ, სულ დაჰგლეჯენ თმა და წვერსა.
249

მე ვარ მღვდელი ეგნატეო

მე ვარ მღვდელი ეგნატეო, უმალ ვიყავ მებატეო,
ერთი კაცი კი გავლაზე, გავბერტყე და მივაგდეო;
ვგონებ პირველს დაუბრუნდე, მღვდლობასაც კი მივატყეო.
250

თინიკია

თინიკია, ალე-მალე, ცალკე მზე და ცალკე თვარე,
შენი გული მოწამეა, აშხელა რომ მოგიყვანე.
ისტე ჩემ კლავზე გაგზარდე, ძინიცი აღარ წაგამწარე,
უშობლის ხორცი გაჭაპე, მოზერის აღარ წაგამწარე,
შავ დედლის ხორცი გაჭაპე, მამლის აღარ მოგაკარე,
ბრეწაულის ღვინო გასვი, წყალიც აღარ მოგაკარე,
ფარჩა-ფურჩა შეგიკერე, ხამიცი აღარ მოგაკარე,
კახეთს ფოსთალი გიყიდე, მიწას აღარ დაგაკარე;
იმ დაქცეულს შაფათ ღამეს ფეხშიშველი გამეპარე,
თავი რათ გაიპარტვანე; თვალზედ ხელი მოიფარე,
ქმარი აღარ მოიკარე, მიწაც მალე მოიყარე! 251

სიცოცხლეში მოსახლობა გადასახადი ვალია.
 დედი-ალას ქალი ხაყდა, ქერივი გასათხოვარია,
 მოურავი გავუგზავნე, — კილამ დეიკლა თავია.
 სეიფიშა შეუთვალა: „იმას არ უთხრა ვარია,
 ჭური, მამული ბევრი აქ, მინდორი, მთა და ბარია“.
 ხასან-ბეგს ბევრი ეხვეწეს. ხანუმს უზიდეს ძღვენია:
 „აი საქმე მალე მოვრთოთ, ვინცხას კი მოკლავს მემია“.
 რამაზანი რომ დგებოდა, — ყველას მოგესწრა ბრეკლია, —
 არაფა¹ ღამე დაღამდა, შეეყავ ჯამეში თოფია.
 გავარდა. სეიფ იყვირა: „ვაიჰე, შეილო, გენჯია!
 სასიკვდილოთ არ მინდოდი, ხანუმს მოუკვდა ნესლია“².
 დედი-ალა ქალთან ტირის: „დამქერივდა ჩვენი ფადია!“
 რა გინდა, რას არ წაუვება, რომ წეიყვანდეს მემია!
 ამ ქვეყანას ვერ გაათხოვს, თუ დარჩა ჩემი ნესლია. 252

ცოლ-ქმარი

ცოლი:

— „ადექ. ყმაწვილო, ლომისა მსგავსო.
 გათენებულა, ცისკარსა გავსო,
 შენი ტოლები ლოგინსა სძრამსო,
 ყელს გამოვიჭრი, ცოდვით აგამსო!“

დედამთილი:

— „დაეხსენ, ქალო, მთვარისა მსგავსო,
 მოლალულია, ნამგზაერსა გავსო“.
 — „როგორ დავეხსნა, ჩემო ბატონო,
 სამჯერა ვნახე, მომკედარსა გავსო!“ 253



ადე, ქალო, ზეზედა, რა დროს შენი ძილია!
 შენი ძილი, ჩემი ძილი მიხაკ-დარიჩინია! 254

¹ რამაზანის (საერთოდ დღესასწაულის) წინაღდე.

² ჯილაგი, თესლი.

ორი სახვარელი მუჰანდა

ორი საყვარელი მუჰანდა ერთმანეთზე უმჯობესი,
ერთი მოდის, მალ-მალ მეტყვის: „მე ვჯობივარ, თუ რომ ისი?“
— „შენ გაქო და ის ვაძაგო, მე ხო გამიწყრება ისი!
შე პირმზეო, გენაცვალე, შენ მთვარე ხარ და მზე ისი!“ 255

ბ ე წ ი ნ ა

კარგა ქალა გაუზღია მამასახლისს ბეწინასა,
დილა კარზე გამოვიდა, გამოიჭერს თეთრ პირასა,
დაკვრთულია მწყერსავითა, ეძრახება მზეს პირასა,
მაგსათანამც შამაგდებდეს ტუსაღადა ერთ კვირასა!
რა რიგ ღუმას აუწევდი, ხევსური რომ ჭედილასა!
კაწალხევს ვერ ვიარები, ბეწინა მემუქარება.
რად იცი, მამასახლისო ბეწინავ, შორით პარება,
თოფში რომ შასხამ ტყვიათა, წამალიმც გაგეპარება.
თოფით რომ მემუქარები, — ვიცია მერე ხმარება?
სადაც დამადებ ნიშანსა, შენ ქალიმც დამეფარება! 256

სახვარელი დამეკარგა

საყვარელი დამეკარგა, მას აქეთა დღე ოცია,
მე საწყალი სულ ქე ვტირი, თვალი არ მომიხოცია.
ენა ჭიკჭიკ მერცხალს უგავს, ინდოეთიდან მოსულსა,
ვინც ნახავს და არ მომიყვანს, ღმერთი ამოახთენს სულსა. 257

მილიციის კენჭი მერგო

მილიციის კენჭი მერგო, გული დამიდარდიანა,
ერთი საყვარელი მუჰანდა, დაჰკრა ფეხი, გამივარდა.
ხმელეთი შემოვიარე, ქართლის ხევი, იმერეთი,
ქალები ბევრი ვნახევი იმ ჩემი საყვარლის მეტი. 258

მელიციის ჯარში

გავბრწყვდი და დაეწერე პირველ მელიციის ჯარსა.
მე ვთქვი: კახეთს წამიყვანენ, შევისწავლი მთა და ბარსა.
ქალაქში რომ მიმიყვანეს, მეძახიან ნაპრავასა,
ნაპლეჩო და ნაპრაული არ სცოდნია ჩვენს პაპასა.
შევხედე ნაჩალიკებსა, ჩუმათ ამზადებენ ბარგსა:
„უნდა წახვიდეთ პახოდსა, ნუ შეატყობინებთ ხალხსა!“
ამას ხო გიჟიც გაიგებს, ვინც შეჰხედავს ამ ჩვენს ბარგსა:
გულა-ნაბად დაწაწკულსა და წრიაპა პატრონებსა!
ოცდასამს აპრილს ჩავედით საომარსა ქობულეთსა,
იქ დაგვიტრეს ურედნიკი, მოარტყეს მარცხენა მხარსა.
ზოგი მოკვდა, ზოგი დარჩა, ეაი დედიჩემი ღმერთსა!
კამანდერმა მოგვილოცა: „ყოჩაღ, დრუჟინ, მალადეცა!
თქვენ რომ სულ თანა მყოლოდით, წავართმევდით ლაჭამეთსა,
დადგებოდა ჩვენი ჯარი, დააწყობდნენ ზარბაზნებსა“.
ეს შაირი სად გამოვთქვი? ლერწამის წყაროსთანაო,
ამ შაირის გამომთქმელი კოჭლი ბიჭია განაო. 259

პაჩოტნიკები

პირველ ჩინებს მოგილოცავთ პაჩოტნების ყარაულებს,
ქართლისა და იმერეთის თავადსა და აზნაურებს;
ოდიდგან გამოუსვლელად ქუთაისშიდ ნამსახურებს,
ჯილდო სწორედ გეკადრებათ, კარგად ჰამდით ჰადს და პურებს.
ერთობ მიკვირს, მეუფროსემ როგორ მისცა წარდგინება,
ან რა მიზეზზე ინება თქვენი ჩინზე დადგინება!
ეგონებ, იმით რა იქნება, რომ ქმნას კაცმა განჩინება,
ქუთაისის სადილ-ვახშამი, ნაეახშობევს დაძინება.
ვხუმრობ, თვარა დასტურ ვიტყვი, ჟამად იყავთ არა ცოტა,
რა მხნეობა გიწერიათ, მიჩვენეთ თქვენი გრამოტა, —
უშიშრად იარებოდით, სადაც იდგა ცხრაი როტა,
მადლობა ღმერთს, იმ თქვენ ჩხუბში კაცი გაძლომით არ
მოკვდა 260

იმერეთი მოგვანატრეს, დაგვალოცვიეს გურია,
 ცხელბამ ტყლიპი დაგვიდო, ციებით წახდა გულია,
 მინემდის ავიყრებოდეთ, აგერ წაგვივა სულია,
 ყველა გავწყდებით, იცოდეთ, თუ ჩვენი წასვლა ტყულია.

ვერც ვამსგავსე წმინდა აფხაზს, ვგონებ არც არის ურია,
 თავზე ხრიკი სჭირს ერთობით, ტანზედ ახჩობენ მუნია,
 მათ ნახელავზე წმინდა კაცს არ მიესვლება გულია.
 განათლებად მიაჩნიათ, თუ მოგართვეს ქადი ღომად,
 დარიჩინის მაგიერად პიმპილს ურთვენ ერთი ორად.
 თავადი და აზნაური, დამერწმუნე, არ ღირს ღორად,
 ჩვენებური მოჯალაბე მცხოვრები ჯობს ერთი ორად.
 ჩვენებური არ ესმიან, გიშეიღეს თავში ტვინი,
 შეგიპირებს, — მოგატყუებს, არ ქონიათ იმათ პირი,
 ქრისტიანი რამ წამწყმიდეს, მარადის დღე იმას ვტირი,
 მარად ხელი უბეში აქვთ, მუჭით მოყავთ ყველას ტილი.
 რა გურიას გამოვშორდი, არ მინახავს ეკლესია,
 ხუცის დარღილი რას ქვია, — მისი მადლი შეგვეწია.
 ბრევლად ჯობდა აქ წამოსვლან ციმბირისკენ გაგვეწია.
 ლობიოს ვერ გიახლებით, წყალი მწყენს, ტყლიპსა ახარებს,
 მუდამ ქათამი — არა მაქვს, თხის ყველი გულზე მაქარებს,
 უღვინოდ ღომისა მჭამელს, იფიქრე. რა გამახარებს,
 ასე გავსივდი მუცელზე, კამბეჩიც ვერ გამაქანებს.
 დიდის ხნიდან ჩემს თავს ვატყობ, მაქვს სიკვდილი ერთობ
ახლო,
 ოჯახს კაცი არ მანახვებს, სახლეულობა რომ ვნახო.
 ამას ყველას გეხვეწები: სლაპოტკაში არ დამმარხო,
 ნაკურთხი მიწა თუ კი მხედეს, მერე კაცმა აღარ მნახოს! 261

¹ „სადნიკის“, ცხენოსანი მილიციელის, რომელიც აფხაზეთში ყოფილა ბო-
 ნაქად.

² სტრიქონი აკლია.

ლაშარს მოვიდა თილისძე¹, გულდიდად დაჯდა კარიო,
შამაეხევიენენ ფშავლები, როგორც ბატონსა ყმანიო:
„შენ აქ არ მოგესვლებოდა, დიდი ჰქენ ცოდვა-ბრალო,
დასწვი, დასდაგე ხოშარა, ცამდის გაუშვი ალიო,
იქიურ დიაც ყმაწვილი კალოთ გააღეწე მკვდარიო,
ნაკვეთაურის ციხესა შამაქსენ რკინის კარიო“.

— „თქვენ დამაცალეთ, ფშავლებო, მალოცეთ ხატის კარიო,
სამხვეწლოთ მამიყვანია თეთრი ორბაი კარიო;
ეგ მაშინ გავარიგოდეთ, როცა გამოვლენ მთანო²,
უბისთავს³ დანათდებიან თილიძის ცხენის ნაღნიო,
ან ვისი სქეხდეს ბოძალნი, ან ვისი სკრიდეს კმალნიო,
ბატონ ერეკლე მობძანდეს, ვასად დარჩება მკვდარიო“.²⁶²

წიქა ნაცვლად დააყენეს

წიქა ნაცვლად დააყენეს, გაუხარდა ქვეყანასა,
პურადი კაცი ყოფილა, პატივსა სცემს სუყველსა,
უფრო მალ-მალ პატივსა სცემს სვიმონას და ბასილასა.
კალოზედ ჩაიბრაცუნებს იმ ქალიანთ ზაქარასა,
არც მაგას დაიცილებდა ჭოლიკაურს თათარასა.
სპილენძის ქვაბი არ უძლებს, თუჯს უპირებს მოტანასა.
გაზაფხული რომ მოვიდა, ყვავილ ასხამს ასკილასა,
თესლი ველარ გაიტანა, ვერც შაადგა საფარავსა.
„ახლა მაინც მომასესხე!“ — მოუვიდა წიწალასა.
წიწალა ეუბნებოდა: „ველარ ვაძლეე ქვეყანასა!“
ამაგის მოშაირეი სიონთ-გორზედა⁴ ზისაო,
მალი-მალ თოფსა გაღმართავს, ხალიზ მოუვლის ტყისაო,
ირმებს კი არ ემტერება, ჯაფრი აქვს დათვებისაო.
წიქასთან დაუბარებავე: ხორცი წაილე მშველისაო,
მე უმარილო მელევა, შენ ყორე გიდგა ქვისაო.²⁶³

¹ მტერი ყოფილა ხოშარას სოფლის.

² თოვლი გადნება და მწვანე ამოვა.

³ მთა.

⁴ ზევსურთა სოფელი ერწოს ხეობაში.

ღერენაი ღალათაო

ღერენაი ღალათაო, ტანს მაცვია ხალათაო,
სახლ მიდგას კიდურისთაო, წინ გამომიდის არაგვი,
კახეთის კუთხე მიჰქერა, ხელად ავიღე ქალაქი;
ცხენი მყავ ყიზილბაშური, მხედრად არა მჯობს თავადი,
ავიღე ცხენის იმედი, ვამბობ, — პახოლჩი გავარდი,
ვიცი, ჭვარ-შენდალ ჩამისხმენ, თუ რუხის ხელში ჩავარდი,
მაგრამ იტყვიან ქალები, — ცხენ-მხედართ ორთავ.... 264

გადიდდა ცხვირათ ბერიძე

გადიდდა ცხვირათ ბერიძე, ტანზედ ჩაეცო თექები¹,
სათრიელეთოთ გამართა, წინ გაიყარა ქეჩები.
თრიალეთ წასვლისათვინა ყოვილიც² გიკოსს ბატკანსა,
შე რომ ბედებზე³ გახვიდე, კიდსანს⁴ ჩაგიგდებს წალკასა.
შენმა მზემ, ველარ აშვიტე⁵ მაგ შენ ნაზიდევ ფარჩასა.
ამამაგდებენ დილითა, გამამაგდებენ სამკალსა,
ბევრი რო ვისმე ვეხვეწო, არ გამილესვენ ნამგალსა;
ჯალაბს რომ მაგას ვეტყვი კე⁶, მაგას ვაშავებ, — სხოს
რასა? 265

ჩივიან ძვიშკეველები

ჩივიან ქვიშკეველები, — ფური გყავ შემოჩვეული,
აღარ გაუშვა ყანები გაზაფხულისა სთვლეული.
ბოკორმას კაცი გაგზავნეს, ბატატი ყვავის წეული,
ქვიშკევს ერთს მუხლათ მოვიდა ბოკორმით გამოქცეული,
დეკეულ ამოუჩინდება ძადაში ამოთრეული.
ბატატიმ წამოუქადალა, ესროლა წამოწეული,
ე მაგას დაკრავს, ფურბერწო, ბატატის გამოსრეული. 266

¹ ტყავი.

² პირუტყვის სენი.

³ ბედზე.

⁴ ხიდებს.

⁵ საბარგულს ველარ შოულობო.

⁶ კი.

მე რომ თქვენსა ვიყავი

მე რომ თქვენსა ვიყავი, ოტკა მასვეს ბევრია,
თქვენიდგან რომ წამოველ, გზას მეძინა ბევრია,
ძილში სიზმარი ვნახე, — მან მიცვალა ფერია.
ავდეგ და შინ წამოველ, დამხვდა დედაჩემია:
„შვილო, რა დაგმართვია, გაძევს სიყვითლის ფერია“.
— „დედავ, შინ შემეყვანე, სათქმელი მაქვს ბევრია,
დედავ, მე ხო მოვკვდები, სავლელი მაქვს ბევრია.
დედავ, დამიპატიე გლეხი, კნიაზი, ღვდელია,
პურ-მარილი მიქამე, ღვინო ლალის ფერია.
ეხლა კი მიმადწინეთ, მომწყდა ეხლა წელია!“ 267

სტუმარ-მასპინძელი

აი, შე ოსიტაშვილო

„აი, შე ოსიტაშვილო, ზიხარ ნაოზის ქალასა!
სამოცი კაცით მოგივალ, მე ვნახამ შენსა მარანსა!“
— „სამოცი კაცი რა გახდა, თუ კი არ მორეკ სამასსა?
აგრე გაუხდი საქმესა, ხელით ეძებდე ალაგსა,
ლოგინებს ველარ ჰპოვებდე, ეზიდებოდე ჩალასა!“ 268

გალმადამ გამოვესახლე

გალმადამ გამოვესახლე, მე ვარ კიკნაძე ბერია,
სამოც უღელა ხარი მყავს, სულ ეყანა და ჭრელია,
სამოც უღელა მოზვერი, სულ კალოს მოსასვლელია,
სამოცი ფურ-კამბეჩი მყავს, სულ კასრში დასაწველია.
სამოცი შინათ რძალი მყავს, სულ აკვან დასარწვეია,
სამი ათასი ცხვარი მყავს, თან მიაქ მთა და ველია,
მას მიზღვეს ხუთი ნაგაზი, ვერსად წაუვა მგელია,
სამი წისქვილი მიბრუნამს, სამოცი სოფლის მტყველია,
წყალში ფაცერა გამიბავს, თევზი დაჭერას ველია,
სახლში მყავს გულის სტუმარი, მქად[ო] ვარ მასპინძელია. 269

შოშხას რო დედაბერია

შოშხას რო დედაბერია, აი ის მართლა მგელია,
მე რო სახლში შემიყვანა, მაშინ ჩააგდო კვერია.
გამოცხობას ვერ ვუცადე, წაუწყდეს მამის სულია;
მე რო კარში გამოვედი, ნუგუზ დაავლო ხელია,
პირალმა ამარბენია, თავდაღმა ჩამარბენია,
მაშინდელ შეშინებულსა ახლაც არა მაქვს ფერია;
საცლა ვიშოვნე ნაგერა, სულ მთელი დამაბნევია. 270

ღ ი ა ც ი

ღიაცი შადის და გადის, ცამ ნისლი აიყარაო,
სტუმარი არსად არ მიდის, მქადს სული გაეპარაო! 271

შაშვმა დეიწყო გალობა

შაშვმა დეიწყო გალობა,
ვინც რომ კვერი არ მიწყვიტოს, დეიწვა მისი ქალობა! 272

ავი სამართალ დაბვიღბა

ავი სამართალ დაგვიდგა თუშსა და ფშაველ-ხევსურსა,
სხოს რად არ გაგვიმწესებენ ყალამბეს გარდა მსახურსა,
აღარ გუოწვენენ წაწლებთან კიკიმო გამოშვებულსა,
ვინც რომ დაწვება, ართმევენ ოცდახუთ მანეთ თეთრ ფულ
რას გვიშლი, ბლადროჩინებო. ქალებთან წოლაჰ და ძილსა,
განა მაგასა ჰკიდებენ ქალებ თავის საბარგულსა?
შემამეყრება წაწალი, ჩაქვითინებს, დამწვავს გულსა! 273

ჩახერისძე ლორსამია

ხევსურნ, წავიდა თქვენი დრო, ახლად შეგეხსნათ ხმალია,
დაგიჯდათ მოსამართლეი, ორწყალთ მოგტაცათ კარია,
მანდ დაიბარა ქალები, ვინც დაიწუნა ქმარია;

ხელცალე ნუეინ მიუა, ქალეპ შიართოხ ქრთაშია,
სამართალს ჩაქად გაუჭრის ჩახერისძე ლორსამია. 274

• •

წინავ გითხარ, ჩახერისძევე, ხევსურებს აწ ერიდო!
არდოტით გამოგაქციეს, არდოტს ჭალა გრძელი ძეო,
მოგეწივნეს და მოგადვეს, ჭალაში რაც ძელი ძეო.
მთაზედ შემოხვედ, თავს დასწყევ: „ქვემც დაილევის ჩემი ძეო,
რაც რომ მედვა, სულ გამცვივდა, ჩემ მუცელში რალა ძეო“
ეხვეწება ნათლულებსა: „არიქ გამიღულეთ რძეო“. 275

ფუხარას მოკვლა

დაგვას¹ ფუხარა² რომ მოკლეს, თლათ ქვეყანა გარეზილდა³,
ვორი ძმაი შიშმანოლლი ღმერთმა ადრე გამოსწყვიდა, —
რას ერჩოდა იმ ფუხარას, რომ არ ეცვა ფეხზე წინდა!
ხელით ველარ მიერია, ამეილო ყაპა⁴, სწყვიდა,
ჯიბეში ფარა წაართვა; რომ გიეშვა, რა უქირდა?!
ფუხარა ევლია⁵ არის, ბელქი⁶ იყო სულიწმინდა!
რაც კაცმა რომ იგი მოკლა, ჯეხენნებში⁷ იწვის მიზდა.
ვორი ძმაი შიშმანოლლი ღევენახვილი⁸ — ყოლგან მძულდა,
გარედან კაცი მეგონა, თურმე იყო შიგნით ხურდა.
იმის ქნას — ლორი ეჭაპა და შიესვა ღვინით გუდა!
ოქრო და ვერცხლი ეგონა, არ დაურჩა ვორი გროში!
იმას ძალლი არ დაყეფდა, მარებოდა ვითა ქოჩი⁹,
ყამის წვერით რომ დაჩეხა, ხომ არ იყო ლორის გოჭი!
დაგვასა რომ კაცი მოკლეს, არ ვიცი მისი გვარია,
ვინცხა კამ ბიჭი მეგონა, თურმე ყოფილა მთხვარია!¹⁰
სიშინდებსაც თხონილობდა, ზრუგში¹¹ ეკიდა ჯვალა¹²,

¹ სოფელი.

² ღარიბი.

³ თავსლათი დაესხა.

⁴ ხანჯალი.

⁵ მადლიანი.

⁶ იქნება.

⁷ ჯოჯოხეთში.

⁸ დაეინახვილი.

⁹ ბატკანი.

¹⁰ მათხოვარი.

¹¹ ზურგში,

¹² ტომარა.

ენას ვერა მიგახტენდა! საწყალობელი ლალია?²
 ერთი ბიჭი შიეყარა, ჭი დაემსხვრია³ გზაშია,
 მას ჭკვიანი არა იქდა, ბელჭი იყო და მთვრალია.
 გამჩენს რაფერი კაცი ხავს⁴, რაფერ დაპილწა გვარია!
 ასწიეთ და გაავზანეთ, თუ კაი სამართალია!
 დაგველებსა რომ უქნიათ, ტყულად მოუკლან დილენჯი⁵;
 თეთრი ფარა⁶ ხომ არ ქონდა, ჭიბეში ქონდა სპილენძი,
 რაც კაცმა იგი მოკალი, კაცათ ყოფილხარ ერინჯი⁷,
 მთხვარი რაფერ მოიკლება, საწყალობელი, გეზგინჯი!⁸
 საცოდვათ იარებოდა, ზრუგში ეკიდა ზემბილი⁹,
 სათხვარათ არ წვევიდოდა, რომ ყოფილიყო ზენგილი¹⁰.
 მთხვარი რაფერ მოიკლება, საწყალობელი, სეფილი!¹¹
 დაგველებს რომ დაგიჰერვენ, ვინ დაგიდგებათ ქეთილი?¹²
 ღმერთო, აღრე მოიკითხე, ვინაც რომ მოკლა მთხვარია,
 ჭიბეში ფარა წაართვა, იქვე დააგდო მკვდარია.
 მე, ძიავე, ტკბილათ გასწავლი, — აწე აღარ ქნა მაგია,
 მაგი ფარაც მოიტანე, — გადასახადი ვალია! 276

ც ი ც კ ა

ციცკაი კობით წამოვა, წინ გაიძლოლებს მტერსაო,
 ივანწმინდას რომ ჩამოვა, ციცკამ ცხენს მოუჩქარაო,
 შაისხა თოფ-იარაღი, ღმერთმა — ვერ შეუტდესაო.
 „აქით მობრუნდი, ფასია, სადღა მიიქნევ ხელსაო?
 შენი ვალები მეკიდა, უნდა გავსწორდე დღესაო!“
 — „ნუ მამკლავ, ძმაო ციცკაო, შენი დედ-მამის მზესაო,
 ჩემს წილს დუქანსაც შენ მოგცემ, ეხლამ მოგიწერ ხელსაო“.
 — „აი, შენ თოქო!¹³ სომეხო, ხმალ [თუ მოჰკიდებ ხელსაო!¹⁴].“

1 მიგახვედრებდა.

2 ენაბლუ.

3 ძალიან ეცემნა.

4 ჰყავს.

5 საწყალი.

6 ფული.

7 ვაგლახი.

8 მაწანწალა.

9 ჩანთა.

10 მდიდარი.

11 უწყინარი.

12 თაედები.

13 მშიშარა.

14 აქ სიტყვები აკლია.

ციცკაის თოფი გავარდა, სისხლი მაქდება კლდესაო.
„ნუ გეშინია, ფასია, მე ვერ შეგაქმევ მგელთაო,
ყარაულად დაგიყენებ ორიოდ გველათელთაო;
ძმებსაც მე შაგიტყობინებ, — ფასია ა იქ წევსაო,
ძალიან ხშირის ძილია, არას გააგებს თქვენსაო,
ფულსაც ლამაზს შაგინახავს, ხელზე დაგიბავს ცხენსაო“. 277

მამუკა სამანელია

მამუკა სამანელია ტკბილი და საყვარელია.
ადგა, ცოლ-შვილს დაეკითხა: „სიზმარი ვნახე ძნელია,
წადი, ბიჭო, მომიყვანე ჩემი თამაშა ცხენია!“
წიფლის შეღმართს რომ შეუდგა, დახვდა გელეონ მტერია,
თავი მოსჭრა, წინ დაუდო,
წელზე ქამარი შამოხსნა, — ასი თუმანი სწერია. 278

შენ გიორგი, მეფის შვილო

შენ გიორგი, მეფის შვილო, შენი ცხენი ხვიოდო,
ლაგამსა და უნაგირსა მარგალიტი ჰკვიოდო.
თუ შენ, ცხენო, მომიკვდები, სამ წელიწადს პურს არა ვჭამ,
ხოხბის მეტსა, კაკბის მეტსა, გამტკიცული პურის მეტსა;
ღვინოს დავლევ ლალის ფერსა. გვერთ მოვისევამ ლამაზ ქალსა,
ხელში მივეცემ ვერცხლის თასსა,
შიგ ჩავუგდებ უზალთუნსა, ვაკოცებ და ვუხამ თვალსა. 279

ეო, მეო, ბიჭო დემეტრეო

„ეო, მეო, ბიჭო დემეტრეო,
წმინდის გიორგის კარები როგორ გააღეო?“
— „ხელი შევეყავ, ვაჩხაყუნე, კლიტე გატებეო,
შიგ ხატები დავიპარე, ოსეთს გაეყიდეო.
იქიდაჰა წამოვედი ხელშეკრული ტყვეო,
უკან დედ-მამა მამძახის: ვაი, დამიკადეო!“ 280

ეს წინდისჩხირა ელია საპოხეზია, გრძელია,
 კოკოლაშვილსაც მოჰპარა თავი წითელი ცხენია,
 დუქნი კარებზე მიაბა, ბლომათ აჭაჷა ქერია,
 ტიკებ წყალი გამაავლო: „ეს არყის ჩასასხმელია!“
 დილა აღრიან შეკმაზა: „ძეგვსა ვარ წასასვლელია!“
 ხუთი მანათის ნავაჭრმა კარგა დაჩაგრა ცხენია.
 რო მათანა ვიწროებს: „აქ საფიხხულე ჩვენია!
 ავდგე, წავიდე ბერშევეთს, ღვინოები მაქვ ბევრია,
 ორმოცი კოკა ახალი, სამოცი ძველი-ძველია,
 იმასაც არი გავეყიდი, ვალსაც მოვწყვიტამ წელია“.
 კოკოლაშვილმა გაიგო, მუხლებს დაიკრა ხელია,
 ამხანაგს უთხრა: „მოსია,
 კაი ძმა კაცი ბძანდები, შენ უნდა მიზლა ცხენია“.
 — „მე ვერ გიზლამ [შენსა] ცხენსა, ჩემიც ბევრი წაილესა!“ 281

შ უ ბ ა შ ო ვ ი

ეს მიხაკო შუბაშოვი კაი არის დარდიმანდი,
 ერთი მიხხალი ჭკუა აქვს, არც გონება ერთი დანგი;
 მან თავის გონებითა უღროთ მოიკლა თავი,
 ორი კარგი ბიჭი მოჰკლა, თავზე ადევს იმას ვალი.
 შაბათი დილა გათენდა, მძიმედ დაიბარცხნა თავი,
 პალიტო რომ წამოისხა, დუქნისკენ მიდის საწყალი.
 დუქნის კარი რომ გააღო, კარზე მიაღდა კვარტალნი.
 კვარტალნს ვილა იჩივლებდა, — შვიდი ღრაგუნის სალდათი!
 გადმოხტა და ეუბნება: „არ ვარ მე მაგაში ბრალი,
 წუხელ ნიშნობაში ვიყავ, იქილამ მოვდივარ მთვრალი!“
 — „წამო შენა, ავო სულო, ფრანგი დაჭერილი არი!“

ხელები უკან გაუკრეს,
 ფეხში ბორკილი ჩაუგდეს,
 დუქანს ბარაბა აუგდეს,
 კლიტეს პეჩატი დაუკრეს.

ყველამ მასხარათ აიგდეს.
ცალი თავი გადაჰპარსეს,
გულზედ ფიცარი მიაკრეს,
მთლათ ქალაქი მოატარეს,
თავის სწორში შეარცხვინეს! 282

ფ ი რ ა ლ ი

ათას ოცდასამ ცხრაშია შევიქენი ფირალია¹,
დღეში სამოცჯერ მომნახვენ ხვანთქარი და ყირალია²,
გურიიში ვინაც დოსტი³, — სულ ყველაყა მტირალია. 283

პ ა ტ ი მ ა რ ი

ფოდრაჩიკობა დავიწყე, ლიხეთს⁴ მიმქონდა პურია,
ეს ბიჭია ჩინჩიბური ციხეში გაჭიმულია,
შინელი კარგი აცვია, სიცივის არ ეშინია,
არქანოვის პურიცა აქვს, არც შიმშილის ეშინია,
შვილები გვერდით უსხედან, იქ როგორ მოეწყინება?
თუ აქ ქალი ვერ იშოვნა, ციმბირში დაქორწინდება.
გაიოზამ შეუთვალა: „არ ვარ შენი მადლიერი,
ცხრა თვე ციხეში ჩამაბი, ღმერთმა გიყოს მაგიერი!“ 284

• •

ათას ხუთას ოზდაცხრააა მე შევემთხვიე ბელასა⁵,
ჩემიანებს მომაცილეს, საყვარელსა და ნენასა.
ვჯივარ მარტო მოწყენილი, ვერ ვამბობ ჯავრით ენასა,
ვინც აქიღამ მე მიშველის, მოწყალე მისცემს ლხენასა.

¹ ყაჩალი.

² რუსთ ხელმწიფე.

³ მეგობარი.

⁴ სოფელი.

⁵ ხათაბალას.

ბრევალი წყალობა მოგვივდა ოზურგეთიდან ბრძანება,
 წავიკითხე და წავედი, — როგორ შემეძლო ვარება.
 ვინცა რუსი დოურჩვიათ, ის არის ჩვენზე ბრალემა.
 მე რომ რუსი გამეცვიოთა, ხომ არ დავტეედი ფართალსა?
 რაც მიდღემჩიი¹ დამმართია, იმასაც ვიტყვი მართალსა.
 ათ-თუთხეტ კაცს გავუძლებდი, — თლათ დემესია ღუნია
 რა ოხრათ დამატევიეს ჩემი სამშობლო გურია!
 დიდმა კაცმა, ნაჩალიკმა, გამიჯავრდა და დამფახა².
 შავი კაძახი ჩურჩუტობს. იმას ჰკითხეთ, მე სა მნახა?
 მისმა ეშმაკმა დალახრა!⁴ 285

გულ-ყირმიზა⁵

ტყეში წასვლას ვემზადები, წივზე მაცვია ზანკალი⁶,
 თოფი ხელში მიკავია, ალესტეთა⁷ ვარ დამდგარი.
 გულ-ყირმიზამ შველი მოკლა, მოვიდა ახირ-ზამანი!⁸
 მუსლიმანი მაინც არ ქამს, — ზრუგში⁹ არ ქონდა ბალანი,
 სამ ოთხ დღიდან გონჯა¹⁰ იყო, თიკანს შრებოდა ზავეალი¹¹,
 დიდ-კაცთან მისატანია იხკი, ინდოური, ბატია,
 გულ-ყირმიზა მკვდარი ვნახე, — რაფერ უშველოთ,
 დამტია!¹² 286

სურამის ციხე

ეს გივი ამილახვარი მტრის ენამ შავგიშალაო,
 სამკვიდრო დიდი დააგდო, სამთავის-რცხილოს ქალაო,
 სურამის ციხე ააგო, სულ ცამდინ აიყვანაო, —
 ჩქარა ჩამოღით, თათრებო, ქალბი ავიღოთ ბარაო, —
 სამი წისქვილი აკეთა, შიგ წყალი შაიყვანაო.

¹ მრავალ.

² ჩემდღეში.

³ დამტუქსა.

⁴ დასწყველა.

⁵ კაცის მეტსახელი.

⁶ პაიკი.

⁷ მზად, ყოჩაღად.

⁸ მეორედ მოსვლა.

⁹ ზურგზე.

¹⁰ აუად.

¹¹ საწყალი.

¹² დამტოვა.

რა მიყო ჩემმა პატრონმა, სამარე გამითხარაო,
სამარე ვიწრო მოვიდა, გვერდები ჩამათალაო,
ჩემი გვერდების ნათალი უპურობაში ქამაო. 287

• •

საბრალო ამილახვარი მტრის ენით მოითხარაო,
აავო სურამის ციხე, ცათამდინ აიტანაო,
გარს გალავანი შეავლო, კოშკები დაატანაო. 288

• •

„სურამისა ციხეო, სურვილითა გნახეო,
ჩემი ზურაბ მანდ არი, კარგად შემინახეო.

შვილო ზურაბ, სადამდინ?“

— „ვაიძე დედავ, ფეხამდინ!“

„შვილო ზურაბ, სადამდინ?“

— „ვაიძე დედავ, მუხლამდინ!“

„შვილო ზურაბ, სადამდინ?“

— „ვაიძე დედავ, გულამდინ!“

„შვილო ზურაბ, სადამდინ?“

— „ვაიძე დედავ, ყელამდინ!“

„შვილო ზურაბ, სადამდინ?“

— „ვაიძე დედავ, თავამდინ!“

„შვილო ზურაბ სადამდინ?“

— „ვაიძე დედავ, გავთავდი!“ • 289

• •

სურამის ციხევ, სურვილით გნახე,
ზურაბ შვილი რა უყავ? კარგათ შამინახე!
თუნგით წყალს მოგიტან, პირი დააბავინე,
ქერის პურსა ნუ მიჰქვევ, წმინდით შამინახე,
ქალამნებ ნუ ჩააცმევ, წალღებითა მიტარე.

„შვილო ზურაბ, სადამდინ?“ — „ვაიძე დედავ, მუცლამდინ!“

„შვილო ზურაბ, სადამდინ?“ — „ვაიძე დედავ, გავთავდი!“ 290

- „წუხელისა სიზმარშია, ნეტავ დედავ რაო?
თვარე დაბნელებულიყო, ნეტავ დედავ რაო?“
— შენი წუთისოფელია, ვაპ შენ დედასაო!
- „წუხელისა სიზმარშია, ნეტავ დედავ რაო?
აღვის ხე წაქცეულიყო, ნეტავ დედავ რაო?“
— შეილო, შენი ტანი არის, ვაპ შენ დედასაო!
- „წყალსაცა ყუთი მიჰქონდა, ნეტავ დედავ რაო?“
— შეილო, შენი მორთულობა, ვაპ შენ დედასაო!
- „შიგვე იყო ერთი ბოხია, ნეტავ დედავ რაო?“
შეილო, შენი მორთულობა, ვაპ შენ დედასაო!
- „გვერდით ჰქონდა თეთრი ტილო, ნეტავ დედავ რაო?“
— შეილო, შენი სუდარია, ვაპ შენ დედასაო!
- „კარებზე დგას აღვის ხეო, ნეტავ დედავ რაო?“
— შეილო, შენი ტანი არის, ვაპ შენ დედასაო!
- „იმას ჰქონდა ორი ტოტი, ნეტავ დედავ რაო?“
— შეილო, შენი ხელ-მკლავია, ვაპ შენ დედასაო!
- „იმას უჯდა ორი მტრედი, ნეტავ დედავ რაო?“
— შეილო, შენი და-ძმანია, ვაპ შენ დედასაო!
- „გაღმით ირემი ბლუოდა, ნეტავ დედავ რაო?“
— შეილო, მამაშენი არის, ვაპ შენ დედასაო!
- „მინდორში ძროხა ბლუოდა, ნეტავ დედავ რაო?“
— შეილო, შენი მშობელია, ვაპ შენ დედასაო!
- „ცაში ჩიტი მიფრინებდა, ნეტავ დედავ რაო?“
— შეილო, შენი სული არის, ვაპ შენ დედასაო!* 291

გ ე ნ ა ც ვ ლ ე ბ ი ა ნ

იმერეთს გენაცვლებიან ქუთაისი და ხონია,
ქალაქს შენ გენაცვლებიან კუკია-ავლაბარია,
სუნთელი შენ გენაცვლება ციციონ-ბარათიანი, —
ვინ მამაძალი არ გაქებს ცოლ-დედა თავლაფიანი, —
გორში თენგუდისშვილები, ხერთუმანს თუმანიანი,
მუხნარში მუხნარიანი, ავქალას გურამიანი,

ქალაქში ყაფლამიანი, მანავში ჩერქეზიანი,
 ფხოში ენდრონიკიანი, კარდნალს ბენბურიანი,
 კოლაკს ოზენაშვილები, ვეჭაქს აბაშიძიანი,
 ირკოკში ერისთვიანი, ჩუბლაყში ავალიანი,
 ახაშენს გიჯისმყრელები, ყვარელს ჭავჭავაძიანი,
 ახატენს გალობლიანი, ქისტაურს ერისთვიანი,
 ოყიოს საქარიანი, ართანს კართალასშვილები,
 თელავს ყოშიბარიანი, ჩალაურს გველესიანი,
 ქისის ყევდინიშვილები, კონდორში მუშრუკიანი,
 წინანდალს მამუჩრიანი, ხოდაშენს გოგნიაშვილები,
 ვანთას ჭაფარიძიანი, კალაურს თალხნისშვილები,
 საშიანს ქემხისშვილები! 292

რორცა აშენდა მანგლისი

რორცა აშენდა მანგლისი, წყალი მოუგდეს მილითა,
 [თეთრათა ლესეს სახლები ქვიშანარევი კირითა,
 შიგ დასვეს ქალი ლამაზი, მჩხილებს იღებავს ინითა.
 თრიალეთს თურმე მეცხორეს წყალი თან დააქვ ვირითა,
 [მეცხორე რო შეაჩვია, ყველი უზიდა პინითა.
 შაჰბედა: „ქალო, ნეტავი შენთან გამაძლო ძილითა!“]
 ქალმა შასწყევლა მეცხორე თაგს ცხვრითა და ბინითა:
 [„მეცხორე, ცხორი : აგიწყდეს შიგ დარეული ვირითა,
 მთაზედა ველარ წა¹ დე შენი ძრიელი ბინითა!“]
 ახლა მეცხორემ ? ევლა თავის ცოდვილის პირითა:
 „ლეკებიც დაგიძ¹ ნ შენის ქმრითა და შვილითა,
 მაგდევდეს ბიჭი მეცხოოე, ფული მახქონდეს პინითა,
 დაგინხნას, გაჰაგიყვანას, შინ მიგიყვანას რხინითა!“ 293

ორმოში ფეტივი ჩაყვარე

ორმოში ფეტივი ჩაყვარე შესანახათაო,*
 შიგ წვიმა ჩამოსულიყო დასალპობათაო,
 ამოვიღე და გავფინე გასაშრობათაო.

¹ ლხინითა.

ღობეზედ ჩიტი შემოჯდა ასაკენკათაო,
ჩიტსა ჯოხა წამოვკარი მოსაკლავათაო.
ჩიტი ბატონთან წვიდა საჩივლელათაო,
თან გზირები მოიყოლა დასარბევათაო,
ნიშა ხარი გაიყვანეს დასაკლავათაო,
დიდი ქვევრი ამიხადეს დასალევათაო. 294

ხოშიაო, ხოშიაო

ხოშიაო, ხოშიაო, შენი კაბის არშიაო,
გაელასა და გამოვლასა, გაწყობილსა ტანშიაო!
„მაზლო, ერთი შეშაპხედე, როგორ მადგა ტანშიაო!“
გავკარ ხელი, გავიხადე, ჩადე ზანდუკაშიაო,
ნაპერწყალი ჩაჰყოლოდა სახელ-აზლუტაშიაო.
დილაზედ რომ თავს ავხადე, ფერფლი მეცა თვალშიაო,
დავჯექ და ბევრი ვიტირე იმ ოხერ დარბაზშიაო.
დედამთილი შეშამესწრო იმდენ ამბაებშიაო,
წავიდა და ხმა დაყარა ხოჯის აბანოშიაო. 295

ქალო ანაო, ბანაო

ქალო ანაო, ბანაო, ხელ-პირი დაგებანაო,
შენი ხელ-პირის ნაბანი ავქალას ჩაჰომდგარაო;
ერთი ავქალა ავსილა, მეორეს გადამდგარაო,
შიგ დიაკვანი ჩამხჩვალა, საბრალო დედის ერთაო.
მისი დედა მარიამი შეკმაზულიყო შავითა,
წინ კაცი შემოეყარა: „დედავ, სად მიხვალ შავითა?“
— „ნეტავი არა მკითხამდე, შვილი მომიკლეს ძალითა!“
აიარეს, ჩაიარეს, წყალში ეძებენ ჩანგლითა,
იპოვნეს, გამოიტანეს, ხეზედ დაჰკიდეს საბლითა,
ჩამოვარდა და დაიმტვრა ხმელი რამ ჩინჩხვარივითა. 296

სანადიროსა წავედი

სანადიროსა წავედი ქორითა და მეძებრითა,
ასეთ ციხეზედ მივედი, მზეც არ მიაღგებოდაო,
იმაში რომ ქალი იჯდა, ღმერთო, მიეც დიდი ღღეო.

ლაინისა კაბა ეცვა, დავხიე და დავლარსეო,
მალლა ჭიხურ გაღმოვკიდე, ქვეშა დევილაგეო.

საჭინიბო შევისწავლე, შავი ცხენი ება ზეო,
გავაზე ხელი გაღუსვი, უნაგირი ედგა ზეო,
შევჯედი და გავაქენე, კარქა გამიტანა მეო.

ვიწრო გზა გავარბენიე, მინდორი უფრო ჩქარათო.

წინ ჩიტი შემომეყარა:

„დაჯედ, ჩიტო, და მთანბე ჩემი სახ-კარის ანბავი!“

— „რა გითხრა და რა გიანბო, — შენსა ცოლსა ათხოვებენ,
თუ მიუსწრებ, შენი არის, თვარა გაგივლის ფარათა“.

წისქვილში რომ ქალი იჯდა, ღმერთო, მიეც დიდი ღღეო;

ერთი რომ მისთვის მეკოცნა, არ მიხილებდა მიწანი,

დათვი შემქამდა ტყისანი, ჰინჭარი ფოლოცისანი.

მე გიორგი ბახტურიძე დაბადებიდან მქვიანო,

ცოლის ქორწილს შევესწარი, ბედიც ამასაც ქვიანო:

„ადე, ნეფე, კარში გადი, დედოფალი ჩემიო“.

— „და შენთვის მომიციო!“ 297

ელი ელამდაო

ელი ელამდაო, ზღვა ფიფინებდაო,

ზღვისა პირასაო კარავი იდგაო,

შიგ ქალი იწვაო, ზარი ეხურაო.

ზარი ავხადეო, სამი ვაკოცეო,

სამშა კოცნამაო ფერი უცვალაო,

ფერმა ნაცვალმა წიგნი დასწერაო.

ვის გაუგზავნაო? — დავით მეფესაო.

რა მოუვიდაო? — დიბა-ზარბაბიო.

რითი გამოსქრაო? — მაკრატელითაო.

რითი შექეკრაო? — ბროლის თითითაო.

რითი ჩაიცვაო? — სიხარულითაო.

რით გაიხადაო? — ხორცაგლეჯითაო.

რითი გარეცხაო? — მცხარე ცრემლითაო.
რითი გააშროო? — ნიაე-ქარითაო. 298

თავფარავნელი ბაბუკი

თავფარავნელი ქაბუკი აშკარეთს ქალსა ჰყვარობდა,
სავლელათ ედვა შავი ზღვა, გასვლას აღარა ზარობდა.
ქალი ანთებდა სანთელსა, სანთელი კელაპტარობდა,
ერთი სულძაღლი ბებერი უქრობდა, ბობოქარობდა.
ზღვასა ვაჟკაცი დაეხრჩო, ზღვა იქით-აქეთ ქანობდა,
იმის თეთრ ძუძუ-მკერდზედა ზედ იჯდა ორბი, ხარობდა. 299

რიკი-რიკი ფაფარიკი

რიკი-რიკი ფაფარიკი, აბზინტა და თოხარიკი,
კატა გადახტა რქიანი, ბიჭი იარალიანი.
გადავსტი მეზობლის კარსა, თოფი მოვარტყი ტყვიანი.
დედამთილი მეუბნება: „რათ მოჰკალ ქალ-ბიჭიანი?“
მიუბრუნდი რაივიითა, ბიჭი შევქენ გვრიტივითა,
მენახირეს მივაბარე: „არ მომიკლა სიცივითა!“
უშობელსა წიხლი ეკრა, გაეხადა ტიკივითა,
ტიკი ტიკათ გამომადგა, პოლორქიკი — საკრავათა. 300

სოლომონ ბძანა

სოლომონ ბძანა: იესო, შენ ღმერთო, გამაჩინეო,
ხელ-კლავში ძალა მომეცი, მაცოცხლე, დამარჩინეო,
ქვრივი-ობოლი აცხოვრე, ბრმას თვალი აუხილეო,
სამი წლის ხმელი მამალი ხეს შესვი, დააყვილეო. 301

ნუ ეძიებ წელსა ჩემსა

ნუ ეძიებ წელსა ჩემსა, ვერ მიხვდები ანგარიშსა:
ქნიაზ მათეს მეძახიან, ნატუსალას ძმასა თვისსა,

ემბროსს ვახდი განუყრელათ, არ ვეძებდი სხვასა ბედსა,
ადამ იყო პაპა ჩემი, მასა დავრჩი სამის წლისა,
ენუქის და ილიასი ვარ მარწებელი აკენისა,
სოდომს ცეცხლი წაეკიდა, დამსწრები ვარ იმა დღისა.
ვინც რომ იქ მიჯნური მყავდა, ესწუხდი მისთვის, — დაიწვისა,
ნოეს ხელში ხურო ვიყავ, მაშენებელ კიდობნისა,
წყლისა ღრვნასა მოვესწარი, წვერი მქონდა გარნახისა.
ქრისტეს მოსვლის უწინარეს ვიყავ სამას სამის წლისა. 302

ანბანთ ჰება

აღვსილხარ, ყოვლად წმინდაო, ყოვლის მადლითა უფლისა.
ბაღჩა ხარ, აყვავებული, სადგომი სულის წმინდისა,
გაბრიელის ხარებითა მოგველინა ძალი მღვთისა,
დედა ხარ იესო ქრისტეაი, ქალ ზეციერი მამისა,
ემანუილ შენგან იშვა, მიზეზი ჩვენის დახსნისა,
ვარდი ხარ მეტათ ლამაზი, მოსაწონარი უფლისა,
ზინხარ მუდამ შენ ძესთანა ნეოხად ცოდვილებისა.
მსრეთი ვარ მე, ცოდვილი, მუდამ შენის წყალობითა,
თვალი შენი ჩვენზედ იყოს, არ გვეშინოდეს მტერისა.
ისი ძუძუ დაილოცა, რომ აწოვა ქრისტეს პირსა.
კურთხეული ხარ, მარიამ, მუდამ ყოვლისა გვარისა,
ლამპარი ხარ ნათლოვანი და ვარსკვლავი ცისკარისა
მარიამ მიჰაღლებულო, სიტყვა გაქვს ანგელოზისა,
ნეტარედი ხარ, მარიამ, კარი განგვიღე ზეცისა,
ორნი გზანი მიგვაჩნია, გვიწინამძღვრე სამოთხესა,
პილწსა ეშმაკსა ნუ მიმცემ, შეჰავედრე მაცხოვარსა.
ჟამი იგი დაილოცოს, რომ შენ იქენ დედა ღვთისა,
რა ღირს ვარ, რომ მე შენ გაქო, თუ შენ არ მომცემ იმედსა!
სანთელი ხარ ნათლოვანი, გამნათლებელი ბნელისა,
ტურფა რაჲ ფრინველი ხარ, მიჰაგავებულები მტრედისა,
უშენოთ არ შემიძლია ხილვა წმინდის სამებისა,
ფარ-ფორთლოვანი ვარდი ხარ, სუნი გაქვს უკვდავებისა,
ქვეყნისა ანგელოზი ხარ და ვარსკვლავები ზეცისა,
ღრუბელი ხარ უწვიმარი. წვიმა ხარ შეიდ მაიისა,

ყოვლისფრად შემკობილი ხარ, ტაძარი სოლომონისა.
შიშველი ვარ მე, ცოდვილი, კაბა ჩამაცვი ნათლისა,
ჩემთვის შენ ძეს შემავედრე, ნუ მკითხავ შეცოდებასა.
ცამ-ქვეყანამ გაიხარა დღე იესოს ქრისტეს შობისა,
ძე ღვთისა ქვეყნად მოვიდა დახსნად ადამის ტომისა,
წყალობის კარი განგვიღე, წყალობა მოეც სოფელსა.
ქემმარიტად ღვთის დედა ხარ, უხრწნელი ქალწულებისა,
ხე ცხოვრებისა იწოდე, ხილი გაქვს უკვდავებისა.
ჯოჯობეთისგან დამიხსენ, მუღამ შენ მიზამ კეთილსა.
ჰაზრობა აღმისრულე, ქალწულო, დედავ მხსნელისა,
ჰოი რა ტკბილი დედა ხარ, მალირსე ხილვა ზეცისა! 303

სახსრების ლექსი

სახსრების ქება გამოვსთქვათ, კაცთა სხეულთა მრავალო,
საწყალო ფეხის კვანჩხებო, დღეი და ღამე მავალო.
ფრჩხილებმა სთქვა თავის ქება: „აღმასის ნათალს ვგვევარო“;
ნებებმა¹ დაიბრაგუნა: „ლომისა ტატებს ვგვევარო“.
კოჭებმა აგრე უბრძანა: „ნებო, მეც შენთანა ვარო“.
მუხლმა ასე მოახსენა: „მე თქვენს ზევითა ვდგვევარო,
თქვენ უჩემოთ რათ ივარგებთ, თუ მე კარგად არ გყვევარო“.
თეძოს თავმა უპასუხა: „გმირი-შევარდენს* ვგვევარო“;
ყ...ბმა უთხრა საწყალმა: „თეძოვ, მეც შენთანა ვარო“.
ი ბრუციანმა... უთხრა:... „ხომ იცი, რა ვარო,
ხანდისხან დამეძინება, გამეღვიძება, სხვა ვარო,
უფთურსა მთასა, უგზურსა ღამე უსანთლოთ დავალო“.
ტანადობამ მოახსენა:
„სურათი ვარ შემკობილი, როსტომ-ტარიელს ვგვევარო,
ზედ მხარ-ბეჭი მოწყობილი, ჭვარის ძალივით ვდგვევარო,
ხანდახან მოვიღუნები, შვილდსა და ისარს ვგვევარო,
როცა რომ გავიმართები, მტერთან საომრად წავალო.
მაჯა ლამაზო, ჭავარო,
ზედ მოსხედილო ფრჩხილებო, ობოლ მარგალიტს ვგვევარო.

¹ ტერფებმა.

ქედის სიმტკიცე რას უმბობს? — „ყველაზე უფრო ღრმა ვარო, ხანდისხან გული მომივა, რომ დავმშვიდდები, სხვა ვარო“.
 ლიტონი ენა რას უმბობს? — „სამოცდაშვიდი გზა ვარო, მტერთან წავდგები უშიშრად, ძებნა არ მინდა, მზა ვარო“.
 კბილებმა სთქვა: „შემომხედეთ, რუსის ჯარივითა ვარო, წისქვილად ვარ მოწყობილი, ფერთაც იმას ვგეგვარო, დამთვალეთ, — ოცდაათი ვარ, სულ ერთმანეთზედ ვდგევარო“.
 თავო, ყველაზე თავარო, — საფქვილე ქვაბსა ვგეგვარო, ჭკუა-გონებით სავსე ვარ, ლამაზი გიშრის თმა ვარო, მხარზე რომ ფეხი დაგაღვა, ცამდი ფრენითა ავალო, ღმერთი მივიღებს წინაშე, სასუფეველში შავალო. 304

ქალაქის რედაქტორები

ქალაქის რედაქტორები ვარსკვლავებს სთვლიან ცაზედა, სტამბაში ბეჭდენ გაზეთებს, გზავნიან ქვეყანაზედა, პირველ გვირჩევენ კეთილსა, ჩვენც გვარიგებენ ჭკვაზედა, მდიდარის ჭკუით იციან, რაც გარდაგვხვდება თავზედა. გაზეთში ამას გვიწერენ, დარიგება გახლამთ ჩვენი: „კარქია კეთილი ყოფა, ტანთსაცმელი გქონდეთ ბევრი, სულ მცირეთ გქონდეთ კვირაში, უნდა გქონდეთ სამი ხელი, უმჯობესია კაცთათვის, ტანი მოისვენებს თქვენი“.
 მათს მაღალს კეთილშობილებას გვაქვს პატივი მოვახსენოთ — ახლა მოიხსენეთ ჩვენი: ჭეშმარიტათ, ჩვენც ხომ გვინდა ტანთსაცმელი გვქონდეს ბევრი, ყოველიფრივ სრული გახლდეთ, ქვევრებითაც, ღვინო ბევრი, უღვინოთ პურს არა ვსჭამდეთ, დილით გვქონდეს ჩაი ცხელი, სამ დღეში ერთხელ აბანო, ეკიპაჟი გახლდეთ ჩვენი, სპალნაში მარმარილოსი ვანებიც ხომ გახლდეთ ჩვენი, გაუქრობელი სანთელი, ნათლად გახლდეთ თვალი ჩვენი, ძილისთვის მოსასვენებლად დივნებიც ხომ გახლდეთ ჩვენი, ატაჟიანი სასახლე, მას ბალკონი ჰქონდეს გძელი, დროსა და დროს ბოლთა დაგკრათ, ჩემმა ჭრაჭუნებდეს ჩვენი. მაგრამ უნდა მოვახსენოთ, სიღარიბე გახლამთ ძნელი, ამტვენა სიღარიბისგან ვერსაით გვიწვდება ხელი.

სამ ხელს ვინ მოგვცემს კვირაში, ერთ წლამდენ არა გვაქვს ერთი. ზოგახსენოთ, შეგვიწყნარეთ, გლახი კაცი რო ვართ ცეცხლში, ბოლომდინაც საჩივარი ახლა მოგახსენოთ თქვენცა:

ღამესა და ღღეს ვასწორებთ, ძლივ ვაცხოვრებთ თავსა ჩვენსა. ხუთის წლის ყმაწვილებს ვსტანჯამთ, იმათ ვამუშავებთ ჩვენცა, — ისენიც ამას ფიქრობენ, ცხოვრება რომ გვიჭირს ჩვენცა.

მამულებს ძალა წაერთო, ისიც აღარ გვაძლევს ხელსა.

ღმერთია უსრულებელი, მოკლეთ მოგახსენებთ შენცა.

უწინდელთ მოგახსენებენ, ჰკუთამყოფელთა თქვიანო,

უწინ ასეთი დრო გახლდათ: ღღეს სამი კვალი ხნიანო,

სამის კვალის მოსავალი შვიდ წელ ვერ შექამიანო;

ეხლა კომლი საშოც ღღეს ვხნავთ, მინც კი ვჩივით, გეშინანო.

ამგვარ ყოფაში გახლავართ, გონიარნო და ჰკვიანნო.

ამგვარ ყოფაში გახლავართ, მოგახსენებთ ჰკუა-გრძელთა,

ყოველს სწავლაში ნასწავლნო, კეთილად გვარიგებთ თქვენცა.

თქვენი გაზეთები მოსდის უეზდის ნაჩაღნიკს ჩვენსა,

არიგებს ყოველ სოფელში, მრავალჯერ მივიღეთ ჩვენცა;

კვითხულობთ და ყურადვილებთ, გონებაში ვცვივით ჩვენცა,

ღედის მუცლით რა გამოგვეყვა? რაც ვისწავლეთ, — თქვენგან

ჩვენცა.

ამ სიტყვისთვის არ შეგვირისხავთ, თქვენგან იმედი გვაქვს ჩვენცა*.

305

ნეტა მარიალთ გაქცია

„ნეტა მარიალთ გაქცია, დიდო მთაო და გორაო;

წისქვილი რისთვის დაგეწევა, ნაღარბაელო ღორაო?“

— „ვისთვის დაგეწევა წისქვილი, მინდი ვერ ვიღე სწორაო,

ბათმანზე ორ ჯამს ვიღებდი, არ მამიწონა ღმერთმაო“. 306

ს ს ვ ა ღ ა ს ს ვ ა

შენმა მზემ, მემცხვარიშვილო

შენმა მზემ, მემცხვარიშვილო თამაზხან, დაგემღურები,

აბაზად წალდი გახადე, ოროლ აბაზად ცულები,

გლახის კაცისად შენ გეთქვა: „დავკრათ ძირიდან ყურები!“

დავენდევ ქათალიკოზსა

დავენდევ ქათალიკოზსა, ფიც ვჰამე მაგისტანაო,
გაუბედავის ღალატი შაუტყვი თანდათანაო;
გავხენე, ხელი მიხჰონდა მარცხნითკე ვადითანაო. 308

რას იცინი, დევთა რძალო

რას იცინი, დევთა რძალო*, უცხოთურათა კრეჰ კბილსა,
სომეხი ვარ, დიდ ვაჰარი, დაეკარგე და ვეძებ გმირსა,
შენ ქმარ-მაზლებს შამიძრახე, — სტუმარი რამ გელის კარსა.
309

ბებერმა წველა დაგისხა

ბებერმა წველა დაგისხა, თითმა ვერ გიყო კოვზობა,
სხვაგანაც გამოგადგება ეგ შენი ფილოფოზობა. 310

ბებერო, შენი ჭარაო

ბებერო, შენი ჭარაო დაბერდა, აღარ იჯარა.
აილო, ცეცხლზედ დაუდო, — ნეტა ვის გამოაჯავრან 311

მაგ ქული ვინ შეგიკერა

„მაგ ქული ვინ შეგიკერა, ვინ შემოგივლო არშია?“
— „ბატონმა ეგა მაჩუქა, წყალობა იცის კაცშია.
ღმერთმა მისთვის მამსახუროს, რომ მოვიდეს რაჰაშია,
კალმახი არ დაემალვის, თუ სადმე არის წყალშია,
ხანდახან ნელლად მივართმევ, ხანდახან ჩავსდებ ძმარშია.“ 312

სომხის მოჯამაგებობას

სომხის მოჯამაგებობას ადვილად იტყვის ენაო, —
მწევარ-მეძებარს გაგატანს: თუ დაიჭირო მელაო,
ხორცი შენ, ტყავი ჩვენაო;
თუ დაიჭირო ღორიო, ხორცი ჩვენ, ტყავი შენაო. 313

ვაჰ შე ანდრიაჲ ლასკარო

ვაჰ შე ანდრიაჲ ლასკარო, ქვეყანათაზე დახვალო!
სხნილში სასხნილო გაქმიე, მარხვაში სჰამე ჩამიჩი,
არ გეცვა წმინდა პაკიჭი, ჩემის წყალობით ჩაიცვი,
თუ მე შენ ხელში არ გქონდე, შენ სხვის საქმისა რა იცი 314

ნიქაბაძე ცხენს ეძებდა

ნიქაბაძე ცხენს ეძებდა, მთის მწყემსები აშალო,
ცქიტისვილმა კეტი დაჰკრა, ცხენმა ფეხი გაშალო,
უკანნიდან მოუარა, წამოაცვა აფშარაო:
„შენი რჯული დაილოცა, გვარიან ხანს მაცალო!“ 315

ნეტავი შენ, ყვავო

„ნეტავი შენ, ყვავო, სამი ცოლი გყავო.
ნეტავი შენ, კაჰკაჰო, არა გენადღლება რაო!“
— „როგორ არ მენადღლება, ცოლი მებუზღუნება,
რაწამს გადამიხტება, გული ამამიჯდება!“ 316

ტილო დოლაის წვერო

ტილო დოლაის წვერო, გადმოქცეულსამც გნახავო,
დამაძერ ფეკის თითები, შინ ჯალაბთ ველარ ვნახავო. 317

დედამთილი მიქხა მყვანდა

დედამთილი მიქხა მყვანდა, მამამთილი მიქხა-მოქხა,
ქმარი მყვანდა კუდიანი, არც მე ვყვანდი ქრისტიანი. 318

* *

„სიშამრი მყვანდა იელი, სიდედრი კაშკანდიელი,
ცოლი მყვანდა კუდიანი, არც მე ვიყავ ქრისტიანი. 319

მე ობოლი, ობლის შვილი, ობლობიდან დადავული*,
 სიმამრი მყავ ღიპიანი, სიდედრი ფაშე-კუნძიანი,
 ცოლი მყვანდა კუდიანი, არც მე ვიყავ ქრისტიანი. 320

აწყვრის ხეობას შემოვყევ

აწყვრის ხეობას შემოვყევ, გამოვყევ ქარის ქროლასა,
 აჰა და კიდევ დავესწარ რძალ-დედამთილის ბრძოლასა,
 რძალმა აჭარბა დედამთილს, თავი უგალა კერასა.
 დიდმა რძალმა შემოუსწრო: „რძალო, რად მიკლამ დედასა?“,
 — „ხანდახან ასრე მოხდება, არ დაყენებს ენასა!“ 321

ტყვეობიდან გაპარვა

მივიარე, მოვიარე, სანადიროთ წაველ მეო.
 მე ლეკებმა დამიჭირეს, პატარა ვარ, იმათ ტყვეო.
 დათვის სანგალაში ჩამსვეს, აღარ მომადინეს მზეო.
 მეჭინიბეს ცხენი მოჰყვა, შავკმაზე და შევკექ მეო.
 ერთი კაცი იძახოდა: „გაიპარა ჩვენი ტყვეო!“
 სანამ ლეკი გაიგებდა, სამშვიდობოს ჩაველ მეო.
 სამშვიდობოს ქორწილია, ჩამოვხტი და შაველ მეო.
 ნეფე კარში გამოვიდა, პატარძალი დამრჩა მეო,
 ერთის მეტი ვერ ვაკოცე, მადლობელი შემრჩა მეო. 322

ლეკებმა რო დამიჭირეს

ლეკებმა რო დამიჭირეს, დამდეგ იყო მკათათვისა*,
 მთები დიდი გადმატარეს, მთები კავკასიონისა.
 გადავხედე ჩერქეზ მინდორს, ნისლი იწვა შავი მთისა,
 სამი ქალი თივას თიბდა, სამივე ჩერქეზთ ბატონისა,
 ხელში ეჭირათ ცელები, პირები აქვთ აღმასისა,
 მარმარილოს სალესაენი იმათ აუწყობენ პირსა,
 ასეთ სიმღერებს ამბობენ, ვით ბულბული ბაღებისა.
 არ მენახა, — გამივირდა — მუშაობა ქალებისა! 323

ტყვე ქალი

მანდ რომ ქალი დავიკარგე, განჯის თათარსა ვყევარო*,
დილით დამსვამენ სკამზედა, ღამე შემიკვრენ ხელ-ფეხსო,
მომიტანებენ ცხენი ხორცს, მარხვა ვერ მიჭამიაო.
ჩემიანებო, მიშველეთ, რჯულიც ვერ დამიგდიაო,
მოკრიფეთ თითო თუმანი, დამიხსენთ, თქვენი ტყვე ვარო. 324

• •

ბატონიშვილო ლევანო, მარგალიტისა მტევანო*,
ღალისტანს ლეკებს მივჰყევარ, დამიხსენ თქვენი ტყვე ვარო.
325

პაი ჩემს ამ დროთ მოყრასა

ვაი ჩემს ამ დროთ მოყრასა, ჩემს ამის მოხილებასა,
ენაზე მიძევ ბორკილი, თვალთ მიშლის ახილებასა;
ველარც ვის წირვას შავაქცევ, ველარც ვის შაგინებასა.
წყლისა ნაკვეთსა ვკიდივარ, ჩავვარდე, — ჩამზადული ვარ,
გინდა ჩავვარდე, გინდ არა, მე მაინც დაკარგული ვარ.
გამიგონოდით, სწორებო, დამიტიროდი, დედაო,
გამწყრალის შვილის ტირილი რაკი არ შაგეკლებო,
ლასის რომ ველარ მოვიდე, ჩემი რა გაიგებო,
მეც შავდეგ მტრისა გზაზედა, ფერი და ფერი მკლებო. 326

დატყვევება

ჯათსუტაშვილო ნადირავ, შენ დღეში შავის მნახავო,
ცოლ-შვილის მოძაგებულო, ბატონის შაუნახავო,
რამდენი კვირა დღე მოვა, საწისქვილოთ ემზადები,
დაფქვამ და თავით დაიდგამ, ამხანაგებს ელოდები.
წუხელის სიზმარი ვნახე: „ხიფათს რასმე ჩავარდები“.
შავ ტყეში რომ ჩამოვედით, გამოცვივდნენ გულხადრები*,
გულხადრები არ გვეგონა, ჩვენ — ოსები, მთიულები.

ერთი ირემას გაუდგა, ზედ ურემზედ სტაცა ხელი,
ერთი თადიას გაუდგა, სომეხია ჩოხა-გრძელი,
ერთი ჩემყე გამაიქცა, კანჭ-მალალი, ბეჭა-ბრტყელი.
თოფი დავეც, არ გავარდა, მამინ მამწყა შიშით წელი.
„ადე, ძალო, ნუ ეგდები, შორი გზა გვაქვს გასავლელი“
ხელები მაგრათ შემოიკრეს, თითებს გააქვს უთილები. 327

ბატონყმობის ლექსები

(კახეთი)

დაღალული მოვდივარ, მთლად დავიარე ქალაქი,
ღმერთმა ისე გააოხროს, ცხენს ვერ უშოვე ბალახი.
ხემწიფის შვილი მობრძანდა, თელავს ხალხი დაგვიბარეს;
ჩვენ გვეგონა, ბევრსა გვეცემდა, დაგვსხეს, ლხინი გვაწეინეს,
წინ მოგვართვეს ყველა ხილი, უფრო კარგათ მოვილხინე.
თავადი თავსა გვადგიან, — გუნებაში ჩავიციანე,
სიტყვა ველარ გაგვიბედეს, ენაზედ დაიდგეს კბილი.
წამოსვლის დროს, რო წამოველ, დაგვირიგეს თითო წიგნი.
ხემწიფის შვილმა გვამღერა:
არალალი, თარალალი,
ბატონყმობაც აღარ ალი,
სამოვარი რომ შემოვდგით,
ჩამბერავიც აღარ არი! 328

•

(ქართლი)

ათას რვას სამოცდაოთხსა დიდმა ხემწიფემ ბძანა:
„წმინდის სახარების სიტყვა თავის დღეში არ გამტყდარა,
ბატონყმობა გადავსწყვიტოთ იესო ქრისტესაგანა“.
თავადები ტუტუცობენ: „ეს რათ მოდის ხათაბალა,
მამა-პაპით ჩვენა გვეყვანდა, ამას რალაში აქვს ძალა!
ღიამბეგი, ნაჩალნიკი, ორივე გადაბძანა,
სტარშინები [ჩვენ] დაგვისხეს თითო-თითო სოფელთანა“.

ზოგიერთა თავადები წინ წამოდგნენ ხმალ და ხმალა:
 „ხემწიფემ, გიორგი მეფემ, საქართველო ჩაგაბარა,
 მამა-პაპეულ ამაგზედ შენ ჩვენთანა არ გაქვს ძალა!“
 ეს დაბეჭდილი წიგნები ხემწიფემა გამოგზავნა:
 „თავადებო, რას ჩაღიხართ, მეყურება მანდღედგანა,
 ბევრსა ქვრივსა და ობოლსა სევდით გულ შემეეყარა.
 სიობლე არ ეყოფოდათ, რომ სახლში არ წაგეყვანათ?
 ჩემი ხაზინა სამსეა, სულ ქალაღმა გაამრავლა.
 მოდით, მოგცემთ ჯამაგირსა, რაც რომ გინდათ იმტენხანა“.
 ეს პასუხი, ანგარიში ვერაინ კი ვერა ბძანა,
 ბოლოს წაართვა მამული ამ გლეხკაცებ ერთიანა:
 ათი ღღისა ნადელია, მეოთხედი ბატონთანა.
 ზოგი გლეხკაცი გაკეთდა, ზოგსა გულ შემოეყარა.
 როცა რო გორში მოვიდა ეს ბძანება იქიდგანა,
 დააგროვა ბევრი ხალხი, თავადებიც ერთიანა,
 სტოლი, სკამები გამართა, წინაც სუფრა გაუშალა,
 ბევრი ხალხი ერეოდა, — შენც ხომ იცი: მეტიჩარა, —
 ბატონყმობის გადაწყვეტა ხახანოვი მღვდელმა ბძანა.
 ამ აღექსანდრე მარშალმა ცხარე ცრემლი გადმოყარა:
 „მამილოცაეს, გლეხო კაცო, ბატონყმობა გადამწყდარა,
 ეგ არის განთავისუფლდით, თქვენთან აღარა გვაქვს
 ძალა!“ * 329

■

(ი მ ე რ ე თ ი)

დიდება და მაღლი ღმერთსა, რომ ბრძანება იქმნა ღვთისა,
 ადამ და ევას დაეზადა სამი ვაჟი, სახე მზისა;
 სამთავ ერთნი ძმანი იყვნენ და მავედრებელნი ღვთისა.
 ერთსა მისცეს უნფროსობა თავიანთი ოჯახისა,
 მაგრამ ისე გათამაშდა, ფეხსაც აღარ ადგამს ძირსა,
 ბატონობა მოინდომა უნცროსი თავის ძმებრსა.
 საშუალმა სიტყვა უთხრა და პასუხი ქარაგმისა:
 „ბატონათ ვერ დაუდგები იმ შენი ღედ-მამის შვილსა,
 მართალია, უფროსი ხარ და ხნეობით ერთი წლისა“.

შეექმნათ განყოფილება, რომ შეიქმნენ ასი წლისა.
 უნცროსი გაინაპირა, საშუალი მიითვისა.
 ეს რომ უნცროსმა გაიგო, ცხარე ცრემლი ჩამოსდისა:
 „მიღალატეს ჩემმა ძმებმა, ჩამაყენეს გასაჭირსა,
 ეგების ღმერთმა მიშველოს, იმედიც მაქვს ხემწიფისა“.
 მას უკან არის ნაწყები, ბატონყმობა გაჩენილი,
 ზნაური და თავადი, — უნცროსი ძმით დარჩენილი.
 ჯერ გამოართვეს მსახური, ღვინო და პური ბეგრათა,
 ქვრივი აღარ შეარჩინეს, აღარც ობოლი დედათა.
 გაღმობედა ქრისტე ღმერთმა: „ეს რა ცოდვა მოხდა ძირსა,
 რანაირათ აწვალებენ იმ თავის დედ-მამის შვილსა!“
 ღმერთმა უბოძა წყალობა და იმედი მისცა ღვთისა,
 მოსავალი მიუნიჭა ყოველ მუდამ სამი წლისა,
 შვილები იმდენი მისცა, როგორც რომ ფოთოლი ტყისა.
 დაეხვიენ თავის ყმასა, როგორც რომ ჭინჭველი ჭირკსა,
 სულიც აღარ შეარჩინეს ნაბოძები თავის ღვთისა.
 ანგელოზი მობძანდება, მოციქული მეუფისა,
 ხემწიფეს გამოეცხადა, როგორც შუქი ალი მზისა:
 „ბატონ-ყმანი დააშორე, თუ ცხონება გინდა მკვდრისა,
 თუ საქმე არ გაათავე, შენი ხმალი აღარ ქრისა“...
 თავადებმა ასე ბძანეს: „ჩვენ ვინ წაგვართვა მთავრობა,
 ჩვენ ყმაშიდ ხელი ვისა აქ, არავისი გვყავს წყალობა“.
 დაეხვიენ თავის ყმასა, ძლიერ დაუწყეს ძალობა,
 საცხოვრებელი წაართვეს, დააწყებინეს ნანობა.
 ხალხმა თავი შეინგროვა, არძით გაამსეს მთავრობა:
 „დაგვეხვიენ თავადები, ძლიერ დაგვიწყეს ძალობა,
 საცხოვრებელი წაგვართვეს, დაგვაწყებინეს ნანობა“.
 კავკასიის ნამესნიკმა გლებ კაცს უბოძა წყალობა,
 თავადები დაითხოვა: „აღარ გარგიათ ძალობა,
 მალლა ღმერთთა მხილველი, ძირს ჩვენ ვართ თქვენნი
 მთავრობა,
 თუ რომ არ მოიტეხინეთ, მაშინ მოხდება ჯარობა“.
 თავადებმა ასე ბძანეს:
 „ჩვენ ჯარის არ გვეშინია, ხმალი გვაქ ამოღებული,
 ყმა ჩვენია, ვიმსახურებთ, ღვთისაგან დამკვიდრებული,
 რაც უნდა ჯარი მოგვადგეს, თავი გვაქვს გამეტებული“.

ქალაქის ველიკ კნიაზმა ზღვა და ხმელეთი გაზომა, ამ გლეხი კაცის არძები სუნთლათ ფუთობით აწონა. ის ხემწიფეს წარუდგინა: „არძა მოგართვეს ამდონმა, ყმები ყავთ შეწუხებული, [არ უნდა დიდი აწონა,] იქნება უშველოთ რამე, მოილოთ თქვენი წყალობა“. ხემწიფემ არძა გამოსცა ღვთის მაგიორი ნაწერი: „საქმე რათ არ გაათავეთ, რათ დაალონეთ ამდონი? ახლავე გამოამცხადეთ, რაც საქმე იყოს ნაწყები“. ათას რვაას სამოცდა ხუთს მოხდა ბრძანება ღვთისაო, მობრძანდენ ჩინოვნიკები ზესტაფონ-ქუთაისსაო, გლეხი კაცი დაიბარეს, აზნაურ-თავადიცაო, ხალხი ისე შეანგროვეს, როგორც ფოთოლი ტყისაო, შიგ ჩადგნენ ჩინოვნიკები, როგორც რომ შუქი მზისაო; გაშალეს თავის ნაწერი ქალაქი ერთი წლისაო. საზოგადოს წაუკითხეს პასუხი ხემწიფისაო...

ეს თავადებმა გაიგეს: „ვაი დედი ჩვენის ღმერთსა!“ ერთმანეთსა გადახედეს, რჯული ბევრი აგინესა: „ეს ჩვენი უბედურება ჩვენის ცოდვით მოგვიხთესა, ქვრივისა და ობოლს ჩვენ ვყიდდით, ვაწუხებდით მსახურებსა სამსახურს არ ვჯერდებოდით, ნიადაგ ვახდენდით გლეხსა, ახლა მისი გულიათვის ჩვენაც მიგვცეს განსაცდელსა, ჩვენის ცოდვით გამოცხადდა რვა დღე გიორგობისთვისა, მადლობა ქონდეს ხემწიფეს, რაც ენებოს, ის იქმნესა“. უბრძანა ღუბერნატორმა:

„თავადებო, არ გეგონოთ ეს ხემწიფის მოგონილი, — ერუსამეთს ჩამოვარდა სამჯერ ნაწერი ქალაქი, ავიღეთ და წავიკითხეთ, იყო ღვთისაგან ნახატი: «ერთ სახემწიფო ადგილას ცული საქმე და ანბავი, ერთი დედ-მამის შვილია გლეხი კაცი და თავადი, სული სულს არ უნდა სჭამდეს, არც კი ყოფილა მანამდი». ბატონყმობის დაშორებას მასუკან მოვდევთ აქამდი, თქვენ ჯამაგირს არ დაგაკლებთ, ვინცა ხართ კარქი თავადი“ თავადებმა ასე ბძანეს:

„ჩვენ ჯამაგირი რას გვიზამს, რათი ვარჩინოთ ცოლ-შვილი ჩვენ ხაბაზობა არ ვიცით, არც მუშაობა მიწისა, თითო წელიწადს მოგვეცით მოსამსახურე ბიჭისა,

იქნება ჩვენაც ვისწავლოთ ხელით კეთება ბრინჯისა“.
თავადების სამსახური დეპუტატმა გააჩინა,
მეოთხედი მიწა-წყალი მებატონეს დაარჩინა:
„ქარვასლები გამართეთ და იმაში აიღეთ ქირა“.
თავადებმა ასე ბძანეს: „თავი შევინგროვოთ ჩვენა,
ნამესნიკს მივცეთ ქალაღი, — რათი უნდა ჩვენი რჩენა?
დაილოცა გლები კაცი, ღმერთსა მიუცია რჩენა, —
მინდორშიდ დაყავს გუთანი, ოროველას დევმღერა,
სარჩო სამყოფი ბევრი აქვს, ნათესობა ამოდენა,
თავადებს არ გაგვივიდა რუსული და წიგნის წერა,
აღარც ღმერთმა გაგვიკითხა, ხემწიფეც ჩვენ აგვემტერა,
ამ საქმეს არ მოვსწრებთივართ, დავიზარდეთ ამოდენა“...
იმერელმა თავადებმა ხმალზედ მოიკიდეს ხელი,
ხემწიფეს უპირდაპირეს: „რა გვაქ თქვენი ნაბოძები?
არასოდეს არ იფიქროთ, ჩვენ ყმაზედ ავილოთ ხელი,
მაგის მეტი აღარ ბძანოთ, ახლავ დააბრუნეთ ცხენი!“
ნამესნიკმა მოისმინა: „ვიცი საქმე არის ძნელი“.
იმ სააჩში გააბრუნა კალასკა და ღროშკის ცხენი,
ზღვის პირზედ რომ მიატანა, წიგნის წერას მიყო ხელი.
რუსეთს გაგზავნა არძები, დაიბარა ჯარი სქელი,
ქუთაისში დააბარგა ყაზახი და რუსის ცხენი,
ამ თავადებს გაუგზავნა მოციქული მეტად ძნელი:
„თქვენ რომ სიკვდილს მპირდებოდით, ახლა გამოიღეთ ხელი,
ჩემს სიკვდილს როგორ ბედავდით, არ ვიყავი ცოდვის მქნელი,
ხმელეთი მუქშიდ მიჭირამს, ცამდის მიმიწვდება ხელი“.
თავადებმა გამოიღეს ერთი რჩევა საკურველი:
„ჩვენ ხემწიფეს ვერ ვაჯობებთ, მას ჯარი ყამს მეტათ ბევრი,
ტყვია-წაშალი ბევრი აქ, ზარბაზანი რამოდენი,
გლებ კაცს აღარ უნდა ექმნეს ბატონისგან სატანჯველი“...
რათი უნდა დავიჯეროთ ბატონყმანის დაშორება?
თავადებმა სამსახური ახლა უფრო გააძნელა,
მეოთხედი სარჩო გვთხოვეს და მიდორშიდ საბალახე,
ტყეშიდ სულ აღარ შეგვიშვეს, ასე მოხდა ჩვენი საქმე. 330

ერთმანეთს ეუბნებიან საბატონო ყმები:

„ბატონს ჩამოგვაშორებენ, დაგვიყარეს ხმები.

რაც აზბავი გამოვიდა, ყველა იქმნა სხვები.

თუ ეს საქმე არ იქმნა, მკაფრით აგერ ვკვებები“.

მეორემ თქვა: „როგორ, ბიჭო, როგორ არ იქნება?

თუ მართალი არ იყოს, აღარც ქე ითქმება,

რუსეთში გათავებულა, აქაც კი იქნება,

აგი საქმე უსათუოთ აპრილში იქნება“.

ერთმა ეგერ დაიძახა: „რომელი აპრილია,

ათი წელი გამოვიდა, რაც ეს ხმა დაყრილია,

ამ უბრალო ამბავით ხალხი სულ აყრილია,

ბატონი ქე დევიმდურეთ, აღარც ქე გაყრილია“.

— „ფიციოთ გეტყვი, ჩვენ ამ სიტყვამ ბევრი ამოგვიშავა,

ვითამ ჩვენმა ბატონებმა როდის რა დაგვიშავა?

მათი მამისგან გვემართა, მანაც ქე გვამუშავა,

ყმობა გვეზარება, თვარა როდის რა დაგვიშავა!

მუშავობა, ძმაო, შენ თავის დღეში გემართა“.

— „შენ იგი არ შეგიტყვია, მე თუ რა დამემართა:

შვიდი ღორები წამართვეს, მე რომ ერთი მემართა,

შესახვეწათ რომ მივედი, ჩახმახი შემიმართა“.

— „ღორის წართმევა რა არის, — ძროხებს გვართმევს და ხარებს,

ყმის წართმევა რომ შეიტყვეს, მერეთ აღარ გვახარებს,

მუდამ სახლში ატირებენ ჩვენს ბაღნებსა და ქალებს,

და თუ ღმერთი მოგვაშორებს, იმით ჩვენ გავვახარებს“.

— „ავი და კაი ბატონი ახლა ვინ გაარჩინოს?

ღმერთმა ჩვენი ბატონები თავდაღმა დააქციოს!

თუთხმეტი თხაი წამართვა, ღმერთმა ნუ შეარჩინოს,

საწყალი ჩემი ცოლ-შვილი აწი რამ დაარჩინოს?“

— „ბატონს მოუნდა ყველა ის, რაცა მექნება,

ვერ შევიძლე მისი რჩენა, ან კი რაღა მექნება,

მე თუ კაი ღონე მქონდეს, ერთი ფაცხა მექნება,

ბატონი რომ ღარიბია, ყმას კი რაღა მექნება!“

— „დიდი ხანია ბატონმა გამომიგზავნა კაცი, თავის დახსნა შემიკვეთა, — ველარ ვიშოვნე ფასი, გამჭავრებულმა შემოხტა გუშინ ზედა კარში და თმით გამომითრია ჩემი დედაკაცი“.

ერთი ამბობს დარწმუნებით: „მამულიანათ გვიშობენ“, მეორემ თქვა: „როგორ არა, ცოლ-შვილს ხომ არ

დაგვიჩობენ?“

ერთმა უთხრა: „კი შეიტყობ, ხვალ რომ საყეს დაგვისობენ, ისე მოკრეფს მებატონე, ჩვენ სულ აღარ დაგვისწრობენ.

ვეგონებ ამაზედ მთავრობა ბატონს ძალას არ დაატანს, ყმას თუ უშობს ბატონიდგან, მიწას მაინც არ წაატანს, ჩვენ ამაზედ ბატონები საცხოვრებელს გადაგვატანს, ყმაი თუ მოგვიშორია, მამულს მაინც არ წაგვატანს.

ფული არ გვაქვს, თავი დავიხსნათ, ვერც შევძლებთ სხვაგან ვალებას,

რა უნდა იყოს ჩვენი ცხოვრება, უფრო ვინატრებთ

გარდაცვალებას,

შეგვივედრიე საწყალი ყმები, ღმერთო, თუ მოგვცემ ღროის

ცვალებას,

თუ მოგვაშორებ უწყალო ბატონს, მაშინ მოვრჩებით

ამდენ წვალებას“.

ბატონმა თქვა: „ჩვენი ყმები ამას არ გვემართლებიან, რაც რომ მწუხარება უთქმან, ერთიც არ დამართებიან.

იგი ბეგარა წავიღეთ, რაც რომ ძველათ მართებიან, აწი ვნახოთ უჩვენოთაც მათ თუ რა დაემართებიან.

ისინი ყველა ჩვენს მერე ვნახოთ რავა წახთებიან,

ბეგარა და ათისთავი სულის თავს გადახდებიან,

ნაჩალნიკი, ბოქაული კერიასთან დახთებიან,

«ნეტა ბატონი გვყოლოდა!» მაშინ კი იძახდებიან“*. 331

კონსტანტინე ღალიუკელიანი

ღადიშკელიანის ქება განთქმულა ქვეყანაზედა,
სვანეთიდან წამოსული ქეიფათ მოღის გზაზედა,

ქუთაისს რომ შემოვიდა, ფიქრი მიეცა გულზედა:
„ნეტავი შემატყობინა, ნახმობი ვარ რაცხაზედა“.
გაგარინმა მიიწვია თავის საკუთარ ტახტზედა,
გაგარინმა გაუცხადა: „რუსეთს წადი ამ წამზედა“.
სამი ცხენი და ტროიკა უცბათ აახლეს კარზედა.
კონსტანტინე გაუჩერდა, უყურა ლაპარაკზედა:
„ხემწიფისგან ბრძანებაა, ხელი ეილე ყმაზედა“.
— „ჩემზედ გარისხდა ხემწიფე, ნაქები სამართალზედა?
ღმერთმა ის დღე ნუ მომასწროს, ხელი ამელოს ყმაზედა!
ცოტა დროება მომეცი გარებ-გამორებაზედა,
აქ შვილი მყავს საზარდათა, უნდა მივიღე კლასზედა“.
— „ეს ხომ შეუძლებელია, არ გიყურო წასვლაზედა,
შენ სვანი ხარ, არ გეძრახვის, ქეც გაიპარვი გვარზედა.
თუ მაგრე გაქვს გუნებაში, ქეც მიფრთხილდი ამ ჭავრზედა,
ის სვანეთში დაიქადნე, შენ რომ მაჯობო ჭანზედა“.
კონსტანტინემ დაიქადნა: „თავს მოვიკლავ ამ წამზედა“;
რაც უნდოდა, აახდინა, — სამი გაჩეხა შუაზედა.
გეიხედ-გამოიხედა, დაადგა გაფრენაზედა,
სით წევიდა, არ იცოდა, თურმე მივიდა წყალზედა:
„მე რომ ამაში ჩევიდე, სიღედაბრე ჩემს თავზედა!“
გამობრუნდა კონსტანტინე, მოდის ბაქრაძის სახლზედა,
ასი კაცი შეეყარა, ერთი ვერ უმზერს თვალზედა.
ბაქრაძის სახლში შევიდა, ლეკურს აკოცა ტარზედა:
„შენ რომ აქ არ დამრჩენოდი, შევასრულებდი ცხრაზედა,
მე რომ დღეს ბიჭობა ვქენი, ისე მიქნია სხვაზედა.
ვაი ამფერ ბიჭობასა, თუ ამაცონ ანძაზედა,
ახლა აქედგან ამაგდო, დამსვა სვანეთის მთაზედა,
გაპარვით გევიპარები, რომ გამიშვებდენ გზაზედა,
გაპარვას ვერ მოვახერხებ, ჭარი მადგია კარზედა“.
დაიჭირეს კონსტანტინე, მიყავდათ ნაობახზედა,
ყარაული დააყენეს, როგორც ცის წვიმა თავზედა.
გლენმა კაცებმა შეიტყვეს, — „სამართალია მაზედა,
თუ ეს ხემწიფე მოგვიკლეს, ხელი დავიდვით ხმალზედა“.
ხემწიფიდგან მოიწერეს:
„ვინ არის მაქ მამაძალი, რომ გაგვდგომია ძალზედა?
შვიდი ხემწიფე მეჩხუბა, ყველა ჩავრეკე ზღვაზედა.“

მე სვანი ვერასა მიზამს, ტყვილა დგია მაგარზედა,
 ყველას ისე ტყვიით დავხევე, რაც სვანი და აფხაზია“.
 განჩინება წაუკითხეს, გაშავდა პირის კანზედა.
 კონსტანტინე იხვერწება: „შვიდჯერ ამწონეთ ქთამზედა,
 შემომივლეთ და გამიშვით, ვითამ საწირავ ცხვარზედა“.
 კონსტანტინეს ვილამ კითხა, ტილოს აცმევენ თავზედა.
 დედინაცვალი მოსტირის, ცრემლი მოდივა თვალზედა:
 „საწყალი შენი მეუღლე უბედურია შენზედა!“
 გაღმა სილას გაიყვანეს, ფეხი აუკრეს ქვაზედა,
 თორმეტი თოფი ესროლეს, ბილი დაგლიჯეს ძვალზედა,
 გადმობრუნდა კონსტანტინე, ტვინი დაასხა ქვაზედა*. 332

დედის ალერსი

შუბლ მთვარიანო,
 წარბ ყორნის ფრთიანო,
 თვალმელნიანო,
 ცხვირბროლიანო,
 ნიკაპგათლილო,
 უსულიანო. 333

სააქაოს ცხოვრებავე,
 საიქიოს ცხოვნებავე. 335

დედის არუქ-მარუქო,
 მამის ციხე ქალაქო,
 ბიძის ქამარ-ხანჯალო,
 პაპის ოქროს გუთანო,
 ბებიის მწვანე ბოსტანო,
 მამიდის წითელი ვაშლო. 334

ადანდალო დანდალო,
 ჩემო ოქროს შანდალო,
 პაპის ოქროს გუთანო,
 ზღვაში ნახნავე-ნათესო;
 მამის ოქროს ხანჯალო,
 წელზედ შემოსარტყამო.
 ადანდალო დანდალო,
 ჩემო ოქროს შანდალო. 336

დანდლი დანდლი დანდალო,
 დედის ოქროს შანდალო,
 ასხმულო მარგალიტო,
 ანთებულო სანთელიო,

ნეტავ რა ხარ მაგისთანა,
 ამომავალი მზისთანა,
 ზღვაში გიდგია ფეხები,
 ამ ოქროს ჩანგურისთანა. 337

ნანა, ნანა მამასა,
 გაზდა გახარებასა,
 შეგიკერამ კაბასა,
 წითელ-ყვითელ ატლასსა,
 ზედ დაგისხამ ღილებსა,
 ოქროს დაფერილებსა,
 შემოგაკრამ ქამარსა,
 შიგ ჩაგირჭობ ხანჯალსა,
 დაგიკერებ ჭიბესა,

შიგ ჩაგიყრი ფულებსა.
 აგატარებ ბაზარში,
 ჩაგატარებ ქუჩაში,
 გლახა შემოგეყრება,
 იმას მიე აბაზი,
 ისიც გეტყვის გაზდასა,
 გაზდა-გახარებასა,
 სევდის მოშორებასა,
 ყოველ ჭირ მორჩენასა. 338

ი ა მ ნ ა ნ ა

იავ ნანა, ვარდო ნანა, იავ ნანინაო,
 იავუნდის მარანშია, იავ ნანინაო,
 შიგ ღვინო და ლალი ბჭვისო, იავ ნანინაო,
 შიგ ალვის ხე ამოსულა, იავ ნანინაო,
 ნორჩია და შტოსა შლისო, იავ ნანინაო,
 ზედ ბულბული შამამჯღარა, იავ ნანინაო,
 გასაფრენათ ფრთასა შლისო, იავ ნანინაო. 339

* *

იისა და ვარდის ბალში, იავ ნანინაო,
 ბატონები ბძანდებიან, იავ ნანინაო,
 ბატონებსა სუფრა ნებამთ, იავ ნანინაო,
 გარშემო ძრიელ მორწყული, იავ ნანინაო,
 ბატონების მამიდასა, იავ ნანინაო,
 ვარდნი უსხედან კერასა, იავ ნანინაო,
 გვერთ უდგა ჩარხის აკვანი, იავ ნანინაო,
 შიგ უწევს ბატონიშვილი, იავ ნანინაო,
 ეუბნებებიან ნანასა, იავ ნანინაო,
 ღიბის საბანი უხურამთ, იავ ნანინაო,
 ატლას-ბაბთის არტახები, იავ ნანინაო,
 მოვის პერანგი უცვიათ, იავ ნანინაო,

ვარდი ფეხამდინ უსხიათ, იავ ნანინაო,
გვერთ ზის ბატონის დედა, იავ ნანინაო,
წვრილი ხმით ეტყვის ნანასა, იავ ნანინაო,
უფლის გამოგზავნილები, იავ ნანინაო,
ნანი ნანა, იავ ნანა, ვარლო ნანინაო. 340

* *

იავ ნანა ბატონებსა, იავ ნანინაო,
აქ ბატონები მობძანდენ, იავ ნანინაო,
მობძანდენ და გვიხარიათ, იავ ნანინაო,
ბატონიშვილს ეძინება, იავ ნანინაო,
უდგია ჩარხის აკვანი, იავ ნანინაო,
უხურამს დიბის საბანი, იავ ნანინაო,
ზედ უბია ჩანჩხურაი, იავ ნანინაო,
ბატონების მამიდასა, იავ ნანინაო,
ულხინეთ, თქვენი ჭირიშე, იავ ნანინაო,
შვიდი და-ძმანი მოვდივართ, იავ ნანინაო,
შვიდ სოფელს მოვეფინენით, იავ ნანინაო,
შვიდგან დავეცით კარავი, იავ ნანინაო. 341

დედა და შვილი

შვილო, ეგე მიყვარს შენი შუბლი პტყელი კაოსანი,
საყდარს რო მიბძანდებოდე, გესხას დიბის ტყაოსანი,
თავზედ გედგას ოქროს ჯილა ხშირათ მარგალიტოსანი,
ქმარი გყვანდეს ახალგაზდა, მებურთალე, ცხენოსანი. 342

* *

დედაო, ღმერთმან ის მოგცეს, რაც გულით გინდა ისები;
ტახტსა ზიხარ და წინ გიდგას ოქროს თასითა ჭინები;
ტანთ ჩაცმა მეტათ შეგშვენის ნარინჯთა ფერი ჩინები,
მე რაღას მაქნევ, მანდა გყავს ჩემი სანაცვლო შვილები. 343

შვილი და მამა

აცადე და დამაცადე, სიტყვა გიჟხრა შავარდნისა,
შვილი მამას ეუბნება: „გამეყარე, მოგცემ წილსა,
აქამდინ რომ გინახამდი, სხელა იცოდი ვენახისა“.
— „გაგზარდე და გაგაკაცე, ჯიბით გიზიდამდი ხილსა,
შვილო, თავი დაჰანებე, გზები ვიცი სამართლისა,
ისე გაგიხდი საქმესა, მეხვეოდე მუხლის ძირსა“. 344

• •

დედამ რომ შვილი გაზარდოს, ცემას რალას ევალება.
მამაზედ წიხლით შადგება,
დედას კარზე გამოაგდებს: „წადი, თვალიმც დაგიდგება!“
სამგზავროზე საცა წავა, თავის წერა წინ დახვდება:
მიწრო არი ბეწვის ხიდი, ცოდვილს არა გაესვლება,
ვინც მადლიანი მივალის, ბოგირ—ხიდათ ეჩვენება. 345

გ ა შ რ ა

ერთი რძალი კახა მყვანდა, მეორე ხო თარაქამა,
ისინი რომ წაიკიდნენ, მე გამიხდა ხათაბალა,
გზირი, ქევხები მორეკეს, მამულეები დაყვეს ჩქარა;
ერთი ძველი სახლი მერგო, თავზე არ ეხურა ჩალა,
ერთი ნაფუზჭარი მამცეს, იმას სულ არ მოჰყვა ყანა,
ერთი ძველი ქვაბი მამცეს, იმას არა ჰქონდა კალა,
შვიდიოდე ვაზი მამცეს, სულ თავამდი გადამხმარა,
ერთი ჭრელი ფური მამცეს, იმას არა ჰქონდა ღალა,
თითო მუჰა რძეს იწველის, ისიც რძალმა გაჰიწყალა,
ერთი ჩაფი ღვინო მერგო, ისიც იმან დამიძმარა,
ერთი კოდი ქერი მამცეს, ისიც ჯორმა შემეიჰავა,
ერთი თეთრი ხარიც მამცეს, იმას არა ჰქონდა ძალა,
ბუზებმა რო შეაწუხეს, ისიც ტყეში დამემალა,

ერთი კულდა ვირიც მამცეს, ისიც მგელმა შამიჭამა,
სუყველა იმათ ირგუნეს, პირში გამომაველეს ჩალა. 346

რძალო ბატონო

რძალო ბატონო¹, ლამაზო, ერთობრივ კაი ზნისაო,
საროსა მჯობნო, ტანადო, ლერწამო ზღვის პირისაო;
ახალო ვარდის ყვავილო, ტურფაო წალკოტისაო,
შენსა ნახვამდინ რალა ვქნა, სამთელო სამოთხისაო.
საყდარში რო წაბძანდები, წინ მიგიძღვის მსახურები.
ტახტი შეკრული გიდგია, სუფრა გაშლილი დაგხვდება,
მარჯვნივ გისხედან თავადნი და მარცხნივ დეკანოზები.
ერდოზე ბულბული გიზის და კარზე იადონები,
გვერთ მარსკელავი მოგიჭდება, ალვის ხის საჩრდილობელი,
როცა რომ ძილსა ინებებთ, გულში ჩაგეკერის გმირები. 347

სიძე-სიმამრი

სიძე-სიმამრიო

სიძე სიმამრიო	ვერ მოსვენოვო.
მთას ნადირობდაო,	მამე ცულ-წალდიო.
სტყორცნა სიძემაო,	გზა გავიკაფოვო,
ირემი მოკლაო,	მამე სანთელიო,
სტყორცნა სიმამრმაო,	გზა გავინათლოვო,
მოკლა სასიძოო.	მამე საკმელიო,
შვილო დარეჯანო,	გზა გავირკვიოვო.
მე რა გახაროო, —	ეგებ მოვნახოვო
ქმარი მოგიკალო,	სისხლის[ა] წვეთიო.
თავ ნუ მოიკლავო.	ეგებ გავრეცხოვო
შენ მამაჩემოვო,	ირმის რძითაო,
დარბაისელოვო,	ეგებ გაეაშროვო
ასემც მომკვდარხარო,	სიაე-ქართაო. 348

¹ ერისთავიანთ მოახლე აზნაურისვილს უთხოენია და იმაზე გამოუთქვამთ.

სიძევ, გაქო, როგორ გაქო, თეთრი სპილოს ძვალი გაქო, თოფ-იარაღი გიხდება, მხარბეპიც ხო კარგი გაქო, ომში წასვლა მოგიხდება, თუ რო ცოტა ფხაცა გაქო. 349

თვალევს მოველ ხატობასა

თვალევს მოველ ხატობასა, ცნობა მეწადა სიძისა:

„რა კარგი ქალი მოგეცით, არ მოგვიკლათ შიმშილითა!“

— „ქერის პურს კი ჩვენცა ვაჭმევთ და — არც თქვენ ზდილით ბრინჯითა“. 350

* *

ლუქანში ჩამოვიარე, ცნობა მინდოდა სიძისა:

„რა კარგი ქალი მოგეცით, მოგვიკვლევინეთ შიმშილსა!“

— „ამ ქერის პურს კი ჩვენც ვაჭმევთ, არც თქვენ გაგიზღავთ ბრინჯითა,

ჩვენ ქერიანი გოდრები შიგ საღომია კიბითა“.

— „მე თქვენს გოდრებში ჩაეხედე, მარცვალ არ ეგდო დიკისა, ცხენებს დასწყვიტეთ წელები კახეთს ნახეწის ზიდვითა“.

— „ხატის თასების პარვასა ხვეწა სჯობს ჩვენის ფიქრითა, ან სუღში არ დამაბიზლო, ან არ გამგზავნო ციმბირსა.

ციმბირ ჩვენ ჯოჯოხეთია, თავათ იციან ღვთის შვილთა“. 351

თვალევს მოველი

თვალევს მოველი ღუქანში, გნანე, ახალო სიძეო, მათდის ჩოქა ჩაგიცვამ, სახლჩიგა არა გიძეო.

— რას ამბობ, ხარანაელო, რას კერკუზე აშეკიდეო, როდის მოგიდევ ცხენითა, პური რამ აშეკიდეო, ჩემი ნალები ვალები შენ როდის გადასწყვიტეო! 352

ღორო და ღორო

ღორო და ღორო, ბუჩუკურო, ღორო, ღორობა არ მოიშალე,
ვაი მე შენ ქალი მოგეც, უგორო გაგაგორიანე,
უხლმოსა ხმალი შეგამბი, უფრო გაგაფარიანე. 353

ნ ა თ ლ ი ა

ნათლია ჩემი მეწვია, ჯიბეში ეღო ყარყარა,
ან ორი ჯამი გამოვა, ან ორიოდე მათარა.
ერთი ქათამი დაუქალ, კუდა იყო და ნაცარა,
აგრე შექამა ქათამი, წვერი არ გააცანცარა,
ნათლული არ მოიკითხა, დიდი არი თუ პატარა.
ავდექ, იმათას წავედი, რალაცა ღმერთმა შაშშალა;
იმათ ერთი ძალლი ჰყვანდათ, კუდა იყო და ნაცარა,
უქანიდამ მამეპარა, გამომაცალა კანქალა,
იმის ოჯახი დაიქცეს, ვინც მას ნათლიათ შამყარა! 354

მ ძ ა ხ ა ლ ი

წმინდა გიორგიმ დასწყევლოს მადარაული მძახალი.
დილით რომ პური ვაქამო, საღამოთ ისრევ აქ არი;
ბოსტანშია გაგვიწყვიტა ხახვის ფოჩი და ქარხალი,
აგრე სქამდა მქადის კუტსა, როგორც ყინული შაქარი.
კარებზედ აყუდებულა, მითომ ალალი თათარი. 355

ქალი ტიროდა ქართლელი

ქალი ტიროდა ქართლელი ქართლისა შუა გზასაო:
დაეყარე წვრილი ობლები, ვერ გამოვრეკე წყალსაო.
იმისიმც სული კრულია, ვინც ქალი ენდოს ქმარსაო,
კონტასა, ამპარტავანსა, უწვერ-ულეაშო ვაესაო.
წუხელი უდრო-უდროზედ მოადგა ეზოს კარსაო,
შორიდგან შემომიძახა: „რათ არ გამიღებ კარსაო?“
ავდექ, ავანთე სანთელი, მივარდი სახლის კარსაო,

ოქროსა სკამი მივართვი: „დაბძანდი, ღეთისა მადლსაო“.
 წალის სახდელათ ვიახელ, — მუშტი მიღერა ყბასაო:
 „დახე ამ კახხა დიაცსა, რათ არ გაივლის კარსაო!“
 ავდექ და გამოვიარე, დავადექ შევსა გზასაო.
 უკუვიხედე, მომდევდა, მოაბრიალებს ხმალსაო.
 „ვაჟო, რა გინდა, რას მომდევ, შენი რა წამილიაო,
 ცივი წყლით სახლი მომირწყამს, ზედ ვარდი მომიშლიაო,
 დედათილი, მამამთილი ბოსტანში გამიშვიაო,
 ცხრა მაზლი ნამგლის მქნეველი ნაფუზვარს გამიშვიაო,
 ის ჩემი დამტირებელი აკვანში გამიშვიაო,
 უსურვაზის ხელსახოცი კამარას მომიგდიაო,
 ჩემი ნეკისა ბეჭედი კუტალში ჩამიგდიაო“.
 აილო და დამიქნია, ხმალი მიღერა ყელსაო,
 ხმალსა ხელი მივაშველე: „ნუ მომკლავ, ხოსროს მზესაო“.
 — „მე ხოსრო-მოსრო არ ვიცი, — ეხლავ გამოგქრი ყელსაო“.
 გავშორდი და გადავსძახე ჩემსა ივანე ძმასაო:
 „დას გიკვლენ, ძმარ ივანე, ცხვარივით სჭრიან ყელსაო,
 ეგ შენი ნეკის ბეჭედი გამოუგზავნე დასაო,
 შენსა დას წაიყვანებენ შეიდი წლის სავალ გზასაო.
 შეუკერენ ხელსა და ფეხსა, შეაცურებენ ზღვასაო,
 ზღვა დაჰკრამს, ქვიშა დალეკამს ძუძუ კოკობსა ქალსაო,
 იმისი ქამხის სარტყელი გარს შემოურტყამს ზღვასაო,
 იმისი მოვის პერანგი თავს დაჰტრიალებს ზღვასაო,
 იმისი ხუჭუჭ კავები თევზს მიაქვს საბუღარსაო,
 მისი შავ-შავი თვალები ამოუსილავს ლამსაო,
 გუნდით ნალები წარბები გადულამია შლამსაო“.
 356

ქართლელი ქალი ტიროდა

ქართლელი ქალი ტიროდა ქართლის შუა გზაშია:
 დავყარე წვრილი ობლები, ვერ გამოვასხი ზღვაშია;
 ღმერთმა უშველოს მეცხვარეს, მეცხვარეს იმის ცხვარსაო,
 გამომირეკა ობლები, არ დამიყარა ზღვასაო.
 357

ქალმა თქვა

ქალმა თქვა: „სიზმარი ვნახე დამდეგ ენკენისთვისასა,
ცა წითლად, ყვითლად ელავდა, სეტყვას ისვრიდა ქვისასა.
თავზედ მაქცევდა ჩარდახსა, დახურულ ყავარისასა,
წინა სანთელსა მიქრობდა, ჩამოსხმულ კელაპტრისასა,
ბალში ხეხილსა მიმტვრევდა, დარგულსა ალვის ხისასა.
ნეტა ვიცოდე, რა არის, — სიკვდილს იტყვიან ქმრისასა“. 358

რა ვქნა, რა უყო თავსა

რა ვქნა, რა უყო თავსა, სწორთ იყვარიას ქმარსა,
არცა შეეძლო შენახვა, არც მანებებდა თავსა! 359

რა ქნას

რა ქნას, რომ არა ტიროდეს შავი და ბნელი ქალია,
პირდაპირ ჩამოჯდომია სიკვდილის ფერი ქმარია. 360

პეპელა ჭრელა

პეპელა ჭრელა, დაი საყვარელა,
მე არ მინდა ქმარი, გაბერილი ყვარი,
გადმოდგება კარსა, გარმონახევს თვალსა,
იგი მე შეწყინება, გარდავიარ კარსა,
იქ ვიშოვი ქმარსა, წითელ ქუდიანსა,
ნაღა-ნულიანსა, უღვაშ დაკვარხნილსა,
წელში მოწვრილოსა, არა მუცლიანსა. 361

ახალი პატარძალი ვარ

ახალი პატარძალი ვარ, შემამატარეს კერასა,
მე რო ქმარი შემეყარა, გებრალეზოდეთ ყველასა,
კისერი გასწვრილებია, უგავს ჭიანჭველასა. 362

დედავ, რათ გამათხოვე

დედავ, რათ გამათხოვე ზემო ქართლშია,
უეცრათ შააქე: „მდიდარი კაცია“.
ნათხოვარია, რაც რომ აცვია,
ერთი კომლი ყმა ჰყავს, უღელა ხარი,
ერთი კულა ცხენი, ისიც ზურგწამხდარი,
არც აქვს ჭურჭელი, არც სათათარე ხორბალი,
ქალაქს წამოვიდა, აიღო ვალი... (აკლია) 363

რას დამიღონდი

რას დამიღონდი, რას სტირი, რად ჩამოხყარე ყურები,
იძახდი: „ქმრადა ეგ მინდა“, რაღას ვის მოემდურები? 364

ლამაზმა თქვა

ლამაზმა თქვა: „ჩემი ქმარი გულით არა მყვარებია,
არც ლამქართ წასვლა მწყენია, არც მოსვლა გამხარებია“. 365

ჩემი ქმარი

ჩემი ქმარი თოვლეთს არის, თეთრი თოვლის გულისთვინა,
ღმერთო, აქ ნულა მოიყვან ჩემი კუროს გულისთვინა. 366

ქალი წავიდა წყალზედა

ქალი წავიდა წყალზედა, თან გავადევნე თვალიო,
აავსო კოკა კუტალი, შიგ გაუყარა თმანიო,
მოდის და თან მოტუტუნებს: ღმერთო, მომიკალ ქმარიო.
არ მომცა კოკის საკიდი, სულ დამაწყვიტა თმანიო. 367

მე ვარ ქალი

მე ვარ ქალი, ქვეყნის თვალი, ნინო ნიჟარაძის ქალი,
ყმაწვილებო, ჩამოდექით, დამანახვეთ სახტრის კარი,
ღვთისმშობელსა ვევედრები, რომ მომიკლას ჩემი ქმარი,
თუ ამ სიტყვას გამიგონებს, მე მივართვა ნიშა ხარი. 368

ყოვლათ წმინდა

ყოვლათ წმინდა ღვთისმშობელო, ქმარი ავათ გამიხადე,
სიკვდილით კი ნუ მომიკლავ, — დამიწვი და დამიდაგე. 369

ნუ მოხკედები

ნუ მოხკედები, ჩემო ქმარო, თორემ არ დავირჩენ თავსა,
ხესა გავალ ქონდრისასა, მაზედ ჩამოვიხრჩობ თავსა,
ნაგუბარსა ჩავარდები, ნაქლიკავსა კარისასა. 370

ბატონო ერისთვისშვილო

ბატონო ერისთვისშვილო, ოქრო ხარ, განა მინა,
ჩვენს ცოლებს შემოუთელიათ: კმარა, წამოდით შინა,
დაეთხოვენი ბატონსა, აგრემც მოსქამდეთ ჭირსა,
ისე გაგვიხდა სასირცხო, ვეღარ უპოვით პირსა. 371

ლამაზმა დაიტრაბახა

ლამაზმა დაიტრაბახა, ჩვენში ყველიერიო,
ლამაზი ქმრის შეყრა ყველაზე გემრიელიო. 372

შენ ბიჭო

შენ ბიჭო, წითელ პერანგავ, რას იყურები მკლავზედა,
შენ ჩემსა ქმარსა ვერ იცნობ, — სულ ხელი უძევს ხმაღზედა.
ღღისით მიხოცავს ნადირსა, ღამე უწევარ მკლავზედა. 373

ქალო, შენი ქმარი

ქალო, შენი ქმარი ჩემ ქმარს დავჭიდო მეიდანზედა.
რომლისამ ქმარმა გალახოს, ლაფი დავასხათ თავზედა. 374

განგიურის ქალი ვიყავ

განგიურის ქალი ვიყავ, ბაიდურანთ პატარძალი,
ჩაილურში ამიყვანეს, შემიკმაზეს ფრიფინაო,

თიხის ხევზედ რომ მივედი, მხარმა მითხრა — მიფრინაო.
პატა ხანი დავაცალე, მტერმა თავი იჩინაო,
მაყრები შემომეფანტნენ, ძმამ გარეშე მირბინაო.
ასი მოკლა, ასი დასჭრა, ასი ჯაგზედ მიჰკიდაო.
ჩემ ქალაჩუნა საქმროსა ჩიქილა წამოვხურე,
კოჭებამდის დაჰფინაო,
ჩიქილაჩამოხვეულმა სულ შინამდინ ირბინაო. 375

ბედნიერი შენი ქმარი

ბედნიერი შენი ქმარი, ლაშქარს მიდის, როგორც ქარი,
უბედური ჩემი ქმარი, ნაცარს ქექავს, როგორც ქალი. 376

ქალსა ქმარი

ქალსა ქმარი მოჰკედომოდა, ბულბულივითა გალობდა,
ისე ქმარს არა ტიროდა, როგორც შაირსა ნანობდა. 377

ნადარბაზევის ტირილი

ნადარბაზევის ტირილი გამოდის ზარის ხმაზედა,
მე ბულბულები მეგონა, ქალი ტიროდა ქმარზედა. 378

ქალო, ნუ გინდა

ქალო, ნუ გინდა ეგ ქმარი, სნეულია და მოკვდება,
შენ ჩემი თავი არჩიე, ბოლომდინ გამოგადგება. 379

ქალო, შენსა დერეფანსა

ქალო, შენსა დერეფანსა ბოდ მოუდგამ, არ დავაქცევ,
მე რომ შენი ქმარი ვიცი, — შაუბერამ, გადავაქცევ. 380

ქისტის ქალია

პანკისში გუთან წავიდე, იქაც ვეთრიე ერთხელა,
მოვიდა ქისტის ქალია, წამეთელ-წამომეთელა.

გაჯავრებულ ქისტის ქალმა დაიველა და მეძგერა,
თვალ მომჩნეს ამხანაგზედა, აღარც ის წამომეშველა.
წამოვიკიდე ქისტის ქალ, ვერ გადმოვიღე ერთხელა,
მეორედ წამოვიკიდე, — ძირს ქისტის ქალი, ზედ მენა!
ხევში რომ ჩავიყარენით, მაშინ ვთქვი: ეხლა მეშველა!
ძუძუებს ვეტანებოდი, როგორც ბატკანი ხეხერა. 381

ნონიანთ ქალი ვიყავ

ნონიანთ ქალი ვიყავ, კერმუხტი და ლალი ვიყავ,
ჭრა და კერვა კარგა ვიცი, წიგნის ქამანდარი ვიყავ;
რატომ არავინ მითხოვა, — თითქოს მოდის ქალი ვიყავ.
მთხოვნელები ბევრი მყვანდა, მაგრამ ძერას ბიჭი მინდა.
ამ თედეკამ წაპიყვანა, მთები გადამარონინა,
ერთ საყდარში მიპიყვანა, ცალ ხელშია ხატი მომცა,
ცალ ხელშია კელეპტარი. დამაფიცა და შევეფიცე:
„მამაც მიყვარს, დედაც მიყვარს, ძმები ყველას მირჩევენიან.
მაგრამა ეს ძერას ბიჭი მთელ ქვეყანას მირჩევენიან“. 382

კოხტა ვაჟაკი საყვარლად

კოხტა ვაჟაკი საყვარლად ესახელება ქალსა,
ქალი მუდამდღე კარზე დგას; გასაქერის იმის გზასა,
როცა მივა, გადებევეა, კოხტათ შემოახვევს მკლავსა.
მყრალი ვაჟაკი საყვარლად ეთაკილება ქალსა,
არც გული გულად მიუვა, არც უამება თვალსა,
მიზეზ მოუდებს, დაითხოვს, არ გაატარებს ხანსა.
ვაგრამ ბევრი შეუძლიან თეთრის ფულების ხმასა,
ხელში დაიწყებებს ელვასა, ქალ აუჭრელებს თვალსა.
ქალი მაშინ ფიქრში წავა, შეეკითხება ჰკვასა;
ფულების სიხალისითა მივა, გადახვევს მკლავსა,
მეპრე დაითხოვს, დააგდებს, გზას გაუყენებს შავსა.
მემრე თუნდა წინ შემოხვდეს, არ გაუმართამს თვალსა,
კარგი ვაჟაკი ქალს უყვარს, რა ეშველება მყრალსა 383

შენმა გარდამ, ძამიავ, დედა სჯობიან ქალსა,
 მთელ ქალაქში არ მივეცემ დედის წარბსა და თვალსა.
 ქალი რუსობის ამყოლი არ დააკლდება ბალსა,
 ტყუილათ შემოგიცინებს, შემდეგ სხვას უზამს თვალსა-
 დამერწმუნე, ძამიავ, დედა სჯობიან ქალსა.
 ვინ იცის, ძამიავ, ქალმა ჩაგიგდოს დარდია,
 ქალი ნარგიზი არის, დედა ძველი ვარდია,
 ვარდი რაგინდ რომ დაქენეს, მაინც კიდევ კარგია.
 მას ემონე და მისთვის ამოიღებდე ხმალსა,
 ყველგან ამასაც იტყვიან, დედა სჯობიან ქალსა.
 ძმავ, ქალი რათ ვარგა; რაცრაცი და ყვითელი,
 ქალი კოხტა-პრეწაა, დედა — დარბაისელი.
 ქალი სულ გაგაციებს, დედა მოგიგდებს ყურსა,
 დამიჯერე, ძამიავ, დედა სჯობიან ქალსა:
 ვით შემოდგომა ტკბილია, მშვენივრათ მოყვანილია,
 ქალი მჭლეობს და ანჩნლობს, მასთანაც გულგრილია.
 ქალში მეტს ვერას ჰპოვებ, მარტო ტყავსა და ძვალსა,
 დამიჯერე, ძამიავ, დედა სჯობიან ქალსა.
 დედა ბადრი მთვარეა, ქალი ნაცრებულია,
 ქალი ნაძრაზი არის, დედა ყველგან გათქმულია.
 მარად დედის სიკეთეს ყველა იტყვის ქებასა,
 ძმავ, შენ იცი, არსად თქო, ქალი სჯობსო დედასა. 384

მალლიდგან გადმამდგარიყო

მალლიდგან გადმამდგარიყო თვალუყუენა თეთრი ქალიო.
 ხელს მიქნევს, ჩემკენ წამოდი, შინ არ არის ჩემი ქმარიო.
 ციხის საგებლათ გავგზავნე, თავს დასცემია ქვანიო.
 მახარობელი მოვიდა: „ქალო, მოგიკვდა ქმარიო!“
 სამახარობლო გავილე სამასი სოლი ცხვარიო,
 იმასაც არ დავაჯერე, გავუგდე ნიშა ხარიო,
 იმასაც არ დავაჯერე, წელს შემოვარტყი ხმალიო. 385.

გალმა კაცი მოუვიდა ქალი მარღულისშვილსაო,
სამახარობლო გაიღო, უღელი ხარი მისცაო. 386

ახმეტური ქალი ვიყავ

ახმეტური ქალი ვიყავ, ახმეტელი მეო,
დედ-მამა რომ მათხოვებდა, ქვეშ-ქვეშ ვიციქიერო.
ბიჭი რომ გვერდით მომისევს, გვერდზე შევხედეო,
მაყრიონი რომ მოვიდა, მძიმეთ მოვიქეო,
უმარილი ბევრი ვისვი, ფერი ვიჭარბეო.
საყდარშია წაპიყვანეს, ჯვარი დამწერესო,
გვირგვინები მოვიგლიჯე, მღვდელს მივათხლიშეო,
საყდრიდან გამომიყვანეს, ცხენზე შემხვეს მეო,
ცხენს ფეხი ამოვუჭირე, გადავაცილეო,
მეფე და მისი მაყრები უკან დავყარეო.
მაყრიონი მამძახიან: „ქალო, გვიცადეო“.
მე მაყრებს ყური არ უგდე, ვაშლი გავკვინჩეო,
სოფლის ბოლოს რომ მივედი, სახლი ვიკითხეო.
საქმრეულას რომ მოვედი, ცხენით გარდმოვხეო,
დედამთილი მომეგება, ტუჩი უბრიქეო,
დედაბოძს შემოუარე, ქილა გავტეხეო,
უდაიროთ ვითამაშე, ბალლი გავქყლიტეო;
აველი, ტახტზე დავჯექი, არ შევირცხვინეო,
პირბადი გადავიხადე, არვისგან ვითხოვეო.
ატმით ღვინო რო დავლიე, პირი ვისველეო,
ერბოკვერცხი რომ მომიწვეს, კარქა შევექეო.
დიდი ლუქმა რომ შევიდე, ბოძს მოვეფარეო.
ქორწილობა რო გათავდა, ქმარს ავეშალეო,
დედამთილი ვჯოხე, ვჯოხე, მული გავგადეო,
მამამთილს წვერი ვაგლიჯე, პირში ვაყარეო.
მაზლი კარებს მოეფარა: „ღმერთო, მიშველეო!“
სამი დღისა პატარძალმა მოვილოგინეო,
ქალაჩუნა ჩემი ქმარი სამკალ გავაგდეო,
ერთი მკვადი მეზობლებში გარეთ უსესხეო.

ასე ვუთხარ: „შენ, ყმაწვილო, ეს იმყოფინეო“.
 საღამოზე რომ მოვიდა, მოვიკრუსუნეო,
 მძიმეთ მითხრა: „რას უწეხარ, მაქაპე რამეო!“
 — „ვინ რა მომცა, რა გაქამო, კარს გაეთრიეო“.
 — „არას მაქმევე, რას მიწყრები, ქვეშ გამიშალეო!“
 ქმარმა წოლა მოპინდომა, წიხლით გავხეთქეო:
 „ემენდა ძველი ნაბადი, კუთხეს მიეგდეო“.
 ჩემი ქმარი რომ გავაგდე, დავჯექ, მოვირთეო,
 ჩემი კურო დავიბარე, კარგა შევექეო,
 დედალ-ყვერული შამოვდგი, ქვეერსა მოვხადეო,
 სიყვარულით გაჰაძლარმა დავწექ, ვიძინეო.
 ჩემი დრო ასე ვატარე, კარგა შევექეო,
 სოფელში ხმას ვინ გამცემდა, — სულ ავატუტეო. 387

ქალი გავთხოვდი ანაო

სოფელო, რა გაგიკვირდა, ქალი გავთხოვდი ანაო,
 ოსმალ თათარს შევეყუყარდი, ჯიბეს ეყარა ფარაო.
 თავის რჯულზედ შამაჰფაცა: „მე არ გაგყიდი, ვალაო“¹.
 პატა ხანი დავაცალე, ვაჭარი მოიყვანაო,
 თეთრი ბევრი დაუთვალა, უზალთუნი და ფარაო,
 ჯიბეში არ ჩაეტია, ქამარში ჩაიყარაო. 388

ქართლიდან წამოსული ქალი

ქართლიდანა წამოსული არი ერთი ქალი,
 ტანთ აცვია დარაია, ლერწამს უგავს ტანი.
 მას იმაზედ წამოუსხამს თეთრი დიბის ტყავი,
 მას იმაზედ გადუშლია შავი გიშრის თმანი,
 მას იმაზედ გადუშლია თეთრი აღაბანი,
 მას იმაზედ შამოუკრამ წკებლა თასაკრავი,
 მას იმაში უბნეგია ქიძისთავი, ლალი.
 ქალო, შენზედ ამიღია ასი თუმნის ვალი,

¹ ლმერთმანიო.

სულ თვალი და მარგალიტი, ზურმუხტი და ლალი.
თუ შემიხვევ, შემიხვიე... (აკლია). 389

მთიულის ქალი ვითხოვე

მთიულის ქალი ვითხოვე, ბრიყვი და გაურდელია,
ორი სარტყელი უყიდე, მესამე ჭიაფერია;
სამივ ერთად გადავაბი, კიდევ ვერ მოუწვდენია.
ის მამაძაღლის გარდილი კამბეჩხედ კიდევ სქელია.
ჩამოსაყვანათ რომ წაველ, ცხენ მამიწყვიტა წელია.
მთიულეთში რომ წაველი, მაჩუქეს ერბო-ყველია,
სულ ერთიანათ დავაშსე ის ქოცოვები ჩვენია.
სულ ასრე ამეეკამა, ძირზედ მეესო ხელია.
დედაკაცებში კვებულობს: „ნიგოზსაც მივაგენია!“
ყმაწვილები დეელახა, საწყალი დედაჩემია,
დეექირა მამაჩემი, გელექრუსა წვერია. 390

მე რომ ღმერთმა გამაჩინა

მე რომ ღმერთმა გამაჩინა, ლხინისათვინ დამარჩინა,
საცა ლექსი გავიგონე, ვისწავლე და შევინახე.
რო ვთქვი, რომ ღმერთმა მიშველა, სამი კვირა ავათ გავხე.
საცა ქალი დავინახე, დავიწვი და დავიდაგე.
ორღობეს ქალმა ჩამომიარა, გავიქე და დავემალე,
როგორც ზოხობს, მახე უგდე.
გვერდზედ რომ გამოიარა, წამოვდექ და გავეზრახე, --
გზის ქვა სულ ჩემზე მოიღო, აღარ შემარჩინა სახე,
მალ-მალე კი იმას მეტყვის: „მამაძაღლო, ეგა ნახე!
ეგ სიტყვა რო გულში გქონდა, პირათ როგორ გამეძრახე!“ 391

პ ა ტ ა რ ძ ა ლ ი

ქალამანი ამოვისხი

ქალამანი ამოვისხი თაგვის მთავრიელიო,
პატარძალი მოვიყვანე ის არ გასარდელიო,

ერბო-კვერცხი შეგვიჟამა, შვიდი ნიტრა ყველიო,
ექვსი რძალი გამილახა, მერე დედაჩემიო,
ერთიც მე ვადმომიჭირა, განზედ გადავხტევიო,
მაშინდელს შეშინებულსა ეხლაც არა მაქვს ფერიო. 392

გიგო, გიგო

გიგო, გიგო ბარაქა,
შენ რომ ცოლი მოიყვანე,
არ გიქებენ თვალათა;
ცხვირპირი დასიებია,
კბილებში აქ ბარაქა,
ქვაბში ნაღებს აღარ უშვებს,
კიღობანში კარაქსა,
ორხობეში კარაქსა,
მეიდანზე ბალახსა. 393

ოსტატობას გვამადლიდი

ოსტატობას გვამადლიდი, გვინელებდი ერბო-ყველსა,
ნულარც არას გაგვიკეთებ, ნულარც არას გვიხლებ ხელსა. 394

წმინდა გიორგიმ დასწყევლოს

წმინდა გიორგიმ დასწყევლოს ეხლანდელი ქალის გული,
მინამ გასათხოვარია, უნდა იჯდეს დაღუღული, —
როდესაც რომ გათხოვდება, მიეცემა დიდი გული;
ქმარი ტყეში წაუვიდა, ხელში მიაგება ცული,
კიღობანს კლიტე დაადო, არავის აქამა პური:
„ჩემი ქმრის მონაგარია, გამოიჩიჩქნეთ ეგ ყური!“ 395

დედავ, დედავ, გამათხოვე

დედავ, დედავ, გამათხოვე, რას მიყურებ, რასაო,
გათხოვდენ ჩემი ტოლები, გაუყენეს გზასაო,

ოჯახს ემსახურებიან, გვერთ უწევანან ქმარსაო;
წყლის წყურვილით იხრჩობოდე, არ მოგიტან წყალსაო.
ყელამდინ ნაგავში იჯდე, არ დაგიგვი კარსაო. 396

ქ ა ლ ი

ქალი ვარ, მქვიან ქალთამზე, ქალური ვიცი ლხინია,
ვაქკაცსა ვეძებ, რას დავდევე, პეტრე ქვიან თუ თინია.

* *

ალალმე, შენი ჭირიმე, დალალმე, გამათხოვესო,
წითელი კაბა ჩამაცვეს. საყდარში წამიყვანესო. 398

• •

წამიყვანეს თამარ ქალი, ზედ ურემზედ დაუსვესა:
„აქამდინ თქვენა გყოლიათ, ახლა ჩვენ დაგვანებეთა“. 399

* *

კაციანთ ქორწილი ქნეს სტვირითა და ქამანჩითა,
პატარძალი შამიყვანეს სარკითა და სადაფითა;
არც მაჩვენეს დილის მზითა, არც საღამოს სანათითა,
მაშინ მაინც დავინახამ. რომ დარბოდეს კალათითა. 400

* *

ქართლისა არაბასაო ქალი უდგემდა ძნასაო.
ქალო, ნუ უდგამ ძნასაო, მოსულა ლეკი ზღვასაო.
„მე ლეკისა არ შეშინის. თუ არა მიჭირს ძმისაო“. 401

• •

მამა-შვილი წაჩხუბულან, შვილი მამას მორეგია.
„რათ მინდა¹ ჯავავის ქალი, ჩიქილა ჩამოფხატული,
ქართლელი ქალი სჯობია, თვალწარბი გადახატული“. 402

¹ მამა ეუბნება.

• •

შენი ყანა, ჩემი ყანა, გუშინ ქალმა შემეყვანა,
სარტყელში ხელი ჩამავლო, შიგნი შიგან შემეყვანა,
ჩემი სიყრმით მონაგარი სუ ჯიბეში ჩაიყარა.
ბეზარს იმან მამეყვანა — იმ ღამეს სხვამ წაიყვანა. 403

* *

საყვარელო, მაცალე, ჯიბე ნუ დამიცალე,
სანამ ფულები მქონდა, დასჯექ და გაიხარე,
როცა გამომელია, წახველ, სხვა გაახარე. 404

* *

შენ რა გინდა, ჩემო ქმარო, მე სხვა ბიჭი გავახარო,
შენ შენი არ დაგაკლდება, მე სხვა კაციც გავახარო,
ჩემი გული არ დავჩაგრო!. 405

* *

რა კარგი ქალი გავთხოვედი მარტყოფიდან ავქალასა,
როცა ბიჭი მომინდებდა, მალ-მალ ჩავრბივარ ქალაქსა,
მიკიტნებდა დაუძახებ, — მელქოსა და გასპარასა,
რუსს ვეტყობდი: „პოდი სუდა!“ იმერელსა: „აქანასა“. 406.

* *

წავალ, წავალ, არ დავდგები, ჩემ ქმარს გავებუტები,
ვინც მიყიდის ხაბარდას, იმას ჩავეხუტები. 407

■ ■

ქალმა თქვა: „ჩემი ლოგინი ნეტამც შარაზე დამეგო,
გამლეღის, გამომლეღისა ყველასი გული მამეგო“. 408

* ■

(ქალს საყვარელი ჰყავდა. ღამით მოვიდა, კედელზედ აფხაქუნებდა და კატურებ.
ქყოდა. ქალი მიხვდა და დაუძახა:)

აცხა, აცხა, კატაო, რას შემომპყავი კარსაო,
მე ჩემი ლომი გვერდ მიწევს, შენ ვინ გაგიღებს კარსაო.

(მამამთილმა გაუგო რძალს და ასე უთხრა:)

უყურე კახბა დიაცსა, რა მეიგონა წამსაო,
კუროს კატურებ აყყავლებს, რათ არ გაუღებს კარსაო. 409

• ■

ქალი ვიყავ ქალაუცი, ტანი ალვად გადავუშვი,
საცა ბიჭი მომეწონა, მომდურავი არ გაუშვი. 410

• ■

საქარას კახბა ქალები: პელანგია და მართაო,
ედუკია და სალომე, მათა მაჭანკლათაო,
დამჭდარან, ასე ჩივიან: ქმრები არ გვივის ქმრათაო,
ვინ ხარ კაცი მადლიანი, მოდი, მოგვძიე მართლაო. 411

ერთი ვინმე თეთრი ქალი

ერთი ვინმე თეთრი ქალი იბარცხნიდა დალალ კავსაო,
სარკეშია იხედება, მოიწონებს თავი თავსაო,
დედამთილი გვერდზე უზის, მაგრა აკრავს თავსაკრავსაო,
თავის მაზლი შემოესწრო: „მოუჭირე მამამკედარსაო“.

— „ჩემო მაზლო, რა გაჯავრებს, მუქთათ ხომ არ ვაძლევ
თავსაო,“

მუჭა-მუჭა ფულს მაძლევენ, შენ მოგიტან, განა სხვასაო!
ჯერ გიყიდი გუთნეულსა, გაზაფხულზე კალოს ხარსაო,
წისქვილსაც დაგიბრუნებ, ღარზე გადმოუგდებ წყალსაო,
კარგ ნაფუზრებსაც გიყიდი, შეუმატე დიდ ზვრებსაო“. 412

მარჯვენა მხარი ამტკივდა

მარჯვენა მხარი ამტკივდა ამ შუა მარხვას დღესაო;
თანდთან დამიწყო ტკივილი, გულმა დაიწყო კვნესაო;

გვერდით დედ-მამა მისხედან, მაყრიან ხოხოშნებსაო,
 სოფელში კაცსა ჰგზავნიან, წამალს იკითხვენ ბევრსაო.
 რაღას მიშველის წამალი საბრალოს მიწის ტყვესაო,
 გამიკეთებენ კუბოსა თეთრსა ტირიფის ხესაო;
 დამდებენ საკაცუხედა, დებს დაუჭერენ კელსაო,
 მამა იძახის „მუხლებსა“, დედა იძახის „წელსაო!“
 წინ კაცებს გამიძღვარებენ, დიაკონსა და მღვდელსაო,
 რო მოვლენ საყდრის კარზედა, წიგნს წაიკითხვენ ჭრელსაო,
 ჩამდებენ სამარეშია, ქვებს დამაყრიან ბევრსაო.
 წითელი გველი მოვალის, მაიღერებდა ყელსაო.
 ჯერ გადამძოვა უღვაში, მემრ ქოჩორს მიჰყოფს კელსაო,
 მარჯვენა თვალი მოსთხარა, გულმა დაიწყო კენესაო.
 ერთი მოვალის სკვის შვილი² მუდამ ბედნიერ დღესაო.
 აყენებს ცრემლის გუბებსა, აქ შამაწუხა წვეთმაო,
 ვინც უგმობს³ ჩემებ სწორები, ვიფიცავ იმის მზესაო. 413

ხ ო რ ვ ე ლ ა

ჩენი ცოდვით მოგვეწია შუა მარიობისთვისა,
 რისთვისა და ამისთვისა, თუ რომ გული გაგვიგებდა:
 არა სწამდა დაჲ ძმასა, მეზობელი მეზობელსა,
 ნათლიობა ნათლიასა, არ ინდობდენ ერთმანერთსა.
 ამისთანა ყოფაქცევა აღარ მოსწონს ქრისტე ღმერთსა:
 „ჩემის ხელით დაწერილი სახარება ძირსა ძევსა.
 მაგრამ შევლენ ბრიყვნი ხალხნი, მას ყურიც არ დაუგდესა;
 რაც თავის ღლეში ენახათ, სულ ეკლესიაში თქვენსა“.
 ამისთანა კანონები აღარ მოსწონს ქრისტე ღმერთსა,
 სთქვა თუ: „ხელი წამოუღსო, სულ გავწყვიტო ამ ერთ ღლესა“.
 ეს ამბავი გაუგია ძირს მარიამ ღვთისმშობელსა,
 აღფრინდა, მცაში წავიდა, ქრისტეს ტახტზედ დაბძანდესა:
 „ჰეი, შვილო, ტკბილო ძეო, რას მიპირობ დედაშენსა!
 რისთვის მიწყვეტ სამთელ-საკმელს, სეფისკვერსა, ზედაშესა,
 თუ ქრისტიანენტ გამიწყვეტ, შვილო, მე რა დამარჩენსა!“
 — „შენ, დედავ ჩემო, ქალწულო, შენ რა იცი ღლეჲ ღლესა,

¹ წამალი ბალახებისგან:

² ცოლი.

³ ნუგეშს მისცემს.

შენ რა იცი, ქრისტიანზედ მე რა ჯაფა გარდამხდესა!
მე ქრისტიანის გულისთვის თავი მივე სატანჯველსა,
მოკვედი და ისევ გავცოცხლდი, ჩავეარდი ურიის ხელსა“.

-- „არა, შეილო, გენაცვალე, — ღვთისმშობელი დაღაღებსა. —
ორი წილი მაინც მომე, მესამედი თუნდ გაწყდესა“.

დასხდენ ორნი, დედა-შვილი, ზეცას ანგარიში ქნესა:
„ცეცხლი მივეთ — არ იქნება, ვაჟ თუ ყველა დაგვეწოსა,
ქარი მივეთ, — არ იქნება, ვაჟ თუ გადგვიყაროს კლდესა,
წყალი მივეთ. — არ იქნება, ვაჟ თუ ყველა დაგვეჩროსა;
შიშის ელდა გავუჩანოთ. იმავ ნიმუტს სული სძვრესა,
თვალით ველარას ხედავდნენ. ველარც ზიარებას, მღვდელსა“.

ცხრა-ცხრა გუნდნი ანგელოზნი ჩვენ ზეცაში შეჰყარესა,
ხელში უჭირამთ ჩანგლები ჩვენი სულის ამამხდლებსა,
აქეთ-იქით გამოგზავნეს, მთელ ხმელეთზედ მოფანტესა.
პირველად რუსეთ გაგზავნეს, რუსის ჯარში შეუშვესა;
სამ როტა ჯარში შეუშვეს, ბლავანი არ გაუშვესა.

ზოგი ხელებს იკლანჭამდა, ზოგი შლიდა მკლავსა, ფეხსა.
ზოგი თვლებს ატრიალებს და პირიღამ ანალელებსა.

მემრე წიგნი გაუგზავნეს ნიკოლოზ ხელმწიფესა:
„ქართლის ცოდო მოგვეწია, ჯარები სულ დაგვიწყდესა“.

ნიკოლოზ კელმწიფეი ტახტზედ იჯდეს, წამოხტესა,
ათი სამთელი დეეკრა, ათივ სულვე ენთებისა,
მინამ ათივ დაიწოდა, ჩოქზედ ეხვეწება ღმერთსა:

„ღმერთო და ჩემო გამჩენო, ქრისტიანი მომირჩესა,
ჩემი ჯარი წამოვიდეს, ქალაქი იქვე დარჩესა“.

წიგნი ჩადეს ფოშტაშია, დაბეჭდეს და დალაქესა,
მინამ ფოშტა მოვიდოდა, მას ხორველა დაარქვესა.

ხორველა რომ აიყარა, ჩაჩანზედ გადმოირბენსა,
ერევანს ეცა ელივით, ყიზლარს აადენენ მტვერსა;
სომხითზედ ჩამოირბინეს, სულ ქერეხივით ყარესა.

ქალაქს წიგნი მოუწერეს, ამ ქალაქის ქემხუდებსა:

„ყველანი დეეშურენით სარჩოსა და ხაზინასა,
თორემ მოდის ღვთისგან რისხვა, ხაზინებ ვინ შეგაქმევსა,
ცხენი არ დაგვივარდება, მანდაც მოვალთ ამ ორ ღღესა“.

მოგვეცემა ღვთის წყალობა. ფაფხური აქვთ სომეხებსა,
ველარც არა ივაქრეს რა, ველარც არა გაყიდესა.

ხუთშაბათ დილა გათენდა, ჩვენ ქალაქსაც მოადგესა, თათრის მეიდანს მოვიდნენ, ბარგი სულ იქა ყარესა. სამ წილათ დადგა ხორველა, სამათ ანგარიში ქნესა: ერთსა ერგო ქაშუეთი, ხევის პირი ჩაუბესა; მეორესა — ავლაბარი, ხიდის ყური ჩაუბესა; მესამესა — განჯისკარი, აბანოებ ჩაუბესა, გარშემოფარგლეს ქალაქი, კაცი აღარ გაუშვესა, ბევრი კარგი ვაჟი კაცი უადგილოს დაარჩესა.

ეს გეუქ ალამ შეიტყო, გულზედ იცემს თავის ხელსა:

„ეს რა საქმე მომხდენია, ვაჟ დედი ჩემის ღმერთსა!“

რალათ უნდა ქარვასლაჲ, სულ ოხრათაც დაურჩესა.

„წავიდე და გავიხიზნო, ხორველა რას მომაგნებსა, ამტენსა სარჩოს ჩავიტან, არც წელიწადს მომინდესა, ნუში, ნუყლი და ქიშმიში ათას ფერათ აყვავდესა“.

დაბლა ჩავიდა სარდაფში, მაგრა აღებს კარებს ძელსა:

„აქა შვილო ხორველაო, აქ ის რალას მომაგნებსა“.

სამი დღე რომ გამოვიდა, იქ ხორველას ისიზმრებსა:

ყიზილბაშად მოეჩვენა, წვერი დაბლა დაუშვასა.

„გამარჯობა, გეუქ ალაჲ“, შორით სალამს მიართმევსა,

„ღვთისგან გამოგზავნილნი ვართ, სად დაგვემალეები დღესა,

შენ რომ კარებ დაგვიკეტამ, ჩვენ ვაკეთებთ გასაღებსა,

იქიდგან ჩამოვიძვრებით, სადაც ვნახამთ სინათლესა“.

უბედური გეუქ ალა შიშისაგან გახეთქესა,

ერთი ანდერძად ესა თქო, რაც ეწადა ქრისტე ღმერთსა:

„ნეტა ეს ჩემი ქარვასლა ახლა ვის უნდა დარჩესა,

მინამ ჩემი სინსილა არს, ხომ ვერავინ წამართმევსა,

ოდეს სინსილა გაწყდება, ეჩმიადინსა შესწირდესა“.

მოჯაჰაგირეს უძახის: „წადი, დამიძახე მღვდელსა!“

სანამ ეს სიტყვა გათავდა, მისი სული ამოხდესა.

მოგვეცემა ღვთის წყალობა, მკვდარსა ყური არ უგდესა,

ქალაქში ჩამოირბინეს, დუქნები რომ დააღესა,

ბაზრის ქუჩაში ჩაუსხდნენ, სულ თხებივით დათვალესა,

ერთ დღესა რამტელი მოკლეს, ანგარიში ვერა ქნესა,

ეს ასრეთი მეიდანს სულ მატყლივით დააგესა.

ქალაქს მელიქ სოლომანსა ბიჭათ ვერვინ აჯობებსა,

დაჟარა რაზბონიკებს, ყველას თავის მომყრელებსა:

„წამოდით, ვნახოთ გეურქა, ცოცხალია თუ მოკლესა“.

წავიდნენ გეურქ ალასთან, სარდაფიდგან ჩახედესა:
 ასეთია გეურქ ალა, ლამის სულით აყროლდესა,
 თავის აღმასის ბეჭედი ნეკის შირს ჩაუყანგდესა.
 იმ მამაძალდ ყარსელებსა კაი ამინდი დაუდგესა,
 რვა თუმანი თეთრი შეკრეს; გეურქ ალა წაიღესა,
 ახლოს ვინლა მიეკარა, ფეხთა ღვლეჭი ჩააბესა,
 საფლავიც კი არ აღირსეს, ერთ ხევეში გადააგდესა,
 რაც იქ ქვა და ღორღი იყო, სუ ზედ მას მიაყარესა.
 ზოგი კაცი ამას ამბობს: „ვაი ღეღიჩვენის ღმერთსა,
 წუთისოფელი რა არის, გუშინ მოველთ, მივალთ დღესა“.
 ბებრები ამას ამბობენ: „ჩვენ ვჯობივართ ყმაწვილებსა,
 ოღონც სული გადაავირჩეს, შვილები თუნდ დაგვიწყდესა“.
 სული ასრეთი ტკბილია, — ნახე გაჭირების დღესა!
 ქალაქს თავარმართებელი ფრანგის ლეკრებს იბარებსა:
 „თავი იცან სატიკვირისა, თორემ სულ გამოგჭრით ყელსა“.
 — „სატიკვიარი ასეთია, წამალს ვერვინ დაადებსა,
 რისხვა არის მადლით ღვთისა, უნდა ყველას გადაგვხდესა“.
 ქალაქს სიონ ღვთისმშობელი ჩვენის ცოდვით ატირდესა,
 შევიდნენ და მოახსენეს ქალაქს თავარმართებელსა.
 შეუტია მართებელმან, მადიანაც გაჯავრდესა:
 „დახე ამა სულელებსა, ეს რა საქმე მიაძებსა,
 ღვთისმშობელს რა აატირებს, თუ ზეთი არ დაასხესა!“
 აიყვანეს ღვთისმშობელი, შალისაგან გახეხესა,
 ყარაულიც მიუყენეს, თუ რომ მართალია ესა.
 ოდეს რომ ვახტი მოვიდა, არქიელი შებძანდესა,
 ხატებს რომ შემოუარა, ღვთისმშობელთან მივიდესა:
 ასეთია ღვთისმშობელი, ვით წყალი გარდაასხესა.
 მაშინ ბრძანა მართებელმაც, დაცლა იყოს ქალაქისა.
 სომხის ტერტერებ გარბიან, მელის სოროს მიაგნესა,
 თავდაყირა შიგ ძვრებიან, — „ჩვენი დარბაზია დღესა“.
 ქართლისა მღვდელი მოვიდა, ფეხებზედ წაავლებს ხელსა,
 იმას ხორველა ეგონა, ფიცხლავ სული ამოსძვრესა.
 ერთ დღეს გაცივდა ქალაქი, ძალი შიგნით აღარ ჰყეფსა.
 ზოგი კაცი ხარებს აბამს, აპეურს ველარ უქერსა,
 ზოგი კაცი ცხენზედ ჯდება, საბელს ველარ აიყეცსა,

ზოგი კაცი ისრე გარბის, ცოლ-შვილს თავსა ანებებსა:

ზოგი გაივლ-გამოივლის, ყურთმაჯებსაც შეიყრისა,
შემოეყრება ხორველა, წინ პირდაპირ შესცივებსა:

„გამარჯობა — გაგიმარჯოს, მოდი დავიჭიდნეთ ღღესა“.
ერთ ხელს კისერში გადახვევს, ერთით იღლიაში სწვდესა.

აიყვანს და დაახეთქებს, როგორც ძერა წიწილასა,
სამი დღის სავალს გასტყორცნის, სული ძირს აღარ დაჰყვესა..

ზოგიერთა ქემხულები ქირით იჭერენ ღროშკებსა:

„ჩვენი მკვდარი დავმარხოთ და — ვილა ეძებს უცხოებსა“.

მედროშეები ამბობენ: „ღღეს ჩვენა ვართ განსაცდელსა.

ამისთანა მოგებაჲ არ უნახავს მამას ჩვენსა,

შვილო, თუ დავიხოცებით, ჩვენ გავიტანთ ერთმანეთსა“.

გაიტანეს ქემხულები, ავლაბრის ხიდ ქვეშ ყარესა,

ზოგი წიბლსაც მიაზელდა და ნიშნსაც კი მოუგებსა:

„აცა, შვილო ქემხულებო, აგრე გირჩევნიათ თქვენცა,
მთელებსაც აღარ გვაძლევდით, მოგვიყრიდით ნამტვრევება“..

მემრე წიგნი გაუგზავნეს, ამ გორელებ-ქემხულებსა:

„ყველანი დეეშურენით სარჩოსა და ხაზინასა,

თორემ მოდის ღვთისგან რისხვა, ხაზინას ვინ შეგვაჰმევესა,

ცხენი არ დაუვარდებათ. მანდაც მოვლენ ამ ორ ღღესა“.

ქართლში ერთი სოფელია, მას რუისი დაარქვესა.

გამჩენი ღმერთი გაუწყრა ფიცხელაურ არქიელსა,

ოღეს ის ღროშკით მობძანდა და წირვაზედ შევიდესა;

მინამ წირვას მოისმენდა. იქ თორმეტი წაიქცესა.

ზაქარია მამაცოვი ელაღადებოდა ღმერთსა,

მოიხადა ოქროს მიტრა, შიგნით ტრაპეზზედ დასდებსა.

ოღეს წირვა გამოვიდა, დაჰპატიებეს თავადებსა,

ბოლოს ღროს გათავეებისას შემოუძახა ბიჭებსა:

„რას მირიგებთ ეხლა თქვენა, რათ არ მომგვრით იმ ჩემ

ცხენსა.

წავიდეთ ზემო ქართლშია, ვაწირვინოთ იმათ მღვდლებსა“.

სალოლაშენს მიატანეს: „რა ექნა, ჰრელათ ვხედავ მზესა,

გამოვბრუნდე, აქ არ მოგვედე, მე ვეღარ ვიცოცხლებ ბევრსა“.

— „ნუ გეშინიან, ბატონო, კიდევე ღმერთი გილხენს შენცა,

ვაჟიშვილი ხომ არა გყავს, ხომ არ მოუტია ღმერთსა“.

ქრისტემ ღმერთმან გადმოხედა: „ყარვი კაცი მოდის ესა!“

აქაც კარგი კაცი იყო, იქაც კარგათ მიიღესა.
ეს ანბავი გაუგია უუენიაშვილ შიო მღვდელსა,
მოვიდა და თავს დაადგა, თვალებიდან ჰყრიდა ცრემლსა,
ტირილიც აღარ დასცალდა, ფიცხლავ წვერში შეუძვრესა,
ანდერძიც კი ველარა თქვა, — ვერ დააცდევინა მტერსა. 414



ხორველამ სთქვა: „ცასა წაველ, მსხალი მოვქამე მალათში,
ახლა იქიდამ გიახელ, ჩამოველ თბილის ქალაქში;
შავხედე გეურქ აღასა, მალლა ბძანდება ჩარდახში,
ცეცხლივით შემოურბინე, შიგ ჩამოვაგდე სარდაფში.
სუდარა ველარ მოასწრეს, შიგ შაახვიეს ფარდაგში“. 415

ც ხ ე ლ ე ბ ა

ნახე რა მიყო ცხელებამ, როგორ ჩამიგდო ხელშია,
ქურდულად შამომეპარა. ცივად გამიჩნდა წელშია,
მუხლებში ძალა წამართვა, აღარ მაქვს ღონე ხელშია,
სუყველამიდ გამომსხლიტა, მოყვარესა და მტერშია,
ველარსით ველარ წაუვედ, ხელი ჩაჰკიდა წვერშია.
„რას ლაპარაკობ, გრიგოლა, ჭკუა ვერ ვნახე შენშია;
რატომ არ მიფრთხილდებოდი ამ მარიობისთვეშია,
ეს ორი თვე ჩემი არის, ეს მიქნია ჩემ დღეშია,
საჭმლის ნდოძას დაუქარგავ, ვისაც ჩავიგდებ ხელშია,
ფერსაც და ხორცსაც წავართმევ, ვით მოხარჩული თხლეშია.
გარს სიცხეს შამოუკიდებ, ცივად მოვკუტავ წელშია“.
ცხელებამ გული მოიცა, მალ-მალ იძახის ქადილსა:
„მე იმას ვიზამ, იცოდე, რომ ველარ სჭამდე სადილსა,
სულყოლიფერს დაგიკარგამ მე შენი გულის წადილსა,
საწყლად დაგაგდებ სოფელსა, შენთვის ზარშამდენ
წანდილსა“.

— „რას მეშფოთები, ცხელებავ, რატომ აღარ შეგებრაღე.
რათ მომაშორე სოფელსა, რისთვის მომკალ ათე მალე.
ჩემის შეწუხებისათვის ღმერთთან იყავ შენ მოვალე!
ამ მარიობისთვეშია ავათმყონფი მოამრავლე,

ავით არიან ყველანი, ლხინი თავზე გარდაავლე,
 ზორცად დამაგდე ეს არის, სიცხე მეტად მოამრავლე.
 გთხოვ, რომ გამიშვა, ცხელებავ, მომეცი ცივი ოფლია,
 ხომ ხედავ, უპატრონო ვარ, მარადის ვტირი მეთქვია,
 მე და შენ ვსჩივით ქალაღლით, ამ ჩემ საჩივარს რა ქვია,
 მუდამ შენ სიცხეს მიმატებ, არ ქენი ჩემზედ ხათრია,
 შენ შერცხვენილო ცხელებავ, ჩემსკენ ვინ წამოგათრია?“
 — „რას ლაპარაკობ, გრიგოლა, რომ არ ისწავლე ჰკუთავო,
 რომ არც ფიქრობდი, რათ იყავ, რათ იყავ აგრე ყრუთავო;
 ვიცი, შენ ამას ფიქრობდი, მაინც ცხელება ტყუავო,
 ბოლოს გისუსტე, ძირს დაგეც, ყელში ჩაგაბი ძუთავო,
 ასე გაგხადე, საწყალო, სულ აღარსად გაქ ჰკუთავო“.
 --- „თავსლათ დასხმულო ცხელებავ, აწ ჩაჯექი ბუღეშია.
 უპატრონო არ გეგონო, ყველა ჩემი ნუგეშია,
 ლაზარე ჩემი მოწყალე წყალსაც მასმევს სიცხეშია,
 ავანთყოფის მისებრ მოვლა არ მინახამს ჩემ დღეშია,
 გული აქვს ერთობ საწყალი, ვენაცვალე გამჩენშია.
 აწი მიფრთხილდი, საწყალო, თორემ შეგიშლი ფერსავო.
 პიოლაპირ უნდა შეება, თუ რომ ბიჭი ხარ, მტერსავო,
 ქურდულეხ დაიარები, ვერავინ გკიდებს ხელსავო,
 კაცს სიცხეს მისცემ ცოტათი, მასუკან ატკენ წელსავო.
 ხელსა მოგკიდებ, მე ვიცი, გაგიხდი მამის ყელსავო“.
 — „რამ გაგაბრიყვა, გრიგოლა, მაგინებ მამის ყელსავო,
 თუმც გაზაფხული მოვიდა, მაშინ მოგკიდებ ხელსავო,
 ვკონებ შენ აღარ მოელი იმ მარიობისთვესავო,
 რათ აღარ გახსოვს, საწყალო, დაგაწყებინე კენესავო,
 წყალსაც რომ სვამდი ნიადაგ, ვერ ისოლებდი ყელსავო“.
 გრიგოლამ უთხრა ცხელებას: „აწ ვერას მიზამ შენავო,
 აწ წამლებს დავლევ იმოდენს, ველარ დათვლიდეს ენავო,
 ჭულაბს ავიღებ, იცოდე, ეგების მომცეს ლხენავო,
 კიტრსა და ნესვისა აღარ ვჭამ, თუ რომ შევატყვე წყენავო“.
 ცხელებამ უთხრა გრიგოლას: „გაბრიყვებულხარ შენავო,
 ეგების მართლა გეგონა ზაფხულის კიტრის წყენავო;
 შენ საწყალო, გატყუებდი, მე მინდოდა შეცდენავო,
 კიდევ მინდოდა აწი მე შენი თავი მეშოვნავო,
 ისეთი სიცხე მომეცა, სულ დამესერა ენავო“.
 416

ჩემო ჩინგურო, დაუკარ, თორ ვიცი ოფლის დენაო, იგილებ და ქვაზე დაგკრამ, ჭალეებმა იწყოს ფრენაო. „აი, შენ ჩემო პატრონო, ჩემთან გიძს დიდი ენაო, აბა ერობაჩი გადი, თუ ვინდა სისხლის დენაო“. ამოვედი ერობაჩიც, — ჩურჩური არის ჩემიო: „მაგას ხელი არვინ ახლათ, მაგას ჯაბარა! სჭირსაო“. ახლა გამიგეს ჯალაბთა, აგაც იღბალი ჩემიო, ცალკე დამიდგეს ბაკანი¹, დამისაკუთრეს ძარიო², კუთხჩი გამითნეს ცეცხლანი, კერაჩიც ნულარ ხარიო, ერთი გონჯი ფური მამცეს, უშობელ-დეკეულიო. 417

სულ-ხორცის გაყრა

სულ-ხორცის გაყრა ვიფიქროთ, სათქმელათ საზარელია, მეტადრე ცოდვილისათვის სულის ამორთმა ძნელია. დააგდო ფეხის ფჩხილები, ბაგეს უცვალა ფერია, მე რომ მოწყალე არა მყავს, გულზე მამისევას ხელია. ხორცი სულსა ეუბნება: „რათ არ გიმძიმს გაყრა ჩემი? სინანული არ მადროე, ჯერ არ ვიყავ მოსაშლელი. ნეტავი, სულო, ჩემთანა სამ დღეს კიდევ მოგეცადა, ცის ვარსკვლავი შემკობილი ჩემს თვალს კიდევ გაეცადა!“ მაგრამ სული ამოსული ჩაბრუნებას არ ეცადა, აღარ არი სათუოში, წავიდა და გაემზადა: „რაც მე მძულდა, შენ გიყვარდა, იმისთვის რათ მომეცადა?“ ერები ჰკითხვენ ბერებსა: „სად არი მოლოზანები?“ — „ქვეშენელს არიან, ჯოჯოხეთს, ამოსდის კუპრის ალები“.

418

არავინა მყავს პატრონი

არავინა მყავს პატრონი, გულზედ მომისევას ხელები, მაშინ რას გამომადლება, თუგინდ რომ მყვანდეს შვილები!

¹ მუნი.

² ჯამი.

³ საწოლი.

მოუხაროდეს ეშმაკსა, მოჰქონდეს ხელწერილები,
სხვადასხვა ცოდვის ბარათი ეჭიროს დაბლუჯულები,
სულის ამოსვლას ჩქარობდეს, მწარედ ეკრიჭოს კბილები.
აჩქარდი, სულო ცოდვილო, ხანი არა ჰყავ გვიანი!
შენ ჩემთან შეტკობილი ხარ, გონიერი და ჰკვიანი.
— ნუღარას მეტყვი ტყუილსა, გულსა ნუ ამიჩქარებო,
შენ ასეთ საქმეს მიპირებ, სამკვიდროს გამიმწარებო. 419

სიკვდილმა თქვა

სიკვდილმა თქვა: „შავ ზღვას ვზივარ, ზღვა ჩქეფით ამოვიარე.
ცხენზე ვზივარ თუ აქლემზე, კმელეთი შამოვიარე;
დავხედე, ეგრე ყვაოდეს, როგორც რომ ვარდნი, იანი,
დაუდე, ეგრე დავთიბე, როგორც რომ ცელმა თივანი.
ბევრისა დედა ვატირე, ბევრისა ცოლი თმიანი,
ბევრისა დანი დავყარენ, ის დანი გულნაღვლიანნი,
ბევრის ფრანგული შავკიდე, ფრანგული სამღარიანი,
ბევრის მაჟარი შავკიდე, მაჟარი პირცეცხლიანი,
ბევრის ლურჯაი დავაბი, ლურჯაი პიროფლიანი,
დავჯე და ტყავნი შავკერე სულ მსზვილის ვაჟაკისანი,
მამრე სახელნი გარვაბენ სულ წვრილის ყმაწვილისანი“. 420

სიკვდილი და სიცოცხლე

სიკვდილმა უთხრა სიცოცხლეს: „სიცოცხლე, ჩემი ყმა ხარო,
როცა ჩემი ნება არის, შენი თავი ხელთა მყავო,
არც სელმწიფე გამაჩნია, არც ბატონი, არცა ყმაო.
პირველათ მიზეზ მოგიდებ, სიცოცხესგან გაგთანგამო,
ბოლო დროს მოგცემ სიცხესა, გონებიდან დაგეარგამო,
პურის მადას დაგიკარგამ, ზეზეულათ გაგტანჯამო,
მეზობლები კითხულობდნენ: «ახლა როგორ შეიქნაო?»
საწყალი შენი პატრონი ცხარე ცრემლით ატირდაო:
«უარ და უარ წავიდა, ბატონებო, რაღა ვქნაო,
ყურთა სმენა აღარა აქვს, ენაც ეხლა ჩავარდაო».
აკი გითხარ შენ, სიცოცხლე, ბოლოს შენსას დაგმართამო,
თვალ სინათლეს მოგაშორებ, შავ მიწაში ჩავმარხამო, . . .

იაგონდის მიწათ გაქცევ, ადგილ ვერ დაილახამო,
შენი გულის საყვარელსა ჭირისუფლათ დავისვამო,
იმას სულ შავებში ჩავსვამ, სამძიმრისთვის მოდიანო“.

ახლა უთხრა სიცოცხლემ: „სიკვდილო, ღმერთსა ვფიცავო,
შენ რომ მე გამხლი ავათა, მაშინ ვახსენებ უფალსო:
«იესო, ძეო ღვთისაო, ანგელოზებო ცისაო,
ერთობრივ დამეხმარებით კახეთის მონასტრისაო».

თუ ღმერთი ჩემი შექნა, სიკვდილო, ვერას მიზამო,
დაგწყევლი ღვთისა პირითა, სახლშიაც შემოვხიზნამო,
გზას და სავალს დაგიწყევლი, თუ სხვას ველარას გიზამო“.

ახლა უთხრა ამ სიკვდილმა: „ხელს არ მოგცემს ჩემი ბრძოლა,
ათასი რომ რაც გინდა ქნა, ვერ გამოხვალ ჩემი წონა,
წაგაწვენ, ამტენ გაკვნესებ, მოგეწყინოს გვერდზე წოლა.

თვის ტომებში გამოგარჩევ, აღარ იყოს შენი ყოლა,
მოვალ, ერთსა მიგცემ ვისმე, ვით შეკრული ვარდის კონა.

ბევრი ხატი დაიარე, სიკვდილისგან არ გეშველა,
ტირილითაც ხომ გატირე, მაგრამ ვერა შეგეტყო რა.
სული ზეცას გავისტუმრე, ლეში მიწამ დაგიმძორა“.

ახლა უთხრა სიცოცხლემ: „ნეტა, სიკვდილო, რა ხარო.
საცა რომ გაიგონები, ვაი რა ცუდი ძმა ხარო,
საცა რომ ჭირი გაჩნდება, შენ იმ სოფელში დახვალო,
არ გინდა დაპატიჟება, სახლში ქურდულათ შახვალო.
რომელსაც რომ არ მოარჩენ, იმისთვის ღვიძლი ძმა ხარო,
და რომელსაც რომ მოარჩენ, იმისთვის უფრო სხვა ხარო.

დაგწყევლის ჭირისუფალი, «ეგრემც უკულმა წახვალო».

ღვთისგან წყეულო სიკვდილო, ხორციელობის ლახვარო.
ბებრებ ძალიან ინახამ, ყმაწვილებ გაგვილახამო,
დროულაა და ახალგაზდას რატო არ დაინახამო,
მოგვიშლი ახალგაზდასა, ბებრებ კი შეინახამო;
თუ ღმერთსაც არა სწადიან, გატრუებული წახვალო“.

• •

სიკვდილმა უთხრა სიცოცხლეს: „სიცოცხლე, ჩემი ძმა ხარო“.
— „მე შენი ძმა რათ ვიქნები, შენ პირქვე დასამარხავო!
დადინხარ ჩუმათ სოფლებში, ქურდულათ, ჩუმათ დახვალო,

ჩველ ვაჟაკებს დაგვირჩევ, ბებრებს კი შავინახამო.
სიკვდილო, თავსაც არ მოგცემ, თავიც რომ ქვაზედ ახალო!“
სიკვდილმა უთხრა სიცოცხლეს: „შენგან მაქვს ბევრი გინება,
მაქ ყური მოყრუებულნი, რაცა სთქო, არ მეწყინება,
რამ შაქმნა ცა და ქვეყანა, სიკვდილიც იმან ინება“. 422

ამ დალოცვილსა სიკვდილსა

ამ დალოცვილსა სიკვდილსა ვერსად ვერ დავემალა,
გავიქცე, — ვერსად წაუვალ, ცხენი ყავს მეტად ჩქარია;
წაველ და კლდე გავაქეთე, იქ შავათარე თავია,
მოვიდა, იქაც მიპოვა: „შენ გმართებს ჩემი ვალია“.
შე დალოცვილო სიკვდილო, როდისა მოგე პირობა?
კვირაძალ სანთელ გინთებდი, პიჯვარ ვიწერდი შენზედა.
თუ რომ შავხვდები, მე ვიცი: დედას ვატირებ შენზედა. 423

როსტომ თქვა

როსტომ თქვა: „სიყმაწვილეში ია მოვკრიფე და ვარდი,
საცა იყვის მძივე ომი, თავს მოვხვდი, ბოლოს გავარდი.
ვაი შენ წუთისოფელო, ბოლოს ამ ალაგს ჩავარდი!
თავს მომდგომია სიკვდილი: «ადექ და ჩემთან წამოდი!»
არ იხდის შიში სიკვდილსა, არც დიდის კაცის შვილობა,
არც ჯავრი იხდის სიკვდილსა, ცუდია გატეხილობა“. 424

დედავ და მამავ

დედავ და მამავ, მე ნულარ მელი,
ცოცხალი თავით ვერ გიახელი,
უცებ მამეცა სიკვდილის ძილი,
ალარ ვინდომე ძმებისგან წილი.
რომ ჩამატარეს, დაჰკარეს ზარები,
თავს დამეხვიენ ტოლნი ჯარები;
გადმამდგარიყვნენ ქალნი და რძალნი,
ზოგი იძახის: „ცოცხალ თუ მკვდარი?“.
ზოგიც იძახის: „ვაჰ შენი ბრალი!“ 425

ვენახი კარგათ მოვრთვეი წმინდათ დათლილი სარითა,
 თოხნითაც კარგათ დაეთოხნე, წმინდათ დავებარე ბარითა.
 დაისხა მსხვილი მტევანი, ცისკენ ასწია რქანიცა,
 გუნებით აგრე ვამბობდი: „ამოვალ ჩემი ვალითა!“
 დავალ და ვხარობ ვენახში, არხეინათ მაქვს გულია.
 მთისკენ ამოჩნდა ღრუბელი, ცას მოეფინა ბურია,
 ამ დღეს იყო ეს საქმე, რო შუადღე იყო სრულია.
 შავათ დაბურა ღრუბლებმა, თან მოჰყვა ნიაღვარია,
 იქურხა ერთი საშიშრათ, გულს ეცა, როგორც ხმალია.
 სეტყვა დაუშო სხვილ-სხვილი, თავს დამაქცია ბანია,
 მოვარდა სეტყვისა წყალი, შამამივარდა ღვარია,
 დამიწიოკა ცოლ-შვილი, ღმერთმა აღარ შემიბრაღა,
 ქვეყანა დააწიოკა, საყდარს დაღეწეს ზარია,
 დავიჩოქე და ვევედრე, ავანთე კელაპტარია.
 ყურძენიც გააყრევინა, თან გააყოლა რქანია,
 ქვევრებს უმზადებდი სხვილსა, არ მომივიდა ცვარია.
 გუნებაში კი ვამბობდი: „გავასისინებ ნავსაო“,
 დახე ცოდვისა კითხვასა, ღვინოც არა მაქვს მსხლავსაო. 426

რ თ ვ ი ლ ი

უფალმა იესო ქრისტემ ქვეყანას ხელი დარია,
 მაისში თოვლი მოვიდა, დასცა იანვრის ძალია,
 თიბათვემ რთვილი გააგდო, ვაი ქვეყანა ბრალია,
 ვენახები წაგვიხდინა, ლობიო ხო დამძრალია.
 სიმინდი ბევრი მოვიდა, ყველას უდგია ზარია;
 ამ უცოლშვილო ბიჭებსა ცეცხლზე დაუსხა წყალია:
 „ახლა რილათ ვქნათ ქორწილი, რით გავახილოთ თვალია!“ 427

თოვლი ხევსურეთში

აი ყაროხტისშვილები სამკვიდროებ დაწირესა,
 გამაუღდა ეშმაკები, ცის ვასკელავი დასწილესა.

საგულებიჩი¹ წამოვიდეს, მანდ თივეები დაცხვირესა:
 ხორგნი, ხორგნი² ქევებზედა, კაც გამოვა საკვირელსა!
 მაქეთენკე რა შეგაწყინეთ, უფალო ილეთიანო!³
 მა შენად სალოცავათა ბარე საქონდე დიანო,
 საკენკე შაის ყურეზე ადიან-ჩამოდიანო,
 კელში გავ ქიანურები, სამაიაჩი ღბიანო;
 ა მაგათ მეუფროსესა, მეც ვიცი, ლიკო⁴ ხქვიანო,
 თუ ქიდ წადი და იკითხე, კბილებზე იცნობიანო.
 ახედვენ დათვისელები: ვაიმე ჩემნო თივანო!
 ჩალით დაგყვება ძროხათა, ლურჯავ, რა გიყო ტიალო!
 აღარც ვინ მგზავრი მოვიდა, ქევსურებ რას ჩადიანო?
 დათვისელნ შეიყარენით: ქადაგებ რას გეტყვიანო,
 ღვთის შვილებ რას გიბძანებენთ, ხატებ რომ გამადიანო?
 შენ რას გვეტყვი, ქაშხელაო, სოფლის უფროსო კქვიანო?
 ავდგეთა და იქ წავიდეთ, საცა დოლოშა ხქვიანო,
 აი მათ ახლოაშია ნაბდის ქუდაით დიანო,
 საკალოესა არ უკლავ, ურმითაც მიდ-მოდიანო,
 ქერის პურს აღარ კადრობენ, იფქლის პურსა ხლეჩდიანო. 428

ე ოხერი სთველ მოვიდა

ე ოხერი სთველ¹ მოვიდა: თოვლ ჩამოღის ცაჩიგითა.
 გადმოვიღე ფანდურათა, ლაშთ ავირთხამ შაშვივითა,
 სიტყვა ალეგვა ვაციო, შიბაიანს თათივითა²;
 ხანღან ვიქნევ ქევსურათა, ხან გავხდები კახივითა,
 რახან ქალი მამაგონდეს, მაჰედების ნავთივითა,
 სადაც გზაჩი შევიყრებით, ჩავიხერგნეთ დათვივითა. 429

მზის დაბნელება

მეცნიერები დადიან, ანგარიშს კრეფენ ცისასა,
 სოფლებში გამოაცხადეს: „დაღამდეს შუადღისასა“.

¹ მოფარებული ადგილები, სადაც თივას დასდგამენ, რომ ზვავია არ წაიღოს.

² ღიღი ყინული.

³ მოსაწონი, სასიამოვნო.

⁴ მაზრის უფროსი კიკო ჩოლოყაშვილი.

⁵ მთაში სთველს შემოდგომას ეტყვიან.

⁶ ზოლიანი წინდა.

სოფელი დიდათ შეშინდა, დაემთხვა დედამიწასა,
ზოგ-ზოგი ერთად დადიან, ზოგი მიდიან მღვდლისასა:
ეგებ მღვდელმა გვიპატრონოს, წიგნებს კითხულობს ღეთისასა!

430

ცა ზა დედამიწა

იმ უფალმა გაგვიჩინა ჯერ ვაზი და მემრე სარი,
ეგეთი უნდა შეეკაზმით, როგორც რომ მორთული ქალი.
ხანდიხან გაგვიგიედება ის ელია წინამძღვარი,
ცაში ღრუბელი დაიძვრის და წამოვა ნიაღვარი.
ჩვილი ყლორტი ჩამოჰყარა და დაადგო ხმელი სარი,
ყოველივე მაშინ ვამბობთ: „ვაი ჩვენი ცოდვის ბრალი,
ცოცხალი რითი დავრჩებით, რითი მოვიხსენოთ მკვდარი!
წმინდა ელია ვახსენოთ, მას აუნთოთ კელეპტარი“.
ელია რაღას გვიშველის, თუ რომ ღმერთი მწყურალათ არი.



შეიბნენ ცა-დედამიწა, მოჰყენენ თავთავის ქებასა.
ცამ უთხრა დედამიწასა: „რათ მეტყვი ქებით მაგასა,
მე რომ მასკვლავებს დავისხამ, შენ რას ნახამ იმის ფასსა?“
დედამიწამ უთხრა ცასა: „რათ მეტყვი კვებნით მაგასა,
მე რომ მიწას ავაშწვანებ, შენ რას ნახამ იმის ფასსა?“
ახლა ცამ უთხრა მიწასა: „რათ მეტყვი კვებნით მაგასა.
დაგიბნელებ მზეს და მთვარეს, რას გაიგებ ქვეყნისასა?“
დედამიწამ უთხრა ცასა: „რათ მეტყვი ქებით მაგასა,
მე ავანთებ კელეპტარსა, დავინახამ ქვეყანასა“.
ახლა ცამ უთხრა მიწასა: „რათ მეტყვი კვებნით მაგასა,
მე რომ ზეციდამ ნამს უშვებ, შენ რას ნახამ ამის ფასსა?“
დედამიწამ უთხრა ცასა: „კვებნით ნუ მეტყვი მაგასა,
მე რომ კარგ პურსა მოვიყვან, იმითი დავარჩენ ხალხსა“.
ახლა ცამ უთხრა მიწასა: „რათ მეტყვი ქებით მაგასა,
ასეთ გვალვას გამოუშვებ, სულ გადავწვამ მთა და ბარსა“.
დედამიწამ უთხრა ცასა: „რათ მეტყვი კვებნით მაგასა,
უალაგო ალაგასა გამოვიყვან წყაროს წყალსა,
ძირიდგან მივცემ სიგრილეს, ყანას დავასხამ თავთავსა“.

ახლა ცამ უთხრა მიწასა: „ქებით ნუ იტყვი მაგასა,
ელვა-ჭექას გამოუშვებ, გაგისწორებ მთა და ბარსა“.
დღემიწამ უთხრა ცასა: „რათ მეტყვი კვებნით მაგასა,
შენ ელვა-ჭექას ვინ მოგცემს, თუ ზღვიდგან არ მოგცემ
წყალსა?“

ახლა ცამ უთხრა მიწასა: „ქებით ნუ იტყვი მაგასა,
მზე და მთვარე ჩემ პირზეა, მე ვანათებ ქვეყანასა,
დღისით ხველაზე დავდივარ, ღამე შამოუტრებენ ცასა“.
ახლა მიწამ უთხრა ცასა: „ქებით ნუ იტყვი მაგასა,
მე რო ვენახ გაეკეთებ, იმითი დავათრობ ხალხსა,
ზედაშათ მე წამილებენ, ჩემით ახსენებენ მკვდარსა“.
ახლა ცამ უთხრა მიწასა: „ქებით ნუ იტყვი მაგასა,
ასეთ სეტყვას გადმოუშვებ, თაეზე გადაგამგვრეე სახლსა“.
ახლა მიწამ უთხრა ცასა: „ქებით ნუ იტყვი მაგასა,
ხეთის ამარა ფუტკარი მყავს, ჩამოვასხამ კელეპტრებსა,
გაჩენელ შავებვეწები, გავაქარვებ შენ სეტყვასა“.
სამი ჩარეჟით აჯობა დღემიწამ ზეით ცასა*. 431

თ ვ ე ე ბ ი

იანვარი გვესტუმრა ახალ წელიწად დილასა,
მასპინძელს კარგად იამა, სტუმრებსაც მოუღვენსა;
ძველ ანგარიშს მოუყობა იმ ქრისტეშობისთვისა,
ანგარიშებს დაურიგებს დღესასწაულის წელსა.
ქორანიკონს განუცხადებს მწიგნობარსა და მღვდელსა:
ამ მომავალ წელიწადში ხალხს წაუკითხე ესა.
ნათლულებს მოიპატიეებს იმ ნათლისღება დღესა,
ეპისკოპოსსა შემოსავს, ყოველგან წყალს აკურთხებსა,
მოვა და სადილს მიართმევს, ნათლულებსა მოუღვენსა,—
„ჩემთან ვერა თვე ვერ მოვა, ტყუილად რად იბანს ხელსა“
თებერვალი რომ შეიტყობს, ფინთად დაუშობს წვერსა:
„უყურე ამ მყრალ იანვარს, ამ ბრიყვსა და საძაგელსა,
რაც რომ ცუდი ზამთარია, სულ მისაგან გამოდისა,
კაცი არაფელს აკეთებს სმისა და ჭამის მეტსა.
წიგნი და დღესასწაული გაუჩენია ღმერთსა,
ეგ რა მისი საქმე არის, ტყულად რად ჭამს ამ ჩემ ნესესა,

ყველა თვე ჯობს იმას, მაგრამ ათას ფერად ჯობეარ მეცა,
მუშა კაცსა განვახარებ, რომ მოუმატებ დღესა,
ყოველ ნაყოფს განვადვიძებ, წყალს ჩაუყენებ ხესა,
წირვა-ლოცვას შევყავარებ მწიგნობარსა და მღვდელსა,
მე მარტს ნურავინ მადარებს, იმ ბრიყვსა და საძაგელსა“.

ამას მარტი რომ შეიტყობს, დანით გამოიჭრის ყელსა:
„ვის უბედავ, თებერვალო, შენ ვის კადრებ «საძაგელსა».
შენ ჩემზე მეტი რითი ხარ, [გამოუწყადი] დედაშენსა!
ყოველ ნაყოფს ავაყვავებ, ბრეწოულის, ლელვის მეტსა,
საქონელს ავათამაშებ, რაც რომ უნდა იყოს მკლეცა,
მსუქან-მსუქანს თქვენ გიტოვებთ, მე დავიკლავ ძლიერ
მკლესა,

თუ სადმე ტანში უდგია, მუნსაც გამოუჩენ ცხენსა.
ცოტა გულფიცხი კაცი ვარ, მალ-მალ გამოვიცვლი ზნესა,
დღეში სამჯერ გავთოვდები, სამჯერ გამოვიყვან მზესა;
ჩემს სიმართლეს თქვენც კი ხედავთ, პირად ვამბობ
ყორიფელსა.

აპრილი რაღას აკეთებს, რომ იწმინდავს ულვაშებსა?“

ამას აპრილი შეიტყობს, ულვაშებს გადაიგრებსა:
„ბეჩა მარტო, თუმცა ამბობ, რომ შვილი ყავს დედაშენსა,
მე ჭამაში არ დავიჯდენ შენისთანა ჭკუათხელსა,
დღეში ასჯერ გავიყდები, ასჯერ გამოიცივლი ზნესა,
წელიწადში არ იტყვიან შენისთანა მყრალსა თვესა“.
მიბრუნებულმა მარტმა სთქვა:

„რადგან ასთე კი ვყოფილვარ, გავარიგებ შენ საქმესა,
რადგან არაფელს ვაკეთებ, გაცემინებ თავში ხელსა,
ასე მოვწვავ ყოველ ნაყოფს, სათესური არ დარჩესა“.

ამას აპრილი შეიტყობს, გუნებაში იფიქრებსა:
„მაგდენი ჭკუა არა აქვს, მართლა ქე არ გაბრიყვდესა!
მარტო, მართლა არ გაბრიყვდე, ვიხუმრე და გავრიგდეთა,
მწუვანე ბალახს ამოვიყვან, მუნიან ცხენს მოგირჩენსა“.
მარტმა სთქვა: „მე ხვალ მივდივარ, თვარ მორჩება, ამ ჩემ
ფეხსა,

გინდა მუნი მოურჩინე, გინდა შეაქამე მგელსა!“

აპრილი გამობრუნდება, თავის საქმეს არიგებსა:
„ყანები დასახნავი მაქვს, დაგვიანდა ბამბის თესვა“.

ორშაბათს მოდის მაისი, ჩოხის კალთას გარდიკეცსა,
მუშას ყანაში აგზავნის, ხარებსაც წინ გაიგდებსა,
ზედ კავ-უღელს გარდაადგამს, არ დატიებს ფარცის წკნელსა,
მესადილეს დაუბარებს ლობიოს ღა ლომის თესლსა,
ქალებს ფურცელზედ გაგზავნის ახალგაზრდა პატარძლებსა,
„ბებრებო, თქვენ შინ იყავით, არაფერი წაგვიხტესა!“
მუშა კაცებს გამოუვლის: „გამარჯობა თქვენს მარჯვენსა,
აჰა. შვილებო, მივდივარ, მიგანდობ თქვენ თიბათვესა“.
გაცხარებული თიბათვე, მხარზედა ადევს ცელია:
„გამოშიპირე თოხები, ნამგალი, სათიბელია,
ხვალისათვის ნადი მინდა, ყანა მაქვს სამარგელია,
ქალაქში უნდა წავიდე, თხაი მყავს საყიდელია,
სადილ-ვახშმით თხა მეყოფა, სამხარ-საუზმით ყველია,
თუ რომ ყანები დავმარგლე, პურები მოსაპრელია,
სკებიცა სანახავი მყამს, მაგრამ რა გასამხელია, —
თუ ყოველ საქმეს მე ვიზამ, კათათვე რიდას პქნელია!“
კვირკობისთვემ [უპასუხა]: „ხარ ყბელი. საძაგელია,
თუმცა წვიმასა დაიწყებ, გამოდარება ძნელია,
სიმინდი თივით სავსეა, ლომები სამარგელია,
მოჭრილი პური დამპალა, ბევრი კი მოსაპრელია,
აბა აწ ჩემგან უყურეთ, თუ არ ვარ საქმის მქნელია:
აბა, ბიჭებო, მიშველეთ, ღვინო ბევრი მაქვს ძველია,
ასე გავსწმინდოთ ყანები, ვერ ვნახოთ თივის ღვრია,
დილაობით დარი მივცეთ, ლაშაზი, უწვიმარია,
ლამით ცვარი და წმინდა ცა, მიწის გასახარელია,
სინამდი მე წავიდოდე, დავტოვო თავ საყრელია“.
მარიობისთვე მოვიდა, ის უფრო საყვარელია,
ორ კვირას ცივება იცის, ყოველგნით მოსამხილია,
ორ კვირას თუ გარდაცილდა, კაცს დაედება ფერია.
ფერისცვალება-დღეს ყურძენს აკურთხებს ჩვენი მღვდელია,
სამარიობით დაიძვრის ჭური და საწნახელია,
ქვეყნიერებას აკურთხებს ის წმინდა ღვთისმშობელია.
კაცი შესჩივის ურთერთსა: სისუსტე შემოგვერი,
მაჭარი დავდგით საქებრათ, მაგრამ ჯერ დაუქნელია,
ვაჟ თუ ყმაწვილებს აწყინოს, მისი დანდობა ძნელია.
სამუშაოსაც უჩქარენ, საქმეები გვაქვს ბევრია,

სიმინდმა გული ჩაიდვა, ღომები თავსაყრელია,
ურემი უნდა ავაგოთ, ფარდები ქე გვაქვს ძველია,
წროულს იოლათ წავიდეთ, მერმისთვის მოვჭრათ წკნელია.
მობზილობს ეკენისთვე, გაწითლებია წვერია,
გამსხვილებია კისერი, როგორც ულაცი ცხენია,
ლეღები ყოლგან მწიფეა, ქალები მადრიელია...¹ 432

* *

გიორგობისთვე რა დადგა, სიცივეა ძაან ძნელი,
ქრისტიშობისთვე რო დადგა, თოვლი ჩამოყარა ბევრი.
იანვარი მოწიწინებს, როგორც შავი ყორის გველი:
„გავწყვიტე ხარი, კამეჩი, არ გავუშვი ქურა ცხენი,
ხევები ლეშით ავაგსე, დავასუქე ტურა-მგელი“. 433

* *

მოწიწინებს თებერვალი, როგორც იანვარის გველი,
გაწყვიტა ხარი და ძროხა, არ გაუშვა ჭაკი ცხენი. 434

* *

თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო,
ყველა სულმა და სულდგმულმა საძირკველი გადგაო. 435

* *

მარტმა თქვა: „ჩემი ღღენია ავდარი ვარ და ბნელია,
ციკან-ბატკანი დავბოცე, ტყავი შავკერე ქრელია,
ხარი ერთი არ გაუშვი, კამბეჩებს მივყავ ხელია,
აზრუშში ტყავი გავგზავნე, პატრონ ვაფარე ხელია:
მანდ კარგი გევი შეგერეთ, ეგ ხომ არალის თხელია.
აპრილმა შემომითვალა:
მე რომ წვიმა გაახელით, თოვლს მოგიწყვიტე წელია.
ტყე და მინდორი ავამსე, შიგ რომ ბალახი ჰტენია,
კამბეჩები დავასუქე, საგუთნით ემზადებიან,
საყევრები დავაგრძელე, გუთანს უმართე ხელია“. 436

¹ გაგრძელება აქლია.

მერმის ხევი

ქერმის ხევა სთქვა: „ავდილდი, მოვალ, მოედივარ, მოვხუვი, არა თუ ცოტა გეგონოს, უკან მომდევნ ჯარები. მუკუზანში რო ჩამოველ, იქა სდგას ხეავი ლალები, ზევიდგან წამოუარე, სულ თავქვე მიველალები; ველისციხეს რომ ჩამოველ, დავალე ბოსტნის კარები, ისე დავმარგლე ბოსტნები, არ მოვანდომე ქალები, ბადანთ მართას შაუვარდი, გამოვალაგე ქვაბები“. 437



სად მიხვალ, წყალო მდინარო, ნაწურო მადლის მთისაო, ჩამთქმელო ლურჯის ცხენისა, ზედ ლალის ქაბუკისაო, ნაპირზე გამომტანელო ქუდისა — მათარხისაო? 438

ქ ვ ე დ რ უ ლ ა

ქვედრულა მოდიდებულა, თან მუაქ მთა და ბარია:
„ლალაშვილს დაუქადნია, მე მომდის ბევრი ქერია.
შენი ქვედრულა მოგიკვდეს, თუ ვერ გიცვალო ფერია“.
კალო-საბძელი მოსტაცა, სამოცი კოდი ქერია,
წისქვილიც უკან გაჰკიდა, „წადი და იქა ფქვევია“,
საცერიც უკან გაჰკიდა, „წადი და იქა სცერია!“
დიასახლისი სტიროდა: „ვაი, რას მოვესწარია!
მომივა გულის სტუმარი, ქადზე ვარ მასპინძელია.
ჩიქილით სახლი დავგავე, ცოცხიც ვერ მამიგონია,
საცერი ცეცხლზე მივადგი, კეციც ვერ მამიგონია,
ცხრილითა წყალზე წავედი, კოკაც ვერ მამიგონია.
ვაი რა დღეში ჩავარდი, ვაი რას მოვესწარია!“ 439

ლიახვმა თქვა

ლიახვმა თქვა: „ავდილდები, არაგვს არ დავედარები,
ასე მოვდივარ, მოვხუი, ფეხზე არ მინდა ნალები,
ოსმალო გადმოვიარე, თან წამოვილე ტყავები,

ცხინვალის ხიდს რო მოველი, გარ გადავხვიე კლავები, ორი ურია მოვკალი, წითელ ქოჩორა, ლალები.

ტყვარი კაი ოსტატია, შაგირდათ მივებარები, ეხმელიაშვილს მიქებენ, უდგია ღვინო ლალები, ასე მოვხადე ცხრა ქვევრი, არ მოვანდომე ბარები, ასე დავმარგლე ბალები, არ მოვანდომე ქალები, თანაც ხომ ბევრი წავილე ქინძი, ქონდარი, კამები. მესტვირიშვილსა აქებენ, — შეება ჭრელი ხარები, სამი აგეთი გაღუკარ, ზედ დაუმტვრიე ქალები, პური წყალში ჩაუბნივე“...

კაცი გაღმა გამოვარდა: „აქ მაინც დაგეძალები! შე ლიახვო, რას მერჩოდი, შე ჰაბუკისა ჰალაო, იქ ბატონს ვემსახურები, შენ აქ მოგართვი ღალაო; ციციშვილის ნაჩუქრები მომაქ ათი კოდი პური, ისიც, ლიახვო, წამართვი, დამაგდე წყალწაღებული. ეგეც გეყოფა, ლიახვო, — წახვალ და დაიკვებები: «გავსარცეე ძველი მესტვირე, ველარ მიჰქონდა ფეხები» მაცადე, გნახო, ლიახვო, გეხეოდნენ კოლოეზი, შიგ ბანაობდნენ ბიჭები და უნიფხო გოგოები! წავალ და შევეხვეწები ქალაქ ლაქვერდის სიონსა: ჩემი ათი კოდი პური იქ მამე საიქიოსა!“ 440

რიონმა თქვა

რიონმა თქვა: „დასაწყისს ვარ ყინულად გამომდინარე, ერთ ინეილერს დავენტერე, ისიც გავხადე მტირალე, მისი გაყრილი ისრები პირჩაღმა შევატრიალე, მისი ცოდვით ქვა გავტეხე, ქალაქი შევაწრიალე, ყვირილაე! დავაფხანიკდეთ, აგიაშვილს ვემტერები, ადგილ-მამულს ჩამოვართმევ, ერისთევბს დავეშველები, ბაშს ეკლესიას დავაქცევ, თვარ გამიჭავრდა ბერები. იქიდგან გაჭავრებული ჭყუშელებს დავეძგერები, ასთე გაგიხდი ორპირსა, ყულევს ჩაქონდეს ძელები, სირიაჩქუმს სილას დავდებ, კაცს წაუხთინო ფერები, ფოთის ციხეს ვერას ვავნებ, პირში არ მოგეფერები“. 441

ხ ა რ ი

ორშაბათობით აშენდა

ორშაბათობით აშენდა ციხე-ქალაქი ქვაზედა,
[გარ გალავანი არტყია, ცანი დაჰყურებს თავზედა.]
სამშაბათს იყო ყრილობა ქრისტე მეუღის კარზედა,
ხარი* და ადამიანი დადგნენ ერთ სამართალზედა.
ადამიანის დარჩენა ვერვინ ვერ იღვა მხარზედა,
ადგა, ხარმა მოასსენა: „მე დამიდვია თავზედა“.
წამოდგნენ ანგელოზები, აკოცეს ორსავ თვალზედა,
ღვთის ჩამოსხმული სანთელი დააკრეს ორსავ რქაზედა:
„წადი, ხარო, და იხარე ცასა და ქვეყანაზედა,
ექვსი დღე კი იმუშავე, მეშვიდეს დაწექ მხარზედა,
ვინც მეშვიდეს შენ შეგაბას, რისხვა მიადგეს კარზედა!“ 442

ავი გუთნისდღის სული

ეს უღმერთო ჩემი მუხრე მირტყამს ხმელ ბეჭის თავშია,
თითოს ასეთსა ჩამაშვებს, თითქმის ჩამაწვივს კვალშია.
დავიჩოქებ და შევსტირი ჩემ მეუფესა ცაშია:
„მიშველე, ჩემო გამჩინო, ჩემს გაპირვების დღეშია!“
— „მე რა გიშველო, საწყალო, მე მაგინებენ ცაშია!
მე მაშინ მოურიგდები, როს მოვლენ სამართალშია,
დავადგამ რკინის უღელსა, შეევზავნი ჭოჯოხეთშია,
[გარ შემოუხვამ ეშმაკებს, ურაკუნებდენ თავშია.]
«აწი-აწი», იძახოდენ, «სულო, ამოღი ყელშია!»“ 443

კ ა მ ე ჩ ი

ამ იანვარმა რა გვიქნა, რა მოიგონა ხერხიო,
ხარი და ძროხა გაწყვიტა, სულა კამეჩის ფეხიო.
კამეჩი გღია ჭალასა, აუშვერია ფეხიო:
„შეატყობინეთ ჩემ პატრონს, დანა გაირკვე წელშიო,
ნეტავც გაგელო აბაზი თითო კალათა ბზეშიო,

გინდოდა ჩემი სიკვდილი. დაჯექ და ქამე ლეშო,
მაშინაც მოგაგონდები, ურემს ტოვებდე ტყეშო,
შეგებას წვრილი მოზერები, იწმაწნებოდენ წელშო,
ყველაი შინ მოდიოდეს, შენ იქვე ეგდო ტყეშო“. 444

ცხენი მამყიდა

მარტილოზაშვილ სტეფანსა წვერი აქეს, როგორც გიშელი,
იმან რომ იხენი მამყიდა ქეციანი და ტიტველი,
ცხრა კოდი ქერი შ:ქამა, არ შამარჩინა ბზის მტვერი.
ბოდორნაზედ გავაქენე, კლდეებს გასდიოდა მტვერი,
წამამექცა ის ტიალი, ქვეშ მამიტანა კისერი;
ჯერა ვთქვი: „ქვრივი დაქვრივდა, სტვირი გატიალდა ჭრელი“.
წამოვიწივე, წამოვდექ, ძლივსლა ავიტანე წელი.
პატარა ჯოხი გამოვჭერ, მოკლე იყო, შვინდის ღერი,
მივდექ და იმდენი ვცემე, სულ მშრალათ მოვწყვიტე წელი.
მოველ და ჩემ ძმას უამბე.

„წადი და პატრონს მიუგდე ეს ტიალათ დასარჩენი!“
— „პატრონი აღარ აიღებს. მშრალათ მოსწყვეტია წელი“.
ავდიქ და წაველ სოფლებში, სოფლებია დასავლელი.
სომეხი შამაწყყარა:

სამი მანათი მაძლივა, უზალთუნიც ვთხოვე ჭრელი.
როცა რომ კბილი უნახა, მაშინ მშრალათ მამწყდა წელი:
„უზალთუნს რალაში მთხოვდი, რაც გაძლავე. ისიც ბევრი!“
პირმისაანთ ქორწილი აქვთ, ღვინო მასვეს ლალის ფერი,
ერთი კაცი დამთვრალიყო, ჩამოეკრა ხანჯლის წვერი.
შინ კაცი შამაპივიდა: „დაკუდავდა შენი ცხენი!“
ძრიელ გავწყრი და გავჯავრდი, ხანჯალს მოვიკარი ხელი,
მოუკლავს არ გაუშვებდი, — მეშველი დავცა ბევრი. 445

ცხენის თხოვნა

კნიაზ დიპიტრი წერეთელს უმდაბლესათ ჩემვან თხოვნა.
ერთ ღროში მეც ლაფშა ვიყავ. ვისაცა აქვს ჩემი ხსოვნა.
ისეთ პატრონს ჩაუვარდი, არ მადირსა დღისით ძოვნა.

დავებრდი, დავმკლდი, არ მიშვებს, არ იფიქრა მან დათხოვნა, თქვენო მაღალბრწყინვალეზავ, აწ გევედრო მომეც ნება, ვინ გამიშობს საწყალს, თორემ მე მინდოდა თვითონ ხლება, დაბჰული ვარ უბედურ დღეს, თავს ბაწარი არ მეხსნება. რა ვიფიქრო მე საწყალმა, რა განსაცთელში ვაბივარ, მუღამ დღე კურტანი მადევს, ღამე ტალახში ვაგდივარ, ღონე არა მაქვს მუხლებში, დაღონებული დავდივარ, ას ცხენს გამრიო სამგზავროთ, სუყველას უკან ზადი ვარ. ცხენი არ მირევს სიმჰლისთვის, მკბენს და ვძულვ სიმყარლისთვის, ზურგზე ტყავი აღარა მაქვს, არც მცალია საძოვრისთვის. გათენდება, შეეკაზმავენ, ამკიდებენ სიმინდს ან ფქვილს, მომხთიან და წამყრიან წამლის ნაცვლათ მიწას და ხვირს. ორშაბათ დილით დაწყებულს სულ მათრევენ მარად დღეში, შაბათს საპალნეს მომხთიან, ლაზარ მკდება შემოქმედში. სმა და ჭამა რაღათ მინდა, ქუსლებს მირტყამს მალ-მალ ფერდში. მოწმე მყავს: ათი ფოშტიდამ დაამტყიცებენ ჩემ თრევას, ხედნის მეტს ვინ რას მადირსებს, რათ იფიქრებს ჩემთვის კმევას. თვითონ უწყით, ფულმოყვარე თუ მე რა საქმეს წამკიდებს, რაც მკირდა, კმარა აჭამდიც, აწი უმძიმესს ამკიდებს, ღმერთი ასი გზით უარყვავ, მოვკვდე, — ჩემ რჯულზე წამწყმინდეს; დამერწმუნე, არ გაწუხებ, მე საწყალს რომ გულს არ მწვიდეს. მაზედ ვსთხოვ თქვენს ბრწყინვალეზავს, თუმც ურჩევთ და დაარიგებ, შვიდ კაცს მიმცა სახედარათ, ამათ მე რაღას გაუგებ, მუხლი წახთა, ზურგზე ტყავი, მე საპალნეს ვერ ავიღებ, თავს დავიღრჩობ უთვოდ წყალში, თუ სხვას ვერას გაეარიგებ. მის ხელში ვერ ვიმსახურებ, გავცეს სადმე ან გამყიდოს, ვითომ მისთვის რა მადლია, სიბერის ყამს რო წამწყმინდოს. დამეთანხმოს, — თქვენ მიყიდეთ, სამადლოთ გამიშვით მინდორს, ჩემთვის ჯიბეს თუ მოაკლებ, ღმერთი შეგზღავს ათას ამღონს. 446

ჰვრივი ჰალის ჩივილი და მეზოგლის ნუგაუი

მწუხარება დამიახლდა, დამიშვავდა თავზე მეხი,
ცხენო, შენ რომ კარგათ მყავდი, გინდ მყოლოდა ოცი გლეხი;
ცხენი არ მყავს, სად წევიდე, არც მისაქმებს ოხერ ფეხი,

ან ვინ მომცემს, ვინ ცხონდება, არც მაქვს ფული მოსახერხი.
ვაიმე რა წამეკიდა მწარეთ გულის გასატეხი!
ცხენო, საწყალო, რა მოგეხმარო, რაეარ ვიცოდი, თუ მოკვდებოდი,
რაც გასაჭირი მომადგებოდა, შენ საიმედოთ მეგულეობოდი,
რომ მგონებოდა, არ გაგიშობდი, მგელის საკმელათ თუ
დაწობოდი! 447



ბატონ თავართქილაძის ქალს დედის მსგავსად მოვიკითხავ
და თქვენს მშვიდობას ღმერთსა ვსთხოვ, უმდაბლესათ თავს
დაუკრავ,

შენ რომ ცხენი დაგეკარგა, იმისათვის თავს რათ იკლავ?
შენ რომ ტუულათ იგონებ, ვინ გეიგონა მისი ჭიხვინი,
აღმართს ნახვიდა, — ვერ ააწვედა, გაგაყრუებდა მისი ტრიწინი;
ასთე ლამაზათ თუ შეამკობდი, აქამდი ჯობდა მისი სიკვდილი.
ბატონო, იგი მიბძანე, რა საიმედოთ გეგულეობოდა,
სარგებელი არ ყოფილა, რა გასაჭირზე წაგადგებოდა?
სადაც გზაში წვევიდოდა, სულ ყველას უკან ჩამორჩებოდა,
მინდორში რაფერ გაქენდებოდა, თავი რომ აღარ ეზიდებოდა,
არც სიარული შეეძლო და აღარცა მუხლი ქონდა,
ვინც კი მას შეაჯდებოდა, ყველაი კუჭით კვდებოდა,
ქუსლის შამოკრას ვერ შეიტყობდა, დეზი რომ გეკრა, სულ
დადგებოდა,

კბილი არ ქონდა, ჩონჩორიკს ჭამდა, რაღა პატივი ეკადრებოდა?
იყო სულ აჯანაკრული, ცა და ქვეყანას ეზიზღებოდა.
სინამდი იყო საწყალი სიმონ, მის გამომყიდველს ექადნებოდა;
იგი რომ იშვა, ქორანიკონი ათასხუთასი იწერებოდა,
ათას ხუთას ოცდათექვსმეტს კიდევ ცოცხალი იარებოდა;
უკეთესად ტურა-მგელი ვერავის წაადგებოდა,
წააზავდენ და შექამეს, ეგონათ გიამებოდა, —
პირფერობით ჩივი, თვარა შენ რაღა გეწყინებოდა?!
თქვენ იმდენი რა გაწყინა, — გობრონიძე დაუფსია:
იგი შენი ხუხუ ცხენი მის წისკვილთან დაურჩვია,
ფუში რომ გარეთ გამოსულა, სათავანი აუესია,
ეგებ კი გიეკეთებია, — სიმყრალეს არ მიუშვია! 448

სწოს მღვდლის ცხენის მკვლელები

აბა ვის გაუგონია ქვევით! შევარდნა მგლისაო,
იორღა ცხენის სიკვდილი სტუმრათ მისული მღვდლისაო.
ეგ რომ მოძღვარმა გაიგო, სუფრიდან ამოხტისაო,
ანთო ქონის სანთელი, ცრემლები ჩამოსდისაო:
„რას ვის უშლიდა მკედარ ძაღლსა, ვისზედ ივებდნენ შურსაო“.
ეგ რომ ტეტყამ გაიგო, სიცილი მოსდის პირსაო:
ეგრე იცოდნეს ახლებმა, არ შეარჩენდნენ ჭირსაო.
ტყავი ივანეს მიჰქონდა, ტულუფი გამომდისაო,
თავიც სასოფლოთ წაიღეს, ვინც რომ უფროსად ზისაო,
ეგ ფასფუშებიც იმასა, ვისიც ხანჯალი სჭირსაო,
ძეხვები კარგი ექნება, სულ ქონი ჩამოსდისაო,
მიართვით იოსებასა, მგონავ სუდიად ზისაო,
ძუა-ფამფარი ესტატეს, მამად მოუდევს შვილსაო,
დაწნოდეს წუის საბელი, ჩაჰოინასკდეს პირსაო.
რალას უმალავთ სახელსა დოღდინ და გიგოლისაო,
ათი თუმანი გადადევს, საჩუქარია მღვდლისაო,
ხათრი ბევრი შევინახეთ მაგ სტყფანურის მღვდლისაო,
დედის ძმას შვილებს უნათლავს, მირონს მოიღებს ბევრსაო,
ეშმაკმა ბევრი გეაცდინა, რალას გავაწყობთ დღესაო.
სინანული და დარდები ბევრი ჩავდევით გულსაო,
ანდრია გვიჯავრდებოდა, ნულარ დაშვრებით ავსაო,
ჩვენ ცხენი არას გვიშლოდა, მოკვლა გვინდოდა მღვდლისაო.
ლექსებს ბევრს არ გაუჭრელებთ დოღდის და გიგოლისაო.
სირცხვილათაც ის ეყოფათ, ვეღარ ჩამოვლენ სწოსაო.
მამაძაღლო კარკუჩღებო, ნულარ დაშვრებით ავსაო! 449

ც ხ ე ნ ი

დაიხოქა ლურჯა ცხენმა

დაიხოქა ლურჯა ცხენმა და მოასენა ბატონსა:
აკი გიოხარ, გამასუქე, მაშინ ნახავ ჩემსა რჯულსა!
მეჭინიბეს მიმაბარე, ავაზაკსა, მამაძაღლსა,

¹ ძირის სახლში, ბოსელში.

დილას არ დავიურვებს, არც შუადღემდი მასმევს წყალსა.
 თივას ლოგინზე დაიგებს, ქერს მიაღებს სასთუმალსა,
 ადგება, ჩულსა გადამხდის, თვითონ დაიხურავს თავსა.
 — „რა ვქნა, ცხენო, მეც უნდა ვთქვა, შენთან მეც ვიმართლებ თავსა:
 დაჯდება შენი პატრონი, ქუდმოხდილი იწყებს სმასა,
 შუალაშემდის თავს ვადგივარ, მუხლში ჩამიყენებს წყალსა,
 არც მიძებნის პურის ლუკმას, არც არა და ქალამანსა,
 გამოვალ გაჯავრებული, შენზე გადავიყრი ჯავრსა!“ 450

გურგენმა ცხენი იყიდა

გურგენმა ცხენი იყიდა წითელისა ნოლისო,
 ძირ წოლა აღარ აკადრა, მალლა უგებს ლოგინსო,
 ძაღლები მისჩერებიან, დღეს მოკვდება თუ როდისო. 451

ვიყიდე ცხენი

ვიყიდე ცხენი	ვაჭამე თივა,
ის ჩემი შემრცხვენი,	გამოება თია,
ვარტყი მათრახი,	ვაჭამე ბზე,
შაქნა თახთახი,	დაუბნელდა მზე,
ვაკრამდი ნალსა,	ვაჭამე ქერი,
არ გამიყვანდა კოჭამდი წყალსა,	გამოყარა მთელი. 452

ორშაბათ დილა გათენდა

ორშაბათ დილა გათენდა, ღმერთო, კეთილი ქენიო,
 ვაის ვაგლახოთ ვიყიდე ერთი ცალთვალა ცხენიო.
 ავშრიოთა წყალზე დამყვანდა, ვერ მოვაშორე ხელიო,
 წაველ. წყლიდამ მოვიყვანე, შინ შაველ, მოვიწვენეო.
 შინიდამა გადვიხედე, გადარეხვილა ცხენიო.
 ჯოხები ბევრი დავკარი, ველარ აიღო წელიო,
 თვალეებზე ხელი მოუსვი, ველარ მოეცა ფერიო.
 წაველ, რძალსა ურუსულე: „პრაპალ ცალთვალი ცხენიო“.
 დედა ჩემმა გამიგონა, კეტს წამამივლო ხელიო,
 არცა დამკრა, არცა მცემა, შიშით მომწყვიტა წელიო. 453

ხიზანანთ თეთრი რაში

ხიზანანთ თეთრი რაში შავკაზმე და გავკარ ტაში,
ივანე ღვინოზედ მიდის, ერთ ღლეს გავა გალმა მხარში;
გადაქცეულა, მამკვლარა სამატაჯიან თავლაში,
თომა ამასა ჩიოდა:

ბევრი ქერი შევაქამე, ყელამდინ ჩავარდი ვალში.
ივანე ამას ამბობდა:

უღელი ხარი ვითხოვოთ, გამოვათრიოთ ბაზარში.

ბიჭები ამას ამბობენ: ქეცი ჰქონია ფაფარში,

წაიღეთ და გადააგდეთ იმ ირემანთ ნათხარში. 454

საქონლის შირი

ეხლა რო ჰირი კი გაჩნდა, მაშინა ჰონდა წველაო,
იმტენმა მაწვნი ჰამამა ფეხები დამისქელაო,
ისე დამეავდა ღოები, მუცელი შამამბერაო.

საქამანდათ გავაკეთეთ, მაშინვე გაჩნდა ხველაო;

ძროხები ჰირმა წაასხა, ხარები გაგვითხელაო, —

ეხლაც გაწყინოს მაწონმა, ღომაც ხომ შემოგბერაო. 455

ძროხის შირი

ღიდება მა ძროხის ჰირსა, ვილა შეუფარებს ხელსა,

კავკავჩი გამოჩენილი ახლა მობრძანდება კვესა,

ფეხით მოსვლას არ იკადრებს, იქვე იჭირავენს ცხენსა;

გზის პირზე დაედგი ფარახი, შუა დაუგდებდი ფეხსა,

ფურასა [ჰირი გაუჩნდა], ჩემი ძროხების ქეჩსა¹. 456

ქ ო ჩ ო რ ა ი *

ქალო-ჯანო, რისტისტანცო,

იჭილო და ბეჭდის თვალო.

ქოჩორაი დამეკარქა, უკეთესი ქათვის გვარი,

დავუხმობდი, — მოვიდოდა, ხელში მეჭირა კაკალი;

¹ ძროხის წინამძღოლს.

დავუყრიდი, — გაძღებოდა, ალესტეთ¹ იყო დამდგარი, მისი ლამაზი თავ-ყელი სურათათ იყო ნაქმარი: კისერს ზეით თეთრი იყო, როგორც გინახავს შაქარი, იზეთაჲ წიგნი მოჰწერა: „რათ იმწუხრე ნაშეტარი?“ რაცხამ ქოჩორაჲ წამართვა, არ გამაგონა კარკალი³, მისი უკარკალობისთვის ტურამ შეახმო ბარკალი. ქოჩორამ შემომითვალა: „ახლა მოდი და დამკალი“. 457

თავი ავამთ გამხდარიყო

თავი ავამთ გამხდარიყო, ტანში იყო ლერწვითაო, დოშაგები გეეშალათ, ბუმბულაკზედ ზედ იწვაო. კატას კაცი მოუვიდა, თავი ავამთ გამხდარაო. ადგა კატა, წამოძანდა თავის დიდი ჯარითაო, თავისა კარსა ჩამოხტა ფირუზის კარავეითაო. თავსა კაცი მოუვიდა, „ციცა კარზე მოგადგაო“, თავი იწვა მხართეძოზე, ფიცხლავ ფეხზე წამოხტაო, კარი კლიტით ჩაუკეტა, საკლიტიდამ ეტყოდაო: „რა გინდაო, ყურდიდაო?“ — „როგორა ხარ, ყურცქვიტაო, ავამთოფნა შემომესმა, შენთან მოველ, ყურცქვიტაო“. — „ისრე მტერი გაგიხდება, როგორც შენი ყურცქვიტაო, შენ რომ მოხვალ, ავამთა ვარ, შენ რომ წახვალ კარგათაო, რა გინდა რომ ავამთ ვიყო, შენი ნახვა არ მინდაო“. ადგა კატა, გამობრუნდა თავის დიდი ჯარითაო, მუხლებზედ ხელი დააკრა: „ეს რა ვქენით, ვეზირებო, სულ თავგები დაგვიფთხაო, აწ რა ვქნათ, რით მოვატყუოთ, რისი ტკბილის ენითაო, საფიცრის წიგნი დავწეროთ, გავგზავნოთ ელჩებითაო“. 458

თავით მეფემ სიზმარი ნახა

თავით მეფემ სიზმარი ნახა შაბათ ღამეს პირველ დღესა, დილას ადრე წამოდგება, თავზე შამოიდებს ხელსა:

¹ ამაყად.

² კაცის სახელი.

³ კაცანი.

„წუხელი სიზმარი ვნახე, ინით ვიღებავდი წვერსა“.
 ნაზირ-ვეზირს დაიბარებს, რჩევას ჰკითხვენ ერთმანეთსა:
 „კატებმა რომ შეგვაწუხეს, სირცხვილია ჩვენთვის ესა,
 სახლში აღარ დაგვაყენეს, კარში აღარ გაგვიშვესა,
 ცოლ-შვილი ამოგვიწყვიტეს, სული აღარ ჩაგვიდგესა,
 მოდი და ბუნტი შევყაროთ, პირი მივცეთ ერთმანეთსა,
 ფიცის ქალღლით შევიკრაოთ, არ ვემტყუნოთ ერთმანეთსა,
 თორინას მარშლობა მივცეთ ციხისა და ქალაქისა,
 ვირთხა ყეინთან გავგზავნოთ, თათრული კარგათ ესმისა,
 იასაული გავგზავნოთ ახლომანლო სოფლის პირსა,
 კაცი არსად გამოტოვოს, ბრძანებაა ხემწიფისა“.
 ორგორას ციხეს აგებენ, კედელი აქვს თლილი ქვისა,
 გალავანი უნდა ექნეს მუხისა და ფიჭვის ხისა,
 შიგ ზარბაზნებს აყოლებენ, სასროლია დიდი ხნისა,
 შიგ დუქნები გაუწყვიათ ოტკისა და საფანცქისა,
 დაბლა ძირი დაატანეს თოფისა და დამბაჩისა,
 რკინის კარები შეაბეს, გასაღები აღმასისა,
 ათასი კაცი აღგია, გარზედ უკეთებენ თხრილსა.
 თაგენი ომსა აპირობენ, კატამ კი არა იცისა.
 ციცამ თქვა: „სიზმარი ვნახე, რომ მეძინა ცეცხლის პირსა.
 მომპაროდა ერთი ვირთხა, ძაფით მიზომავდა პირსა“.
 დილას დედამისს ჰკითხავდა: „ეგ სიზმარი რამ იცისა?“ ♦
 — „უცხო ამბავი მოგივა, ის აგიხსნის მაგ სიზმარსა“.
 გათენებულში მოვიდა თირინა და დიდი ვირთხა,
 კატასა წიგნი მოართვეს, — ბრძანებაა ხემწიფისა:
 „თუ შეგიძლია, მეჩხებე, თუ არ, — ნუ იქ ჩემსკენ პირსა“.
 კატამ წიგნი წაიკითხა, უღვაშებში გაიცინა:
 „თაგვო, შენ რამ გადაგრია, მე რას მაცხებ შენსა სისხლსა,
 სოფლის ქორს ნუ აყოლიხარ, თორემ დაგიძახებ ბრიყვსა.
 მოდი, მზახლობა გავაწყოთ, ჩემს შვილს მივცემ შენსა შვილსა,
 წისქვილის მინდს არ მოგაკლებ, მომიცია დუქნის ქირა,
 ჩემს ბეგარას გამოგართმევ ყოველ წელსა ოროლ თაგვსა“.
 თაგვთ მეფეს წიგნი მიართვეს, გაატანეს თეთრი ციცა:
 „მზახლობა შემოუთვლია, უყურე იმ სულელ-ბრიყვსა!“
 უპასუხოთ გამობრუნდა ეგ საწყალი თეთრი ციცა,
 კიბეზე რომ ჩამოვიდა, ფინთათ აცმატურებს პირსა,

დაჯდა და წიგნი დასწერა: „მომეზადე შენსა რიგსა.
რაცხა ციხის პატრონი ხარ, გიახლები ხეალ დილასა“.
სოფელში რომ ჩამოვიდა, დაიძახა დიდი ხმითა,
ორასი კაცი ეახლა ცხენებით და ქვევითითა.
თირინას ჯარი მოვიდა ციხისა და ქალაქისა,
ვირთხის ჯარმაც მოაწია განჯისა და ერეენისა.
თაგვთ მეფე სტოლზე ბძანდება აბრეშუმის ხალათითა,
გაივლის და გამოივლის, კრიალოსნებს ჩაითვლისა,
თავადსა და აზნაურსა განსხვავებით დაითვლისა;
წერილი კაცი რამდენი ჰყავს; ანგარიშიც არ იცისა.
ჩამოყობა, დაარიგებს: „რიგიანათ მოიქცითა,
ზარბაზნები დაარჩიეთ, რომელია დიდი ხმისა“.
აღგა ციკა, წამოვიდა, ჯარი მოყვა ცხენოსნისა,
სასახლეში ჩამოვიდა, კარი შეჰკრა გალავნისა,
სამი დღე და სამი ღამე სროლა იყო ზარბაზნისა.
მეოთხე დღე რომ შეიქნა, დილა იყო შაბათისა,
ხელჩართულ ჩხუბი შეიქნა, სისხლი მიდის ნიაღვრისა.
თაგვთ მეფემ გადმოიხედა, — რისხვა არის მალლა ღვთისა:
„აჰა, ვისაც შეგიძლია, შეგეწიოს მადლი ღვთისა,
აქედამ ცოცხალი წასვლა სირცხვილია ვაჟკაცისა“.
თაგვთ მეფე სტოლზე ბძანდება, ცოლი უჯის მუხლის ძირსა.
„თაგვთ მეფევ, კარი გაგვიღე, გიახლება შენი ციკა,
გადმოგათრიო სტოლიდგან, გახენევინო ცხვირით მიწა!“
თაგვთ მეფემ კარი დაკეტა, ორვე ხელი მიაბიჯვა.
გამოვარდა თეთრი ციკა, ვითა ელვა აღმასისა,
გადმოითრია თაგვთ მეფე, დედამიწას დაასრისა.
ერთმანეთსა ეკითხება თირინა და დიდი ვირთხა:
„მოდო გაქცევა ვიკადროთ, ვავითხაროთ დედამიწა“.
იკადრა ვირთხამ გაქცევა, შორილამ უტქერს თირინა.
„ორვემ ახლა მომეხმარეთ, ჩემო ვირთხა და თირინა“.
— „ჩვენ რომ შენს საქმეს შევხედეთ, ვერ წამოვალთ ამის
წინა“.

— „ამისთანა ერთგულობა ორვეს ღმერთმა შეგირცხვინა!“
თაგვთა მეფე დაიჭირეს, ჩამოაგდეს დუქნის წინა:
„შენ თუ მდიდარი კაცი ხარ, მიჩვენე შენი ხაზინა,
ის იყო შენი ნიშანი, წვერზე რომ დაგედვა ინა,

მისდღემჩი არ გაგონილა თაგვთ მეფე და წვერზე ინა,
წისქვილის მინდი მოგეცი, მეტი იყო დუქნის ქირა,
სამიკიტნო დაგილოცე, ნედლი ხორცი და მიჩინა,
შენ ჩემგანა ვერ გიშველცს ვერც ვირთხა და ვერც თირინა,
ღმერთმა რომ კატა დაბადა, თაგვი სარჩოთ გაუჩინა“. 459

კ ა ნ ა ზ ა რ ი

სუნელობითა შეიმკო ხმელეთი, მთა და ბარია,
თაგვთ რო ხემწითე გაუჩნდა, დაარქვეს კანათარია,
გვერთ დედოფალი მოუსვეს, პეწინიკ თეთრი ქალია,
უმზეოთ არის გაზდილი, ხემწითის ანაბარია.

გათენდა, ჩაი მიართვეს, ჩაი, ყავა და ფუნჯია,
საკველეები მოიკითხეს, ნუშით, ქიშმიშით ფლავია,
იმაზედ პური მიართვეს ფურნეში გამომცხვარია.
„დამიძახევიტ კუდრაჰსა, ის არის გუზლათ ჩქარია“.

აბეზარს კაცი უგზავნა: „ომი მწადიან ხვალეა“.

ეს რომ კუდრაჰამ გაიგო, დღე გაიწვარა, ღამეა,
გასწია და იქ ჩამოხტა, სადაც რომ აბეზარია.

აბეზარსა მოახსენა კანათარის დანაბარია:

„ცოტა რამ ჯარი შეეკყაროთ, ერთმანეთსა ვკყრათ ფარია“.

აბეზარმა უპასუხა, — დაბლა ჩაღუნა თავია, —
„მე არც არა ჯარებს შეეკყარი, არცა მაქვს მისი თავია,
ნურცა წამიხდენს მამულსა, მისი ცოდო და ბრალია,
უთუოთ მიმირთმევია აბანო ჩემი ქალია“.

უცბათ გაბრუნდა კუდრაჰა, გულმხიარული არია,
გასწია და იქ ჩამოხტა, სადაც რომ კანათარია.

მივიდა და მოახსენა პასუხათ შენათვალა:

„არ გიხარიან, კანათარ, აბეზარ ავათ არია,
ნურცა წაუხდენ მამულსა, შენი ცოდო და ბრალია,
უთუოდ მოურთმევია აბანო თავის ქალია“.

გაჯავრდა კანათარია, გაყარა ცეცხლის ალია:

„მე იმის ქალი რათ მინდა, ის ჩემი მოსისხარია!“

ტანტასა ჩამოიკიდა თავის ფრანგული ხმალია,
დაიძახა თაგვთ ლაშქარი, როგორც ქუდუნა მხალია:

„შაიკრიბენით სარღლები, წელს შამაირტყით ხმალია.
 წავიდეთ და იქ ჩამოვხტეთ, საცა რომ შეიდანია,
 გაწყვიტოთ კატის ჯილაგი, ვამრავლოთ ჩვენი გვარია,
 წადით და ქეიფი სწიეთ, არ იყოს აბეზარია!“
 ზოგსა მიჰქონდა საგზალი, ზოგსა არც ქუშული მტვერია,
 ზოგნი იმას იძახიან: „აბეზრის ქვეყანაშია
 თხილი-კაკალი ბევრია, ის უფრო გასახარია,
 ჩვენ კი იმას წავეხვიენეთ, კანაფარს ვანებოთ თავია“.
 წავიდნენ და იქ ჩამოხტენ, საცა რომ შეიდანია.
 შაყრილი კატის ჯილაგი, უამრავ კატის ჯარია.
 ლაშქარი გამოუფშრუქა, დარჩება კანაფარია:
 „შენ რომ გოგვით დაგინახე, მელხინა სატკივარია!“
 თავის ფრანგული შემოჰკრა, შემომტვრია მხარია.
 ახლა ციცამ შემოუსვა თავისი მჭრელი ხმალია,
 ძვლებში რბილი და ტყავები სუ ერთმანეთში არია.
 ქალსა კაცი გაუგზავნეს: „ქალო, მოგიკლეს ქმარია“.
 — „ჩემს კანაფარს რა მოჰკლამდა, ქუიანი და წყნარია.
 დამიძახევიტ ლოკოკას, ეს არის მუხლათ ჩქარია,
 უნდა წავიდეს იდინტას, იქ უკვდავების წყალია“.
 ეს რომ ლოკოკამ გაიგო, მაგრა ჩაყეტა კარია:
 „მე აგრე არ ვიარები, გვალვა და ავი დარია,
 მე მაშინ დამიძახევიტ, რომ წვიმდეს, მუხლათ ჩქარია“.
 იმაობაში კანაფარ უეცრივ სული დალია,
 ოქროსა კუბო აუგეს, მიწა აყარეს ჩქარეა,
 წაიღეს და იქ დამარხეს, სადაც რომ დიდი მთანია. 460

კ ა ლ ი ა

ჩემ საჩივარს რომ მოგიყვე, იტყვი: ვაჲ შენი ბრალია!
 შვიდი დღის ფეტვები ვხანი, შიგ ამოვხოცე ხარია,
 იმას ნამი არ ეღირსა, გვალვა დაადვა დარია.
 წაველ და ტყეში გავთალე სამოცი ადლი დარია,
 დუშეთის წყალი მოუგდე, ვეგებ შაყაროს ტანია.
 სამკალათ რომ მოვემზადე, შევაბი საბძელს კარია,
 გავლესე ჩემი ნამგალი, მაგრა დავაგე ტარია,
 დედა ჩემი მეუბნება: „შვილო, იჩინე ძალია,

სადილად შაგაპატივებ, დავნიშნე სამი ვარია“.
შე მინამ იქ ჩავიდოდი, შამოსევოდა კალია.
ერთი დიდი სინი მქონდა, ხმა ჰქონდა, როგორც ზარია,
გაველ და დაუწქარუნე, ეგების დაფთხეს კალია.
მიტრიალდა, მოტრიალდა, როგორც ფარეხში ცხვარია.
ავდექი და დაუძახე, რაც ქვეყანაზედ ქალია.
ქალებმა ვერა უყვეს რა, ქვრივებმა უყვეს ძალია.
ავდექი, გადავხტი ვენახში, მოვგლიჯე დიდი სარია,
მივიქნიე, მოვიქნიე, — დაოსდა ერთი კალია,
მე იმას ზედ დავაჯექი, ქვაზედ უხალე თავია.
შვიდი ადლი კბილი ჰქონდა, რვა და ცხრა ადლი მხარია,
ვაიმე რაზედ შემქამდა, ღმერთო, შენ დამიფარე! 461

მ გ ე ლ ი

ორშაბათ დილა გათენდა

ორშაბათ დილა გათენდა, ვირებს გაუღე კარია,
ჯოხი ვეარ, ჭალას ჩავრეკე, იქ არის ბევრი ნარია.
წინ მგელი შემეყარა: „შენ, ვირო, ვისი ხარია?“
— „რას კითხულობ, შე კუდგძელო, მე შალანთი ვარია,
სამჯერ ვყოფილვარ მარილზედ, მომიტანია ქვანია,
ნამცეცს არ გამოგიგზავნი, რომ შაინელო მხალია“.
— „მე მხალი-მხული არ ვიცი, არცა ვარ მოლოზანია,
პატარა მწვადი მამიქერ, თედო იყოს, გინდ მხარია,
დიდი არ დაიდრიალო, არ შამიყარო ჯარია,
კუდი არ გააცანცარო, არ გამომთხარო თვალია,
ჩოკინა შინა გავგზავნოთ, — არ ამოვარდეს გვარია“.
კოსალა მოკისკისებდა: „მეც მახვრევინე ძვალა!“
— „კოსალავ, ხვრისა რა იცი, ფუტუროს შაყავ თავია“. 462

აგერ არის ორი მგელი

აგერ არის ორი მგელი, ტუჩმურა და კუდაგძელი,
ერთმანეთს ეუბნებიან: „აგერ ნოდარასა ცხენი,
ერთმა ფაფარ დაუქიროთ, ერთმა გავას გაეკრათ ხელი,

პატრონს კაცი გაუგზავნოთ, ნულარ უნდა ბზე და ქერო,
მოდის ნალები წაიღე, წალდი გამოგივა მკრელი,
ძუა-ფაფარი წაიღე, საცერი დაგეწენის სქელი“. 463

მგელმა თქვა

მგელმა თქვა: „გუშინ გორს ვიყავ, თავრებ წავიღე კვალით,
იმ ჩემსა ძმობილ მეცხვარეს გადმოეშალა ცხვარიო.
დავთვალე, მეტნი მოვიდნენ ის ურჯულონი თხანიო,
იმ დალოცვილს შიშაგასა ჩემსკენ ეჭირა თვალიო,
მე და თხა დავიჭიდენით, თხამ დაიძახა „ვაიო“.
მეცხვარე გადმოეშველა, მხარზე გაედო კავიო,
გაღმომკრა, გაღმომიჭირა, მამტეხა თედოს თავიო.
„მაცადე, შვილო მეცხვარევ, მოგსლოდეს ტკბილი ძილიო,
შეგპაროდე სამცხვარეში, მეწყვიტოს თხა და ცხვარიო“.
— „აჰა მაცადე, შენ მგელო, დავზარდო წყვილი ლეკვიო,
საცა რომ მოგკრან თვალიო, იქვე გაგაძრონ ტყავიო““. 464

მგელმა თქვა, ავით დავცადე

მგელმა თქვა: „ავით დავცადე იანვარშია წვიმაო,
ჩოყელთას ვიყავ ნაწვევი, ამერთას შაველ შინაო,
თხასა დავტაცე კისერი, ტიალმა შაჰკიკინაო;
ანთეს სანთელ-მაშხალა, მე შამაგებეს წინაო.
ერთი ქოსა ბიჭი მოდის, კელში უჭირამ რკინაო,
იმას რო ხალხი მოდევდა, ნეტა რამ თოვა-წვიმაო,
ასეთ ასეთი დამწყვიტლა, მიწაში ჩამაძვრინაო. 465

ესო, მესო

ესო მესო,	კარგა გასხლიპესო,
მგელი გეისვესო,	მალლა შემოდვესო,
ხრამში ჩაიგდესო,	კარგა გაახმესო,
ძალდი ჩაუშვესო.	ქალაქს წვილესო,
ამოათრიესო,	კარგა გაყიდესო. 466
კარგა გატყავესო,	

მგელ ცხვარში გამოძვრია

მგელ ცხვარში გამოძვრია, კინლამ გამომაქცია,
წამომიყვანა უკულმა, ზედ ცეცხლზე წამომაქცია.
ხატსა და ღმერთსა ვებევწე, მზემ პირიც აღარ მაქცია,
დაღვანატრე ბულანტურასა, ნეტავი კაცად გაქცია,
მთვარეი სადღა დახკარგე, ცავ, ღმერთმა ჩამოგაქცია! 467

ვაცი და მგელი შაიბნეს

ვაცი და მგელი შაიბნეს, ვაცმა დაიწყო ღრიალი:
„ოცადე, მგელო, ნუ გაჰხეთქ, არა ვარ ტიალ ოხერი,
ჩემსა პატრონსა შენც იცნობ, როგორი მეთოფე არი“. 468

მგელმა თქო: კორწილს ვაპირობ

მგელმა თქო: „კორწილს ვაპირობ, ღვინო ჩავასხი ნასეტყვი,
წავალ, მეცხორეს ცხორსა ვთხოვ, თიკანს მამცემს თუ რას
მეტყვის;
არ მამცემს? ძალათ წავართომ. ტირილს დაიწყებს? ბანს
ვეტყვი!“ 469

სოფიანი მგელი

სახელიმც დაიკარგება მაგ სოფიანის მგლისაო,
იასეს გამალრევია, ბატკანი მასტაცისაო.
აბა ვის გაუგონია კელდაქელ შაბმა¹ მგლისაო,
სასულიანი² მასტაცა, შაშვივით აღებს პირსაო!
იშღვინა დანა არ ხქონდა, რომ მაიჭრიდა მჩხილსაო,³
დედამც ცხონდება გამზღელი გელეეთ გიგოლისაო,
ძმაცა ხომ კარგი ყოფილა გაჭირებაჩი ძმისაო.
ჩეჟეეშველა იასე, ჩომბაჩი დაადვისაო,
შაიბრძოლა და წავიდა, გვერდოს პირს შეემბისაო.
შახვდა გლახანის შვილსაო,

¹ შებმა.

² ყელი.

³ ფრჩხილსაო.

არ მეეშო ის ტიალი, თეძოჩი უზამს კბილსაო.
 წავილა სტეფანწმინდისკენ, რაილაც ქარი ქრისაო,
 იქ მწყემსებს შამალრეგია, შახვდა ქუჩაის შვილსაო,
 თავჩი უკბინა საწყალსა, მაგის მარჩენა ჭირსაო,
 თოლებჩი სისხლი ჩასვლია, ძმა ველარა სცნობს ძმასაო;
 თოფი უჭირავს ეგეთი, კმა ქონდა ზარბაზნისაო,
 ცალით¹ აყრის წამალსა, ბეჭებს არ დააცდისაო,
 მარჯენი ილლიას დაადვა, მარცხნითვე სისხლი დისაო,
 ნაწვალი ველარ წამოღვა, მიწას გაუსობს კბილსაო.
 მა ქუშეთ² ახალგაზღვებსა სიცილი მაზღის პირსაო,
 ეგრე მტერს ავეკირებით, შორს არ გავატანთ ჭირსაო.
 აქებენ გულადობითა ნინიას ბაის შვილსაო,
 არ ერიდება სნეულსა, თავის კელით ღბანს პირსაო.
 ამა ლექსისა მათქომი თავის სწორებჩი ზისაო,
 სახელად ხქვიან ვანკაი, არ დაიბანსკე პირსაო.
 ხელჩი უჭირავს ფანდური, ხანდიხან დაუკრისაო,
 ერთნი ქალბანნი მამეციო, აგრემ მაგპარავთ ჭირსაო. 470

დათვი

დათვა თქვა

დათვა თქვა: სიზმარი ვნახე, რაც რომ თავს გადამხდებოდა,
 მელორის ტყეში გადაველ, იქ ღორი მეგულებოდა,
 ერთი ბურვაკი შავკამე, შხაპათაც შემერგებოდა.
 სოფლის თავს გადმოვიარე, სოფელი ჩოჩქოლდებოდა,
 ლამაზ-ლამაზი ვაყვაცი თოფ-იარაღში სხდებოდა.
 ნაგაზ-ნაგაზი ძაღლები კბილებზე ილესებოდა,
 ასეთს მინდორს გამიყენეს, თვალი ვერ გადასწვდებოდა,
 ასეთს კლდეზე გადამაგდეს, ორბი ვერ შეუწვდებოდა,
 ასი ამასხეს ტყვიები, თითი არ ჩეესობოდა,
 ასეთი სისხლის ღვარია, ზედ ნავი მოცურდებოდა,
 მოვიდა ყვაევი, ყორანი, სომდა და არ ილევოდა. 471.

¹ ცალი მუქით.

² გვარია.

დაღამდა და

დაღამდა და დასცა ბინდი, ცოლეულთან მიდის ბიჭი,
წინ დათვი შემოეყარა, ყელქედანა, მეტად დიდი.

„დაჯე, დათვო, პური ვქამოთ, ღვინო მაქვს და კათხა დიდი“.

— „მე შენი ღვინო რათ მინდა, ეხლა ვქამე ქალას შინდი,
წრეულობით გამიშვიხარ, სამემრისოდ დამიშინდი!“

— „დათვო, მაგას ვერ მეტყოდი, რომ მქონოდა ისარ-შვილდი,
გაქლიბულსა ქეიბურსა ზედ ბეჭებზე დაგაფშენიდი!“ 472

დათვმა თქვა

დათვმა თქვა: „გადმოვიყარე მშვიდობიანი ზამთარი,
ჩამიელ ფშავის ქალაჩი, გარ შამოვივლე სარდალი!,
მე კაცი საით მამივა, თუ არ დამეცა ლაშქარი!“

გაეხედე და მოდიოდა ეგ ლურთხუმული ახალი,
წინ ღერენა მოუძლოდა, ურჯულო მოუნათლავი.

მოვიდა, გულზე დამადგა სამლარიანი ხანჯალი,

გულს ბერდენ გადამიჭირა, გულმა დამიწყა კანკალი.

მეც ვიყავ ბერი გივარგი, ცა წვერს მივხედი შუბითა,

თხმელ გორზედ მედგა ბერ მუხა, ცას ავდიოდი კიბითა! 473

დათვმა თქვა: ჩემი დაღაბრა

დათვმა თქვა: „ჩემი დაღაბრა ჩამამაცივდა ზედაო,
ჩემი მთა გამაგდებინა, გამაგლო ქალაზედაო,
მივთელ-მოვთელე ბუჩქები, წამოვწიქ მწვანეზედაო,
აგრე გაეხადე მაღაბრა, დაუდეს მარხილზედაო“. 474

დათვმა თქო: ლოგოუთასა

დათვმა თქო: „ლოგოუთასა¹ მე ვქსქამ ლაზარეს ყანასა,
მე ლაზარე არ მაშინებს, წელზედ არ იბამს დანასა,
ჩამაძღგამს ბუხართან ფეხსა, ელექსებოდა ქალებსა“. 475

¹ გალაენი.

² სოფელი.

დათვმა სთქვა: ყანის მტერი ვარ

დათვმა სთქვა: „ყანის მტერი ვარ, წყავზედ გული ამივარდა,
ყანაში რომ ჩავბადუნდი, მახეს ფეხი ჩამივარდა,
კაძახობას თუ იკითხავ, სხვაზედ უფრო მე მივარგა,
ერთი წუთიც არ გასულა, გულში თოფი გამივარდა.
მახეში რომ ჩავიჭერი, იმ წამს შემიტყო ძაღლმა,
ხელეები რომ მომიკრიჭა, ამაპრიალა მალდა.
საწყალი ჩემი შეილები ტყეში დავტიე გაღმა,
ჩემ საძებრად რომ მოვიდენ, ლუქმად დავლიჯა ძაღლმა“.

დათვი უბნობს: „ჩემი მოკვლით ვერ იპოვიან დიდ სარგებლობას,
ჩემ გულისთვის ჩემი ძმები დაიჩემებენ დიდ კაძახობას,
ყანას დაუჭამს, გაუფურაქებს, დააწყებინებს სხვაგან ვალებას,
უნდა აკეთონ დიდი კარვები, ღამით არ მისცემს ძილს, მოსვენებას..
დიდებს ვერაფერს უბედვენ, ბელზედ აქვენ დიდი გული,
დაუჭირავს და ცხვირს უხვრეტს ივანიკა გულერთგული,
არ გაიქცეს, ეშინიათ, ჭაჭვით ყავან გაძაგრული,
უშვილოდ გამწარებული დედა მისი დაჩაგრული!
კარვის კეთება რა არის, ნაგრზედ აკეთებს ლოგინებს,
ივანიკა მიდარაჯებს, უმძინაროს აწოდინებს,
«ერთი დათვი მომაკვლიე!» — მოწყალეს ხელს უპოტინებს,
ერთ მანძილზედ რომ შემხედოს, მაშინ კი ამაბლორინებს“. 476

მ ა ჩ ვ ი

მაჩვმა სთქვა: „თავსა ღარი ვარ, თავსა დავიდევ პილია,
ბაღჩაში რომ ჩავედი, ხახვს ამოვუგდე ძირია,
ხახვმა პირი გამიმწარა, ვჭამე ნიორის კბილია.
გავიხედე, ჩემ საწოლსა გადააკაულა ჩხირია,
გავიქეცი, შიგ გავეები, დაღმა მაქნია ცხვირია,
ჩემთან რომ კაცი მორბოდა, იყო მაღალი, მსხვილია,
თურმე ეს წყეული მახე იყო მის მოწყობილია,
მისთვის მყისვე გამოიქცა ფრიად გახარებულია,
ჩემ დასარტყამად მოჰქონდა გათლილი შეინდის ტარია,
მოირბინა, თავს დამარტყა, ტვინი მიწას დაურია,
მწარედ მე იმან დამარტყა, — მწარედ ამოხდა სულია!“ 477

8 ე ლ ა

საწყალი მელა ჩიოდა

საწყალი მელა ჩიოდა: „არ მომივიდა ძლია,
ბოსტანსა გადავეჩვიე, ხახვს ამოვუგდე ძირია,
სუყველა ხილი შავირგე, ტყემალმა მამჰკრა კბილია.
უკუვიხედე, მამდევედა პატრონი გზირიშვილია,
მხარზე გედო კომბალი, გათლილი შვინდის ძირია.
გადმამჰკრა, გადმამიშხივლა, გადმამადინა ტვინია,
მაგრამ ტვინს ვილა ჩიოდა, ცოლ-შვილი დამრჩა ქვრივია,
ცოლიც მალე გათხოვდება, ობლები დამრჩნენ წვრილია,
ობლებიც დაიწქრდებიან, თავი დავკარგე გმირია! 478

ორშაბათ დილა თენდება

ორშაბათ დილა თენდება, ავი დარები დგებოა,
ეს ჩვენი წუწკი მელია საქურღლათ ემზადებოა,
წავა და იქა ჩაჯდება, სადაც მამალი ჯდება.
მამალმა უთხრა იმ მელას: „ჩემი ბატონი დგებოა,
ჩემი ხორცი არ გეჭმება, ძვალი ყელს დაგადგებოა,
თოფი კედელზე ჰკილია“. — „ჩახმახი უქანგდებოა,
„შუგინდ მუგზური დაადო, მაინც არ გავარდებოა“. 479

ეესო, მეესო

ეესო, მეესო,	გამოზათრიესო,
ეს რა მიყვესო,	წვრილათ დამჰუწესო,
სოროს ჩამაგდესო,	ქათიბ დამიდესო,
შიგ გამომახრჩვესო,	ქალს გამატანესო. 480
კავი შემოყვესო,	

1 დედანშია: გმილია.

უსო, მესო, მელა ჩიოდესო,
ჩემთვის ტყეჩი მოვდიოდი, ტყავი გამაძრესო. 481

გუთნის გამართვა

გუთანს გავმართამ მე ისე, როგორც რო მართებულია.
პირველ გავთალე ხის რვილი სახელდებული თელისა,
მოლქერ სახლმე შუაზედ, შემოულერე ყელიცა,
ყელი კარგათ მოუვიდა და შუა წელი სრულია,
კაკლის დედანი შევაბი შალაშინ-გადასმულია,
ზედ გაუკეთე ხელკუდი, როგორც რო ჩამოსხმულია,
იფნის ხმალი გავატარე ფარეშით გათანგულია,
ლირიტოს მორგვი გავთალე პიტალო კაკლის გულია,
მუხისა სოლი ვანმარე ხელეჩოთ დაწმენდილია,
ჯაგრცხილის ფერსოს მოვკიდე, როგორც დუღაბი კირია,
ისე გავმართე გუთანი, როგორც რო მართებულია.
ზედ მაუბი საყევრები წნელებით გადაბმულია,
შიგ დაუემართე უღლები ახალი დატუსულია,
შიგ ჩაუყარე ტაბიკი დათლილი შვინდის გულია,
შავაბი აპეურები ახალი დაგრეხილია,
შავაბი ხარ და კამეჩი რქა-კუდით შემკობილია,
ხარები იყო მალალი და კამეჩები სრულია.
ზედ შეუდგნენ მეხრეები, ჰოროველას სთქვაამენ ტკბილსა:
„მამო. ხარო შავთვალავ, შვინდას უსწორდი მხართანა,
აბა, ბიჭებო, გარეკეთ“, — ივანეს ეტყვის ათანა,
„სახრე ფრთხილათ მაიხმარეთ, არ მაახვედროთ მხართანა.
ბიჭო, გუთნის თავის მეხრევე, არ მოზდო დიდი ველია,
გუთნის გადმოწევისაგან არ მოვიწყვიტო წელია,
სახრსა ცემა არ დაუწყოთ, გაუქნიევით ხელია.
ყველამ კარგათ გაირეკეთ, ნუ მაიგონებთ ძილსაო,
ეს ჩვენი მარჯვე გუთანი ველს მალა უზამს ძირსაო,
ფარცხით ისე ჩამოვფარცხამთ, როგორც წისქვილი ფქვილსაო,
შიგ რო დავთესამთ თეთრ პურსა, ყანას მოგვიყვანს ღშირსაო“. 482

წისქვილის ამბავს თუ მკითხამთ, თავით ბოლომდინ რა უნდა:
 ღრმათა გაჭრილი სალორე, იმას რუსხმული სხვა უნდა;
 მალლა წყლის გადასაგდები და გრძელი ღარი სხვა უნდა,
 ძირიდგან მურყნის ბორბალი, ორმოცდაათი ფთა უნდა,
 ზემოდგან მაგარი ღერძი, ზედ ერთი ძირით ქვა უნდა,
 ზევიდგან მტკავლიანი ქვა, მას სარეკელი სხვა უნდა,
 ზედ გადადგმული ბოძები, იმას ხვიმისა სხვა უნდა,
 ძირიდგან შაბმული კრიკა, რომ აწევ — დაწევა უნდა.
 ქალსა ჩააცო, დაჰხურო, იმაზე მეტი რა უნდა,
 ერთი ხელი საშინაოდ და საგარეო სხვა უნდა,
 თავზედ წითელი ბაღდადი და თავსაკრავი სხვა უნდა,
 ფეხზედ წითელი ჩუსტები, პოლსაპოშეები სხვა უნდა 483

აჩეჩამ უთხრა გუთანსა

აჩეჩამ უთხრა გუთანსა: „პატარა პური მიტეხე!“
 — „მაშინ სად იყავ, აჩეჩავ, როცა ყამირი გაეტეხე,
 მოვეკიდე ხის ძირებსა, ზარბაზანივით დავექეხე,
 შენ რატომ არა მშველოდი, ხეს რომ ფესვები ავტეხე?“



საკვეთელმა თქვა: „ძალი მაქვს, კბილები სულ გამვარდება“.
 ის სახნისმა გაიგონა: „მე ეგ რათ გამიკვირდება,
 ამდენა ძირს სიარულით მზის დანახვა მენატრება“.
 ის გუთანმა გაიგონა: „მე ეგ რათ გამიკვირდება,
 დამკუწვენ და ცეცხლზე დამწვენ, დიდი ჯაფა წამიხდება“.
 ის ჯამბარამ გაიგონა: „მე ეგ რათ გამიკვირდება“..
 ჯამბარამ თქვა: „ჩემი ძალა ურიასამც გადახდება,
 წინ და უკან მეწევიან, ზედ შუაზედ წელი მწყდება,
 ავდარია, მენა ვლპები, დარია და — მენა მცხება“.
 ახლა ხარმა გაიგონა: „მე ეგ რათ გამიკვირდება,
 დამადებენ ხის უღელსა, ზევიდგან მეხრე მაწევა,
 თვალსიხარბით გუთნისდედა კვალ-კვალ გამოიციქირება.“

„შულ დაკა-დაკას იძახის, უღიარი მე მიხდება“.

კაცზე კაცს უღიარობა არაოდეს არ შერჩება,
ამ სოფელს რომ არ ეკითხოს, იმ სოფელს კი გადახდება,
ვინც რომ არის უღიარი, ის ჯოჯოხეთს არ ასცდება.

* *

გუთნისდელას რა აცხონებს, რა შეიყვანს საყდარშია,
კაი დარში თვითონა ხნამს, მეხრეს უხნამს ავდარშია,
ხარსა და იმის მეხრესა ორსავე ყრის ტანჯვაშია.

* *

ხარი, მეხრე, გუთნისდელა საიქიოს შაიყრება.

ხარი ეტყვის გუთნისდელას: „რაც მე დამდე, გადაგხდება,
აქ არის მართალ სარჯელი, აქ ხომ ქრთამს არ გაესვლება,
კაცს კაცის უსამართლობა არაოდეს არ მოეშვება“.

* *

მართლის და ცოდვის გამრჩევი ორის მხილველი ღმერთია,
ვისაც ბალანი ასხია, განა კაცი სულერთია!

კაცს თავის თავზე ნება აქვს, თუნდ ჩავარდება ცეცხლშია,
თუნდ მადლს იპოვის, თუნდ ცოდოს, ორივე კაცის ხელშია“*. 484

ხილთა ჟება

გაგრძელდა დევთა ნადიმი, შეიქმნა უცხო მდივანი,
წინ და წინ მარწყვი მიუძღვის, კარქი არის და ნუგბარი,
მას თან ტყემალი მოჰყვება, წუწკია, თავლაფიანი*. 485

მარწყვმა თქვა: „მოვალ პირველად, მე არ მამისწრობს ხილია,
ფერად მგზავსი ვარ ლალისა, მემრე საქმელა ტკბილია,
წინათ მამისწრობს ტყემალი, მეავე არის და გრილია,

მისგან სჩივიან ყველანი: ვკამეთ, მოგვეკეთა კბილია“:

ბ ა ლ მ ა უთხრა: „ამხანაგო, თქვენ ვერ იტყვით ჩემსა ძვირსაჲ. ხეებს თეთრად ავაყვავებ, დავიშვენებ ჩემსა ძირსა, შაქრის მგზავსად გადვიტყევი, რომ გამაქანებენ პირსა“.

ა ლ უ ბ ა ლ მ ა უთხრა ბალსა: „მარტოკა ნუ იქებ თავსა, წენ, დიდი ამპარტავანი, არ კადრულობ სახლის კაცსა, შენ მაშინა სადა გდიხარ, მე რომ მხარშვენ მურაბათა, გუნებნაქცივი მე მნატრობს, ვარ ნაქები სტუმრობასა“.

შ ი ნ დ მ ა თქვა: „მეც ხომ ხილი ვარ, არ გავერჩევი ლალშია, ლამაზ-ლამაზ გოგოებსა გადაუდგები გზაშია, დამკრეფენ, უბეს ჩამყრიან, ვეხვევი ძუძუ-მკერდშია“.

გ ო გ რ ა მ ა თქვა: „მე რაღა ვთქვა, ვარ შხამით სავსუე ყვითელი, ხილებში საძაგელი ვარ, ქებას არვისგან მოველი, ვისაც რომ გულით ვუყვარდე, მონახოს საფლავის მთხრელი, თუ რომ უზმოთიცა მკამონ, მაშინვე მონახონ ღვდელი. პირველად შევაუიეინო, მერე დაუუკარგო ფერი. დილით ადრე ამდგარიყო, თავში იცემს დედა ჩემი: «გიშლიდი და არ იშლიდი, მაგან დაგიკარგა ფერი».

ქართლელებს ვერას დავაკლებ, იმერლებისა ვარ მტერი“.

კ ო მ შ მ ა თქვა: „მეცა ხილი ვარ, ერთი ხილისა ყადარი, სიმწიფით ვერავინ მაქებს, ვარ დაბადებით მაგარი, მოვწყდები, ჩამოვარდები, სულით მეძებენ, — სად არი, ქართველი ზედ არ მიცქერის, ზედ დამაკვდება თათარი“.

თ ხ ი ლ მ ა თქვა: „გკადროთ მართალი პასუხი ჩემი გულისა, მოჰყევით ტყუილ-ტყუილსა, მე ამან გამაგულისა, სალხინოთ შემაქციევარი მე ვარ ყოველი რჯულისა, მატკინარი ვარ კბილსა, მერე დამწველი გულისა“.

წ ყ ა ე მ ა თქვა: „დათვის ხილი ვარ, ღვინოთ დამიწყეს კეთება, ვინც რომ დამლია, ვაწყინე, ტანში მივეცი ფეთება. ტყეში კაცი გავაგზავნე, მოვაკრეფიე წყავი, ღვინო დავაყენებზე ბარე ოცი საწყავი, დავლიე, მომაფხანია, სუნთლად გამაძრო ტყავი, ღმერთო, რატო მოიყვანე აგი დასანარწყავი!“

ვ ა ზ მ ა უთხრა: „რასა ბოდავთ, ვინ არის ჩემი დარია, უჩემოთ ქორწილს ვინა იქს, ან ვინ დამარბა მკვდარია, ბევრ კაცს ძან ავაშენებ, ბევრს კი დავადე ვალია.

კაცი თავის სენით კვდება, ამბობენ, — ღვინის ბრაღია“.

ყ უ რ ძ ე ნ მ ა თქვა: „მეც ხილი ვარ ყოველ ხილზედ უკეთესი, ზამთარ ხე ვარ და ხე ფირჩხი, ზაფხულში გავყვამაწვილდები, ატლასის კაბას ჩავიცვამ, ბოლოსა გადმოვყუყუდები, მოვლენ და ჩამომკრეთავენ, უცეცხლოთ ამოვდუღდები. ბრიყვი დამიწყებს ლევასა, დავაწყებინებ ძვერასა, როდესაც მოვა ცნობასა, მაშინ დამიწყებს ქებასა“.

ღ ვ ი ნ ო მ თქვა სახელქებულმან: „მეცა ვარ ყველას ქებული, მცირედი კაცი არ დამლევს, თუ არა მირონღებული“. 486

პურმა თქვა

პ უ რ მ ა თქვა სახელქებულმან: „მე ვარ ყველასი ქებული, კაცი უჩემოთ არ ვარგა, არც გლახა და არც დიდებული“.

პ უ რ მ ა თქვა: „მოგეხსენებათ ამ ჩემი თავის ქებაო, უჩემოთ წირვა არ ვარგა, კვეთა და ზიარებაო, ქრისტე მცნობს, ხორცათ მახსენებს, მითი მაქვს სახელდებაო, იესო ქრისტეს წყალობით ქვეყანა ჩემით ძღებაო“. 487

მკადმა თქვა

მ კ ა დ მ ა თქვა: „მეც ვიხსენები სუფრის ბოლოსა გდებული, მდიდარი კაცი არა მკამს, თუ არ ყელგადაგდებული“. 488

ბამბამ უთხრა აბრეშუმსა

ბ ა მ ბ ა მ უთხრა აბრეშუმსა: „შენ რა იცი ჩემზე მეტი, ჯერ ამოვალ ბალახადა, შემრე ვხდები შაქრის ფრადა, ჩემი მუშა უკან მომდევს, ჭახრაკელი და მის მრთველი, ცოცხალს არას არ ვარგივარ, კვდართანა ვარ
წასასვლელი“. 489

ავთანდილ გადინადირა

ავთანდილ გადინადირა ქელი მაღალი ტყიანი, ვერც მოკლა ხარი, ვერც ფური, ვერცა ირემი რქიანი,

ნახტომსა თხასა ფერდსა ჰკრა ისარი ის პირფთიანი:
 ჰნადრისა ძირსა ჩამოხტა, ცეცხლი დაანთო ძრიალი,
 დაჯდა და შამფური თალა, მწვადი აავო მცვრიანი,
 სანამ მწვადი შეიწოდა, ლურჯას მისცა საძოვარი.
 ლურჯამ კაცი დაინახა შორი გზიდამ მომავალი.
 შეხტა ცხენი, შეჰჰვიხინა: ისა კაცი ავი არი!
 მეჯინიბეს დამიძახეთ, — ლურჯა მომგვაროს ჩქარათა!
 გავაზედ ხელი გადუსვი; ზედ წამოვახტი მარდათა,
 ვიწრო გზა გავარბევინე, მინდორი უფრო ჩქარათა,
 უკუვიხედე, მომდევენ ის ურჯულონი ჯარათა.
 ასი ვკარ, ასი მოვკალი, ერთი გადმირჩა შავათა,
 ერთი იმანაც მესროლა, სისხლი წავიდა ღვარათა.
 ჩამოვხტი მუხისა ძირსა, ტოტი ვიწოდე ფარათა,
 დავჯექ და წიგნი დავწერე, ტრედ გამოვავი მხარათა,
 ეს დედაჩემსა მიმირთვი, ველარ მოგივალ ჩქარათა,
 გიყვარდა თეთრი მანდილი, ჩემზედ შეღებე შავათა,
 ის ჩემი ქამარ-ხანჯალი მღვდელს მიეც საწირავათა.
 ის ქალი ისეთ კაც მიე, მე მჯობდეს თვალათ-ტანათა,
 ის ჩემი ციხე-ქალაქი თან გაატანე მშითეთათ*. 490

ანდუყათარ

ანდუყათარ სანადიროდ საქართველო შეჰყარაო,
 შევლიც მოკლა, ჯეირანიც, კურდღელმა კი დასცარაო:
 „ჩამომეხსენ, მაჩაბელო, ნუ ხარ ცუდი მასხარაო,
 ცხენი ცხენსა არ მიხალო, არ მომიკლა ჯათარაო,
 ათას თუმნათ ცხენი მიღირს, ორას თუმნათ ავშარაო“.
 მაჩაბელმა გააქანა, ცხენი ცხენსა უხალო,
 ანდუყათარ გადმოვარდა, თავი ქვასა ახალო.
 დედას კაცი მოუვიდა, — ანდუყათარ მამკვდარაო.
 „ანდუყათარს რა მოჰკლავდა, თუ ღვინით არ დამთვრალაო“.
 ლოყასა ხელი გაიკრა, მარგალიტი გაყარაო,
 ჩიქილას ხელი გაიკრა, გიშრის თმანი გაყარაო.
 ცოლსა წიგნი მოუვიდა, — ანდუყათარ მამკვდარაო.
 „ანდუყათარს რა მოჰკლავდა, თუ ღვინით არ დამთვრალაო“.
 მამას წიგნი მოუვიდა, — ანდუყათარ მამკვდარაო.

„ანდუყაფარს რა მოჰკლავდა, თუ ღვინით არ დამთვრალაო.
მომიტანეთ კულა ძაბრი, მოჰქედილი მათარაო.
მაინც ჩემი ურგო იყო, სიქიმან თუ მამკვდარაო“.
დედა მისი მარიაში საბნელოში დამჯდარაო,
ცოლი მისი ქეთევანი საყეინოდ გამხდარაო. 491

გორის სანახავად წაველ

გორის სანახავად წაველ, ხიდისთავს გაველ მტკვარშია,
ციხისძირული ყურძენი ჩავჭყუნე კალათაშია,
მე რომ იმითი დავითვერ, სამი დღე ვეგდე ლაფშია,
მოვიდა დედინაცვალი, მიფაჩუნებდა თავშია.
სამი დღის ნავადმყოფარი ავდექ, წავედი ტყეშია.
შეხედე, ღორი მორბოდა, დიდი იყო და მრეშია.
დავიჩოქე და ვესროლე, მოვადე ბეჭის ფრთეშია,
ერთი იმანაც ამამკრა ამ სისხო ბარძაყებშია,
ვერცა თოფი წამოვიღე, ვერცა იმისი ლეშია,
აღმართი ამოვირბინე, ერთი არ დამიხვნეშია.
ეზოს კარებზე მოვედი, — „ვაიმე, დედავ, წელშია!“
— „შვილო, დედამ რა გიშველოს; მონადირისა წესია,
შენისთანა მონადირე ტახს ბევრი გაუსრესია,
გეგონა გადმოიტანდი, როგორც ბოჰტანში ნესვია“. 492

ბიჭია ჩინჩიბური

ეს ბიჭია ჩინჩიბური¹, კვაშხიეთლების² ვეჭილი,
ამ ბიჭია ჩინჩიბურსა დახე რა მოუგონია:
თავის ნაწერი წიგნები თვითონ ვეჭსილი ჰგონია.
ტყეში გაგზავნა ბიჭები, დაუღესიათ ცულეები,
წინ დათვი შემოეყარათ, დაუკრეჭია კბილეები.

¹ გვარი.

² სოფელი რაჭაში.

ეს ბიჭია იძახოდა:

„სანადიროთ წამოვედით, ვინ დაგვხვდა ესე ნავსია,
თუ ესლა ამ დათვს წაუველ, ჩემს დღეში თოფს არ
დავსცლია“.

ნიკოლიამ დათვი დასჭრა, ფირანა დახვდა წინავო,
ერთი ტოტი რომ შემოჰკრა, მაშინვე ჩააწვინავო.
წინიდამ მელა გადმოხტა, — რა უბედური დღიდანო,
რაც კარგი ბიჭი არიან, სუყველა იმაღვიანო.

ყარამან მოდის ქვემოდან, ხანჯალი მოაქ შიშველი:
„ფირანა, ჩქარა წამოხტი, თორემ მე ვერას გიშველი!“
თედორიკა იძახოდა:

„ქალამნები დამიძველდა, ზედ ავიხვიე ბანდები,
თხილივოლეს ვეფარები, — მიწაში ხომ ვერ ჩავძვრები!“
სპირიდონა ხეზედ მიდის, ეგნატეს აძლევს ხანჯალსა,
ნიფხვები დაჭფუჭებიათ, ველარ იხსნიან ხვანჯრებსა. 493

მ ა ღ ა თ ო ვ ი

ეს მაღათოვი კარგია, გათქმული ხმელეთზე არი,
ხევსურებში და ფშავშია ყანები ჰქონდა ზიარი,
აგეთი აშენებული, — ფულებს გაჰქონდა ჩხრიალი.
მთაში მიდის სანადიროთ, ხარ-ირემსა შემოხვდება,
სამჯერ ესროლა ზედიზედ, მოკლა ირემი ჩხიანი.
დედავ, გულში გენაცვალე, შენ რომ გამზარდე ჭკვიანი,
წორ ამხანაგში გავდივარ, სიტყვა მაქვს ომანიანი.
მალლა წავედი კავთაზე, დაბლა ჩამოველ ბარათა,
მისტვინ მოგახსენებ შაირს, რომ დამიწერო გვარათა,
დავხოცე ბევრი ნადირი, სისხლი ვადინე ღვარათა. 494

სანადირონი

ბალხვნო

ბალხვნო¹, თქვე მონადირენო, ჩამოგიტოვნა მთანიო,
მა თქვენჩი სანადიროჩი ჩამოდიოდენ ცხონიო. 495

¹ ბალნო.

პაპი წავიდა ნადირობ

პაპი წავიდა ნადირობ², თხას დაუკრინტა³ თოლიო,
გადის და გადის. მაჟარი, ჯაქჩი⁴ ამოდის ბოლიო,
აქ აღარ ღოგოყონებდა, თუ რომ მოეკლა ორიო. 496

მთასა თოვს

მთასა თოვს, ჭიკვი ფექსა სცემს, გულს უტეხს მონადირესა. 497

გახედეთ მაგა ჭიკვებსა

გახედეთ მაგა ჭიკვებსა, რა მშვენიერი დგანანო,
რქა გადუდვიათ რქაზედა, საგრილობელზედ დგანანო,
უნდა გამოვლენ მწონეზედ, უნდა გრილობზედ დგანანო. 498

ჭიკვნო, გუნება მძიმენო

„ჭიკვნო, გუნება მძიმენო, კლდიდამ რამ გამოგიყვანათ?“
— „პირტიტველამა მოყმემა სათავე წამოგვიარა,
თქვენმა მაჟარისა ტყვიამა ილლიას გამოგვიარა,
შაგშინდით, კლდეს გადავცვივდით, ყორანმა გადმოგვიარა“. 449

ირემო, მთასა მყვირალო

„ირემო, მთასა მყვირალო, სად ჩამოვარდი ბარადა?“
— „მეუღლე ჩემი მომიკლეს, დევნებები ცალადა“. 500

არწიას ეფხენი

არწიას ეფხენი⁵ დაზრდილან, ტოტით კლდეს გადმოშლიანო.
ჭიოხის მთისა ნადირნი ყურით შინ მოუდიანო. 501

¹ მონადირის სახელი.

² სანადიროდ.

³ დაუხუჟა.

⁴ ციკაბო კლდის გვერდი.

⁵ ეფხენი.

მთაში ღორმა დაიკვება

მთაში ღორმა დაიკვება: „ყველგან გავაკეთე ბინა,
ვერცარას თოვლი დამაკლებს, ვერცა შამოდგომის წვიმა,
მე რომ კბილებ გავილესამ, ვერვინ გადმიდგება წინა“. 502

ტყეში ტახმა დაიკვება

ტყეში ტახმა დაიკვება:
„მე თოფი ვერას დამაკლებს, თუ არ ყარაბახისაო“. 503

თუშმა ივანემ

თუშმა ივანემ ხმალს უთხრა: „გასკერი, ხმალო ტიალო,
ვასკერი, თორემ გაგყიდი, ვაქარი შაშიჩენია“.
— „რისთვის გამყიდი, პატრონო, ნეტავ რა შაგიმჩნევია?“ 504

თოფმა სთქვა

თოფმა სთქვა: „ჩემსა პატრონსა ჩემს უკეთესი რა ჰქონდა,
საითაც მისახელებდა, მთასა ხუილი მიჰქონდა,
ჩემი ნახოცი ნადირი ყვავს და ყორანსა გაჰქონდა,
ბოლო დროს ერთი თხა მოვკალ, შვიდი მტკაველი რქა ჰქონდა,
გაღმა-გამოლმ თავადებში სულ სანახავად დაჰქონდა“. 505

ზოზობსა მახე დაუდგი

ზოზობსა მახე დაუდგი სამოცდასამი თოლიო,
შიგ გაბმულიყო კურდღელი, ამოეჭყირა თოლიო. 506

ეგ ორი მონადირენი

ეგ ორი მონადირენი, ცისკრის მასკვლევნი ცისანი,
დილაზე წამოდგებიან, დილით იბანენ პირსაო,
ავლენ ბებერათ, სხდებიან ბებერათ ღობის პირსაო,
ყოღანთ აყროლდა კორცები კარ-ლაღისა და თხისაო,
მაგათ მაკლულსა ნადირსა ხუთ-ხუთი ტყვია სჭრისაო. 507

თოფი ბულქი

თოფი ბულქი¹ გაქვ, ვაუაო, წამალი მალომლებული²,
მთაჩი ჩივიან ნადირნი, სულ შენნი დალონებულნი. 508

ბიჭი ვარ

ბიჭი ვარ გოდერძელი, როგორც რო ტალი კლდისაო,
ნადირი ბევრი მამიკლავს, შეელი და აჩჩვი მთისაო. 509

ეშმაკი შენ ხარ, კურდღელო

ეშმაკი შენ ხარ, კურდღელო, ეშმაკი შენი მდევარი,
ადელი დასაპერი ხარ ხერხითა, გეტყვის მწევარი. 510

შ ა ზ ა ნ დ ა რ ი

აქ შაზანდარი გიხლათ, ტვირი დაუკრა ჭრელია,
სულ შენი საყმო გამხდარა ჭარი და ბელაქანია,
გუნებაში ჩაეციინე, — მიგაქვს ჩიბისკენ ხელია,
ამოიღე და მაჩუქე, უნდა ვიყიდო ცხენია.
აგრე მოგიყვები ქებას, როგორც საყდარში მღვდელია,
ქალაქს სიონი გწყალობდეს და მცხეთას მონასტერია,
გაქოსა და გადღეგრძელოს, მოგცეს ადამის დღენია,
უწინ შენ მოგაკვლევინოს შენზე მოსული მტერია;
კისერი გაქსქელებია, ვერას დაგაკლებს მტერია,
ლამაზი ქერა ულვაში ლოყაზე გადაგფენია,
ასენაირათ იცინი, შენ ხარ ქალების მტერია. 511

• •

შენი ჭირიმე, შენია, ჩიბეს გაიკარ ხელია,
ან ამოიღე აბაზი, ან უხალთუნი ჭრელია. 512

¹ კარგად ნაკეთები.

² ხმელი, მშრალი.

• •

ან აბაზი ამოიღე, ან უზალთუნი კრელია,
ნუ ამოიღებ შაურსა, ჯორის ნალივით პტყელია. 513

• •

საზანდარო, საზანდარო, შენ პლუტო და აზარქალო,
ვერ მითხარი კარგი ლექსი. — „არ მოვიდა თავსა, ქალო“. 514

• •

ზედაველაზედ ვიყავი, მგელი მომიხდა, ვკიოდი,
სად იყავ, ჩემო ქამანჩავ, მე რომ ბატონთან ვჩიოდი. 515

• •

ქიზიყში ერთმა ბებერმა კარები დაგვიკეტაო,
მაგრათ დაკეტა კარები, ხელი მაადო ზედაო,
შიგნიდგან იგრე ამბობდა: „თვალი კი დაგიდგებაო“.
ქაფქირით გამოგვიტანა ქათმისა საკენკელია,
დავკარ ხელი, დაუბნიე, დღესაც იქავე ფენია. 516

საზანდარი მომეშალა

საზანდარი მომეშალა, ვერ მოვიყვანე კქუასა,
ხსნილში სახსნილოს ვაჭმევდი, მარხვაში ტყემლის წუასა.
ღმერთმან იცის, არ მინდოდა სოფელ-სოფელ სიარული,
დამიჭირეს, თვალი დამწვეს; ხელში მამცეს ჭიანური,
თვალდამწვარი გადავეარდი, მივტრიტ-მოვტრიტე ოსეთი.
ოსეთიდგან წამოვედი, წამოვყეე თარაებსაო,
ერთი კაცისას მივედი, ის მამცემს ფარაებსაო.
ნათლიდედა და სვინაო, ჩამოგიჯდები შინაო,
თავი ნუ შეგეწყინება, ავდარი არი, წვიმაო.
ჩვენ რომ მინდოდა ვიყავით, ის არის ჩვენი ყანაო,
ჩვენი პატივ-დიდებისთვის მოწყალემ შეგიყვარაო. 517

ჰოი ელია, მელია

ჰოი ელია, მელია, ბულბული მგალობელია,
ზეცას დარეკეს ზარები, ალავერდ მწყალობელია,
რაც შიგ ხატები სვენია, სულ ჩვენი მწყალობელია,
დაუკარ, ჩემო ქამანჩავ, დაუკარ ნელა-ნელია.
დაგლოცა პირმა ღვთისამა, ნაწილმა ბარძიშისამა.
დალოცვილი ქრისტე ღმერთი ოქროს ტახტზედა ბრძანდება,
ხელში უჭირავს სასწორი, ცოდო-მადლი ეწონება. 518

ღენთი, ღენთი, როგორ ღენთი

ღენთი, ღენთი, როგორ ღენთი, ღვინო დგება, განა ზეთი,
ტალკვესილამ დაიბადა დალოცვილი ქრისტე ღმერთი,
ყველა იმან გააჩინა, ნათლია და მირონ-ზეთი.
ქონი ქონზედ ადუღდება, მზეც რო წაღმა დაბრუნდება.
აცა, ბიჭო ზეგნელებო, კიდეც გნახავთ თელავშია,
კიდობნები მიგიმტვრიო, მიგიყარო ღელეშია,
გაღმა ხიდები გავყარე საყანგურე თხილებშია,
მალლა მთაში ღორი ჭყივის, ჭალაშია ირემია,
გულხადრები* ჩამოსულან, ხელთ უჭირავს სტვირებია,
მეტისმეტი სტვირის კვრითა ჩაცვივინათ კბილებია,
ოსური ჩოხა აცვიათ, ზედ უსხიათ ღილებია,
გაღმა მხარში არ გაუშვეს, შაზამურა თხილებშია. 519

სამოთხე არი ზაფხული

სამოთხე არი ზაფხული, ჯოჯოხეთია ზამთარი,
ხემწიფე კარგი დაგვიდგა, ვერას დაგვაკლებ ხონთქარი.
თოფები გამართულია, შუბი და ხმალი მზათ არი,
ასე ჩავკაფოთ თათარი, როგორც თივა და ნაცარი.
ნეტავ თუ ვისმეს გენახოთ ერთი ქალაქი დამწვარი?
აღდგომა დილას დაიწყო მთელი საჩხრიკის ბაზარი.
თავში გაუჩნდა ურიას, ბოლომდის გაჰყვა ღანძალი,
ძალი და ღორი დაიწო და მოფრინალი ქათამი.
გზას ზევითა შეუხვია სვიმონ წერეთლის კარამდინ,

გზას ქვევითა დაუხვია ნაღლიაშვილის კარამდინ.
კიკოლის ცოლი ტიროდა, ლამაზი და კვინწილაო:
„ტანისამოსი დაგვეწო, საგარეო ჩიქილაო,
ბაღები კარგი დაგვეწო სასაცილოთ მტრისთვინაო“.
კარსა გვერდით ავუარე ლამაზი ქალისთვინაო. 520

ქალაქიღამ წამოველი

ქალაქიღამ წამოველი მე და ჩემი თეთრი ვირი,
ყარა წიხლი, ჩამამაგდო, ლაფში ჩამივარდა სტვირი,
ამთენი ლაფი აიკრა, გირვანქა და ორი სტილი.
მაჩხანზე ჩავიარე, წყალი იყო მეტათ ძვირი,
ერთსა ქალსა წყალი ვთხოვე: „წყალზე არის ჩვენი ვირი“.
ჭიბეში ხელი ჩაიყო, ამოიღო ლელვის ჩირი:
„აჰა, ყმაწვილო, მიირთვი, ნახე როგორია ტკბილი,
მინამ ვირი მოვიდოდეს, ამით გაისველე პირი“.
გაიცინა, გამაცინა, გამოუჩნდა თეთრი კბილი,
ჩუმ-ჩუმათ ვეუბნებოდი: „შემეყაროს შენი ჭირი!“
— „შენ ჩემი ჭირი რათ გინდა, საიღამ ხარ, ვისი შვილი?
რო წამოგყვე, სად წამიყვან, საით უნდა მიყო პირი?“
— „ისეთ ალაგას წაგიყვან, რომ ყვაოდეს ყველა ხილი,
ყველა ხილი იქა იყოს, მიხაკი და დარჩინი,
წყალიც ახლო ჩამოგიდის, აღარ მოგინდება ვირი“. 521

ერწო მთა გადასავალი

ერწო მთა გადასავალი ლაფი იყო და ჩვილია,
წამამექცა ჩემი ლურჯა, შიგ ლაფში ჩავყავ ცხვირია,
ამხანაგი მეუბნება: „აღე, რა გასაჭირია?“
არცა რა იმან მიშველა, ჭიამ მოსჭამოს კბილია.
უკულმ ვიხედე, გორევდა ეს ჩემი ჭრელა სტვირია,
ამდენი ლაფი აეკრა, — ჩარექი სამი სტილია.
ავდექ, დავაჭექ ლურჯასა, ფეხი ვკარ ავეანდასაო,
ბულაჩაურში მოვედი, გავხედე ბოდორნასაო:
მოდიდებულა არაგვი, ქაფი მაეგდო წყალსაო.

შუა წყალში რომ შამოველ, შიში მამეცა ტანსაო,
 ძირს მენა, ზევით ლურჯაი, ლურჯამა წიხლი დამცაო,
 ორკოდიანი ტომარა ქვევითკენ მოაქვს წყალსაო,
 ვაიმე, კეხის ბალიშო, ჩითი იყავ თუ ფარჩაო.
 დედაჩემი გადმამდგარა, თავში იცემდა ქვასაო:
 „ღვთისმშობელო, შენ უშველე შენსა ერთგულსა ყმასაო“ -
 არცა რა იმან მიშველა, დიდება იმის ძალსაო,
 მოუცურდი და გამოველ, ვით ორაგული ზღვასაო.
 აცადე, შვილო არაგვო, თუ ვერ ჩაგიდგო ჯაბრსაო,
 კიდევ მოვალი ზაფხული, ქაჩალ დავიბან თავსაო,
 ბოდორნის ძირზე წამოვალ, ჭენებით მოვკლავ ვირსაო.
 ვეჩიჩინები სიმამრსა, ვერ ვათქმევინებ ღმინსაო.
 როსაც როს სული დალიოს, დაეაკლავ ჩემსა ვირსაო. 522

არ ვარგოდა ნადიმობა

არ ვარგოდა ნადიმობა, ბეზლობა და კაცი ძრახვა.
 ყეინი რომ დაგვერია, ღმერთმა ისიც მოგეაჩვენა,
 წავიდა და გადიარა, ზღვქამ გემები გადალახა,
 ისიც იყო ცოდის კითხვა, დედამ შვილი ვერა ნახა,
 ყმაწვილები[ს] კალო ლეწეს, ჰოროლელო შამოსძახეს.
 შვიდი დღე-ღამე იწვიმა, წყალმა კლდეები დახრამა,
 ათას ხუთასი თათარი ერთ ღელეში ჩაიმარხა,
 ჩადიოდნენ, ამოჰქონდათ ცოცხალ, მკვდარი, ნაფერდალი. 523

ქალაქს სიონის საყდარი

ქალაქს სიონის საყდარი, მ[ტ]კვარზე რომ გადმოსცქერია,
 მისი მადლი შაგეწიოთ, რაც რომ შიგ ხატი სვენია.
 ზეინაბაანთ გიგია ეშმაკია და გველია,
 თავის ბატონის ფურებსა ყელზედ დაასხა წნელია,
 ხშირი ტყე ამაატარა, მინდორი უფრო გძელია.
 ერთმა ტურამ დაიღმუელა, იქ შაიყარა მგელია;
 ვენახები მომიქამეს, ველარა ვქენი რთველია,
 მას აქე ველარ ავამსე შვიდი საპალნის ქვევრია.
 კონდოლის ბოლოს აქებდნენ, ლეკი გამოდის ბევრია,

ერთი ბელადი გამოდის, კისერი ჰქონდა გძელია,
ასეთი კისერი ჰქონდა, როგორც რომ გოგრის ყელია. 524

ს ტ ვ ი რ ი

ჭავჭავაძემ დამპატიყა, ღვინო მასო ტკბილიო,
მაშკარეთს¹ რო ჩამოველი, მომივიდა ძილიო,
საცა ჩრდილი მამეწონა, იქ წაყვავი ცხვირიო.
ავდექ და ხელი მოვისვი, აღარა მქონდა სტვირიო,
ჩემი სტვირის მომპარავსა შეუდგება ჭირიო,
ღღვისწორამდინ მენახოს იმისი ცოლი ჭკრივიო,
ჩემი ძმისთენ მამეყვანოს, გამეწიოს ლხინიო,
მზითევში გამოჰყოლოდეს ჩემი ჭრელი სტვირიო. 525

ციხისძირიდან წამოველ

ციხისძირიდან წამოველ მე გქელაშვილი ანდრია,
ქალაქში მოქალაქესა კარგი ქორწილი ჰქონია.
ვიშოვნე ხუთი მანათი, შავაკმაზინე სტვირია,
აფხავის წმინდა გიორგში დავალიდინე სტვირია,
ბევრი ქალი ვათამაშე, მარიამი და თინია.
ყველამ კარგათ გამისტუმრა, მოჩხრიკა ჯიბის ძირია,
ზოგმა პლუტმა ავაზაკმა, იმან მარიდა პირია.
წმინდა გიორგიმ დასწყეველოს, იმის იქით რომ ველია,
მე ხომ იქ დამძინებო, დაეკარგე ჩემი სტვირია.
როცა რო იყო წამოვდეგ, შინატყენ წავეხირია,
ბაღლები შამომეგებნენ: „მამავ, რა უყავ სტვირია?“
— „წადით, თქვე მამაძაღლებო. დაეკარგე ჩემი სტვირია“.
წავიდნენ და დედას უთხრეს: „მამამ დაკარგა სტვირია“.
კნენინამ გამამძახა, მამიხჯილა კბილია,
ის შინიდან მიჯავრდება, მე ღერეფანში ვსტვირია.
დაიცადე, ქალბატონო, გაგიცვლეს ქოშის ძირია,

¹ სოფელი.

ეგ კაბაც შემოგეხიოს, წადი და უკან მდივია,
მე სტვირს მალე გავაკეთებ, — სად გასწყდა ორი ჩხირიო..
გათენდა მესამე დილა, ვიპოვნე ჩემი სტვირია. 526

ყიყლიყო, მამალო

ყიყლიყო, მამალო, თავსა გადასაეალო,
სამი წელიწადია ფური არა მყოლია,
ფურის ერბო-კარაქი ქალაქს ჩამიტანია.
ქალაქური დედლები ახტიან, დახტიან,
ოქროს კვერცხებს დაჰყრიან,
ერთი მე ავიღე, ერთი ჩემმა დობილმა,
დობილს თვალი გავარდა, ისიც მე ავიღე.
წაველ, დედას ვახარე. დედამ კვერი დამიკრა,
მამამ ტყეში წაიღო. ტყიდან გვრიტი მომგვარა,
გვრიტმა კვერცხი დამიღო. ავაგორე, ჩავაგორე,
ხუცის ცოლთან მივაგორე.
ხუცის ცოლი შინ არ იყო,
კარებს უკან თავს იბანდა;
ერთი [ასე დაიძახა],
ჯამ-ჭურჭელი დაამტვრია,
მეფე კარზე გაახტუნა,
დედოფალი ჩააძვრინა. 527

• •

გაგალ, გავალ მაღალთა, გაგიკითხავ თამარსა.
თამარ დედოფალია, იმის ქმარი ლალია,
ლალთა უარესია, ჭიქის გამხვრეტელია,
ოქროს გამცემელია.
არცა ფურა ჰყვანია, არცა ჯარა ჰყვანია,
ერთი ჩიტი ჰყვანია, ისაც მოუწყენტია¹,
იმის ერბო-კარაქნი ქალაქს ჩაუტანია.

¹ მოუწყენელია.

ქალაქურნი დედანი ახტიან და დახტიან,
ლომსა მოელოდიან.

ლომი არცა მოვიდა, თეთრი ქორი მოვიდა,
იმან გაშალა ბოლო, მარგალიტნი დაყარა,
ერთი მე ავიტაცე, ერთი ჩემმა ღობილმა.

„ღობილ, მითხარ მართალი, ვინ შარკაცა ბარკალი?“
— „სომხის შვილმა პაპუამ, მან შამქარცა ბარკალი“.

დედამ კვერი შამიქნა, მამამ ტყეჩი წამილა,
მამამ გვრიტი მამგვარა, გვრიტმა კვერცხი დამიღვა.
ამიგორდა, ჩამიგორდა, ხუცის კარზე მიმიგორდა.

ხუციანი შინ არ იყო, გამოვარდა იმის ცოლი,
ერთი ასე [დაიძახა], ყმაწვილები დააშინა,
კიდაბანჩი ჩაასხდინა, იქ ვაშლები ჩაუყარა,
თავადვე დააყუჩა, ცხრა ბორბოლი დააბრუნა,
მეთეს კი ფრთე მოსტეხა, ბერი კაცი დააყრუა. 528

ხ ე ლ ე ჩ ო

ხელეჩო, ხელეჩო, ხომანდულის ხელეჩო,
შიგა სხედან ქალები, აზნაურის ცოლები,
ზოგსა ხურამ ქედები, ზოგს არა აქვს ქუჩები.

ახ შენ ჩემო რძალო, უცნაურო კჳდარო,
ვისა კარსა მიგასვენო? — „სვიმონისა კარსა“.

— „სვიმონი რომ შინ არ იყოს, ვინ გაგვიღებს კარსა?“

— „ჩემი მაზლი დიაკვანი, ის გამიღებს კარსა“.

შენი მაზლი დიაკვანი ფოშტაშია ფლამსა.

შვილო, ადრე ადგებოდე, ქალას ჩაინადირებდე,

ქალა ეკლიანია, მუხა ძეძვიანია,

დაიჭერდე ხოხობსა, დააბამდე ჯაჭვნითა.

ჯაჭვნი დაუწყევტია, მთასა გადურბენია.

მთასა შედექ მაღალსა, გადასძახე თამარსა,

თამარ ჩემი რძალია, ნეკ-ბეჭედინანია,

იმის ქმარი ლომია, ლომზე უარესია,

რკინის დამკვნეტელია, ოქროს მამგებელია. 529

ადიდებულა ტანაო

ადიდებულა ტანაო, წყალ ღორმა¹ მამატანაო,
დამიგორგოლა, წამილა, შუა ზღვას მიმიტანაო.
ვახსენე წმინდა გივარგი, ნაპირზე გამიტანაო,
იქ ორი ჭადი დავკარგე, — ზარალი ამისთანაო.
ვაფიცე ქართალიკოზი, განჯას ვაფრინე თათარი,
მილამ განჯით მოვიდოდა, ჭადები დამლილიყო.
შვილო, ადრე ადგებოდე, ჭალას ჩაინადირებდე,
ჭალა ეკლიანია, ბოხო² ძუძუანია³.
დავიპერდი კოქობსა, დავაბამდი ჯაჭვითა,
ჯაჭვი დაუწყვეტია, მთანი გაღურბენია.
ა იმ მთათა მაღალთა გადავსცქერდი ქალათა,
აზნაურთა ლამაზთა,
ზოგს დაეხურა ქუდანი, ზოგთ არა აქვთ ჩაჩქანი. 530

ასაკი და აგუგუ

ასაკი და აგუგუ, მე რო ჭალას მეძინა,
ასკის ქალი მოვიდა ქუდითა და წარბითა.
[ქალო, ქუდი ვისია? ჩემი ძმისა მეფისა.]
ჩემა ძმამა მეფემა ყურძენი მომიტანა,
იმ ყურძენმა არ მიამა, სამარე გამითხარეს,
სამარე მიწრო მოვიდა, გვერდები დამათალეს,
ჩემი გვერდების ნათალი ზედ გულზედ დამაყარეს,
საწყალმა ჩემა დედამა ზედ კალთაჲ დამათარა. 531

ილი ილელი

ილი ილელი, ჩიტი ჩიტელი, ღოჯა მორბოდა რქიანი,
კურდღელსა შეშა მოჰქონდა ასი ურემი ერთათა,
ხიმეს ვერ ჩამოეტია, ხიმეს ხსნიდა კბილითა.

¹ ღვარმა.

² მთის სახელი.

³ მჩხელეტავე კენჭები.

იყიცილო მამალო, თავზე გადასავალო,
სამი ცხვარი მიმიძლოდა თავწითელი რქიანი,
ისიც ოსეთ ჩავიყვანე, თბილი პური მომართვესო,
თბილი ქათმის კისერი, ისიც მუხლზე დავიდევი,
წიწიბურამ მამტაცაო.

მაცა, მაცა, წიწიბურავ, მეც გადმოვალ სერზედაო,
გადავედი სერზედაო, ბატონი ზის ცხენზედაო.

გამწევენ და გამომწევენ, გამიკრამენ კეტზედაო,
ქორ-მეძებრები დაუძღვის დაგეშილი ჩემზედაო.

ღმერთო, ბატონ გაუმარჯვე, ღვინოს ბძანებს ჩვენზედაო. 532

ერეკელი ვარ

ერეკელი ვარ და მერეკელი,
ელისბარი, ამასთანა სადიკო.

მიქელაჲ ვარ და მიქელაჲ,
ჩიტბედური

ჭენჭეთური

ხვანსკის მიერ

ბეჭეთური ქვე,

ქვერი ვარ და ახალ ქვერი,

იმყვირიას

ამყვირიას თვით,

თვითარქო

ჭამშირექ

დაფარული

ჭერი ჭერი გუ,

გუმუთარ და გულმამლარი,

ნებას გაძღევ სახსოვარი,

ოჰოჰო მიქელოოო! 533

ქუთათური ქათამი

ქუთათური ქათამი ორღობეში გავთაღე,

იმის კურტუმ-ბარკალი დათიელას გავუგზავნე.

დათიელამ ცხენი მომცა,

ავაჭენე, ჩავაჭენე, ორღობეში მივაჭენე.

ორღობესა ბოლოსა ცხენი სძოვდა ყანასა,

ცხენო, ყანა ვისია? — ასისა, ბასისა, გაღმაური კაცისა.

გაღმაურმა კაცმა ძაღლი დამისისინა,

ვერაფერი ვერ დამაკლო, ცოტა დამასისხლიანა.

წყალში ფეხი ჩამივარდა წმინდა ქალამნიანი,

ორაგული მთიანი, კაი ქალი თმიანი. 534

ჩიტო გვრიტო

ჩიტო გვრიტო, მარგალიტო,
შენი დედა ჩვენსა იყო,
ცალი ფეხი მასტეხიყო,
ცალი ისრე ჰქონებო.
ქერში შავდე, გამხმარიყო,
ჩამოვიდე, დამპალიყო,
დიდმა კაცმა ვერ შექამა,
ჰინჰველამა ლუკმად იგდო.
ის ჰინჰველა რა ქნდაო?
თავგსა შაუქამიყო.
ისა თავგი რა ქნდაო?
კატას შაუქამიყო.
ის კატაი რა ქნდაო?

ძალსა გაუხეთქიყო.
ისა ძალლი რა ქნდაო?
მგელსა გაუხეთქიყო.
ისა მგელი რა ქნდაო?
დათვსა გაუხეთქიყო.
ისა დათვი რა ქნდაო?
ტყეჩი ჩავარდნილაო.
ისა ტყე რა ქნდაო?
ცულსა გაუქუწიყო.
ისა ცული რა ქნდაო?
მჰედელს შაურევიყო.
ის მჰედელი რა ქნდაო?
სიკვდილს მოუკლიყო. 535.

საუმაჯვილონი

ზღაპარ იყო

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო, ჭალას ჩიტი მამკვდარიყო,
მალლა შავდე, გამხმარიყო, ჩამოვიდე, დამპალიყო;
დიდ ქვაბში არ ეტევიოდა, პატარაში ლალი იყო,
ასმა კაცმა ვერ შექამა, ერთი კაცის ლუკმა იყო. 536

ჩიტი, ჩიტი

ჩიტი, ჩიტი ჩიკორტელა, ჩიტი მყვანდა შავარდელა. 537

ელია მელია

ელია მელია, მუხა-ტყეში მგელია,
ტეტეს ბიჭი დაეგლიჯა, ძნელად მოსარჩენია,
ეჭიმები დავაყენე, ფული მისაცემია.
ორი მანეთი ვაძლიე, არ მამკიდა ხელია,
მესამე რომ მოუმატე, მაჰაწოდა ხელია, —

გინდა კაბა შაიკერე, გინდა ქოში ჭრელია, —
ოთახში რომ შამიყვანეს, გადმეცვალა ფერია. 538

ჩიტმა თქვა

ჩიტმა თქვა: „წიო, გამოვიტან, ვსცრიო,
კალოს პირას ვზიო, დავიქ გოგლომებსაო!¹
მარცვლებს ვკრეფო, დავსთლი ჭრელ კოჭებსაო,
ვყრი ჩუხურაჩიო, [დავურიგებ ამას და იმას]“. 539
გავიტანე წისქვილსაო,

ჰინჰარი

ჰინჰარი ჰირის ჰირია, სატაცური ბალღამია,
სვინტრი ყველას წამალია.
არჯაკელა ტიროდაო, დიდი ერბო მინდოდაო,
ასი კვერცხი ჩამახალეს, ასი კიდევ მინდოდაო. 540

ალათასა, ბალათასა

(ბერიკული)

ალათასა, ბალათასა, ჩამოვეკიდებ კალათასა,
ერთი გროში თქვენც მოგვეცი, ღმერთი მოგცემს ბარაქასა. 541

ოცდახუთსა ამ თვესა

ოცდახუთსა ამ თვესა ჭრისტე დაბადებულსა,
მადლი მახარობელსა, ქვეყნის გამხარებელსა.
სახლო, ღმერთმა ავაშენოს, მხიარულათ დაგაშვენოს,
ალათასა, ბალათასა, ხელი ჩაეყავ კალათასა,
ერთი კვერცხი გამოგვიტა, შენი სახლის ბარაქასა. 542

¹ კვერცხებს.

კონა

კონა, კონა ვარდის კონა, ჩამოგვიდებ კალათსა,
ერთი კვერცხი თქვენც გვიბოძეთ, ღმერთი მოგცემთ ბარაქასა. 543

აჩუ, აჩუ

აჩუ, აჩუ ცხენო, შიგ ბებერი ჰკილია,
საით გაგაჰენო, პური ვთხოვე, არ მაჭამა,
ალაზანი დიღია, ჩემი ცოდვა ჰკილია. 544

აცა ბაცა

აცა ბაცა ბაცანიკი, ძუაგრძელი სატყვეცელი,
იწერ ბუწერ ტყვეები კვაჭი, გიოლური, გიოჩხური,
ვაძირი და აში მორთი. 545

წი, წი

წი, წი წიქორია, [გ]ისვია და გიჭამია,
მთასა კვერცხი გიპოვნია, პირსა გცხია, გიხარია. 546

თათარო

თათარო, თათარო, შენი თავი გაეთალო,
შიგ მარილი ჩაეყარო, გარეთ უბანს გაეყარო. 547

იწილო

იწილო-ბიწილო,	შენი
შროშანო	ფეხი
გვრიტინო	ფეხმანდუკი
ალხო	აბდა უბდა
მალხო	კატა სკუპდა
ჩიტმა	აჭექ მაჭექ
გნახო	შეფევ ჩაჭექ! 548

ბიზი, ბიზი, მარიამ, შენთვის არა მცალიან. 549

* *

გაკრეჭილო თხაო, წიხლი არა მკრაო. 550

მტირალა

მტირალა, მტირალა, ლორებს ჩამოგილაღავ,
თუ ლორები არ გინდა, კატებს ჩამოგილაღავ,
თუ კატები არ გინდა, ბატებს ჩამოგილაღავ,
თუ ბატები არ გინდა, ქათმებს ჩამოგილაღავ,
და სხვა. 551

აგერ მოღის

აგერ მოღის ბერი კაცი,
უკან მოზღდევს შავი ძალი,
ვინც ჩვენს უკან ხმა ამაიღოს,
უკლუკუდა გველაშაპი,
კაპ! კუპ! 552

ფიცარ ფიცარ

ფიცარ ფიცარ ნაორღალო,
ციბრუტო და ოქრო მკედო,
ღმერთო, გაუმარჯვე ოცი! 553

* *

ჭიაე, ჭიაე, მპოვნინე; მე შენ დედას გაპოვნინებ. 554

ნეკ-ნეკასა

ნეკ-ნეკასა, კოჭ-კოჭასა,
ვინც გაეყაროს, ჭირი იმასა! 555

საბაღლო სიტყვები: ალუ — პირველი სიტყვა, აკვანში ხმის ამო-
ღებას რომ ასწავლიან; აა — ტანში გასვლა, აა მინდა — გასვლა
მინდა; აიუა — ცხენი, სახედარი; აიუ — ცხენით სიარული; ბაბა —
პური; ბუა — წყალი; კაკა — ხილი; ნუნუა — ღვინო; პა — კოცნა
(პაჩი); ტატი — სიარული; ტატი ქენი — იარე; ტიტტი — ჯღომა;
ტიტი ქენი — დაჯექი; ფიფია, ფია — საკმელი, ფაფუ — გაქრა,
აღარ არის; ფუფალა — ღმერთი; ჩიჩია — ხორცი; ჭულუ — ფსე-
ლი; ჭულუ ქენი — მოფსი. 556

ლოცვა. წყევლა

დაგლოცოს პირმა ღვთისამა

დაგლოცოს პირმა ღვთისამა, ნაწილმა ბარძიმისამა,
ქვა-ქვაზე აშენებულმა ქალაქმა სიონისამა,
წვიმამ ყანა მოგიყვანოს, მოსულმა შავი ზღვისამა. 557

დაგლოცა პირმა ღვთისამა, ნაწილმა ბარძიმისამა,
აშენებულმა ქალაქში იმ დიდმა სიონის მადლმა,
ცხეთისა ჯვარი გწყალობდეს, გადმომცქერელი მტკვრისაგან.

558

მაღალმა ღმერთმა

მაღალმა ღმერთმა შენ მოგცეს აღმასის დერეფანები,
ვერცხლის დედაბოძი ედგას, ზედ ოქროს გასაყარები,
ასი-ორასი საპანე სუ ზურმუხტი და ლალები,
ისიც შენ მოგცეს უფალმა, შენ მტერს დაუდგეს თვალები,
დაგებას ბედაურები, დაგეკრას ოქროს ნალები. 559

გუშინ

გუშინ მე ჭური ვიყიდე ათიანი და რვიანი,
ღმერთმა ნუ გამაგონოს თქვენი მარცხი და ზიანი. 560.

მეფეო

მეფეო, ღმერთმა შენ მოგცა ბედი და ბედნიერობა,
ზეთით მასული გვირგვინი შენ დაგეხუროს თავზედა. 561

ელა მელა

ელა მელა, სამოთხელა, თხის კომბალი, ყავარჯენა,
დათვი კლდესა, ჩვენ მახესა, ჩენი სული სამოთხესა. 562

* *

ზევით ღმერთი გწყალობდეს, ქვეით წმინდა გიორგი. 563

ჯანსალათ გატაროს

(დალოცვა მათხოვარისა)

ჯანსალათ გატაროს წმინდა გიორგიმ,
კარგათ გამყოფოს წმინდა სამების მადლმა,
შენი მარჯვენა დალოცა წმინდა გიორგიმ.
შენი თავი მიცოცხლოს ღმერთმა,
მუღამ ზაფხულს კარგათ გატაროს.
იცოცხლოს ვისიცაა (ყმაწვილზე).
შეგეწიოს უფალი.
შენი სახელის ჭირიმე, დაგასწროს ყოველ ზაფხულს. 564

* *

ღმერთ დიდება, თქვენ მშვიდობა! 565

დიდება

დიდება ღმერთსა, კიდევ დავლევ ერთსა,
ღმერთმა ყველას გაუმარჯოს, სტუმარ-მასპინძელსა. 566

დიდება ღმერთსა

დიდება ღმერთსა, ყანწი ვიგდოთ ხელსა,
ხელი მაგრათ მოუჭირე, ხელში არ გაგიშპესა.
ნეფევ, ღმერთმა გადღეგრძელოს, დედოფალო, შენცა,
შენ რომ ქალი მოგყოლია, გვითავაზე ჩვენცა 567

დიდება ღმერთსა

დიდება ღმერთსა, ღვინოს დავლევთ ბევრსა,
ერსა, ბერსა, სტუმარ-მასპინძელსა,
ბებრებ მიე ცხონება, გახარება ქალებსა,
მოლოზნები მგლებსა, ბერები ეშმაკებსა,
შენდობა, მამაო, დარბაისელნო, გაგიმარჯოთ! 568

ღმერთო, ნუ მოშლი

ღმერთო, ნუ მოშლი ამ სახლში ღვინოსა და სადილობასა,
ქალების გასტუმრებასა, ვაყების ქორწილობასა,
ამისთანა კეთილ საქმეს, სარჩოთი გამხვინებასა. 569

ღმერთო, აცოცხლე

ღმერთო, აცოცხლე ისა, ვისიც გული გულთან იყოს,
უყვარდეს და აქ არ იყოს. 570

დაილოცა გაზაფხული

დაილოცა გაზაფხული, გაიშლება ტყე და ველი,
მშვიდობით მოგაქმევეინოთ ჯერ კალო და მერმე რთველი. 571

მეფის დალოცვა

(მეჯვარე ილოცება)

მეფე ილოცება,	ამოწყვეტა ლეკთა,
ღვთის პირით დაილოცება,	უამი ხორასნელთა,
დიდება ღმერთსა,	მათი ჯარი, ბელადები

გარდაცვივდეს კლდესა,
ავი კაცი და მოქმედი
დაილუპნენ ბნელთა,
ამხანაგის მოლაღატე
მიეცეს ღიდ სენთა,
ღმერთო, შენი გამარჯვება

მიეც თაეადელთა,
ქართლ-ქახეთის აზნაურთა,
აძლევინე მტერთა,
ჭირნახულის მოსაეალი
მოუმატე გლეხთა.
ეჭიფე¹, მეფეს გაუმარჯოს. 572

(ხუპარა მეჯვარე ილოცება)

მეფე ილოცება,
ღვთის პირით დაილოცება,
ღმერთო, ნუ გამოგვილევ:
მალლა ჩალას ჩიტებსა,
ქოჩრიანსა ბიჭებსა,

კიდობანში კუტებსა,
ქვეშაგებში . . . სა,
ბიჭსა ჭ . . . სა,
გოგოსა ტ . . . სა,
ჩვენ ნეფიონს გაუმარჯოს! 573

მთას ურემი ავიტანე

(ზღაპრების გათავებისას)

მთას ურემი ავიტანე, ბარს ჩავიდა გორებითა,
აქ სიცოცხლით გამიძეხით, საიქიოს ცხონებითა. 574

* *

ელასა მელასა, ჭიქა მეკიდა ყელასა,
მოქმელსა და გამგონებელს ჯვარი გწერიათ ყველასა. 575

* *

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა! 576

¹ მაყარი, რომელიც მეფეს გვერდით უზის (შეად. აღ. მირიანაშვილი, „მო-
აბგე“, 1903 წ., № IV, გვ. 11).

• •

ეკალსა კურმუხოსა ყვაფი ხესა ნადირობსა,
კურდღელსა შეშა მოჰქონდა ასი ურემი, ყურითა,
ყურითა ჰყრიდა ხიმესა. თქვენ — დიდი ბატონი,
მე — პატარა შინაყმა, თქვენ ძილი და მოსვენება,
მე ზღაპრისა მოხსენება. 577

დავწვები, დამეძინება

(ძილის წინ)

დავწვები, დამეძინება, პირჯვარი დამეწერება,
ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი თავქვეშა დამესვენება,
მამა მაცვია, ძე მარტყია და სული წმინდა მმოსია.
ჯვარი მწყალობს ჯვარცმული, ვერას მაცლებს მაცდური,
მწყალობს წმინდა გიორგი, ჯვარი პატიოსანი. 578

• •

ჯვარი გწამდეს ჯვარცმული, ჯვარი პატიოსანი,
ვერას მაცდენს მაცდური, მწყალობს წმინდა გიორგი. 579

• •

ისუსინე — ქრისტუსინე,
ხე შავი და ქარვანი,
მოდო, ძილო, დავიძინოთ,
სული წმინდა დავისვენოთ,
მამანევი, მაკარევი,
მადლი მოილო ძლიერი,
შიგ ერუსალიმს შევიდა,
ვითარ ეშმაკი ძლიერი,
პირში ლაგაჰი ამოჰდო,
გაარონია მშვიერი.
ოთხო თაო სახარებავ,

მათე, მარკოზ, ლუკა, იოანე,
ამ მთაზე სიონისა
ვიტყვი აღსარებასა.
ეშმაკო, ჩამოშეცალე,
არა ვარ შენსა ნებასა.
მე ქრისტესი ვარ,
ქრისტე ჩემია,
ქრისტეს ბეჭდითა
შაჰედული ვარ.
იოანე ლამისაო,
რაც შენ წასულხარ,

მე მძინავს,
ქრისტე მფარავს,
სული წმინდა მალეძიებს.
ჯვარს დავიწერ ჯვარისასა
სამებისა ძალისასა,
მოსეს კვერთხითა,
სოლომონის ბეჭდითა.
მოსულ არიან წმიდანი,
ეხვეწებიან, ელადებიან:

დედავ მარიამ, ღვთისმშობელო,
მოგვე კლიტე-ბეჭედი,
შევეკრათ, შევბეჭდოთ
ეშმაკის ხელი და ფეხი,
ჩავაგლოთ ზღვაში,
ნუ აუშვებთ ეამში.
ღმერთო, შენ დაგვეწერე
შენი წყალობის ჯვარი! 580

• •

ღმერთო, ერთობრივ მიცნინხარ, არ დამიგდინხარ გონებავ,
მიხსენ ეშმაკის ხელიდგან, მამეც კჳუა და გონება. 581

• •

მინდორში ბატის ფეხია, კისერიც მოგიტეხია. 582

სახლში

სახლში მშობიარე გყვანდესო, კარზე მევალე გადგესო,
კილობანში პური არა გქონდესო, სახლი გიწვეთოდესო. 583

ფლავსა ერთსა პატარძალსა

ფლავსა! ერთსა პატარძალსა ფაფა გაეკეთებინა,
ფიალები და თეფშები სულ ერთიან დაემალა;
ის კი ველარ დაუწყველე, ხელში ეჭირა პატარა, —
ათამანგი შეეყაროს, რო ველარ დაწვეს ქმართანა. 584

მენახოს შენი სასახლე

მენახოს შენი სასახლე ორპირ ნაგები ჩალითა,
მოგკიდებოდეს გარ ცეცხლი, მეყურებინოს თვალითა. 585

¹ სოფლის სახელი.

გერგეტელი ნახირი

გერგეტელი ნახირი, ტურფად ჩამოჭრეხილი¹,
სულამც ისრი გაუწყდება, ვერ მოასწრან მახვილი. 586

ქ მასპრომტაზი, ანებლოტაზი, წარწერაზი

აქ მოველ ყარაიას

(მეფე ერეკლემ უთხრა მგზავრს, რომელსაც ქალი მოჰყავდა; მეფეს თან-
ჰყავდა დედოფალი:)

„აქ მოველ ყარაიას, ვიშენებ სარაიას,
ეგ შენი ქალი დამითმე, ჩავაცმევ დარაიას“.
მგზავრმა უპასუხა:

„არც მოვსულვარ ყარაიას, არც ვაშენებ სარაიას,
ქალი ქალში გამიცვალე, რას ვაქნევთ ჩვენ დარაიას“. 587

ერთი საკვირველი ვნახე

(ერეკლე მეფე კახეთიდან მოდიოდა. საგარეჯოში შეჩერდა. ჩვეულებისამებრ
თავს იპარსავდა. უბრძანა იქვე ერთ კაცს, ზმა მითხარიო. მანაც უთხრა:)

ერთი საკვირველი ვნახე, — იხვი მიაქვს მალა ქორსა,
ერთი კაცი ხარს წყალს ასმევს, ურქოსა და უჩლიქოსა,
ერთი კაცი პერანგს იცვამს უსაყელო უჩაქოსა,
ერთი კაცი თავს იპარსავს, არის სამოცი წლის ქოსა. 588

წარწერა მეტეხის საყდრის კედელზე

მეფე ირაკლიმ ეს ციხე მტერს წაართო ძალადო,
აილო ჯვარი ქრისტესი, წინ მიიმძღურა ფარადო,
დაიხსნა ეკლესიანი, ახლა აქუს საყდრის კარადო,
ღვთის მოყვარეს კელმწიფესა ასე სქირს ამას გვარადო. 589

¹ შეკრელებული.

ღვთის მშობელს

(ილია აფხაზის თქმით, „სვანეთის სამთავროში ციოყ დაღეშკელიანის სახლში არის დღემდე თამარის ბეჭედი, რომელსაც აწერია“:)

ღვთის მშობელს ვესაუგ მისი ამარი
და ძესა მისსა ჰმონებს თამარი. 590

ქალ, შემამხედე

(მეფე თეიმურაზს შუამთასთან აღდგომა ღღეს ქალი შემოხედა. მეფემ ლექსით მიმართა და ქალმაც ლექსით უპასუხა:)

„ქალ, შემამხედე, ღვთის მადლსა, ხელთ რომ გიჭირავს კალათა, შენმა წარბმა და წამწამმა მე გული გამიხალვათა“.

— „რას მიმზერ, ჩემო ბატონო, ხელთ რომ მიჭირავს კალათა, აღდგომას ღღეს ვის უნახავს ხელმწიფე მაწანწალათა“. 591

ულუმბის მთასა

(თეიმურაზის ლექსი)

ულუმბის მთასა გადმოვდეგ ჩემ საიმედოდ გულისა,
დავხედე ქართლის ქვეყანას ღვთისაგან კურთხეულისა,
დავაგდე ქაჯთა ქვეყანა ტალახით გამბასრულისა,
ვინც იყოს მათი მოყვარე, იყოს მაჰმადის რჯულისა. 592

ღროსა შავესწარ

(ღვეით მეფის ნათქვამი)

ღროსა შავესწარ ასეთსა, გულს ცეცხლი გამიაღერსა,
ყვინჭილად ხლიან აღმასსა, ბრილიანტსა და ლალებსა,
მურასით სჭედენ ვირებსა, დააკვრენ ოქროს ნალებსა,
ბედაურ ცხენებს კურტან ქვეშ სცემენ, ვინ შეიბრალებსა. 593

გაბაანთგან გამობრწყინდა

(ღვეით რექტორის ნათქვამი ანტონ კათალიკოსის დამხებულებელ მღვდელა გაბაშვილის შესახებ:)

უაბანთგან გამობრწყინდა ახლად უამად ანტექრისტე,
შე დაწყველილო ეშმაკო, ეს რა გამოგვიქობიტე,
ჯოჯოხეთი აღუშენე, ხელთა მიე მისი კლიტე,
ამ საფრთხისაგან დაგვიხსენ, უფალო იესო ქრისტე! 594

ღვთის განგებას

(სვიმონ მაჩაბელს, რომელიც ლაყაფი ენის პატრონი იყო, ეს ლექსი დაუწერია დადიანისგან გაგზავნილ საღვთისმეტყველო წიგნზე. დადიანი ავადმყოფი ყოფილა, შარიმი [ბუშტში ქვა] აქონია)

ღვთის განგებას რათ იძიებ, ვერ მიხვდები, რად არ იცი,
იმ ქვეყნისას რას გაიგებ, სწორედ მოფსმაყ რომ არ იცი. 595

ვახტანგი და ჯაბა

(მამია გურიელის სიკვდილის შემდეგ შეიჭიბრენ ძმები, ვახტანგი და ჯაბა, რით გვჭობდა მამია, განა ჩვენ კი არ შეგვიძლია ლექსიო. და დაიწყეს:)

ვახტანგი. ოზურგიდამ მოდიოდა ვახტანგი და მის ძმა ჯაბა.

ჯაბა. წინ შემოხვდა ერთი გოგო, ლამაზი და შავთვალწარბა.

(მაგრამ გაჩერდნენ, გაგრძელება ვერ შესძლეს, ბიჭმა მოასწრო:)

ესიკა. საწყალი იესიკა გადახტა და ღიეწაფა. 596

თუთუნზე

მოდანახეს რომ მიადგა ეს ბატონი მაიორი,
ზარბაზნები გამოადგეს, დილა იყო ალიონი,
წვერებში გენაცვალები, თუ მათხოვო ყალიონი. 597

•

მის კეთილშობილებას ბატონს ბუჭუა ლორთქიფანეს,
ახოვნებით მოხდენილს, ჭკუიანსა და ბრძენს,
ღირსი კაცის მოყვარეს, ეშმაკისა მტერს:
თუთუნს გიქებენ, ბატონო, მოსქოსა და ძნელს.

მე თუთუნის ქება შესმის, მისმა ჯავრმა გადამრია,
დღე და ღამე მომინდება, აღარა მაქვს ამანია,
საითა გაქვს შენახული, ვერ შევიტყვე მართალია,
უსათუოდ მოვიპარავ, კლიტეს თუ არ აბარია. 598

•

შენი სახელი არ ვიცი, გოგია თუ ამბაქო,
თორმეტი ფუთი მარილი ჩემი ზურგითა მომაქო,
თუ ესეც გამომელია, ერთი ბათმანი სხვა მაქოლ
გენაცვალე უღვაშებში, დამალევიე თამბაქო! 599

•

პეტრეს ბურნუთის ქებაო ერანში გავარდებო. 600

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

ა მ ა ზ ი ა

ს ა გ მ ი რ ო ლ ა ქ ა ნ ე ბ ი

(№№ 1—121)

1) ხევი, ს. სტეფანწმინდა, გიგოლა არჩინაშვილის თქმით ჩაწ. 1881 წ. [29 მა. რიამობის თეე]. — 2—3) იქვე, სიმ. შადურის თქმით ჩაწ. 1881 წ. — 4) უთარილო. — 5) ეს „ამირანი“ სხვა ჩანაწერიდან გადაუწერია გიორგი ფორაქოეს 1860 წელს და აქედან პ. უმიკაშვილს გადმოუწერია 1881 წელს. კუთხოვან ფრჩხილებში მოქცეული სტრიქონები სხვა ვარიანტებიდანაა აღებული. ვარიანტები: ა) ხეესურ., ივანეური ოჩიაურის თქმით ჩაწ. 1881 წ.; ბ) ხეესურ., ივ. ოჩიაურის ჩაწ. 1881 წ. (ნაწყეტი); გ) ხევი, ს. სტეფანწმინდა, გიგოლა არჩინაშვილის თქმით ჩაწ. 1881 წ. აქ ამირანის სიკედილი ასეა მოთხრობილი: „ამირანმა ჰკითხა ძმებს, რაღას მასწავლითო. ძმებმა უთხრეს: სამი ღრუბელი ამოვა, მკედრებიდამ ამოძვრებიან, ჭაჭებიანო, უფრთხილდი, — მოგკვლენო. ღამით მოვიდეს და მოკლეს. ერთი ლეკვი ჰყვანდა ამირანს, სამთა ძმაზე ფრინველი არ მიუშვის. ლეკვის ყეფამ უფალი შეაწუხა, უფალმა გამოგზავნა ფრინველები, — ყვაი, ყორანი. ამბაი ეერ მიუტანეს: ცხვარი და ბატკანი ერთმანეთში დაერივნეს და ბლაყანო. მამრე მტრელი გაგზავნა; იარა სისხლში, ფეხსისხლიანი მივიდა და უთხრა: სამი მკედარია და ლეკვი არ უშეებსო. გამოგზავნა ანგელოზები: გააცოცხლეს“; დ) იქვე ჩაწ. 1871 წ.; ე) იქვე ჩაწ. 1871 წ.; ე) იქვე ჩაწ. 1881 წ. ივ. შადურის მიერ; ზ) იქვე ჩაწ. 1881 წ. სიმ. შადურის მიერ; ც) იქვე ჩაწ. თამრო შადურის თქმით ლიზა ყაზბეგის მიერ 1881 წ.; თ) უთარილო; ი) ილ. კაეკუაძის ჩაწ. 1871 წ. (ნაწყეტი); ია) ა. ნ. ფერაძის ჩაწ. 1871 წ.; იბ) კახეთი, ს. ვაჩნაძიანი, ა. ჭანდერის ჩაწ. 1869 წ.; იგ) იქვე (ს. კალაური) ჩაწ. 1862 წ.; იდ) ქართლი, ს. კოღას ჩაწ. სოფ. პაპიაშვილის თქმით 1887 წ. ეკატ. გაბაშვილის მიერ; იე) ქართლი, ჩაწ. ვანო ჭაჭანოეის მიერ 1878 წ.; ივ) არაგველი კობიაშვილის თქმით ჩაწ. (უთარილო); იზ) უთარილო; იც) რაქა, ჩაწ. პ. შირინაშვილის მიერ 1888 წ.; ით) ხევი, 140 წლის ბერიკაცის [იასე ხულელისძე,

სოფ. გაიბოტენელი) თქმით ჩაწ. 1871 წ. უკანასკნელი ვარიანტი მით არის საინტერესო, რომ როსტომის ამბავი (დასაწყისი) ამირანს აქვს მიწერილი: ამირანმა ნახა სისხლისფერი წყალი, შემდეგ გმირი, რომლისათვის ცოლი მოეტაცუნა მეორე გმირს; ამის გამოვლას დარაჯობდა, და რომ არ დასძინებოდა, წინ ხმალი ჰქონდა დარკობილი, — ჩამოძინებისას შუბლს დაქრავდა და გამოეღვიძებოდა. ამიტომ ქვემოთ წყალი მისი სისხლით იყო გაწითლებული. იმ გმირებმა ერთმანეთი დახიციეს. დედაკაცი დარჩა. ამირანი ქალთან მივიდა, დაწვა, მაგრამ ვერ დააკმაყოფილა. ქალმა შეარტხვინა:

ისამც ადგილი კრულია, საცა შენ ამირანობდიო,
წესი რომ იყოს დედათი, ადვილად გინადირებდიო.

შერტხვინილი ამირანი შინ წავიდა, „საბნელოს შაეიდა“ და გარეთ არ გამოდიოდა. ქრისტემ კაცი გამოუგზავნა და იკითხა, ამირანი რატომ გარეთ არ გამოდისო. ამირანმა შეუთვალა: როგორღა გამოვიდე, დედაკაცმა შემარტხვინა, დედაკაცი მომერიაო. მე რომ ეს „ღიდი ხმა მომეცი, ჭანი რატომ არღა მომეციო?“. მაშინ ქრისტემ ანგელოზები გამოგზავნა და დააბარა: „როცა წყალი აოხრდება, ი წყლის შაძლება მიეცითო, შაეის ფერდის ზოვის [ზვაეის] ძალი — ისიც ამირანს მიეცითო, თორმეტი რკინის კედლის სიმაგრე — ისიც მკლავებში მიეცითო; ამირან ქრისტეს მონათლულია, გარეთ გამოვიდეს, საბნელოში ნულარ ზისო“. ამირანიც გამოვიდა. იმ დედაკაცთან წავიდა, მასთან დაწვა. ახლა კი მოეწონა დედაკაცს მისი ღონე და ჰკითხა: „ამირანო, წინათაც გცადე, მაშინ სად გქონდა ეგ ძალიო?“. ამირანმა მიუგო: „ძალი ღმერთთან გავგზავნე, შენ უძალო შეგვეყარეო, თორემ რაც ეხლა კეთილი ნახე, იმას მაშინ გაჩვენებდიო“. „დედაკაცმა თავი დაჰხარა“ და უთხრა: „ცოლათ კი აღარ მიყადრებ, ხასათ მაინც წამიყვანეო“. — 6) ს. მარაბდა, ნინო ბართოლის ჩაწ. (უთარილო, დაახლ. 1870 წ.). ვარიანტი: კახეთი, ლავრ. მათიკაშვილის ჩაწ. — 7) კახ., ლავრ. მათიკაშვილის ჩაწ. — 8) იქვე მისივე ჩაწ.; ვარიანტები: ა) ა. ნ. ფერაძის ჩაწ. 1871 წ.; ბ) უთარილო; გ) [გრემის]ხევი, ალექსა გომიასვილის თქმით ჩაწ. 1878 წ. — 9) ქართლი, ანანა ასანოვის თქმით ჩაწ. ივ. ტერსტეფანოვის მიერ. ხელნაწერში არის კიდევ 8 სტრიქონი, რომელიც მე ტექსტში არ შევიტანე, რადგან ნაქლებ გამართულია და ნაწილობრივ გაუგებარიც არის:

ე ლაშქარნი თურანელნი თუმცა ერთსა ლქენასა,
ქებით მოგართმევ სალამსა, მტირალე შექირებულნი.
ზურაბ მოგიკლეს ღალატით, დღე შენთან შედარებულნი,
მანდ ჩემი თავი ეძებე, ღრუბელთან შესწორებულნი.
უხედარო სახედარო, წადი სძოვე მალღა მთასა,
ახლო ნადირს ნურას მოჰკლამ ახალგაზდა მუხლად თმასა.
ერანელი სულ გაწყევება, აღარ იყოს გვარი მისი,
მამამ შვილი როგორ მოჰკლას, გვერთ რომ ახლდეს ყმა თავისი.

ვარიანტი: ბათუმს ჩაწ. ჰასან ბეგ ბეყანოლლის თქმით 1880 წ. (ნაწყვეტი) სულ
11 სტრიქონია, ასე თავდება:

ვაი რა ქნა ბერმა როსტომ, შეილი მოკლა ზურაბ მისი,
მკლავი ჩანგლათ გააქეთა, ზედ აასხა ძვალი მისი.

ბოლოში (პ. უმიკაშვილის ხელითვე) მიწერილი აქვს: „ამისგან გავიგონე, — როსტომის ფეხის ძვალი წყალზე ხიდად იდგა, ხალხი ვადიოდ-გამოდდიოდა“. — 10) ხევი, ჩაწ. 1864 წ.; ვარიანტები: ა) ილ. კავკავაძის ჩაწ. 1871 წ.; ბ) კახ., ს. თოხლიაური, ლ. ჩერკეზიშვილის ჩაწ. 1871 წ.; გ) ქართლი, ს. ქარელი, ჩაწ. 1869 წ.; დ) უთარილო; ე) რაქა (უთარილო); ე) ნაწყვეტები (უთარილო); ზ) ნაწყვეტი, ნინო ბარათოვის ჩაწ. ს. მარაბდას. — 11) კახ., ს. კალაური, ჩაწ. 1862 წ. — 12) ს. მარაბდა, ნინო ბარათოვის ჩაწ.; ვარიანტი: ს. თელეთი, მიხ. გოცირიძის — „სუმბათოვის ყმის“ — თქმით ჩაწ. — 13) ქართლი, ს. ქარცლში ჩაწ. 1869 წ. ანდრ. როინიშვილის მიერ. ვარიანტი: გ. თუმანიშვილის მიერ ჩაწ. „ერთი რაქველის“ თქმით 1870 წ. თბილისს. — 14) ხევი, ვაგა გოგოქურის თქმით ჩაწ. 1870 წ. — 15) არსენას ლექსი მე ავიღე 1875 წლის გამოცემიდან: „სახალხო ლექსი. არსენა. მესტვირეთაგან თქმული. გამოცემული ი. მელიქიშვილისა და ს. მესხისაგან. ფასი სამი კაპეიკი. ტფილისი, 1875“ (პ. უმიკაშვილის ნაქონი ეგზემპლარი). ცვლილება არა შემიტანია რა, გარდა ერთისა: თავიდან მეოთხე სტრიქონში ეწერა: „შეიდს წელიწადს ტყვეთ იარა, მთა და ბარი შეაჭრა“. ასეა დაბეჭდილი შემდეგ გამოცემებშიაც. ხელნაწერ ვარიანტებშიც წერია: „ტყვეთ“, მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, რომ ეს შეცდომითაა და უნდა ყოფილიყო: „ტყეთ“. — ტყეთ იარა, მთა და ბარი შეაჭრა. გარდა ამისა, აღნიშნულ გამოცემაში არაა რამდენიმე სტრიქონი, რომელიც შემდგომ გამოცემებში არის, — არ ვიცი, მაშინ რა მიზეზით გამორჩენილა: პ. უმიკაშვილის ხელით ნაწერ ვარიანტებში ის სტრიქონები არის. მე ეს სტრიქონები კუთხოვან ფრჩხილებში მოვაქციე. სხვა არაფერი ცვლილება არ შემიტანია, გარდა, რასაკვირველია, იმ წერილმანი შესწორებებისა, რომლებზედაც პ. უმიკაშვილის ნაქონ ეგზემპლარშია ფანქრით მითითებული და რომლებიც თვითონ მან შემდგომ გამოცემებში გასწორებულად შეიტანა. მისი მასალებიდან „არსენას ლექსის“ 17-მა ვარიანტმა მოაღწია ჩემამდე. მათში ზოგი თვითონ პ. უმიკაშვილის ხელითაა დაწერილი, მაგრამ არ არის ის დედანი, რომელიც მან ვარიანტებიდან შეადგინა და საიდანაც პირველი გამოცემა დაიბეჭდა (პირველი — მის მიერ შედგენილი ტექსტის გამოცემა; ხოლო მანამდე, სახელდობრ 1872 წელს, ნიკ. ყიფიანმა გამოსცა პ. უმიკაშვილისგან მიღებული მასალების საფუძველზე „არსენას ლექსი“ ორჯერ). — 16) ხევი, ს. სტეფანწმინდა, ვინმე თოლიკაშვილის თქმით ჩაწ. 1890 წ. სიმ. შადურის მიერ. — 17) ხევი, ს. სტეფანწმინდა, ალუშკა შადურის თქმით ჩაწ. 1884 წ. ივ. შადურის მიერ. ვარიანტები: ა) ხევი, ილ. კავკავაძის მიერ ჩაწ. ს. სტეფანწმინდას 1871 წ.; ბ) თბილისს ჩაწ. ქვემო-ხახმატელის თქმით 1874 წ. აქ არსებითი განსხვავება ის არის, რომ ბოლოში შემდეგი ორი სტრიქონია:

გაარიგენით, ხევსურნო, ნუ გაპყრით მტერობაზედა,
სხეაც ბევრი ვარიგებებთ ბელის კარ ნასხლომ კარზედა.

18) ხევი, ჩაწ. სოლ. ფიცხელაურის თქმით 1877 წ. — 19) ხევსურ., ხახმატელა ბერდია ეულაისძე გამლივარაულის ჩაწ. 1876 წ. (ხელნაწერში გარკვევით წერია ბაგაის ძოძი, მაგრამ მე მინეც გაგაის ძოძი დაეწერე, რადგან ამ მებრძოლის სახელი ასე უწერია ურბნელს [„ივ.“, 1888 წ. № 27], აგრეთვე პროფ. ა. შანიძეს („ქართ. ხალხ. პოეზია“, ტ. I, გვ. 182, 443—445). — 20—21) იქვე მისივე ჩაწ. — 22) ხევსურ., ივ. ოჩიაურის ჩაწ. 1884 წ. — 23—24) ხევსურ., ხახმატელი ბერდია ეულაისძე გამლივარაულის ჩაწ. 1876 წ.—25) მისი თქმით ჩაწ. 1874 წ.; ვარიანტი: მისივე ჩაწ. 1876 წ. — 26) ხევსურ., ივ. ოჩიაურის ჩაწ. — 27—29) ხევსურ., ბერდია ეულაისძე გამლივარაულას ჩაწ. 1876 წ.—30) ხევი, ს. სტეფანწმინდა, სია გიგაურის თქმით ჩაწ. სიმ. შადურის მიერ 1890 წ. —31) ხევსურ., ხახმატელის თქმით ჩაწ. 1870 წ. — 32) იქვე, ბერდია ეულაისძე გამლივარაულის ჩაწ. 1876 წ. — 33) უთარილო. ვარიანტები: ა) ხევსურ., ბერდია ეულაისძე გამლივარაულის ჩაწ. 1876 წ. (აქ ბოლო არაა ამ სიტყვებიდან: „ამბობდა ქალანდაური“...; ბ) უთარილო. — 34) ხევი, ჩაწ. 1870 წ. — 35) ხევსურ. ივ. ოჩიაურის ჩაწ. — 36) ფშავ., არტანუღ ბაბაღლე მინდლოაურის თქმით ჩაწ. 1886 წ. — 37) ფშავ. (უთარილო). — 38) ფშავ. ალმატელის თქმით ჩაწ. 1863 წ. ს. ენისელს. ვარიანტი: უთარილო. — 39) თუშ., ალმატელის თქმით ჩაწ. 1863 წ. სოფ. ენისელს. — 40) ფშავ., სოფ. გოგოლურის მცხოვრების თქმით ჩაწ. 1870 წ. — 41) ჩაწ. 1875 წ. — 42) თუშ., უთარილო. — 43) უთარილო. — 44) უთარილო (უკანასკნელი სტრიქონის ბოლო დედანში ასეა: „ქალნი ქარს ამოვიდეს კარზედა“). — 45) ხევი, ს. სტეფანწმინდა, ივ. ოჩიაურის ჩაწ. 1877 წ. — 46) ხევი, სოსიკა ბუნელიშვილის თქმით ჩაწ. 1875 წ. — 47) ხევი, ს. სტეფანწმინდას ჩაწ. გივარჯი ჩამარჯიშვილის თქმით 1881 წელს. ვარიანტები: ა) იაგორ ლუღუშაურის ჩაწ. იქვე 1881 წ. აქ ხახარეს ნაცელად მახარეა. ბოლო ასეთია:

მახარეს არა უნდა რა, ლოგინი უნდა მცერიანი,
 გზის ძირსა მოკლეს თათრებმა, გზის თავს მიაგდეს მკედარიო,
 მესამე დღეზე მიუდგენ დაეითს თავისი ყმანიო,
 ადგეს, დახოცეს თათრები, მახარეს შასწირეს მკედარიო.

ბ) იქვე [პ. უმიკაშვილის ჩაწ. სტეფანწმინდაში] 1881 წ. (ნაწყევტია მხოლოდ). — 48) ქართლი, კარბელი ეფრემ გირმიშელის თქმით ჩაწ. ივ. ტერ-სტეფანოვის მიერ. ვარიანტები: ა) ნინო ბარათოვის ჩაწ. ს. მარაბდას (აქედან არის ის ორი სტრიქონი ტექსტში შეტანილი, რომელიც უთხოვან ფრჩხილებშია მოქცეული). აქ ლექსი ასე იწყება:

სამზლევარსა შაიყარენით, სამზლევარსა მუხრანისასა,
 ცოლი მყვანდა და მიყვარდა, მიმყვანდა თავის ძმისასა.

და ბოლო:

სატკეარ ხელი გაიყარ, ნაჩუქებ ცოლის ძმისასა,
 ერთი ასეთი უსართე, წვერი უწვდინე ქვიშასა.
 ერთი იმანაც მისართა, ელვას ვამსგავსე ცისასა.
 აქეთ მე მოვედი, იქით ის, ქალი წაეიდა ძმისასა.

ბ) აპ. წულაძის მიერ ჩაწ. 1887 წ. აქ ასე იწყება:

მოდო და ამბავს გიაშობ ჩემსა და ხინჩლაისასა.

გ) უთარილო. იწყება ასე:

კირთ შემოგჩივლებთ, ბატონო, ჩემსა და ჩრდილო ყმისასა,
ჩრდილოს ყმა შემამეყარა სამძღვარსა კალყეთისასა.

ოლის ნაცვლად აქ დედა ნახსენები:

აწ მეკიდების დედასა, მიჰყვანდა, როგორც ქმრისასა.

დ) სოფ. ხიზაბაერას ჩაწ. იაკ. ლაზარაშვილის მიერ. ეს მხოლოდ ნაწვეეტია:

იმან შემამკრა, ერთი მე, წვერი უწია ქეიშასა,
თავსა ის მოკედა, ბოლოს მე ჰალასა დიდ-ვაკისასა.

49) [გრემისხევი, ალექსა გოდიაშვილის თქმით ჩაწ. 1878 წ. — 50) ხევი, ჩაწ. 1871 წელს. ვარიანტები: ა) იქვე (ს. სტეფანწმინდა) ჩაწ. 1871 წ. აქ ლექსის მხოლოდ ნაწილი არის (თავდება: მაუწია და გულსა ხკრა ბატონსა აჩხოტისასა). ბ) იქვე ჩაწ. იაგორ ლუღუშაურის მიერ 1881 წ. და გ) იქვე ჩაწ. თამარ ლუღუშაურის თქმით 1881 წ. ორივეში („ბ“ და „გ“) შიოლა შარამბალად არის წოდებული და ასე იწყება:

გათენდა, კარნი გავლა დიდისა ბაღდადისანი,
[„გ“-ში: გათენდეს, კარნი გვეხვენეს დიდისა დარბაზისანი],
მებურთავენი გავიდენ ნარჩენნი ქალაქისანი.
გავიდენ, გაიბურთეეს, ბურთი ევრაჲინ გაილა,
შარამბალ ლუღუშაური მაშინვე გულმა აილა,
შახკაშმა თავის ლურჯაი, მებურთეებჩი ჩავილა,
ჩავილა, ჩაიბურთაა, ბურთი ნაპირზე გაილა.
ციხით ვაღმადგეს ქალანი,
შარამბალს თოლი იქ დარჩა, ბურთი მეგრელმა წაილა.
შარამბალ ლუღუშაურო, კაცი გამახვე რა ჯელი,
ორი ქემწიფე შაიბა, შუა შენ დაგრჩა სახელი,
ყეინს მოუკალ მესიფრე, გააყრევენი თაე-ჯელი,
ტანზედით ჭაქვი გახადე, ოქროსი ება საჯელი.
ნეტამე შენ, ლუღუშაურო, შკამს ზიხარ ერისთვისასა,
არ გაგიშვია მთრეხელი ჯეეს მიმავალი დისასა. და სხვ.

დ) იქვე, სტეფანწმინდას (სამების დღეობაში) ჩაწ. გაბრიელ წიკლაურის თქმით 1875 წელს, აქ, შიგა და შიგ, ჩართულია ამის წინ დაბეჭდილი (№ 48) ლექსის ნაწილები: რომ პური სთხოვა და აჟამა, ლეინო სთხოვა და მიართვა, ცოლი სთხოვა და ვერ მისცა, რომ არ დაიშალა და აკოცა და სხვ. ერთის სიტყვით, წინა ლექსის შინაარსი აქ შიოლა ლუღუშაურის მოკლასთანაა დაკავშირებული. — 51) ხევი, სოფ. გარბაანის მცხოვრების თქმით ჩაწ. 1873 წ. — 52) იქვე, ს. სტეფანწმინდას ჩაწ. 1877 წ. — 53) იქვე, დიმიტრი ყაზბეგის ჩაწ. სოსიკა ბუნელიშვილის (ახალციხე, სნოს ხეობა) თქმით 1875 წელს (ორიოდ წლის შემდეგ თოელის ზეაეს მოჰყვა ბუნელიშვილი მეფანტურე. პ. უ.). პირველი სტრიქონის შემდეგ პ. უმიკაშვილის ხელით მიწერილია: „აქ 2 სტრ. აკლია“. ვარიანტები: ა) იქვე ჩაწ. გიგოლა არჩინაშვილის თქმით 1881 წ. (აქ ასე იწყება: ჩარუხ მამა და სნოს ციხე არიან მუქარაზედა); ბ) იქვე ჩაწ. თამარ შადურის თქმით 1881 წ. აქ იწყება:

არმას ციხე და სნოს ციხე არიან მუქარაზედა.

54) იქვე გიორგი ჯამარჯიშვილის თქმით ჩაწ. 1881 წ. [პეტრეს ხელთ]. — 55) იქვე იაგორ ლულუშაურის ჩაწ. 1881 წ. — 56) იქვე გიორგი ჯამარჯიშვილის თქმით ჩაწ. 1881 წ. — 57) იქვე ალუშკა შადურის თქმით ივ. შადურის ჩაწ. 1884 წ.; ვარიანტი: მისივე ჩაწ. იქვე.—58) მღ. ნ. ბაკურაძის („ქართული ოცებში“) ჩაწ. 1887 წ. (ს. ხუმელაგა). — 59) ხევი, სოფ. გარბანის მცხოვრების თქმით ჩაწ. 1873 წ. — 60) იქვე ჩაწ. 1871 წ. — 61) მოზდოკელის თქმით ჩაწ. კაკაეხ 1860 წ. — 62) კახეთი, ს. ველისციხე, ი. სიღამონ-ერისთავის ჩაწ. — 63) ხევი, ს. გულაური, ჩაწ. 1876 წ.—64) იქვე, ს. სტეფანწმინდას (სამების დღეობაში) ჩაწ. ფილო შუქაშვილის თქმით 1875 წ. — 65) იქვე, სოფ. გარბანის მცხოვრების თქმით ჩაწ. 1870 წ. — 66) იქვე, ზემომლეთი, ჩაწ. 1876 წ. — 67) დ. ხიზანაშვილის ჩაწ. 1884 წ. (ს. არტანი). — 68) ხევი, ს. სტეფანწმინდა, ივანე თოლიკაშვილის თქმით ჩაწ. სიმ. შადურის მიერ 1890 წ. — 69) იქვე მისივე ჩაწ. სია გიგაურის თქმით 1890 წელს. ვარიანტი: გიორგი ჯამარჯიშვილის თქმით ჩაწერილი. ამას პ. უმიკაშვილის ხელითვე მიწერილი აქვს: „იოსებ გიგაურის (ბრძის) გამოთქმულია“, რაც, თითქმის, არ ეთანხმება ლექსის ბოლოს, სადაც ნათქვამია: „გამომთქმელი თუმი მწყემსი ვარო“. — 70) იქვე, ჩაწ. 1871 წ. (ვაიბორტელის ტუსალის ნათქვამია. პ. უ.). — 71) კახეთი, ს. ვაჩნაძიანი, ა. ჯანდიერის ჩაწ. 1869 წელს. ვარიანტები; ა) ხევი, ჩაწ. 1860 წ. (აქ იკითხება: თემულა, თემურაზ); ბ) მეჭვრისხეველის თქმით ჩაწ. თბილისს 1860 წ. (აქ იკითხება: თემურ, თემურაზ); გ) კახ., ს. კალაური, ჩაწ. 1862 წ. — 72) ქართლი, ს. საწიხური, ბესო საძაგლიშვილის თქმით ჩაწ. 1870 წ. იოს. ამირეჯიბის მიერ. — 73) ქართლი, ივ. ტერ-სტეფანოვის ჩაწ. — 74) მესხ., ს. უდე [მასწავლებელი] ივ. ბარიკალოვის ჩაწ. 1889 წელს. დედანში არის კიდევ ოთხი სტრიქონი:

მუთრუბში იშოვნა სიმრავლე, გაუშვა ვარჩი ძირსაო,
 ეუბნევა მამა მისსა: გამიშვი, შენსა მხესაო!

— მე შენ ვერსად ვერ გაგიშვებ, ვერ გავაციანამ მტერსაო,
 ვრომანერათს გადავებვიოთ, სული შეესწიროთ ღმერთსაო.

ვარიანტები: ა) იქვე, ს. ხიზაბერას ჩაწ. სტ. ტატურაშვილის თქმით ილ. ალხაზიშვილის მიერ 1888 წ. იწყება: „ბიქმა დაქექა სიათა“ და შეიცავს სამ სტრიქონს; ბ) იქვე ჩაწ. იაკ. ლაზარაშვილის მიერ, იწყება: „პერიქი, ცხენსა გიქებენ“ და შეიცავს ორ სტრიქონს. — 75) ხევი, ჩაწ. 1871 წელს (მთქმელს სამუხრანაოში უსწავლია. პ. უ.) — 76) მესხ., ს. ხიზაბერა, იაკ. ლაზარაშვილის ჩაწ. — 77) კახ. ლავრ. მათიკაშვილის ჩაწ. — 78) კახ., ს. ველისციხე, ი. სიღამონ-ერისთავის ჩაწ. — 79) კახ., ლავრ. მათიკაშვილის ჩაწ. — 80) უთარლო. — 81) ხუთი ვარიანტი: ა) კახ., ს. თოხლიაური, ლ. ჩერქეზიშვილის ჩაწ. 1871 წ.; ბ) იქვე, ს. ვაჩნაძიანი, ალ. ჯანდიერის ჩაწ. 1870 წ.; გ) იქვე, უთარლო; დ) ა. ნ. ფერაძის ჩაწ. 1871 წ.; ე) გრემელი ჩაბარაშვილის თქმით ჩაწ.; ე) უთარლო. ამ გვირის გვარი ვარიანტებში სხვადასხვაგვარად იკითხება: ფხაქისშვილი, ხაქიაშვილი, ხაჩიშვილი, ხაჩაშვილი, ხაციშვილი. — 82) გრემელი ჩაბარაშვილის თქმით ჩაწ., უთარლო. — 83) კახ., ს. ველისციხე, ი. სიღამონ-ერისთავის ჩაწ. — 84) ნ. ბაკურაძის ჩაწ. 1887 წ. (ს. ხუმელაგა). — 85) რაქა (უთარლო). — 86) რაქა, სპ. აბესალაშვილის ჩაწ. 1871 წ. — 87) ზემო-რაქა, ს. საჯაო, გოგია ინტაშვილის თქმით ჩაწ. 1875 წ. ბ. ჭაფარიძის მიერ. — 88) კახ., ს. ვაჩნაძიანი, ალ. ჯანდიერის ჩაწ. 1870 წ. — 89) ზემო რაქა, ს.

საკო, გოგია ინტაშვილის თქმით ჩაწ. 1875 წ. ბ. ჭაფურაძის მიერ. ვარიანტი: იქვე პ. შირიანაშვილის ჩაწ. 1888 წ. — 90) რაქა (უთარილო). — 91) მღ. ნ. ბაყურაძის ჩაწ. 1887 წ. (კავკაი; ს. ხუმელაგა). ვარიანტებში ამ გმირის გვარი იკითხება: ზოგან გელანაშვილი, ზოგან გეგლაშვილი, გეგლაშვილი, გელელაშვილი, ნინია გალაშვილი, გელანა ნათელაშვილი. ვარიანტები: ა) ფშაჟ., დ. ხიზანაშვილის ჩაწ. ს. არტანუში 1884 წ.; ბ) ხევი, სტეფანწმინდა, გიორგი ჭამარჯიშვილის თქმით ჩაწ. 1881 წ.; გ) ხევი, არაფეთელი ბურდულის თქმით ჩაწ. 1871 წ.; დ) იქვე, ს. სტეფანწმინდა, ჩაწ. 1871 წ.; ე) კახ., ს. ველისციხე, ჩაწ. ი. სიღამონ-ერისთაყის მიერ; ვ) კახ., ს. კალაური, ჩაწ., 1862 წ.; ზ) კახ., ჩაწ. ლავრ. მათიკაშვილის მიერ; ც) იქვე ჩაწ. ა. ჭანდიერის მიერ 1869 წ.; თ) იქვე ჩაწ. (უთარილო); ი) იქვე ჩაწ. (უთარილო); ია) ქართლში ჩაწ. (უთარილო); იბ) ნინო ბარათოვის ჩაწ. ს. მარაბდას; იგ) თ. ი. ამილახერის ჩაწ. ს. კასპს 1875 წ.; იდ) არაგველი კობიაშვილის თქმით ჩაწ. (ორი უთარილო). ბევრ ვარიანტში ამ ლექსს, თითქოს, საზანდარი ამბობს; იწყება ასე:

ადღგომელო საზანდარო, ბედი ახსენე ღეთისაო,
ან მაგ ქამანჩას დაუკარ, ან მაგ პატარა სტვირსაო.

ან:

შენ ტეტია საზანდარო, მადლი ახსენე ღეთისაო,
ცოდო-მადლი გაარჩიე, ცოცხალისა და მკვდრისაო.

92) კახ., ს. კაკაბეთი, ვ. ეფთიმოვის ჩაწ. 1880 წ. — 93) ხევი, ჩაწ. 1870 წელს, აქ სოლომონის ცოლის სახელად აღნიშნულია მარა (მარამ), სხვა ვარიანტებში კი ყველგან: ეფემია. უკანასკნელი 2 სტრიქონის წინ სამი სტრიქონი აქ „ვარიანტი-დანაა შემოტანილი. ვარიანტები: ა) კახ., ს. ვაჩხაძიანი, ჩაწ. ა. ჭანდიერის მიერ 1869 წ. ბ) კახ., ჩაწ. ლ. ჩერქეზიშვილის მიერ 1870 წ., გ) იქვე ჩაწ. ნ. ანდრონიკაშვილის მიერ 1868 წ.; დ) ხევი, ჩაწ. 1871 წ.; ე) თბილისს ჩაწ. მცხეთელის თქმით 1863 წ., მიწერილი აქვს შენიშვნა: „ეს ყველგან იციან საქართველოში“; ვ) არაგველი კობიაშვილის თქმით ჩაწ. (უთარილო); ზ) მოწ. იაყ. ძოწენიძის ჩაწ. ერმალო კანდელაკის თქმით ქუთაისს (უთარილო); ც) სპირიდონ ბესლაშვილის ჩაწ. რაქ. 1871 წ. თ) მოწ. ზოს. ხარაძის ჩაწ. იმერეთში და ი) ქუთ. მანრაში (ს. ფარცხანაყაენებში) ჩაწ. ო. ფხაკაძის თქმით მოწაფის მიერ. მართებლის ნაცვლად „ვ“ ვარიანტში ნახსენებია ბებუთოვი, „ც“ ვარიანტში — პასკევიჩი, „ი“ ვარიანტში — მუდათეე (ალბათ: მადათოვი). — 94) ხევი, ს. სტეფანწმინდა, ივანე თოლოკაშვილის თქმით ჩაწ. სიმ. შადურის მიერ 1890 წელს. ვარიანტები: ა) პ. უშიკაშვილის ხელით ნაწერი:

ადგა სოლადა, წაეიდა, დადგა სტამბოლის გზაზედა,
შვიდი დღე-ღამე იარა, მივიდა ხონტქრის კარზედა,
ხონტქარი შინ არ დაუხედა, ეეზირი დახედა კარზედა.
შეიპატიეა სოლადა, დასეა ხალიჩის თავზედა.

— სოლადავ, რისთვის გარჯილხარ ამ დიდის ხონტქრის კარზედა?

— რა მოგახსენო, ბატონო, მაქვს საჩივარი წაშვება.

— სოლადავ, მეტად გაქებენ ჭირითის ხმარებაზედა:
ერთი არაბი ჩეენცა გეყავს გათქმული ქვეყანაზედა,
შენ თუ იმას ეჭირითო, თუღებ დაგაღამ თავზედა.

— მე ჩირითისა რა ვიცი, გავზრდილვარ გურჯისტანზედა!

— არ გეშვებიან, სოლაღ, გაგიყვანებენ ხელ-ზეგა.

— რადგან არ მამეშვებიან, ცხენი მიბოძე ასეთი, არ იყოს ქვეყანაზედა:

ედგას ოქროს უნაგირი, აღმასი ერქოს თავზედა, ცხრა მეჩინიბეს ექიროს, კიდე დგებოდეს ყალბზედა!

ცხენი შოართვეს ასეთი, არ იყო ქვეყანაზედა,

ედგა ოქროს უნაგირი, აღმასი ერქო თავზედა,

ცხრა მეჩინიბეს ექირა, კიდე დგებოდა ყალბზედა.

მოქპრის, მოშხუის არაბი, ვით ქარიშხალი ცაზედა,

ტურფად იბრუნებს ჩირითსა იმ გაშაებულ მკლავზედა.

ფიცხლავ ჩამოჭდა სოლაღ, სალამს მიაართმევს წამზედა.

— არ ვიცი სალამ-სულამი. ეხლავ გამექე კვალზედა,

აბა გამექე, სოლაღ, გაგშინჯო კაცობაზედა!

გაიქვა ჩენი სოლაღ, გაიყრა აბეანდაზედა,

ორი ესროლა არაბმა, ერთი არ იყრა ტანზედა;

მესამე რომ დააზილა, ცხენ მოურტყა ტახტარზედა.

გადიწია სოლაღ, დადგა ცალ აბეანდაზედა.

გადაეხეია, აკოცა ცხენსა მარჯვენა თვალშია:

შენი კირიბე, ლურჯა-ჯან, გადამარჩინე წამშია!

— აბა გამექე, არაბო, გაგშინჯო კაცობაზედა!

მე ხომ ერთის მეტს არ გეგვირი, მასაც ღეთის სამართალზედა!

გაიქვა ფიცხლავ არაბი, გაიყრა აბეანდაზედა.

დაჰკიელა და შემოსტყორცნა, დაარქო ბექის ფრთაზედა!

არაბი ძირს გადმოვარდა, ცხენი გარბოდა წყალზედა.

სოლაღ მიჰყავთ ხონთქართან, ფეხები მიაქეს განზედა:

ასე ჰგონია სოლაღას, თავს ამორებენ ტანზედა.

ნუ გეშინია, სოლაღ, თუღებ დაგადგემენ თავზედა,

ფაშობასაც გაჩუქებენ იმ ახლციხის კარზედა!

ამას ბოლოში მიწერილი აქვს: „ეს სხვადასხვა ვარიანტებისგან შემდგარია“, ბ) აქა-რული, ჩაწერილია 1859 წელს სოფ. მერისის მცხოვრების თვდღერიძის თქმით, რომელიც გადმოსახლებულა კახეთში. პ. უმიკაშვილის ხელითვე მიწაწერი: „ამას რომ ვწერდი, იმერლები იყენენ დამსწრე და თქვეს, ამას იმერეთშიც მღერიათ. ამისმა მთქმელმა მითხრა, რომ სოლაღ ახალციხელი ყოფილა“. ეს ვარიანტი დაბეჭდილია წიგნაკში: „პ. უმიკაშვილის სახსოვრად“. ტფილისი. 1905 წ.; გ) აქა-რული (ჩურუქესუ; ს. მეხელე) ისმეილ კაიკაციშვილის თქმით ჩაწ. 1891 წელს; დ) ხევი, ფასანაურს ჩაწ. 1871 წ.; ე) ხევი, ჩაწ. 1871 წელს; ე) [გრემისხევი] ჩაწ. ალექსა გომიაშვილის თქმით 1878 წ. (ნაწევები); ზ) კახ., ჩაწ. ალ. ჯორჯაძის მიერ 1874 წ.; ც) კახ., ს. ენისელს ჩაწ. აღმატელი ბიჭის თქმით 1863 წ.; თ) კახეთში ჩაწ. ნ. ანდრონიკაშვილის მიერ 1868 წელს. ამ ვარიანტის თანახმად, სოლაღ ხონთქრის ეე-ზირს გაიწვევს ჩირითში: „აღე, ვეზირო, გავიღეთ სტამბოლის მეიდანზედა“. ი) კახ., ჩაწ. ლ. ჩერქეზოშვილის მიერ 1869 წელს. აქ ვეზირი გაიწვევს სოლაღას ჩირითში. სხვა ვარიანტებში ყველგან არაბია ნახსენები. ია) ს. ქარელში ჩაწ. ზურ. ვარძე-

ლაშვილის თქმით 1869 წელს. ამ ვარიანტს ბოლო „ავთანდილის“ ლექსიდან აქვს მიეკრებულები. იბ) ტფილისის ჩაწ. 1863 წ. 16 წლის მცხეთელი ბიჭის თქმით; იგ) უთარილო; იდ) იმერ., პ. მირიანაშვილის ჩაწ. 1888 წელს. აქ სოლადას ნაცვლად სოლომონია ნახსენები: „სოლომონ, ძლიერ გაქებენ ჭირითის გაგდებაზედო“. ამ ვარიანტსაც ბოლო „ავთანდილის“ ლექსიდან აქვს მიეკრებულები. იე) მოწ. ელიოზოვის ჩაწ. (დაახლ. 1870 წ.). აქ ლექსის გამომთქმელად ვინმე ხორგაძეა ნახსენები:

ეს მე გამოეთქვი ხორგაძემ სტვირსა და ქამანჩაზეა,
ორმოცი ყურუში მომცეს, დაეხარაქე დანიშენაზეა;
ერთი ქურაქიე ხომ მიბოძეს, ექნამდინ მესხა ტანზეა,
ეხლა კი დამიძველდება, დავკი დამ ქანდარაზეა.
ღმერთი აროდეს წაახდენს ალალ კაცს მართალ გზისასა,
ამას ვინ მოიგონებდა სიკვდილსა სოლადისასა.

და შემდეგ მოთხრობილია სოლადის სიკვდილი. ამ ვარიანტის თანახმად, იგი მოუკლავთ ცოლისძმისას (ახალციხეს). — 95) ს. კლდეეთში ჩაწ. თ. ღუგლაძის მიერ (უთარილო). ამ ლექსის „სტილს“ არ ეტყობა, რომ იგი ხალხური იყოს. — 96) ხევი, ჩაწ. 1876 წ. (ლომისობას მღერაინ მღუთს და გარუმემო. პ. უ.). — 97) რაქა, ჩაწ. ს. ქორთას 1871 წ. („სიმღერებშიაც იტყვიან“). — 98) უთარილო. — 99) ხეუსურ., ხახმატელი ბერდია ეულაქისძე გამღვიარაულის ჩაწ. 1876 წ. — 100) ხევი, ჩაწ. 1871 წ. — 101) ხევი (უთარილო); ვარიანტი (ისიც უთარილო). — 102) ხევი, ს. სტეფანწმინდა. დიმ. ყაზბეგის თქმით ჩაწ. 1875 წ. — 103) იქვე გიორგი ჭამარაძის თქმით ჩაწ. 1881 წ. — 104) ხევი, მიხ. ჩქარეულის თქმით ჩაწ. 1884 წ. — 105) იქვე, ს. სტეფანწმინდა, გიგოლა არაქინაშვილის თქმით ჩაწ. 1881 წ. — 106) ქართლი. ვ. ჭაჩანოვის ჩაწ. (უთარილო). — 107) ხევი, ს. სტეფანწმინდა, ჩაწ. 1881 წ. — 108) იქვე ჩაწ. 1881 წ.; ვარიანტი: კეკეავს ჩაწ. 1873 წ. მოხვევის (გარბანელის) თქმით:

მათ, თუშნო და ხეუსურნო, ლაშქარი დავაზიარნეთ,
ჩვენ კი ნუ ვერჩით ერთურთსა, ცხო მტერი დავაზიანნეთ.

— 109) ხევი, მიხ. ჩქარეულის თქმით ჩაწ. 1884 წ. — 110) ფშავ., ს. არტანი, დავ. ხიზანიშვილის ჩაწ. 1884 წ.; ვარიანტი: კახ., ს. ველისციხე, ჩაწ. ი. სიღამონ-ერისთავის მიერ:

თუშო, ნუ ჩახვალ ხოშორში, ხოშორი ეკლიანია,
ჩახვალ და ველარ ამოხვალ, მოსელა იქიდგან ძნელია.

— 111) [გრემისხევი] ეფრ. გოძიაშვილის ჩაწ., 1882 წ., აგრეთვე: ა) საგარეჯოში ჩაწ. (უთარილო); ბ) ველისციხეს ჩაწ. ი. სიღამონ-ერისთავის მიერ და გ) კახ. ჩაწ. 1868 წ. ნ. ანდრონიკაშვილის მიერ. ეს უკანასკნელი ასე იკითხება:

ტირიან თუშის ქალები: „არ მოგვივიდნენ ქმარები,
ლექები შემოხედებოდნენ, დავკიყრევიინეს თავები,
იმათი ლურჯი ცხენები დადიან დალაგმულები“.

— 112) კახ. ჩაწ. (უთარილო). — 113) ხევი, ილ. კავკაჟაძის მიერ ჩაწ. ს. სტეფანწმინდას 1871 წ. 22 მარტს. — 114) კახ., ს. ველისციხე, ი. სიღამონ-ერისთავის ჩაწ.

115—116) კახ., ლავრ. მათიკაშვილის ჩაწ. — 117) კახ. (უთარილო). — 118) თე-
ლაველი ბიქის თქმით ჩაწ. ა. ნ. ფერაძის მიერ 1871 წ. — 119) ხევი, უთარილო.—
120) ქართლი. ს. ქალას ჩაწ. 1868 წ. — 121) ხევი. ს. გერგეტი, ჩაწ. 1871 წ.

საისტორიო ლექსები

(№№ 122—216)

122) თელეთს ჩაწ. (უთარილო).—123) ხევსურ., ხახმატელი ბერდია ეულაკისძე
გამლივარაულის ჩაწ. 1876 წ. ლექსს ბოლოში აქვს კიდევ ერთი სტრა.: „ე მა ქართუ-
ლის მათქომი ემის მეტს კი არ ვიტყვი“. ამ გამლივარაულს წერა თვითონ უსწავლია
(უმასწავლებლოდ). მისი ნაწერი ხშირად ძნელი გასარჩევია, ასოები ზოგჯერ აკ-
ლია, ზოგჯერ მეტია, რაც გადმოწერის დროს ძალიან აძნელებს საქმეს. არის ამ
ლექსის მეორე ცალი, გამლივარაულის თქმით ჩაწ. პ. უმიკაშვილის მიერ 1874 წ.
(როცა გამლივარაულმა წერა, ალბათ, ჯერ კიდევ არ იცოდა). აქ უკანასკნელი სტრა.
ასეა: ამავეთნის საქმის მომქმედმა ცხრა ადლი ტილო წაიღე. ვარიანტები:
ა) თუმ., ა. ხახანაშვილის ჩაწ. გიორგი მესაბლიშვილის თქმით სოფ. ყვარელ-წყალ-
ში 1888 წ.:

ქალმა თქვა თამარ ნეფემა: „ამ სოფლის ვერ გავიგე რა,
ისპაანს დაესდე ბეგარა, სტამბოლში ხარჯი ავიღე,
შაჲ ზღვაში ჩავდგი სამანი, ხმელეთი ჩემით [ჩემათ?] დავიგდე,
ამოდენ საქმის მომქმედმა ცხრა ადლი ტილო წაიღე“.

ბ) უთარილო. აქ პირველი სტრიქონი ასე იწყება:

უბისს ავაგე საყდარი, უწყალოს წყალი ვაღინე,
ისპაანს დაედე ბეგარა და სხვ.

გ) ნინო ბარათოვის ჩაწ. სოფ. მარაბდას. აქაც 4 სტრა. არის:

თამარ დედოფალი ეიყე, სახელი დიდ გავიგდე,
ზღვაში ჩავყარე ხომალდი, ხმელეთი შიგ[ნით] მოვიგდე,
უქისს [უბისს] ავაგე საყდარი, უწყალოსა წყალი წაიღე და სხვ.

დ) ხევი, წმ. სამების დღეობაზე ჩაწ. ფილო შუქაშვილის თქმით 1875 წ. აქ, რო-
გორც ეტყობა, ლექსის ნაწილი სადღეობო სიმღერადაა გადაქცეული:

დიდია წმინდა სამება, ცის კიდურამდე ელავსო,
თავის ყმათ გაჭყარებელსა სულ წიხლის ქვეშა სთელავსო.
ზღვას კი დავადე ბეგარა, ზღვას აქეთ მამიდიოდა,
შუა ზღვას ჩავდგი სამანი, კმელეთი ჩემენ დავაგდეო.

ე) იქვე ჩაწ. 1871 წ. (ჰგავს რაოდენადმე „დ“ ვარიანტს). — 124) ხევი, ს. ხურთი-
სი, მიხ. ჩქარეულის თქმით ჩაწ. 1888 წ. პ. უმიკაშვილის შემდეგი თქმულება აქვს
თამარ დედოფლის შესახებ ამ ჩქარეულის გადმოცემით ჩაწერილი (1888 წ.):

„თამარ დედოფალს ჰყვანდა პირის მელვინე (ღვინო ვისაც ებარა). გაიხედა
თამარ დედოფალმა ფანჯრიდამ და ნახა, — პირის მელვინეს სძინავს, პირს ნათელი
დასდგომია. გააღიძა და ჰკითხა: მასწავლე, პირს ნათელი სიციოცხლით როგორ და-
გადგაო, მეც ვიქ იმ საქმესაო, მეც დამადგესო. პირის მელვინემ უარი სთქვა, სვეტი
ნათელსა მე ვინ დამაყენებს სიციოცხლითაო. — არა, უარს ნუ ამბობ, მე თვითონ

გადმოვიტვირე ფანჯარაშიგა და მე თეთონ გნახეო. კიდე უარი უთხრა, შენ ამდენი საქმე გაგიკეთებია — სივანს ცოხე, ახალციხეს ყველა წმინდა, — შენ არ დაგაღდა სეკტი ნათელიო და მე სიღამ დამადგება, შენი პირის მელენინ ვარო. მერე გამოუცხადა პირის მელენინ, შენ რომ საქმელს მიგზავნიდი, მე ვიკლებდი და მშვიერს ვაძლებდიო და ამიტომ დამადგაო. — 125) კახ. (უთარილო). აქ არის კიდეც შემდეგი სტრიქონები, რომლებიც ტექსტში არ შევიტანე (დღეფქტიანია):

დასხდებთან ჩენი მტერნი, ჩვენს საქმეს განაგებენ,
თორმეტ წელიწადს მკედლებმა ფრანგული თოფი აკეთეს,
ზედ შიში დასხეს ... (აკლია)

ეს რომ დაიძრა ოსმალი, ქალაქში შაიტყესა,
ვერ მოახსენეს სახლთხუცებს და მერე მოურავებსა,
მოლით და წიგნი მიეწერათ [ჩვენს] თამარ ხემწიფესა.

— 126) 1879 წელს გაგონილი ბათუმში უსეინ ბეგ ბეჯანოლისაგან. — 127) ჩინ-ქარაშვილის თქმით ჩაწ. (უთარილო).—128) [გრემისხევი] ალექსა გომიაშვილის თქმით ჩაწ. 1878 წ. — 129) ნ. ბაკურაძის ჩაწ. ს. ხუმელაგას 1887 წ. — 130) უთარილო.—131) ხევი, ს. სტეფანწმინდა, გიგოლა არჩინაშვილის თქმით ჩაწ. 1881 წ. — 132) ილია ქავეკვაძის ჩაწ. 1871 წ. — 133) ხევი (არ ჩანს, ვისი ჩაწერილია). ლექსს მიწერილი აქვს: „გადაწერა ვერ მოვასწარი“. როგორც ხელზე ეტყობა, პაეღე ღუღუშაურის ნაწერი უნდა იყოს. დრო: დაახლ. 1880 წ. ვარიანტი: ხეესურა, ბერდია გამლივარაულის თქმით ჩაწ. 1871 წ. (ეს შეიცავს ლექსის მეორე ნახევარს მხოლოდ: ირემა, რად გიხაროდა თრუსოს ჳეესურთა ზიანიო და სხვ.) — 134) ხეესურა, ივ. თჩიაურის თქმით ჩაწ. — 135) ხეესურა, ბერდია გამლივარაულის თქმით ჩაწ. 1874 წ. — 136) ხეესურა, ილია ქავეკვაძის ჩაწ. 1871 წ. — 137) ხახმატელი ბერდია გამლივარაულის ჩაწ. 1876 წ. — 138) მისივე ჩაწ. — 139) ხეესურა, ილ. ქავეკვაძის ჩაწ. 1871 წ. — 140 — 141) ფშავ., ს. არტანი, დ. ხიზანაშვილის ჩაწ. 1884 წ. — 142) მესხ., ს. უღე, ივ. ბარიალოვის ჩაწ. 1889 წ. — 143) ეს წარწერა ოსეთის ერთ საყდარშიო. ქართულ ბატონს ფიცისტეხისათვის სამი საყდარი აუშენებია: მეტეხი (მე ესტეხი), წილკანი (წილ კვარი) და სამთავისი. ბლათარის ჩამომავლობა ტატიშვილები არიანო. ექვთიმე წერეთლის გაგონილი. პ. უ. — მეორეს მხრივ, მ. ჳანაშვილი, რომელსაც მოყვანილი აქვს ამ ლექსის ვარიანტი („მოამბე“, 1903 წ. IV, წერ. „ქართველთა მატჩანე“, გვ. 63—64), წერს: „ამ ლექსებში მოკლედ გადმოცემულია ის, რაც ვრცლად მოთხრობილია ქართ. ცხოვრებაში შესახებ ვახტანგ გორგასლის ბრძოლისა ოსებსა და ჩერქეზებთან და რასაც გადმოგვეცმს ამავე გორგასლის შესახებ ჩერქეზთა ლეგენდა, ჩაწერილი იური ყაზბეგის მიერ (იხ. მოსკოვის უწყებანი, 1896 წ., № 25, 34, 40 და სხვ.). ამას გარდა, თვით „აღლუზიანიც“ კმომობს, რომ ოსთა დიდს მეფეს აღლუზს დაპყრობილი ჳქონდაო ოთხი სამეფო ჩრდილოეთისა“. — 144) ხევი, ს. სტეფანწმინდა, გიორგი ჳამარაჩიშვილის თქმით ჩაწ. 1881 წ. ვარიანტი: ხევი, 1876 წ. ჩაწ. (მეფე ერეკლეს შვილი ჳიმშერი მოვიდა მთიულეთს, ქალი მოითხოვაო და კაიშაურელი ქალი აჩვენესო. ქმარ-მაზლმა გაგზავნეს ქალი და უთხრეს, ჩვენც მოვალთო. კალთაში წოლის დროს ბანიდამ ესროლეს მუტელში. ერეკლე მეფემ თქვა: ახია, ერთი ცოლი ჳყავს, სხვას რას ართმევსო. პ. უ.)—145) გაგონილია (1899 წ. თბილისს) ზაალ ტარიელის-

ძე ლოლაძისაგან, რომელსაც უსწავლია მამისაგან დუშეთში. აღმასხან, ერეკლე II-ის შვილი, ცუდი გამგებელი იყო, არბედა ხალხს, აწიოკებდა. ხალხი აჯანყდა და ბატონიშვილი გაიქცა გუდამაყარს. ეს ლექსი მაშინდელია. პ. უ. — 146—147) ილ. ქაქუაყაძის ჩაწ. 1871 წ. — 148) ხევსურ., ხახმატელი ბერდია გამლივიარაულის ჩაწ. 1876 წ. — 149) ხევსურ., ხახმატელი ბერდია გამლივიარაულის თქმით ჩაწერილი 1874 წ. — 150) უთარილო. — 151) ხევსურ., ხახმატელი ბერდია გამლივიარაულის ჩაწერილი 1876 წ. — 152) ილ. ქაქუაყაძის ჩაწ. 1870 წ. — 153) ნინო ბარათოვის ჩაწ. ს. მარაბდას. ვარიანტები: ა) ქიზიყელი (ნუკრიანელი) მეფანტურის თქმით ჩაწ. 1864 წ. თბილისს. აქ იკითხება: პატარა ნაბახჩევის ნაცულად — დიდი ტყე და დიდი ველი და, გომტაშვილის ნაცულად — ბოსტაშვილი:

დიდი ტყე და დიდი ველი, შიგ დამალულა ლეკია,
მივიდნენ, გამააქციეს, ვით რომ ნადირმა ცხვარია,
ბატონსა ცხენი მოუკლეს, თავს[ა] ჰკრეს ზარბაზნაია,
თითონ ქვეით მობრძანდება, ხელში უქირამს ხმალია.

.....
ი ბოსტაშვილი დათუნი ლეთის ჩამოსული ჭვარია და სხე.

(დომიტრი ყაფლანიშვილი (ორბელიანი) ყოფილა ამ ომში. ჭკალეს ცხენი დაუფლა და ფეხით სიარული მოუხდა. ორბელიანს უთქვამს დაცინვით, ცხენის კუდს მოეჭიდებო. მეფემ არ იყადრა. იმ გომტაშვილს თუ ბოსტაშვილს ცხენი მიუერთმევია. გარრსხებულმა მეფემ ორბელიანი შემდეგ ააქლებინა ცოლშვილით და გააგდო კახეთიდან. ორბელიანი ყირიმს წავიდა პოტემკინთან და იმსახურა. ალექსანდრეს მოსკოლის დროს (1812 წ.) ამ ორბელიანმა ბევრი მტარვალობა მოახდინა კახეთში და ქიზიყში, მღვდლებსაც კი ახრჩობდა, — ჭაერს იყრიდა, ჩემი სახლი აიკლესო. პ. უ.). ბ) კახ. ლ. ჩერქეზიშვილის ჩაწ. 1871 წ. (და კიდევ ერთი უთარილო). ეს პირველ ოთხ სტრიქონს შეიცავს მხოლოდ. — 154) ხევი, ს. სტეფანწმინდა, გიგოლა არჩინაშვილის თქმით ჩაწ. 1881 წ. — 155) ხევი (უთარილო). არის აგრეთვე მეორე ჩანაწერი, თითქმის ასეთივე, არაა აღნიშნული, ვის მიერ ან როდის არის ჩაწერილი, — 156) ხევი, ჩაწ. 1871 წ.; ვარიანტი: ჩაწ. იქვე, ს. სტეფანწმინდას, გიგოლა არჩინაშვილის თქმით 1881 წ. აქ მხოლოდ პირველი ორი სტრიქონია:

ქართლიდამ ქალი მოტირის, თოლები უგამს მწყერსაო,
კახეთის გზასა კითხულობს, ჰფიცავს ერეკლეს მზესაო.

157) ხევსურ., ხახმატელი ბერდია გამლივიარაულის ჩაწ. 1876 წ. — 158) ხელნაწერი უთარილოა, არ სჩანს, ვის მიერ ან ვისი თქმით და სად არის ჩაწერილი. ორ თუ სამ ადგილას, რათა ლექსი გამართულიყო, თითო სიტყვა გამოვაცელი. — 159) ს. ნორიო, ანტ. არაქეანიძის თქმით ჩაწ. 1872 წ. (ეს აბდულა ყოფილა მეფის ირაკლის ჭაულადარი. რომელიდაც მიზუზუდ მეფეს შემოსწყრომოდა და გაეარდნილიყო ქართლისკენ ყაჩაღად. პ. უ.). — 160) უთარილო. — 161) უთარილო. აქ არის ვარიანტი, თითქმის ასეთივე, უთარილო და კიდევ მეორე, რომელიც ასე თავდება:

ერთმანეთს ნუ ულაღატებთ, მტერმა არ შეგკოთოთ თვალიო,
გიკირაებთ საქართველო, თქვენ კი იყვენით ძმანიო.

162) ილ. ქაქუაყაძის ჩაწ. 1871 წ. — 163) ხევი, ს. სტეფანწმინდა, სია გიგაურის თქმით ჩაწ. სიმ. შადურის მიერ 1890 წ.; ვარიანტები: ა) ხახმატელი ციბოსელას თქმით ჩაწ. 1870 წ.; ბ) უთარილო:

ერ გვიგითა, ქართველნო, შაგეხსნათ რკინის კარია,
მეფე აღარ გყავთ ერეკლე, ბაგრატიონთა გეარია,
აღარ გაქვთ ბაირახები, აღარ სქეხს ზარბაზანია,
დაშაებულან კარაენი, შემეხეხეიენეს ყმანია,
ღმერთს შესტირიან თაეაღნი, რად შეგვიკერენ ბრალნია,
შაეი ჩაეიციეთ ტანზედა, გავსწირეთ საწირაეია.
დედოფალი ატირდება, იმერელთ მეფის ქალია:
მეფის ერეკლის სიყედილი ვინა თქეა, რა სათქმელია!
მეფე ერეკლე ზეცას არს, ღმერთთან არს წილნაყარია,
მცხეთაში ოქროს კუბო დგას, შიგ ნათობს კელაპტარია,
შიგა წეეს მეფე ერეკლე, ბაგრატიონთა გეარია.
„შვილებს დეუგდი ბეგთარი, სისხლში ნაწრთობი ხმალა,
მანამდინ ვიყავ, ცხენს ვიჭექ, მიესძრენ და მოესძრენ ზღეენია,
ეხლა კი თქვენ გაგიწირეთ ფსხისხლიანი ხმალა.
შეინახილთ, შეილებო, ქალაქის მეიდანია,
ერთმანეთს ნუ უღალატებთ, ღმერთმა არ გთხაროთ თვალა“.

ეს ვარიანტი დაბეჭდილია 1905 წ. გამოცემულ წიგნაკში: „პ. უმიკაშვილის სახს-
სოვრად“. გ) კიდევ უთარილო (თუშ.):

ველარ გვიგეთ, ქართველნო, გაგლოთ რკინის კარიო,
ნეფე ირაკლი მოგიკედათ, ბაგრატიონთა გეარიო,
ნეფე ირაკლის შემდეგა ვილა გეყავს მეომარიო,
დამდგარა ბაირახები, აღარ ქეხს ზარბაზანო,
შეწუხებულა დედოფალ, იმერეთს მეფის ქალიო.

დ) ესეც უთარილო:

რა ყუჩილია, ბიკებო, რა გორეული დგებაო,
არ ვიცი ბატონს იგლოეენ, არ ვიცი — არ იციანო:
აღარ ყავ მეფე ერეკლე, აღარ სქეხს ზარბაზნებითო,
დადაბლებულა კარაეი, გაღვიებულან ერნიო.

ე) გრემისხეველი მეფანტურე ალექსა გომიკაშვილის თქმით ჩაწ. 1878 წ.:

რათ ვერ გვიგეთ, ქართველნო, რკინის დაგემტურათ კარი,
მოგიკედათ მეფე ერეკლე, ის ბაგრატიონის გეარი,
არც ფრიალებს ბაირალი, აღარცა სქექს ზარბაზანი,
აღარც ურა ხმით ზახილი, აღარცა ფრიალებს ხმალი.
თაეაღ-აზნაური ტირის, სულ ტანზედ ჩაიციეს შაეი:
მოგიკედა მეფე ერეკლე, ერთობ მოგეშალა თაეი,
ჩენი ძრიელი ხელმწიფე, სჭული, საქართველოს თაეი.
ერეკლეს ცოლი ტირიდა, იმერეთის მეფის ქალი:
ნუ მეტყეით ერეკლეს სიყედილს, სიტყეა არის ჩემთეის მწარი,
მცხეთაში ოქროს კუბო დგას, თაეით, ფეხით კელაპტარი,
შიგა სეენია ერეკლე, ის ბაგრატიონის გეარი,
სულეერთა ქრისტე ღმერთთან წმინდა და მართალი არი.
შვილთ დაულოცა აბჯარა და ფხასისხლიანი ხმალი:

შეიღო, ღმერთმა მოგახმაროს ეგ ჩემი ტახტი და ხმალი.
 სანამ ვიყავ, მტერი ემუსრე, ოთხსაე კუთხიე შეაძარ ზღვანი,
 ვინძლო შენცა ჰქნა კაცობა, კი არ შამირცხვინო გეარი,
 ნუ მოიძულეობ თუშო, ხევსურთ, ისიც ერთგულია ყმანი.
 შემდეგ ამაზედ ჩიოდა: დახე სიყვდილის ქამსაო,
 მიკარქამს თფილისის ქალაქს, ქართლსაც მიძლევენ სხვასაო,
 ველარც დაეჭდები ჩარდახზე, ველარც დაეხედამ მტეკარსაო,
 ველარც ვიახლებ თავადსა, ველარც შევიყრი ჭარსაო.
 სინამ ცოცხალი ვიყავი, მტრისას ვიყრიდი ჭაერსაო,
 განჯაში და ყარაბაღში თათრისას ეკრებდნი ხარჯსაო.
 ეხლა სიყვდილის გამოთი ველარ ავიღებ ხმალსაო,
 ნურაეინ ნუ დაიყვებებს, ერთი დრო შერჩეს კაცსაო.

ამ სახალხო ლექსში ჩამატებულია ამისაგან (ალექსა გომიაშვილისაგან) შიგა და შიგა
 პ. უ.). ვ) სამი ვარიანტი, ა. ხახანაშვილის მიერ ჩაწ. თუშებში 1888 წ. ზ) საგარე-
 ჯოელის თქმით ჩაწ. მცხეთას 1872 წ. (ნაწყვეტი). — 164) მესხ., ს. ხიზაბაერა,
 ს. ტატურაშვილის თქმით ჩაწ. ილ. ალხაზიშვილის მიერ 1888 წ.; ვარიანტები:
 ა) ი. ლაზარაშვილის ჩაწ. იქვე (აქ არის კიდევ ერთი სტრ.: ვაი მათ დედის ძვლებსა,
 რომ გონჯ ალაგას ჰყრიანო); ბ) ი. ბარბაქაძის ჩაწ. იქვე 1889 წ. (შეიცავს პირველ
 ორ სტრიქონს). — 165) უთარბლო. — 166—167) მესხ., ს. ხიზაბაერა, ი. ლაზარა-
 შვილის ჩაწ. — 168) მცხეთას ჩაწ. 1872 წ. — 169) ხევი, ს. სტეფანწმინდა, გიგო-
 ლა არჩინაშვილის თქმით ჩაწ. 1881 წ., მესამე სტრიქონი ვარიანტიდანაა აღებული.
 ვარიანტი: თუშ., ა. ხახანაშვილის ჩაწ. 1888 წ. — 170) ხევსურ., ივ. ოჩიაი-
 რის თქმით ჩაწ. 1884 წ.; ვარიანტი (უთარბლო):

რას ამბობ, ქალო ნათელო, დროება გამაიცივალა,
 რუსის ხემწიფე მოვიდა, ერეკლე გარდაიცივალა.

171) უთარბლო. — 172) კახ., ს. ვაჩნაძიანი, ალ. ჯანდიერის ჩაწ. 1870 წ. — 173)
 კახ., ს. ჩილდერი, ლ. ჩერქეზიშვილის ჩაწ. 1871 წ.; ამ ლექსის მეორე ნახევარი
 თითქოს ვარიანტია გიორგი ქებაძის ლექსისა (თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ
 არსებული ხალხური ლექსი ქებაძემ თავის ლექსში შეიტანა გადასხვაფერებულად).
 ქებაძის ლექსი, რომლის სათაურია: „საქართველოს გადაცემა რუსებზედ“, ასე
 ჩაუწერია ქართლში მამაკაშვილის ასულ დარბას 1872 წელს (იაკობ გოგებაშვილის-
 თვის გამოქვეყნებია პ. უშიკაშვილისთვის გადასაცემად):

ატირდა ცა და ქვეყანა, მიტომ არ მოდის დარბა,
 წამოსულა ხოჯა ხანი თერგიდგან მომავალია,
 იმტონი ჭარი მოუდის, არ გადუწვდება თვალია.
 „შუში ხან, წიგნი დასწერე, ერეკლეს გაუგზავნია“.
 ერეკლემ შემოუტია: „აკი წაგიწუნდა ხმალია,
 ზედ კლდეზედ ციხე მიდგია, ზედ აქეს მაგარი კარია,
 შიგნით მიბრუნამს ქარხანა, გარს შემამივლის წყალია,
 მოხვალ, ისრეე გაგაბრუნებ, როგორც ნადირმა მცხეარია“.
 ადგა და ზეით წაბრძანდა, იქ აღარ ჰქონდა ძალია.
 სარდლებსა ეხვეწებოდა: „ნახოთ ერეკლე ხანია,

დილით ქალაქი ავიკლოთ, სულ საქართველოს თვალაა".
 ივანე ბატონიშვილი კეუიანი და ჩქარია,
 თავსა დაიდგა ჩაჩქანი, წელთ შემოირტყა ხმალია:
 „შენ, პაპა ჩემო ერეკლე, ვერ მოვიფიქრეთ მალეა,
 არა გვეავს თუში, ხევსური, არცა კახელი ჭარია,
 რატო წინდლით არ ვიფიქრეთ, რომ შეგვეყარა ჭარია.
 ჩვენი ქალაქის წახდენა უსამართლობის ბრალაა".
 დეერივნენ თავადები, ერთად გააბეს მხარია,
 ხუთ-ხუთ მანათს ქრთამს იღებენ, — აღარ გამოდის ჭარია.
 საყდრიდან გამაასვენეს ის დიდი წელის ჭვარია,
 ივანეს ეხვეწებთან: „არ არის ჩვენი ბრალა,
 ურჩულოს ხელში ნუ ჩაგვერი, ისევე შენ მოგვიხმარია".
 ერეკლე წინ გამოუძღვა, როგორც ირემი ხარია,
 ასე მოჰქონდა ლაპლაპი, ეით საომარი ხმალია,
 მაშინა ბრძანა ერეკლემ: „ეი რა სიბერე ძნელია,
 დუშეთს მაინც წამიყვანეთ, მამგვარეთ ჩემი ცხენია".
 ჭილაედრად გამოუძღვარეს ფარსადან მაჩაბელია,
 ხიდის ყურზედ გადავარდა, თავი ვერ დაუჭერია,
 დუშეთის ტახტზე აბძანდა, წიგნი იქ დაუწერია,
 რუსთ ხელმწიფეს გაუგზავნა: „შენ მაინც მამეშეელია".
 დაფიქრდა რუსთა ხელმწიფე, მუხლზე დაიკრა ხელია:
 „ვიამე, თბილო ქალაქო, საქმე მოგსვლია ძნელია,
 ხაზინა ბევრი დაჰყარგე და მნათებიც კრელია.
 ლენარლები დამიძახეთ, ჭარი შეჰყარონ ბევრია,
 ზოგი დერბენტზედ გავგზავნოთ, მაგრა გააწყონ გემია,
 ზოგიც ბოლოზედ გავგზავნოთ, დამორჩილონ მტერია".
 მაშინ ერთბაშად რუსები ჩვენს მეფ ერეკლეს შეველიან,
 დაიჭირონ გოჭა ხანი, ძალღივით მოსქრან ყელია.
 მეფე ერეკლემ ხელი ხელში ჩამოართვა,
 პრაეაეაი აქენია.
 ალექსანდრე გადავარდა, ბატონიშვილი ჩვენია.
 გიორგი მეფედ დაგვისეეს გაბერილი და სქელია,
 თითო თითო იჭრაზედა ზაქი უნდოდა მთელია,
 ქართლი რუსებს დაულოცა, უომრათ მიუცემია.
 გიორგი მეფეთ შეიქნა, რუსების მასპინძელია,
 ის დღე არი და ეს დღეა, რუსს საქართველო სქერია.
 ახლა ვმადლობ ხელმწიფესა, რაც საქმის მამქმედელია,
 იმას ყურადღება ჰქონდეს, ქებაძე ამის მთქმელია,
 ახაროს ქეყანათაზე ამ წიგნის წამკითხელია.

174) ქართლი, ხელთუბნელი დედაყაის თქმით ჩაწ. თბილისს 1870-71 წ. გ. თუმან-
 შიშვილის მიერ. — 175) არის ამ ლექსის ორი ცალი: ერთი, პ. უმიკაშვილის ხელით
 ნაწერი, რომელიც ტექსტშია მოცემული, მეორე, თითქმის ასეთივე, უცნობის ხე-
 ლით ნაწერი. — 176) ხევი, იოსებ ხუციშვილის თქმით ჩაწ. 1875 წ.; ეარიანტები:

ა) იქვე ჩაწ. (ს. სტუფანწმინდას) გიგოლა არჩინაშვილის თქმით 1881 წ.; აქ ქუჩთა მეფის ნაცულად მოხსენებულია გურჯთა მეფე: „ეს გურჯთა მეფეს მიგვირთვი, ეს სამი სიტყვა ჩვენია“, და ლექსის ბოლო ასეთი არის:

უკობოდ შაქდა ჯომაცსა, გავლა ქალაქის კარია:
„რომელი გათათრებულა ბაგრატიონთა გვარია!
ან თქვენ იყავით მამანი, ან ჩვენ შაგვაბით ხმალია“,
ეგ რომ ერეკლემ გაიგო, დაბლა დაიდგა შკამია.
კიდევ გაიგო ერეკლემ, წარბებში შაიხარაო:
„უყურეთ წითელ მელასა, ტყავი შინ მამრტანაო“.

ბ) ხევი, ს. ვაიბოტნის მცხოვრების მოსე ხულელის თქმით ჩაწ. 1873 წ.; აქ: ეს ქუშთა მეფეს მიართვი, ეს სამი სიტყვა ჩემიო; გ) კახ., ს. თოხლიაური, ლ. ჩერ-ქეზიშვილის ჩაწ. 1871 წ.:

დაიძრა თემურ ყვინი, დააგდო ხორასანია,
ავლაბრის ბაზარს ჩამოხტა, ადგილი უებარია,
დადგა და დასცა მკარავი, სვეტი ოქროსი მყვარია:
„წამამიყენეთ ჩიკოკი, წელს შემოვარტყა ხმალია,
არჩილ ნუფესთან გავგზავნოთ, სიტყვა იმასთან ჩქარია,
ან მოგვეცეს რუსულად ქალი, ან არა — ელვასტანია“.
ეს რო რუსულად შეიტყო, ასწია მალა თავია,
დალექა საყურ-ბეკედი, სალტებებს შესდო ზარია,
გადაქდა მამის დავლასა, გადაიარა მთანია:
„რაც რო ყმანი ხართ, მომყევით მამჩემისა ყმანია,
წყალის სასმელათ არ გეყოთ ალაზანი და მტყვარია,
ბალახის საძოვენელათა თრიალეთისა მთანია“.

დ) ზემო რაქა, ს. საკაო, გოგია ინატაშვილის თქმით ჩაწ. 1875 წ. ბ. ჭაფარიძის მი-
ერ (ორი ვარიანტი). აქ ლექსი ხეარამ მეფის ლაშქრის შემოსევით იწყება და თავ-
დება ასე:

ქალაქში ჩამოუვლია უფლისა შვილსა რეჯიბსა.
ახლა ნეტამცა, რეჯიბო, შენი სტუმრობა გვეღირსა,
შევეყრი ყვავისა და ყორანსა, შენზედ ვადვიხდი ხადილსა. ✕

177) ამ ლექსის ორი ცალია: ერთი პ. უმიკაშვილის ხელით ნაწერი, მეორე, თითქ-
მის ისეთივე, უცნობის ნაწერი. დაბეჭდილია 1905 წელს გამოცემულ წიგნაკში:
„პ. უმიკაშვილის სახსოვრად“. ვარიანტები: ა) უთარილო და ბ) ფშავ., ს. არტანი,
დ. ხიზანიშვილის ჩაწ. 1884 წ., შეიცავს მხოლოდ სამ სტრიქონს:

ხმალი სკრის ბაგრატიონისა მეფისა ერეკლისაო,
ნეტავი გამაცრობინა, ლევანს უქებენ შვილსაო,
აჯობა თავის მამასა, მანამ იცელიდა კბილსაო. ✕

178) თუშ., ს. ალვანი, ალექსი მაკოშვილის ჩაწ. 1893 წ.; ვარიანტი: უთარილო. —
179) ა. ნ. ფერაძის ჩაწ. 1871 წ. — 180) ხეცსურ., ხახმაცელი ბერდია ვაზლივარა-
ულის ჩაწ. 1876 წ. — 181) ქიზიყელი (ნუკრია ნელი) მეფანტურის თქმით ჩაწ.
1864 წ. თბალისს. — 182) ხონი, ილარ. ონიანიშვილის ჩაწ. — 183) არის ამ ლექსის

ორი ცალი: ერთი, პ. უმიკაშვილის¹ ხელით ნაწერი, რომელიც ტექსტშია მოცემული, მეორე, თითქმის ისეთივე, უცნობის ხელით დაწერილი. — 184) კახ., ს. ვაჩნაძიანი, თეოდორე ნატროშვილის თქმით ჩაწ. 1868 წ. აღ. ჯანდიერის მიერ. — 185) მოწ. ელიოზოვის ჩაწ. (დაახლ. 1870 წ.). — 186) ნინო ბარათოვის ჩაწ. ს. მარაბდას. 187) კახ., ლავრ. მათიკაშვილის ჩაწ. — 188) ნინო ბარათოვის ჩაწ. ს. მარაბდას. — 189) ხევი, ს. სტეფანწმინდა, ჩაწ. 1881 წ. — 190) კახ., ს. ყვარელი, აღ. ჯანდიერის ჩაწ. ფარდულაშვილის თქმით 1868 წ. — 191) კახ., ს. ველისციხე, ი. სიღამონერისთავის ჩაწ.; ამ ვარიანტში, როგორც ვხედავთ, ორი სხვადასხვა ისტორიული ამბავი: ალა მამხად ხანის შემოსევა და ნიახურას ომი, ერთი მეორეზეა გადაბმული. 192) მისივე ჩაწ. იქვე. — 193) კახ., ლავრ. მათიკაშვილის ჩაწ.; ამ ვარიანტში ქვემოთ შემდეგი სტრიქონები იკითხება:

ღმერთი გაუწყრეს კამბეჩსა, დაადგა ძროხის ვალასა,

წინ შეილი შემოეყრება, დაეკიდება ამასა:

„კამბეჩო, იქით გამეცა, თორემ აგიტებ ბალასა“.

შეიღი კამბეჩი შაიბა, შეიღივე ატან[ს] ძალასა.

კამბეჩმა მიიქედურა, გვერდები დაჰკრა ალაგას.

პატრონი ვირსა შაკაშმავს, შააბამდა ამასა,

ვირმა დაიწყო ყროყინი: „მე ვერა ეზიდამ ამასა“.

194) კახ., ს. ვაჩნაძიანი, აღ. ჯანდიერის ჩაწ. 1870 წ. — 195) ნინო ბარათოვის ჩაწ. ს. მარაბდას. — 196) [გრემისხევი,] ალექსა გოძიაშვილის თქმით ჩაწ. 1878 წ. — 197) ქართლი, ხელთუბნელი დედაკაცის თქმით ჩაწ. 1870-71 წ. თბილისს გ. თუმანიშვილის მიერ. ვარიანტები: ა) კახ., ლავრ. მათიკაშვილის ჩაწ.; ბ) მესხ., ს. ხოზაბერა, ი. ლაზარაშვილის ჩაწ.; გ) ა. ნ. ფერაძის ჩაწ. 1871 წ.; დ) სურამი, ქაქუჩა მიქაძის თქმით ჩაწ. 1875 წ. ა. კვალიევის მიერ; ე) ქუთ. მაზ., ს. კყვიში, პ. ბაღდაძის თქმით ჩაწ. ბ. ბახტაძის მიერ; ვ) ს. ნორიო, ანტ. არქევანიძის ჩაწ. 1872 წ.; ზ) ნინო ბარათოვის ჩაწ. ს. მარაბდას. ამ ორ უკანასკნელ ვარიანტში ლექსი იწყება ასე:

ციციანი დაიბადა, კლავში დაყვა დიდი ძალი,

თავის საყმოს დაუარა, — „ყველამ დაილესეთ ხმალი“.

198) კახ., ს. ვაჩნაძიანი, აღ. ჯანდიერის ჩაწ. 1870 წ.; ვარიანტები: ა) იქვე, ს. ჩაილური, ლ ჩერქეზოშვილის ჩაწ. 1871 წ. (შეიცავს ნაწილს); ბ) ხევი (უთარილო, ნაწყვეტი). — 199) უთარილო. — 200) გულამყარელის თქმით ჩაწ. (უთარილო). — 201) ნინო ბარათოვის ჩაწ. ს. მარაბდას. — 202) ხევი, მიხ. ჩქარეულის თქმით ჩაწ. 1888 წ. — 203) ქუთ. მაზ., ს. ივანდიდი, ერ. მაქავარიანის ჩაწ. — 204) ქუთ. მაზ., ს. კყვიში, ივ. ბერიკაშვილის თქმით ჩაწ. ბ. ბახტაძის მიერ. — 205) უთარილო. — 206) გურია, ს. ოცხანა, მიქელ ქერქაძის თქმით ჩაწ. ს. კალანდაძის მიერ. არის კიდევ ორი ვარიანტი: ა) გ. კალანდაძის ჩაწ. და ბ) ფილ. კალანდაძის ჩაწ. იქვე. ლექსი გამოუთქვამთ გლეხებს: ივ. თავართქილაძეს (ს. ბასილეთის მცხოვრებს) და ამტონა კოპლატაძეს (ს. ოცხანის მცხოვრებს). — 207) გურია, გ. კალანდაძის ჩაწ. — 208) ხევსურ., ჩაწ. თიანეთ. მაზ. ს. ამტონისხევი 1888 წ. ვას. კოპტონაშვილის მიერ. — 209) რაქში ჩაწ. (უთარილო). — 210) ქუთ. მაზ., ს. ფარცხანაყანები, შ. ფხაკაძის ჩაწ. — 211) ნინო ბარათოვის ჩაწ. ს. მარაბდას. — 212) ხევი, ს. სტეფანწმინდა, ჩაწ. 1881 წ. — 213) აჰარა, ს. ჩურუქსუ, ჩაწ. 1890 წ. — 214) აჰარა,

ს. მეხელე, ჩაწ. 1890 წ. — 215) აქარელის (სოფ. მერიხიდან) თქმით ჩაწ. თბილისს 1859 წ. — 216) ს. გრემისხევი, ეფრ. გოძიაშვილის ჩაწ. 1882 წ. (მთქმელი [თუ გამომთქმელი] არაა აღნიშნული).

რელიგიური ლექსები

(№№ 217—237)

217) რაჭა, მესტიერე მიხეილ ერადის თქმით ჩაწ. 1875 წ.; ვარიანტი: იქვე ჩაწ. (უთარილო). კუთხოვან ფრჩხილებში მოქცეული სტრიქონები ამ ვარიანტიდანაა აღებული. — 218) უთარილო. ვარიანტები: ა) რაჭა (ონი), ჩაწ. 1871 წ.; ბ) ჩაწ. იქვე (უთარილო); გ) უთარილო. — 219) ქართლი, დარ. მამაცაშვილის ჩაწ. 1872 წ.; ვარიანტები: ა) ხევი, ს. სტეფანწმინდა, სია გიაურის თქმით ჩაწ. სიმ. შადურის მიერ 1890 წ. ამ ლექსის ბოლო ასეთია:

იობს ძენიე დაუცოცხლა, წილიც მისცა სამოთხისა,
იობ თავის ცოლშვილითა დღესაც სამოთხის ტახტს ზისა,
შვიდი მინა ვარდი წყალი კელთ საბანად მიერთმისა.

თავით ცხვარი გამოუბეს, ფეხითი ეაშლი კარგის ხისა,
ილია და ზაქარია შვილებია იობისა,

ეშმაკებსა მებს ესერიან: „თქვენგან დიდი ჭავრი გვეკირსა!“

ბ) უთარილო; გ) რაქში ჩაწ.; დ) იმერ., სვიმონ მაქარაშვილის თქმით ჩაწ. ა. კეპლიევის მიერ 1875 წ.; ე) კახ., ს. ენისელს ჩაწ. 1863 წ.; ე) კახ. ჩაწ. (უთარილო). — 220) ნინო ბარათოვის ჩაწ. ს. მარაბდას. — 221) კახ., ლ. ჩერქეზიშვილის ჩაწ. 1871 წ.; აქ ორიოდ სტრიქონი სხვა ვარიანტიდან შევიტანე. დედანში კუნძულელი სწერია, მაგრამ რადგან ვარიანტებში თითქმის ყელგან კუნწულელი სწერია, — კუნწულელი დაწვერე. „ბ“ ვარიანტის ჩამწერი, ნ. ანდრონიკაშვილი, ასეთ შენიშვნას უკეთებს ჩანაწერს: „მე მგონია, კუნძულელი უნდა იყეს, მაგრამ ბევრს გლესხა ვკითხე და მეუბნებოდნენ, კუნწულელი უნდაო“. (კუნძულელი სწერია აქ „დ“ ვარიანტში, აგრეთვე ხელნაწერ აქარულ ვარიანტში [ნაბეკდ. ვაზ. „დროებაში“ 1882 წ., 70 და 73], კუნწულელი — „ი“ ვარიანტში კუზურაწი — „ია“ ვარიანტში, ხოლო დანარჩენებში ყველგან კუნწულელი). ზოგი ვარიანტის თანახმად, კუნწულელი კი არ დაუპატიენიათ, — ხაფანგით დაუქერიათ. „ა“ ვარიანტი:

მეორე დილა გათენდა, ხაფანგები დაუდგესა,

სალამო ხანი მოვიდა, კუნწულელი გააბესა,

მითარიეს, მოათრიეს, სანეხევე დააგდესა.

ვარიანტები: ა) კახ., ს. კალაური, ჩაწ. 1862 წ.; ბ) ჩაწ. იქვე 1868 წ. ნ. ანდრონიკაშვილის მიერ; გ) იქვე, ს. ენისელს ჩაწ. 1863 წ.; დ) ა. ნ. ფერადის ჩაწ. 1871 წ. თბილისს; ე) ხევი, ს. ვაიბოტენი, ჩაწ. 1871 წ.; ე) ნინო ბარათოვის ჩაწ. ს. მარაბდას; ზ) ხევი, ს. სტეფანწმინდა, სამი ნაწყვეტი, გიგოლა არჩინაშვილის თქმით ჩაწ. 1881 წ.; ც) უთარილო; თ) არაკველი კობიაშვილის თქმით ჩაწ. (უთარილო); ი) იმერ., 1871 წ. ჩაწ. ალ. ოყრეშიძის მიერ; ია) იქვე ჩაწ. პ. მირიანაშვილის მიერ 1888 წ.

—222) გურია, გ. კალანდაძის თქმით ჩაწ. სერგო კალანდაძის მიერ. კუთხოვან ფრჩხილებში მოკეეული სტრიქონები „ა“ ვარიანტიდანა აღებული. ვარიანტები: ა) რაქაში ჩაწ.; ბ) თმერ., პ. მირიანაშვილის ჩაწ. 1888 წ.; გ) ქართლი, გორელი ანანა ასანოვის თქმით ჩაწ. ივ. ტერ-სტეფანოვის მიერ; დ) კახ., ს. ვაჩნაძიანი, აღ. ჯანდიერის ჩაწ. 1868 წ.; ე) მოწ. ელიოზოვის ჩაწ.; ვ) ზ. ზალოვის ჩაწ. 1887 წ.—223) იმერ., ს. ზარათს ზაქარია არიშვილის თქმით ჩაწ. — 224) იმერ., ბიქ. ჰაბუკიანის თქმით ჩაწ. ე. ძოწენიძის მიერ. — 225) კახ., გურჯაანი, ვანო კენიკაძის თქმით ჩაწ. 1870 წ. იოს. ამირეჯიბის მიერ. ვარიანტები: ა) რაჭა (ონი), ჩაწ. 1871 წ.; ბ) იმერ., ს. კორბეული, ჩაწ. 1871 ილარ. მაქარაძის მიერ. — 226 — 227) მლ. ნ. ბაქურაძის ჩაწ. ს. ხუმელავას (კავე. მაზ.) 1887 წ.; ვარიანტი: ქართლი, ს. ქარელი, ჩაწ. 1893 წ. ზაქ. ციციშვილის მიერ. — 228) რაქაში ჩაწ. — 229) ქართლი, ს. კასპს ჩაწ. ზაქ. კვირიკაშვილის თქმით თ. ი. ამილახერის მიერ 1875 წ.—230) სენაკ. მაზ., ს. კლდედალმართი, დ. ბარნაბიშვილის ჩაწ. 1871 წ. —231) იმერ. ჩაწ. — 232) უთარილო. ვარიანტი: კახ. ჩაწ.— 233) კახ., ს. კაკაბეთი, ვ. ეფეთი-შოვის ჩაწ. 1880 წ. ზოგ ვარიანტში ლექსი ასე იწყება: დენთი, დენთი, რალა დენთი, ღვინო დგება, განა ზეთი. ვარიანტები: ა) კახ., ს. ვაჩნაძიანი, ა. ჯანდიერის ჩაწ. 1869 წ.:

სული კრეფანი დადიან, ვით რომ იყვნენ სამი ძმანი,
 აქედან რომ წამიყვანეს, გამატარეს შორი გზანი,
 ბეწუი ხილზე მიმიყვანეს, შიში მეცა, დიდი ზარი,
 ჩემ გუნებას დავეკითხე, მუხლგებს მივე დიდი ჩანი.
 სამოთხისკენ გადავიხედე, ტურფად იდგა ქალის ჯარი,
 სამი ქალი მომეგება, სამნივე იყვნენ ჩემი დანი:
 „მოდი, ძმაო, პური ჰამე, თბილი პური, ცხარე ძმარი,
 ქრისტე ღმერთი მობრძანდება, მივაგებოთ ოქროს სკამი!“
 ერთ ქალაში გამატარეს, კუპრი და ნავთი ჰყენია,
 წისქვილის ქურდი შიგა ზის, პირ სარეველი სტენია,
 ამხანაგის მოლაღატეს არა აქ დრო და ხანია,
 ზანულის მოლაღატესა ყელზე ჰკიდია გველია,
 დედამის მეუღიარსა ზედ უღვეს ენის წვერია.
 „მოდი, ძმაო, სკამე პური, თბილი პური, ცხარე ძმარი,
 აღექ და შინ გეეშურე, გიტრებებნ წვრილი ძმანი“.

ბ) კახ.. ს. კალაური, ჩაწ. 1862 წ.; გ) იქვე, ს. ველისციხე, ი. სიღამონ-ერისთავის ჩაწ.;
 დ) იქვე. ს. ვაჩნაძიანი, ა. ჯანდიერის ჩაწ. 1869 წ.; ე) იქვე ლ. ჩერქეზიშვილის ჩაწ.
 1871 წ.; ვ) ქართლი, ს. ქარელი, ა. როინაშვილის ჩაწ. 1869 წ.; ზ) არაგველი კობი-
 აშვილის თქმით ჩაწ. თბილისს; ც) იმერ. ჩაწ. სპ. ქათამაძის მიერ.— 234) კახ., ლ.
 ჩერქეზიშვილის ჩაწ. 1871 წ. — 235) რაქა, ონი, ჩაწ. 1871 წ. — 236) ნინო ბარა-
 თოვის ჩაწ. ს. მარაბდას. ვარიანტი: იქვე ჩაწ. მის მიერვე (შეიცავს მარტო ოთხ
 უკანასკნელ სტრიქონს).—237) ქართლი, ს. კავთისხევის ჩაწ.; ვარიანტები: ა) კახ.,
 პავლე კოზიაშვილის თქმით ჩაწ.; ბ) არაგველი კობიაშვილის თქმით ჩაწ. თბილისს;
 გ) იმერ. ჩაწ. სპ. ქათამაძის მიერ.

238) მოწ. ელიოზოვის ჩაწ. (დაახლ. 1870 წ.). ვარიანტები: ა) კახ., ს. ველისციხეს ჩაწ. (ნაწვეტი); ბ) კახ. ჩაწ.; გ.) ჩაწ. 1879 წ. თბილისს; დ) უთარილო; ე) ხევი, ჩაწ. 1871 წ.; ე) ჩაწ. კაკაევი 1871 წ.; ზ) ხევი, ჩაწ. 1870 წ.; ც) იქვე, ს. სტეფანწმინდა. გიგოლა არჩინაშვილის თქმით ჩაწ. 1881; თ) უთარილო (ნაწვე.); ი) ა. ნ. ფერაძის ჩაწ. 1871 წ. (ნაწვე.); ია) ქუთ. მაზ., ჩაწ. გ. ფხაკაძის მიერ; იბ) იქვე ჩაწ. მ. ფხაკაძის მიერ. — 239) ხევი, ს. სტეფანწმინდა, სია გიგაურის თქმით ჩაწ. სიმონ შადურის მიერ 1890 წ.; ვარიანტები: ა) იქვე ჩაწ. 1871 წ.; ბ) იქვე ჩაწ. ალექსა გოძიაშვილის თქმით. 1882 წ.; გ) უთარილო; დ) კახ., ს. ველისციხე, ი. სიღამონ-ერისთაის ჩაწ.; ე) იქვე, საგარეჯოს ჩაწ. — 240) ხევი, ს. სტეფანწმინდა, სია გიგაურის თქმით ჩაწ. 1890 წ. სიმონ შადურის მიერ. უკანასკნელი 4 სტრიქონი „ა“ ვარიანტიდანაა აღებული. ვარიანტები: ა) 1860 წ. ჩაწ. თბილისს „მეჭვრისხეველის თქმით“. აქ (აგრეთვე „ბ“ ვარიანტში) ლექსი იწყება ასე: ასლი მონასლე ხეშფიფე... ბ) ს. ხუმელაგას (კავ. მაზ.) ჩაწ. მღ. ნ. ბაკურაძის მიერ 1887 წ.; გ) ხევი, ს. სტეფანწმინდა, გიგოლა არჩინაშვილის თქმით ჩაწ. 1881 წ. (მინაწერი: ეს გამიგონია 1872 წ. სამებაში, გერგეტს. პ. უ.); დ) უთარილო (ნაწვეტი). — 241) შორაპ. მაზ., ჩამწერი — „შემკრებელი მეუ ვიყო“ (დაახლ., 1880 წ.). — 242) ქუთ. მაზ., ს. კულაში, ერმ. მიქელაძის ჩაწ. — 243) ქართლი, ს. ნადარბაზევი, ს. ბასილოვის ჩაწ. 1871 წ. (აქ არის კიდევ რამდენიმე სტრიქონი, სულ სხვა ლექსიდან მიეკრებულო). — 244) კახ., ს. ველისციხე, ი. სიღამონ-ერისთაის ჩაწ. — 245—246) უთარილო (უბის წიგნიდან). — 247) გორელი დედაკაცის თქმით ჩაწ. თბილისს 1868 წ. გ. თუმანიშვილის მიერ. — 248—249) მთაში ჩაწ. (უთარილო) — 250) უთარილო (გურიის) გამოუთქვამთ ერთ მღვდელზე; რომელსაც მეჭლისში ერთი სტუმროსთვის უქმნია, რატომ პირველად ჩემი სადღეგრძელო არ დალიეო). — 251) ქუთ. მაზ., ს. ივანდილი, ნიკ. ტაბიძის თქმით ჩაწ. ერ. მაკარაძის მიერ (დაახლ. 1870 წ.) — 252) აკარა, ს. ჩურუქესუ, ჩაწ. 1891 წ. — 253) ა. ნ. ფერაძის ჩაწ. 1871 წ.; ვარიანტი: ქართლი, ს. კოდა, ეკ. გაბაშვილის ჩაწ. სოფიო პაპიაშვილის თქმით ა. ნ. ფერაძის ჩაწ. 1871 წ.; ვარიანტი: ქართლი, ს. კოდა, ეკ. გაბაშვილის ჩაწ. სოფიო პაპიაშვილის თქმით 1887 წ. — 254) იქვე, მისივე ჩაწ. — 255) კახ., ს. კალაური, ჩაწ. 1862 წ.; ამ დედანში ლექსს აქვს კიდევ შემდეგი სტრიქონები:

ორნივე იმას მითვლიან:

შე რო წიგნი მოგეწერა, დაწერილი ქალაღისი,

ავიღე და წაიკითხე, შიგ ეწერა — განვიკითხე —

„როდესაც თქვენს კარს მოვიღე, გადმომხედე, განმიკითხე,

ამიყვანე, წამიყვანე. ხელი გადამხვიე საღმე,

შე უშენით ველარ გავძლებ, სულიც ამამივა საღმე“.

ვარიანტი: ქართლი, მადამ ფონ დერ ნონეს ჩაწ.; აქ ლექსი ასე იწყება:

ატენსა და გორსა შუა წყალი ჩადის ტანაისი,

ორი ქალი შევიყვარე, ერთმანეთსა გაღდა ისი.

256) ხევსურ., ხახმატელი ბერდია გამლივარაულის ჩაწ. 1876 წ. და მეორე (ნაწყევ-
ტი) ივ. ოჩიაურის ჩაწ. 1884 წ.; ვარიანტი: ხევი (უთარილო, ნაწყევტი. აქ ასე იწყე-
ბა: „გუგუავ, მამასახლისო, რად იცი შორით ბარება“).—257) შორაპ. მახ., „შემკ-
რებელი მეტ ვიყო“. — 258) ს. წინამძღვრიანთკარში ჩაწ. — 259) კახ., ლ. მათი-
კაშვილის ჩაწ. — 260) გურია, სერგი კალანდაძის ჩაწ. და მეორე — გაბრ. კვაქა-
ძის ჩაწ. (ერისტო გოგიჩაიშვილის რეეული) 1903 წ. (ლექსი გამოთქმულია იმ თა-
ვადანაურებზე, რომელნიც რუსეთის იმპერატორის ჩამოსვლისას საპატიო ყარა-
ულებად იყენენ). — 261) გურია, სერგო კალანდაძის ჩაწ. (დედანში ლექსს კიდევ
აქვს რამდენიმე სტრ.); ვარიანტი: იქვე ჩაწ. გაბრ. კვაქაძის მიერ (ერ. გოგიჩაი-
შვილის რე.) 1903 წ. — 262) ფშავ., არტანელი ბაბაღე მინდოლაურის თქმით ჩაწ.
1886 წ.; ვარიანტები: ა) ხევი. ს. სტეფანწმინდა, სოლომ. ფიცხელაურის თქმით
ჩაწ. 1877 წ.; ბ) იქვე ფშაველის თქმით ჩაწ. ეფრ. გომიაშვილის მიერ — 1882 წ.
(ნაწყევ.). — 263) ხევსურ., ვას. კობონაშვილის ჩაწ. 1888 წ. — 264) ფშაველის,
ს. გოგოლაურთის მცხოვრების, თქმით ჩაწ. 1870 წ.—265) ფშავ., ფასანაურს ჩაწ.
1870 წ. — 266) იქვე ჩაწ. 1870 წ.; ვარიანტი: ჩაწ. 1870 წ. — 267) კახ., ლევ. ჩერ-
ქეზიშვილის ჩაწ. 1771 წ. — 268) უთარილო. — 269) ნინო ბარათოვის ჩაწ. ს. მა-
რაბდას. — 270) იმერ. ქაქუჩა მიქელაძის თქმით ჩაწ. ა. კვალიევის მიერ (სურამში)
1875 წ.; ვარიანტი: იმერ., ერმ. კანდელაკის თქმით ჩაწ. იაკ. ძოწენიძის მიერ. —
271) [გრემისხევი,] ეფრ. გომიაშვილის ჩაწ. 1884 წ.—272) ლეჩხუმი [სოფ. ნაკურა-
ლეში] ანტ. გოლეთიანის ჩაწ. — 273) ფშავ., ფასანაურს ჩაწ. 1870 წ. — 274—275)
ხევსურ., ხახმატელი ბერდია გამლივარაულის ჩაწ. 1876 წ. — 276) აჭარა, სულია
ცეცხლაძის თქმით ჩაწ. 1891 წ. — 277) ხევი, ს. სტეფანწმინდა, გიორგი ჭამარჯი-
შვილის თქმით ჩაწ. 1881 წ. — 278) ქუთ. მახ., ერმ. კანდელაკის თქმით ჩაწ.; ვა-
რიანტები: იქვე (ს. ფარცხანაყანები) ჩაწ. მიტრ. ფხაკაძის მიერ; ბ) იქვე ჩაწ. გი-
ორგი ნუცუბიძის თქმით გ. ფხაკაძის მიერ. — 279) კახ., ს. ვაჩნაძიანი, ა. ჭანდიე-
რის ჩაწ. 1869 წ.; ვარიანტები: ა) გორელი დედაკაცის თქმით ჩაწ. თბილისს 1868 წ.
გ. თუმანიშვილის მიერ; ბ) ქიზიყელი (ნუკრიანელი) შეფანტურის თქმით ჩაწ.
თბილისს 1864 წ. — 280) ქართლი, ს. ნადარბაზევი, ს. ბასილოვის ჩაწ. 1871 წ.;
ვარიანტები: ა) ქიზიყი, ნინო ხირსელოვის თქმით ჩაწ. დოდაევის მიერ 1875 წ. აქ
იწყება ასე:

ყო, შო, ძიავ დემეტრეო,
წმინდა ნინოს კარები როგორ გასტეხეო.

ბ) კახ., ს. თოხლაური, ლ. ჩერქეზიშვილის ჩაწ. 1871 წ. — 281) მცხეთელის თქმით
ჩაწ. თბილისს 1863 წ. — 282) ქალაქური, თბილისს ჩაწ. 1870 წ. გ. თუმანიშვილის
მიერ. ლექსს კიდევ აქვს შემდეგი სტრიქონები:

შეარცხენეს საუკუნოთ,
კატათა ველარ გამოეა,
ამას გირდგენთ უკაცრავოთ,
სული ეშმაკთ მიუციათ.

283) აჭარელის თქმით ჩაწ. თბილისს 1859 წ. — 284) რაქა, სეიმ. ბოქორიშვილის
(პ. უმიკაშვილის მოსამსახურის) ჩაწ. 1894 წ. — 285—286) აჭარა, რეჩებ თხილ-
ოღლის თქმით ჩაწ. 1891 წ. — 287) ნინო ბარათოვის ჩაწ. ს. მარაბდას. — 288)

მესხ., ს. უდე, ივ. ბარიალოვის ჩაწ. 1889 წ. — 289) თბილისის ჩაწ. ხელთუბნელი დედაკაცის თქმით 1870 წ. გ. თუმანიშვილის მიერ, რომელიც იქვე ასეთ შენიშვნას უკეთებს: „ამ ბალაღის მსგავსი ბალაღა [შენობის კედელში ადამიანის ჩატანების შესახებ] არის ელაზიაშაი, — Magasin piloresque“, 1869, გვ. 36“. — 290) კახ. ჩაწ. — 291) სურამი, მიხ. იოსებაშვილის თქმით ჩაწ. 1887 წ. — 292) ხონში ჩაწ. მოხუცებული გლეხის თქმით ილარ. კანიშვილის მიერ (დაახლ. 1870 წ.). — 293) ხევი, ს. სტეფანწმინდა, ალუშკა შადურის თქმით ჩაწ. 1884 წ. ივ. შადურის მიერ (კუთხოვან ფრჩხილებში მოქცეული სტრიქონები ვარიანტიდანაა შეტანილი). ვარიანტები: ა) „კახური მესტიერული“, თელაველი ბიკის თქმით ჩაწ. 1871 წ. ა. ნ. ფერაძის მიერ (აქ ბოლო: „დაგისნა, წამოგიყვანო დაფა-ზურნითა, ლხინითა); ბ) ქართლი, კარბელი ეფრ. გირმიშელის თქმით ჩაწ. ივ. ტერ-სტეფანოვის მიერ. აქ — და „დ“ ვარიანტშიც — ქალს ეთერი ჰქვიან. მეცხვარე ასე დასწყევლა:

მეცხვარე, ცხვარი გაგიწყდეს იმ შავი დიდი ჰირითა,
ვერ ასდიოდე ტყაეებას, ეზიდებოდე ვირითა.

მეცხვარის წყევლა:

ეთერო, ქმარი მოგკედეს, თავს დასტიროდე დილითა,
შენ გულადარას მიჰყავდე სიცილითა და ლხინითა;
მაშინ წინ შემოგხვედროდე ჩემი ქამანჩა-სტვირითა,
დაგისნა, წამოგიყვანო ამ ჩემი კობტა ვირითა.

გ) ნინო ბარათოვის ჩაწ. ს. მარაბდას (ნაწყევტი); დ) უთარილო; ე) კახ., ს. ველისციხე, ი. სიღამონ-ერისთავის ჩაწ. — 294) ანაგა-მალარო, ნინო ხირსელოვის თქმით ჩაწ. დოდაეის მიერ 1875 წ.; ვარიანტები: ა) კახ. ჩაწ. (დაახლ. 1869-70 წ.); ბ) ხელთუბნელი დედაკაცის თქმით ჩაწ. თბილისს 1870 წ. გ. თუმანიშვილის მიერ; გ) ქართლი, ს. ნადარბაზევი, ს. ბასილოვის ჩაწ. 1871 წ.; ვარიანტებში ლექსი იწყება ასე:

ეო, მეო, ქალო ელენეო,
დედამენმა დამაბარა, პური გაფინეო.
რალა დაბარება მინდა, კიდევ გაფინეო.
ჩიტო ლობეზე შემოჭდა საკენეელათაო. და სხე.

295) ხელთუბნელი დედაკაცის თქმით ჩაწ. თბილისს 1870 წ. გ. თუმანიშვილის მიერ. ვარიანტები: ა) კახ., ს. თოხლიაური, ლ. ჩერქეზიშვილის ჩაწ. 1871 წ.; აქ ლექსი ასე იწყება:

ჩიტო, ჩიტო ცქრიალაო, რას დამძახი ძრიალაო,
დედამ კაბა შემიყერა, დარაია შრიალაო,
აბა, მაზლო, შემომხედე, როგორ მადგა ტანშიაო.
„ღმერთმა შენცა შეგარცხენია, შენი კაბის არშიაო“.

და ბოლო:

დედამთილი შემომესწრო, ორი ჩამკრა თავშიაო:
„შენ რათ სტირი ტასიაო!“

ბ) ანაგა-მალარო, ნინო ხირსელოვის თქმით ჩაწ. დოდაეის მიერ 1875 წ.:

ჩიტო, ჩიტო წყრილავე, რას დამძახი, ბზრილავე.
დედამ კახა შამიყერა, დარაია შრილა.
წავეყეცე და წამოვეყეცე, ჩაედე ზანდუკაშია,
ნაპერწყალი შაყოლოდა, გამოსწოდა არშია,
„წადი, მაზლო, მომიტანე ჩემი კახის არშია!“
წაეიდა, აღარ მოვიდა: ყურძენი მოიტანა,
არცა ქამა, არც მაქამა, საჩივარში წამიყენა,
არც იჩივლა, არც მაჩივლა, სამარე გამითხარა,
სამარე ვიწრო მოვიდა, გვერდები დამითალა,
ჩემი გვერდების ნათალი მალლა კედელში შადეა,
შიმშილობაში ქამა.

საწყალმა დედაჩემმა ჩარჩამი დამაფარა,
ორმოცდახუთი ნაწნაეი გულზედ დამათვალა.

გ) ხევი, ს. სტეფანწმინდა, ივ. შადურის ჩაწ. (ნაწყე.). — 296) კავკ. მაზ., ს. ხუ-
მელაგა, მლ. ნ. ბაყურაძის ჩაწ. 1887 წელს. ვარიანტები: ა) კახ., ნ. ანდრონიკაშვი-
ლის ჩაწ. 1868 წ.; ბ) ხევი, მინა ჩქარაჯლის თქმით ჩაწ. 1888 წ.; გ) და დ) უთა-
რილო (ნაწყე.).—297) იმერ., ს. გორისუბანი, ს. გიორგობიანის ჩაწ. 1871 წ. —
298) ხელაუბნელი დედაკაცის თქმით ჩაწ. თბილისს 1870 წ. გ. თუმანიშვილის
მიერ. ვარიანტები: ა) კახ., ნ. ანდრონიკაშვილის ჩაწ. 1868 წ.; ბ) იქვე ჩაწ. (ს. ეჩ-
ნაძიანში) 1869 წ. (ორი ვარიანტი); გ) კახ. ჩაწ.; დ) იმერ. ჩაწ. პ. მირიანაშვილის
მიერ 1888 წ. აქ ასე იწყება:

ირმა ირმაზედა, თოელიანზედა,
ქალი წოლილა, შაეი ხურვია,
შაეი ავხადე, თეთრი დავხურე,
სამი ვაკოცე. სამმა კონამა და სხე.

299) [გრემისხევი] მ. კაიშაურის თქმით ჩაწ. 1882 წ. ე. გოძიაშვილის მიერ; ვარიანტი:
უთარილო. — 300) კახ., ს. თოხლიაური, ლ. ჩერკეზიშვილის ჩაწ. 1871 წ.; ვარი-
ანტები: ა) თბილისს ჩაწ. 1863 წ.:

ელა-მელა, სამოთხელა, ჩუთყვეველა ყავარქელა,
დათვი კლდესა, ჩვენ ვაკესა, ჩენი სული სამოთხესა,
იმერეთისა გზაზედა ქალი ვიპოვე ქვაზედა,
ამოვიყარ ტყირპივითა, ვაჟი შაეკენ გვრიტივითა და სხე.

ბ) იმერ., პ. მირიანაშვილის ჩაწ. 1888 წ.: ჰვავს „ა“ ვარიანტს, თაედება ასე:
აქიდგანი ჩვენ მივდივართ, იქიდგანი ციციანი,
ამის მეტი ვის უნახავს დედოფალი კეციანი,
კამბეჩი უნაგრიანი.

კატა გამოხტა რქიანი, კურდღელი ხელცომიანი.

გ) შორაპ. მაზ., — „შემკრებელი მეც ვიყო“:

ელა-მელა, ჩიკორტელა, ჩიტი მყავდა შავარდენა,
მოეწიე და ჩქიფი ვკარი, ასი თათარი მოეკალი.

თათარმა სთქვა: შენ რა გინდა? —

„ქალი მინდა თმინი, ძუძუ კოკობიანი“.

301) ქართლი, ს. კოდა, სოფ. პაპიაშვილის თქმით ჩაწ. 1887 წ. ეკ. გაბაშვილის მიერ. ვარიანტები: ა) იმერ., პ. შირიანაშვილის ჩაწ. 1888 წ.:

ნეფემ ბრძანა სოლომონმა: რა საქმე გავიჩინეო,
ქერიეი ვახარე, ობოლი, ბრმას თვალი აეუხილეო,
მწყემსი ვახარე მინდორში, ჩეროში დავაძინეო,
სადა ავი კაცი ვნახე, გზა-შარას ამოვიკირო,
თავადები უკუ მიდგა: „რა საქმე გააჩინეო!“

ბ) მისივე ჩაწ. იქვე:

სოლომონ ბძანა: იესომ მე დმერთმა გამაჩინაო,
ოქროს გვირგვინოსანი ვარ, მეფე არა ვარ მცირეო,
თავადები რომ გამიდგენ, ნეტა რა ვაწყვინეო?
ამისი ავი კაცი ვარ: ტყვე არ გავყუდიეო,
სადაც ავი კაცი ვნახე, გზა-შარას ამოვიკირო,
ქერიეი, ობოლი ვახარე, ბრმას თვალი აეუხილეო,
სამი წლის ხმელი მამალი ხეს შეეხვი, დავაყილეო.
ის ვერ უთხარ კათალიკოსს, ბერი ხარ და მიწირეო,
ეგინქსრულეშ შემოცმაზე, თათარში გამიფრინეო,
თათარი ჩამოიყვანე, სერი სულ წამიხდინეო,
არ შეგრცხვა, შე ერისთაეო, რაქა სულ წავგიხდინეო,
აზნაურშვილის ცოლები ბელატებს მიუწვინეო.

— 302) სამი ვარიანტი, თითქმის ერთნაირი: ა) ქუთ. მაზ., ს. ფარცხანაყანები, ჩაწ. ახალგაზრდა გლეხის მაქს. ფხაკაძის თქმით გ. ფხაკაძის მიერ; ბ) შორაპ. მაზ., ს. ქალატყის ჩაწ. მოხუცი გლეხის გრ. მერკვილაძის თქმით ივ. ელიაშვილის მიერ 1888 წ.; გ) ს. საყულიას ჩაწ. ახალგაზრდა გლეხის თქმით ისიდ. ნაცვლიშვილის მიერ (დაახლ. 1870 წ.). — 303) ქუთ. მაზ., ს. კულაში, გლეხიკაცის თქმით ჩაწ. დავ. მიქელაძის მიერ (დაახლ. 1870 წ.). ვარიანტები: ა) ქუთ. მაზ., ს. ზართას ჩაწ. მარიამ ბანძელაძის თქმით იაკ. ძოწენიძის მიერ; ბ) ზემო იმერეთი, ჩაწ. (თუ გადმოწერილი?) თ. ხუსკივაძის მიერ, რომელსაც ეს ვარიანტი 1883 წ. „დროების“ რედაქციისთვის გაუგზავნია ზესტაფონიდან (მაშინ ის იქ სკოლის მასწავლებლად იყო). — 304) იმერ., ს. მალლაკი, ივ. სიას ძე მოღებაძის თქმით ჩაწ.; ვარიანტი: ს. რკვიას ჩაწ. მოხუცი ივ. მოღებაძის თქმით სამ. კვესიტაძის მიერ. — 305) [ქართლი], ს. გრემისხევი, ბრმა ალექსა გოძიაშვილის თქმით ჩაწ. 1878 წ. (მისი გამოთქმულაა). 306) იმერ., სვიმონა მაქარაშვილის თქმით ჩაწ. ა. კვალიევის მიერ 1875 წ.—307—308) ხეესურ., ჩაწ. 1884 წ. — 309) უთარბლო. — 310) კახ. ს. კაკაბეთი, ვ. ეფეთიშვილის ჩაწ. 1880 წ.—311) ქართლი, ს. კოდა, სოფ. პაპიაშვილის თქმით ჩაწ. ეკ. გაბაშვილის მიერ 1887 წ.—312) იმერ., ს. გორი, ილ. დათეშიძის ჩაწ. 1870 წ. — 313) იმერ., ქაქუჩა მიქელაძის თქმით ჩაწ. ა. კვალიევის მიერ სურამს 1875 წ.—314) ხევი, ს. ბუნელიშვილის თქმით ჩაწ. 1875 წ.—315) შორაპ. მაზ., ერ. ეფხაძის ჩაწ. — 316) ა. ნ. ფერაძის ჩაწ. 1871 წ. — 317) ხევი, ს. სტეფანწმინდა, ალუშკა შადურის თქმით ჩაწ. ივ. შადურის მიერ 1884 წ.; აგრეთვე სია გიგაურის თქმით ჩაწ. იქვე 1890 წ. სიმ. შადურის მიერ. — 318) ხევი. სტეფანწმინდა, ოლგა ყაზბეგის ჩაწ. 1869 წ. — 319) აბ. წულაძის ჩაწ. 1887 წ. — 320) კახ.,

ნ. ანდრონიკაშვილის ჩაწ. 1868 წ.—321) მესხ., ს. უდგ, ივ. ბარიალოვის ჩაწ. 1889 წ.; ვარიანტები: „რძალ-დედამთილი ჩხუბობდნენ ახალ შედღეებულ დოზებად“. ვარიანტები: ა) კახ. ლ. ჩერქეზიშვილის ჩაწ. 1871 წ.; ბ) მღ. ნ. ბაკურაძის ჩაწ. ს. ხუმელაგას 1887 წ.; გ) კახ. ს. ველისციხეს ჩაწ. ი. სიღამონ-ერისთავის მიერ; დ) უთარილო. — 322) კახ., ს. ველისციხე, ი. სიღამონ-ერისთავის ჩაწ.; ვარიანტი: არაგველი კობიაშვილის თქმით ჩაწ. თბილისს. — 323) ნინო ბარათოვის ჩაწ. ს. შარაბდას. ვარიანტები: ა) კახ., ნ. ანდრონიკაშვილის ჩაწ. 1868 წ.; ბ) ქართლი, ს. ნადარბაზევი, ს. ბასილოვის ჩაწ. 1871 წ.; გ) იქვე, ს. ქარელი, ა. როინაშვილის ჩაწ. 1869 წ.; დ) კახ. ლ. ჩერქეზიშვილის ჩაწ. 1871 წ.; ე) არაგველი კობიაშვილის თქმით ჩაწ. თბილისს.—324) ქართლი, დარ. მამაცაშვილის ჩაწ. 1872 წ.; ვარიანტი: ხევი (უთარილო). — 325) კავკ. მაზ., ს. ხუმელაგა, მღ. ნ. ბაკურაძის ჩაწ. 1887 წ. — 326) ფშავ., არტანუღი ბაბაღე მინდოლაურის თქმით ჩაწ. 1886 წ. — 327) კახ., ს. ვაწანძიანი, ალ. ბერიკაშვილის ჩაწ. 1872 წ. და ვარიანტი: კახ. ჩაწ. ლავრ. მათიკაშვილის მიერ. — 328) კახ., ს. ვაწანძიანი, ალ. ჭანდუბერის ჩაწ. 1869 წ. — 329) ქართლი, დარ. მამაცაშვილის ჩაწ. 1872 წ. (შემოკლებით ებეჭდათ. ლექსი გორგი ჭეპაძის არისო).—330) ჩაწ. 1867 წ. (ებეჭდათ შემოკლებით). ვარიანტები: ორი, ერთი ქუთ. მაზ. ჩაწ. და მეორე რაჭაში ჩაწ. (უთარილო). — 331) გურია, გ. კალანაძის ჩაწ.; ვარიანტი: იქვე, გაბრ. კეკეაძის ჩაწ. ს. მამათს 1903 წ. (ერ. გოგიჩაიშვილის რეეულიდან). — 332) ქუთ. მაზ., ს. ყიფიანის ჩაწ.; ვარიანტები: ა) გ. ფხაკაძის ჩაწ. იქვე დ. კიკვაძის თქმით; ბ) ბ. კელენჭერიძის ჩაწ. იქვე; გ) იქვე ჩაწ. სამი ვარიანტი (უთარილო); დ) ნ. ჭინჭარაძის ჩაწ. 1872 წ.; ე) ორი ვარიანტი, სენეთში ჩაწ. გ. ნიქარაძის მიერ 1871 წ.; ე) გურიაში ჩაწ. გაბრ. კეკეაძის მიერ 1903 წ. (ერ. გოგიჩაიშვილის რეეულიდან). — 333—335) ქართლი, ს. კოდა, სოფ. პაპიაშვილის თქმით ჩაწ. ეკ. გაბაშვილის მიერ 1887 წ. — 336) ბაკურციხე, ნინო ვაჩნაძის თქმით ჩაწ. 1875 წ. — 337) ქართლი, ს. კოდა, სოფ. პაპიაშვილის თქმით ჩაწ. ეკ. გაბაშვილის მიერ 1887 წ.—338) ქართლი, ჩაწ. 1882 წ. (დაბეჭდილია 1905 წ. გამოცემულ წიგნაკში: „პ. უშიკაშვილის სახსოვრად“). — 339—340) კახ. (უთარილო). — 341) ქართლი, ს. ქარელი, მარ. როინაშვილის თქმით ჩაწ. 1869 წ.; ვარიანტი: ს. ხუმელაგა, მღ. ნ. ბაკურაძის ჩაწ. 1887 წ.—342—343) ქართლი, მადამ ფონ დერ ნონეს ჩაწ. — 344) ნინო ბარათოვის ჩაწ. ს. შარაბდას.—345) ხევსურ., აბ. წულაძის ჩაწ. 1887 წ.—346) კახ. ნ. ანდრონიკაშვილის ჩაწ. 1868 წ.; აგრეთვე: ჩაწ. იქვე 1869 წ.; ვარიანტი: ს. ველისციხე, ი. სიღამონ-ერისთავის ჩაწ. — 347) მეჭერისხეველი თქმით ჩაწ. თბილისს 1860 წ. — 348) ა. ნ. ფერაძის ჩაწ. 1871 წ., აგრეთვე: მცხეთელის თქმით ჩაწ. თბილისს 1863 წ.; ვარიანტი. კახ. ჩაწ. 1868 წ. ნ. ანდრონიკაშვილის მიერ (ამ ლექსის მღერა დაიწყო ტფილისში 1864 წლის გაზაფხულს. პ. უ.).— 349) ს. ხუმელაგა, მღ. ნ. ბაკურაძის ჩაწ. 1887 წ.—350) უთარილო.—351) [გრემის-ხევი] ივ. თეთრუაშვილის თქმით ჩაწ. ეფრ. გოძიაშვილის მიერ 1882 წ.—352) ხევი (უთარილო). — 353) უთარილო. — 354) კახ., ნ. ანდრონიკაშვილის ჩაწ. 1868 წ.; ვარიანტები: ა) იქვე, ს. კაკაბეთი, ე. ეფეთიშვილის ჩაწ. 1880 წ. და ბ) ს. ველისციხე, ი. სიღამონ-ერისთავის ჩაწ. — 355) მისივე ჩაწ. იქვე. — 356) ს. ხუმელაგა, ნ. ბაკურაძის ჩაწ. 1887 წ.; ვარიანტები: ა) ა. ნ. ფერაძის ჩაწ. 1871 წ.; ბ) ქართლი, ხელთუბნელი დედაკაცის თქმით ჩაწ. თბილისს 1870-71 წ. გ. თუმანიშვილის მიერ; გ) ხევი, ჩაწ. 1871 წ.; დ) იქვე ჩაწ. 1873 წ.; ე) თუშ., ს. ენისელს ჩაწ.; 1863 წ.; ე) ქარ-

თლი, ს. ქარელი, რუსული პ. დავითაშვილის თქმით ჩაწ. 1869 წ. ა. როინაშვილის მიერ; ზ) კახ., ნ. ანდრონიკაშვილის ჩაწ. 1868 წ.; ც) იქვე ჩაწ. ალ. ბერიკაშვილის თქმით 1872 წ.; თ) იქვე, ს. კაკაბეთი, ვ. ეფთიომოვის ჩაწ. 1880 წ. ეს ვარიანტები მეტწილად სრულია; ზოგი ამ ლექსის ნაწილებს თუ ნაწილს წარმოადგენს, ზოგში სხვა ლექსების ნაწილებია შეტანილი და სხვ.; ტექსტში მოცემულია ის, რაც ყველაზე უფრო სრულია და თავისი წყობით უფრო სწორი არის.—357) უთარლო. ვარიანტი: ნინო ბარათოვის ჩაწ. ს. მარაბდას (აქ მესამე სტრა.: ვაცხოხე მეცხვარეს მამა, კომპლასს ხიდი გამოდევ, ზედ გამოვასხი ზღვაზედა). — 358) კახ., ს. ვარდანაძი, ილ. ქაქუცაძის ჩაწ. 1871 წ. — 359) ხევი, ს. სტეფანწმინდა, ოლგა ყაზბეგის ჩაწ. 1869 წ. — 360) ნინო ბარათოვის ჩაწ. ს. მარაბდას. ვარიანტები: ა) ხევი, ს. სტეფანწმინდა, ოლგა ყაზბეგის ჩაწ. 1869 წ.; ბ) საგარეჯოში ჩაწ. — 361) ქუთ. მახ., ს. ივანდიდი, ე. მაქარაძის ჩაწ. — 362) კახ., ს. ველისციხე, ი. სიღამონ-ერისთავის ჩაწ. — 363) უთარლო. — 364) ხევი (უთარლო). — 365) კახ. (უთარლო). — 366) კახ., ს. ველისციხე, ი. სიღამონ-ერისთავის ჩაწ. — 367) მესხ., ს. ხიზაბერა, ი. ლაზარაშვილის ჩაწ.; ვარიანტი: ნინო ბარათოვის ჩაწ. ს. მარაბდას.— 368) რაქა, სიმე. ბოკორიშვილის ჩაწ. 1894 წ.; ვარიანტი: აქარა, ი. ნათაძის ჩაწ. 1882 წ. ბათ. ოლქში. — 369) ს. ხუმელაგა, მღ. ნ. ბაქურაძის ჩაწ. 1887 წ. — 370) ხევი (უთარლო). — 371) ხევი, ს. სტეფანწმინდა, დიმ. ყაზბეგის ჩაწ. 1875 წ. — 372) კახ. (უთარლო). — 373) კახ., ს. ენისელს ჩაწ. 1863 წ.—374) კახ., ლ. ჩერქეზიშვილის ჩაწ. 1871 წ. — 375) კახ., ს. ვაჩნაძიანი, ა. ჯანდიერის ჩაწ. 1870 წ. — 376) ხევი, სტეფანწმინდა, ოლგა ყაზბეგის ჩაწ. 1869 წ. — 377) კახ., ნ. ანდრონიკაშვილის ჩაწ. 1868 წ., აგრეთვე: [გრემისხევი,] ალ. გომიაშვილის თქმით ჩაწ. 1882 წ. (აქ ბოლო: ...იმის სიმღერებს ნანობდა).—378) ს. ხუმელაგა, მღ. ნ. ბაქურაძის ჩაწ. 1887 წ.—379) ქართლი, იოს. ამირეჯიბის ჩაწ. 1870 წ.—380) ნინო ბარათოვის ჩაწ. ს. მარაბდას.— 381) ხევსურ. ვ. კობტონაშვილის ჩაწ. 1888 წ. — 382) ქართლი, ს. კასპი, ზ. კვიციანიშვილის თქმით ჩაწ. თ. ი. ამილახერის მიერ 1875 წ. — 383) [გრემისხევი]. აღექსა გომიაშვილის თქმით ჩაწ. 1882 წ. — 384) ა. ნ. ფერაძის ჩაწ. 1871 წ. (ვიღვე) — ყრულ დახსოვდა, — მაგრამ ვერ მოვიგონე, თუ ვისი იყო ეს ლექსი, და პოეტმა ი. გრიშაშვილმა მიმოითათა: რაფ. ერისთავისაა, დაბეჭდილია „ვისკარში“, 1862 წ. ნოემბერში).—385) კახ., ს. ველისციხე, ი. სიღამონ-ერისთავის ჩაწ., აგრეთვე: კახ., ლ. ჩერქეზიშვილის ჩაწ. 1871 წ.; ქართლი, ს. ნადარბაზევი, ს. ბასილოვის ჩაწ. 1871 წელს. ვარიანტები: ა) ა. ნ. ფერაძის ჩაწ. 1871 წ.; ბ) ქართლი, იოს. ამირეჯიბის ჩაწ. 1870 წ.; გ) ნინო ბარათოვის ჩაწ. ს. მარაბდას; დ) კახ., ს. ვაჩნაძიანი, ა. ჯანდიერის ჩაწ. 1868 წ.; ე) მესხ. ს. ხიზაბერა, ი. ლაზარაშვილის ჩაწ.; ე) იმერ., პ. მირიანაშვილის ჩაწ. 1888 წ. — 386) თუშ. (უთარლო). — 387) კახ., ლ. ჩერქეზიშვილის ჩაწ. 1871 წ. და ა. ჯანდიერის ჩაწ. იქვე 1868 წელს. ვარიანტები ა) კახ., ნ. ანდრონიკაშვილის ჩაწ. 1868 წ.; ბ) ხევი, ს. სტეფანწმინდა, თამრო შაღურის თქმით ჩაწ. 1881 წ.; გ) იმერ., გ. ყიფშიძის ჩაწ. (რასაკვირველია, იმერულად გადაკეთებული; მაგალითად: მამამთილსა მივაძახე: ანასუნი ბრეო და სხვ.). — 388) კახ., ს. ვაჩნაძიანი, ა. ჯანდიერის ჩაწ. 1868 წ. — 389) უთარლო. — 390) ნინო ბარათოვის ჩაწ. ს. მარაბდას. ვარიანტები: ა) ქართლი, ს. კასპი, თ. ი. ამილახერის ჩაწ. 1875 წ. და ბ) იმერ., პ. მირიანაშვილის ჩაწ. 1888 წ. — 391) კახ., ნ. ანდრონიკაშვილის ჩაწ. 1868 წ. — 392) კახ., ს. ველისციხე, ი. სიღამონ-ერისთავის ჩაწ.; ვარიანტები: ა) კახ. ჩაწ. და ბ) უთარლო. — 393) ქართლი, ს. კასპი, ტატე ნაცვლიშვილის თქმით ჩაწ. თ. ი. ამილახერის მიერ 1875 წ. — 394) ხევი, ნანე შალურის თქმით ჩაწ. სიმონ შალურის მიერ 1890 წ. — 395) ს. ხუმელაგა, მღ. ნ. ბაქურაძის

ჩაწ. 1887 წ. — 396) ა. ნ. ფერაძის ჩაწ. 1871 წ. — 397) უთარლო. — 398) ილ. ქაქავაძის ჩაწ. 1871 წ. — 399) ქართლი, ს. კოდა, სოფ. პაპიაშვილის თქმით ჩაწ. ევ. გაბაშვილის მიერ 1887 წ. — 400) უთარლო, აგრეთვე: იმერ., ს. ბზვანი, ლ. კანდელაკის თქმით ჩაწ. თ. ნადირაძის მიერ. — 401) მესხ., ს. უდე, ი. ბარკალოვის ჩაწ. 1889 წ. — 402) ა. ნ. ფერაძის ჩაწ. 1871 წ. — 403) ს. ხუმელაძე, მღ. ნ. ბაკურაძის ჩაწ. 1887 წ.—404) კახ., ს. ვაჩნაძიანი, ი. ნატროშვილის ჩაწ. — 405) ქიზიყი, ანაგა, ნინო ხირსელოვის თქმით ჩაწ. 1875 წ. — 406) კახ., ს. ვაჩნაძიანი, ა. ბესიკაშვილის თქმით ჩაწ. 1872 წ. — 407) შორაპ. მახ., „შემკრებელი მეუციყო“ 408) [გრემისხევი,] ე. გომიაშვილის ჩაწ. 1882 წ.—409) იმერ., პ. მირიანაშვილის ჩაწ. 1888 წ. — 410) ქართლი, ს. კოდა, სოფ. პაპიაშვილის თქმით ჩაწ. ევ. გაბაშვილის მიერ 1887 წ.; ვარიანტი: ხევი, არაფეთელი ბურდულის თქმით ჩაწ. 1871 წ. (ქალა ვიყავ ალაუცი...). — 411) შორაპ. მახ., „შემკრებელი მეუციყო“. — 412) ქართლი, ს. ქარელი, ა. როინაშვილის ჩაწ. 1869 წ. — 413) ფშავ., არტანელი ბაბაღე მინდოდაძრის თქმით ჩაწ. 1885 წელს. ვარიანტები: ა) ს. არტანი, დ. ხიზანაშვილის ჩაწ. 1884; ბ) ე. კობტონაშვილის ჩაწ. 1888 წ.; გ) ა. ნ. ფერაძის ჩაწ. 1871 წ.; დ) ნინო ბარათოვის ჩაწ. ს. მარაბდას. — 414) მასალებში მოიპოვება ამ ლექსის („ხორველა“) 8 ვარიანტი: ა) უთარლო; ბ) რაკაში ჩაწ. (უთარლო); გ) ქართლი, ს. კასპი, თ. ი. ამილახვრის ჩაწ. 1875 წ.; დ) ქართლი (უთარლო); ე) ხაშველი გლეხის ონოფრე მალაღდაძის თქმით ჩაწ. რ. ბაქრაძის მიერ 1870 წ.; ე) რაკა, პ. მირიანაშვილის ჩაწ. 1888 წ.; ზ) მეგრელის თქმით ჩაწ. თბილისს 1870-71 წ. გ. თუმანიშვილის მიერ; ც) კახ., ს. თოხლიაური, ლ. ჩერქეზიშვილის ჩაწ. 1871 წ.; ტექსტში მოცემულის საფუძვლად აღებულია ვარიანტი „ა“. — 415) ა. ნ. ფერაძის ჩაწ. 1871 წ. — 416) იმერ., ს. ბაშს ჩაწ. ის. ნაცელიშვილის მიერ. — 417) ხევი, ს. სტეფანწმინდა, გ. ჩამარკიშვილის თქმით ჩაწ. 1881 წ. — 418) ა. ნ. ფერაძის ჩაწ. 1871 წ. — 419) ქართლი, ხელთუბნელი დედაკაცის თქმით ჩაწ. თბილისს 1870-71 წ. გ. თუმანიშვილის მიერ. — 420) ხევი, ს. სტეფანწმინდა, თამრო შადურის თქმით ჩაწ. 1881 წელს. ვარიანტები: ა) იქვე ჩაწ. ივ. შადურის თქმით 1881 წ. (თითქმის ისეთივე, როგორც ტექსტშია მოცემული) და ბ) უთარლო. — 421—423) ნინო ბარათოვის ჩაწ. ს. მარაბდას. — 424) უთარლო. — 425) ა. ნ. ფერაძის ჩაწ. 1871 წ. — 426) კახ., ს. ველისციხე, ი. სიღამონ-ერისთავის ჩაწ. — 427) უთარლო. — 428—429) ხევსურ., ხახმატელი ნათელიძე გოგოჭურის თქმით ჩაწ. 1876 წ. — 430) იმერ., ა. გორგაძის ჩაწ.; ვარიანტი: უთარლო. — 431) ოთხი ვარიანტი: ა) უთარლო; ბ) რაკველის თქმით ჩაწ. 1870 წ.; გ) ხევი, გიორგი ბურდულის თქმით ჩაწ. 1870 წ.; დ) იქვე ჩაწ. 1876 წ. — 432) იმერ., ფ. კანდელაკის ჩაწ. — 433) კახ., ს. ველისციხე, ი. სიღამონ-ერისთავის ჩაწ.; ვარიანტი: ნუკრიანელის თქმით ჩაწ. 1864 წ. — 434) ხევი, მიხ. ჩქარეულის თქმით ჩაწ. 1888 წ. — 435) ჩაწ. თბილისს 1887 წ. — 436) კახ., ს. ვაჩნაძიანი, ალ. ჯანდიერის ჩაწ. 1870 წ. — 437) კახ., ს. ველისციხე, ი. სიღამონ-ერისთავის ჩაწ.; ვარიანტები: ა) ჩაილური, ლ. ჩერქეზიშვილის ჩაწ. 1871 წ.; ბ) ს. ვაჩნაძიანი, ალ. ბერკეაშვილის ჩაწ. 1872 წ. — 438) ფშავ., ს. არტანი, დ. ხიზანაშვილის ჩაწ. 1884 წ. — 439) რაკა, სეიმ. ბოკორიშვილის ჩაწ. 1894 წ. (მღერიან ფერხულშიც); ვარიანტი: პ. მირიანაშვილის ჩაწ. იქვე 1888 წ.—440) სამი ვარიანტიდან აღებული: ა) 1864 წ. ჩაწ.; ბ) კახ., ს. ველისციხე, ი. სიღამონ-ერისთავის ჩაწ.; გ) კახ. ჩაწ. — 441) იმერ., ს. ქვიტირაში ჩაწ.;

ვარიანტი: იმერ., ს. გორს ჩაწ. 1870 ილ. დათეშობის მიერ.—442—443) ქართლი, მაღამ ფონ დერ ნონეს ჩაწ. (დაბეჭდ. 1905 წ. გამოცემულ წიგნაკში: „პ. უმიკა-შვილის სახსოვრიდ“). გარდა ამისა 12 ვარიანტი: ა) კახ., ნ. ანდრონიკაშვილის ჩაწ. 1868 წ.; ბ) იქვე, ს. ვანნაძიანი, პავლე კობიაშვილის თქმით ჩაწ. (დაახლ. იმავე ხანებში); გ) ქართლი, ს. კავთისხევი (უთარილო); დ) არაგველი კობიაშვილის თქმით ჩაწ.; ე) კახ., ლ. ჩერქეზიშვილის ჩაწ. 1871 წ.; ვ) ს. ველისციხე, ი. სიღამონ-ერისთავის ჩაწ.; ზ) ქართლი, ს. ქარელი, ა. როინაშვილის ჩაწ. 1869 წ.; (უ) ნინო ბარათოვის ჩაწ. ს. მარაბდას; თ) ს. ხუმელაგა, მღ. ნ. ბაქურაძის ჩაწ. 1887 წ.; ი) ქუთ. მაზ. გ. ყიფშიძის ჩაწ.; ია) ს. ყიფიანის ჩაწ. იქვე; იბ) რაჭა, ს. წესი, გერ. მინდელის ჩაწ. — 444) იმერ., პ. მირიანაშვილის ჩაწ. 1888 წ. (ორი სტრიქონი აქ ვარიანტებიდანაა შეტანილი). ვარიანტები: ა) კახ., ს. ველისციხე, ი. სიღამონ-ერისთავის ჩაწ.; ბ) ხევი, ს. სტეფანწმინდა, სიმ. შადურის ჩაწ. 1881 წ.; გ) შორაბ. მაზ., ე. ვეფხაძის ჩაწ.; დ) იმერ. (ნაწყვეტი. უთარილო).—445) [გრემისხევი], ე. გომიაშვილის ჩაწ. აღდგომელა საზნადარის თქმით 1882 წ.—446) გურია, ს. მამათი, ღმ. შარაშობის თქმით ჩაწ. გიგო დათვის ძე შარაშობის მიერ 1874 წ. (შემოკლებით).—447—448) გურია, ერ. გოგინაიშვილის რეუელიდან, გაბრ. კვაჭაძის ჩაწ. 1903 წ. (შემოკლებით). — 449) ხევი, იაგ. ლუღუშაურის ჩაწ. 1886 წ. — 450) ქუთ. მაზ., ს. ფარცხანაყანები, მ. ფხაკაძის ჩაწ. — 451) შორაბ. მაზ., ე. ვეფხაძის ჩაწ. — 452) კახ., ს. ველისციხე, ი. სიღამონ-ერისთავის ჩაწ. — 453) კახ., ელ. ჩერქეზიშვილის ჩაწ. 1871 წ. — 454) მცხეთელის თქმით ჩაწ. თბილისს 1863 წ. — 455) უთარილო. — 456) ხევი, ს. სტეფანწმინდა, გიგა ჭამარჭიშვილის თქმით ჩაწ. 1881 წ. — 457) აქარა, ჩურუქსუ, რეჭემა თხილოღლის თქმით ჩაწ. 1890 წ. — 458) სამი მთავარი ვარიანტი: ა) გორელის თქმით ჩაწ. თბილისს 1859-60 წ.; ბ) სენაკ. მაზ., ღ. ბარნაბიშვილის ჩაწ. 1871 წ.; გ) კახ. ჩაწ. (უთარილო). გარდა ამისა კიდევ ოთხი ვარიანტი; დ) უთარილო; ე) იმერ., ანთ. გორგაძის ჩაწ.; ვ) მიხ. ლეჟავას ჩაწ. იქვე; ზ) ქუთ. მაზ., ს. ყიფიანის ჩაწ. (ამ უკანასკნელში ნათქვამია, რომ თავგმა „ნაჩაღნიკთან“ იჩივლა, კატამ არ დამყენაო; კატამ პასუხი გასცა: თავგი მოსვენებას არ მძალევეს, ქერში დახრაგუნობს, კაკალიც სულ გამიწყვიტაო). — 459) ქუთ. მაზ., ს. ფარცხანაყანები, მ. ფხაკაძის ჩაწ.; ვარიანტები: ა) იქვე, ს. ქვეიში, ივ. ბერეკაშვილის თქმით ჩაწ. ბ. ბახტაძის მიერ; ბ) არაგველი კობიაშვილის თქმით ჩაწ. — 460) ს. ხუმელაგა, მღ. ნ. ბაქურაძის ჩაწ. 1887 წ.; ვარიანტები: ა) კახ., ნ. ანდრონიკაშვილის ჩაწ. 1868 წ.; ბ) ხაშმელის თქმით ჩაწ. თბილისს 1870 წ.; გ) რაჭა, პ. მირიანაშვილის ჩაწ. 1888 წ.; დ) ხევი (უთარილო).—461) ს. ხუმელაგა, ნ. ბაქურაძის ჩაწ. 1887 წ., აგრეთვე: საგარეჯოს ჩაწ. (უთარილო). — 462) კახ., ს. ველისციხე, ი. სიღამონ-ერისთავის ჩაწ.; ვარიანტები: ა) კახ., ა. ნ. ფერაძის ჩაწ. 1871 წ.; ბ) მცხეთელის თქმით ჩაწ. თბილისს 1863 წ. ამ უკანასკნელში ვირის ნაცვლად ლაპარაკია ცხენზე, რომელიც ქეციანი იყო, რომელმაც ორმოცი კოდი ქერი და სამოცი ფუთი თივა შექამა და რომელიც

კოდმანისაკენ გავაგდე, წინ დაუხედა კულა მგელი,
შორიღამ შაუბუხუნა, ქვეშ მაიღო ნიშა ცხენი.

„აცადე, მგელო, ნუ შემქამ, ნუ გგონივარ უპატრონო,
ჩემი პატრონი ივანე, თოფი აქვს ჩახმხანინი,
ჩახმხასს დააცემინოს, ტალი არ ვარგა ტილი“.

— 463) კახ., ს. თოხლიაური, ლ. ჩერქეზიშვილის ჩაწ. 1871 წ.; ვარიანტები: ა) ქართლი, ს. კეთისხევს ჩაწ.; ბ) ხევი, მიხ. ჩქარეულის თქმით ჩაწ.; გ) კახ., ს. ვაჩნაძიანი, ალ. ჯანდიერის ჩაწ. 1870 წ.; დ) შორაპ. მაზ., ერ. ვეფხაძის ჩაწ. და ე) იმერ., დ. ძოწენიძის ჩაწ.—464) მესხ., ს. უდე, ივ. ბარკალოვის ჩაწ. 1889 წ.; ვარიანტები: ა) კახ., ს. თოხლიაური, ლ. ჩერქეზიშვილის ჩაწ. 1871 წ.; ბ) ქართლი, ივანე ტერ-სტეფანოვის ჩაწ.; გ) ქართლი, ს. ქარელი, ა. როინაშვილის ჩაწ. 1869 წ.; დ) კახ. ს. მანავი, ლ. ჩერქეზიშვილის ჩაწ. 1861 წ. (აქ მგელი ბურჯაეებს ეპარებოდა). — 465) ხევი, ჩაწ. 1876 წ.; ვარიანტი: იქვე, ს. სტეფანწმინდა, ივ. შადურის ჩაწ. 1884 წ. (აქ მეოთხე სტრ.: გოგამ კარი მამასწრო, ბერამ კი მირაკუნაო). — 466) რაქა, პ. მირიანაშვილის ჩაწ. 1888 წ. — 467) ხევსურ., ივ. ოჩიაურის ჩაწ. 1884 წ. — 468) ხევი, ს. სტეფანწმინდა, სიმ. შადურის ჩაწ. 1881 წ. — 469) ხევი, პავლე ლუღუშაურის ჩაწ.; ვარიანტი: ქართლი, ივ. ტერ-სტეფანოვის ჩაწ. (აქ: ღვინო მიღგია ნასეტყვი). — 470) ხევი, ს. სტეფანწმინდა, ივ. შადურის ჩაწ. 1884 წ. — 471) რაქა, პ. მირიანაშვილის ჩაწ. 1888 წ. (ძირითადი). აქ არის კიდევ შემდეგი სტრიქონები:

შიგ დიაკონი დამრჩევალა, საბრალო დედის ერთაა,
 ზემოთ ეძებენ ნავითა, მას ქვემოთ რკინის კავითა,
 იპოვნეს, გამოათრიეს, პირი ამსოდა შლამითა,
 ქოჩორი ბალა-ბულითა,
 მისი ღელა მარიამი მოკაზმულიყო შავითა.

ვარიანტები: ა) კახ., ს. ვაჩნაძიანი, ალ. ჯანდიერის ჩაწ. 1870 წ.; ბ) იქვე, ს. თოხლიაური, ლ. ჩერქეზიშვილის ჩაწ. 1871 წ.; გ) კახ. ჩაწ. (უთარილო); დ) [გრემისხევი,] ალ. გომიაშვილის თქმით ჩაწ. 1884 წ.; ე) რაქა, გერ. მინდელის ჩაწ.; ე) უთარილო; ზ) ს. ქვიშხეთი, 1902 წ. ჩაწ. — 472) ს. უდე, ივ. ბარკალოვის ჩაწ. 1889 წ.; ვარიანტები: ა) კახ., ს. ველისციხე, ი. სიღამონ-ერისთავის ჩაწ.; ბ) ქართლი, ს. ნადარბაზვეი, ს. ბასილოვის ჩაწ. 1871 წ.; გ) რაქა, ს. სორი, გერ. მინდელის ჩაწ.; დ) ა. ნ. ფერაძის ჩაწ. 1871 წ.; აქ ბოლო ასეთია:

აეადე, შეილო, ვერ შემკამ, არ ვარ ოხერ-ტიალიო,
 ამდენი მეგობარი მყავს, რამტენი ტყეში ხეო,
 ამდენი ნათესავი მყავს, რამტენიც ფოთოლიაო,
 ბიძა მყავს, ბატონს ახლია, ჭირითის მეთოვეაო.

— 473) ხევი, ს. ყანობი, მიხ. ჩქარეულის თქმით ჩაწ. 1888 წ.—474) ა. ნ. ფერაძის ჩაწ. 1871 წ. — 475) ხევი, ჩაწ. 1876 წ. — 476) გურია, გ. კალანდაძის ჩაწ. — 477) გურია, ს. კალანდაძის ჩაწ.—478) თელეთელი მიხ. გოცირიძის—სუმბათოვის ყმის — თქმით ჩაწ. (უთარილო). ვარიანტები: ა) ხევი, ხახმატელი გოგოლაურის თქმით ჩაწ.; ბ) დ. გურამოვის ჩაწ. — 479) კახ., ს. ვაჩნაძიანი, ალ. ჯანდიერის ჩაწ. 1870 წ.; ვარიანტი: იმერ., ა. კვალიევის ჩაწ. სურამს ქაქუჩა მიქელაძის თქმით 1875 წ.—480) ქართლი, ხელთუბნელი დედაკაცის თქმით ჩაწ. თბილისს 1870-71 წ. გ. თუმანიშვილის მიერ. — 481) ხევი (უთარილო). — 482—483) კახ., ს. ველისციხე, სიღამონ-ერისთავის ჩაწ. — 484) [ქართლი, გრემისხევი,] ბრმა ალ. გომიაშვილის თქმით ჩაწ. 1884 წ.; ვარიანტი: ს. წინამძღვრიანთკარში ჩაწ. თედო გულბათაშვილის თქმით 1888 წ. — 485) მესხ., ს. ხიზაბერა, ი. ლაზარაშვილის ჩაწ.

—486) ამოწერილია ვარიანტებიდან: ა) თელთს ჩაწ. (უთარილო); ბ) უთარილო; გ) სურამი, სე. მაქარაშვილის თქმით ჩაწ. ა. კვალიევის მიერ 1875 წ.; დ) გურია, გ. კალანდაძის ჩაწ.; ე) მუხრანელი გიგლა ყარახანაშვილის თქმით ჩაწ.; ე) ნინო ბართოვის ჩაწ. ს. მარაბდას; ზ) იმერ., ს. ძიროვანი, სპ. ქათამაძის ჩაწ.; (უ) ქუთ. მაზ., ს. პატარა ჭიხაიში, იოს. ცაგარეიშვილის თქმით ჩაწ. მიხ. ლეჟავას მიერ. —487) ნინო ბართოვის ჩაწ. ს. მარაბდას და ქუთ. მაზ., ი. ცაგარეიშვილის თქმით ჩაწ. მ. ლეჟავას მიერ. — 488) ნინო ბართოვის ჩაწ. ს. მარაბდას. — 489) მესხ., ს. ხიზაბავრა, ი. ლაზარაშვილის ჩაწ. — 490) ეს არის ამ ლექსის უძველესი ჩანაწერი, რომელიც პ. უმიკაშვილის მასალებში მოიპოვება. იგი ჩაწერილია 1864 წ. (არაა აღნიშნული, ვისი თქმით არის ჩაწერილი). არის მეორე ჩანაწერიც, დაახლოებით ისეთივე, უთარილო. მასალებში არის ორი უფრო ძველი ვარიანტიც: ერთია 1860 წელს კავკავს ჩაწერილი მოზლოკელი სოფლის თქმით, — მოზლოკში ამას ასე ქართველები მღერიათ. — მაგრამ ეს ვარიანტი ტექსტში მოცემულთან შედარებით დეფექტიანია და თეთონ ახალგაზრდა უმიკაშვილს (მამინე 22 წლისს) ასეთი შენიშვნა აქვს გაკეთებული: „ამ ლექსში ცხადა შეცდომებია ქართული ენის კანონის წინააღმდეგო“. მეორე ადრეული ვარიანტი ჩაწერილია 1863 წელს ს. ენისელს და შეიცავს ამ ლექსის მხოლოდ ნაწილს. საინტერესოა, რომ აქ მტრებად ლექები არიან დასახელებული:

ასი მთა გადმოვიარე, მთები მაღალი, ტყიანი,
 ვერც მოკვალ ხარი, ვერც ფური, ვერცა ირეკი ჩხიანი,
 ერთ ირემ თოფი ვესროლე, ის იყო ორი რქიანი,
 დავქექ და ვთალე შამფური, შამფური კილოიანი.
 გავხედე და მოდიოდნენ ის ურჯულონი ქარათა,
 ვტანე და ვტენე თოფები, ტყვია ვაგორე ცალათა,
 აგრე გავწვიტე ლექები, სისხლი ვაღინე ღვარათა.

სხვა ვარიანტები ყველა შემდგომ წლებშია ჩაწერილი, სახელდობრ: ა) უთარილო; ბ) თუშ. (უთარილო, ლექსის ნაწილს შეიცავს); გ) ხევისრ., ხახმატელის თქმით ჩაწ. 1870 წ. (ნაწილია); დ) ხევი, ს. სტეფანწმინდა, ლიზა ყაზბეგის თქმით ჩაწ. 1881 წ. და ე) იქვე ჩაწ. თამრო შადურის თქმით იმავე წელს. თითქმის ყველა ჩანაწერში მომხსრობელია პირველი პირი: ვადვინადირე, ჩამოვხე მუხათა ძირსა, დავქექ და ვთალე შამფური და სხვ. გარდა ამისა, მხოლოდ მთის ვარიანტებშია ნათქვამი, რომ მოკლული თხა თუ შველი: ტახტაზე ჩამოვიყიდე ტყუავაუხდელი რქიანიო. — 491) ძირითადი: მცხეთელის თქმით ჩაწ. 1863 წ., ა. როინაშვილის ჩაწ. ს. ქარელს 1869 წ. და ს. ბასილოვის ჩაწ. ს. ნადარბაზევს 1871 წელს. ვარიანტები: ა) ა. ნ. ფერაძის ჩაწ. 1871 წ.; ბ) ქუთ. მაზ., ს. გუბს ჩაწ. ს. წერეთლის მიერ 1871 წ.; გ) ქიზიყი, ნინო ხირსელოვის თქმით ჩაწ. 1875 წ. (აქ: ანდუყაფაზ სანადირით...); დ) ს. კასპს ჩაწ. თ. ი. ამილახერის მიერ 1875 წ. (აქ: მაჩაბლის ნაცვლად—ყანჩაველი); ე) ქუთ. მაზ. ს. ტაბაყინი, ბ. კელენჯერძის ჩაწ. (აქ: ანდრიყუფე მონადირემ...); ე) რაჭა. პ. მირიანაშვილის ჩაწ. 1888 წ. (აქ: ამილაბარ სანადირით...). — 492) კახ., ს. ვაჩნაძიანი, ა. ჭანდიერის ჩაწ. 1870 წ. (დაბეჭდ. 1905 წ. გამოცემულ წიგნაკში: „პ. უმიკაშვილის სახსოვრად“). ვარიანტები: ა) კახ., ლაერ. მათიკაშვილის ჩაწ. აქ ეს ლექსი ასე იწყება:

ტახმა მოთხრა ტანტალამა, კურკო არ მიქამიო,
ხოდაშნი ბოლოს ჩამოეელ, ბალახნი მიძონიო.
ოი სესია, სესია, შენ წამიყვანე ტყეშია,
მონადირობა მასწავლე ამ თეთრაანის ტყეშია,
შენ წახველ თეთრაანშია, მე წაველ საფსიტეშია,
ერთი ღორი წამომიხტა, კულა იყო და მრეშია და სხე.

ბ) კახ., ს. თოხლიაური, ლ. ჩერქეზიშვილის ჩაწ. 1871 წ.; გ) მისივე ჩაწ. ს. მანავს;
დ) ა. ჭანდიერის ჩაწ. ს. მანავს 1870 წ.; ე) კახ., ნ. ანდრონიკაშვილის ჩაწ. 1868 წ.;
ვ) ი. სიღამონ-ერისთავის ჩაწ. ს. ველისციხეს; ზ) ს. ენისელს ჩაწ. 1863 წ. (ორი ჩა-
წაწერი). ვარიანტების უმრავლესობაში ლექსი იწყება ასე: ოი სესიავე, სესიავე...;
ორში: ტურიაშ უთხრა სესიას... — 493) რაჭა, ივ. ბოქორიშვილის ჩაწ. 1894 წ.—
494) კახ., ს. ვაჩნაძიანი, ალ. ჭანდიერის ჩაწ. 1870 წ. — 495) ხევი, ს. სტეფანწმინ-
და, ალუშკა შადურის თქმით ჩაწ. ივ. შადურის მიერ 1884 წ. — 496) მისივე ჩაწ.
იქვე, აგრეთვე სია გიგაურის თქმით სიმ. შადურის ჩაწ. იქვე 1890 წ. — 497) იქვე
ალუშკა შადურის თქმით ჩაწ. ივ. შადურის მიერ 1884 წ. — 498) იქვე, სია გიგა-
ურის თქმით სიმ. შადურის ჩაწ. 1890 წ., აგრეთვე ივ. შადურის ჩაწ. იქვე ალუშკა
შადურის თქმით 1884 წ., ვარიანტი: იქვე, ს. სტეფანწმინდა, გიგოლა არჩინაშვი-
ლის თქმით ჩაწ. 1881 წ.—499) იქვე, სიმონ შადურის ჩაწ. 1890 წ., აგრეთვე: ჩაწ.
იქვე (უთარილო). აქ მეორე სტრიქონიდან:

თქვენსაით ლაღმა მოყმემა სათავე წამოგვიარა,
გვეტროლა თავის ისარი, იღლიას გამოგვიარა და სხე.

ვარიანტი: ხევი (უთარილო); არის სამი სტრიქონი; მეორე სტრიქონიდან:
ისარმა კილო-წითელმა, მაგ თქვენმა მშვილდმა რქისამა,
გორის პირიდან ნასროლმა თქვენისთანაის ყმისამა.

—500) ილ. ქავეკაძის ჩაწ. 1871 წ.; ვარიანტი: ნინო ბარათოვის ჩაწ. ს. შარაბდას.
(...რამ ჩამოგაგლო ბარათა? მეუღლე ღმერთმა მაძიკლა...; მეორე მისსავე ჩაწე-
რილში: მეუღლე ღმერთმა წამართო...). — 501) ხევი, ს. სტეფანწმინდა, ჩაწ. 1877 წ.
— 502) კახ., ს. ენისელს ჩაწ. 1863 წ. — 503) კახ. (უთარილო). — 504) კახ.,
ს. ველისციხე, ი. სიღამონ-ერისთავის ჩაწ. — 505) იქვე, მისივე ჩაწ.; ვარიანტი:
იქვე, ს. ვაჩნაძიანი, ა. ჭანდიერის ჩაწ. 1869 წ. (აქ: ...ჩემს მეტი კარგი რა ჰქონ-
და... ერთი ავეთი თხა მოკვალ, შვიდი არშინი რქა ჰქონდა, თავადსა და აზნა-
ურსა სანახავათა ჰქონდა). — 506) იქვე ჩაწ. (უთარილო). — 507) ხევი (უთარილო). —
508) იქვე, ს. სტეფანწმინდა, ალუშკა შადურის თქმით ივ. შადურის ჩაწ. 1884 წ.,
აგრეთვე სია გიგაურის თქმით სიმ. შადურის ჩაწ. იქვე 1890 წ. (აქ: თოფი ბულქი
გაქვს, ყმაწვილო...) და იქვე გიგოლა არჩინაშვილის თქმით ჩაწ. 1881 წ. (აქ: თოფი
ბუზი გაქვს, ყმაწვილო...). — 509) ს. ხუმელაგა, მღ. ნ. ბაკურაძის ჩაწ. 1887 წ. —
510) [გრემისხევი], ე. გომიაშვილის ჩაწ. 1882 წ.—511) კახ. ს. ვაჩნაძიანი, ა. ჭანდიერის
ჩაწ. 1870 წ. — 512) ს. სალხინოს ჩაწ. ი. ნადირაძის მიერ. — 513) კახ., ს. ველის-
ციხე, ი. სიღამონ-ერისთავის ჩაწ.—514) კახ., ლ. ჩერქეზიშვილის ჩაწ.—1871 წ.
— 515) ს. ალაიანში გავონილი 1876 წ. გრ. ოსეფოვისაგან. — 516) კახ., ს. ვე-
ლისციხე, ი. სიღამონ-ერისთავის ჩაწ.—517) რაჭა, პ. მირიანაშვილის ჩაწ. 1888 წ.
— 518) კახელი ბიქის თქმით ჩაწ. ა. ნ. ფერაძის მიერ 1871 წ.— 519) ა. ნ. ფერა-

ძის ჩაწ. 1871 წ. თელაველი ბიჭის თქმით („კახური მესტიერული“).— 520) კახ., ს. კაკაბეთი, ვ. ეფეთიმოვის ჩაწ. 1880 წ.—521) კახ., ლ. ჩერქეზიშვილის ჩაწ. 1871 წ. ს. თოხლიაურსა და მანაუმი (ორი ჩანაწ.) და ვ. ეფეთიმოვის ჩაწ. ს. კაკაბეთში 1880 წ.; ვარიანტები (ნაწყევ.): ა) ვ. ეფეთიმოვის ჩაწ. იქვე და ბ) საგარეჯოში ჩაწ. (უთარილო). — 522) ხევი, ვარზანელი აღია ქვეთარას თქმით ჩაწ. 1870 წ. და იქვე ივ. თეთრუაშვილის თქმით ჩაწ. ეფრ. გომიაშვილის მიერ 1882 წ. (გამომტკმელია „აღღვამელი საზანდარი შამაბურის საზოგადოებისა“). — 523) თელაველი ბიჭის თქმით ა. ნ. ფერაძის ჩაწ. 1871 წ. — 524) კახ., ს. ვაჩნაძიანი, ალ. ჯანდიერის ჩაწ. 1870 წ. — 525) კახ., ს. ველისციხე, ი. სიღამონ-ერისთავის ჩაწ., აგრეთვე: მუხრანის ჩაწ. (უთარილო) და კახ. ჩაწერილი (უთარილო). ვარიანტები: ა) კახ, ს. ვაჩნაძიანი, ა. ჯანდიერის ჩაწ. 1869 წ. და ბ) თბილისის ჩაწ. მცხეთელის თქმით 1863 წ. — 526) კახ., ს. თოხლიაური, ლ. ჩერქეზიშვილის ჩაწ. 1871 წ.; ვარიანტები: ა) ჯანდიერის ჩაწ. ს. ვაჩნაძიანში 1869 წ.; ბ) კახ., ა. ჯორჯაძის ჩაწ. გურჯაანელი გლეხის თქმით 1872 წ.; გ) რაჭა, სვ. ბოჭორიშვილის ჩაწ. 1894 წ. — 527) ქართლი, ხელთუბნელი დედაკაცის თქმით თბილისის ჩაწ. 1870-71 წ. გ. თუმანიშვილის მიერ. ვარიანტები: ა) თბილისის ჩაწ. 1863 წ. და ბ) ზემოქართლი, ს. ტუბუნი, ნატალია ორჯონიკიძის თქმით ჩაწ. 1888 წ.—528) ხევი, ს. ყანობი, მიხ. ჩქარეულის თქმით ჩაწ. 1888 წ.; ვარიანტები: ა) ხახმატელი ბერდია გამღვივარაულის თქმით ჩაწ. (1874 წ.); ბ) ხევი, ს. სტეფანწმინდა, ვინმე როსტომის თქმით ჩაწ. და მეორე იქვე იმავე როსტომის თქმით ჩაწ. აქ ეს ლექსი ასე იწყება:

ალაზანი დიღია, შიგ ბებერი ჰყიღია,
წაველ ტყავი გავხადე, შიგ აბაზი ვიპოვეო,
წაველ დედას ვახარე, დედამ კვერი შემეჩნაო,
მამამ კი შემეჩამაო. მამამ გვრიტი მამგვარაო და სხვ.

— 529) ქართლი, ს. ქსოვრისი, იქაური ბიჭის თქმით ჩაწ. 1877 წ.; ვარიანტი: კახ. ჩაწ. — 530) ხევი, ს. ხურთისი, მიხ. ჩქარეულის თქმით ჩაწ. 1888 წ.; ბ) ქართლი, ხელთუბნელი დედაკაცის თქმით ჩაწ. თბილისის 1871 წ. გ. თუმანიშვილის მიერ. აქ პირველი ოთხი სტრიქონის შემდეგ არის მხოლოდ ეს ორი სტრიქონი:

ღალაქო, თავი მომპარსე, ქოჩორი დამიყენეო,
იმ ჩემი ორი მქადისა ამბავი მომიტანეო.

გ) ქუთ. მაზ., ს. ივანდილი, ე. მაჭარაძის ჩაწ.; აქ ეს ლექსი ასე იწყება:

ნიკორ ნიკორტ წითელო, ჩემო კისერ-ყვითელო,
წიგნი დამიწერიაო, ზღვაში ჩამიფენიაო,
ზღვაი აღუღებულაო, ქალი აკივლებულაო,
ქალსა ქალი ყოლებია, ეჯათ გადაქცევიაო.
ვაქო, აღრე ამიდექი, ხოხობეი დამიჭირე,
ხოხობეი ძეწკეიანი, ძეწკეი გაუგლეჯია,
მთა გაურბენია, მთაში კაცი შეხთომია,
ტიტველი და შიშველია, ხულოი და ბებერა...

— 531) ხევი, ს. ყანობი, მიხ. ჩქარეულის თქმით ჩაწ. 1888 წ., აგრეთვე ს. სტეფანწმინდას ჩაწ. (უთარილო) ვინმე კოლას თქმით. ვარიანტი: ქიზიყი, ანაგა, ნინო ხირსელოვის თქმით ჩაწ. 1875 წ.:

აზინზილო ზინზილო, მე ჩალაში მეძინა,
სომხის ქალი მოვიდა, სომხურისა ქუდიოთა.
ქალო, ქუდი ვისია? „ჩემი ძმისა მეფისა“.
თვალი გამოგეფისა. .

ახლო მიდგა ლოგინი, შიგ მისხედან დობილნი.
დობილმა თქო: მართალია, ბიკმა დაკლა ქათამია,
აარიგა, ჩაარიგა, არ მომართო ბარკალია.
დმერთო, ავრე გაუწვევიტე წიწილა და ქათამია.

- 532) ქართლი, მაღამ ფონ დერ ნონეს ჩაწ. — 533) გურია, ვიქტ. დარჩიას თქმით ჩაწ. 1894 წ. ზესტაფონში. — 534) ჩაწ. 1863 წ. (მოწაფის თქმით). — 535) ხევი, ს. სტეფანწმინდა, თამრო შადურის თქმით ჩაწ. 1881 წ. — 536) თბილისს ჩაწ. 1863 წ. — 537) უთარილო. — 538) თბილისს ჩაწ. 1863 წ. — 539) ხევი, თამრო შადურის თქმით ჩაწ. 1881 წ. — 540) ქართლი, ხელთუბნელი დედაკაცის თქმით ჩაწ. თბილისს 1870-71 წ. გ. თუმანიშვილის მიერ. (იქვე ამის ორი უფრო მოკლე ვარიანტი). აქ არის კიდევ ერთი ბოლოსტრიქონი: დიასახლისს შავხედო, ცრემლი ჩამოსდიოდა. — 541) ხევი, ს. ხურთისი, მის. ჩქარეულის თქმით ჩაწ. 1888 წ. (ბალღები ყველიერში ერთად შაიყრებიან, დადიან ყველასთან კალათით ხელში. საცა მიოლენ, ითამაშებენ, ატარებენ ბერკიას, — არაბს, ჰირსა და ხელებზე მურგადაცხობილს, — მუზიკას უკერენ; კალათაში ჩაუღებენ კეერცხებს, ერბოს, ყველს; წაიღებენ, სკამენ. პ. უ.). — 542) კახ., ს. ვაჩნაძიანი, ალ. ჯანდიერის ჩაწ. 1870 წ. — 543) უთარილო. — 544) თბილისს ჩაწ. 1872 წ., აგრეთვე: კახ., ს. ველისციხე, ი. სიღამონ-ერისთავის ჩაწ. — 545) ქუთ. მაზ., ს. ივანდიდი, ე. მაქარაძის ჩაწ. — 546—547) უთარილო. — 548) ჩაწ. თბილისს 1861 წ. (ორი ყმაწვილი, ან მეტი, დასხდებიან ერთმანერთის პირდაპირ და თითო სიტყვას თითო ფეხზე ხელის დადებით იტყვიან; საცა გათავდება, ფეხი უნდა მოიყეოს. მერე ისევ თავიდან დაიწყებენ, მანამ სუყველა ფეხს მოიყეოს. ბოლოს ერთი ფეხი რომ დარჩება, იმ ფეხს და ადგილს ჩამოუვლიან. პ. უ.). — 549) უთარილო. (სამჯერ. ყმაწვილებმა იციან, გააჩაერებენ, რომ გულზე მოიყვანონ. პ. უ.) — 550) უთარილო. — 551) უთარილო (ყმაწვილებმა იციან, მტირალა ყმაწვილს ეტყვიან ტირილის მოსაშლელად. პ. უ.). — 552) კახ., უთარილო (ყმაწვილებმა იციან, ამის შემდეგ ჩუმად უნდა იყვნენ და ვინც პირველად ხმას ამოიღებს, იმას გადაახდევინებენ რამე ხილს. პ. უ.). — 553) ქართლი, ს. ტეზერი, ნატალია ორჯონიკიძის (კიკნაძის ცოლის) თქმით ჩაწ. 1886 წ. (ერთი ყმაწვილი ჩამოუვლის სხეებს და გაიქცევიან, მოეკიდებიან ჩირგვს, ხეს ან ნაფოტს; ვინც დარჩება, ის გამოუდგება სხეებს და ერეკება; ეს (ძალი) დაიჭერს ვისმე და ახლა ის სხვას დაიჭერს. და ასე, სანამ გათავებენ. როცა გათავდება, ისევ თავიდან დაიწყებენ. პ. უ.). — 554) უთარილო (ყმაწვილებმა იციან, გამკლავდებიან და ძირ-ძირ მიწაზე ეძებენ დაკარგულ ნივთს. პ. უ.). — 555) უთარილო (ყმაწვილები, როდესაც ამხანაგობაში პირობას სდებენ, ნეკს ნეკით დაუჭერენ და აშობენ ამ ლექსს. პ. უ.). — 555) ამ სიტყვების გაგრძელება ქალაღებში არ აღმოჩნდა. — 557) ქართლი (უთარილო). — 558) ნინო ბარათოვის ჩაწ. ს. მარაბდას. — 559) მისივე ჩაწ. იქვე. — 560) ქუთ. მაზ., ი. ძოწენიძის ჩაწ. — 561) ხევი, ს. სტეფანწმინდა, გერგეტელი გლეხის თქმით ჩაწ. — 562) ა. ნ. ფერაძის ჩაწ. 1871 წ.; — 563—566) უთარილო. — 567) აქარა, ჩაწ. 1890 წ. — 568) ქართლი, მაღამ

ფონ დერ ნონეს ჩაწ. — 569—570) უთარილო. — 571) ქართლი, ს. კეთისხევის ჩაწ. — 572—573) ბაკურციხე, ნინო ვაჩნაძის თქმით ჩაწ. 1875 წ. — 574) კახ., მოწ. რუსიევის ჩაწ., აგრეთვე: ს. ველისციხე, ი. სიღამონ-ერისთავის ჩაწ. — 575—576) მისივე ჩაწ. იქვე. — 577) იმერ., ზ. ჩიჩუას ჩაწ. — 578) შორაპ. მაზ., „შემკრებელი მეცვიყო“. ვარიანტი: ქართლი, ხელთუბნელი დედაკაცის თქმით ჩაწ. თბილისს 1870-71 წ. გ. თუმანიშვილის მიერ. (აქ ბოლოშია: კარ ჭაქვი, ერდოს ჭვარი, ღმერთო, შენ დამწერე შენი წყალობის ჭვარი). — 579) უთარილო. — 580) კახ., ს. კაკაბეთი. ვ. ეფთიმოვის ჩაწ. 1880 წ. — 581) მესხ., ს. უღე, ი. ბარკიალოვის ჩაწ. 1889 წ. — 582) იმერ., პ. მირიანიშვილი ჩაწ. 1888 წ. — 583) უთარილო. — 584) ქართლი, მეჭვრისხეველის თქმით ჩაწ. 1860 წ. (გლახას დაუწყველია, რომელიც პატარძალს არ გაუციტხავს. პ. უ.) — 585) მესხ., ს. ხიზაბავერა, მღ. ი. გვარამაძის (ვინმე მესხის) ჩაწ. 1884 წ. — 586) ხევი, ს. სტეფანწმინდა, ალუშკა შადურის თქმით ჩაწ. ივ. შადურის მიერ 1884 წ. — 587) დასხნენ. მეფემ ჰკითხა, რას ამბობენ მეფეზეო. მგზავერმა უთხრა: მისი ქება განთქმულია, მაგრამ ერთი წუნი აქვსო. — რაო? — რაო და ცოლი ჰყავს კახპაო. ეთქვათ, მეფე დაბერდა, მაგრამ წუწკი სომეხი ყორღანაშვილი რო თავზე არ გადაეწვინა, აგერ არ ვიყავი ამისთანა პატროსანი ბიჭო? დედოფალმა უთხრა ქმარს: რათ იცი ყველასთან თავის დამდაბლებაო, უკადრისს გყადრებენო. მეფემ უთხრა: ბევრს იმისთანას შეიტყობ, რომ თავის დღეში გულში არა გქონოდესო (აკაკი წერეთლისგან გავივონე. პ. უ.). 588—590) პ. უმიკაშვილის უბის წიგნიდან 1859 წ. — 591 — 592) უთარილო. — 593) ქუთ. მაზ., ს. კულაში, ალ. მიქელაძის თქმით ჩაწ. 1879 წ. — 594—595) უბის წიგნიდან 1859 წლისა. — 596) ჩაწ. ზესტაფონს 1894 წ. — 597) შორაპ. მაზ., „შემკრებელი მეცვიყო“. — 598) ს. ბზუანი, თ. ნადირაძის ჩაწ. — 599) შორაპ. მაზ., „შემკრებელი მეცვიყო“. — 600) უბის წიგნიდან 1859 წლისა (ჩიქვანიანთ პეტრეზეა — მებურნუთე პეტრეზე — ნათქვამი. პ. უ.).

რედაქტორის შენიშვნები

„ხალხური სიტყვიერების“ წინამდებარე გამოცემა დიდძალ ფოლკლორულ მასალას შეიცავს—თავმოყრილია XIX საუკუნეში შეკრებილი ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა უმეტესობა. თავის დროზე ტექსტების გამოსაცემად მომზადება კოლექციის ავტორმა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ და ფოლკლორისტმა, მწერალმა და ჟურნალისტმა პ. უმიკაშვილმა ვეღარ მოასწრო (გარდაიცვალა 1904 წლის მაისში). პ. უმიკაშვილის საქმის გამგრძელებელმა პროფ. ფ. გოგიჩაიშვილმა (გარდა. 1947 წ.) მხოლოდ პოეზიის ნაწილის დაბეჭდვა მოახერხა: ამ შემთხვევაშიც გამომცემლის მთავარი ყურადღება დაეთმო პეტრე უმიკაშვილის პიროვნებას და უკანასკნელის მიერ შეგროვილი ტექსტების ბეჭდვას. ხელუხლებელი დარჩა ეანრების დახასიათება და თვითუღ ნაწარმოებთან დაკავშირებული ისტორიულ-ფოლკლორისტული პრობლემები; აგრეთვე გამოუქვეყნებელი დარჩა ძირითად ჩანაწერებზე არანაკლები რაოდენობის ვარიანტები. დღესდღეობით პ. უმიკაშვილის მდიდარი ფოლკლორისტული მემკვიდრეობის პუბლიკაცია ამ გამოცემით მთავრდება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ვარიანტებს, რომელთა სისტემატური გამოშვებურება კვლავ სამერმისოდ რჩება. ხელუხლებლად დატოვებთ რა ფ. გოგიჩაიშვილის შენიშვნები, საჭიროდ მივიჩნევთ მინიმალური ხასიათის განმარტებებისა და დამატებითი მასალის წარმოდგენა როგორც თვითონ ფ. გოგიჩაიშვილის ტექსტის, ისე ხალხური ნაწარმოებების მიმართ. ახალ ცნობებს ვარსკვლავით (*) აღნიშნული ადგილების შესახებ მკითხველი იპოვის ქვემოთ შესაბამისი გვერდების მიხედვით.

გვ. 6. 1904 წელს პ. უმიკაშვილის გარდაცვალების გამო აღნიშნული ფონდი გადავიდა ფ. გოგიჩაიშვილის ხელში. ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ ინახებოდა მის ოჯახში, ხოლო 1958 წელს თამარ ფილიპეს ასულ გოგიჩაიშვილისგან მიიღო რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილებამ, სადაც დატულია აჩუამადაც ცალკე კოლექციის სახით და საფუძვლად დაედო წინამდებარე გამოცემას.

გვ. 8. დაიბეჭდა არა „საქართველოს სიძველენში“, როგორც ფ. გოგიჩაიშვილი მიუთითებდა წინა გამოცემაში, არამედ „ძველ საქართველოში“ (ტ. II, 1913, წ., გვ. 117—119).

გვ. 9. ქართულ ენაზე შედგენილი და 1882 წელს დაბეჭდილი ამ პირველი პროგრამის ავტორები იყვნენ პ. უმიკაშვილი და ი. გოგებაშვილი. პროგრამის დამუშავ-

ვებაში მონაწილეობდა ი. ჰაქევაძე (იხ. თ. ოქროშიძე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფოლკლორულ-შემკრებლობითი მუშაობა XIX საუკ. მეორე ნახევარში. კრებ. „ლიტერატურული ძიებანი“, IV, 1947 წ.; მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 208-9).

გვ. 12. იგულისხმება ამ გამოცემის მე-3 და მე-4 ტომები, რომლებშიც შესული ტექსტები პირველად ახლა ქვეყნდება. მასალების დალაგებაში შეტანილი ცვლილებების შესახებ იხ. მე-3 ტომის შესავალი.

გვ. 12. ფ. გოგიჩაიშვილის სარედაქციო მუშაობის დახასიათება მოცემულია ჩვენს ნაშრომში, რომელიც დაიბეჭდა 1962 წელს ქართული ხალხური პოეზიის მრავალტომეულის მომზადებასთან დაკავშირებით („ქართული ხალხური პოეზიის კლასიფიკაციისა და გამოცემის პრინციპების შესახებ“, 1962, გ. 15—20).

გვ. 18. „ლექსები სახალხო სიმღერებისაგან შედგენილი“ დაიბეჭდა 1874 წელს და მისი ერთი ცალი დაცულია თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში.

გვ. 14. დასახლებული სენური ტექსტები, როგორც ფ. გოგიჩაიშვილი აღნიშნავს, 1937 წლის გამოცემაში აღარ დაბეჭდილა. დედნები პ. უმიკაშვილის არქივშიც არ ჩანს.

გვ. 17. ძირითადი გმირის სახელის მიხედვით ხალხურ ნაწარმოებს ზოგჯერ „ამირანი“, ზოგჯერ კიდევ „ამირანიანი“ ეწოდება. მიჩაქეული ამირანის სახე ძლიერ შორეულ წარსულში შეიქმნა. დროთა განმავლობაში თქმულებებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, რაც თვითონ ამბავსა და მის პოეტიკაშიც იგრძნობა, მსოფლმხედველობრივ მომენტებზე რომ არაფერი ვთქვათ. სრული ცნობები იხ. მ. ჩიქოვანის „მიჩაქეულ ამირანში“ (1947 წ.). „ამირანი“ შედგენილია სხვადასხვა ჩანაწერის მიხედვით. იმის საჩვენებლად, თუ როგორაა შერჩეული ადგილები და რა ნაწილი შეიძლება დარჩენილიყო გამოუყენებელი ვარიანტიდან, ჩვენ მთლიანი სახით მოვიტანთ გ. არჩინაშვილის ნათქვამ 16-ტაეპიან ლექსს, საიდანაც პ. უმიკაშვილმა მხოლოდ 7 ტაეპი აიღო „ამირანის“ დასაწყისისთვის. აი ისიც:

ამირანის ლექსი

ბადრი, უსიფ და ამირან ობლები დავიზარდნით,
ვინც კარგი გეყო, გეახსოვდა, მუშაჩი დავებმარენით;
ვინც ავი გეყო, გეახსოვდა, შინ და შინ შეეიტანენით.
ავდექით, ბალხეთს წავედით, ვაქრულათ შავიპარენით.
მოჭამაგირეთ დავდექით, ბეზირგან დავეტანენით.
გვითხრა: „არა გაქვთ მოჭამაგირის ფერი, ადექით, გამეცალენით!“
აიმ კიბეს კვილია, როგორც ზარ არი, დეთა მოუყვანია რძალი.
ამირანმა ძმებსა უთხრა, უნდა ენახოთ დეთა რძალი.
ძმებმა უთხრეს:
„ნუ, ამირან, ძმისა მზესა, ბევრჯელ ენახეთ დეთა რძალი.
აიმ კლდესა გადმოვყვრიან, ძირს ველარ ჩამოვლენ ძოლნი“.
შავედით და მიგვიწვიეს, ამირანს პური შიოდის;
ცეცხლზედა ხარშვა ეიდა, გველი-ბაყაყი დიოდის.

ორი დობილის ნაქნარი ცეცხლიჩაჲ ჯადა შხიოდის,
გამაილეს და გაფეთეს*, კაცის თაფფეხი ცვიოდის.

გვ. 17. დაბეჭდილი იყო „ბალხეთში“, ალვადგინეთ დედნისეული „ბალხეთში“ (უმიკ. 2).

გვ. 18. სამი ტაეპი („სამი გველეშაპი... მეო“) აღდგენილია ხელნაწერის მიხედვით (უმიკ. 4).

გვ. 18. ამ ნაწყვეტს ხელნაწერში სათაურად „ამირანიანი“ უწერია, ქვესათაური — „ამირანის ლექსი“ (უმიკ. 5).

გვ. 19. დაბეჭდილია დედნის მიხედვით: „ოქრო იყო რქანი მისნი“ (უმიკ. 5) და არა ისე, როგორც წინა გამოცემაშია სხვა ვარიანტიდან შემოტანილი: „ცასა სწედება რქანი მისნი“. მრ. ფორმა „მისნი“ 2—3 ტაეპებში ფ. გოგიჩაიშვილის მიერ აღდგენილია პირველი ტაეპის კვალობაზე. საერთოდ ძნელია ყველა ენობრივი ჩასწორების ჩვენება, რაც ფ. გოგიჩაიშვილს დაუშვია.

გვ. 19. ანალოგიური მიმართვა გვხვდება ხალხურ „ვეფხისტყაოსანში“ (მ. ჩიქოვანი, ხალხური „ვეფხისტყაოსანი“, 1937, გვ. 173, 202).

გვ. 20. შდრ. რუსთაველის „იყო არაბეთს როსტევეან... მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი ყმინი“ (სტრ. 33).

გვ. 22. შდრ. საფერხისო ლექსი „ავთანდილ გადინადირა“: „დაქდა და შამფური თალა, წყადი ააგო მცერინი“ („ხალხური ვეფხისტყაოსანი“, 1937, გვ. 97).

გვ. 23. დედანშია „მოიტანა“ (უმიკ. 5).

გვ. 22. შდრ. შველეგოს პოპულარული ლექსი.

გვ. 28. „ვიცი“ აღდგენილია ჩვენ მიერ, დედანშია „ვაიცი“ (უმიკ. 5).

გვ. 28 ეს მე-5 ნაწყვეტი ლექსი (იხ. აქვე, გვ. 301) 1860 წლამდეა ჩაწერილი. დაბოლოება მიუთითებს, რომ მის გამართვაში მონაწილეობა მიუღია რომელიმე მთქმელს: „თავით ბოლომდინ სრული ჰყავთ, ესე საქმე ჩენი არი“. პ. უმიკაშვილის არქივში არ შემონახულა ის პირველი ჩანაწერი, საიდანაც 1881 წლის პირი მომდინარეობს. ამ ლექსში ცოტა როდია ახალი დანამატი.

პ. უმიკაშვილის არქივში შემონახულია ამირანის თქმულების სხვადასხვა დროის მრავალი ჩანაწერი. თვითეული მათგანი გარკვეულ ინტერესს აღძრავს სპეციალისტებსა და მკითხველებში, როგორც უძველესი ქართული ეპოსის თავისებური ფრაგმენტი. ეს აღრინდელი ჩანაწერები დღემდე გამოქვეყნებული არ ყოფილა, ახლა საჭიროა ნაწილობრივ მაინც გაეაცნოთ საზოგადოებას.

მიუყვეთ იმ თანმიმდევრობით, რაც თავის დროზე ფ. გოგიჩაიშვილმა შეიმუშავა:

* გაგლიჩეს.

— ა იმ კლდეში კივილია, ხმამაღლობა, როგორც ზარი.
 — „არც კივილია, არც ზარი, დევებს მოუყვანავ ჩაღლი“
 — „წაიღეთ და გამოეწყვიტნეთ, ძმანო, თქვენს მიკირეთ მხარის“
 — „ნუ, ამირან, ძმათა მხესა, კვლავ გვინახავს დევთა ჩაღლი.
 ა იმ კლდეზედ გადმოგვეყრიან, ქალაზედ არ ჩავეა ძვალი.
 შალვაჲ იქით გადმოაგდეს — თურქთა სალოცაჲი ქვარი“.
 მივედით და მიგვიწვივნეს, ამირანს პური შიოდა.
 დეოთ დედაბერი ჭარას ძახს, ჭარა-კვიშტაჲი ხეიოდა.
 ორთა ღობილთა შექმნილი ქადა ცეცხლშია შხიოდა,
 გამოიღეს და გაყეთეს — კაცის თავ-ფეხი ცვიოდა.
 სასმელად დოვი მოგვიღეს, შიგ გეელი დ მყიარი დიოდა.
 უსმელ-უქმელად გაეძელოთ, ჩვენ ერთიჲ არ ჩაგვედიოდა.
 ურსიპი ქერში გასჩარეს, ბადრი კი კარში კიოდა,
 ამირან იჭდა, ფეხსა სცემს, ფოთელადაჲ არ მიადიოდა.....



ამირან, ბადრი, ურსიპი ობლები მოვიყარენით,
 კერაი თოლით ვერ ვნახეთ, ძროხებში გავიზარდენით.
 ვინ[ც] კარგი გვყო ობოლთა — მუშაში დავეტანენით;
 წინც ავი გვეყანდის ობოლთა, შიშელის ხმლით შევეტანენით.
 ავდეგოთ ბალხეთს წავედით, ქურდობით ჩავეპარენით.
 სამნი ჩვენა და ცხრა დეენი ბაზარზედ შეიყარენით,
 სათავით მოხვდით ბაზარსა, ბოლოში გავიყარენით.
 ჯერც ჩვენ ვეცოთ და ვერც იმათ, ბარდაბარ გავიყარენით.



მინდორი გამოვიარეთ ამირან და ძმანი მისი,
 წინ ირემი შეგვეყარა, რქები ხონდა აღმასისა,
 ცხრა მთანი გარდმოველო, შეათე ინდოეთისა.
 იმ მინდორში კოშკი იდგა ანაკები ბასრის ქვისა,
 სამი დღე-ღამე გარს უარეთ, კარი ვერ ვიპოვნეთ მისა.
 საცა მზემა წვერი დახვრა, იქ ამირანმა — მუხლი მგლისა
 შევედით და შეგვეშინდა — მკედარი იწვა სამსუნისა.
 ერთ ყურეში რეში ება, დასკუიოდა, იყო მისა,
 იქი-აქა დანი ესხდეს, დასტიროდეს ისიც მისა.
 თავით, ფეხით დედ-მამანი დასტიროდეს ისაც მისა,
 ერთს ყურეზედ ფულის გორა — ისაც მისა სამსუნისა.
 თითთა შუა წიგნი ქონდა დანაწერი ქალაღლისა.
 შიგ იმაში ის ეწერა: „თვით ნახნაჲ მაქეს, თვით ნათესი,
 არა ვარ რა არავისა.“

და არც სულ დაქარგული ორ, დისწული ორ ურსიბისა.
ვინც რო დედას დამიმარხავს — ჩემი რეში ალალ მისა,
ვინც რო ჩემ თავს დამიმარხავს — ჩემი სახლი ალალ მისა.
ვინც რო მამას დამიმარხავს — ჩემი ფული ალალ მისა“.
ამირანმა თქვა: „მე დაემარხავ, დისწულია ჩემი დისა“.....

სამსუნიის სიყვილილი შეიტყო დევმა ბაყბაყმა და გაცხარდა ძალზედ. რაკი მტერი იყო, ადგა, მკედრის გასაცარცველად წამოვიდა. შეიტყო ამირანმა და მოხვდა დევ ბაყბაყს.

ამირან, დევის ბაყბაყმა შექმნეს მინდორსა ღვრიალი,
დასცა და ხელი მოსტეხა, ადგილი შეხვდა კლდიანი.
ბედო ამირან, ნუ მომკლავ, ხელი გაფიცა ხმლიანი.....
ზღვას იქით ქალსა გასწავლი—სახელად ყამარინი.

ამირანმა აიღო ხელი ომზედ, წავიდეს სამნივე ძმანი ზღვას იქით და წამოიყვანეს ყამარი. ზღვას გამოვიდეს და მინდორი[ც] გამოიარეს. და მოსცა ავი დარი, წვიმა. ყამარმა უთხრა: ჩქარა გაეიაროთო, თორემ ჩემი მამულნი ზღვაში შემოვიდეს და იმათგან ზღვის ნაწინწლი არს იგი აედარიო. ახლა მოხყვა ნისლი. თქვა ქალმა ყამარმა: ეს ცხენების ორთქლი არის ჩემ მამულთაო.

„ნელად ვიაროთ, ყამარო, გზათა ვერ დავლევთ რბენათა.
მაგ შენთა მამის მამულთა მარტო გაუოლ მკლავითა,
უსიპითა და ბადრითა, მესამე ამირანითა,
თავსა დაგიკრი ლაშქართა საპურყველისა დანითა!“
მოეწივნეს ამობაში და შე[ე]ქმნა ფიცხელი ომი.

ყამარმა უთხრა:

„ამირან, ცოლ-დედა ბოზო, ომი ვერ იცი კილოსა,
მალა რას უქნევ სპილოსა, მდაბლა შემოხქარ რბილოსა,
სახლსა რა ბოძებ დაეკრვის — დარბასნი დაეცემიან!“

მამულეებმა უთხრეს:

„უყურე ბოზსა ქალსა, ქმარი ირჩია მამასა!
ქმარი ტყვის ფოთლად ასხია, მას ვინად მისცემს მამასა!“
ამირან, ნუ დაენდობი, ბაყბაყანის ძე კუღია,
მხართა სძეს შუბი მაღალი, წვერი აღმასი უბია,
მთელიც არ გარდარჩენია ვისზედაც უხმარებია.
დაჭედი, გეყო, ამირან, რა მეტად ძალი გიქნია,
გიხოცავს ცოლეურები, კაცის ძე არ გაგიშვია,
უმეტეს ხმლისა ქნეითა იღლია გამოგიქნია!

თქმულემა ჩაწერილია სნოს საზოგადოებაში (ხევი) ხევსურის ივანე ცისკარიძე ოჩიაურის მიერ 1891 წლის 22 სექტემბერს; მთქმელი—ივანეური გარსევანისძე ოჩიაური (ფ. გოგიჩაიშვილს თარიღად 1884 წელი აქვს აღნიშნული — 1937 წლის გამოცემა, გვ. 553 — რაც ბოლო ციფრის არასწორად ამოკითხვის ბრალია). დედანს შემკვრების მინაწერი ახლავს პავლეს მისამართით (იქნებ პეტრე უმიკაშვილის სახელშია აღრეული), რომლიდანაც ჩანს, თუ რა გავლენას ახდენდა ხალხზე ფოლ-

ლორულ ნაწარმოებთა პრესაში გამოქვეყნება. „ვიწმლო, ძმაო პაულე, ესე იგი ჩქარა დაიბეჭდოს და მოგვივიდეს, სანამ მთას შეხვარავს, ჩვენს არხოტის მთასა თოელი, რომ გავგზავნო. ერთი იქა ნახონ, არხოტში გასაკვირებლად, თუ საით, როგორ დაიბეჭდაო. ამისი ბევრია. სულ წმინდად ვკითხვ და გამოვსწერ. ეხლა კი ე.ი. ცოტა ვნახოთ დაბეჭდილი და ჩვენი ბლომალი იციან ამირანისაც და სხვებისაც“.

იმავე ივანეურ ორიაურს მოეპოება 1881 წელს ჩაწერილი სხვა ორტაპიანი ფრაგმენტიც, როგელიც ასე იწყება: „ამირან ასრი მუსრი ხარ“.

ხევი საქართველოს ის კუთხეა. სადაც მრავალრიცხოვანი თქმულეებია ჩაწერილი აღრიდანვე. ვარაინტების სიხშირე მოულოდნელი არაა. ამ კუთხეში საგმირო ეპოსის უძველესი ტრადიცია იჩენს თავს: აკი ამირანის მიჯაჭვის ადგილად მყინვარ-გერგეტი იხსენება, ხოლო სტეფანწმინდაში ბრინჯაოს ფიგურებიც აღმოჩნდა ამირანის თქმულეების ამსახველი ეპიზოდებით! 1881 წელს აქ გ. არჩინაშვილის თქმით ჩაწერილია ვრცელი ლექსი — „ბადრი, უსიფ და ამირან სამნი იყვნენ ძმანი ერთათ“:

გ. ბადრი, უსიფ და ამირან

ბადრი, უსიფ და ამირან სამნი იყვნენ ძმანი ერთათ.

ქალა-ქულა ინადირეს და მინდორი ველი მისი,

იქ რო ერთი საყდარია, ნაგებია თლილის ქვისი,

შვიდი დღე-ღამე უარეს, კარი ვერ იმოვნეს მისი.

საცა მზემა შუქი დაჰკრა, იქ გველო კარი მისი,

შავიღეს და შააზარა, მკედარი იყო სამსონისი.....

თითთა შუა წიგნი უძვეს დაწერილი ქალაღდისი,

ამა წიგნი სწერია, დისწული ვარ უსუბისი.

ვინც რომ ბაყდარს არ შამაქმევს, ჩემი რეში ალალ მისი,

ვინც რომ ცოლ-შვილს შემინახავს, ჩემი ჯმალი ალალ მისი,

ვინც რომ დედას შემინახავს, ჩემი ფული ალალ მისი...

უსუფმა ასწავლა ყველა გზა ამირანს. წავიდა ამირანი ბაყდარ დევთან. ამირან მივიდა დევთან და მოკლა...

სამი გველუშაპი შეხვდათ სამ ძმას. გამოუდგა ამირან, გველუშაპმა ჩაყლაპა. ბადრმა კუდი მოსკრა და უთხრა ამირანს:

წესაა დარეჯანელთა ჯიბეს ჩადება დანისა,

ამოღება და გაკათვა შავისა გველუშაპისა.

გველუშაპი შინ მოვიდა. დედას უთხრა: მუტელი მგერემსო. დედამ უთხრა: იქნება დარეჯანელთა რამ ჩაყლაპეო. — არ ვიცი, დედაო, დიღას ერთი თვალ-კრელი ბუზი ჩაყლაპეო. დედამ უთხრა: ბოძზე შემეხვიე და შემოტყლიტე მუტელშიო. შემოეხვია და ვერ შემოსწედა. შიგ დანით სკრა ამირანმა. თმა და წვეერი გასცივდა. გზაზე მელა ნახეს გაეირტული. წყალში გაებანა, გასცივდა, გაახლებული ბეწვით გამოვიდა. ძმებმა უთხრეს, შენც იბანე, ეგებ გამოგივიდეს წვერიო. თავპირი გაიბანა, გამოუვიდა წვერი.

წავიდნენ ყამართან, უთხრეს, უნდა წაგიყვანოთო.

წამაიყვანეს, ჯარი გამოუდგა. დაიწყო წვიმა. ამირანმა ჰკითხა ყამარსა: რა წვი-
მააო? — ჩემი სამშობლო წყალზე გამოვიდა და იმის ნატურტალიაო. მემრე ნისლი
ჩამოვიდა. ამირანმა ჰკითხა: რის ნისლიაო? ეს ჩემი სამშობლოს ცხენები დაიღალა
და იმის ორთქლიაო. ყამარმა უთხრა:

„ამირან, გოლე გოლესა, მუხლათ გაქებენ მალესა,
გორთან რო მოგეწევიან, ომი იციან მწარესა“.

— „ამო იარე, ყამარო, გზასა ვერ დავლევთ რბოლითა,
არა ვარ მინდერის კურდღელი, რო მინადირონ მწევართა,
არცა ვარ ტყისა კოხობი, რომ დამიკირონ ქორითა,
სულ შენ სამშობლოს გაუეალ ბადრითა და უსიბითა,
საპურ-სახორცე დანათა“.

ჯარი შემოვიდა და დადგა სიმაგრეში.

ბადრი ჩავიდა უწინ და უთხრა: სანამ ჩემი გლმის ქვლრიალი ამოვიდეს, არ მო-
ხვიდეთ; რო დადგება, ჩამოდითო. ჩავიდა, ხოცა, ერთი წილი დახოცა, ორი წილი
დარჩა. მოკლეს. ადგა უსიბ, ჩავიდა, მანამ ჩემი გლმის ელეა მოდის, ნუ ჩამოხვა-
ლო, როცა დადგება, ჩამოდითო. ხოცა, ხოცა, ერთი წილი მოკლა, მესამედი დარჩა.
მოკლეს. ამირანი ჩავიდა, ხოცა, გაუთაეა. ერთი სიმაგრე დარჩა. თავზეცე ცხლის
წისქვილები აქვს. დაჰკრამს ხმალს და ცეცხლი გასცევაეა. ყამარმა დაუძახა:

„დედა პირტოლო ამირან, ომი ვერ იცი კილოსა,
თაესა რასა სცემ სპილოსა, კოქში შამოჰკარ რბილოსა“.

მამამ შემოსძახა:

„უყურე ბოზსა ქალასა, ქმარი ირჩივა მამასა,
რისთვის გაგზარდა დედამა, რისთვის გეტყოდა ნანასა?“
— „არცა გამზარდა დედამა, არცა მეტყოდა ნანასა,
შინ რო აკვანი სდგომოდა, კაბით მეტყოდა ნანასა. —
ახუხუ დარეჯანასა“.

ერთი ლეკვი ჰყვანდა ამირანსა, სამთა ძმაზე მფრინველი არ მიუშვის. ლეკვის
ყუთამ უფალი შეაწუხა. გამოგზავნა მფრინველები ყვავი, ყორანი; ამბავი ვერ მი-
უტანეს. — ცხეარი და ბატყანი ერთმანეთში დაერივნეს და ბლავიანო. მამრე
მტრედი გაგზავნა, იარა სისხლში, ფეხსისხლიანი მივიდა და უთხრა: სამი მკვდარია
და ლეკვი არ უშეებსო. გამოგზავნა ანგელოზები, გააცოცხლეს. (მთქმ. გიგოლა
არჩინაშვილი, 1881 წლის 29 მარტიამობის თვე).

1871 წელს სოფ. ბალთაში (ხევი) ჩაუწერიათ საკმაოდ შერყეული ტექსტი ამი-
რანის ნადირობის შესახებ, რომლის მთქმელი 140 წლის გაიბოტნელი იასე ხულე-
ლისძე არის.

ამ ვარიანტში ცამცუმის ადგილას სამსუნი იხსენება („კვდარი იწვა სამსუნისი“).
ანდერძში ლაპარაკია დედ-მამის დატირებაზეც.

ვინც ჩემს დედას დაიტირებს, ჩემი სახლი ალალ მისთეი[ს];

ვინც ჩემს მამას დაიტირებს, ჩემი ქული ალალ მისთეი[ს] (უმთქ. 5 დ).

60—70 წლებში მთაში ინტენსიურად მიმდინარეობდა თქმულებების შეკრე-
ბა. ასე, საღვურ გულაურში ანათეთელ დაფ. ბურდულს 1871 წელს ჩაუწერია:

„ამირან და ჩრდილო“, რომელსაც მიზნული აქვს სხვადასხვა ეპიზოდებიდან მომდინარე ფრაგმენტები:

„ამირან, ხმალი ჩააგე, კმარა რაც რამა ქნილაო“, ან:

„ცოლეურები დაჯღუპე, ვინ გითხრა ბარაქალაო“.

ამირანის ამ ნაწყვეტს ლირიკული ლექსი ამთავრებს:

დაუკარ, ჩემო ფანდურავ, მალლა მოქრილო რცხლისაო,
მამის ჩემისა ნაქონო, პაპის ჩემისა ხნისაო.

ფანდურო, ცოლი მითხოვე, საყულო ჭრელი ქალიო (უმიკ. 5ე).

სიმონ შადურს 1881 წლის 1-ლ იანვარს იმავე სტეფანწმინდაში მოუპოვებია ვრცელი პოეტური ფრაგმენტი „ლექსი ამირანისა“. გავიციოთ ეს ჩანაწერიც (შემოკლებით):

54. ლექსი ამირანისა

დევთას სასტუმროთ მივედიო, ამირანს პური შიოდა.

მოდი ამირან ნუ ჩავალთ, ბადრი ძმა ეუბნებოდა,

უსიბიე ამას უბნობდა, გუშინის მთაი ხუოდა.

არ დაიშალა, ჩავიდა, თურმე მას პური შიოდა.

ამირანისა იქ შასულა დევთ გულჩი არ ჩასლიოდა,

მაგრამ იმისი შიშითა პირს ღიმი ამოსლიოდა.

ამირანს ლუდი მიართვეს, შიგ გველ-ბაყაუი დიოდა,

ეგრე გაძლა უსმელათა, ყელიჩა ამოსლიოდა.

დევთა დედასა ქადანი კერაჩი უქდა, შხიოდა,

ამოილეს და გატეხეს—კაცის თავეელი დიოდა.

ამიტანს იმის ცოდვითა თოლს ცრემლი გადმოსლიოდა.....

ბადრი, უსიბ და ამირან თბოლნი დავიზარდენით,

ვინც კაბგი გვიყო, გოხსონდა, მუშაჩი ჩავეტანენით,

ვინც ავი გვიყო, გოხსონდა, შინდაშინ შევეტანენით!

სამნი ჩვენი და ცხანნი დევნი ბალხეთჩი შავიყარენით,

სათავეს მოვხვდით ბალხეთსა, ბოლოსა გავიყარენით.

ვერცა რა იმით დაგვაკლეს, სწორ და სწორ გავიყარენით.

ამირანის თქმულებების შეკრებაში მთელი საქართველო იღებდა მონაწილეობას. ამ მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი მეთაური ილია ქავეკვაძე იყო. ილია ზეპირ პოეტურ ნაწარმოებებს ხშირად ჰკრებდა და აქვეყნებდა კიდევაც. პ. უმიკა-შვილის არქივში დაცულია ილიას ავტოგრაფი 1871 წელს ჩაწერილი „გლეხური სიმღერებისა“. პირველ ნომრად აქ სწორედ ამირანის ნაიდობის ეპიზოდია წაბ-მოდგენილი. აი ისიც:

55. სანადიროლ გამოკველით

სანადიროლ გამოკველით ამირან და ძმანი მისნი,
ცხანნი მთანი გაღვიაბეთ და მეათე აღგეთსინი;

მინდორს ენახეთ ერთი კოშკი ტურფად ანაგები ისი,
სამი ღლე-ღამე ვუარეთ, ვერ ვიპოვეთ კარი მისი.
საცა მზე მიადგებოდა, იქ ყოფილა კარი ისი,
ამირან[შ]ა წიხლი ჰყრა იქ და გაეღო კარი მისი;
შიგა ნახა ერთი მკედარი საწყალი და საბრალისი.
თავით ება ერთი რაში, ქერსა ჰსკამდა, ბზესაც ისი,
გვერდით ეღო ერთი ხმალი იამან და ბასრი მისი,
ფეხითთ ერთი შუბი ერქო, ცასა ხერეტლა წვერაი მისი,
თითებ შუა წიგნი ეღო, დაწერილი, ქალაღდისი:
„სანამ ვიყავ, მტერი ვმუსრე, არ შეეკამე ჯავრი მისი,
ერთი დამრჩა ბაყბაყ დევი, ვაი ჩამყვა ჯავრი მისი,
ვინც რომ იმასაც მამიკლავს, ჩემი ხმალი ალალ მისი“.

მთას ვარიანტების სიუხვით არც ბარი ჩამორჩება. 1869 წელს სოფ. ვაჩნაძი-
ანში (კახეთი) ა. ჯანდიერს მიუქვლევია ლექსისთვის, რომელშიც ჩრდილოვე-
ლის ადგილას „შულაველი“ იხსენიება: „ამირან და შულაველი ორნივე ისხდნენ წყლი-
სა პირსა“. იქვე ძმების ფიცისდებაზეც არის მითითება: „თუ ერთმანეთს უღალა-
ტოთ, ფიცი დაწვეროთ ქვაზედა“ (უმიკ. 5იბ). ლექსი ატქაულობით ხასიათდება.

5იბ. ამირან[ი]

ამირან და შულაველი ორნივე ისხდნენ წყლისა პირსა,
ამირანი ხმალსა ლესავს, შულაველი უწყობს პირსა!..
— ამირან დედაბრიშვილო, კილო არ იცი ომისა,
მაღლა რათ სცემ სპილოსა, დაბლა დაუშვი ბილოსა.
ჩარდახს მიაქერ ბოძები, მიწაზე გაიფინოსა!
— რისთვინ გაგზარდა დედამა, რისთვინ გეტყოდა ნანასა.
უყურე მასსა ქალასა, მრუშსა და თარაქამასა.
კიდე უყურე ამასსა, კურო ირჩივა მამასა!
— არცა გამზარდა დედამა, არცა მეტყოდა ნანასა...
— მიშველე, ძმაო ამირან, ომი მოსულა კარზედა,
ასი-ორასი გავწყვიტე, სისხლი შაიკრა ტბაზედა.
ჯან-ლონე დაქანცული ვარ, თავი გადავდე ჩვენზედა,
თუ ერთმანეთს უღალატოთ, თვალი დაწვეროთ ქვაზედა.

სოფელ კალაურიდან 1862 წელს თბილისში ვრცელი პოეტური ვარიანტი გამო-
უგზავნიათ „ა მ ი რ ა ნ ი ს ლ ე ქ ს ი ს“ სახელწოდებით. ჩამწერი აბა ჩანს.

5იგ. ამირანის ლექსი

ადგა ამირან წაეიდა, ამირან და ძმანი მისნი,
ცხრა მთანი გადაიარეს, მეთათა აღმოთისნი.
იქ ნახეს ერთი ირემი, ცასა სწედება რქანი მისნი.
ამიტანმა ბოძალი ჰყტა, აბ გაეარდა ცეარი სისხლი.

შვიდი დღე-ღამე იარა, ვერ იპოვნა კვალი მისი.
მინდორზე ერთი ციხე დგა აგებული მეტად ვისი.
ამირანმა გარს უარა, ვერ იპოვნა კარი მისი.
ამირანმა წიხლი დაქრა, იქ შაბაბა კარი მისი.

შიგ ერთი მკვდარი სენია, საწყალი და საბრალოსი.
თითებ შუა წიგნი უძვე დაწერილი ქალაღლისი.
ვაპოილო, წაიკთხა, შიგ ეწერა გვარი მისი:

„არც ისე დაკარგული ვარ, ძმისწული ვარ უსუბისი,
ერთი ბაეზაუ მღვეი დამჩა, ვი ჩამყუა ჭავრი მისი,
ვინცა ბაეზაუ მღვეს მამიკლავს, ჩემი ლახტი ალალ მისი,
ვინც ჩემს ცოლ-შვილს შეინახავს, ჩემი რაში ალალ მისი“.

აღმა ამირან, წავიდა, მოუქვლია კვალი მისი.
მღვეი ჩუმ-ჩუმათ მოდის — დედამიწა შაიძერისა;
ამირანმა შეუძახა: „მღვეო, შენ სად მიბრძანდები?“
ამ დემა ეს გაუპასუხა:

„უსუბის ძმის წული მოკედა, შასაქმელად მიხდა ისი“.

ამირან, მღვეი შაიბნენ, დილა მზე ამამაყალსა.

ამირანმა მღვეი დასცა, ბეჭი მოსტეხა ფრთიანი.

— „აეა, ამირან, ნუ მამკლამ, მკლავი გქონია ხმლიანი,
წყალს გაღმა ქალსა გასწავლი, სახელათ ჰქვიან თამარი“.....

აღმა ამირან, წავიდა, ამირან ორი ძმისანი,
მივიდა, კარი შაალო, გულმა დაუწყო ფრიალი.

გვერდით ოქროს თასი უდგა, იმან დაიწყო ტრიალი.

იმის მამამ შორს შეიტყო, ჭარი მოჰყარა ძრიალი.

— ამირან, გოლე, გოლე, მუხლათ გაქებენ, ღონეო.
გასწი, თორემ დაგვეწვეა, ჩხუბი იციან მწარეო.

— არა ვარ ქალის ხოხობი, რომ მინადირონ ქორითა,
არა ვარ მინდერის კურდღელი, რომ მინადირონ მწვერითა.

მოვა და მეც აქ დავხვდები [ამ] ჩემი ორის ძმებითა!
ამირან ციხე შაიღინენ, ამირან და ძმანი მისნი,

გარს ჭარი შემოეხვივა, დილია და უმრავლესი.....

სიშამრი მათარახსა სცემდა, ცეცხლსა გაქქონდა მცრიანი,
ამირანი ხმალსა სცემდა, ცეცხლსა გაქქონდა ყრიალი.....

მალა ნუ დაქარამ სპილოსა, დაბლა შამოქარ რბილოსა,
ჩარდახს შიპერ ბოძები, მაშინვე შიწვიოსსა!

მამამ ეს გაუპასუხა:

დახედე ქალსა თამარსა, ქმარი ირჩივა მამასა!
დაიწოს შენი აკვანი, რისთვის გაგზარდა დედამა,
რისთვის გეტყოდა ნანასა?!

— არცა გამზარდა დედამა, არცა მეტყოდა ნანასა,
გარეთ ღადგამდით აკვანსა, შიგნით მეტყოდით ნანასა.
ხელში მეჭირა მათარა, ღამე სუ წყალზე მატარა.

მე-19 საუკუნის ყველა გამოჩენილი მწერალი ხალხით ჰკრებდა ეროვნულ ფოლკლორს. ასე, მაგალითად, თბილისის მახლობლად სოფ. კოდაში, 1887 წელს, სატიოველი სოფიო პაპიაშვილის თქმით ეკატერინე გაბაშვილს ჩაუწერია რამდენიმე ლექსი, მათ შორის „ამირან, დედა პირ-ცოლო“. გავიყნოთ ეკ. გაბაშვილის ჩანაწერი:

ნიღ. ამირან, დედა პირ-ცოლო

„ამირან, დედა პირ-ცოლო, ომი არ იცი კილოსა,
მალა რასა სცემ სპილოსა, ძირსა შემოჰკარა რბილოსა,
დააყრევიენ სვეტები, დაწვეს და დაიძინოსა!



„ამირანო მშვენიერო, ღვინის ფერო, მძინარეო,
ხმლის სოჟკლე რას დაგიშლის, ფეხი წადგი წინარეო“.

— „აუა, კამარო, ნუ ჩქარობ,
გზასა ვერ გალევ ბრძოლითა,
არცა ვარ ძეძვის კურდღელი, რომ მინადირონ ქორითა;
არცა ვარ ტყისა ფურკელი, რომ მიგდონ ფეხის ქარითა;
მოვლენ და აქ დაუხედები უსუბითა და ბადრითა,
ამ ჩემი მოკლე ხმალითა...“

ამირანის ლექსებს ხშირად პროზა ახლავს თან. ამგვარი შერეული ფორმის ვარიანტების მოპოვება ადრე დაიწყო. 1878 წლის 19 თებერვალს ვ. ჩაქანაშვილს ქართლში ჩაუწერია ერთი ასეთი ლექსნარევი ვარიანტი (უმიკ. 5იე).

არაგველ კობიაშვილს, ალბათ არაგვისავე ხეობაში, შეხვედრია ერთი თავისებური ვარიანტი, სადაც კახეთზეა საუბარი. ჩანაწერი იწყება სიტყვებით: „ამირან და ყმანი მისი“.

ნივ. ამირანნი

ამირან და ყმანი მისი სანადიროთ წასულაყონ,
წინ ხარი შემოეყარა, რქანი ჰქონდა ოქროს მისი,
დაუჩოქა და ესროლა, არ გავარდა მცვარე სისხლი.
დღე მდივე და ღამე ვდექი, არ დაეკარგე კვალი მისი.
ამატარა-ჩამატარა, კახეთ მინდორს გამოეყანა,
კახეთ მინდორს ქვეყანასა.
კახეთს მინდორს კოშკი იდგა, კოშკი იდგა აგურისა,
აგურისა აგებული ...

პ. უმიკაშვილის კოლექციაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დასაქლეთ საქართველოში შეკრებილ ფოლკლორულ ნაწარმოებებს. მათ შორის რამდენიმე ამირანსავე შეეხება. 1888 წ. პეტრე მირიანაშვილს ჩაუწერია რაქული სიმღერები.

გვ. 21. ბადრი დაუდეს მარხილსა: კონტამინაციის შედეგია, ფშაურ და სვანურ ვარიანტებში ეს ფუნქცია უკავშირდება ამბრის ან ანდრეგობს („მოქაქვეული ამირანი“, 1947).

გვ. 24. „ამირანის“ დამბოლოვებელი ლექსიც ვარიანტებადაა გვერცელებული. დამადასტურებლად გამოდგება ალ. გოძიაშვილის კარნახით ფიქსირებული ნიმუში. მას შემდეგი სახე აქვს:

გვ. ამირანი

ბადრი ჩაქონდა დედასა, ცხრა პირათ ებნენ ხარებ[ი].
ბადრის ფეხი გადმოვარდა, მიწამ გაალო კარები.
ადექ, ამირან, ასწივე, თუ ჭანში შეეღარები.
ამირანმა რომ ასწივა, თქო: სუ დამემტერა ძვალევი.
ბადრისა მზემა, ამირან, ბადრის ვერ დეედარები,
ცალი ფეხი ვერ დაუძარ, ომში რას შეეღარები,
დედაშვილობა არ მეთქო, მეც მალე გინადირებდი!

სანიკო ფიტებლაურს გრემისხევეში იმავე ალექსი გოძიაშვილისგან 1882 წლის 19 თებერვალს მოზრდილი პოემა ჩაუწერია. ტრადიციულ სტროფებთან ერთად მასში გოძიაშვილისეული ტაქებიც იგრძნობა. როგორც ჩანს, გასული საუკუნის 90-იან წლებში გლეხურ წრეებში კიდევ მიმდინარეობდა მუშაობა ამირანის თქმულების სრულ პოემად ქცევის მიზნით. მართალია, ცდა უშედეგოდ დამთავრდა, მაგრამ თავისთავად ფაქტია საყურადღებო. დასასრულ გავიცნოთ ალექსი გოძიაშვილის ეს ვარიანტიც:

ლექსი ამირანისა

სანადიროთ წამოვიდნენ ამირან და ძმანი მისი,
მთას ირემი გადმოუხდა, მცასა წ[ე]დება რქანი მისნი.
ამირანმა ბოძ-შვილი [ჰკრა], წი[თ]ლად დაქდა მხარი მისი.
ცხრა დღე და ღამე მიზღივეს, ვერ შესულა მკეალი მისი;
ცხრა მთა გადინადირეს, შეათე[ნი] ალგეთისნი.
ალგეთის კოშკი იპოვეს, ნაგებ იყო [ქ]ეტიკირისი.
ამირანმა ფეხი დაკრა, იქ შეიღო კარი მისი.
შიგ ესვენა ერთი მკვდარი, საწყალი და საბრაღისი.
ფეხითთ ება თავის რაში, თივა-ბზესა ხრამდა ისი.
შუბიც თავითა ვყულდა, მცასა ხერეტდა წვერი მისი.
გვერ[დ]ზე ედო ხმალი მისი, პირი ედო მისრამისი,
თითებ შუა [წიგნი] ედო დაწერილ[ი] ქალადლისი.
ამირანმა წაიკთხა, შიგ ეწერა გეგარი მისი:
არ აგრე დაკარგული [ვარ], დისწული ვარ უსიბის[ი].
სანამ ვიყავ, მტერი ვსრიმე, ჭავრი აღარ ჩამყვა მისი,
ერთი დევი ბაბუი მომრჩა, მოვეც[ვი]დი, ჭავრი წამყვა მისი.
ვინც დეე ბაბუაყს არ შემაქმევეს — ჩემი რაში ალალ მისი;
ვინც საფლავის კარს მიმიტანს — ჩემი შუბი ალალ მისი.
უსიბმა თქვა: ჩვენ წაეიღოთ. ჩვენი არი, არა [სხ]ეისი.
ამირანმა თქვა: წავიღეთ, კარი გამოხუროთ ისიე.

წავიდეთ... დაგვაყუევდრებენ, მკვ[?]დარი გაგიტენიათ სხვისი. ამირან და ჩრდილოელი ორნიც ისხდნენ წყლის პირსა; ამირანი ხმალსა ლესამს, ჩრდილოელი უწყობს პირსა. დევი მძიმით მიაბიჭებს, კბილებიდან ცეცხლსა ყრისა. ამირანმა შეუტია: დეეო, საღ მიხეაღ, ტიალო!

— უსიბის დიწული მოკვ[?]და, მის შემაპულად მიეალო.

— ადამიანს ვინ შეგაკმეეს, შენთან საომრათ მოეალო, შეიბნენ დეე და ამირ-[?], მინდორ გაკონდა გრიალი, დევი დაეა ამირანმა... და[?]წყეებინ[?] [?]რი[?]ალი.

ბადრი და უსიბ გაიქცნენ[?] და გადაუდგნენ მთასაო. ამირანმა წიგნი სწერა, მ[?]რეთსა მოაბა მხართაო: გაბრუნ[?]ლი და მიეწეე ბადრ-უსიბს, ჩემთა ძმათაო: მოკვ[?]ლ[?] კბილცეცხლი ბაყბაყი, ნუ გადაიკარკამთ თავსაო... შემდეგ ესტუმრენ დეეებსა, მიადგნენ სამნიც კარსაო... კაი საქმელი მოგვსლიან, ღიმი მოსდიოდათ პირსა.

— დევის რძალო, რას იტინი, უნებურათ გეჩენე კბილსა! თუ შემოეულ, აგტირებე კმარსა, მაზლსა, ყმაწვილ წვ[?]კრილსა. შეიპატოეეს და დასხეს სამნიც ძმანი დარბა[?]ს დიდსა. რომ შეესმა აკვანშია ყმაწვილს უგუნურს და წვილსა — ბადრი-უსიბი მოსულან, ამირანი თან ყამთ გმირთა, — ამის წინათ მამა შეილსა ნანას უამბებდა ტბილსა: ნუ სტირიო, პირდებოდა: ამირანს მოგაკეღეეინებ! ბადრისა წითელ წვივ-ფეხსა სადილათ გაგაჩრეეინებ, უსიბის ქამარს-ხანჭალსა წელზე შემოგარტყეეინებ... მამე, ეხლა ამისრულე, რომ მპირდებოდი შენაეა... „ნურკ გაიზრდები, ყმაწვილო, ნურკ ამაიღვამ ენასა! თუ რომ დიდი გაიზრდები, შენ და[?]ნელებ ყეელსა“.

დიდი-პატარა დახოცა, მორევე დაღვა კერასა. ერთი დევის რძალი მორჩა ამირანისა ცქერასა:

— „ნუ მამკლამ, გმირო ამირან, მკლავი გაფიციო ხმლიანის ზღვას გაღმა ქალსა გასწაგლო, ამომავალი მზე არი; თუ გინდა ნიშნათ გასწაგლო, სახელად კამარი არი“... კამარი ნებით არ მისცეს, გა[?]ოყუენა ძალით[?]. წამაიყუენა კამარი, ტან[?]თ მზეა, პირათ მთუარე... კამარმა თქვა: „ამირანო, ვაი თუ ჩამაცონ შევი მამაჩემსა რისხეულსა, ნეფეა, და ახლამს ჭარი; ეა თუ უკან მოგეწივნენ, მე მომიკლან შენი თავი; თითქოს აგრე მოაბნელებს მამაჩემის ქაჩის ჭარი. ამირან, გოლე. გოლეო, მუხლად გაქებენ მალეო, გასწი და მოგეწეეიან, ომი იციან მწარეო“.

— „ამოთ იარე, კამარო, გზას ვერ [მოკლეთ] რბოლითაჲ; არა ვარ ხახვის ფოთოლი, წამიღონ ქარის ქროლითა; არცა ვარ კრუხის წიწილა, მომინადირონ ქორითა;

იმ მამიშენის ლაშქარსა მარტო გაუეღო ომი.

ქაჩეთის ჭარბ მოვიდა, გარს შემოერტყა მთასაო,
საოპრათ დამუქრებულნი მოუხდენ ამირანსაო.

უსიბს უთხრა: ჭერ შენ ჩადი, შემოუარე ჭარსაო.

ეცადე, რაც კი შეგეძლოს, ძალა თუ მიგდემს მკლავსაო.

შეჭდა რაშსა და ჩავიდა, რახტი გადიგდო მკლავსაო.

დაუგვიანდა უსიბსა, ამირან კადრა ბადრსაო:

ადექი, რას დაძაბულხარ, ლეინო ვისომს, განა ბანგი!

ლეინო როგორ მოგერევა, ვაეკაცი ხარ, განა ბალღი.

ან ჩადი, ბადრო, ან ჩაეალ, ან შემეიკაზმე შენ ცხენი,

აღარსად მესმის უსიბის იარაღისა ნა[ელერი].

ისევე ჩავიდა ამირან ლომი და ძალი ხმლიანი,

მუნ დასცა ქაჩეთის ჭარი, დადგა არევა-ღრიალი.

ხართი[ლა] სიმამრი მორჩა, სიკვდილს დაუხდა ხმლიანი.

ბაშს თუ სცემენ — ცეცხლებსა ყრის, სპილო ხომ მაგარი არი!

კამარი კოშკით იტქერის, მაღალ გამოვა ს[ა]ფარით.

„ამირან, დედაბრის შვილო, კილო ვერ იცი ომისა,

მალღა რათა სცემ სპილოსა, რა ფერი შე[ე]შლებიან!

ძირსა შამოკარ რბილოსა... დაწვეს და დაიძინოსა“.

კამარის მამამ უპასუხა:

„მე გხედამ ბოხსა ქალასა ქმარი ირჩივე მამასა.

რისთვის გაგზარდა დედამა, რისთვის გეტყოდა ნანასა!

მართალია, ვისაც უთქომს; ზოგი არ ხედამს ამავსა“.

— „არცა გამზარდა დედამა, არცა მეტყოდა ნანასა“...

გვ. 25. საუბარია მამა-შვილის საბრძოლო პირობაზე, რომლის შესაბამისი აღ-
გილი „როსტომიანშიც“ იპოვება.

გვ. 25. ეს ორტაეპიანი ლექსი ფართოდაა გაერცელებული სუფრულის სახით
საქართველოს ყველა კუთხეში. არსებობს მისი სანოტო ჩანაწერი (გრ. ჩხიკვაძე,
ქართული ხალხური სიმღერა, 1, გვ. 151-52). ამ სიმღერას სოციალური პრო-
ტესტის ამსახველი თქმულებებიც უკავშირდება (გ. სვანიძე, ქართული ხალხური
სიმღერები და მათთან დაკავშირებული თქმულებანი, 1957, გვ. 121-25).

გვ. 29. დიდი მრგვალი ქვა, რომელსაც თავსახურავად ან საფქველად ხმარო-
ბენ. ქაჭ-ბატონსაც ამირანთან ბრძოლის დროს თავზე გელაზი ეფარა.

გვ. 30. ეს ლექსი შოთა რუსთაველის პოემის ანარეკლს წარმოადგენს. „ვეფხისტ-
ყაოსანში“ მოიპოვება პირდაპირი შესატყვისი უცხო მოყმის ნახვის სახით (სტრ. 84).

გვ. 31. მომდინარეობს „ვეფხისტყაოსნიდან“ (შდრ. ტარიელის მიერ სასიძოს
მოკვლა, სტრ. 558).

გვ. 32. ტარიელის აკაზმულობის განმეორებაა (სტრ. 84). „ვეფხისტყაოსნი-
ს“ ლექსები ხშირად გვხვდება ტარიელიანის როგორც ამ ვარიანტში, ისე სხვა ჩანა-
წერებში.

გვ. 33. „აუთანდილ გაღინადირა“ საფერხისო ბალადაა, იგი მრავალჯერ ყოფი-
ლა დაბეჭდილი როგორც ცალკე, ისე ხალხურ „ვეფხისტყაოსანში“. არსებობს
სანოტო ჩანაწერიც (ქართული ხალხური სიმღერა, 1, გვ. 342).

გვ. 33. „ხელი გამიკრა ჯამბარას“, არ გულისხმობს მარტო „კამბეჩს“, როგორც ეს განმარტებული იყო წინა გამოცემაში. ჯამბარა ერქენის დასაკრავია. აქ ზოგადად გუთნული იგულისხმება. ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ სხვა ვარიანტებში მართლაც ასეთა:

ერთმა პირქვეშა მოყვება ცხენ-ხეთქით ჩამოიარა;
გუთნეულს ხელი გაგვიკრა, ზღვას ვაღმა გავგისრიალა.

(მ. ჩიქოვანი, ხალხური „ვეფხისტყაოსანი“, 1937, გვ. 204).

გვ. 36. გლეხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის უკუდავი გმირი სხვადასხვა გვარით იხსენიება ლექსებში (ოძელაშვილი, ორძელაშვილი, ორდელაშვილი, ბოძალიშვილი, ურჯელაშვილი, მარაბდელი). ნამდვილი გვარი ოძელაშვილია. დაიბადა მე-18 საუკუნის მიწურულს, 1800 წლის მახლობლად.

გვ. 38. წერილობითი ცნობებით ჩანს, ოძელაშვილები ბარათაშვილების ყმები იყვნენ და სოფ. მარაბდში ცხოვრობდნენ. იქვე დაიბადა არსენაც (აქედან მიიღო მიხეილ ჭავჭავაძის რომანმა სახელწოდება: „არსენა მარაბდელი“).

გვ. 36. ბატონყმობის დროს დამკვიდრებული წესის თანახმად ყმა გლეხს უფლება არ ჰქონდა ბატონის ნებართვის გარეშე ცოლი ეთხოვა, ანდა გათხოვილიყო. ამას წინ ეღობებოდა „პირველი ღამის უფლება“ და გამოსასყიდი (შდრ. ალ. ყაზბეგის პიესა „არსენა“; თხზ. III, 1949). პრუსიის მეფის მრჩეველი ა. ჰაქსტაუზენი (1792—1866), რომელიც თბილისში იმყოფებოდა 1843 წელს, არსენას სასიყვარულო თავგადასავლის გამო წერს: „Он влюбился в дочь крепостного человека князьи Баратова, который требовал, чтоб Арсен внес за девушку деньги. Арсен целый год работал с большим усердием и наконец собрал требуемую сумму“ (А. Гакстгаузен, Закавказский край, стр. 85). გამოსასყიდი საკმარისი არ აღმოჩნდა. არსენა იძულებული გახდა ქალი გაეტაცა. ეს იმას ნიშნავს, რომ არსენას ტყეში გასვლას ღრმა ფესვები ჰქონდა მაშინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. არსენას „გაყაჩაღების“ მიზეზი ბატონყმობა და გლეხების განთავისუფლებისათვის შეუწელებელი ბრძოლა იყო.

გვ. 37. აღმასის წყალი ანუ წყარო მცხეთის მახლობლადაა არმაზის ვაზზე. სოფრ. მგალობლიშვილი წერს: „აღმასის წყალთან... ვაზში ცხონებულს მამამენს ეუბამე არსენაზე; აი, სწორედ ემ წყაროს პირზე ვაზზე, ჰაი დედასა! აი ყაჩაღი იმისთანა უნდა: თავის დღეში კაცის სისხლი არ დაუღერია“ (ს. მგალობლიშვილი, რჩ. მოთხრობები, 1951 წ., გვ. 223).

გვ. 39. არსენა ოძელაშვილს სიღნაღის მახლობლად სოფელ ბოდბისხევეში ნათლული ჰყავდა. ნათლია ფარსადან ბოდბისხეველის სახელითაა ცნობილი, გვარად ნაცელიშვილი. მეფის მთაერობამ „ყაჩაღის“ შეპყრობის მიზნით სწორედ ეს სულმოკლე ფარსადანი გამოიყენა.

ლექსში ასახული ეპიზოდი სინამდვილეს შეეფერება. აღმოჩენილია თბილისის გუბერნატორის 1837 წლის განკარგულება იმ 13 კაცის ფულადი დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც მთვრალი არსენა შეიპყრეს. გვეცნოთ ამ საყურადღებო დოკუმენტი: „Предписываю вашему В-у выписав в расход из пересылочной суммы моего ведения под расписку в книге переводчика моего 14-го класса

Абелова девяносто рублей серебром, для выдачи жителям Сигнахского уезда селения Бодбисхеви тринадцати человекам, в награду за поимку ими марабдинского жителя Арсена Одзелашвили, находящегося в побегах“ (საქ. ცენტრარქივი ფ. 16, საქმე № 5410, 1837 წ.; გრ. კავიაშვილი, „არსენა ქართულ ლიტერატურაში“, 1955, გვ. 20). როგორც ჩანს, ხალხურმა პოეზიამ დიდი სიზუსტით შემოინახა 1837 წლის აგვისტოს ბოდბისხევში არსენას ღალატით შეპყრობის ფაქტი.

გვ. 48. არსენა ოძელაშვილის სიკვდილის თაობაზე სხვადასხვა ცნობა არსებობს ოფიციალური თუ ზეპირსიტყვიერი. დალუპის წელი ზუსტად დადგენილი არაა, მაგრამ აშკარა არის, რომ გმირი არსენა 1842 წელს აგვისტოში კიდევ ცოცხალი იყო. 1843 წლის მონასმენის მიხედვით პაქსტაუზენი წერს: არსენა ოძელაშვილი მოკლა იმერელი აზნაურის მსახურმა ზურგიდან დამოზნებთ, როცა მარაბდელმა გმირმა მის ბატონს რამდენიმე ქრილობა მიაყენაო (Закавказский край, ст. 88.). ლექსი მკვლელად გიორგი ეუქატენელს აღიარებს. ვიღაც გიორგი მკვლელად გაზეთ „კავკაზშიც“ არის დასახელებული 1850 წელს, მაგრამ იგი იმერელი აზნაურის მსახური კი არაა, არამედ პორუჩიკი გიორგი ივანოვი. ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია, რომ არსენას აზნაურ ეუქატენელთან მართლაც მოუხდა შეტაკება, მაგრამ ამ ბრძოლაში არ დაღუპულა. „ყაჩაღი“ არსენა ოძელაშვილი მოკლა რეხეთის სადარაჟოსთან პორუჩიკმა გიორგი ივანოვმა, მოხალისეთა რაზმის უფროსმა, როგორც ამას გაზეთი „კავკაზში“ აცხადებდა 1850 წელს. გაზეთის, უნდა ვიფიქროთ შემოწმებულ ცნობაში, ნათქვამია: „Поручик Георгий Иванов, начальник сотни волонтеров, замечателен еще тем, что недавно убил известного Арсена, грабившего проезжих по военно-грузинской дороге“ (Кавказ, № 60, 1850 г.). არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ მშრომელთა წრიდან გამოსულმა მესტიერემ ორი სხვადასხვა საბრძოლო ეპიზოდი გააერთიანა და გმირის სიკვდილი აზნაურის მსახურს მიაწერა. აქ მხედველობაში ისიცაა მისაღები, რომ ცარიზმის სატრაპები არსენას მძარცველ ყაჩაღად თელიდნენ (ამ ვერსიას ხალხი მხარს არ უჭერდა) და გლეხობის საყვარელი პირის ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლის მოკლულად გამოცხადება ლექსის საჯარო შესრულებას ხელს შეუშლიდა. აი იმავე „კავკაზის“ კორესპონდენტი უჩვეულო მოვლენად მიიჩნევს იმას, რომ ამას წინათ მოკლული არსენას საქმბარი ლექსები ტრადიციულ დღესასწაულზე შეასრულა მესტიერიე კებადემ (Кавказ, 16. II. 1846 წ.).

გვ. 48. პ. უმიკაშვილის კრებულის მე-15 ნომრად არსენას ლექსია წარმოდგენილი. აქ დაბეჭდილი ტექსტი ყველა სხვა ვარიანტზე უფრო გაერკვლებულია. ამის მიზეზი ის არის, რომ ხშირად ისტამბებოდა იაფფასიანი გამოცემის სახით და სწრაფად ვრცელდებოდა. თეთონ ტექსტი შერწყმულ-შედგენილია პ. უმიკაშვილის მიერ სხვადასხვა ჩანაწერის კვლობაზე. არქივში არ შემორჩა ცალი, რომლის მიხედვითაც მომზადდა 1875 წლის გამოცემა და ამ კრებულში შესატანად აირჩია პროფ. ფ. გოგიჩაიშვილმა. პეტრეს კოლექციაში ბევრი ჩანაწერია: მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბეჭდურ გამოცემაშდელ ჩანაწერებს, რადგან მათში მწიგნობრობის კვალი არ შეიმჩნევა.

რაკი ქერჩერობით „არსენას ლექსის“ აკადემიური გამოცემა არ მოგვეპოვება,

საქირთა მისი ახლო ხანში განხორციელება. ქვემოთ ვიძლეეთ ყველა ხელნაწერის მოკლე აღწერილობას, რომელიც პ. უმიკაშვილს არქივში აღმოჩნდა. პირველსავე ხელნაწერს გამომცემლის შენიშვნა უზის: „სულ 17 სხვადასხვა ვარიანტი იაო“. ეს ცნობა სრული არაა, სინამდვილეში გაცილებით მეტი მასალა დატული.

1. „ი ტ ყ ო დ ა შ ა ი რ ს მ ე ს ტ ვ ი რ ე, ღმერთი მაღალი ახსენა“, უპასპორტო. არქაული. მთავრდება მესტიერე მელექსისათვის დამახასიათებელი სიტყვებით:

„ამ შაირის გამგონესა მაღლი გწყალობდეს ყველასა,
მანამდის მშვიდობით იყოთ, ვინემდის ის მოვიდესა.

ამ შაირის გამომთქმელსა ტანზე ჩოხა ჩამაცევსა,
ის ხუთი თუმანი ფული შიგ ჭიბუში ჩამიწყვესა“ (უმიკ. 15₁).

2. „ქებას იტყოდა მესტიერე“, 1874 წ. ჩაწერილი. უპასპორტო. დასასრული:

„მანამ უფალმა გატოცხლოს, სანამ ის არ მოვიდესა,
მართალია თუ ტყუილი, კორი ესე დააგდესა“ (უმიკ. 15₂).

3. „ოდელაშვილი არსენა ღმერთმა კურთხევით ახსენა“. უპასპორტო. დასასრული:

არსენა იქვე დამარხეს, ზედ დიდი ქვა დაადესა:

„აქაც კი ბიკი იყავ, იქ ნათელი დაგადგესა“ (უმიკ. 15₃).

4. არსენა. „ეს მარაბდელი არსენა ღმერთმა კურთხევით ახსენა“. ჩამწერი 0. ჯანდიერი, 1869 წ. დასასრული:

„ის ქულაჯა წამოიხსა, ბეჭები დაიშვეენა;

ცხენი გრილოში და[ა]ბა. თავათ იქაც მოიხენა“ (უმიკ. 15₄).

5. ლექსი არსენასი. „ურჩელაშვილი არსენა დაგადგა სასუფეველი“. ჩამწერი მოწაფე იოსებ ბოქორიშვილი. დასასრული:

„ფიტხლათე დროშა მოგეარეს, არსენა შიგ ჩაბრძანდესა;

მოგეგმია ლეთის წყალობა, არსენას გაუხარდესა“ (უმიკ. 15₅).

6. ლექსი არსენასი. „რომ დაიბადა არსენა, პირველად ღმერთი ახსენა“. ჩამწერი მოწაფე მიტრ. ფხაკაძე, ქუთაისის მაზრა, ს. ფარცხანაყანები. დასასრული:

„ან მო[ვ]კედლები ოთხშაბათსა, ან მოვედები ხუთშაბათსა;

თუ პარასკევს არ მოვედები, ჩემით გამოვიტრი ყელსა“ (უმიკ. 15₆).

7. არსენა. „რომ დაიბადა არსენა, პირველად ღმერთი ახსენა“. მეორე ფრაგმენტური ჩანაწერი იმავე მ. ფხაკაძისა. დასასრული:

„რომ იმითი არ გაყიდო, ვი ურიების დღესა“ (უმიკ. 15₇).

8. არსენა. „არსენა ბოძალაშვილი ბიკია, მაგრამ დელია“. ჩამწერი ანტონ გოლეთიანი, ლეჩხუმის მაზრა, სოფ. ნაკურალეში. მოკლე ლექსია, მთავრდება ბორკილების დამსხვრევით:

„გაიყვანეს კედლი კარზე, მიიყვანეს იმ საქმის მქნელია;

აგრე გახადა ბორკილი, როგორც ჩალა და მტვერია“ (უმიკ. 15₈).

9. ლექსი არსენასი. „არსენა ბოძალაშვილი ბიკია, მაგრამ დელია“. უთარილო. აქვს მინაწერი: „ეს ლექსი მე გამიგონია სოფელს სალხინოს და არ მახსოვს ვიგან“, ჩამწერი თეოფ. ნადირაძე. დასასრული:

„ბოჩილი ასთე გახადა, როგორც ტუტა და მტვერია;
გოურა მართებელსა და წაავლიჯა წვერია“ (უმოც. 15₉).

10. არსენას ლექსები. „სადა მღვდელი დაინახა“. ფრაგმენტი. ჩამწერი მიხა ჩქარაული, 1888 წ. ს. ხუროთისი (თერგისხევი). დასასრული:

„სადა ქალი დაინახა, სულ ზედ შამქრია სული“ (უმოც. 15₁₀).

11. „შირსიტყუათა მესტიერე“. უპასპორტო. 1872 წ. დასასრული:

„მარმარილოთ ქვა დასწერეს, დასწერეს და დაადევსა.

მანამ უფალმა გაიცხლოთ, მინამ ის არ მოვიდესა“ (უმოც. 15₁₁).

12. „არსენა რომ დაიბადა, ბიჭი არ სჯობდა მარაბდელი“. მოქმელი გარბანელი მოხევე, 1870 წ., ს. ლარსი. ფრაგმენტი. დასასრული:

„ნათლიმამას, ნათლიდელას ორსავ კახეთს გაიჩენსა“ (უმოც. 15₁₂).

13. არსენას ლექსი. „ეს მარაბდელი არსენა რა კარგი ეაქაეთა“. სოფ. თოხლი-აური. უთარილო. დასასრული:

„პატარა ფული მიბოძე ახალუხის შესაფერი“ (უმოც. 15₁₃).

14. არსენას ლექსი. „ეს მარაბდელი არსენა რა კარგი ეაქაეთა“. 1871 წ. ჩამწ. ლ. ჩერკეზიშვილი. თოხლიაური. ამის ასლი უნდა იყოს № 13. დასასრული:

„ლორის ხორცს ჩაგჩრი პირში, თავზე ჩამოგასხამ წვენსა“ (უმოც. 15₁₄).

15. არსენას ლექსი. „არსენას ქებას მოყვეები, ყველამ დამიგდეთ მე ყური“. იმავე შემკრების ჩანაწერი, სოფ. ჩაილური, კახეთი. დასასრული:

„ჩემს არსენას ვინ მოკლაედა, მარტო უყვარს სიარული,

წადი და იქვე დამარხე, საცა დაანქრია სული“ (უმოც. 15₁₅).

16. „შენ მარაბდელი არსენავ, ბიჭო, ღმერთმა მოქცეს განათლება“. ე. ჩერკეზიშვილი, სოფ. ჩაილური, 1871 წ. დასასრული:

„თითქო ღმერთთან მართალი ვარ, ქრისტემან მამიხდინაო;

ყველას მე გამოვეჩრჩიე, თვის ტომში, მეგობარშიო“ (უმოც. 15₁₆).

17. „არსენა რომ დეიბადა, თავის გამჩენი ახსენა“. უპასპორტო. დასასრული:

„ცხეთის ცხოველის მადლი გწყალობს, ცხეთაში რომ ასენია;

იმის ღწორათ რომ მივიდა, ხმალზედ მოისეა ხელია“ (უმოც. 15₁₇).

18. „ეს მარაბდელი არსენა ღმერთმა კეთილად ახსენა“. უპასპორტო. დასასრული:

„გლეხ კაცს ამითი აძლიეთ, აზნაური მოატყუეთ;

თუ ამითი თქვენ არ მისცემთ, არსენა თქვენ გაგაქრობდათ“ (უმოც. 15₁₈).

19. „ისიც კი ბიჭი იყო, ის მარაბდელი არსენა“. ჩამწერი იოსებ ამირეჯიბი, სოფ. ვარიანი. საინტერესო მინაწერი აქვს: „ს. ვარიანი [გოგებაშვილი] ქებაძე მესტიერე ამ სოფელშია“. ქებაძეს ლექსები აქვს ბატონყმობის გაუქმების გამო. ვინაა გოგებაშვილი, იაკობი? დასასრული:

„შეიდი წლისა რომ შეიქნა, ცხენ ხედნა დასწერესაო;

ასე ფანტამს თავადებსა, ვით ბორა წიწილებსაო“ (უმოც. 15₁₉).

20. არსენას ლექსები [გვარი ორდელაშვილია]. „შირსიტყუთა მესტიერემ ღმერთი მალალი ახსენა“. 18-გვერდიანი რეეული. უპასპორტო, 1861 წ. მთავრდე-

ბა შენიშენით: „არსენაზე გამიგონია: კაცი რომ დახვედრილიყო უიარალოთ, იარაღს მისცემდაო. ლარიბს ფულს მისცემდა. ურიებზე გადაკიდებული იყო და შემძლე კაცს წაართმევდა ხოლმეო. ახლაცა აქვთ ზოგიერთს არსენასაგან გამოცვლილი იარაღი (ხანჯალი) სახსოვრათა. აბანოდამ გაპარეაზე ამბობენ: ტახტი ტახტზე შეუდგამს და ბანის ფანჯრიდამ გაპარულო“. ლექსის დასასრული:

„დღეგრძელობა და მშვიდობა ამ შაირის გამგონესა;
თქვენ იყოთ, თქვენმა ნამუსმა, რას უბოძებთ მეშტეირესა“ (უმიკ. 15₂₀).

21. ლექსი არსენასი, „ბოძალაშვილო არსანე პირეელად ღმერთმან გახსენა“. უპასპორტო. „ეს ლექსი გავიგონე სოფელს საპაიქეოს მცხოვრების მოხუცებული კაცისაგან“. დასასრული:

„არსენაი გაიქცა... თელი დაუდგესა“ (უმიკ. 15₂₁).

22. უსათაურო. „ამ ორი სიტყვის თქმამდისინ მალლა სული ამოქრესა“. ფრაგმენტი. უპასპორტო. დასასრული:

„ახლა ამბობენ: არსენა თათარში თქვესა,
თავის სახლშიდაც ამბობენ, ორჯელ წიგნი მოგვართვესა.
ტყუილია თუ მართალი მართლათ კი ვერ გაიგესა;
არსენა თათარში არის, უფროსათ[აც] და[ი]სეესა“ (უმიკ. 15₂₂).

ზოგი ვარიანტი არსენა ცოცხალი რჩება და სათათრეთში გადაიხევენება მხოლოდ. ამგვარ ოპტიმისტურ დასასრულში ხალხის იდეალია გამოხატული თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირის უკვდავების შესახებ. სინამდვილეში არსენა დაიღუპა მცხეთის მახლობლად. ამემად იქ აღმართულია სახალხო გმირის მონუმენტური ძეგლი, რომელიც მატარებლიდანაც კარგად ჩანს.

გვ. 48. პ. უმიკაშვილის არქივში დაცულია ილია ქაქავაძის მიერ 1871 წლის 22 მარტს სტეფანწმინდას ჩაწერილი მოხუერი ვარიანტის ასლი. „ი. ქაქავაძის რვეულიდანო“, შენიშნავს ფ. გოგიჩაიშვილი. სათაურია „ხინჩლა“. აღნიშნული ლექსი ილიას უფრო სრულად დაბეჭდილი აქვს „გლეხური სიმღერის“ სახელწოდებით ეურნალ „კრებულში“ (1873, № 7, გვ. 170). აი როგორია ეს პუბლიკაცია:

ბლოვს ბერდიაი, ხინჩლაი, სონეს შაყრილან სმაზედა,
მტერობა ჩამოვარდნიათ ადრინდელს მტერობაზედა.
ბერდიაი უთხრა ხინჩლასა, როცა შავიდა სმაზედა:
„მოგიყედა შენი ბერდია, ვერ შაგეყარე გზაზედა,
ეს ჩემი მოკლე ფრანგული ვერ ვათამაშე შენზედა!“
— „იყურე, ძმაო ბერდიაე, სონეს ლუდი ვსვათ ჭანზედა.
ეგ საუბარი მაშინ ხამს, რომ შავიყარნეთ გზაზედა,
არ გვეყანდეს მაშველებელი, თითო დაუკრათ ფარზედა.
სხვა კი ვერ გალაღებულა ბებრის ხინჩლის თაზედა“.

ხირჩლასა და ბერდიას ლექსს მრავალი ვარიანტი აქვს (შან. № 32); იგი გვხვდება როგორც ხევსურეთში, ისე ფშაესა (ხალხური სიტყვიერება, III, გვ. 32) და ხევში (იხ. მ. ჩიქოვანი. ქართული ხალხური პოეზიის კლასიფიკაციისა და გამოცემის პრინციპების შესახებ, 1962, გვ. 40—41).

გვ. 42. ხელნაწერში „ხახარე“ იკითხება და არა „სახარე“, როგორც წინა გამოცემაში იყო.

- გვ. 68. ცნობილი ყივჩაღის ბალადის ვარიანტია.
- გვ. 68. იმავე ლექსის სხვა ჩანაწერი. სათაურად დასაწყისი მუხლია აღებული.
- გვ. 64. ღედანში „ბიბასა“ სწერია (უმიკ. 50).
- გვ. 66. (შენ. გვ. 305, № 50) შარამბალ ლუღუშაურის ბურთაობის ამბავი სოლოღასთავგადასაუღლს ჰგავს. აქ შორეულ კონტამინაციასთან თუ გვაქვს საქმე.
- გვ. 68. ეს ივენეს ლექსის სხვა ჩანაწერია (შდრ. უმიკ. 58).
- გვ. 69. დუღარის ლექსი მოზღოცის აშენების დროისააო, უცნობებია მთქმელს შემკრებისათვის 1860 წელს ვლადიკავკაეში (უმიკ., 61 შენ.).
- გვ. 70. ერისთაყთან არიან დაახლოვებულიო, დაციენის კილოთი ამბობს მე-ლექსე. ჩაწერილია გუდაურში, 1876 წლის 30 აგვისტოს.
- გვ. 71. ლექსი იმღერება ჩონგურზე ქორწილის დროს.
- გვ. 73. ვამჭობინებ „ფაიტენისაკენ“ და არა „ფაიტენისაკენ“.
- გვ. 76. იგულისხმება მწერალი ალექსანდრე ყაზბეგი.
- გვ. 80. ჩანაწერში არის „ფხაქის-შვილი“, ასეთი სათაური გვხვდება ლ. ჩერქე-ზიშვილის თოხლიაურულ ვარიანტში.

გვ. 81. ლექსის ჩამწერი ნ. ბაკურაძე ცნობილი შემკრებ-ფოლკლორისტია. მის მიერ შეგროვებული ფოლკლორული ნიმუშები ხშირად იბეჭდებოდა მე-19 საუკ. დასასრულის პერიოდულ პრესაში. ამ ჩანაწერს ბარათიუც ახლავს. „ბ-ნო რედაქტორო! გიგზავნით კორესპონდენციებს და პატარა ლექსებს ხეცურებისას. ვთხოვთ ადგილი მისცეთ თქვენს პატივცემულ გაზეთში. ამასთანავე ბ-ნო რედაქტორო, ძალიან გულსაკლისათ მაქვს, რომ ჩემი მოწერილი ანბები მომეტებული ნაწილი უუპრადლებოდ რჩება თქვენი რედაქციისაგან. არ ვიცი, ვის დაემდურო, ფორტას თუ რედაქციას... წარსულს აგვისტოს თორმეტში მე გამოვგზავნე თქვენს რედაქციაში მოკლე ლექსები გლეხური... მოკლე ლექსები გლეხური კიდენა მაქვს შეკრებილი რამდენიმე, ვერ გამოგიგზავნია... დავშთები თქვენი და თქვენი გაზეთ „ივერიის“ წარმატების ღეთისა მიერ მავედრებელი და მლოცველი: ხუმელაგის მღვდელი მდაბალი ნ. ბაკურაძე. 1887 წელს სექტემბერს“ (უმიკ. 84).

გვ. 82. 85-ე ლექსის ხელნაწერის მეორე გვერდი უქირაეს თითქოს სამაგიერო თავდასხმის ამსახველ ლექსს: „ჩაფარა რომ ჩახტომიათ დვალებსა“. იგი ასე იწყება:

მალა მთას მოღვა უცხო ფრინველი,
 ბოლო წითელი, თეთრი ფთიანი.
 ქლელეს ჩამოღვა ოსი და დვალი, ფაიქომელი,
 სულად დვალეთი, მძიმე ლაშკარი.
 ონი შეიქნა ცისკრისა ჟამსა, ქალაქის კარსა, გათენებასა.
 ქნეა ხმლისა, ფარვა ფარისა, ძვერა შუბისა...
 ჩაფარ გაიქცა, ეით რომ კაკაბი,
 დვალი მოსდევდა, ეით რომ არწივი... (უმიკ. 85).

გვ. 88. აღრინდელ გამოცემაში — „გრიმი“, უნდა იყოს „გმირი“.

გვ. 87. გიორგი ნათელაშვილი ხშირად არის შექებული. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მის პოპულარობას ხელი შეუწყვეს მოგზაურმა მესტერიებმა. ამას მოწმობს თვითონ შემსრულებელ-მომღერალთა ხსენება სახალხო ლექსებში;

მაგალითად, ერთგან ვკითხულობთ:

„მოდიან მესტიერეები, ტურფად უკრავენ სტიერსაო;

გელანა ნათელაშვილი სარდალი მწყემსებისაო“ და ა. შ. (უმიკ. 91 იე).

გვ. 80. სოლოლა საკმაოდ ცნობილი გმირია. წარმოშობით მესხად ითვლება და ლექსში გადმოცემული აზრები სინამდვილეს უნდა შეიცავდეს. საძებარია, თუ ვინ იგულისხმება სოლოლას სახით. ჩამწერს სიმონ შადურს პეტრე უმიკა-შვილისათვის ბარათიც უახლებია:

„თქვენო პატიოსნებაე პეტრე იოსებჩი! მომილოცნია თქვენთვის ახალი წელიწადი, ღმერთმა მრავალი სასიხარულო წელიწადის გამოცელას დაგასწოროთ თქვენის კეთილის მლომელით. ძველმა წელიწადმა წაიღოს თქვენი დარდები და ჭაერები. თქვენი წერილის პასუხი დაგივიანეთ, იმ წერილისა, რომელიც მომწერეთ დეკემბერში. მიზეზი ამისა ის გამოხდა, რომ აღარ მინდოდა მართ პასუხი მომეწერა, თან ლექსებიც მინდოდა გამომეგზავნა და აქამდის ძლიეს მოვახერხე. ყველაზე უფრო დაგვიანება ალოშკას ლექსმა მომაყენა. ბერს ვკითხე, მაგრამ ისეთი ვერავინ შემხვდა, რომ წმინდათ სკოდნებოდა ის ლექსი. ესლახანდა მიაბო ყველაზედ უფრო წმინდად სიაგიაურმა. მივიღეთ თქვენ წერილთან ტერ-სტეფანოვის როსპისკაც 100 მან. დირექტორი ველარ ვნახე, რადგანაც წერილი მივიღე 13 დეკემბერს საღამოზედ, დირექტორსკი იმავე დღეს შუადღისას გაეელო... ძალიან დიდი მადლობელი ვარ ექიმი გაბაშვილისა... თქვენგნით კი ყოველი მხრით დიდი სიკეთე გვემადლება და ჩვენ რითილა გასიამოვნოთ, არ ვიციო!

იყავ კარგად და მშვიდობით თქვენი დიდებითურთ. თქვენი კეთილის მოსურნე სიმონ შადური. სტეფანწმინდა (ყაზბეგი). 1890 წელსა 22 იანვარსა“ (უმიკ. 94).

გვ. 91. ლომისის ამ საფერხისო ლექსში ამირანის თქმულების კვალი შეიჩინეა: ბარდაბარ გაიყარენით — სწორ და სწორ გაიყარენითო („მიჩაქველი ამირანი“, 1947, გვ. 396).

გვ. 91. წინა გამოცემაში შეცდომით „აისტი“ სწერია (უმიკ. 98).

გვ. 98. ზურაბ არაგვის ერისთავის მიერ მთიანეთის დაპყრობისათვის ლაშქრობის პერიოდში (1619—1629) ხევსურების მოტყუილებით მიპატიეება და მათი ვერაგულად დახოცეა იგულისხმება.

გვ. 99. საფურცლეს მოყვდები. მართლაც, ზურაბ ერისთავი სოფ. საფურცლეს მოკლეს (1629 წ.).

გვ. 104. ჩანაწერს რედაქციის მიმართ შეშქარების ბარათიც ახლავს: უმორჩილესად გთხოვთ თქვენს გაზეთში ადგილი მისცეთ ხალხურ ლექსებსო (უმიკ. 142).

გვ. 100. ლაპარაკია გენერალ ტოტლებენის ლალატზე 1770 წლის ასპინძის ბრძოლის დროს. ტოტლებენი აწყურიდან გამობრუნდა (იხ. მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 490-95).

გვ. 109. დაბეჭდილი იყო უსათაუროდ, ხელნაწერში „ერეკლე“ სწერია.

გვ. 114. ალ. ხახანაშვილს, დ. თაბუნიძესა და ა. მრველიშვილს 1888 წ. თუშეთში ჩაუწერიათ ლექსები, მათ შორის ერეკლეს ციკლის ნიმუშებიც. ალ. ხახანაშვილმა ნაწილი „ივერიაში“ გამოაქვეყნა. ერთ ლექსში ასეთი ადგილი გვხვდება:

ეს ჩემნი თვალნი რასა ჰგვან, — მოღრუბლულია ცანია.

ეს ჩემი გული რასა ჰგავს, — ცხენთა ნაგალი ნალია.

ვერ გაიგეთა, ქართველნო, შეგეხსნათ რკინის კარია,

არა გყავთ ნეფე ერეკლე, ბაგრატიონის გვარია.

იმის სანეფოზედა იცილებიან სხვანია.

ვაჟიმე მქნა, ჭალ არ ვიყო, თავზე არ მესხნან თმანია,

ტანზედ ჩამაცუა ბეგთარი, საჭირო საომარია;

მამინის გაიგებოდა, ეისიე ვასკრიდა ხმალია,

რა მალე ვინადირებდი, შორით გეჭირა თვალია.

ა. ხახანაშვილის მინაწერიც ახლავს ტექსტებს. „ეს რამდენიმე ისტორიული ლექსი ჩაწერეთ ჩვენს იქ ყოფნაში. [თუშეთში, პანკისის ხეობაში.] იმედი არ დავიკარგავს, რომ ამაზედ მეტს ჩასწერენ თუშებთან დაახლოებულნი პირნი. ჩვენც ვეცდებით ერთხელა კიდევ დავხედოთ თუშეთს და მეტი ყურადღება მივაქციოთ მათ ზეპირსიტყვიერებას და პოეზიას“. ამას მოსდევს ძველი და ახალი თუშური პოეზიის მოკლე დახასიათება (უმიკ. 163). 1948 წ. ხახანაშვილის ნაკვალევზე ვიმოგზაურეთ პანკისის ხეობაში და ყვარელწყალზე მოვიჩინებულეთ (შედეგები იხ. ფ. არქ.).

გვ. 120. ვარიანტში „გურჯთა“ მეფე იხსენება.

გვ. 120. თიფები: პლანები.

გვ. 188. ჩამწერის შენიშვნა: შემკრებ გიორგი კალანდაძეს ლექსი სოფ. ხიდის-თავის მცხოვრებ მოსე კალანდაძისაგან შეუსწავლია, ნაწარმოები შექმნილია ბუნტობის დროს (1841 წ.).

გვ. 149. ამ ლექსის ადრინდელი ჩანაწერი ი. ბატონიშვილის „კალმასობაში“ გვხვდება (ნაწ. 1, 1936, გვ. 204). დასაწყისი ტიპიურია, იგი სხვა ეპოსის ნაწარმოებშიც იჩენს თავს (პ. უმიკაშვილი, ხალხ. სიტყვიერება, 1937, გვ. 109).

გვ. 161. გიორგი ქებაზე მესტვირე იყო, სოფ. ვარიანდანი.

გვ. 101. „ეთერიანის“ ზოგი ფრაგმენტი ანდაზად ქცეულა. ამის მაგალითს სწორედ ეს ტაეპი წარმოადგენს: „აბესალომ და ეთერი ღმერთმა შეჰყარა ერთფერი“ (პ. უმიკაშვილი, ხალხ. სიტყვიერება. ანდაზები. 1937, გვ. 439).

გვ. 107. „ეთერიანი“ ანუ „აბესალომისა და ეთერის თქმულება“, ქართული ხალხური სამიჯნურო ეპოსის გვირგვინი, ფართოდაა გავრცელებული ყველა კუთხეში. პ. უმიკაშვილის მეშვეობით „ეთერიანი“ პირველად 1875 წელს დაიბეჭდა, მაგრამ შერწყმული ტექსტის სახით, რაც წიგნაკის სათაურშიც არის აღნიშნული: „შედგენილი სახალხო ლექსებისა და ნათქვამებისაგან“. პ. უმიკაშვილს 13 ვარიანტი გამოუყენებია, ნაწარმოებს ლექსნარევი პროზის ფორმა აქვს. ამჟამად „ეთერიანის“ ვარიანტები და ვერსიები 60-ს აღემატება. უმთავრესი ნაწილი უკვე დაბეჭდილია (ხალხური ლექსები, ტ. IV, მ. ჩიქოვანის რედაქციით, 1954 წ. საქ. მეც. აკად. გამომცემლობა).

გვ. 100. „ობოლის“ მეორე ნახევარი („ორლობეში გამოველი“) სხვა ლექსიდან მომდინარეობს და აღებულია მესტვირეთა რეპერტუარიდან. დედანში კონტამინაციის მეორე ნიმუშიც გვხვდება: „ერთი ბერი ჩანაველი ტურფად მოაგოგებს ვირსა“ („ამირანიანი“).

გვ. 100. წინა გამოცემაში უსათაუროდ დაიბეჭდა. „სიკვდილი დაობოლი“ ჩანაწერის სათაურია.

გვ. 185. სურამის ციხის ეს ცნობილი ბალადა საფუძვლად უდევს დანიელ კონქაძის ამავე სათაურის მოთხრობას. მსგავსი თქმულებები ფართოდაა გავრცელებული ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში. იხ. „ქართულ-სერბიულ-უნგრული ეპიკური

შეხვედრანი“ (სურამის ციხის ლეგენდის გენეზისისათვის). საქ. მეცნ. აკად. მო-
ამბე, ტ. XVI, № 10, 1955, გვ. 829-38.

გვ. 180. დედანს შენიშვნა აქვს: „სურამ-ხაშურში, მიხაკა იოსებაშვილი. იცის
ლათიო მედროგემ [მეფორნემ]. 1887 წ.“. ჩანს, შემკრები გაერკელების სიხში-
რესაც აქცევდა ყურადღებას.

გვ. 187. სასიმღერო ლექსია, „ეო მეო“-ს ხმაზე იმღერება. დასაწყისიც ასეთია
ზოგ ვარიანტში: „ეო მეო, ქალო ელენო, დედაშენმა დამაბარა, პური გაფინეო“
(უმოკ. 294 გ). ს. ნადარბაზევი 1871 წელს ბასილაშვილის ჩაწერილ ვარიანტში სა-
ტრფიალო მოტივიც იჩენს თავს:

ეო მეო, დაო ელენო, პური გაფინეო,
შენი ძმების სიოცხლესა, წისქვილს წამომეყო.
წისქვილს უკან ქალა არის, ქალის უკან ტყეო.
დეკეული ჩამორბოდა, მე ვარ მოწამეო.

გვ. 102. დედანშია: „გრიმი-შევარდენს“. ეფიქრობ, შეცდომითაა ჩაწერილი
უნდა იყოს: „გმირი შევარდენს ვევეარო“.

გვ. 104. (იხ. გოგჩ. შენ. 305). მტკმელი ა. გომიაშვილი არაა მოხვევე, არა-
მედ ქართლელი, ს. გრემისხვეელი (დუშეთის მახლობლად).

გვ. 105. „რას იცინი, დევთა რძალო“ „ამირანიანის“ ფრაგმენტია.

გვ. 107. პირველი ტაეპი „ეთერიანიდანა“.

გვ. 107. პოპულარული ლექსია. შემონახულია რამდენიმე ვარიანტი. 1868 წელს
კახეთში ნ. ანდრონიკაშვილს ჩაუწერია:

გადახვედ ჩერქეზთ მინდორს, ნისლი იდგა შავი ზღვისა.
სამი ქალი თივას სთიბავს, სამი ჩერქეზთ ბატონისა;
სამთა(ვ) უკირავთ ცელები, პირიცა აქეთ აღმასისა.
თითო აგეთს დაჰკივლებენ, როგორც ანგელოზნი ცისა.

ს. ბასილაშვილს ს. ნადარბაზევი 1871 წ. სხვა ვარიანტი ჩაუწერია:

ოსებმა რომ დამიქირეს, დამდეგ იყო კათეთისა,
ბევრი მთები გადამატარეს მთელი კეკასიონისა.
ორი ქალი თივას სთიბდა, ორიე ჩერქეზ ბატონისა.
ისეთი ცელები ევირათ — პირი ჰქონდათ აღმასისა.
ისეთ სიმღერას იძახდნენ, ვით ბულბული ბალებისა.

1869 წლის 17 თიბათვეს ქართლში ანდრია როინიშვილს კიდევ სხვა ვარიან-
ტი შეხვედრია:

ლექებმა რო დავიქირეს, როგორ იყო ჩემო სოვე,
ხელები უკან გაგიკრეს, ცხვირი ველარ მოიხოცე-
[მ]თანი დიდი გადატარეს — [მ]თები კეკასიონისა.
არ მენახა, გამივირდა მუშაობა ქალებისა.
სამი ქალი თივას თიბდა, ორი ჩერქეზ ბატონისა.
ევირათ ოქროს ნამგლები, პირი ჰქონდათ აღმასისა.

გაიცინოთ ლ. ჩერქეზიშვილის 1871 წლის კახური ჩანაწერიც:

ჩერქეზებმა დამიკირეს, დამდეგია მკათათვისა,
მთები გადამარბენინეს, მთები კაქეასიონისა...

ლექსი იმღერება მკის დროს (უმიკ. 323).

გვ. 108. ხევში ფიქსირებულია:

გარდამავალო ღრუბელო, გარდამიტანე თანაო,
თუ შე თანაც გარდამიტანე, უთხროდე დედა ჩემსაო —
დაეხსნას ჩემი თავიო.

თუ ჩემს თავსაც არ და[ი]ხსნი[ი]ს, დაეხსნას ჩემი თმანიო;
თავილამ დარბაზის კარზე ატირნას ჩემნი სწორნიო.

გვ. 108. ერეკლე მეორის ვაჟი ლევანი იგულისხმებდა, განთქმული მეომარი და ლეკების მრავალჯერ შემმუსვრელი.

გვ. 108. დაღესტნელი ლეკები.

გვ. 200. ბატონყმობის გაუქმებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ხალხურ სიტყვიერებაზე. 1861-64 წლები ერთგვარი გარდატეხის წლებად უნდა მივიჩნიოთ. ამ დროს ბევრი ახალი ლექს-სიმღერა გაჩნდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ლექსების ერთი ჯგუფი ნახევრად ფოლკლორულია, ნაწილი კი ფართოდაა გასული ზეპირბრუნვაში და კოლექტიური შემოქმედების ჩარხიც ატყუა. ამ დროის გლეხი-პოეტების ლექსებში ნაწილობრივ იგრძნობა ბატონყმური ურთიერთობის გავლენა.

ლექსი „ათას რეას სამოცდაოთხსა“ ასახავს იმ სიტუაციას, რომელიც შეიქმნა გორში — ქართლში ბატონყმობის გაუქმების გამოცხადების დროს. გამოთქმულია ვარიანელი მესტიერის გიორგი ქებაძის მიერ, ჩაწერილი დარია მამაცაშვილისაგან (16. VI. 1871 წ.). თავისი ხელნაწერი 1873 წ. 11 ივნისს დარიას იაკობ გოგებაშვილისთვის გაუგზავნია პ. უმიკაშვილისთვის გადასაცემად. როგორც ფ. გოგიჩაიშვილი აღნიშნავს, ტექსტი შემოკლებითაა გამოქვეყნებული, დარჩენილი არის კიდევ 37 ტაეპი.

ჩვენ მხოლოდ თარიღად ნიმუშს მოვიტანთ „გაგრძელებიდან“:

...გლეხი კაცები ამბობენ, ეს რა ენახეთ ამისთანა,
მაგრამ თვალები უდგებათ, ჭერ კიდევ არა აქეთ ძალა...

[ბატონები ამბობენ]:

ნახე ჩვენმა ხელმწიფემა რა მოგვიწყო ეს ხათაბალა:
ბატონ-ყმა რომ წაჰკიდა, მუცელი არ გამოქალაქა...
ამრავლოს ეს საქართველო იესო ქრისტესაგანა,
ღმერთმა მშვიდობით გამყოფოთ ყველა, დიდი და პატარა.

გვ. 205. ფ. გოგიჩაიშვილს ფანქრით დედანზე მიუწერია: „ივანე ბარამიძის (ასკანა) გამოთქმული“ (უმიკ. 331).

გვ. 207. „კ. დაღესტელიანის ლექსი“ ბევრჯერაა ჩაწერილი, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული (კ. დაღესტელიანმა ქუთაისის გუბერნატორი ვაგარინი მოკლა). ორი ვარიანტი მეც მაქვს ადრე მიგნებული: პირველი 1927 წელს სოფ. დერჩში, იქ მასწავლებლად ყოფნის დროს, მეორე — 1933 წელს ჩაქეში მივლინებისას (იხ. „ფირაღის ეპოსი გურიაში“, კრებული: „მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის“, 1934 წ., გვ. 111, 132, 141).

გვ. 242. გაბაასების ენარის გავრცელებული ნაწარმოებია. პ. უმიკაშვილის არქივში განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ერთი გამოუქვეყნებელი ტექსტი:

ც ა ლ ა დ ე დ ა მ ი წ ი ს ქ ე ბ ა

ცა და დედამიწა შაიბა, მოჰყენენ თათაჲის ქებასა.
ცამ უთხრა დედამიწასა:
მზე და მთიარე ჩემზე მოდის, მით ვანათებ ქვეყანასა.
დედამიწამ უთხრა ცასა: ქებით რათ მეტყვი მაგასა!
მზე და მთიარე მგზავრი არის, უხეთოთ ვერ დაუქერ გზასა.
მემრე ცამ უთხრა დედამიწასა: [ქებით რათ მეტყვი მაგასა].
მე ვარსყელაეებს გამოიხსამ, შენ რას ნახავ მაგის ფასსა?
ახლა დედამიწამ უთხრა ცას: [ქებით რათ მეტყვი მაგასა].
მე ხეხილსა ავაყვავებ და შევადარებ შენ ვარსყელაეებსა!
მემრე ცა დემუქრა დედამიწასა: ქებით რათ მეტყვი მაგასა!
ზევით სეტყვას გამოუშვებ, ზედ დაგამტრევე მთასა და ბარსა.
ახლა დედამიწამ უთხრა: [ქებით რათ მეტყვი მაგასა].
მე კი ზღვას არ დაგანებებ და შენ რით აიტან ნამსა!
მემრე ცამ დემუქრა: [ქებით რათ მეტყვი მაგასა].
მე კი სიცხეს დაეაყენებ, ზედ დაგიწომ მთა და ბარსა.
ახლა დედამიწამ უთხრა: [ქებით რათ მეტყვი მაგასა].
შენ რომ სიცხეს დამაყენებ, ამოვადენ წყაროს წყალსა,
იმით მოვრწყამ ჩემ ყანებსა, იმით გამოვოკეთებ თავსა.
სამი ჩარეკით დასკარბდა დედამიწა მარლა ცასა.

მთქმელი გიორგი ბურღული, ს. არახეთი. ჩაწ. 1870 წ. 24 ივლისს, ქვეშეთში (უმიკ. 431 მ). ეს ლექსიც გაბაასების ენარს ეკუთვნის, რასაც დიდი ხნის ტრადიცია აქვს ქართულ ფოლკლორში (იხ. მ. ჩიქოვანი. ქართული ხალხური სიტყვ. ისტორია, 1956, გვ. 342).

გვ. 248. პ. უმიკაშვილის არქივში ათიოდე ვარიანტია დაცული ხარის ლექსისა. ისინი ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდებიან. ოდინდელი წარმართული ბალადა ახლა ქრისტიანიზებული ფორმითაა წარმოდგენილი. პ. უმიკაშვილს უცდია მისი გამთლიანება. ცდას შემდეგი სახე აქვს:

ორშაბათობით აშენდა ციხე-ქალაქი ქვაზედა,
გარ გალავანი არტყია, ცანი დაჰყურებს თავზედა.
ადამიანის შენახვა ვერაჲინ იღო თავზედა.
ხარმა თქვა პირმა ნათელმა: მე დავიწერავ თავზედა!
მოკვიდნენ ანგელოზები, დაჰკოცნეს ორთავ თვალზედა.
ჩამოქნეს წყელი სანთელი, მიაკრეს ორსავე რქაზედა:
წადი, ხარო, იმუშავე ცასა და ქვეყანაზედა,
ექესი დღე უღელში ები, მეშვიდეს დაწვე მხარზედა.
ვინც კერა-უქმით შეგაბას, ხელი შაახმეს მკლავზედა.
დაიჩოქა და შებღაველა მაღლა მეუფეს ცაშია:

„მიშველე, ჩემო გამჩენო, არჩალი [ჯათა] მადგა თავზედა.
არ მანებებენ კვირა დღეს, ქუდს მიგინებენ თავზედა.
უდიერი გუთნის დედა კვალდაკვალ გამოიყურება,
იმას არ ეტყვის მეხრესა: უდიერობა ნუ იქნება.
ის წყეული ღამის მეხრე პირუბანელა მამიდგება;
მაიქნევს სახრეს, გამარტყამს იმ ზურგის შუა ძვალშია.
— მე შეუფემ რა გიშველო, მეც მაგინებენ თქვენშია,
მაშინ მოვიკითხამ მაგას — მომადგებიან კარზედა.
დავადგამ რკინის უღელსა, გავგზავნი ჯოჯოხეთშია.
გარ შემოუსხამ ეშმაკებს, ურაკუნებდნენ თავშია.

გვ. 264. ჩაწერილია აქარელი ა. კაიკაციშვილის მიერ. ჩურუქსუ, დღევანდელი ქობულეთი. შემონახულია მორბილი რვეული, რომელშიაც სხვადასხვა ეანრის ნაწარმოებებია, მათ შორის ფირალის ლექსებიც („გენჯილი“, „ახმედ ხარაზი“).

გვ. 200. „აჩჩამ უთხრა გუთანსა“ რამდენიმე დამოუკიდებელი ლექს-სიმღერისაგან შედგება. გამოყოფის ნიშნები ჩვენია. აქვეა მოთავსებული გულბათაშვილისეული ვარიანტი, რომელიც სამუშაო იარაღების გაბაასებას შეიცავს:

ს ა ხ ნ ი ს მ ა ს თ ქ ე ა : ქვეშენელს დავალ, მზისა შუქი მენატრება!

ს ა კ ე თ ე ლ მ ა გაიგონა: ჩემზე მეტი შექნა რა გხედება?

მეტის მეტი წინძოლოთა წინაკბილი არა მრჩება.

ის ქ ა მ ბ ა რ ა მ გაიგონა: ჩემზე მეტი თქვენ რა გხედება?

აედარია, მე დავლპები, დარით ცეცხლათ მომედება.

ის ხ ა რ ე ბ მ ა გაიგონეს: ჩვენზე მეტი თქვენ რა გხედება?

დაგვადებენ მძიმე უღელს, ზედაც მეხრე დავიჭრდება;

ჩაგვირან შეინდის ტაბიკს, არ გასწიო არ იქნება!

ის ურჯულო გუთნის დედა ქვეშ-ქვეშ გამოიყურება.

იმას არ ეტყვის მეხრესა — უდიერობა არ იქნება.

გადამკრეს მალა რქაშია, სისხლმა დამხეთქა თავშია.

დავიჩოქე და შევეყირე მეუფეს მალა ცაშია:

ჩემო მეუფე, მიშველე, სისხლმა დამხეთქა თავშია!

— მე აქედამ რა გიშველო, მეც მაგინებენ ცაშია.

მე მაშინ მოგეშველები, აქ მოვლენ სამართალშია.

დავადო რკინის უღელი, ჩავგზავნო ჯოჯოხეთშია.

მთქმელი გუთნისდედა თედო გულბათაშვილი, სოფ. წინამძღვარიანთ კარი. ჩამწ. პეტრე უმიკაშვილი 1888 წ. [ილიას დღე საგურამოში] (უმიკ. 484, № 3). პეტრეს ჩანაწერის აღმოჩენით ერთი აქამდე გაურკვეველი საკითხიც დაზუსტდა. სახელდობრ: 1949 წელს ფოლკლორულ ექსპედიციაში ყოფნისას შრომის პოეზიის მკვლევარმა თ. ოქროშიძემ ღრმა მოხუც თ. გულბათაშვილისაგან ჩაწერა „სახნის-მა თქვა, ქვეშენელს დავალ“ და აზრი გამოთქვა, ლექსის პირველჩამწერი ი. გოგებაშვილი არისო („ლიტ. და ხელოვნება“, № 40, 1949). თ. გულბათაშვილს 1888 წ. 20 მკათათვეს საგურამოში ეს ლექსი ილიას დღეობაზე წარმოუთქვამს, იქვე ჩაუწერიათ და 12 აგვისტოს პრესაშიც გამოქვეყნდა („ივერია“, 1888, № 169). 1950 წ. შემკრების ეინაობის დადგენის მიზნით ვწერდით: „შეიძლება გულბათაშვი-

ლის ლექსის პირველი ჩაშწერი და გამომქვეყნებელი პ. უმიკაშვილი იყოს"-თქო
("ლიტ. ძიებანი", VI, 1950, გვ. 247). მაშინ ჩვენთვის ხელმოუწვდომელი იყო უმი-
კაშვილის არქივი, ახლა დადასტურდა, რომ თედო გულბათაშვილისაგან აღნიშნული
გუთნური ლექს-სიმღერა სწორედ პ. უმიკაშვილს ჩაუწერია.

გვ. 260. „ხილთა ქება“ ახლოს დგას ანალოგიურ ლიტერატურულ ჟანრთან.
გვხედება სტროფებისა და თემების პირდაპირი ურთიერთგადასვლა „ხილთა გაბ-
ქობის“ სახით (იხ. ფოლკლორული ეტიუდები. თბილისის პედინსტიტუტის შრო-
მები, 1949, გვ. 111-17). შესაბამის ტექსტებს აქ სრული სახით ვერ ვაჩვენებთ,
საილუსტრაციოდ მიეუთითებთ მხოლოდ ა. კვალიაშვილის სურამულ 1875 წლის
ჩანაწერზე, სადაც ნიყვზე ნათქვამია:

ნ ი ყ ვ მ ა თ ქ ვ ა: მეცა ხილი ვარ, მოვეწონები გორასა,

მე შემომხედვენ ბიჭები, მოეწონები თვალშია.

მოვლენ, მომკრეფენ, გვერდზე დამიდგმენ კალათსა,

ჩამიტანებენ ბაზარში, გამყიდიან ფარათა.

რა იციან იმ გლახებმა, მე ვლირეარ თითო ხარათა (უმიკ. 488).

გვ. 272. „ათანდილ ვადინადირა“ მეტად გავრცელებული ბალადაა. მის პო-
პულარობას ისიც ადასტურებს, რომ პ. უმიკაშვილის კოლექციაში მოთავსებულ
ხალხურ ნაწარმოებთა შორის იგი თითქმის ყველაზე ადრეა ჩაწერილი (1860 წ.),
დაცულია 13 ვარიანტად.

გვ. 270. აქ არ უნდა გულისხმობდეს დაღესტნელ ლექებს. ღარიბული ჩაემუ-
ლობის კვალობაზე ქართველი მოხეტიალე მესტიერის ეპითეტად გვევლინება.

სიტყვების ახსნა

ა

- ადიგვე 142, სოფელი ადიგენი.
ავიროხამ 240, გაელებ, პირს გაეხსნი.
ალესტეთა 184, ამაყად, მზად, ყოჩაღად.
ამაგ 55, ა მაგის, ამის. „ამაგ ლექსისა მათქვამი“.
ამოსეხა 56, ამოსელისას. „ილტოზედ ამოსეხა“.
ამწვეერი 107, აწყური, სოფელი მესხეთში.
ანდაგი 59, სოფელი პირიქით ხევსურეთში.
არაბა 225, ურემი.
ალაბანი 222, უმაღლესი ხარისხის ქსოვილი. „იმას იმაზედ გაღუშლია თეთრი ალაბანი“.
არაღის 245, არ არის.
არაფა 171, რამაზანის, მაკმადიანური დღესასწაულის წინაღდე.
ალაჯი 28, სივრცის ზომა, დაახლოებით 5—6 კილომეტრი. „ეწითი ალაჯი გზა არი“.
აშივტე 171, საბარგულს ველარ შოულობო.
აცეხ 61, ადგილი პირიქით ხევსურეთში. „აცეხ ნამყოფსა მუშასა ჩამოეხეივნეს სამზელა“.
ახირ-ჯამანი 184, მეორედ მოსვლა.

ბ

- ბადელოვანი 81, ბადელიძენი. „რჩეულნი ბადელოვანი“.
ბაკანი 235, ჯამი, ხონი.
ბარიშალი 142, ბარიშანი, შერიგება, დაზაეება
ბატარია 92, პატარა, ბევში. „ომს ბატარია შეეჩიე“.
ბაქართა 60, სოფელი გუდამაყარში. „ბაქართას არ დაგიდგების“.
ბეზირგანი 17, უზნეო, თავხელი ქალი.
ბელასა 183, ხათაბალას.
ბელატებს 324, ბელადებს.
ბელქი 179, იქნება.

ბერშევეთი 182, ბერშეეთი, სოფელი ქართლში.
ბეწაყრა 26, უნდა: ბეჭყაყრა. ბეჭყაყრილი. „ბეწაყრა და კბილ კაროზა მამეუ-
ლით მემგზავსება“.
ბიგაი 58, სახელოვანი ლეკი მეომარი.
ბოლათ 142, ბლომად, ბეერი.
ბორდელის 32, ბოდლის, ისრის.
ბორკილა 58, ადგილი პირიქით ხეესურეთში.
ბორტი 49, უხნაეი. ადგილი, უყი. „ბორტი აავსა მკედრითაო“.
ბოძალი 19, მშვილდ-ისრის სახეობა.
ბრალნიო 113, შაეები, ძაძა. „რად შეგეიკერენ ბრალნიო“.
ბრილიჭალა 83, ადგილი.
ბუდრისი 205, ადგილი დუშეთის მახლობლად.
ბულქი 227, კარგად ნაეეთები.
ბურახეული 51, თოფი.

ბ

გაეხენე 195, გაეხედე, დავინახე.
გაკვირტული 340, ბეწედაყრილი, ნალირსდაყრილი. „გზაზე მელა ნახეს
გაკვირტული“.
გალო 53, შუაძელი, ბარძაყის ძვალი.
გამეცეითა 184, მომეკლა, დამეხრჩო.
გამოვალეკე 72, გამოვალ ხოლმე.
გამოუფშრუყა 259, გაუფრთხო, გამოუფანტა.
გამჭაყავი 54, მექორე.
გარეზილდა 179, თავსლათი დავსხა.
გაუოლ 339, გაუვალ, გაეხდები, ვეყოფი.
გეეჩიქნები 89, გაეჩიბრები. „თუ იმას გეეჩიქნები, ხალათს ჩაგაცმეე ტანზედა“.
გეზგინჯი 180, მანანწალა.
გეიბჰო 158, გასაუბრდა, შელაპარაკდა, გაეზაანენ ერთმანეთს.
გელაზი 29, ლოდი, წისქვილის ქეა.
გირეის წყალი 121, გირეეის წყალი, პირიქით ალაზნის შენაკადი სოფელ
გირეეთან.
გულხადარა 129, ლეკი (გლუხოდარი). „ჭარი ბეერი შეუყრია გულხადარა
დალესტნისა“.
გუოწვენენ 178, გვაწვენენ.
გურო 60, ხეესურთა სოფელი.

დ

დაგიძრა ტანიო 59, შეგირხია, დავიკოდა, დავიჭრა სხეულიო.
დაგმალე 59, დავიმალე, არ მოგეც. „ბეერქელ დავმალე საგზარნი“.
დაიკანე 54, დავიკოდა. „არწიე დაიკანე მხარზედა“.
დაიქცნად 106, დავითანტოთ, გაიქცეთ.

დაკვრთულია 172, დამრგვალებულია. „დაკვრთულია მწყერავითა“. კვართი — ტანსაცმელი; დაკვრთულია — ბოლოებამოკეტილი; დამრგვალებულზე იტყვიან.

დალევა 111, ამოწყვეტა, სიკედილი. „ბაქარიანთა დალევა ქართველზე წილ-ნაყარია“.

დამთრის 73, დამითრევს, წამათრევს. „ან თევზი დამთრის წყლისაკენ“.

დამიახლდა 250, ახლად მექცა, გამიახლდა.

დამფახა 184, დამტექსა.

დამწალა 85, ადგილი.

დანდობა 60, ფიცი. „დანდობა ქნიან ჯვარზედა“.

დარალა 167, თაეშიშველი, უმანდილო, დალალებიანი. „მას საეარცხელი რათ ენდა, დარალა ოქროსფერია“.

დარანჩი 101, დარანში, სამალავში, ბუნავში.

დაუკრინტა 275, დაუხუქა, დაუხურა.

დადუღული 224, დაღონებული, მობუზული, დასველებული.

დაცხვირესა 240, თივის ზეინები დადგეს.

დაწირესა 239, დატოვეს, დააგდეს, გაწირეს.

დაჯლაგონ 141, დაჯლიგონ, დაწიხლონ, ფეხით ზედ გაიარონ.

დგელემი 147, გრდემლი.

დედროეენებსა 92, დედაკეებს, ქალებს. „დედროეენებსა ვეწყვი“.

დილენჯი 180, საწყალი.

დოვი 338, დო.

ე

ევლია 179, მადლიანი.

ეთელეზიან 52, უტრიალებენ. „ეთელეზიან მეკდარზედა“.

ელღვარი 58, ელვა და ღვარი. „როგორც ელღვარი მცისაო“.

ენდრონები 155, ენდროები. ენდრო — საღებავი მცენარე.

ეჟანა 177, ეჟენი.

ერიენჯი 180, ვაგლახი; უშობელი, პირუტყვი.

ეში 141, ტოლი.

ეცერი 83, სოფელი სვანეთში.

ვ

ვადითანაო 295, ვადასთან, ხანჯლის ტართან.

ვალაო 222, დმერთმანი. ფიცი.

ვერხოვანი 60, სოფელი მთათუშეთში.

ვეწვიე 92, ვეწვევლე, დაეწვევლე.

ვიცქირებიკე 72, ვიცქირები ხოლმე.

ვნებანი 157, ქრისტეს ტანჯვა, ჯვარცმა.

ვსრიმე 346, ვსრისე, ემუსრე.

ზავალი 184, საწყალი, საცოდავი. „თიკანს შრებოლა ზავალი“.

ზანკალი 184, პაიკი.

ზენგილი 180, მდიდარი, მქონებელი.

თ

თავრიალ 47, თავი, თავის ქალა.

თავრიელისაო 60, თავისაო. „ლაშაზად შაინახიდი ნახეთქი თავრიელისაო“.

თბიანი 33, ფრთიანი, „ისარი ორბის თბიანი“.

თბილეთი 120, თბილისი,

თერმუხანი 166, თემურხანი.

თია 253, ყიყვი. „ეკამე თივა, გამოება თია“.

თითები 93, რაზმები.

თიქო 180, მშიშარა.

თოფნი 118, ზარბაზნის მსროლელი, არტილერისტი. „საწყალი გურამიშვილი, რა ერთგული თოფნი იყო“.

თულეზ 307, ჭილებს. „თულეზ დაგადგამ თავზედა“.

ო

ოალი 70, სამოთხე, სასუფეველი.

ოდომლი 53, იღუმალი, დაფარული.

ილეთიანი 240, მოსაწონი, სასიამოვნო.

ილტო 56, მთა ფშავში. აგრეთვე მდინარე, ალაზნის მარჯვენა შენაკადი ბახტრიონთან.

იქაშლო 61, სოფელი.

იხმიეს 81, დალიეს, იგემეს. „თითო თასი რო იხმიეს“.

კ

კაბა 97, სული, მეკომური. „ათასი კაბა ყმა მყავდა“.

კარკალი 255, კაკანი.

კარკუჩა 65, სოფელი ხევში.

კასარა 104, მთა დიდგორისაკენ.

კენწერა 133, ფიხის წვერის წანატეხი, კეწეწა, ნაწყავი. „ღერი არ დარჩა კენწერა“.

კერმუხტი 219, ხმლის საქარქაშე შაგარი ტყავი. „კერმუხტი და ლალი ვიყავ“.

კვიშტავი 338, კვირისტავი. „ჭარა-კვიშტავი ხვიოდა“.

კირტიშო 82, მთა რაქაში.

კონტრაით 141, კონტრათი, საპირისპირო მოქმედებით.

კოსალა 260, კოდალა, ხეკაყუნა.

კურელის უანა 64, ადგილი ხევში.

ლ

ლალია 180, ენაბლუ.
 ლამფარა 138, თოფი.
 ლუთხუმის ქევი 62, ადგილი გულამაყარში.
 ლქენა 25, შეხლა, შერკინება, შებრძოლება.

მ

მაგასთანამც 172, მაგასთან, მასთან. „მაგასთანამც შემავდებდეს ტუსალადა ერთ კეირასა“.

მაქაღან 119, მაქაღებენ, იკვეხნან. „ერისთვიანი მაქაღან, მალრან ჩაერეკე ცხეარო“.

მანძილა 55, ხარი, ირემი. „თეთრა მანძილა რქიანი“.

მაჟარი 56, თოფი.

მარკე 33, ჟიუტი, გაუტებელი. „რა მარკე გაუჯაერებო მა ნეფის ქალსათინასა“.

მარან 119, მარანა, სოფელი.

მარომლებული 277, მშრალი, ხმელი, მოფიცებული.

მაულანი 86, ადგილი.

მაშრაფა 166, ბროლის ტოლჩა. „ხელსა მაშრაფას დაეიქერ“.

მიგახტენდა 180, მიგახედრებდა, გაგაგებინებდა.

მიგრი 104, წამოსასხამი, ტანსაცმელი.

მითხო 60, ქისტების სოფელი.

მიჩინა 258 (რუს.), შაში, მშრალად დამარილებული ხორცი.

მოგვიღეს 338, მოგვიტანეს. „სასმელად დოვი მოგვიღეს“.

მოლაური 137, მოდაე, მოპირდაპირე.

მოენბის 139, მოეცილება, დაინახება, გამოჩნდება „შორიდ მოენბის თვალი“.

მოსამხილია 244, გასაფრთხილებელია, ყურსადგებია.

მოუწყენთია 284, მცირე მოუწყელია.

მოწიფულობლივ 25, მოწიფულობით, დაეყკაცებით, ტანადობით.

მუჯამბარი 25, უზებარი, უზაბარი, ლომი. „მამკელი მუჯამბარისა“.

მხარნი 35, ფრთები. „ვერ მოხვალ, ავთანდილაო, თე მხარნი არ შეგებინა“.

ნ

ნაბახჩევი 110, ადგილი.

ნაბუარი 98, მტვერა, ნაკრტენი, ბუმბული, ლინლი.

ნათოზი 34, ნათოსი, ნამტერევი.

ნალათ 151, აშკარად, უეკეოდ. „ნალათ, შე პილწო ეშმაკო, ეს საქმე სულ შენგან მკირსა“.

ნაროვანი 60, ადგილი მთათუშეთში.

ნასიბიანი 48, ნაწილანი. „ჯირჩლა ლეთის ნასიბიანი“.

ნაქმარი 136, ნაქნარი, ნამოქმედარი, გაყეთებული.

ნაყუეჩაო 109, ნაყუეჩო, მთა პირიქით თუშეთში.

ნაშეზე 145, ნაპირზე, ხმელეთზე. „ზედ ნაშეზე გადმოდესა“.
ნახალიზრები 52, წახალისებულა, ნაჩევეი. „ნახალიზრები სხეებზედაო“.
ნახევენი 212, ხის კურკლეულობა, ხოწით ნაკეთები.
ნეკრეთ 145, მეკრედ, მეკარედ. „ხეკრეთ მისცა ერთი გველი“.
ნესლი 171, ჭილაგი, თესლი.

ო

ოთლანი 103, ქუდი.
ოლქობა 142, ჭარიანობა, თემობა.

პ

პაუარნი 58, თავზე ხელალებული, გაქსუებული, გარეწარი. „როგორც პაუარნი
ლეთისაო“.
პატარა ხუფრა 58, მთა ლეკეთში.
პერად 34, ქაფად.
პოლორქიკი 140, ხის ფირფიტა ტიკის ნახერეტებში ჩასასმელი. „ტიკი ტიკათ
გამოადგა, პოლორქიკი — საკრავათა“.
პტუელი 105, ვაკე. „მამული გედო პტუელიო“.

ჟ

ჟამურ 91, უდროო დროს. „იქ გავაგორეთ ეღერანი ჟამურ ბერციხის
კლდისანი“.

ს

საბახური 28, ხელთათმანი, საფუხარი.
საგულეზნი 240, მთის მყუდრო ადგილები, სადაც ზევეი არ უდგება.
სადეურია 85, სადეუა, დევეზის შესაფერისია. „ეგ საქმე სადეურია“
საზოგადოს 202, საჯაროდ, საზოგადოებას, ხალხს. „საზოგადოს წაუეთხეს
პასუხი ხელმწიფისაო“.
საკომე 64, საკვამლური.
სალასტოფო 141, სევასტოპოლი.
სანგალი 58, საფარი, სამალავი, ჩასასაფრებელი ადგილი. „წინ შაუკრევენ
სანგალსა“.
სანე 48, მთა, ხატის ადგილი, გუდანიის მახლობლად. „ბერდიი და კირჩლი
სანეს შაყრილან სმაზედა“.
სამარტო 47, საპატიო, საუფროსო, უხუცესის საჭდომი სკამი. „დამსვენს სა-
მარტო შკამზედა“.
სარაია 151, სასახლე.
სარეკლები 162, ზარები.
სატანი 47, ყველი და ხაქო.
საფერხე 49, ცხენი.

საქურბაქო 35, სატელზაქო.
საძელე 71, მთა ხევსურეთსა და ხევს შორის.
სეფილი 180, უწყინარი, წუნარი.
სიალუე 32, ამართვა. ადგომა. „ა მაგ ჭარის სიალუემა ორბი მალლა შააფრინა“.
სივანი 97, სიონი, სოფელი.
სიმაღხევითა 35, გაუტესლობით.
სიტყუების ჩამომთვლელი 118, მგოსანი, პოეტი, ლექსის ავტორი.
სკლატი 102, მადლი.
სკოდორა ღელე 85, ადგილი.
სპილოტანი 25, სპილოსოდენი, ღონიერი, უზარმაზარი.
სტანოლა 46, ქქონდა. „მაგას ქალბანი სტანოლა“.
სტილი 280, წონის ერთეული. „გირვანქა და ორი სტილი“.

ტ

ტვერ 58, ლეკების სოფელი.

უ

უგალა 197, უხალა.
უდალაყე 31, მიურტყი, მიუნაყე. „თავი ქვათა უდალაყე“.
უღებლა 60, იღებლად, ჩუმაღ. „უღებლა ყრიან ლაშქარსა, დანდობა ქნიან
ჯვარზედა“.
უნჯი 106, ერთგული, ძვირფასი. „სად მყენდენ უნჯი ყმანიო“.
უპირველ 99, დაუქრული, დაუყოღავე, „თვითონ უპირველ გაგექოა“.
უხვედური 97, ერბო და კვერცხი.

ფ

ფარაჩი 133, ფარაში, ფული.
ფარეხელი 64, მთრეხელი.
ფუხარა 174, ღარიბი, უქონელი.
ფხვენისი 91, სოფელი ქართლში.

ძ

ძავი 109, ქვის სიმაგრე, ციხის ზღუდე — გალავანი.
ძალაქი 142, იგულისხმება ახალციხე.
ძარჯინა 82, მოხარშული ხშიადი. „გეკამოს ქერის ძარჯინა“.
ძეიბური 264, ისარი. „გაქლიბულსა ძეიბურსა ზედ ბეკებზე დაგაფუნვილი“.
ძეფილი 180, თავდები.
ძენი 254, ნახარის, ფარის წინამძღოლი ცხოველი. „ჩემი ძროხების ძენისა“.
ძმოსტ-როჩხა 68, ქმნოსტი და როშკა, სოფლები ხევსურეთში.
ძოითით 74, ქვევიდან (ქისტეთიდან).
ძოროლა 55, მთა ქისტეთში.
ძოჩი 174, ბატანი.
ძუჩთა 120, გურჯთა, ქართველთა. „ეს ქუჩთა მეფეს მიმირთვი“.

დ

დანძალი 279, ხანძარი.

ღბიანო 101, შეზღუდვები, აბიან. „არ დაეიჭვებ აკუშოს ომსა ღბიანო“.

ღვედრება 108, ქადილი, დაქადნება.

ღიღველი 50, ღიღღველი. „როშკის თავს შუშპრობს ღიღველი“.

ღიღღო 48, ღიღღეი, ადგილი ქისტეთში. „ღიღღო გეკამა ქეკითაო“.

ღმინი 33, ღიმი. „ღმინი ქნა, კბილი გამოჩნდა“.

ღორმა 285, ღეარმა.

ე

ეაღოვანი 60, ადგილი მთათუშეთში.

ეალანი 105, ბეგარა .

ეაღფუზივით 42, საზამთროსაევით.

ეაფარი 84, დაქანებული კლდე, ადგილი. „გაარბენია ეაფარი“.

ეირალი 183, რუსთ ხელმწიფე.

ეირენის 69, მყინვარის.

ეიწილები 81, ყისინები, წამოსახსამი. „რაჯაბიმას «ყიწილები» წუნქ იმერელსა დარჩაო“.

ეორის წყალი 56, მდინარე პირიქით ხევსურეთში.

ეურო 74, მთა ხევში.

ეურუში 137, შაური, ფული.

ე

ეაბიანი 240, ზოლიანი, ნაქარგიანი.

ეამაგწონა 65, გამიბედა, სიტყვა გამისწორა.

ეამოწე 55, შემოწეკი. „ეამოწე გულს ნატყვიარი“.

ეარკაცა 284, შაგიკეცა.

ეესწყულა 155, დაწყეულა.

ე

ეამდინარა 87, ადგილი.

ეამოკრეხილი 297, შეკრელებული.

ეამშა 65, საყანე ადგილი სნოსთან.

ეარჩამი 323, ჩარსაეი, ზეწარი. „საწყალმა დედაჩემმა ჩარჩამი დამათარა“.

ეაღმა 60, მთათუშეთის ნაწილი.

ეივთეები 142, წყეილები.

ეიყინა 260, მუტრუკი, ჩოჩორი.

ეილოყი 138, ჩოლოქი, მდინარე გურიისა და აჭარის საზღვარზე.

ეიორეხი 55, ჩორეხი, კლდიანი ადგილი.

ც

ცდა 94, ბრძოლა, ომი.

ცხვატი 72, სოფელი გუდამაყარში.

ძ

ძალაში 176, საღებავში. „დეკულ ამოუჩნდება ძალაში ამოთრეული“.

წ

წარზედა 60, წარი, რიგი, რიგიანი, წესიერი. „არ იყვნეს კაცის წარზედა“.

წარმართება 136, წარმატება, გამარჯვება.

წუის საბელი 252, ძუის საბელი. „დაწნოდეს წუის საბელი“.

ჭ

ჭიანტყე 57, ადგილი ალაზანს გაღმა.

ჭიორის ჭალა 86, ადგილი.

ხ

ხალათ დაცმული 123, ნაჩუქარი ხალათი, ხალათი ჩემგან ჩაცმული. „რა მალე დაგვიწყებოდა ხალათ დაცმული ჩემია“.

ხალიზ 175, ხალისი, სურვილი.

ხარაჯნი 120, ხარაჯები, ხარკი. „ან მოგვიკრიფე ხარაჯნი, ცხენ-ცხორი, ძროხა-ჭორია“.

ხარი 142, მხარე.

ხატილიონი 95, ხატილეული, შატილიონი.

ხაჯარივითა 91, კანჯარივითა. „ფირანა ოტიაშვილი ხაჯარივითა ხტისაო“.

ხენცალე 179, ხელცარიელი.

ხიდის კარი 104, სოფელი რიონის ხეობაში, რაქა.

ხილონი 156, ხილეული, ხილნარი.

ხიმე 285, სარის ღობე. „ხიმეს ვერ ჩამოეტია, ხიმეს ხსნიდა კბილითა“.

ხმელადე 145, ხმელეთი, ქვეყანა.

ხორჯნი 240, დიდი ყინული.

ხოროვანი 52, ხარის ჭოგი, ნახირი. „წაგვისხი ხოროვანიო“.

ხოხოშნები 22ხ, ბალახეული წამლები.

ხუხალა 18, უთმო, შიშველი, გაკრეჭილი.

ხქე 55, ხქენ, ჰქენ. „ვინ ხქე რიალი“.

ქ

ქადა 72, სოფელი გუდამაყარში.

ქაქჩი 275, ციცაბო კლდის გვერდი.

ქლე 74, მთა ხევში.

ქიღსანს 176, ხიღებს.

ჯ

ჯაბარა 235, მუნი.

ჯარზედა 48, რიგზე ჩამწკრივებით. „სანეს ლუდი ესეთ ჯარზედა“.

ჯენგი 141, ბრძოლა, „ხოჭიოღლის რომ უქია სულთან მეჯიდის ჯენგია“.

ჯილავდარი 315, ცხენის სადავის დამკერი, ჩალუადარი. „ჯილავდრად გამოუძღვარეს ფარსადან მაჩაბელია“.

ჯირითი 89, ჯირითობისას სახმარი ხელშუბი. „შენა გაიქეც სოლოღან, ჯირითის შოღდანზედა“.

ჯულაბი 234, წამალი მცენარის მარცვლებიდან.

ჯურუმი 53, ჯარიმა.

ჯუფთა 32, შეწყვილებული. „სამოცი ჯუფთის ისარი“.

ჯუხუნებში 179, ჯოჯობეთში.

ჯლანდიღნი 60, ფშაელები.

ჰ

ჰერსით 142, ჰაერით.

ჰქამს 48, ვარგა, გამოსადეგია, შესაფერია.

ს ა რ ჩ ე ვ ი

2. ჩიქოვანი. წინასიტყვაობა	5
ფ. გოგიაშვილი. პირველი გამოცემის წინასიტყვაობა	9

პოეზია

საგმირო ლექსები

ამირანი	17
† როსტომი და ზურაბი	24
ბეენი	27
ტარიელი	30
არსენას ლექსი	36
ჭირჩლა და ალუდა	46
ბერდიაი და ჭირჩლაი	48
გაგაის ძოძი	48
როშკს ჭარის მოსვლა	49
აფშინა	50
ივანე ჭოყოლიკათი	51
ბევრა სახელობს ხევსური	51
ბოშტუა გადიდებულა	52
ნაკუდა გამაროშვილი	52
მარტია	53
მთხოვლებ გადიდებულა	53
ლიქოკის დელეს გარდადის	54
მამუკა ქალუნდაური	54
რად გაგიხარდათ, ლილღველნი	55
ქიმლის კლდეს ხყეფდა ყორანი	55
ამოეა ჩეკილის შვილი	56
პაკაცი	56
მელეშიშვილსა აქებენ	57
წარუველთ გოგი	58

ხალიაისძე	58
შაყრილან ფშავლის შვილები	59
გუროჩი ბაჩაყაური	60
დადიდა მითხოვლები	60
არშას შაიქნა თქონთქორი	61
ვინა თქეა, ენა გაუნმა	62
ხახარე	62
ცოლი მთხოვა, არ მიეეცი	63
სულ მუდამ, ლუღუშაური	64
კარკუჩას ბაღათერი	65
შარუნ მამა და სნოს ციხე	65
ყორანო ჭაყარიანო	66
ივანე ერისთვის შვილი	66
გუგუა ყამარაული	67
ივასებაი	67
თვალი დაგიდგა, ივანე	68
ივანელა ნაიბაისძე	69
დუდარი	69
მეცხეარეობა მინდოდა	69
ჩანოო ნაზლაიძე	70
თაბაის ქალი	70
გუდან ხეაზმევენ დროშათა	71
თავს ვადა, ბოლოს ცხავატი	72
ორხევში მეცხეარეები	72
დაესწუხდი ჩემის კმრისაყენ	72
ალოშკა გოდაეთა	74
მთის ინარალი მამკედარა	75
დემური	76
გიორგი ავთიაშვილი	76
ხელთუბანზე ჯარი მოდის	77
ერქთავს ცხენსა გიქებენ	77
გალეგა ბელადი	78
მუცელა	79
აბდულა და მანმადალა	79
ომანა ხაჩაშვილი	80
ომანს კაცი მოუვიდა	80
რაჯაბა	81
ხვესურთ საუბარი	81
ოსების თავდასხმა ლებელებზე	81
ოსების თავდასხმა სოფელ შქმერზე	82
დიდი აიძრა სულტანი	83
სეფის ომი	83

წერეთელმა დაიბარა	84
ყაისი	85
ნათელაშვილი გიორგი	86
სოლომან ბუტულაშვილი	87
სოლოლა	88
როსაფ ამირაჯიბი	89
ხოროშან ლაშქარად ვიყვენით	91
ფირანა ოტიაშვილი	91
კანი და ბისტი	91
სხვადასხვა	92

სახსტორიო ლექსება

თამარ მეფეზე	96
ზურაბ ერისთავი	98
დუშეთით ქორი აფრინდა	98
შენმც დაგლევს სისხლის წყალიო	98
ზურაბმ აიკლა ქვეყანა	99
ზურაბ ჩამოჭდა როშკის გორს	100
დუყეთს ეყრების ლაშქარი	100
ღულოს თავს ხელად იქერენ	101
კაცი ბეგენგორ წამოდგა	102
ზურაბის მოკვლა	103
იასა მეფე	104
ცხრანი ძმანი	104
ჯიმშერი	105
ალმასხან ბატონიშვილი	105
შანშევე, გე ხალისებოდა	105
ავარდა ბატონიშვილი	106
ქარს ეძახს ბატონის შვილი	109
ქალაქჩი ფშავლის შვილები	109
გოშტაშვილი დათუნი	110
ქალი მოვიდა ურუმით	110
ბაქარიანთა დაღვევა	111
მეფე ერეკლეს მოღალატენი	111
აბდულა	112
მეფე ერეკლეს მეუღლე	112
მეფე ერეკლე	113
ერეკლეს გლოვა	115
აღა მალამეტ ხანი	116
ხოჯა ხანი წამოვიდა	117
ყენი რომ წინ წამოდგა	118
დათუნა ბატონიშვილი	118

დაიძრა დიდი სულთანი	120
ხმალი სკრის ბაგრატიენისა	120
ნუცალის ქარი	121
ლევან ბატონიშვილი	122
ბატონიშვილი ამბობდა	123
ე რა ქნა ჩვენმა ბატონმა	123
სააბაშიო შვიინდა	124
გავარდა ალექსანდრეი	125
ნიახურას ომი	126
დავითთანა ბატონი	130
ხეკაშვილი გიორგი	130
ციციანოვი	131
ციციანისთანა შვილსა	132
რუსის შემოსელა	133
ხახულმა ქარი აწვია	133
ხემწიფის ნიკოლაოზის მოსელა საქართველოში	134
მალაქია ბატონიშვილი	135
ბუნტი გურიაში	137
ცაზე გათავდა ღრუბელი	138
რუს-თურქთა ომი	139
პაი გიდი ჩახალ-ოღლი	142
არაბი ფაშა	143

რელიგიური ლექსები

ადამ და ევა	145
აბრამი	147
იობი	149
ნოე	151
სოლომან ბრძენი	152
ნათლისმცემელი და გლაზა	153
ქრისტე	155
მამაო ჩვენო	155
სიზმართა ვნახე ედემი	156
მადლიანი და ცოდვიანი	156
ვაი შენ, წუთისოფელო	157
წუთისოფელი	158
საიქიოს ამბავები	159
ნურც იპარებ, ნურც იბოზებ	159
ჯოჯოხეთის აშენება	160
ჯოჯოხეთში ვინ არის	160

საყოფაცხოვრებო ლექსები

ეთერი	164
მდიდარი	167
ქვრივი	168
ლარიბი	168
ობოლი	168
სიკვდილი და ობოლი	169
ბერი	169
მღვდელზე	169
თინიკია	170
მემია	171
ცოლ-ქმარი	171
ორი საყვარელი მყვანდა	172
ბეწინა	172
საყვარელი დამეყარვა	172
მილიციის კენჭი მერგო	172
მელიციის ჯარში	173
პაჩოტნიკები	173
სადნიკის ლექსი	174
თილისძე	175
წიქა ნაცვლად დააყენეს	175
ღერენაი ღალათაო	176
გადიდდა ცხვირათ ბერიძე	176
ჩივიან ქვიშქვეულები	176
მე რომ თქვენსა ვიყავი	177
სტუმარ-მასპინძელი	177
ავი სამართალ დაგვიდგა	178
ჩახერისძე ღორსამია	178
ფუხარას მოკვლა	179
ციცკა	180
მამუკა სამანელია	181
შენ გიორგი, მეფის შვილო	181
ეო, მეო, ბიჭო დემეტრეო	181
ეს წინდის ჩხირა ელია	182
შუბაშოვი	182
ფირალი	183
პატიმარი	183
გულ-ყირმიზა	184
სურამის ციხე	184
სიზმარი	186
გენაცულებიან	186

რორცა აშენდა მანგლისი	137
ორმოში ფეტვი ჩაეყარე	187
ხოშიაო, ხოშიაო	183
ქალო ანაო, ბანაო	188
სანადიროსა წაეფიდი	189
ელი ელაშდაო	189
თავფარაენელი კაბუცი	190
რიკი-რიკი ფაფარიკი	190
სოლომონ ბძანა	190
ნუ ეძიებ წელსა ჩემსა	190
ანბანთ ქება	191
სახსრების ლექსი	192
ქალაქის რედაქტორები	193
ნეტა მარილათ გაქცია	194
სხედასხეა	194
ტყეუებიდან გაპარვა	197
ლექებმა რო დამიჭირეს	197
ტყვე ქალი	198
ვაი ჩემს ამ დროთ მოყრასა	198
დატყვევება	198
ბატონყმობის ლექსები (კახეთი, ქართლი, იმერეთი, გურია)	199
კონსტანტინე დადიშყელიანი	205
დედის ალერსი	207
ნანა	208
იენანა	208
დედა და შვილი	209
შვილი და მამა	210
გაყრა	210
რძალო ბატონო	211
სიძე-სიმაძრი	211
ნათლია	213
მძახალი	213
ქალი ტიროდა ქართლელი	213
ქართლელი ქალი ტიროდა	214
ქმარი	215
ქისტის ქალაი	218
ნონიანთ ქალი ვიყავ	219
ჭკობტა ეაქეცი საყვარლად	219
დედა სჯობიან	220
მალლიდგან გადმამდგარიყო	220
ახმეტური ქალი ვიყავ	221
ქალი გაეთხოვედი ანაო	222
ქართლიდან წამოსული ქალი	222
მთიულის ქალი ვითხოვე	223

მე რომ ღმერთმა გამაჩინა	223
პატარძალი	223
წმინდა გიორგიმ დასწყუელოს	224
დედაე, დედაე, გამათხოვე	224
ქალი	225
ერთი ვინმე თეთრი ქალი	227
მარჯვენა მხარი ამტყივდა	227
ხორცელა	228
ცხელება	233
მუნი	235
სულ-ხორცის გაყრა	235
არაჟინა მუავს პატრონი	235
სიკვდილმა თქვა	235
სიკვდილი და სიცოცხლე	236
ამ დალოცვილსა სიკვდილსა	238
როსტომ თქვა	238
დედაე და მამაე	238
სეტყვა	239
რთვილი	239
თოვლი ხეესურეთში	239
ე ოხერი სთველ მოვიდა	240
მზის დაბნელება	240
ცა და დედამიწა	241
თვეები	242
ქერმის ხევი	246
ქვედრულა	246
ლიახემა თქვა	246
რიონმა თქვა	247
ხარი	248
კაშეჩი	248
ცხენი მამყიდა	249
ცხენის თხოვნა	249
ქვრივი ქალის ჩივილი და მეზობლის ნუგეში	250
სნოს მღვდლის ცხენის მკვლელები	252
ცხენი	252
საკონლის კირი	254
ძროხის ჰირი	254
ქოჩორაი	254
თაგვი აეთ გამხდარიყო	255
თაგეთ მეფემ სიზმარი ნახა	255
კანათარი	258
კალია	259
მგელი	260
ცოფიანი მგელი	262

დათვი	263
მაჩვი	265
მელა	266
გუთნის გამართვა	267
წისქვილი	268
აჩჩამ უთხრა გუთანსა	268
ხილთა ქება	269
აუთანდილ გადინადირა	271
ანდუყაფარი	272
გორის სანახავად წაველ	273
ბიჭია ჩინჩიბური	273
მადათოვი	274
სანადირონი	274
შაზანდარი	274
საზანდარი მომეშალა	278
პოი ელია, მელია	279
დენთი, დენთი, როგორ დენთი	279
სამოთხე არი ზაფხული	279
ქალაქილამ წამოველი	280
ერწო მთა გადასავალი	280
არ ვარგოდა ნადიმობა	281
ქალაქს სიონის საყდარი	281
სტვირი	282
ციხისძირილამ წამოველ	282
ყილეყო მამალო	283
ხელეჩო	284
ადიდებულა ტანაო	285
აასკი და აგუგუ	285
ილი ილელი	285
ერეპელი ვარ	286
ქუთათური ქათამი	286
ჩიტო გვრიტო	287
საყმაწვილონი	287
ლოცვა წყველა	291
ექსპრომტები, ანეგდოტები, წარწერები	297
შენიშვნები	301
რედაქტორის შენიშვნები	335
სიტყვების ახსნა	352

Г1+ГФ
899.962.1 — 1+398.22(47. 922)
б 209

Петре Умикашвили
Народная словесность

I

Под редакцией проф. М. Чиквани
(На грузинском языке)
Издательство «Литература და Хელოვნება»
Илеханова, 179
19 Тбилиси 64

გამომცემლობის რედაქტორა ე. ჩხეიძე
მხატვარი თ. სამსონაძე
მხატვრული რედაქტორი ირ. ჭანაშვილი
ტექნიკური რედაქტორი თ. მამფორია
კორექტორი თ. იოსელიანი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/XII-64 წ.
ქაღალდის ზომა 60×84¹/₁₆, ნაბეჭდი თაბახი 23,75
საარტიცხო-საგამომცემლო თაბახი 18,56
ტირაჟი 15.000, შეკვეთის № 926.

ფასი 1 მან. 82 კაპ.

სტამბა № 1, თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.
Типография № 1, Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.